

780
1997/2

13



საგონებელი



3-4

1997

საშუაგვე

მაცხოვრებლის
პატივსაცემად

წელი (1997) ღმრთობის
ბიზნეს-საბუღალტრო



შინაარსი

პროზა და პოეზია

დევიდ ლორენსი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნეს თამარ სულხანიშვილმა და ვეკა ვეგუკორმა	3
გორის პასტერნაკი. ლეიტენანტი შმიდტი. პოემა. თარგმნა ვახტანგ გოგოლაშვილმა	31
ფრანგული პოეზია. ფრანგულიდან თარგმნა მარინე კილაშვილმა	60
ლოვა და ვიგა. სასჯელს არ ჰმვია შურისძიება. პიესა. დასაწყისი. ესპანურიდან თარგმნეს ელდარ კერძევაძემ და სოსო პაიჭაძემ	63
შედეგად გარსია ლორკა, მარინა ცვიტაივა. ლექსები თარგმნა კამილა კორინთელმა	119
გიუნთერ გრასი. დედალი ვირთაგვა. დასასრული. გერმანულიდან თარგმნა თენგიზ პატარაიამ	127

ესე კუბლიცისტიკა, დოკუმენტური პროზა

ირმა რატიანი. იაკონური დღიური	194
ზურაბან გამაყაშვილი. ანათემაზე უსასტიკესი	215
არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი). საუბარი იელოველთა მწვანეგულ-ბაზმ. თარგმნა ვასილ ბურკაძემ	219
კამილ კლოდელი. ფრანგული მასალების მიხედვით მოამზადა როენა ყენიამ	232
ჯინო კონცეტი. ნაბიჯი მოკვდიანობის კულტურის დამკვიდრებისაკენ. ინგლისურიდან თარგმნა ნატო შეტრეველმა	238
ლასლო ესე. ვერდის რომ დღიურები მწერა... დასასრული. თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა	242

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ერთიანი შტაბი

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке



1997 № 3—4

მთავარი რედაქტორი:
უკოთა ნიშნიანიძე

ნანა ღარჩია
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ხარედაქციო კოლეგია:
ჯიშა ჯიშიაშვილი
მზია ბაძრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ გურუშიძე
მავალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკია
გივი ძნელაძე
დავით წერეთლიანი

ტექნიკური რედაქტორი
ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 93-47-31. მთ. რედაქტორის მოადგილე 99-60-22. განყოფილებათა გამგეები — 72-26-39.

გაღ. წარმ. 25. 03. 97 წ., ხელმოწ. დასაბუჭდად 13. 06. 97 წ., ქალაქის ზომა 70X108^{1/16} სანტ. თ. 25,51. სისტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 300. შეკვ. № 365.

შანი & ლარი

გამომცემლობა „სამშობლოს“ ხტაშხა,
თბილისი, მ. კობახიძის, 14.

კოთხრობები



უსინათლო

იზაბელ პერვინი სმენად ქცეულიყო, რათა გარედან ბორბლების ხმაური არ გამოჰპარულიდა, ჰოლიდან კი მეუღლის ნაბიჯების ხმა.

ბინდუნდში, ჩოუმბრის ამ წვიმიან საღამოს, მისი დიდი ხნის მეგობარი, და ყველაზე საყვარელი ადამიანი უნდა ჩამოსულიყო, რომლის გარეშე ჭალს ცხოვრება ადრე წარმოუდგენლადაც კი ეჩვენებოდა. ორთვალი უკვე გაეგზავნათ სადგურში მის დასახვედრად, ხოლო მეუღლე, თვალის ჩინი რომ ფლანდრიაში დაეკარგა და წარბზე ნაიარევი დღესაც აჩნდა, საცაა ფერმიდან უნდა დაბრუნებულიყო.

უკვე ერთი წელია, რაც მორისი დაბრმავებული დაბრუნდა შინ. მაგრამ მაინც ძალზე ბედნიერები იყვნენ. გრეინჯი მორისის საგუთრებას წარმოადგენდა. სახლს უკან ფერმა პქონდა. ფერმას ვერნჰემები უვლიდნენ და სახლის უკანა მხარესაც ისინი ცხოვრობდნენ. იზაბელს და მის მეუღლეს წინა ღამაში ოთახები ეკავათ. მორისის დაბრმავების შემდეგ თითქმის სულ მარტონი იყვნენ. საუბრობდნენ, მღეროდნენ, კითხულობდნენ, გასაოცარი და ენით აუწერელი აყო ეს სიახლოვე.

იზაბელი მისთვის საინტერესო ძველ საქმესაც არ ივიწყებდა. შოტლანდური გაზეთისათვის წიგნების შიშობილვას წერდა, მორისი კი ამ დროს ფერმის საქმეებით იყო გართული. მიუხედავად სიბრმავისა ყველა საკითხზე შექმნილ ვერნჰემებთან სჯა-ბაასი, ბევრ საქმესაც აკეთებდა ფერმაში. მართალია, ეს მძიმე შრომა იყო, მაგრამ მას ხომ სიამოვნებას ჰგვრიდა. ძროხებს წველიდა, რძით ხაყსე ვედროები აქეთ-იქით დაჰქონდა, კარაქს დღევებდა, გოჭებსა და ცხენებს უვლიდა. უსინათლო კაცის კვალობაზე ცხოვრება მორისისათვის საესე, ნათელი და მშვიდი იყო იმ აუხსნელი იდუმალების გამო, რასაც მხოლოდ წყვდიადთან უშუალო კავშირი თუ იძლევა. ცოლ-ქმარი ერთად ეზიარებოდნენ მთელ სამყაროს – მდიდარს, რეალურსა და უხილავს.

ესოდენ ცხადი სიხარულის წყალობით ამ წყვდიადით მოცულ სამყაროში ჩინის დაკარგვა მორისს გულს დიდად არ წყვეტდა, რაღაც განსაკუთრებული სიამოვნება ეუფლებოდა ხოლმე მის სულს. ისე უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ, თითქოს ამქვეყნად ხელმეორედ დაიბადნენო... მაგრამ ზოგჯერ კი... დროთა დინებას ეს მდიდარი ჯადოსნური სამყარო სადღაც მიჰქონდა. ამ იდილიას, რომელიც თვეობით გრძელდებოდა, დაღლა, საშინელი მოწყენილობა, მძიმე ტვირთის შეგრძნება ცვლიდა იმ სახლში, სადაც ფიჭვის მაღალ ხეივანს მიჰყავდი, სადაც მღუმარებას ნავსაყუდელი ეპოვნა და მყარად დასადგურებულიყო. იზაბელი ხანდახან გრძნობდა, ყოველივე ამას მალე ვეღარ აიტანდა, გაგიჟდებოდა. ზოგჯერ სასოწარკვეთილება და, მგონი, სასოწარკვეთილებაზე რაღაც უფრო მეტი მორისსაც დარევდა ხელს, გულს უღრღნიდა, სულს უფორიაქებდა,

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანადგურებდა. ეს გახლდათ შავით მოცული უბედურების სამყარო, რომელიც სოცოცხლეს მისთვის ტანჯვად ხდიდა, ხოლო მის არსებობას ცოლისთვის აუტანელს.

შიში ღრმად იდგამდა ფესვებს იზაბელის სულში, როდესაც/ასეთი დღეები ერთმანეთს ეხაცვლებოდა.

ნეტავ შესძლებოდა შიშით შეპყრობილს მეუღლეს ~~გულს~~ რამელიმე კუნჭულში მიეუფო!

და იგი კვლავ მოჩვენებით გართობას და მზიარულებას ეძლეოდა. ძვირად კი უჯდებოდა. იცოდა, დიდხანს ვეღარ გაძლებდა. გრძნობდა, დაძაბულობისაგან ძალე აკივლდებოდა. ყველაფერს დათმობდა, ყველაფერს, ოღონდ ყოველივე ამას გასცლოდა.

მორისის გონების მთლად დაპყრობა რომ შეძლებოდა — ჰოი, რა ბედნიერი იქნებოდა!...

და მაინც, როდესაც მორისს ეს ძალუნი სასოწარკვეთილება შეიპყრობდა, იზაბელს აღარც მისი და აღარც საკუთარი თავის ატანა შეეძლო. ნეტავ სულ გადაკარგულიყო ამ ქვეყნიდან, ან რაც ვინდა მოსვლოდა, ოღონდაც ასე არ ეცხოვრა. გაოგნებული გამოსავალს ეძებდა. ჯერ იყო და მეგობრები მიიპატიჟა. ცდილობდა მორისი უფრო მეტად დაეკავშირებინა გარე სამყაროსთან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

უსინათლობის ეს პირველი წელი ძალზე მძორედ მიედინებოდა. განმარტობამ ისინი ერთმანეთს მიაჯაჭვა, ჭირიც და ლხინიც საზიარო გაუხადათ, სხვები კი გამოფიტულ, ენაჭარტალა უხეშ არსებებად დაუსახათ. უშინაარსო ლაქლაქი თავხედობად ეჩვენებოდათ. მორისს მოთმინება ეკარგებოდა, ღიზიანდებოდა. იზაბელი იქანცებოდა, ზვლავ მარტოობას ეძლეოდნენ. ასე ერჩივნათ.

ახლა კი მათ რამდენიმე კვირაში მეორე შვილი უნდა შესძენოდათ. პირველი, ჯერ კიდევ ჩვილი, მორისის საფრანგეთს პირველად გამგზავრებისას დაეღუპათ. იზაბელი სიხარულითა და შვებით მოელოდა ბავშვის დაბადებას. ბავშვის გაჩენა ხომ ხსნა იქნებოდა! თუმცა რაღაც მაინც უღრღნიდა გულს. ქალი ოცდაათი წლისა იყო, მეუღლე ერთი წლით უმცროსი.

ორივეს ძალიან უნდოდა ბავშვი, მაგრამ...

მაგრამ შიშისგან თავი მაინც ვერ დაეღწია ქმრის გამო, რომელიც იზაბელის დიდი სიხარულიცა და დიდზე დიდი ტვირთიც იყო. იგი ხომ მთლიანად მასზეა მიჯაჭვული. ბავშვი კი მთელ სიყვარულს და ყურადღებას წაიღებს, მაშინ მორისს რა ეშველება?! რას გააკეთებს?!

ნეტა ის მაინც იცოდეს, ბავშვის დაბადების მერე მორისი თუ დამშვიდდება და ბედნიერი იქნება...

როგორ უნდოდა იზაბელს დედობის ეს ღიღებელი გრძნობა განეცადა და დამტკბარიყო...

მაგრამ რა უნდა ქნას?!.. რა ღონე იხმაროს, რით ააცილოს მეუღლეს ეს გამანადგურებელი განწყობილება, რომელსაც ბნელეთის სამყარო ქმნის და ორივეს სპობს და ანადგურებს.

ქალმა შიშით ამოიოხრა.

სწორედ ამ დროს მიიღო ბერტი რეიდისგან წერილი. ბერტი მისი ბავშვობის მეგობარი იყო, გარე ბიძაშვილი, წარმოშობით შოტლანდიელი, როგორც იზაბელი, ერთად იზრდებოდნენ. იგი ძმობასაც კი უწევდა და მგონი, საკუთარ ძმებზე მეტადაც უყვარდა. მაგრამ ისე არა, რომ ცოლად გაჰყოლოდა. მათ შო-

რის მსგავსება, სულიერი ნათესაობა იყო. უთქმელად უგებდნენ ერთმანეთს. იზაბელი ბერტის ცოლობას ვერასოდეს წარმოიდგენდა. ეს ხომ ღვიძლ ძმაზე გათხოვება იქნებოდა?!

ბერტი სხარტად, ირონიულად მოაზროვნე, სანტიმენტალური შოტლანდიელი გახლდათ, ვეკილი, მწერალი, ქალების დიდი მოთაყვანე, მკაცრად უდგოჯახებაზე არ ფიქრობდა. მორის პერუინი კი გრეინჯიდან იყო (გრეინჯის მსუსსეორდთან ახლოს მდებარეობს), ძველი, კარგი ოჯახის შვილი, წარმოსადგევი, ფიცხი და ფხუკიანი, ვგონებ, ძალზე ფხუკიანიც. მკერივი სხეული ჰქონდა. შიგადა-შიგ შუბლი ავადმყოფურად უწითლდებოდა. გონება ზანტად უჭრიდა, თითქოს მის ძარღვებში მდინარე ძლიერ პროვინციულ სისხლს დაეხანგა. ღუნე აზროვნებას ძლიერ განიცდიდა. გრძნობები კი შმაგი ჰქონდა. ბერტი მორისის საპირისპირო იყო, მისგან ურთად განსხვავებული. მისი ძალზე დახვეწილი გონება გრძნობებზე სწრაფად მოქმედებდა.

პირველი შეხვედრისთანავე ამ ორ ადამიანს ერთმანეთი არ მოეწონათ, იზაბელს კი ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, თითქოს ისინი ერთმანეთს გაუგებდნენ, რატომღაც ვგონა, რომელიმე მათგანს რომ მოენდომებინა, ერთმანეთს შესანიშნავად შეეწყობოდნენ. ოღონდაც ასე არ მოხდა. ბერტი ოდნავ ირონიული იყო. შოტლანდიური ირონიით შეურაცხყოფილი მორისი მას ინგლისური განაწყენებით პასუხობდა. განაწყენება კი ზოგჯერ ღრმავდებოდა და სიძულვილში გადადიოდა. იზაბელს ეს თითქოს ჩვეულებრივად მიაჩნდა, თუმცა კი ცოტა აფიქრებდა. ოჰ, ეს კაცები!... ღმერთმა ხომ ისინი ახირებულნი და განუსჯელნი შექმნა!...

ამიტომ, როცა მორისი საფრანგეთს მეორედ მიემგზავრებოდა, ქალმა იგრძნო, ქმრის გულისთვის მეგობრობა უნდა გაეწირა. ბერტს ამაზე კიდევაც მისწერა. ბერტი რეიდმა წერილითვე უბრალოდ უპასუხა, რომ, როგორც ყოველთვის, ქალის სურვილს დაემორჩილებოდა, თუ, რა თქმა უნდა, მას ასე სურდა.

მეგობრებს მორისი ღუმილმა დაისადგურა. ღუმილი თითქმის ორ წელიწადს ვაგრძელდა. ეს ამბავი იზაბელს თითქოს ახარებდა კიდევც, თითქოს სინანულსაც არ განიცდიდა. სწამდა, რომ მთავარი ცოლქმრული ცხოვრება იყო, ხოლო დანარჩენი მეორეხარისხოვანი. მასა და მორისს ერთმანეთი უყვარდათ, ბავშვები შეეძინებოდათ. მთავარი ხომ ოჯახური ბედნიერება იყო. დანარჩენს კი ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. ქალი თავს ბედნიერად თვლიდა და მზად იყო მორისის მეგობრები თავის მეგობრებად მიეჩნია. ბედნიერი ადამიანი ყველაფრისთვის მზად არის. ბედნიერი მეუღლის კვალობაზე იზაბელი მზად იყო მეუღლის ნება-სურვილს მთლიანად დამორჩილებოდა. ვერა და ვერ გაეგო, შეცბუნებულმა მეგობრებმა ზურგი რად აქციეს, რად გაუჩინარდნენ.

ცოლ-ქმარი ოჯახურ ცხოვრებას შთაეჩნთა. დიდ სიამოვნებას განიცდიდნენ. მორისი იზაბელის ლიტერატურულ მოღვაწეობაშიც იღებდა მონაწილეობას, იზაბელი კი სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენდა სოფლის მეურნეობისა და პირუტყვის მოშენებისადმი. ქალი ყოველთვის ცხოვრების პრაქტიკულ მხარეზე ამახვილებდა ყურადღებას, რადგანაც ბუნებით მგზნებარე ენთუზიასტი იყო და თავისი პრაქტიკული საქმიანობით ამაყობდა კიდევც.

ასე გაატარეს ხუთი წელი. უკანასკნელი წელი ენით აუწერელი სიახლოვის წელი იყო. მაგრამ, თანდათან ქალს საშინელი გულგრილი ლეთარგიის მსგავსი რაღაც ეუფლებოდა. სურდა ბავშვთან ერთად, რომელსაც მუცლით დაატარებდა, მშვიდად ეცხოვრა, ბედს მიჩნებებოდა და წყნარად ეთვლიმა ცეცხლის პირას, მორისი კი საავდრო ღრუბელს ჰგავდა, იზაბელს მუდამ უნდა ეფხიზლა,

მუდამ ხსოვებოდა ეს. როდესაც იზაბელმა პატარა ბარათი მიიღო ბერტისაგან, სადაც იგი მორისის დაბრძანების გამო დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა და თან დასძენდა, საბოლოოდ ხომ არ დაესამარებინათ თითქმის უკვე დაკარგულა მეგობრობა, ქალმა საშინელი ტკივილი იგრძნო. მითვლემილმა გრძნობამ კვლავ იფეთქა და წერილი მორისს წაუკითხა.

— სთხოვე ჩამოვიდეს, — უთხრა ქმარმა.

— ბერტს ჩამოსვლა ვახოვო?! — ექოსავით გაიმეორა ქალმა.

— დიახ, თუ სურს.

— როგორ არა სურს! როგორ გაუხარდება... მაგრამ შენ, მორის?! შენ რას ფიქრობ? შენ გინდა?

— მინდა.

— მე კი მეგონა არ გინდოდა.

— ო, არ ვიცი, ახლა სხეანაირად ვფიქრობ, — მიუგო უსინათლომ.

— კარგი, გენაცვალე. დარწმუნებული ხარ, რომ მისი ჩამოსვლა გინდა?

— საკმაოდ დარწმუნებული. ჩამოვიდეს, — იყო შეუღლის პასუხი.

ჰოდა, ამ წუთიან ბნელ ჩოუმბრის საღამოს ბერტი ჩამოდიოდა. იზაბელი დედავდა. მოუსვენრობა და გაურკვევლობა ქანცავდა. ეჭვები ღრღნიდა. ეჭვი ხომ მტანჯველი გრძნობაა, გტანჯავს, ტკივილს გაყენებს. დედობის გრძნობამ თითქმის ინდიფერენტული გახადა ამ გრძნობისადმი, მაგრამ ეჭვებმა კვლავ იმპლავრეს, მთელ მის არსებას დაეუფლნენ, ააფორიაქეს. ქალი შეეცადა მეგობრული იერი შეენარჩუნებინა და ნიღბად ექცია იგი.

ქალმა მაგიდის გვერდით მდგარი მაღალი ლამპა აანთო. მაგიდას სუფრა გადააფარა. გრძელი სასადილო ოთახი, სადაც ელეგანტური, მკაცრი სტილის ავეჯი იდგა, მკრთალად განათდა. მრგვალი მაგიდა ამ მკრთალ შუქზე მდიდრულად, ლამაზად, პაეროვნად გამოიყურებოდა. თეთრი სუფრა ბრწყინავდა და მისი მძიმე, მაქმანიანი წვეკრტები თითქმის ხალიჩას ეხებოდა. ფაიფურის ჭურჭელი ძველი იყო, ლამაზი, მოყვითალო ფერისა, ლამაზი იყო წითლითა და მუქლურჯით მოხატული ზარის ფორმის ბრჭყვიალა ფინჯნები და დიდი ჩაიდანნი.

იზაბელი ანგარიშშიუცემლად მიჩერებოდა ჩაიდანს. ჩერვები დასჭიმოდა. ანგარიშშიუცემლად ახედა კვლავ უფარდო ფანჯრებს, თითქოს უნდოდა დაენახა, გარეთ მდგარ უზარმაზარ ნაძვს ტოტები როგორ ერხეოდა, მაგრამ ამ ნაძვს უფრო გონების თვალთ ხედავდა, ვინემ სინამდვილეში.

წვიმა ფანჯრის მინებს ურაკუნებდა.

ჩუთუ არ შეიძლებოდა იზაბელსაც მშვიდად ეცხოვრა. ეს ორი ადამიანი სულსა და გულს უფორიაქებდა. ნეტა რატომ არ მოდიან?!.. რა დაემართათ?!.. ახლა უკვე ნამდვილად შეწუხებული, გაღიზიანებული და დაღლილი ჩამოჯდა. ყოველ შემთხვევაში მორისს ხომ მაინც შეეძლო მოსვლა!.. მას ხომ არაფერი უშლის ხელს!.. ფეხზე წამოდგა. სარკეში თავის ორგულს მოჰკრა თვალი. თითქოს ნაცნობი დაინახაო, ოდნავ, გაიღიმა. მოგრძო სახე ჰქონდა, მშვიდი, ცხვირი ოდნავ კეხიანი. კისრის ხაზები ლამაზად ეშვებოდა მხრებისკენ. თმა უკან შეკრული და გაშვებული. რაღაც თბილი, დედობრივი იერი დადებოდა. ამის გაფიქრებაზე წარბები მაღლა აზიდა, საკმაოდ დაბერილი ქუთუთოებიც. ღვთისმშობელივით სახეზე მსუბუქმა ღიმილა გადაურბინა. ნაცრისფერი თვალები ეშმაკურად, ოდნავ დამცინავად აუკიაფდა. შემდეგ კვლავ ქალური დათმუნის იერი აიფარა და კარისკენ აჩქარებული გაემართა, თითქოს ბედისწერის გადაწყვეტილებას დაემორჩილაო. თვალები ოდნავ შესწითლებოდა. დიდი დარბაზი გაიარა,

კარიც და ფერმის შენობაში აღმოჩნდა. რძის, ქათმების, ფერმის, ეზოსა და ტყავის სუნმა თავბრუ დაახვია, განსაკუთრებით კი რძის სუნმა. ქვაბებს მღულ-რავდნენ. მის წინ ატალახებული ბნელი ღერეფანი იყო. სამზარეულოს ღია კარიდან სინათლე გამოდიოდა. იზაბელი იქით წავიდა. ზღურბლზე შედგა. მისგან ცოტა მოშორებით გრძელი მაგიდის გარშემო ფერმის მუშები ჩაის სვამდნენ. მაგიდის შუა თეთრი ლამპა იდგა. მუშებს სახე აღაჟღაჟებოდათ. დაწითლებულ ხელებში საჭმელი ეჭირათ, აწითლებული ტუჩებით გამალებით შეექცეოდნენ. ფერმაში მომუშავე კაცებსა და გოგო-ბიჭებს თავი ჩაის ფინჯნებში ჩაერგოთ — ჩაის ღრო იყო. ზოგიერთებმა იზაბელა შეამჩნიეს, მისის ვერნჰეში დიდი შავი ჩაიდნით ხელში სკამებს გარს უვლიდა, ზოგჯერ წამიერად ჩერდებოდა. იზაბელის შესვლა მაშინვე ვერ შეამჩნია. როცა შეამჩნია, მცის მოტრიალდა და შესძახა:

— ოპ, თქვენ ბრძანებით, ქალბატონო! შემობრძანდით, შემობრძანდით, ჩაის ვსვამთ, — და სკამი წინ დაუდგა.

— არა, არ შეგაწუხებთ. მაპატიეთ, რომ ჭამა შეგაწყვეტინეთ, — თქვა იზაბელმა.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, როგორ გეკადრებათ! — წამოიძახა ქალმა.

— ხომ ვერ შეტყვიით, ბატონი პერვინი არ შემოსულა?

— ვერ მოვახსენებთ. ალბათ მეუღლის გარეშე მოიწყინეთ, არა?

— არა, უბრალოდ მინდოდა მოსულიყო... — და იზაბელმა თითქოს დამორცხვებით გაიცინა.

— გნებაუღათ გუნახათ, არა? ბიჭო, ადექი, ადექი!

მისის ვერნჰემმა ერთ-ერთ ბიჭს ხელი დაჰკრა მხარზე. ბიჭი წამოიზლაზნა, თან მადიანად იღუკებოდა.

— დარწმუნებული ვარ, ზედა თავლაში იქნება, — წამოიძახა ეილაცამ სუფრის თავში.

— ო, სუ აღგებით! მე თვითონ წაეალ, — თქვა იზაბელმა.

— ასეთ უკუნეთ ღამეში როგორ წახვალთ? ბიჭი წაგყვებათ. გაჰყევი, ბიჭო!

— უბრძანა მისის ვერნჰემმა.

— არა, არა, — წარმოთქვა იზაბელმა ისე მტკიცედ, კაცი ძალაუნებურად უნდა დამორჩილებოდა. — ტომ, ჩაის სმა განაგრძე! მისის ვერნჰემ, მე თვითონ მინდა თავლაში წასვლა.

— ამ ბიჭს ხომ ვერაფერს შეასმენინებ კაცი! — ჩაილაპარაკა მისის ვერნჰემმა.

— ეტლი, მგონი, იგვიანებს, არა? — იკითხა იზაბელმა.

— არა, არა მგონია, — უპასუხა მისის ვერნჰემმა და მოშორებით მღგაროდნავ განათებულ მაღალ საათს დაკვირვებით ახედა. — არა, შეიძლება კიდევ ერთი თხუთმეტი-ოცი წუთი დააგვიანდეს, უფრო სწორად, თხუთმეტი წუთი.

— ასე მგონია, უკვე გვიანაა, ისე აღრე ბნელდება, — თქვა იზაბელმა.

— მართალია, მართალი. რა გულის გამაწვრილებელია მოკლე დღეები, ნამდვილი ტანჯვაა, — მიუგო მისის ვერნჰემმა.

იზაბელმა კვერი დაუკრა და უკან გამოტრიალდა.

ბოტები ჩაიცვა. კუბოკრულ დიდ შალის მოსახვევში გაეხვია. მაბაკაციის ფეტრის ქუდი დაიხურა და პირველი ეზოსკენ მიმავალ გზას გაბედულად გაუყვა. უკუნეთი ღამე იყო. ფლიგელებს უკან, დიდ თავლებს შორის, ქარი ღრიალით დათარეშობდა. მეორე ეზოს რომ მიუახლოვდა, უფრო მეტად ჩამობნელდა,

ფეხს სად აღკაძდა, ვერ ხედავდა. ნეტა ფარანი მაინც წამოეღო. წვიმა სახეში სცემდა. თითქოს მოსწონდა კიდეც, თითქოს შეწინააღმდეგებაც არ უნდოდა.

აი, თავლის კარი გამოჩნდა. ძლივს არ მიადწია! სინათლის ნრშანწყალი არსად ჩანდა. კარის ზედა ნახევარი გამოაღო და შეიხედა. თითქოს ბნელი ჭა იყო. ცხენების შარდის სუნმა და სითბომ შეაკრთო. ამ უკუნიერში სმენად იქცა. მხოლოდ ცხენების მოძრაობა ესმოდა ამ სიბნელეში, სხვის ვერაფერს ხედავდა.

— მორის, — ნაზი, მჟღერი ხმით დაიძახა შიშის მიუხედავად, — მანდა ხარ?

წველიადი სღუმდა. თავლის ზემოთ ქარი და წვიმა დათარეშობდა.

მძიმე პირუტყვის ცხოვრება. რაღაც უსიამო გრძნობა დაუფლა ქალს. თავ-
ლაში შევიდა, კარი მიხურა და იქვე გაჩერდა, არ განძრეულა, რადგან იცოდა, რომ თავლის ჩაბნელებულ უკანა ნაწილში ცხენები იყვნენ, თუმცა კი ვერ ხედავდა მათ. შეშინდა, რაღაც უცნაურმა აზრმა გაუელვა თავში სმენა დაძაბა. შორი-
დან ოღნავი ხმაური შემოესმა, ქვაბის ჩხარუნსა ჰგავდა. მამაკაცის ხმაც გაიგო-
ნა, თავლის მეორე მხრიდან კანტიკუნტად რომ ისმოდა. ალბათ მორისი იყო. გა-
იტრუნა. მორისის შემოსვლას ტიხრის კარიდან მოელოდა. ცხენებთან სულ ახ-
ლოს უნდა ყოფილიყო თუმცა თვალთ ვერ არჩევდა.

ურღულის ჩხაკუნმა შეაკრთო. კარი გაიღო. მკუღლის ფეხის ხმა გაიგონა და იგრძნო, როგორ ჩაიარა სიბნელეს შერწყმულმა ცხენებს შორის. მორისის ჩურჩული, როდესაც ცხენებს ესაუბრებოდა, ყურს მალამოსავით მიესალბუნა. რა ახლოს იყო, თუმცა რა უჩინარი.

ისე მოჩვენა, ეს წველიადი უღმობელი, უცნაური ცხოვრების მორეეში ით-
რევდა. თავბრუ დაეხვა. მერე გონებამ უკარნახა წყნარი მჟღერი ხმით დაეძახა:

— მორის, მორის, გენაცვალე.

— აჰ, იზაბელ, შენა ხარ?

ქალი ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მისი ხმა შეეხო.

— საღამო — მხიარულად უბასუხა და მის დასანახავად თვალები დაძა-
ბა. მორისი კვლავ მის ახლოს საქმიანობდა, ცხენებს უვლიდა. ქალი კი მხო-
ლოდ წველიადს ხედავდა. ამას თითქმის სასოწარკვეთილამდე მიჰყავდა.

— არ მოდიხარ, გენაცვალე? — ჰკითხა მან.

— მოვდივარ, მხოლოდ წამით დამიტადე მანდ. ეტლი ჯერ არ მოსულა?

— არა, ჯერ არა.

მორისის ხმა, როგორც ყოველთვის, სასიამოვნო იყო, მაგრამ მაინც თავ-
ლისა რაღაც დაჰკრავდა. ნეტავ წასულიყო აქედან. სიბნელეს შერწყმული მო-
რისი შიშსაც ჰგვრიდა.

— რა დროა? — იკითხა მორისმა.

— ჯერ ექვსი არ არის, — მიუგო იზაბელმა ისე, თითქოს ამ სიბნელეში პასუხის გაცემაც არ უნდოდა. მალე მორისიც მიუახლოვდა. იზაბელი გარეთ გავი-
და.

— ქარია, წვიმს, — წაილაპარაკა მორისმა და ხელის ფათურით წინა კა-
რისკენ მტკიცედ გაემართა. იზაბელი მოიბუხა. ქალი უკვე ბუნდოვნად ხედავ-
და ქმარს.

— ბერტის ალბათ დიდი გზა აღარ ექნება გამოსავლელი, — თქვა მორისმა და კარი მიხურა.

— ალბათ, — წყნარად მიუგო იზაბელმა და თან კართან მდგარ შავ ფიგუ-
რას თვალს არ აშორებდა.

— მკლავი გამიყარე, გენაცვალე, — უთხრა ქალმა. გზას გაუდგნენ. იზაბელი მორისის მკლავს მაგრად ჩაეჭიდა. ერთი სული ჰქონდა მორისი დაენახა, მისთვის შეეხედა. განერვიულებული იყო. მორისი გამართული მსდიოდა. თავი საკმაოდ მაღლა აეწია. მისი ძლიერი დაკუნთული ფეხები უცნაური მონღოლებით მიაბიჯებდნენ. როდესაც მორისს გაუსწორდა, ქალმა ზგრძნით ვაჟ ძლიერი, ჭკვიანური კავშირი იყო მორისის ტერფებსა და მიწას შორის. მისი მორისი მიწიდან ამოტყორცნილ წყვდიადის კოშკს მოგავიწყებდა. დერეფანში მორისი შეეყოყმანდა, შემდეგ უცნაური ღუმილით, სახეზე რომ აღბეჭდოდა, გზა ფრთხილად გაიკვლია გრძელი სკამისკენ და მძიმედ დაეშვა ზედ. მისი საკმაოდ დაქანებული მხრები, მძიმე, ძლიერი ფეხები, ეტყობა, კარგად იცნობდნენ მიწას. პატარა თავი, ჩვეულებრივ მაღლა აწეული, მსუბუქად ეჭირა. როცა გამაშების და ფეხსაცმლის გასახდელად დაიხარა, ვერც შეამჩნევდათ, ბრმა თუ იყო. წაბლისფერი ხვეული თმა ჰქონდა. მოწითალო ინტელიგენტური დიდრონი ხელები. მაჯებთან ვენები ეტყობოდა. ბარძაყები და მუხლები მკვრივი უჩანდა. წამოდგომისას სახესა და კისერში სისხლი მოაწვა. საფეთქლებზე ძარღვები დაებერა. ამ დროს იგი ბრმას სულაც არ ჰგავდა.

იზაბელს უზაროდა, როცა ამ გამმიჯნავ ზღურბლს გადალახავდნენ და სინახისა და სიმშვიდის საკუთარ სამყაროში აღმოჩნდებოდნენ. ცოტა კიდევ ეშინოდა მორისის, როდესაც თავლაში, იმ ტლანქ პირუტყვთა შორის იყო.

როდესაც მორისმა იების ნაცნობი ნაზი სურნელი იყნოსა, მისი მეუღლის გარშემო რომ სუფევდა და თითქოს სურნელოვანი ფიალიდან ამოდიოდა, სიარულის მანერაც კი შეეცვალა.

იების ძირას მონუსხულივით შედგა სმენად ქცეული.

იზაბელი უყურებდა და გული ეკუმშებოდა, იფიქრებდა, ბედისწერის ხმას უსმენსო.

— ჯერ არ ჩამოსულა, ხომ? — იკითხა მორისმა, — წავალ, ტანსაცმელს გამოვიცვლი.

— მორის! ასე მგონია, მისი ჩამოსვლა არ გინდა, — უთხრა ქალმა.

— ვერ გეტყვი, — უპასუხა კაცმა, — თუმცა საკმაოდ დამაბული ვარ!

— მეც გატყობ, — მიუგო ქალმა, აიწია და ლოყაზე აკოცა. შეამჩნია, როგორ მორბილდა მორისი, ოდნავმა დიმილმა როგორ გაუპო ბაგე.

— რა გაცინებს? — ჰკითხა ეშმაკურად.

— მანუგეშებ?

— არა, ან რა გაქვს სანუგეშო! ხომ იცი, რომ ერთმანეთი გვიყვარს. იცი, როგორ დავქორწინდით. სხვა რამეს ვანა მნიშვნელობა აქვს?!

— მნიშვნელობა არაფერს არა აქვს, ძვირფასო.

მორისმა ქალის სახე მოძებნა და დიმილით ხელი შეახო.

— შენ ხომ არაფერი გაწუხებს? — ჰკითხა შეფიქრიანებულმა.

— მე ძალზე კარგად ვარ, ჩემო სიყვარულო, მხოლოდ ზოგჯერ შენ გამო ვწუხვარ.

— რატომ ჩემ გამო? — ჰკითხა კაცმა და ქალს ლოყაზე თითის წვერებით ნაზად შეეხო. ამ შეხებამ ქალზე ანდამატივით იმოქმედა.

მორისი ზევით ავიდა. იზაბელი ხედავდა, ფეხის შეუშლელად როგორ აღიოდა ზევით. სიბნელეში. არც კი იცოდა, რომ დერეფანი განათებული არ იყო. ასევე ფეხის შეუშლელად განაგრძო გზა. ისიც გაიგონა, მორისი როგორ შევიდა სააბაზანოში.

თუმცა ყველაფერი წყვილია იყო მისთვის გახვეული, პერვინი თავის ნაცნობ სამყაროში თითქმის უშეცდომოდ, ხილულივით მოძრაობდა. თითქოს საგნების ადგილ-მდებარეობა მანამდე იცოდა, ვინემ ხელით შეეხებოდა. სიამოვნებას ჰკვირდა საგნებს შორის ბორიალი, სისხლს უჩქროლებდა.

შორისი ბედნიერი იყო, ვინემ ეს რეალური კავშირი არსებობდა მის სისხლსა და გარე სამყაროს შორის. აღარც ფიქრობდა და აღარც რაიმეზე ეწუხებდა თავს. თვალთ აღქმა არ ჭირდებოდა. სიცოცხლე მასში ნაკადივით მიედინებოდა, ირგვლივ უვლიდა, და ყველაფერს სიბნელის სამოსელში ხვევდა. ერთი სიამოვნება იყო ხელი წინ გაუწყდინა, უხილავ საგანს შეხებოდა, ხელში აეღო და უშუალოდ დაჰპატრონებოდა. მის დამახსოვრებას, გარკვევით წარმოდგენას შორისი აღარ ცდილობდა. ცხოვრებას შეცნობის ახალი გზა განუვითარებინა მასში. ამ მდგომარეობის მდიდარი შეფერილობა ბედნიერს ხდიდა, ხოლო ცოლის მიმართ გრძნობების გამოხატვას ბედნიერების მწვერვალზე აჰყავდა იგი.

მაგრამ დროდადრო ეს ნაკადი სვლას წყვეტდა, უკან მიედინებოდა. შემდეგ ზღვასავით აბობოქრდებოდა მის არსებაში და სისხლის ეს გამანადგურებელი ქაოსი მტანჯველი იყო, შიშს უღვივებდა ეს შეწყვეტაც, უკუმიქცევაც, ეს ქაოსიც, როდესაც ამ ძლიერ და საპირისპირო გრძნობების ამარა რჩებოდა.

„ნეტავ რა უნდა იღონოს კაცმა თავშეკავებისა და თვითორწმენის გასაღვივებლად?“ — ეს კითხვა ისე ამზავებდა შორისს, როცა კი ამოტივტივდებოდა, მუშტებს კუმშავდა, თითქოს სურს მთელი სამყარო დაიმორჩილოსო, თუმცა კი საკუთარი თავის დაოკებაც არ შეეძლო.

ამ ხალამოს ჯერჯერობით მშვიდად იყო, ოღონდაც გაღიზიანების მცირედი ურუანტელი მთელ ტანში უვლიდა. საპარსი არ ემორჩილებოდა, ამიტომ გაპარსვის დროს უნდა ეფრთხილა, სმენაც ძალზე გამახვილებოდა. ესმოდა, ქალი დერეფანში სინათლეს როგორ ანთებდა, სასტუმრო ოთახში ცეცხლი როგორ გუზგუზებდა. ხოლო როდესაც თავის ოთახს მიაშურა, ეტლის რახრახი მოესმა, შემდეგ იზაბელის ხმაძალალი გამომწვევი მყლერი ხმაც ჩაესმა:

— ეს შენა ხარ, ბერტი, ჩამოხვედი?

და ქარის შრიალში მამაკაცის ხმა გამოიკვეთა:

— გამარჯობა, იზაბელ, აქა ხარ?

— ცუდად იმგზავრე? ძაალზე ეწუხვარ, დახურული ეტლი რომ ვერ გამოგიგზავნეთ. იცი, სულ ვერ გხედავ.

— მოვდივარ. არა, მგზავრობით კმაყოფილი ვარ. თითქოს პერშირში ვიყო. შენ როგორ ხარ? როგორც ყოველთვის, ახლაც შესანიშნავად გამოიყურები.

—ჰო, შესანიშნავად ვარ. შენ როგორ ხარ? საკმაოდ გამზდარი მეჩვენები.

—მივაკვდი საქმეებს კაცი. მაგრამ ეს ხომ ახალი ამბავი არ არის. ისე კი არა მიჭირს რა, დაიკო. პერვინი როგორაა, აქ არ არის?

— აქ არის, ზევით. ჰო, ისიც ძალიან კარგადაა. სველი ტანსაცმელი გაიხადე, გასაშრობად გაუატან.

— რა გუნებაზეა, ხომ არ ჯავრობს?

— არა, სულაც არა, პირიქით. ჩვენ საოცრად ბედნიერები ვართ. არც მეგონა, იმდენად შესანიშნავია ეს სიახლოვე, სიმშვიდე.

— ოჰ, ეს კარგი ამბავი მითხარი.

ისინი წავიდნენ და პერვინს მეტი აღარაფერი გაუგონია. მთელი მისი არსება ბავშვურმა გრძნობამ მოიცვა, სიმარტოვე იგრძნო.

როდესაც მათი ხალისიანი ხმები ესმოდა, ასე ეგონა, თითქოს ბავშვივით გარეთ გამოაგდეს და კარი გამოუკეტეს. უმიზნოდ დარჩა. სათუაღეში აღარ იყო. უმწეობის, მიტოვებულობის გრძნობამ აიტანა. არ იცოდა, რა ედინა. ნერვიულად აფათურებდა ჩაცმის დროს ხელებს. ბავშვივით არ მოსწონდა არც ბერტის შოტლანდიური კილო, არც იზაბელის პასუხები, ამ კილოს გავლენა რომ დასტობოდა. არ მოსწონდა შოტლანდიური მეტყველების თვითკმაყროფილი, მოღრუტუნე ჟღერა და არც გამოცოცხლებული კილო, იზაბელს საკუთარ ბედნიერებასა და სიახლოვეზე საუბრისას რომ ჰქონდა. თავზარდაცემული, ბავშვივით ნირწამხდარი იდგა, იტანჯებოდა. ბავშვურმა ნოსტალგიამ ხელი ღარია, ცხოვრების ფერხულში ჩაბმა მოუნდა.

მაგრამ ის ხომ კაცი იყო, ძლიერი, ოღონდაც ბრმა და საკუთარი უმწეობით განრისხებული, რაღაც საბედისწერო შემთხვევის გამო სხვაზე მიჯაჭვული, რაც აშმაგებდა და აგიჟებდა. მას ბერტი რეიდი სძულდა, თუმცა ისიც იცოდა, ეს სიძულვილი სისულელე იყო, მისი უმწეობის შედეგი. ქვევით ჩავიდა. იზაბელი მარტო იყო. ქალმა დაინახა, სასადილო ოთახში როგორ შემოვიდა მორისი თავაწეული, მტკიცე ნაბიჯით, ძლიერი, ჯანღონით საესე და ამავე დროს თითქმის განადგურებული. განადგურებულიო — ამ სიტყვამ გონებაში გაუელვა, მისმა ნაიარევმა თუ უკარნახა.

— მორის, გაიგე, ბერტი ჩამოვიდა! — მიაგება იზაბელმა.

— კი. აქ არ არის?

— თავის ოთახშია. ძალზე გაძნდარი და დაღლილი გამოიყურება. ალბათ ქანცაწვევტამდე მუშაობს.

ოთახში ქალი შემოვიდა. ხელში ლანგარი ეჭირა. რამდენიმე წუთში ბერტიც შემოჰყვა. იგი პატარა, გამძდარი, შავგვრემანი კაცი იყო, წვივმოკლე, წინ გადმოყრილი ხვეული თმით და ძალიან დიდი შუბლით. დიდრონი ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, სასაცილომდე ნაღვლიანიც კი.

იზაბელმა შეამჩნია, ბერტი კართან როგორ შეყოყმანდა და მორისს ნერვიულად გახედა. პერვინმა მისი შემოსვლა გაიგო და მოტრიალდა.

— რაკილა აქა ხართ, მოდით ვისადილოთ, — თქვა იზაბელმა.

ბერტი მორისისკენ გაემართა.

— როგორ ხარ, პერვინ? — ჰკითხა ბერტიმ და მორისს მიუახლოვდა. ბრმამ ხელი სივრცეში გაიშვირა. ბერტიმა ხელი ჩამოართვა.

— ძალიან კარგად! — უპასუხა მორისმა, — მოხარული ვარ, რომ ჩამოხვედი.

იზაბელმა ორივეს შეხედა, შემდეგ მზერა განზე გადაიტანა, თითქოს მათი ერთად დანახვა ემძიმაო.

— მოდით სუფრას შემოვუსხდეთ, არ გშიათ? მე ძალიან მომშივდა.

— მაპატიეთ, რომ გაცდევინეთ, — თქვა ბერტიმ და სუფრას მიუჯდა.

მორისს სკამზე ჯდომის განსაკუთრებული, უცნაური ჩვევა ჰქონდა — გამართული, თავდაჭერილი. იზაბელს გული გამაღვებით უწყებდა ხოლმე ცემას, როდესაც ამ დროს შეხედავდა.

— არა, დღეს ჩვეულებრივზე ცოტა გვიან ვსადილობთ, — მიუგო იზაბელმა. — ჩვენი სადილი ვახშამს უფრო ჰგავს. მაგრამ არა უშავს რა. ასე საღამო უფრო დიდხანს და სასიამოვნოდ გაგრძელდება და მეუდროებასაც არავინ დაგვირღვევს.

— ჩინებულია, — თქვა ბერტმა.

როგორც კაჭა გაქეჯავს თავის საწოლს, მორისიც ისე თითების ფათურით მოსინჯავდა ხოლმე თეფშს, დანას, ჩანგალს, ხელსახოცს. ჭურჭლის მთელ გეოგრაფიას თავის ცნობიერებას უქვემდებარებდა. იჯდა წელში გამართული, იდუმალებით მოცული და შორეული. ბერტი მისჩერებოდა უსინათლოს წარმოსადევ ტანს, მის დიდრონ, წითელ, ღონიერ და ფაქიზ ხელებს, უმადრასის წარბებს იარის ზევით და თვალი ვერ მოეწვივებდა. უეცრად ანგარიშშიუცემლად ბროლის თასს დასწვდა, რომელშიც იები ეწყო, და ცხვირთან მიიტანა.

— სურნელოვანი იებია, სად დაკრიფე?

— ბაღში დაკრიფე, ფანჯრების ძირას ხარობს, — უპასუხა იზაბელმა,

— წელიწადის ამ დროს ასეთი სურნელოვანი იები? გახსოვს მამიდა ბულის იები სამხრეთის კედელთან?

მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს და გაუღიმეს. იზაბელს თვალები გაუბრწყინდა.

— როგორ არა, — მიუგო, — უცნაური ქალი იყო მამიდა ბული.

— უცნაური ბებრუხუნა, — გაიცინა ბერტიმ, — ახირებულობა ჩვენს ოჯახს მოსდგამს.

— მაგრამ მე და შენ ხომ არ მოგვდგამს, — თქვა იზაბელმა და, როდესაც შეამჩნია, ბერტი ყვავილების თასის უკან დადებას აპირებდა, დასძინა, — მორისს გადაეცი. მორის, იები დაყნოსე. ნახე, რა სუნი აქვს?!

მორისმა ხელი გაიშვირა. ბერტიმ პაწაწკინტელა თასი მის დიდ თბილ თითებზე დადო. ვეჭილის გამხდარ თეთრ თითებს მორისმა თავისი თითები შეაგება. ბერტიმ ფრთხილად გამოსწია ხელი. შემდეგ ორივენი, იზაბელიც და ბერტიც, უსინათლოს მიაჩერდნენ. მას თავი დაეხარა, თითქოს იებს ყნოსავსო, და ფიქრებს მისცემოდა. იზაბელი გაიტრუნა.

— მორის, ხომ კარგი სუნი აქვს? — იკითხა ისევ შეფიქრიანებულმა.

— ძალიან, — უთხრა მორისმა და თასი ბერტის გაუწოდა. ბერტიმ ჩამოართვა.

ორივენი, იზაბელიც და ბერტიც, შეშფოთებულნი და შეწუხებულნი ჩანდნენ.

სადილობა გრძელდებოდა. იზაბელი და ბერტი შიგადაშიგ საუბრობდნენ. მორისი ღუმლა. კვლავ ჭამა განაახლა. ჩქარ-ჩქარა, დანის წვერის ოდნავი მიკარებით საჭმელი დააქუცმაცა. დახმარებას ვერ იტანდა. იზაბელა და ბერტი იტანჯებოდნენ. იზაბელს ვერ გაეგო, რა სტანჯავდა. როცა მორისთან მართო იყო, ხომ არ იტანჯებოდა?! მისი ცნობიერების ეს უცნაური შეცვლა იქნებ ბერტის მიზეზით იყო. სადილის შემდეგ სამივემ სკამები ცეცხლთან ახლოს მისწიეს და სასაუბროდ მოეწვივნენ. გრაფინები იქვე ახლოს მაგიდაზე დადგეს. იზაბელმა ცეცხლს კუნძები შეუკეთა. მოციმციმე ნაპერწკლების კორიანტელი აუარდა. ბერტმა იზაბელს დაღლა შეამჩნია.

— ბავშვის დაბადება აღბათ როგორ გაგახარებს, არა, იზაბელ? — ჰკითხა. იზაბელმა სწრაფი, უხალისო ღიმილით გადახედა.

— ჰო, გამიხარდება, — უპასუხა, — დიდხანს კი გაგრძელდა. კი, ძალიან გამიხარდება. შენც გაგიხარდება, არა, მორის?

— დიახ, მეც გამიხარდება, — მიუგო მორისმა.

— ჩვენ ორივენი მოუთმენლად ველით ბაუშეის დაბადებას, — წარმოთქვა ქალმა.

— ჰო, რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრა ბერტმა.

ბერტი უცოლო იყო, სამი თუ ოთხი წლით იზაბელზე უფროსი. მისი ღამაზი ბინა, რომელსაც ერთგული შოტლანდიელი მოსამსახურე უწვლიდა, მდინარეს გადაჰყურებდა. ბერტის მშვენიერ სქესს შორის მეგობრები ჰყავდა, მეგობრები და არა საყვარლები... რამდენიმე კარგი ქალის მუდმივი თაყვანისმცემელი და უსაზღვრო პატივისმცემელი იყო, რადგანაც გაარშიყებისა და დაქორწინების საფრთხე აქ არ მოელოდა. უამრავი ქალი უყვარდა რაინდული სიყვარულით, მაგრამ თუ ისინი მის ხელში ჩავდებას დააპირებდნენ, უკან იხევდა და სიძულეილა ეუფლებოდა.

იზაბელი ბერტის ძალიან კარგად იცნობდა. იცოდა მისი უსაზღვრო ერთგულებაც, სიკეთეც და იმ განუკურნებელი სენის ამბავიც, რომლის გამო ბერტი ქალთან ახლოს ვერ იქნებოდა. ბერტს რცხვენოდა, რომ არ შეეძლო არც ქალის შერთვა და არც ქალთან ფიზიკური სიახლოვე. სურვილი კი ჰქონდა, მაგრამ არ შეეძლო. შინაგანად შიშს, საშინელ შიშს და უმწეობას განიცდიდა. იმედი დაჰკარგვოდა, რომ როდესმე ამ სენს დასძლეუდა. საზოგადოებაში დიდი წარმატებით სარგებლობდა. ბრწყინვალე ვექილი იყო, მდიდარი და მაღალი რეპუტაციის მქონე ლიტერატორიც. თვითონ კი თავისი თავი რაღაც საშუალო სქესად, არარაობად მიაჩნდა.

იზაბელი კარგად იცნობდა. არც მოსწონდა და კიდევ მოსწონდა იგი... ქალმა კაცის ნაღვლიან სახეს, პატარა, მოკლე ყეხებს შეხედა და ზიზღი იგრძნო. მაგრამ მის მუქ ნაცრისფერ თვალებში რაღაც იდუმალი, ბაუშეური გამომეტყველება რომ დაინახა, კვლავ საყვარული იგრძნო. ბერტი იზაბელს საოცრად უგებდა, მის ფიქრებს კითხულობდა, მაგრამ იზაბელს ამისი არ ეშინოდა, იგი, ხომ მას, როგორც მამაკაცს, მფარველობდა.

ქალმა მზერა თავის მშვიდად, ჩუმად მჯდარ მეუღლეზე გადაიტანა, რომელიც სკამის ზურგს მიყრდნობოდა გულხელდაკრეფილი. თავი ოდნავ უკან გადაეწია. სწორი, მკურივი მუხლები ჰქონდა. ქალმა ამოიოხრა, საჩხრეკი აიღო და ნაზად მოციმციმე ნაპერწკლების გასაღვივებლად ცეცხლს ჩხრეკა დაუწყო.

— იზაბელის აზრით მხედველობის დაკარგვა დიდად არ განგიცდია, — წამოიწყო უცუბ ბერტმა.

მორისი გასწორდა, სმენად იქცა, თუმცა კვლავ გულხელდაკრეფილი იჯდა.

— უსინათლობა არც ისე აუტანელი ყოფილა. მოგეხსენება, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ყოველივეს თურმე თავისი კომპენსაცია აქვს, — თქვა მორისმა.

— ამბობენ, სიყრუე უფრო ძნელიაო, — დასძინა იზაბელმა.

— მეც ასე მგონია! — ჩაურთო ბერტმა და მორისს მიუბრუნდა, — მაშ თავისი კომპენსაციებიც აქვს, არა?

— დიახ, ძალიან ბევრ რამეზე აღარ სწუხარ.

მორისი გაიზმორა, ზურგის კუნთები დაჭიმა და თავაწეული უკან გადაიხარა.

— აღარ სწუხარ? მაგრამ წუხილს რაღა სცვლის? — იკითხა ბერტმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. უსინათლო თითქოს არც უსმენდა, რაღაცაზე ფიქრობდა, ბოლოს გამოერკვა და თქვა:

— ოჰ, არ ვიცი, ბევრ რამეში აღარ ხარ აქტიური.

- მაინც ზუსტად რაში? — კითხა ბერტმა და განაგრძო, — მე კი იმ აზრისა ვარ, რომ თუ არც ფიქრია და არც მოქმედება, მაშინ არც აღარაფერია. მორისმა კვლავ დააყოვნა პასუხი.
- არის მაინც რაღაც, — მიუგო მან, — თუმცა ზუსტად რა, ვერ გეტყვი. საუბარი კვლავ შეწყდა. იზაბელი და ბერტი იხსენებდნენ წარსულს, ჭორაობდნენ. უსინათლო კი დუმდა.
- ბოლოს მორისი წამოდგა. ეს ვეება კაცი უმწყო და შეტყობდნენ ჩანდა. წასვლა დააპირა.
- თუ არ გეწყინებათ, წავალ და ვერნკემებთან გავისაუბრებ.
- წადი, ძვირფასო, — უთხრა იზაბელმა.
- უსინათლო გავიდა. მეგობრები გაჩუმდნენ.
- მაინც დიდი დანაკლისია, დაო, — წაილაპარაკა ბოლოს ბერტმა, — წარმოიდგინე, ყოველთვის რაღაც გაკლდეს.
- ვიცი, რა დანაკლისია. ვიცი და მაინც მორისი მართალია. არის სხვა რაღაც, რისი არსებობაც არ იცი და რისი გამოხატუაც არ ძალგამს.
- რა სხვა? — იკითხა ბერტმა.
- არ ვიცი. ამის დადგენა ძალიან ძნელია. მაგრამ არის რაღაც ძლიერი და უშუალო მორისში, რაღაც უცნაური, გაურკვეველი, რომლის გარეშე ალბათ ვერც გავძლებდი. გეთანხმები, ალბათ ყურადღების გამახვილება ყველაფერზე არც ღირს, ზოგ რამეზე ალბათ თვალი უნდა დახუჭო, მაგრამ როდესაც მარტონი ვართ, მოწყენას ვერ ვგრძნობ. ყველაფერი საოცრად მდიდარია. შესანიშნავიც კი.
- ვწუხვარ, მაგრამ შენი არ მესმის! — უთხრა ბერტმა.
- ხან რაზე ისაუბრეს და ხან რაზე, გარეთ კი ქარი ღმუოდდა. წვიმა ფანჯრის რაფებს ურაკუნებდა და დახურული, სასიამოვნო ოქროსფერი დარაბების აქეთ დოლის ბრახუნით ისმოდა. კუნძი პაწაწკინტელა, თითქმის უხილავი ალით ნელა იწვოდა. ბერტი თავს უხერხულად გრძნობდა, თვალები ჩაღამებოდა. უკვე მოახლოებული დედობით დამშვენებული იზაბელი დახრილიყო და ცეცხლს ჩასცქეროდა. მისი უჩვეულოდ ხვეული კულულები, გაშლილი თმა კაცს სიამოვნებას მოჰგვრიდა. მაგრამ თვით იზაბელის გულს კი უცნაური, გრძნობა, ძველი სევდა, მარადიული დამის სევდა დაპატრონებოდა.
- ეფიქრობ, ყველას რაღაც გვაკლია! — თქვა ბერტმა.
- მეც ასე ეფიქრობ, — უპასუხა დადლილი ხმით იზაბელმა და, თითქოს თავის გამხნელება უნდაო, დაუმატა, — დასწყევლის ღმერთი, ყველანი განწირულნი ვართ. არ ვიცი, ოღონდაც მე თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ბავშვის მოლოდინი ყველაფრისადმი გულგრილსა მხდის, უბრალოდ მამშვიდებს, ვერ ვგრძნობ, რომ რაღაც არსებობს, რის გამოც უნდა ვიწუხო.
- შესანიშნავია, — წყნარად მიუგო ბერტმა.
- ჩემი აზრით ეს ბუნებაა. მე რომ მეგრძნო, მორისი არაფერზე წუხს, სავსებით კმაყოფილი ვიქნებოდი.
- გრძნობ, რომ მის გამო უნდა იწუხო?
- ვერ გეტყვი, — იზაბელი თითქოს გააბრაზა მისმა ასეთმა ჩაცვიბამ. ღამე ნელა, კუს ნაბიჯებით მიიზღაზნებოდა. იზაბელმა საათს შეხედა.
- თითქმის უკვე ათი საათია. ნეტა მორისი ამდენ ხანს სად არის? დარწმუნებული ვარ, იმათ, უკანა მხარეს უკვე სძინავთ. მაპატიე, ერთი წუთით გა-

ვალ, — თქვა ქალმა და გავიდა. თითქმის იმწუთშივე დაბრუნდა. — ირგვლივ ყველაფერი ჩაბნელებულია და ყველაფერი ჩაკეტილი. ნეტავ სად არის? ალბათ ფერმაში თუ წავიდა.

ბერტმა ქალს შეხედა. — მალე დაბრუნდება ალბათ — თქვა მან.

— მეც ასე ვფიქრობ. მაგრამ ასეთ დროს მისთვის გარეთ ყოფნა უჩვეუ-

ლოა.

— ხომ არ გინდა წავიდე და ვნახო?

— თუ არ გეზარება! მე წავიდოდი, მაგრამ...

იზაბელს თავის გადატვირთვა არ უნდოდა, ბერტმა ძველი პალტო ჩაიცვა და ფარანი აიღო. გვერდითა კარიდან გავიდა. ნესტიანი, ხმაურიანი დამე იყო. ის მოიბუზა. ასეთი ამინდი მასზე ძალიან მოქმედებდა. სინესტე აგიჟებდა. მეტი რა ძალა იყო, ბედს უნდა შეგუებოდა. ძალღმა საშინელი ყეფა აუტეხა. მან ყველა ნაგებობაში შეიხედა. ბოლოს, როდესაც თავლის ზედა კარი გამოაღო, საწინები მანქანის ხრიალი გაიგონა, ფარანი ძალდა ასწია, შეიხედა და მორისი დაინახა, პერანგისამარა სმენადქცეული რომ იდგა. მანქანის სახელური ეჭირა, თაღგამს რომ ასუფთავებდა, ბუნდოვნად ჩანდა თაღგამის გროვაც.

— ვერნჰემ, შენა ხარ? — იკითხა მორისმა და სმენა უფრო დაძაბა.

— არა, ეს მე ვარ. — უთხრა ბერტმა.

ნახევრად გარეული დიდი ნაცრისფერი კატა მორისის ფეხს ეხახუნებოდა. ბერტმა დაინახა, უსინათლო რომ დაიხარა კატის მისაფერებლად. შემდეგ მექანიკურად კარი მიხურა და შიგნით შევიდა. უშველებელ თავლაში მარჯვნივ თუ მარცხნივ პირუტყვის ბაგებისკენ დერეფნები მიემართებოდა. ბერტი მორისის მოძრაობებს აკვირდებოდა: დახრიალი რომ კატას ეალერსებოდა. შემდეგ წელში გასწორდა იგი.

— ჩემს საძებნელად წამოხვედი? — ჰკითხა მორისმა.

— იზაბელი ცოტა ღელაუდა, — უპასუხა ბერტმა.

— მოვდივარ... მეტისმეტი ფაციფუცი ვიცი ხოლმე ასეთ საქმეებში. — კატამ თათი ასწია და მორისს ბარძაყში სიყვარულით ბრჭყალები ჩაასო. მორისმა მისი ბრჭყალები მოიცვინა.

— იმედი მაქვს, აქ, გრეინჯში ხელს არ შეგიშლი, — თქვა საკმაოდ დაძაბულმა და დამორცხვებულმა ბერტმა.

— ხელს შემიშლი? არა, სრულიად არა. მიხარია, იზაბელს რომ ხმის გამცემი უყოლება. ეს მე კუშლი ყველას ხელს. დიდი მხიარული თანამოსაუბრე ვერა ვარ. მგონი, იზაბელი თავს კარგად გრძნობს, არა? უბედური არ უნდა იყოს!

— არა მგონია.

— რას ამბობს?

— ამბობს, რომ ძალიან კმაყოფილია, მხოლოდ შენ გამო ცოტა სწუხს.

— რატომ ჩემ გამო?

— ალბათ შიშობს, რომ რაღაც გაწუხებს, — ფრთხილად შეაპარა ბერტმა.

— ამის შიში არ უნდა ჰქონდეს, — თქვა მორისმა და გატრუნულ ნაცრისფერ კატას თავზე კვლავ ხელი გადაუსვა. — ცოტა იმის მეშინია, რომ ზედმეტი ბარგი ვარ და ჩემთან იზაბელი მუდამ მარტოდ გრძნობს თავს.

— მე მგონი, ასე არ უნდა ფიქრობდე, — თქვა ბერტმა, — თუმცა ეს თვითონ მასაც აშინებდა.

— არ ვიცი, — თქვა მორისმა, — ზოგჯერ ვგრძნობ, რომ სწორი არ იყო

ჩვენი შეუღლება. — შემდეგ, თითქოს თავს შეებრძოლაო, ხმას დაუწია და უცნაურად იკითხა: — ხომ ვერ მეტყვი, სახე ძალიან დამახინჯებული მაქვს?..

— ნაიარევი გეტყობა, — თქვა გაოცებულმა ბერტმა, — კი, გამახინჯებს, ოღონდ უფრო საბრალო ხარ, ვინემ თავხარდამცემი.

— საკმაოდ დიდი ნაიარევია, ხომ?

— ჰო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ზოგჯერ ვგრძნობ, რომ საშინელი ვარ, — თქვა მორისმა ხმადაბლა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო. ბერტი მართლა შიშმა აიტანა.

— სისულელეა, — უთხრა ბერტმა.

მორისი კვლავ გასწორდა. კატას თავი მიაწება და უცნაური კილოთი დაუმატა:

— სინამდვილეში შენ მე არ მიცნობ, ასე არ არის?

— ასეა, — უპასუხა ბერტმა.

— საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება, ხელი რომ შეგახო?

ვექილი უნებურად განზე გაიწია, მაგრამ კაცთმოყვარეობამ ხმადაბლა ათქმევინა, არაო.

იგი უსიამო გრძნობამ აიტანა, როდესაც ბრმამ ღონიერი შიშველი ხელი მისკენ გაიწვდიხა. მორისმა ბერტს შემთხვევით ქუდი გადაუგდო.

— მე კი მეგონა, უფრო მაღალი იყავი, — თქვა მორისმა.

შემდეგ ბერტი რეიდს თავის ქალის გუმბათზე ხელი ნაზად და მტკიცედ დაადო, შუბლის ნაოჭები მოაგროვა, კვლავ ნაზად გადაანაცვლა ხელი და ისე ჩამოჰყვა პატარა კაცის თავის ქალას და სახეს, წარბებს, დიდრონ დახუჭულ თვალებს, პატარა ცხვირს, ნესტოებს, ჯაჯარა მოკლე ულუაშს, პირს და საკმაოდ ძლიერ ნიკაბს. მერე მხარში ჩასჭიდა ხელი, შემდეგ მკლავში, თითქოს თითების ნაზი ფათურით მისი შესწავლა უნდაო.

— ახალგაზრდა ჩანხარ, — წყნარად წარმოთქვა ბოლოს.

ვექილი ლამის განადგურებული იდგა. პასუხის გაცემა ვერ შეძლო.

— ახალგაზრდა ჩანხარ, ისეთი ნაზი თავი გაქვს, — გაიმეორა მორისმა. — ახლა შენ შემეხე, შეეხე ჩემს თვალებს, ჩემს ნაიარევს.

ბერტი უეცრად რაღაც ძლიერმა გრძნობამ ააკანკალა. ბრმის მიერ თითქოს მონუსხულმა ხელი ასწია და მის ნაიარევ თვალს დაადო. მორისმა უცბად თავისი ხელი ბერტის ხელს დაადო და მისი თითები თავის დამახინჯებულ თვალის გუგებს მაგრად დააჭირა. თითოეული ძარღვი უთრთოდა. ასე ერთი თუ რამდენიმე წამი იდგა. ბერტი კი თითქმის გონდაკარგული, მონუსხული იყო.

შემდეგ მორისმა ბერტის ხელი წარბიდან ჩამოიღო, ხელში დაიჭირა და გაჩერდა.

— ო, რა კარგია, — თქვა მან, — ჩვენ ახლა ერთმანეთი უკვე ვავიცანით. ახლა უკვე ერთმანეთს ვიცნობთ.

ბერტმა პასუხის გაცემა ვერ შეძლო. შიშისგან გაოგნებული, ძალაგამოცლილი უსიტყვოდ მიჩერებოდა ბრმას. გრძნობდა, რომ პასუხის გაცემას ვერ შესძლებდა. უგუნურმა შიშმა აიტანა, უაითუ ამ კაცმა უეცრად გამანადგუროსო, მაშინ როცა მორისი ჭეშმარიტ ამაღლებულ სიყვარულს, მეგობრობის გზებას აუვსო, რასაც ასე რიგად გაურბოდა ბერტი.

— ჩვენ ერთმანეთს ვაუუგეთ, არა, ასე არ არის? რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლოთ, ყოველთვის ერთმანეთს ვაუუგებთ, — თქვა მორისმა.

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

— დიახ, — წაილაპარაკა ბერტმა და მთელი ძალით ცდილობდა თავი გაენთავისუფლებინა.

მორისი თავაწეული იდგა, თითქოს რაღაცას უსმენსო. მიწიერი მეგობრობის ახალმა ნაზმა გრძნობამ მთელი მისი არსება მოიცვა. ესე იქნებოდა აღმოჩენა, მოულოდნელობა იყო, ფაქიზი გრძნობა, რომლის იმედი ურცხველად ეტყობა, სურდა გაეგო, მართლა ასეა თუ არა. შემდეგ პალტოსთვის მიტრიალდა.

— წამოდი, იზაბელთან წავიდეთ! — თქვა ბოლოს.

ბერტი ფარაღს დასწვდა და კარი გამოაღო. კატა სადღაც გამძვინვარედა.

ორი კაცი უხმოდ მიიბიჯებდა გზაზე. იზაბელს მათი ნაბიჯების ხმა ეუცნაურა. მათ შემოსვლას მოუთმენლად ელოდა. აღელვებული ჩანდა, მორისი საოცრად ხალისიანი ეჩვენა, ბერტი გაწამებული, თვალეზიანებული.

— რა მოხდა? — იკითხა ქალმა.

— ჩვენ დაუმეგობრდით! — შესძახა მორისმა და ბუმბერაზული ფეხები ფართოდ, უცნაურად გააბოძოძგა.

— დაუმეგობრდით?! — ექისავით გაიმეორა იზაბელმა და კვლავ ბერტს გადახედა. ბერტმა ქალის მზერას გულმოკლული, დონეგამოცლილი ადამიანის მზერა შეაგება. თვალეზი თითქოს ტანჯვით დახისლოდა.

— ძალიან მიხარია, — თქვა აშკარად შეცბუნებულმა იზაბელმა.

— ჰო, — თქვა მორისმა.


ის მართლაც ძალზე გახარებული ჩანდა. იზაბელმა ქმრის ხელი თავის ხელებში მოიმწყვდია და მაგრად მოუჭირა.

— ახლა ხომ უფრო ბედნიერი იქნები, ძვირფასო, — უთხრა ქმარს და თან ბერტს თვალს არ აშორებდა. იცოდა, ბერტს ერთი სული ჰქონდა, ამ თავს მოხვეულ სიახლოვეს, მეგობრობას გასცლიდა. ვერ მოეწელებინა, რომ ბრმა მას შეეხო, მის საიდუმლო არაჯანსაღ სამყაროში შეიჭრა.

ბერტი ნიჟარაშემოსხვრეულ ლოკოკინას წააგავდა.

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ სულხანიშვილმა

20921





როცა ბაქანზე ალაგ განათებულ და ალაგ ჩაბნელებულ სახეებს შორის პარის სახემ გაიღვრა, ფენისაც იმწამსვე აღისფერმა გადაუარა; მოჰკრა თუ არა თვალი ამ სახეს — ღუმელის ცეცხლით გაბრღვიალებულ, ქარს აყოლილ, მოფარფატე აღს რომ წააგავდა — შინ დაბრუნების გარდაუვალობამ, საშინელმა სევდამ მათრობელა წამალივით დაუარა ძარღვებში. ოჰ, ისევ ეს მუდამ უცვლელი სახე, ახლა წითლად რომ აბრიალებულა! ქარხნის ღუმელში მოგიზგიზე ცეცხლის ალები დროდადრო სიბნელიდან რომ გამოიტაცებდნენ ცის კაბადონსა და საგარეუბნო სადგურზე გაუანტულ მუშათა ბრბოს, პარის სახესაც ხან აანთებდნენ და ხან ჩააბნელებდნენ. პარი, რა თქმა უნდა, ვერ ხედავდა ფენის; სინათლით დაბრმავებული თვალები ვერაფერს ხედავდნენ! არც კი შეცვლილა! ისევ ის: მუდამ შეკრული წარბები, უბრალო კეპი, ისევ ის შავწითელი, ყელზე მოხვეული შარფი! თეთრი საყელოც არ გაუკეთებია მის შესახვედრად! ცეცხლი მიწელდა, ჩამობნელდა!

ფენიმ გამჭკარტლული საგარეუბნო ვაგონის კარი გააღო და ჩანთები გამოიტანა. მებარგული, რა თქმა უნდა, აჰ ჩანდა, მაგრამ პარი ხომ აქ იყო, შეუმჩნეველი, იქვე, შეჯგუფული ხალხისაგან განაპირებულისყო, რა თქმა უნდა, ფენის ეძებდა და ვერ კი ხედავდა.

— აქეთ პარი! — დაუძახა ფენიმ და სიბნელეში ქოლგის ქნევა დაიწყო. პარი მისკენ გაეშურა.

— რა კარგია, რომ ჩამოხვედი, — გახარებული შეეგება პარი. აფორიაქებული ფენი ძირს ჩამოვიდა და უხერხულად აკოცა.

— მხოლოდ ორი ჩემოდანია! — უთხრა ფენიმ.

პარი რომ ჩანთების ასაღებად ვაგონში შებობდა, ფენის კინაღამ სული შეეხუთა. სადგურის უკან, ვეება ღუმელიდან ამოვარდნილი ცეცხლის ენები ჩაბნელებულ ცას სწვდებოდა; ფენიმ იგრძნო, როგორ მოედო მასაც ლოყებზე ცეცხლი. ახლა უკვე შინ იყო ფენი, დაბრუნდა, სამუდამოდ დაბრუნდა! დამძიმებული გული უკვნესდა: აიტანდა კი ყოველივე ამას?

და ახლა ცეცხლოვანი ღუმელების გვერდით, პატარა, უბადრუკ სადგურზე იდგა ფენი, ტანწერწეტა ქალი. უთუოდ შეამჩნევდით მის კონტა პალტოსა და ქვედაკაბას, ფართო ნაცრისფერი ხავერდის ქუდს. ნაცრისფერი ხელთათმანები ეცვა, ხელში ეჭირა პატარა ტყავის ჩანთა, ძეწკვზე ასხმული გასაღებები და ქოლგა. ასე იდგა და ელოდა, როდის გამოფრატუნდებოდა პარი მისი ჩანთებით იმ საზიზღარი პატარა მატარებლიდან.

— იქ ჩემოდანი დარჩა, — ხალისიანი ხმით შესძახა ფენიმ, გული კი დარდისაგან ელუოდა. თუჯის სამსხმელო ქარხნის ორმა კონუსმა მოელვარე ცეცხლის ენები ღამის წყვდიადში ატყორცნა და ყველაფერი ააელვარა. მატარებელი

კიდევ ათ წუთს იდგებოდა. ასე იყო ყოველთვის. რა აუტანლად ნაცნობი იყო ეს ყველაფერი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ფენი ოცდაათი წლის ქალი იყო. დიდ ქალაქში მოახლედ ედგა ერთ ქალბატონს, ბოლოს კი შინ დაბრუნდა, რომ ცოლად გაჰყოლოდა თავის პირველ სიყვარულს, თუჯის ჩამომსხმელ მუშას — კაცს, რომელსაც აგერ ათ წელზე მეტია აწამებდა: ხან გააგდებდა, ხან დააიძულებდა, ნეტავი რისთვის ბრუნდებოდა? ვითომ უყვარდა ეს კაცი? არა — გულშიაც არ გაუვლია მისი სიყვარული. მთელი არსებით მხოლოდ თავისი მომხიბლავი და პატივმოყვარე ბიძაშვილი უყვარდა, რომელმაც მოატყუა და მიატოვა. ბიძაშვილი უკვე მკვდარი იყო. ამის შემდეგ ფენი კიდევ გადაეყარა რამდენიმე მამაკაცს, მაგრამ აქედან არაფერი გამოსულა. და აი, ახლა ფენი შინ სამუდამოდ დაბრუნდა, რათა ცოლად გაჰყოლოდა თავის პირველ სიყვარულს — ვინც დღემდე ელოდა, თუმცა ვინ იცის, იქნებ ისე, შემთხვევით დარჩა უცოლოდ. ფენიმ ჰარის გახედა. ჰარი კი ამ დროს ბაქანზე საბარგო ვაგონის გვერდით ნამდვილი მუშა კაცივით ფართო, მძიმე ნაბიჯებით მიილაჯებდა. ფენიმ ჰკითხა:

— იქნებ მებარგულს წაეღო ეს ჩემოდნები?

— თვითონაც მოვერევი. — ჰარიმ ჩემოდანს ხელი დაავლო და ფენიც თავისი ქოლგით, გასაღებითა და პატარა ჩანთით ხელში უკან მიჰყვა.

— ჰიზერის მემწვანილეების ურიკას დაველოდოთ, ბარგს წაიღებენ, — უთხრა ჰარიმ.

— რატომ? ეტლს ვერ ვიშოვიო? — ჰკითხა ფენიმ, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ აქ ეტლის ჭაჭანებაც არ იყო.

— აი, აქ დავაწყობ, ასე ცხრის ნახევარზე ჰიზერის მემწვანილეების ურიკა ჩამოივლის და წაიღებს, — უბასუხა ჰარიმ. შემდეგ ორსახელურიან ყუთს ხელი დაავლო და რკინიგზის გადასასვლელისაკენ გაილაჯა. უშნოდ მიმავალს ყუთი სულ ფეხებზე ეხეთქებოდა; კამფეტები წითელ ავტომატამდე მიათრია და იქვე გვერდით დაავლო.

— საიმედოა, რომ დავტოვოთ? — შეეკითხა ფენი.

— ვითომც საკუთარ სახლში დაგიტოვებია, — მიუგო ჰარიმ. უკან დაბრუნდა ჩანთების ასაღებად. ასე უხალისოდ, დატვირთულები, ჩანჩალით შეუყვანენ გორაკს ვეებერთელა, გრძელ, ჩაფამებულ ქარხნისაკენ. ფენი გვერდით მიჰყვებოდა ჰარის. „მართლა მუშაა — პირწავარდნილი მუშა! ბარგსაც როგორ მიათრევს!“

წითელი შუქი ცეცხლის ენებად ედებოდა ჩამოწოლილ სიბნელეს. ქარხნიდან შემამრწუნებელი მძიმე ფდრიალი, რკინის ფდრიალი ისმოდა-დანგ, დანგ, დანგ. — ისე ძლიერად და ისე ერთფეროვნად, რომ თითქმის აუტანელი იყო მისი მოსმენა.

გლოსტერში კი სულ სხვა იყო: იქ მის ქალბატონს ეტლი ელოდებოდა... რა კარგი იყო მდინარის პირას ჩასეირნება, ან ის მშვენიერი ხეივანი, ხის ტოტები ეტლს შრიალით რომ ეგებებოდნენ, რაც მთავარია, არტური იჯდა გვერდით, რა თავაზიანად ექცეოდა ფენის ყველა.

ახლა კი ფენი შინ დაბრუნდა საბოლოოდ! ლამის გული შეუღონა საზიზღარმა უსასრულო აღმართმა, ძლივს მიათრევდა ფეხებს ამ უგერგილო, ბარგწამოკიდებული კაცის გვერდით. ღმერთო, ეს რას მოესწრო! მისთვის ჩვეული ხალისით ვერა და ვერ შეგუებოდა ამ მდგომარეობას. უჩვეულოს როგორმე შეეჩვევი, მაგრამ საოცრად ნაცნობ, მობეზრებულ წარსულს რას მოუხერხებ?

ჰარიმ ჩანთები ფარნის ბოძამდე მიათრია და მძიმედ დაახეთქა მიწაზე, დაილა. ფენიც გაჩერდა. ასე იდგნენ ორივენი ფარნის შუქზე. გამვლელები ჯერ ფენის აშტერდებოდნენ, მერე ჰარის ესაღმებოდნენ. ფენის აქ უღარავინ ცნობდა, იგი უკვე უცხო გამხდარიყო მათთვის.

— ორივეს ვერ წაიღებ, გაგაჭირდება, ერთი მე მომეცი, — უთხრა ფენიმ.

— თანდათან მძიმდებათ ეს ოხრები, — უბასუხა ჰარამ.

— პატარა მაინც მომეცი, — ჩააცივდა ფენი.

— ასე ძალიან თუ გინდა, აიღე, ცოტა ხანს ატარე, — უბასუხა ჰარიმ და ჩანთა მიაწოდა.

გორაკის თავზე გაშლილ პატარა უბადრუკ ქალაქში შევიდნენ და მალაზიებით საესე ქუჩას აუყვნენ. მაინც როგორ აშტერდებოდა ფენის ყველა! კინოს დაწყების დრო მოახლოვებულიყო და ხალხის გრძელი რიგი მოსახვევამდე აღწევდა. ყველა, თავით ფეხამდე, გამოძცდელად ათვალიერებდა მას.

— ჰარის გაუმარჯოს! — გადასძახებდნენ ცნობისმოყვარეობით საესე მშაბიჭები.

ასე მიაღწიეს ფენის ბიცოლას პატარო საკონდიტრო მალაზიამდე და ზარს მოქაჩეს. ფენის ბიცოლა სირბილ-სირბილით გამოეშურა ჰარის გასაღებად.

— ჩამოხვედი, შვილო! ალბათ ერთი სული გაქვს ცხელი ჩაი დალიო, არა? ისე, როგორა ხარ?

ბიცოლამ ფენის აკოცა. დანალულიანებულმა ფენიმ თვალზე მომდგარი ცრემლი ძლიუძლივობით შეიკავა. ნუთუ შინისკენ ამიტომ მოისწრაფოდა, რომ ბიცოლასთან ერთად ჩაი დაეღია?

— ალბათ ძალიან შეგაწუხათ ამ ბარგმა? — ჰკითხა ჰარის ბიცოლამ.

— ერთი საღმე დამადებიხეთ, რომ სული მოვითქვა, — უთხრა ჰარიმ და თან ჩანთის სახელურებისაგან ჩაჭრილ ძარღვებდაბერილ ხელს დახედა.

შემდეგ ჰიზერის მუქწვანისფერების ურიკის შესაგებებლად წავიდა.

ფენი მავიდას მიუჯდა ჩაის დასალევად. ბიცოლამისი — თმაშევერცხლილი, სათნო იერის პატარა ქალი აღფრთოვანებით და თან გულისტკივილით შესცქეროდა ფენის, რაგან ფენი მართლაც რომ ლამაზი იყო: მალალი, ტანადი; მშვენიერი სახის ფერი ჰქონდა, კოხტა, კეხიანი ცხვირი, ხშირი წაბლისფერი თმა და ნაცრისფერი, მოციმციმე თვალები. ვნებიანი ქალი იყო — საშიში ქალი. ასე ამაყი, ასე ფიცხი და მგზნებარე! ის ხომ ფიცხთა მოდგმისა იყო!

მის სიკეთეს ისევ ქალი თუ დააფასებდა, თორემ მამაკაცებს სად ჰქონდათ ამისი შნო?! საწყალი ფენი! რა კარგი ქალი იყო, რა გულლია, რა მშვენიერი, და მაინც თითქმის არასდროს სწყალობდა ბედი. ამ ლამაზ, საოცრად მგრძნობიარე ქალს, ნერვიული, აგზნებული სიცილი რომ სჩვეოდა, ყოველთვის რაღაც დამამცირებელი მდგომარეობა და იძულის გაცრუება ხელებოდა ხოლმე წილად.

— მამ, სულ დაგვიბრუნდი, შვილო? — შეეკითხა ბიცოლა.

— სულ დავბრუნდი, ბიცოლა, სულ, — მიუგო ფენიმ.

— საწყალი ჰარი! შენი ამბავი რომ ვიცი, ალბათ უკვე მოასწარი და დაიჯაბნე ხომ?

— ოჰ, ბიცოლაჩემო, ჰარი იმდენი ხანია მიცდის, ბოლოს და ბოლოს ღირსია მიიღოს ის, რასაც ამდენ ხანს ელოდა.

— მართალია, შვილო, იმდენი ხანია გელოდება, მგონი, გაუჭირდა კიდევ. შენ ხომ იცი, მე მომწონს ჰარი, მაგრამ ისიც მშვენივრად იცი, მისთვის მაინც

დამაინც არ მეძუტები, ბევრად სჯობიხარ. მგონი, თვითონაც გრძნობს ამას და მეცოდება საბრალო ბიჭი.

— ძალიან ნუ შეიცოდებ. ჰარი უბრალო ბიჭია, მაგრამ არც ისეთი საწყალი, შენ რომ გგონია: თუკი თეალს ვისმე დაადგამს, დედოფალიც რომ იყოს, უკან არ დაიხვეს და კარგადაც შეიფერებს.

— გამოდის, რომ ზედმეტად კარგი წარმოდგენისაა თქვენს თვალებში?

— გააჩნია, კარგს რას ეძახი, — მიუგო ფენიმ. — ისე, ბევრი კარგი თვისებაც აქვს.

— არა, ნამდვილად კარგი ბიჭია, მეც მომწონს, ძალიან მომწონს, მაგრამ, რა თქმა უნდა, შენ ბევრად უკეთესი ხარ, რამდენჯერ მითქვამს კიდევ შენთვის.

— ეჰ, შე უკვე ყველაფერი გადაეწყვიტე, ბიცოლაჩემო, — მტკიცედ მიუგო ფენიმ.

— ჰო, — ჩაიბუტბუტა ბიცოლამ, — ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ნათქვამია.

— რასაც არ ელი, იმაზე მეტს, ბიცოლაჩემო? — მწარედ ჩაეცინა ფენის.

საბრალო ბიცოლამ შეამჩნია ფენის გამწარება და გული დაეთუთქა.

მაღაზიის კარზე ზარს ჩამოჰკრეს, ქალებმა საუბარი შეწყვიტეს. გარეთ ჰარიმ ვიღაცას გაღასძახა: „კეთილი, კეთილი,“ მაგრამ ოთახში არ შემოსულა. ფენი წამოდგა და მაღაზიაში შევიდა — ჰარის გაეგება. როგორც ჩანს, უეცრად რაღაც წუთიერი მზრუნველობით განიმსჭვალა მის მიმართ. გარეთ ურიკა დინახა და კარს მიაშურა.

კარში მდგარს ქალის ხმა შემოესმა. ქუჩის მეორე მხრიდან ვიღაც გაანჩხლებული დედაკაცი ილანძვებოდა სიბნელეში.

— ახლა მანდა ბრძანდებით, ბატონო? ქალი არ ვიყო, თუ არ განანებხნო, თავს მოგჭრი, იცოდე, მაგასაც ნახავ, თუ არა!

შემკრთალი ფენი ცდილობდა სიბნელეში გაერჩია, ვინ ყვიროდა. ფარნის შუქზე, ქუჩის მეორე მხარეს ვიღაც შავბერეტიანმა ქალმა ჩაიარა.

ჰარიმ და ბილ ჰიზერმა პატარა ურიკიდან ჩემოდნები გადმოათრიეს. ფენიმ გზა დაუთმო და ისინიც ბარჯიანად მაღაზიაში შევიდნენ.

— სად დაეაწყით? — ჰკითხა ჰარიმ.

— ჯობს ზემოთ აიტანოთ, — უპასუხა ფენიმ და წინ გაუძღვა სინათლის ასანთებად.

ჰიზერი მალე წავიდა და ჰარი ჩაის სმას შეუდგა, თან ღორისხორციან ღვეზელს აყოლებდა.

— ვინ იყო ის ქალი, ასე რომ ყვიროდა? — ჰკითხა ფენიმ.

— სხვისთვის შეიძლება მეთქვა, მაგრამ შენ ვერ გეტყვი, — უპასუხა ჰარიმ. ფენიმ შეხედა, ხმა არ ამოუღია.

ჰარი ოცდათორმეტი წლისა იყო, ქერა თმა და უღვაში ჰქონდა. მდაბიურ კილოზე ლაპარაკობდა, ნამდვილი მუშა იყო — თუჯის ჩამომსხმელი მუშა; მაგრამ ქალებს მაინც მოსწონდათ. რაღაც ბავშვურად თბილი, ცელქი, მხიარული და ძალიან მგრძნობიარე ჩანდა.

ჰარის მომხიბულებლობას არც ფენი დაუტოვებია გულგრილი. მხოლოდ ერთ რამეს ვერ ურიგდებოდა: ჰარის პატივმოყვარეობის ნახაზიც არ გააჩნდა; ჩვეულებრივი მუშა იყო — ჩამომსხმელი მუშა — და ამ ოცდათორმეტი წლის კაცს ოცი ფუნტიც კი არ ებადა შავი დღისთვის! ალბათ ფენის თვითონ მოუწევდა ოჯახის შენახვა. ჰარის ეგ არ ადარდებდა. უბრალოდ, არ ადარდებდა და

მორჩა. ძალინ უგერგილო კაცი კი იყო. ისე, რაიმე განსაკუთრებულ ნაკლს ვერ უპოვიდით. უღარდელი იყო, მორჩა და გათავდა. რასაც შოულობდა, ხარჯავდა და არაფერი ენაღვლებოდა. ისე კი, ბედნიერ კაცს მაინც არ ჰქვამდა. ფენის უცებ გაახსენდა სადგურზე ჰარის ცეცხლისაგან აელვარებული სახე, რა დაფანტული იყო, რა უცნაური და აღელვებული. ახლა კი აგერ ქვდა შაჭვიდასთან, ღორისხორციანი ღვეხელის ღვეხით გართული. „ეს ყოფილა ჩემი შედეგ, — გაიფიქრა ფენიმ და წამიერად ბედთან შებრძოლება მოუხდა. უცნაურია, მაგრამ ჰარი თითქოს განზრახ იქცეოდა ასე ძდაბიო კაცივით, თორემ ტლანქი და გაუთლელი ნამდვილად არ იყო. არც ისეთი უბრალო გახლდათ, თუნდაც იმიტომ, რომ საჭმლის ხარბი და ღორშუცელა არასდროს ყოფილა, მისთვის სულერთი იყო, რას შეჭამდა. თავისებური მოძხიბვლელობაც ჰქონდა, ქალს რომ მოეწონება, სწორედ ისეთი: ქერა თმა, მგრძნობიარე ბუნება. და არაჩვეულებრივი უნარი — ეგრძნობინებინა ქალისთვის, რომ ქალი სათაყვანო ქმნილებაა. მაგრამ ფენი მას კარგად იცნობდა, იცოდა, რა უსაშველოდ შეზღუდული კაციც იყო ჰარი და სწორედ ეს აგიჟებდა.

ჰარი დაახლოებით ათის ნახევრამდე დარჩა მათთან. წასვლისას ფენიმ კარებამდე მიაცილა.

— როდის გამოჩნდები? — ჰკითხა ჰარიმ და თავი გაიქნია, საკუთარ სახლს გულისხმობდა ალბათ.

— ხვალ გამოვივლი, შუადღისას, — მიუგო ფენიმ ხალისიანად. ჰარის ღედას — ქალბატონ გუდოლსა და ფენის შორის ყოველგვარ სიყვარულზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ფენიმ ისევ უხერხულად აკოცა ჰარის და დაემშვიდობა.

— შეილო, თუ ჰარი ისე თავდაუიწყებით შეყვარებული არ მოგეჩვენოს, როგორც ადრე, ნუ იღარდებ, — უთხრა ფენის ბიცოლამ. — ალბათ მაინც შენი ბრალია.

— თქ, ბიცოლაჩემო, ჰარის და ისიც შეყვარებულს მაშინაც ძლივს ვიტანდი, ასეთს უკეთ შევეგუები.

ფენი და ბიცოლა გვიან ღამემდე საუბრობდნენ. მათ კარგად ესმოდათ ერთმანეთის. ბიცოლაც სწორედ ფენისავით გათხოვდა: გაჰყვა მისთვის შეუფერებელ ფხუკიან კაცს — ფენის ბიძას. ბიძა უკვე მკვდარი იყო, ფენის მამაც.

როგორც კი ფენი დასაძინებლად გაისტუმრა, საწყალი ბიცოლა ღიზი მწარედ აქეითინდა, თავისი ღამაში ფენის ბედს დასტიროდა.

მეორე დღეს, შუადღისას, ფენი დაპირებისამებრ ქალბატონ გუდოლს ესტუმრა. ქალბატონი გუდოლი ზორბა ქალი იყო, სწორი, შუაზე გაყოფილი თმა ჰქონდა, თავკერძა იყო და როყიო. ძალიან გაანებივრა თავისი თოხი ვაჟი და ერთი კაპარჩხანა ასული, რომელიც უკვე გათხოვილი ჰყავდა. ქალბატონი გუდოლი ძველი ყაიდის იმ უტეხ ქალებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ყოველგვარი სიახლის გამჟღავნების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, განათლება იქნებოდა ეს თუ ჩაცმა. ვერ იტანდა გამართული ინგლისურით ლაპარაკს და სარძლოსაც მდაბიურ კილოზე შეეგება:

— მე არც ისეთი უკუღმართი ვარ, შენ რომ გგონია!

„ნეტავი რა საჭიროა ამას რომ შეუბნება? სულაც არ მიმაჩნია, რომ უკუღმართია“, — გაიფიქრა ფენიმ.

— მე დავატანე ძალა, — განაგრძო ქალბატონმა გუდოლმა. — ამდენი ხანია ჭიმავეს და ჭიმავეს ამ საქმეს, გაგონილა? ადექი და ერთხელაც გადაწყვიტე-მეთ-

ქი, ვუთხარი. მე რომ არა, დღეს შენ აქ არ იქნებოდი, ფენი, გესმის? ხულეულია, ჩემმა მზემ. წვლანაც ვუთხარი, შე ჩერჩეტო, შენს ხანში ასე შეიძლება? ქალთან გულის გადასაშლელად მიდიხარ, ამ დროს კი ის ჩხავანა კატა ამის გარებთან დგას და ენას იქავეებს-მეთქი. რაც იმ ოჯახდასაქცევმა აღმა-დაღმა ისეირნა, როგორც მოეპრიანებოდა, აღარ ეყო? ჩერჩეტს და ბოთეს ემართებოდა. მე რომ მკითხო! ეჰ, რა აზრი აქვს ამოდენა ყბედობას. შენ კი გიპასუხნა წყნარად, ფენი, მაგრამ თავისთვის კი კარგი მახე დაიგო, ჩემმა მზემ!

მართალია, ქალბატონი გუდელი გულს ასკდებოდა თავისი ვაჟის გადამკიდე, მაგრამ ფენის დაბრუნებამ ცოტა არ იყოს დაამშვიდა. ქალბატონ გუდელს ძალიან მოსწონდა ფენი, იმიტომ რომ მისი გემოვნების ქალი იყო. უფრო მეტიც, ყველამ იცოდა, რომ დეიდა ქეითმა ფენის ორასი ფუნტი უანდერძა: ეს იმის გარდა, რაც თვითონ ფენის ექნებოდა გადანახული.

პრინსის სტრიტზე ვახშმობის დრო უკვე მოახლოვებულიყო, როცა მთლად გამურული ჰარი სამუშაოდან დაბრუნდა, გულთბილი და მოსიყვარულე, ალერსიანი. მისი და ჯინი კი, ის ეშმაკის ფეხი. გესლიანი, გამომწვევი ლაპარაკით ცდილობდა გაუღიზიანებინა იგი. ჯინი რა თქმა უნდა, იქვე მეზობლად ცხოვრობდა, მისი ეზო მამისეულ სახლს ემიჯნებოდა. გუდოლების ვვარი ის ხალხი გახლდათ, ფუძე-კარის მოშლა რომ არ ჩვეუიათ და ყოველთვის ერთ კლანად ცხოვრობენ.

ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ფენი კვირას ისევ მათთან ივახშმებდა. ქორწილის დღე დათქვეს: გადაწყვიტეს, ორი კვირის შემდეგ წასულიყვნენ მორლის საყდარში. მორლი ერთი დიდი სოფლის პატარა გუთხეს ერქვა და სწორედ იქ, ერთ კათოლიკურ საყდარში შეხვდნენ პირველად ჰარი და ფენი ერთმანეთს.

მაინც როგორ არ დალატობდა თავის ჩვევებს ჰარი! ამჟამადაც მორლის საყდრის გუნდში მღეროდა, თუმცა არც თუ ისე ხშირად. გუნდის წევრი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ტენორი პქონდა და უყვარდა სიმღერა, თორემ ფენის აზრით, თავისი სოფლებით მხოლოდ თავს ირცხვენდა ნაცნობებში. უნდა მოგესმინათ სიმღერის დროს რა საცოდავად გამოთქვამდა ჰაებს:

„და ვიპხილე როგორ გაიხსნა ზეცა
და გამომეცხადა მე თეთრი რაჭში“.

ეს სიმღერა ჰარის კლასიკური რეპერტუარიდან იყო, დაძაბულობისაგან მშვენიერი ყიყლიყოებით ამღიდრებდა მულოდიას აქა-იქ.

„ჰანგელოზნი, ჰოდეს ნათელნი და მშვენიერნი“.

საცოდაობა იყო, მაგრამ ამას არაფერი ეშველებოდა. ისე, საკმაოდ კარგი ხმა ჰქონდა და გულისამაჩუყებლადაც მღეროდა, მაგრამ ეს საშინელი აქცენტი ყველაფერს სასაცილოს ხდიდა. ამას ველარაფერი ეშველებოდა.

ასე რომ, ჰარის სიმღერას მხოლოდ იაფფასიან კონცერტებზე და ისიც პატარა, უბადრუკ საყდარში თუ მოისმენდით, თორემ სხვაგან ალბათ მასხრად აივლებდნენ.

ახლა სექტემბერი იდგა. კვირას მოსავლის დღესასწაული უნდა ყოფილიყო მორლის საყდარში და ჰარის რამდენიმე სოლო უნდა შეესრულებინა. იმიტომ ფენი შუადღის წირვას უნდა დასწრებოდა და შემდეგ ჰარის სახლში წასულიყო,

სადაც დიდებული სუფრა უნდა გაეშალათ — საკვირაო ჩაის სუფრა. საცოდავი ფენი სწორედ ეს საკვირაო შუადღის წირვა — მოსავლის დღესასწაული მორლის საყდარში — შერჩა მას ერთადერთ უმშვენიერეს მოგონებად. მისი ბიძაშვილი ლუთერი ედგა იმ დღეს გვერდით. ჰარი მაშინაც მღეროდა სოლოებს — ათი წლის წინ. ფენის კარგად ახსოვდა ჰარის ცისფერი ჰალსტუხა, მეწამული ასტრები, გოგრებიანი ბოსტნის ფონზე გამოკვეთილი ჰარეს სიღრმეები, ახალგაზრდა, ჭკვიანი ბიძაშვილი ლუთერი კი გვერდს უმშვენებდა ფენის — ლონდონიდან იყო ჩამოსული, სადაც წარმატებით ეუფლებოდა ლათინურს, ფრანგულს და გერმანულს.

და აი, დღეს მორლის საყდარში ისევ მოსავლის დღესასწაული იყო, და ისევ, როგორც ათი წლის უკან, საუცხოო, ხავერდოვანი სექტემბერი იდგა, ისევ ყვაოდა პატარა ეზოებში ნაგვიანევი წითელი ვარდები, უკანასკნელი, ძოწისფერი გეორგინები, ყვითელი მზესუმზირები. ისევ თალარად ქცეულიყო პატარა ძველი საყდარი. მაშინდელივით გაეცოცხლებინათ იგი სავსეთავთავიან ხორბლის კონებს, ბოძებს შემოხვეულ პურის თაველებს. კათედრის კუთხეებზე შემოჭობილ, მტევნებით დახუნძლულ ვაზის ღერწებს, გოგრებს თუ კარტოფილს, მსხალს, ვაშლს თუ შავ ქლიავს, — რას არ ნახავდით აქ. მეწამული ასტრები და იაპონური, ყვითელი მზესუმზირები თავმოქმედებდნენ ირხეოდნენ ბოძებს ირგვლივ, შერიის თავთავებს შორის მაშინდელივით ჩამოეკიდათ თავები სუსტდროიან გეორგინებს. საყდარი ხალხით იყო სავსე. ცხელოდა. წინ, ქანდარაზე, მიძიმე პამიდვრები გადმოკიდებულიყვნენ. მამა ენდერბი კი წინასწარმეტყველივით ისეთი იდუმალებით მოცული ჩანდა, როგორც არასდროს; ისეთი ხელაყუდა, გამოფიტული და თანაც ქოსა.

მამა ენდერბი კათედრაზე ასვლამდე წინასწარგაფრთხილებულივით პირდაპირ ფენისაკენ გაეშურა, ხელი ჩამოართვა და ჩრდილოეთის მკვიდრთათვის ჩვეული ძლიერი, ძელანქოლიური, მონოტონური ხმით მიესალმა. ფენის ძალიან უხლებოდა გამჭვირვალე ქსოვილის კაბა და მაქმანიანი ქუდი. მას ოდნავ დაავიანდა და პირდაპირ კაპელის წინ ჩამოჯდა მერხზე. ჰარი ზემოთ ასულიყო, ქანდარაზე. ფენი თავს თუ აწედა, თორემ ისე, ვერ ხედავდა მას. აი, კვლავ დაინახა, როგორ შეეჭმუნა ჰარის შუბლი და ზედ ცხვირთან შეეკრა ქერა, არც თუ ისე ხშირი წარბები. ისე, მიმზიდველი ბიჭი კი იყო ჰარი: ძალიან სასიამოვნო აღნაგობის, მაგრამ ვაი რომ ასე უკვნესოდა ფენის ამყვი სული! მის სატანჯველად გაჩენილიყო ეს კაცი.

„მოჯარდით, ხალხნო, მადლიერნო,
 მოდით, მოჯარდით,
 ვაქოთ შრომისა და მიწის ბარაქა, —
 დეთის შრომა გავწიეთ, დოვლათი დახვავდა,
 კიდრუ ზამთარი სუსხიანი კარზე მოგვადგა“.

საგალობელში კი მღეროდნენ, მაგრამ განა ასე კარგად ჰქონდათ საქმე? წვიმიანი ზაფხული შეუხედათ და ყანების ნახევარი ჯერ კიდევ ასაღები იყო. საცოდავად მიეტოვებინათ მინდვრები.

საბრალო ფენი! ცოტა წაიძლერა კიდევ. ამ შეუსაბამო გალობისას უფრო წარმტაცი ჩანდა იგი. ჰარი ზემოთ იდგა და გულმოწყალებად დაჰყურებდა მას — მუქ კოსტიუმში გამოწყობილი, მუქი ჰალსტუხიანი; ლამაზიც კი იყო; მისი

გულისამაჩუყებელი კრიალა ტენორი სასიამოვნოდ გაისმოდა, სიტყვები კი საზეიმო გუგუნში იძირებოდა. ფენი ჩინებულად გამოიყურებოდა და ჩინებულადაც გრძნობდა თავს. რაღაც საბედისწერო სასოწარკვეთას ალევზნო მისი სხეული, თავისი უმწეობით იყო გაბრაზებული. მიზეზი — ჰარის მიმზიდველობა/ გახლდათ, რასაც ნამდვილად ვერ იტანდა და რასაც ვერაფრით დააღწევდა თავს, ვერსად გაექცეოდა. ჰარი იყო პირველი მისი სიყვარული, პირველი გოცნა. ეს გოცნა, ალერსი, მიუხედავად ფენის შეურიგებლობისა, თითქოს ჩასახლდა, გაუჯდა სისხლში და ღრმად გაიდგა ფესვები მის გულში. ამდენი ხნის შემდეგ ისევ ამოქექა ჩამარხული გრძნობები, ისევ დაუბრუნდა მათ. ფენის სული გმინავდა, იტანჯებოდა, თითქოს მიწაზე დაანარცხესო, ძაღლი რომ ჩიტს დაითრევს და მტვერში ამოგანგლავს, აი ისე. ფენი უკვე ხვდებოდა, რომ ბედნიერი არ იქნებოდა. იცოდა — ბედისწერით, გარდაუვალობით იყო გამოწვეული მისი გადაწყვეტილება. განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა — სასტიკი განაჩენი — ჰარის უნდა დაბრუნებოდა.

იმ დღეს ჰარის ორი სოლო უნდა შეესრულებინა: ერთი წირვის წინ და ერთიც შემდეგ. ფენიმ ჰარის შეხედა და გაიფიქრა, ნეტავი არა რცხვენია, ამდენი ხალხის წინ რომ დამდგარა და მღერისო? ჰარი კი თავდაჯერებული გადმოჰყურებდა ქანდარიდან. ეს იყო მარტივი კაცის უბრალოებაში შეგნებულად გამჯდარი თავდაჯერება. ოჰ! აღშფოთებისაგან თითქოს ძარღვებში სისხლი აუღულდა ფენის. გალაღებული, იოლი გამარჯვებით გალაღებული კაცის დაჟინებული, უზრუნველი მზერა რომ იგრძნო კაბელის აივნებიდან. ოჰ! როგორ შეეზიზღა ფენის იგი! ბალაამის ვირივით რომ დამდგარიყო გუნდის წინ, სწორედ ფენის პირდაპირ — თითქოს ნიშნად იმისა, რომ ფენის მას იქით გზა არ გააჩნდა. მაგრამ ვაი რომ ჰარის მომზიბველულობას მაინც ვერსად გაექცეოდა. ახლა თითქოს ფიზიკურადაც სასურველი მოეჩვენა იგი ფენის. ახალგაზრდა, ნორჩი სხეულის სიახლოვის სურვილმა მტკივნეულად ააფორიაქა ფენის გული.

ჰარი, რა თქმა უნდა, იადონივით მღეროდა ამ განსაკუთრებულ დღეს — ისე ლაღად, ისე გატაცებით, რომ დამსწრეებს ძარღვებში სისხლი სასიამოვნოდ აუჩქროლდათ. ფენი უსმენდა და მასაც აუთამაშდა ცეცხლი გულში. ეს უცნაური, მყვირალა, მდაბიური კილოც თითქოს სასიამოვნო მოსასმენი გამხდარიყო მისთვის. თუმცა არა, აუტანელი იყო, ნამდვილად აუტანელი. არა და, ჰარი გაიმარჯვებს, ჯიუტად ჩაითრევს და დააბრუნებს მას ამ მდაბიოთა წრეში. ესეც ბედისწერაა, მწარე ბედისწერა, სხვა არაფერი!

მეორე განყოფილებაში საგალობლები უნდა შეესრულებინათ. ჰარი აქაც სოლო პარტიებს მღეროდა. ძალიან ძნელი მოსასმენი იყო, მაგრამ აზრი ქა სიტყვები კარგი ჰქონდათ:

„სიმწრით ნათესს სიხარულით მოიმკიან,
ვინც ცრემლით გაიტანს კვალს და ძვირფას მარცვალს
ხნულში ჩასთესს,
უკან ხელსავსე დაბრუნდება, ბედნიერი და
კურთხეული“.

„ხელსავსე დაბრუნდება, ხელსავსე დაბრუნდება“, — მიაძღერეს კონტრალტო-ებმა „ბედნიერი და კურთხეული“, — დაიწკრიალეს სოპრანოებმა და ისევ მოისმა ოღნავ სევდიანი სოლო:

„სიმწრით ნათესს სიხარულით მოიძკიან“.

ძალიან ეფექტური და ამაღლებელი გამოდგა მოსასმენად. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ჰარის მინაზებული ხმა თანდათან მიჩუმდა და მის უკან გუნდის წევრებმა ის იყო პირი დააღეს, რათა ძლევამოსილად მჭექარე ხმით დაეგვირგვინებინათ საგალობელი, რომ დარბაზიდან ვიღაც ქალს წამოიჭრა და საშინელი ყვირილი მართო. ორდანიმა შეშინებულმა გადაყლაპა ბოლო აკორდი და მიჩუმდა. მომღერლები გაოცებისაგან გაშეშდნენ.

— კარგი ადგილი კი ვიპოვნია! როგორ შეგშვენის! დამდგარხარ და მღერი წმინდათაწმინდა ადგილას! — მოისმა ქალის გაანჩხლებული ხმა. ყველა შეკრთა და მისკენ მიტრიალდა. სახეაწითლებული, მსუქანი, შავბერეტიანი ქალი წამომდგარიყო და სოლისტს გამწარებული ემუქრებოდა. მოულოდნელობისაგან რეტდასხმულმა მრევლმა ძლივს აღიქვა, რა ხდებოდა.

— კარგი ადგილი იპოვნე, ხომ? რას დამდგარხარ და მღერი სოლოებს ამ წმინდათაწმინდა ადგილას? დიახ, შენ! ბატონო გუდოლ! ხომ დაგპირდი, თავს მოგჭრი-მეთქი! კარგად კი მოწყობილხარ, შენი ქალბატონიც მოგიბრძანებია, რა კარგია! ახლავე გაუაგებინებ, რაცა ხარ! ნაძირალა! უნამუსო და თავქარიანი! აი, როგორია თქვენი გუდოლი, თუ გაინტერესებთ! — სახეშეშლილი მიუბრუნდა იგი ფენის.

ქალი ისევ სკამზე დაჯდა. ფენისაც ისევ შეეშინდა, როგორც მრევლს და ქალისკენ მიტრიალდა. ჯერ მკვდრისღერი დაედო, მერე სახე წითლად აელეწა, ფენიმ ქალი იცნო: ეს ქალბატონი ნიქსონი გახლდათ — ქალი კი არა, ნამდვილი აღქაჯი! უმოწყალოდ სცემდა ხოლმე თავის საბრალო, ღოთ, ცხვირწითულა ქმარს ბობის და ორ კარგა მოზრდილ ქალიშვილს. ცუდი ყოფაქცევის ქალი იყო. ფენი ისევ მიტრიალდა და ადგილზე გაქვავდა.

სრული სიჩუმე ჩამოუარდა, ყველა დაიძაბა. მრევლი პირდაფჩენილი, დამუნჯებული იყურებოდა. გუნდის წევრები ლოტის ცოლივით გაშეშდნენ. ჰარი, ნოტებით ხელში, ყველაზე მაღლა იდგა, გაოგნებული, მაგრამ ოდნავ დამცინავად და თან გულუბრყვილოდ გადმოჰყურებდა ქალბატონ ნიქსონს. ქალბატონი ნიქსონი კი უტიფრად, გამომწვევად იჯდა სკამზე.

შემდეგ რაღაცამ გაიშრიალა, ტყის ფოთლებს რომ ააშრიალებს ხოლმე ჰარი, ისე; მაღალი, უცნაური შესახედაობის მღვდელი წამოდგა და ძლიერი, ხარივით მძლავრი მშვენიერი ხმით — ხმაზე უფრო მშვენიერი მას არაფერი გააჩნდა — განუზომელი მწუხარებით წარმოთქვა: — მოდით, ამ გვერდის ბოლო საგალობელი ერთად ვიმღეროთ, ამ გვერდის ბოლო საგალობელი, ნომერი თერთმეტი.

„რა მშვენივრად ბიბინებდნენ ოქროს თავთავეები
ქანაანის წარმტაც მიწაზე“.

ორდანიც შეხმატკბილებულად აჰყვა. სიმღერის დროს შესაწირი შეავროვეს, საგალობლის შემდეგ კი ლოცვებს მოჰყვნენ.

მამა ენდერბი ნორტუმბრიიდან იყო. ჰარისი არ იყოს, ენდერბიმაც ევრა და ვერ გამოისწორა ძლიერი აქცენტი. ცოტა ჭკუამოკლე კაციც გახლდათ, ნამ-

ღვილი ღვთისგლახა, მარტოსული, ემოციური, უშნო, მაგრამ ამასთან ერთად რბილი ხასიათის.

— და თუ ჩვენი ძვირფასო უფალო ღმერთო, სანუკუარო იესო, ცოდვის აჩრდილი გარდაეფინა ჩვენს მოსავალს, შენს განსჯას მივენდობით, რაძეთუ ხარ შენ ჩვენი პატრონი და მსაჯული. აღვაკლენთ შენდამი მწუხარებულ ჩვენსას, შენს განსჯას მივენდობთ. ჩვენ კი დავდუძდებით. *ოოოო [ღმერთო] ძლიერო,* აგვარიდე უგუნურ ლაპარაკს, დაგვიხსენ ბრიყულ სიტყვათა და ფიქროთაგან. უფალო იესო, შენ გვედრებით, რაძეთუ შენ ხარ ერთადერთა ყოვლისმცნობელი და ყოვლისგანმსჯელი ამ ქვეყანაზე.

ასე დაასრულა მღვდელმა ლოცვა — სევდიანი, ომახიანი ხმით. ღვთის წინაშე ვალი მოიხადა. ფენი წინ გადაწეული იჯდა ლოცვის დროს, გაფართოებული თვალებით იყურებოდა, აქედან ჰარის მრგვალი თავი კარგად მოსჩანდა, იგი მთელი ტანით წინ გადმოწეულიყო, უძრავი და უმეტყველო სახე ჰქონდა.

ფენი უეცარი დარტყმისაგან ჯერაც შეშფოთებული იჯდა. ალბათ რისხვა იყო ახლა ერთადერთი გრძნობა, რომელსაც მოეცვა მისი არსება.

ხალხი ხმაურით წამოიშალა და აღელვებული, მღორე ნაკიდად გაეშურა კარისაკენ. ცნობისმოყვარეობისაგან გაფართოებულ თვალებს ხან ფენის მიამყრობდნენ, ხან ქალბატონ ნიქსონს და ჰარის. ტანდაბალი ქალბატონი ნიქსონი ისევ იქ, თავის სკამთან იდგა, სკამების რიგს გაჰყურებდა და თითქოს ყველას ერთად იწვევდა — აბა, ერთი მობრძანდით, სახელოს დაკაპიწებაც არ დამჭირდება, ყველას ისე გაგიმკლავდებითო. ფენი გასუსული იჯდა, მის წინ არავის ჩაუვლია. ჰარი კი ყურებდაწითლებული და დამფრთხალი, ქანდარიდან გამრომას ლამობდა. ორღანის ძლიერი ხმა უსასვლელისაკენ მიმავალი ხალხის ჩოჩქოლს ახშობდა.

მღვდელი ჩონჩხივით გადმოკიდებულიყო კათედრის სკამზე და ხალხის გასვლას ელოდა. დამსწრეებს ფეხები უკან რჩებოდათ და კისერმოღრეცილები ჯერ კიდევ სკამზე ჩამომჯდარ ფენის მიშტერებოდნენ. როგორც იქნა, ყველამ დატოვა დარბაზი. მაშინ მღვდელი წამოდგა დინჯად. წელში მოხრილი, კათედრიდან ჩამობრძანდა და პატარა საყდრის კარს მიამურა ჩასარაზავად. შემდეგ დაბრუნდა და ფენის მიუახლოვდა. !

— რა არასასიამოვნო შემთხვევაა! ძალიან არასასიამოვნო, — ჩიილაპარაკა მან. — ძალიან ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, მერწმუნეთ, მერწმუნეთ. ოოო, როგორ ვწუხვარ, — ამოიოხრა ბოლოს მღვდელმა.

— რაც მთავარია, ეს მოულოდნელი სიურპრიზი გახლდათ, — უთხრა ფენიმ ხმამაღლა.

— დიახ, დიახ, ნამდვილად სიურპრიზი იყო, მოულოდნელი სიურპრიზი. მე ამ ქალს არ ვიცნობ, არ ვიცი ვინ არის.

— მე ვიცნობ, — უთხრა ფენიმ, — ძალიან ცუდი ვინმეა.

— კეთილი, კეთილი, — თქვა მღვდელმა, — მე მას არ ვიცნობ. საერთოდ, ვერ გავიგე რა მოხდა. ვერაფერი გავიგე. სამწუხაროა, სამწუხაროა, მე ძალიან ვწუხვარ.

ფენი გასახდელი ოთახის კარისკენ იყურებოდა. ქანდარიდან კიბე საყდარში კი არ ჩადიოდა, არამედ გასახდელ ოთახში. ფენი გრძნობდა, რომ კარს უკან სულგანაბული გუნდის წევრები იდგნენ და უთვალთვალებდნენ.

ბოლოს დარცხვენილი ჰარი ქუდით ხელში ფენის მიუახლოვდა.

— ესეც ასე, — წყნარად თქვა ფენიმ და წამოდგა.

— კაი მაგრად კი მოგზავდა, არა? — თქვა ჰარიმ.

— მეც ასე მგონია, — დასძინა ფენიმ.

— ძალიან არასასიამოვნო მდგომარეობაა, ძალიან არასასიამოვნო რამე თუ გესმის, ჰარი? მე, საერთოდ, ვერაფერი ვაფიქსივ.

— მშვენივრადაც მესმის, ამ ქალის შვილი ორსულადაა და მე მამბრალებს.

— კი მაგრამ, საბაბი თუ აქვს? — ჰკითხა ფენიმ.

— მე რომ მამბრალებს, ისევე შეუძლია სხვასაც დააბრალოს, — განზე გაიხედა ჰარიმ.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეგ რომელი გოგოა? — ისევ იკითხა ფენიმ.

— ენა, უმცროსი.

ისევ დუმილი.

— არა მგონია, ვიცნობდე, — თქვა მღვდელმა.

— მე მგონი, უნდა იცნობდეთ. ნიქსონები არიან — დედამისის მეორე ქმარი ბობია, მას ყველა იცნობს. დედამისის ბრალია, მაგან მიიყვანა თავის გოგო ამ ზომამდე. მანერს როუდზე ცხოვრობენ.

— რატომ, რა სჭირს იმ გოგოს ასეთი ცუდი? — მკვახედ იკითხა ფენიმ. — მე რომ ვიცნობდი, ძალიანაც კარგი გოგო იყო.

— კარგი კია, მაგრამ დუქნებში სულ ბიჭებთან დადის, — განუმარტა ჰარიმ.

— კარგი საქმეა, ვერაფერს იტყვი! — წამოიძახა ფენიმ.

ჰარიმ კარს გახედა, გასვლა უნდოდა.

— ნამდვილად ძალიან სამწუხაროა! — ნელა გააქნია თავი მღვდელმა.

— დღეს საღამოს როგორ მოვიქცე, ბატონო ენდერბი? — ხმადაბლა შეუკითხა ჰარი. — დაგჭირდებით?

ბატონმა ენდერბიმ ტანჯული თვალები ზეალაპყრო და ხელი შუბლზე მიიღო, ცოტა ხანს ჰარის აკვირდებოდა, უაზროდ. რაღაც ოდნავი მსგავსება იყო ამ ორ კაცს შორის.

— დიახ, — თქვა ბოლოს ენდერბიმ. — დიახ, მე ასე მგონია... მგონია, რომ საერთოდ არ უნდა შევიძინოთ რამე, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მივაქციოთ ამას.

ფენი შეყოვნდა და შემდეგ ჰარის ჰკითხა:

— კი მაგრამ, შენ თვითონ მოხვალ?

ჰარიმ შეხედა:

— კი, რატომაც არა. — შემდეგ ბატონ ენდერბის მიუბრუნდა: — აბა, მშვიდობით, ბატონო ენდერბი.

— მშვიდობით, ჰარი, მშვიდობით, — უპასუხა შეწუხებულმა მღვდელმა. ფენი ჰარის გაჰყვა, ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ, გვერდიგვერდ. შუადღე გადასულიყო.

— შენ რომ ვამბრალებს, ისე სხვასაც შეიძლება დააბრალოს? — ჰკითხა ფენიმ.

— ჰო, — მოკლედ უპასუხა ჰარიმ.

დაახლოებით ერთი მილი ჩუმად გაიარეს. ზმა არ ამოუღიათ, სანამ მოსახვევამდე, ჰარის სახლამდე არ მივიდნენ.

ფენი შევოვნდა; იქნებ ბიცოლაძისთან წასულიყო? იქნებ წასულიყო? ამით ხომ ყველაფერს წერტილს დაუსვამდა, თანაც სამუდამოდ, პარა ხმას არ იღებდა.

რალაც სიჯიუტის გამო მაინც პარის გაჰყვა. მთელი ნათესაობა ეზოში დახვდათ: დედა და მამა, ჯინის ქმარი და ბავშვი, კიდევ პარის ორი ძმა.

— გავიგე, კარგად კი შეუხურებიხართ საყდარში, — თქვა გაბრაზებულმა ქალბატონმა გუდოლმამ.

— ვინ გითხრა? — ჰკითხა პარიმ.

— მეჯიმ და ლუკიმ, ორივენი იქ იყვნენ.

— რაც მთაუარია, ხომ გაუძელი? — ჩაურია ჯინი.

პარიმ ქუდი ჩამოკიდა, პასუხი არ გაუცია.

— ზემოთ ამოდით და აქ მოიხადეთ ქუდი, — თითქმის მეგობრულად შესთავაზა ფენის ქალბატონმა გუდოლმამ. ფენის ასეთ დროს რომ მიენებებინა მისი შვილისთვის თავი, უთუოდ გული მოუკვდებოდა დარდისაგან.

— რაო, რა გითხრა? — ჩუმად შეეკითხა პარის მამა და თან იმ კიბისკენ ანიშნა, რომლითაც ფენი ის წუთი იყო ზევით ავიდა.

— ჯერ არაფერი, — მიუგო პარიმ.

— ახი არ იქნება ახლა, თავი რომ დაგანებოს? — ჩაერთო ჯინი. — თავს დავდებ, რომ რასაც შენზე და ენიზე ამბობენ, მართალია.

— ძალიან ნუ გამოიდებ თავს, — მოუჭრა პარიმ.

— ჰი, ჰი, რაც იყო, ხომ ვერ უარყოფ? — შეეკამათა ჯინი.

— თუ მოვისურვებ, მშვენივრადაც უარყოფ.

მამამ ეჭვის თვალით შეხედა პარის.

— ბავშვი ისევეა ჩემი, როგორც ზილ ბაუერის ან ტედ სლეინის, ან კიდევ ვინ იცის ვისი, კაი ექესი თუ შვილი ბიჭი იქნება — უთხრა პარიმ მამამისს.

მამამ უხმოდ ჩაქინდრა თავი.

— სასამართლოზე ეგ სიტყვები არ გიშველის, — უთხრა ჯინიმ.

ზემოთ რომ ავიდნენ, ფენიმ ისე აიცვია თავიდან ქალბატონ გუდოლის ცნობისმოყვარეობა, რომ შესძლო არ გაემხილა თავისი გულისხნადები. მომავალ სადედამთილოს თვალწინ თმა შეიკრა, ხელები დაიბანა და შემდეგ გასახალისებლად სახეზე პუდრი ოდნავ გადაისვა. მისი მიხრა-მოხრა თამაში და გამომწვევი იყო, მაგრამ აღშფოთებულ მოხუც ქალს ხმა არ ამოუღია.

შემდეგ ორივენი „საკვირაო ჩაისთვის“ ქვემოთ ჩავიდნენ. სუფრაზე სარდინების, დაკანსურებული ორაგულისა და ატმის კომპოტის გარდა ტორტები და ნამცხვრებიც ელაგა. სალაპარაკო ყველას ერთი გასჩენოდა — ნიქსონების ოჯახზე და შუადღის უსიამოვნებაზე კამათობდნენ.

— ოჰ, ეგ ქალი ძალიან ბინძური ენის პატრონია, — თქვა ჯინიმ ქალბატონ ნიქსონზე. — იმ წმინდათაწმინდა ადგილსაც რომ არ მოერიდა და აკაკანდა? მაინც როგორ გაბედა? ეგ არ იყო, კურთხევის დროს რომ დაჰკრა ფეხი და საყდრიდან გაიქცა? მას შემდეგ, მგონი, ფეხიც არ შეუდგამს იქ. ნამდვილი ქაჯია, ყოველთვის ასეთი იყო. გახსოვთ, როგორ ექცეოდა ბობის შვილებს ან ქედამისს, იქ რომ ვცხოვრობდით მაშინ? მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, ეგ ქალი ბავშვებს ეზოში გამოყრიდა ხოლმე და იქ ბანდა, სიცხვეში — იატაკი არ დამისვარონო. ალბათ მოკლავდა ბავშვებს, წვეთი რომ დაედვართ იატაკზე, ან რა სიტყვებს ხმარობდა! ისიც მახსოვს, ერთ შაბათს, ბობის გოგო, ჯერი, დასაბანი რომ იყო, როგორ გაექცა დედინაცვალს, შიშველი, — გახსოვს, დედა? შემდეგ

სმედლის ქსოვილების მალაზიაში დაიძალა. სწორედ თიბვის დრო იყო — გოგო ვერავინ იპოვა. მთელი ღამე იძიებოდა, არა, დედა? ღმერთმანი, ასე ამბობდნენ. მეორე დღეს, კვირა დილით ძლივს უპოვნიათ.

— ფრედ კოუტსი დაემუქრა, ნეკნიც არ შეგრჩებაო დაუმტკრეველი, აბა ერთი კიდევ ახლეთ ბავშვებს ხელი, — ჩაერთო ჰარის მამა საუბარში.

— ასეა თუ ისე, კი შეაშინეს და... — განაგრძო ჯინიმ. მაგრამ მამის შვილებსაც რომ არ ინდობდა? ყველამ იცოდა, რა დღეში ჰყავდა საცოდავი ბობი. სანამ თავის ჭკუაზე არ მოარჯულა, არ მოისვენა.

— კარგად კი მოარჯულა, — ჩაერთა ისევ გუდოლი. — ამ ქალს, ერთი კვირის ხელფასიც არასდროს ღირსებია ბობისგან, ისევ ბობის ძმაკაცები თუ მიატანინებდნენ ძალით, თორემ თვითონ არ აღირსებდა.

— აბა, ერთი გაებედა ბობის და კვირის ხელფასი არ მიეტანა, ვფიცავ, იქვე წააცლიდა თავს, — დასძინა ჯინიმ.

— მაგრამ, კარგსაც ნუ დაუუკარგავთ, ბინძური ენა რომ არა, ისე სუფთა ქალია, წესიერი, — თქვა ქალბატონმა გუდოლმა.

— ავი ძაღლივითაა, კაციშვილს არ გააკარებს სახლთან ახლოს, თვითონაც არავის შეზობლობს.

— ალბათ გული უგრძობდა და უნდოდა თავიდან აეცლინა ეს ამბავი, — მისთვის ჩვეული მიკიბულ-მოკიბულით ჩაერთა ჩემი და ორჭოფი ბატონი გუდოლი.

— მაინც სად შოულობს ბობი სასმელისათვის ფულს, საინტერესოა? — იკითხა ჯინიმ.

— ძმაკაცები პატიუბენ, — ჩაურთო ჰარიმ.

— დამფრთხალი კურდღელი თუ გინახავთ, სწორედ ისე აცეცებს აქეთ-იქით თვალებს, — დაუმატა ჯინიმ.

— ჩემის აზრით, ლოთი კაცის სიბოროტეც უელავს თვალებში, — შენიშნა ქალბატონმა გუდოლმა.

საუბარი ჩაის შემდეგაც გააგრძელეს, სანამ საყდარში წასვლის დრო ქრ მოახლოვდა.

— შენ უნდა მოემზადო, ფენი, — მიმართა ფენის ქალბატონმა გუდოლმა.

— ამაღამ მე არსად მივდივარ. — მოკლედ მოუჭრა ფენიმ. მოულოდნელობისაგან ყველა შეცბა. — ამაღამ თქვენთან ვრჩები, დედა! — დასძინა ფენიმ.

— უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდი, ჩემო გოგონა, — შვებით ამოისუნთქა ქალბატონმა გუდოლმა.

ინგლისურიდან თარგმნა
ვეკა ვეპეტაიროვა



ლეიტენანტი შვილტი



თარგმნა მახტანო ზოზოლაშვილმა

პოემა

ნაწილი პირველი

1.

შორეთი მზერდა გართხმულ ველებს ელიპსებრ მბრუნავს,
ქოლგები ვრგვინვას ნატრულობდნენ, წვიმა გულძვირობს,
და საჯირითო იპოდრომის მაღალ ტრიბუნას
მოვარვარე მზე უმიზნებდა ზეცას უძიროს.

ხალხს ყინულიან ბურახივით ასხამდა ოფლი,
მოჯადოებულთ დისტანციის დნობა-გაღვევით,
ქროდნენ რაშები, წვივსაკრავთა არტახში მყოფნი,
სივრცეს, ვით კარაქს, კვეთდა ცხენთა ნატურფალები.

მიწისქვეშეთის რაღაცნაირ საწყის ფერებად,
უკან მიმდევი დინჯი ქროლით უცნაურ ქარში,
ომიანობის წელიწადი გზას ამტვერებდა
ჟოკეების და ორთვალების მანების კვალში.

რაც უნდა ჩუმად ეჩურჩულათ, რაც უნდა ესვათ,
ის მოძვრებოდა, იზრდებოდა ირგვლივ წიკვინით,
ჩაერეოდა საუბარში უხეშად, კენესად
და იხსნებოდა მათ სასმელში ფერფლის მწიკვივით.

მორჩა ყოველი. ჩამოღამდა. კიევზე ჩრდილი
ჩამოწყყდიადდა, ქარს ეხლება დარაბის ძელი.
იფეთქა თავსხმამ. აი, უკვე დღე გადავლილი
გაზდა საოცრად შორეული და ძველისძველი.

2.

„კბედავ მოგწერთ, მეზღვაური მე ვარ ღერბიდან,
თუ გახსენდებით? ან ღირს წერა მოსაწყინარის?
თქვენ მე ამავესეთ მაშინ ერთი სადარდებლითა.
თუმცა ამაზე შემდეგ. შემდეგ. დრო კვლავ წინ არის.

როდესაც მე თქვენ დაგინახეთ... თუმცა მე იმ წამს
ვლოცულობდი და რაღას აღარ შევთხოვდი იღბალს.
თქვენ დაგინახეთ. ყველაფერი გადამავიწყდა
და დამეკარგეთ მერე ბრბოში ტურნიკეტს მიღმა.

როცა უტაქტო გაშეშებამ განვლო ნელიად,
მომავინდა, რომ არ ვიცოდი თქვენი სახელიც.
სხვა თვითონ იცით, წარმოდგენაც ძალზე ძნელია,
ასე ზღაპრულად რომ კვლავ გავხდე თქვენი მნახველი.

თქვენ ჩაუფიქრდით მხოლოდ ამას — ნამდვილად შემშლის
სივრცე რწმენისა! — შემოხედვა ვიღაც ოხერის,
დაკარგვა ბრბოში, მერე ღამით, მატარებელში,
გაშლი ქოლგას და სანატრელის გვერდით მოხვდები“.

3.

ქარიშხლიანი ნაჭდევი
ზღვაზე ლალისფერ აიხის,
დილას კი რაღაც იმგვარი
სიცარიელე ახლავს,
უაზრობამდე მისული
სიჩუმის ხმაში გაიხმის, —
ბარჯებით ჩხრეკენ ზღვის ფსკერსა,
ცდილობს ვიღაცა — მზე ბარჯით
ამოათრიოს მადლა.

და, აჰა, მოძებნილია
მნათობი, მძლევი უკუნის,
მძინარე სევასტოპოლში
დგება დაცლილი დილა.
დუმილი მეფობს. კითხვაზე —
საიდან ისმის გრუხუნი?
უკაცრიელი ნაპირი
მორევს პასუხობს ფრთხილად:
— მზეზე ტალღები ტყლაშუნობს,
სოჭები ხრიან თავებს,
უკაკუნებენ ხეები
კრამიტის სახურავებს.

უსახლკარობა სივრცისა
შესაყვარებლად იელვებს,
ზღვასავით ეჭვი მოჰყვება
მარტოხელობის ტკივილს,
ძველებურ სუნთქვის გრძნობითა
მშობლური სიცარიელე
შემოფრინდება სარკმელში
მოწვეულ სტუმარივით.

იცით, რა მოსაწყენია
ხეების ნდობა ფარშივი?
როს არსებული წყურვილით
ღამის სიწყნარე კვხვით,
ქართ დაგლეჯილ საღამოს
მარტოობისგან აშლილი,
კაცს, როცა არ ეძინება,
თავს ყაჩაღივით ესხმის?
თუ იცით, სხვა რომ არ ჩნდება,
ის ეხატება გმირად,
ადვილად შეგიყვარდება
სევდა უფსკრულის პირა.



დილაადრიან ღუზამ და
ტალღებმა უნდა ზღვის გეშით,
ვიდაცა გამოარჩიონ,
გადაარჩინონ მარად,
საბედნიეროდ სისხამზე,
ერთოთაზიან ფლიგელში,
არ ძინავს უცნობ მეზღვაურს,
წერს გამწარებით ბარათს.

წერს რაღაც სისულელეებს,
ჩათვლემს, ახტება წამებით,
ზოგჯერ წყალს შეიშხაპუნებს,
ზოგჯერ დივანზე ბორგავს.
ირღვევა სანთლის ნაკადი,
წუხს ღამის აბაჯანები,
მოძებნის ტალღას ბნელიანს
და კვლავ თავს უშვერს ონკანს.

„მოდით და ვიანგარიშოთ,
მე თითქმის სუყველაფერი,
შემაქვს სათქვენო ნუსხაში,
ჩემი აქ მოსვლის დღიდან.

მაქვს, როგორც აღსარებაზე,
გულისთქმა გადმონაფენი,
ცოტაა თავის საქები,
არც ასეთ რისკად დირდა.

საშიშროება იზრდება
ამდენ წვიმიან დარებთან
და ჩემი სიტყვაუხვობაც
იზრდება შესამჩნევად.
ეშიშობ, ეს ჩემი ყბედობა,
ვაითუ შეგეზარებათ,

თქვენ რჩებით გულჩახვეული,
მე მღლის ლაებობის ჩვევა.

თქვენ ამას ჩათვლით ბავშვობად,
დრო დგება დიდი ძვერითა.
სად დაემალო თქვენს თვალებს,
ამ მოვლენებს რომ ერთვის?
არ მჯერა, ის მოვლენები
გაძლენ პირუტყვულ ცქერითა:
თქვენი სახეა ც მიქრება,
შეც არ მეცლება თქვენთვის.
ვერუვდები მათი გრუხუნით,
გადავრჩე, არა მგონია.
მე გავექროლდები მათ ექოდ,
ექო კი გორავს გუნდად.
მე ერთი ბეწვა თხოვნა მაქვს,
ეს თხოვნა გასაგონია:
იმ მოვლენების მიზეზით
შეეხედეთ ერთმანეთს უნდა“.



4.

ო, ოქტომბერი. გაფიცულები.
ო, ჯოჯოხეთის ქარის ჩრდილები!
ზღვები, ტვირთები, საგანძურები
და კულულები გაფრენილები.
პროკლამაციის ცვენა ულავი!
ყვირილი. ჭყაპი. ბნელა. ნისლია.
და ბოქლოძები, და ურდულები,
როდესაც ექვსის დასაწყისია.

საპყრობილედან ბროშურის ფრთებით
თავისუფალი სიტყვების თქეში!
ზაღპის პირისპირ დგას სახიჩრები
აბრიალებულ სახთლებით ხელში.

სასაფლაოზე დაკრძალვა! ფიცით
ლეიტენანტთა აბუტბუტება,
ატირებულთა თვალთა სიცივე,
თაუების დახრა და ჩახუტება.
ბაძით მორთული ვიბე! სიმღერა!
ვიღაც უცნობის ძახილზე ფიცხლად
ათასების ხმა ბრინჯაოს უღერად:
„შევფიცოთ!“ — „უფიცავთ!“

შეწყვეტილ ფრაზის გრგვინვა ნებივრად,
თითქოს თელები ქარით შებურეს!

ამქვეყნად ყველა კავშირებიდან
 ის ინდობს მხოლოდ შორისდებულებს!
 შენ ხმობ მქუხარე სიწყნარის ნიჭით:
 „ჩვენი მომავლის და ხსოვნის შუქად
 შეპფიცე! უკან არცერთი ბიჯი!
 ვფიცავთ! არცერთი ნაბიჯი უკან!“



5.

შეჩერდით! საით? წასაკითხად? მისვლაა ძნელი!
 უწყესრიგობა აქ ფორტებთან ყველაფერს წაშლის,
 დედამიწა კი, უღარდელი და უზრუნველი,
 ღვთის ნაბოძებ ფროებს აფრიალებს ფარფატით ქარში.
 მოქეიფეებს აწუხებდათ ჯერ კიდევ გუშინ
 სევასტოპოლის ზვინულები ასე ჩვეული.
 ყვაუთა მწკრივების რედუტები გრიგალით ქუშით
 ფრენის დროს თითქოს ქოფაკებად გადაქცეული.

შესასვლელეებში გამოკრული ჩანს მანიფესტი
 ახალთახალი, უზრუნველობას მისას რა გალევს,
 არც უმინია, არც სცხვენია, პლასტიკის ნესტით
 ფარავს ხელწერა აღრინდელთა წყლულთა ნაკვალევს.
 „გვიბოძებია ხალხისათვის ნანატრი ძველი
 თავისუფლება, დადგინდეს რომ უკვე დღეს მოდის...“
 და ურდულებზე მიკრულია თხელი კისელით
 ნაღდი ხელწერა თვითონ მისი უმაღლესობის.

ოქტომბერია თუმცა ისევ დონდლო ცახცახით
 ნოემბრის სევდით აწკარუნდა უკვე სერები,
 მანიფესტია დამნაშავე? მოღუშულ სახით,
 მიზეზენ თოულ-ჭყაპს შესანგრენი და ეგერები.
 პეტროგრაღშია დანი. საით? ნუ შიშობთ! კმარა!
 ჯარისკაცი და მაწანწალა არვის აწუხებს,
 პორტში ჭყლეტაა, უზრუნველად და უშიშარად
 ადევს ბოქლომი კარტოფილის ფქვილის ნაწუწებს.

6.

ნულს ზემოთ სამი გრადუსი.
 მიწა ყინვისგან ნასუსხი.
 ცივი ღრუბელი წვრილი წვეთებით
 წკებლავს ლულებსა თავგამეტებით.
 ცას ეღვით შეაშფოთებს
 სეტყვისმომტანი ბრიზი,
 ლორწო ედებათ ფოთლებს
 და აკანკალებთ ზიზღით.

და ეს სიძულვილი შიშველი, ქნელი
 თმებამდე აწითლებს ფითლებს და ლერწებს.
 არ გინდა, დაეგდე, ასწიე ხელი!
 მზადაა, ლეწე.



კომში, ანტონოვკა, შინდი,
 აქვეა შავი ზღვა მშვიდი.
 გადატრიალების გადადის შიში
 ყურიდან ყურში და პირიდან პირში.
 ცივა. ტალღები, მძლენი ყოველთა,
 დაბრმავებულნი ჟინით ცხოველთა,
 საასპარეზოს, ისე ვით გუფთას,
 აქ მწუხარებას ყლაპავენ სუფთას.

ცა შემოდგომის, დავა ბადრაგის,
 ფეხოსნების და საზღვაო რაზმის.
 ავითატორი ქალის ქადაგი
 სააკადემიფოს ჟარგონის კაზმით.

უნდათ დრიალით სძლიონ ვოლიათს,
 (ბრძოლა, ბრძოლები. ჯარი, ჯარები,
 პროლეტარიატს, პროლეტარები.)
 სიმწუთხეს ზღვისას და ირონიას.
 ყურში ბლავილად დაჭრილ ირმისა
 ასოთხმოცნაირ ბრუნვა-რხვევაში
 და სიხარული თვითშეწირვისა,
 და კაპრიზები ბრმა შემოხვევაში.

ბუმლატებიან მეზღვაურთა მწკრივი ჯარები,
 ისე, ვით გუფთებს, რომ ყლაპავენ ბრმა მღელვარებით,
 რაღაც „იზმებზე“ დამთავრებულ სიტყვების ქარგვას,
 ჯერ არგაგონილს, ჯერ არსმენილს, რუსულს რომ არ გავს.
 (თუმცა სიტყვები, რაც ვაზარძის კარნიზს შვენია,
 საზღვაო ბრძოლა, ქვეყანას რომ გადაწვდენია,
 კლასებად ჩათვლა მშობელ ხალხის, რა საწყენია,
 ვანა ჩვენია?)

ექსტაზი გმირი ქალების,
 რომ მოფრინავენ წვალებით
 და ეცემიან თავით ნიავში,
 ცვალებად დროში მოსულნი,
 ნდობა – არნდობით მოცულნი,
 მწუთხე შხეფების ირონიაში.

ოი, კერპების სახელმწიფოვ, მუდამ ნებიურად
 თავისუფლების კარიბჭესთან ელი მწყალობელს!

საუკუნენი გეპარება გალიებიდან,
კოლიხეუმში ნადირები ხეტილობენ.

მქადაგებელი სანთლით პიჯვარს წერს საცოდვილოს
და ამნაირად აფორის რწმენით მოქცევას ცდილობს
და ასე, რომის ეკლესიამდე
რომის ცირკიდან ღღეს საუცხოო
იდგმება ბიჯი დაუოკები
და ჩვენ იმავე საზომით ვცხოვრობთ,
ადამიანნი კატაკომბების.

7.

„ფეხოსნებიო!“ — ვილაცა ყვირის,
ღვას აპოგეა ძღელვარე მეხთა,
ხმაურობს რაზმი. გულგასაგმირი
გრგვინავს ბრძანება: „თოფები ფეხთან!“
ნაბიჯების ხმა უცნაურ ძალით
გაირინდება, კრთება და ფეთქავს
და მწყობრს ჩაუვლის თვით ადმირალი
ნაცნობ კაპიტან შტეინთან ერთად.

„მე არ ვარ მომხრე გაჭიმულ ამბის,
ავახურებდი როზგებით აქვე.
მიზეზს მოვნახაუთ. გასროლა ყალბი
და მოთავდება, კაპიტან, საქმე“.

„Parlez plus bas“ — სიშიში დროა, —
ბრძანა მეორემ, — დავფიქრდეთ ზოგი,
რომ ვლაპარაკობთ, ხომ შესაძლოა,
სხვის ყურსაც მიწვდეს ეს დიალოგი“.

სულ რვა ნაბიჯზე იბუძვებოდნა
ხიშტები, წვერთა ცისკენ ყურებით,
ყოჩაღად იდგა, ირინდებოდა
რიგი ტანადი მეზღვაურების.
თითქოს ხუმრობით ნათქვამმა ნელმა,
როცა მიწვდა და შეაკრთო მწყობრი,
იჭექა ორმა გასროლამ გრძელმა,
მოულოდნელი თანმიმდევრობით.

ყველა დაფარა შფოთვა-ხმაურმა.
„შენ მართალი ხარ! აქ ვდგევართ ძმები!“ —
„ვარიაგელმა“ თქვა მეზღვაურმა
მკერდმოჭედელმა ვიორგის ჯვრებით.
როდესაც დასცა ორი რჩეული,
მიაგდო თოფი ძირს უსახელოდ,
თითქოს ბუშლატმა დასწვა სხეული,

შემოივლიჯა ბოღმით საყელო.
 ესმოდა: ერთი კვლევა მგონია.
 იცოდა: ნაღდად მოკვდა მეორე.
 ტანთ იფუთნიდა პერანგს ზოლიანს,
 უძლებდა ზვაუად დამდგარ მეომრებს.



ვაუხმაურნენ სასროლეთს უკვე,
 დივიზიები დაიძრნენ ძალით,
 მოცოცაყდა და ფარავდა შუკებს
 მომწოდებელი ანძის სიგნალი.
 და აფუთფუთდა ტალღის ჩუქურთმა,
 შორს ესკადრების ხმები აკიულდა,
 სანაპიროდან რიგი შუქურთა
 დაიძრა მოსალაპარაკებლად,

„შენ ხომ შემთხვევით და უნებურად?
 თუ ასე იტყვი, ცოცხლად დარჩები“.
 — „არა, ბატონო, მე შეგნებულად,
 განგებ ვესროლე, თუ მწამს გამჩენი“.
 „მაშინ...“ — და სიტყვა გაეჩრა ყელში,
 მოავლო თვალი და გათქვა ნება:
 „თავს თვით იღუპავ, რა ვიყო შეშლილს“, —
 ასე დაიწყო ის აჯანყება.

8.

„ყოფას რაც უფრო საზიზღარს უმზერ,
 წერილს წერ უფრო სადად, მარტივად.
 ეს შევამოწმე „სამ მოციქულზე“,
 მესამე დღეა აქ ვარ პატიმრად.

სულ არ მაშფოთებს ჯერ შიშის გრძნობა,
 თანაც არც ისე მხდალი გახლავარ.
 მომხდარი ამბის ეს უაზრობა,
 გულში არ ჩაგრჩეს დასაზრახავად.

სულ არაფრისთვის რადგანაც ჩამსვეს,
 ჯობს, რომ ამაზე მოვრჩეთ ყბედობას.
 მაგრამ რა ვუყო მოხეუულს თავზე
 უამრავ ფიქრთა უიმედობას?

ცხოვრება მიქრის და გახსენდება
 მშობელი დედის ტკბილი დედობა,
 ზოგჯერ მწარდება, ზოგჯერ მშვენიდება
 იმედები და უიმედობა.

მოხედე უკან მოშულს უხერხულს.
ცხოვრება მოჰგავს ერთიან სურათს.
შენს გაფიქრებას: რა მოუხერხო?
ის პასუხობდა სერიოზულად.



მახსოვს საზღვაო სასწავლებელი.
მოგონებისთვის წუთიც კმაროდა.
მიკვირს, გადავრჩი როგორღაც მთელი,
სული მოვითქეი იმ სამყაროდან.

იქ, მხედრიონში, საოცარ ძალით
ყმაწვილის გულში ჩარჩა პალული,
ულამაზესი სახება ქალის,
მარადი ტანჯვით გადაფარული.

ვკვდები იმ ქალის დარდით, ბნელეთის,
მოციქულებში უდგევარ ზვიადად,
თუ გახსენდება შენ ეს ხმელეთი,
ეს ყრუ ადგილი რეპრესიათა?

მე ჩამოვედი მიწმანის ჩინით,
თქვენთან ზაფხულის მშვენიერ დარში,
თუ გახსენდებით ყმაწვილურ ჟინით? —
მიმარჩიელეს დაღუპვაც მაშინ.

შენ მამის წყრომა მაშინ ძლივს ძლიე.
სახე შეეკრა და მოელუშა,
მას, კონტრ-ადმირალს, უკვირდა ძლიერ,
ჩემი გაქცევა ფაბრიკის მუშად.

ამ შუქზე ამხდარ ილუზიების,
შეხედე, გველის დასკვნები კოხტა,
იმ ყოფილ მიჩმანს გათხუპნულ ბლუზით.
ჰა, ვითომ დიდი ამბავი მოხდა!

9.

ციხე-სიმაგრეები,
მდგომი, როგორც კლდეები,
ჩანდნენ ღრუბლებში მთებიდან,
ვით ტყავის პალტოებითა.
წყალმანკიან იარით
პორიზონტის ზონები,
აქეთ გემები არი,
იქით — გარნიზონები.
მდაბიოთა ოჯახების
გაჭიმულა გზაზე დასი,

ფერად ორიენტაციის,
ახირების თან ათასის,
გარბის ყველა, ეტლით, ურმით,
ლანდოთი და ტარანტასით.

ქალაქი შაბათ დილიდან
სამკეცი სახით არი:
სავსეა განდევილითა,
ლტოლვილებით და ჯარით.
წინა დღეც იყო შეშლილი,
საყვირს აუშვეს თოკი, —
ელინგი ხმაჩახლეჩილი,
უკაცრიელი დოკი.
ჯერ გაიფანტნენ ქარებთან
და მერე მოუქნელად,
ამწყობ საამქროს კარებთან
ერთად მოგროვდა ყველა.
ჯარისკაცები უკუნში,
თითქოს გრიგალმა გაკრა,
„ვარშავიანკის“ გუგუნში
ჩვენებასავით გაქრა.
დაიძრნენ ყაზარშებიდან,
მერე შეერთდნენ ჩიხში,
ბრესტელთა პოლკის ძმობის და
სოლიდარობის ნიშნით.

ამ ზღვა ნაკადით მთლიანად
უფრო შეშფოთდა ბრბო და
დიდიან-პატარაიანად
დაფეთებულნი რბოდა.
მაგრამ რა, რკინიგზელებმა,
მათთვის ჩუქული გზებით,
ვაგონებით და ძელებით,
ხუთზე ჩაკეტეს გზები.
პორტთან, მზით ნაყაშყაშები
გზა რომ გადადის მაღლით,
მოგროვდა ეკიპაჟები
და დაბნეული ხალხი.
აქ განთიადმაც იადრა,
თუმც იზრდებოდა მქისად,
სქელი, ვით მატერია და
მძივით ასხმული ქისა.
იღგა ხეები ზვიადი,
მოხრილი, როგორც ზვირთი,
ბინდბუნდისა და წყვდიადის
მძიმე ჩანთების ტვირთით.
პირსაბურები შავები



ჩანდა გაბერილ ნიღბად,
 მიხტოდნენ საბურავები,
 სადღაც ჯანდაბის მიღმა.
 ტანზე მანტოებს იხვევდნენ
 მაიორების ცოლები,
 შარავზის ხრტილი მისდევდათ,
 მისტვენდა შენადრწოლები.
 დგებოდნენ კიპარისები,
 თავს ხრიდნენ ქალთა წინაშე
 და იზრდებოდნენ ღირსებით,
 გადაუღებელ წვიმაში.



ნაწილი მეორე

1.

მოვარდა ქარი ზღვიდან საშინლად,
 ხელის ცეცებით, ბრძასავით ცერად
 შემოუხვია, თუმცა მაშინვე
 აყაყანებულ ბრბოს დაემგერა.
 კედელს მიკრული ბორგავს, ვალალებს,
 ხანაც ტალახში ფრთონავს ნებივრად,
 უსტვენს და ჰერი, ჰარი-არალე:
 მაინც უბერავს ჩვეულებრივად.
 ნაღმეჭ სიფათით იგი ეხლება
 ფარნის აღმაცერ ჩარჩოს შებურვილს
 და მიქრის, მიქრის, ფრთა არ ეღლება
 ღამურის ფრთებთან დაწყვილებული.
 მაგრამ მატროსებს არ ტკივათ თავი,
 სულ არ აწუხებთ ქარები მრეში,
 ახმაურებენ ყაზარმებს დავით,
 ამ ყინვიან და ბნელ ნოემბერში.
 ბოლო არა აქვს ათასთა ხრიალს,
 როცა გრიგალებს მაისის ხევი
 აუფუტკრავთ და გადაუთხრიათ
 და ბნელ ბორცვებად ამოაქვთ ზევით.
 დგას სუნი მიწის, თავისუფლების,
 კარტოფილის და თაგვის თათების,
 სუნია შტორმის, თუმც მყისვე ვხვდებით —
 ეს არის შტორმი ბედოვლათების.
 ვიღაცა ხუმრობს სულ უთავბოლოდ,
 ჭორები, ხმები, ლანჩები, ნისლი
 და ერთადერთი სახელი მხოლოდ
 აქ ათასნაირ ბრუნვაში ისმის.
 ამბობენ, რომ ის პარლამენტშია,
 ან კომიტეტში, დავა-ვარამში,

ამბობენ... სწორედ მაშინ შეშლილად
 რაღაც იზრდება ამ ბნელ წკვარამში,
 ეზოდან თითქოს უშვებენ ქარშავს,
 გაურკვეველობის შეცნობის ცეცხლით
 აღელვებული მოგორავს „ვაშა“!
 ყველას წამლექი და გადამრეცხი,
 როგორც კი პირველ სიტყვას მოისმენ,
 აქ სიხარული აღარ მაგრდება,
 ცოტათი შეძრავს გულებს და ისევ
 მკაცრი გრიგალი გაათმაგდება.
 ძლევს ორატორი ქარს მოთარეშეს.
 ედება ღელვა სიფრცეს ნაცრემლარს.
 არა სიტყვებით, სიტყვის გარეშე
 უნდა ცხოვრება მათს ალტაცებას.
 მდუმარედ ტოვებს ეზო-კერიას
 გოლიათების სიტყვა ქებული.
 თუ არის დროშა — ჟოლოსფერია,
 თუ სიბნელეა — ჩამუქებული.
 რომ საქმეს ჭკუით მოვეგოთ მალე,
 გუგუნებს სიტყვა — „ესკადრა“ — გულით.
 მერე სხვა სიტყვა გაისმის — „ხვალე“.
 ეს კი საკუთარ თავზეა თქმული.



2.

გამგზავრებათა ალიაქოთი,
 დეპეშის ბადე ნესტით ფერილი,
 ჩაგვირისტებულ უცნაურ კოდით
 ხომალდის ქიმზე ზედ წარწერილი:

„ოცდათვრამეტი წლის ვარ, ქებული,
 ჭაღარა. თვალს ვერ მომწყვიტავ, — ბორკა“,
 პორტპლედი დაბლა დახეთქებული
 ბალთაში გაყრილ თასმებში ბორგავს.

შემდეგ დივნის ქვეშ ფორთხვა მაეანის,
 კარადისაკენ ოთხზე ფრატუნი... —
 ტრფობა, ცხელება და ქარავანი
 ნივთების, დაბლა მიმოფანტულის.

უცებ კაბინეტს შეარყევს ზარი,
 „ო, ღმერთო!“ — სახე მიუგავს შეშლილს,
 პასუხი: „მამა სახლში არ არი“.
 ფეხის ბრაზუნი შემოსასვლელში.

მაგრამ იღება კარი ხმაურით:
 „ვერ ჩავერევი მე სისხლისღვრაში“.
 „მაშინ როგორი ხარტ მეზღვაური?
 პოლიტიკოსიც არა ხარტ მაშინ.



რევოლუციის ქარიშხალს ქალის
 ხელთათმანებით ვერ დაძრავ დღესა“.
 — „მივემგზავრები პეტერბურგს მალე,
 ნუ შემომიჩნდით, რაცა ვარ, ეს ვარ!“

3.

გიმნაზისტმა მოზარდმა
 გადასწია ფარდა
 და წერილით მამის
 კაბინეტში მიდის.
 დარჩა ყურდაცქვეტილი
 მეზღვაური კართან,
 გაიფიქრა გულში:
 „კარგად ცხოვრობს შმიდტი“.

იღვა ნოემბერი,
 ოთხი საათისთვის
 უკვე ბინდდებოდა,
 გრძნობდით სისადავეს
 კომფორტისგან წაშლილს,
 სამი წუთი თითქმის
 კრინტი არ ისმოდა,
 კაიუტასავით
 მყუდრო ბუდუარში,

მხოლოდ პორტიერებზე,
 ქეჩაზე,
 წიგნებზე,
 დაორთქლილ ფანჯრებზე
 მტკრის ნამცეცები სახლობდნენ
 და აქედან ჩანდა:
 ზამთრის სიახლოვე.
 მთელი სამი წუთი
 კრინტი არ დაძრულა,
 ამ ყრუ სიჩუმეში, უეცრად მკაცრად,
 სქელი ფარდის უკან
 გაისმა წყევლა-კრულვა,
 თითქოს იქვე გვერდით
 წარმოსთქვა კაცმა:
 „ჩუხნინი! ჩუხნინი?!
 დამრბევი წყეული,



მიქარვის მიზეზი და ეშმაკეული
 ხომალდების განიარაღება?
 არა, შე ჯალათო, ბოროტო, საჩინო,
 დაგჭამოს ძაღლებმა,
 ასე რომ ხმაურობ,
 მე შენ დაგანახებ, როგორ გაარჩიო
 დამნაშავე და უდანაშაულო,
 მე შავი ზღვის ფლოტის ყმა ვარ და მონა,
 მაგ პირს ალიკაპით ძაღუ აგიკონავ“,
 შემოივლიჯა მყისვე ფართოდ ოთახის კარი,
 ბუფეტი. ჭიქა. თეთრი სუფრა. ერთად ყოველი...
 — კატერი?

— ნავი!
 მატროსის კითხვას მიეგება პასუხი ჩქარი,
 გაეარდნენ ორნი —
 შმიდტს თან გაჰყვა ოჩაკოველი,
 დლიდან ღამისკენ უშნოდ და ფეხშეუწყობელი
 გარბოდნენ ანდუდ, დასაწევად დაისის ქარის,
 სადაც ბაღია ღრანტეებად გადანათხარი,
 ტილოს თორებით,
 აბგარ-აბჯრით,
 ზამთრის სამოსში
 თბილად ჩამსხდარნი,
 რბოდნენ ღრუბლებზე, დაისებზე, რბოდნენ დილებზე,
 პრომენადების

გადარეცხილ ნამტვრევ ფილებზე.
 შემდეგ სირბილით ოხრაზუშის ნათესებს შორის,
 ჩანერგილ გზაზე თეთრი ქვიშით გადასარკულით,
 მთელი ძალ-ღონით, ბილიკებით ირიბით, სწორით,
 ხრამის შემოვლით, ფაცხა-ფუცხით, ბაკუნ-ბაკუნით
 გასცდნენ მოსახვევს პირველს, მეორეს;
 უცებ-სდექ! ზღვაზე ავარდა ბოლი
 და აი, დაბლა გამოჩნდა შორეთს
 სუნთქვაშეკრული სევასტოპოლი,
 გამოჩნდა იგი, ვით ჰაერი ღრმად შესუნთქული,
 ორი უძირო უბის მკერდში მღელვარე ზღვისა
 და ნახევარზე „სინოპს“ მიღმა ჩაძირულ მზისა.
 წამით ორთავემ დაითქვა სული.
 და კოტრიალით რომ ჩაუყვანენ ძნელ კბოდეს ტიალს,
 ბუხ! — ჩაელეწნენ ჩაფშვნილ ყორის გროვას ნესტიანს.

4.

თვლემენ გემები რჩეული,
 ზამთარს უწევენ ტოლობას,
 ნისლშია სიზმარეული

ანძების უთავბოლოება,
და ჰეკანან დანაფარები
ცვარით ნაბანებს ძალითა,
ნახეურადმკვდარი ფარების
სადაფითა და კალითა,
ძლივსძლივობით დადის
ჭავლი განთიადის.
და ისმის მისი ცეცება,
რაც უფრო დონდლოდ, ნებისად,
ცახცახად გადაეცემა
სხეულებს ხომალდებისას.



იგი თვლემს ისე, თვალასახვევად.
ამ სამეურსიან მიდამოს გულადს,
აშინებს მისი ოდნავი რხევა,
მას ძინავს, იწვევს შტილის გარეგნულად,
თითქოს მუშტუკუნს ეძალეის ხენეშით
რძისფერ-თეთრ ნისლში და გახვეული
სულმოკლეობის საფენელებში,
მაგრამ რითაა გზადაბნეული?

ვით ჭინჭველების ფუთფუთი ცოცხლად,
მოჩანჩალებენ ნისლში ჯარები,
შესამჩნევია პავლოვის კონცხთან
მათი სიმრავლე შეუდარები.
პავლოგრაფიდან საეელე ფრთებით
დიან პოლკები გაფენილები,
არტილერია და ფეხოსნები
და — გაოფლილი ქვაფენილები.

ტყვიამფრქვევები, თვლები, ცხენები,
ტყვია-წამლების ყუთები, ნისლი
და ხმაურობა ციებ-ცხელების
მოელ ნახიმოვის პროსპექტზე ისმის.
და ისტორიულ ბულვარს ზეიადად
გადაჰფენია დღეს, როგორც კვართი,
დონის, ყირიმის დივიზიათა
ავარიების სამხედრო ჯართი.

უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა:
ვრცელი ნაპირი ძლივს რომ ათავსებს
აქ დასახრობად, ან დასათრობად
შეკრებილ ჩერჩეტ ათიათასებს.
ისე აცოცდნენ ბარაკთა თავზე,
ვით მოფუთფუთე მატლები მქისად,
ბულვარის ციცხვი მათ ამოავსეს
და ჩამჩასავით დაღმართი ქვისა.

ისინი ქალაქს მორთავენ წამით,
 ვით ურიცხვ ჩიტთა მჭკვარტლი მსუსხავი,
 ძალას რომ იკრებს და ფრინავს ღამით,
 როგორც გრიგალი ნატისუსალის.



მზემ ანაორთქლი გაჰფანტა ნაზი
 და ფლოტი, ოღნავ რწევის მოტივით,
 ამოტივტივდა წყლის არენაზე
 გამოშტერებულ კაშალოტივით.
 გასუფთავებულ პანორამაზე,
 ვით ცეცხლფარეში ცეცხლთან, ნებივრად,
 იქ კრეისერი ჩანდა ლამაზი,
 სულ ორ ნაბიჯზე ტივტივებიდან.

5.

უცებ მეხის ხმამ შესძრა ნაპირი,
 ეს ბრბოს გუგუნმა დაჰკრა ზალპივით
 იმ სამვერსიან გრანიტს გრიალით,
 მერე დაგორდა ძირს კოტრიალით.
 „ვაშამ“ შეაკრთო გემის ქიმი,
 საჭე, ბუშპრიტი,
 „ვაშა“ მარადი, მოქვიითინე,
 მძაფრი და მშვიდი!
 სიგნალი გაჩნდა კრეისერზე:
 „ვმეთაურობ ფლოტს. შმიდტი“.

ის სულის სიდრმეს
 აღმოხდა, ვით ოხვრა ხმიანი
 და მისი ბრალი როდი არი,
 ვერ გაუფრთხილდა ერთად ყველას,
 მოულოდნელი ამბით შემცბარ თავისიანებს
 და მიისწრაფის სულ სხვა დროებში
 ეპოქათა საძიებულად.

ძაფზე ჰკიდია ის, ვით მაგნიტი,
 დაფარულია ამბებით დიდით,
 აჯაგრულ ცნობით ბოლო დღეების
 გემსართავეების ვერხვის ტყეები
 და კრეისერზე ფრინავს სიგნალი:
 „ვმეთაურობ ფლოტს. შმიდტი“.

ანძებს, რეიდზე დამდგარებს რივით,
 აუტაცნიათ სასწრაფოდ იგი
 და ფაციფუციტ დაუჭერიათ
 სხვა ოთხიოდე სამხედრო ხომალდს,
 რაც იქ სწერია.

მიიწურება ღუმბების დენი
და მოფრიალე ალმების ხმაში
თოკს ჩამოყვება ციყვივით ფრენით
დაბლა ყუმაში.
თოკზე მხეცუნა საბრალოდ მოჩანს,
როგორც უნო თარჯიმნის მზერა
და ანდრესკის დროშა,
ვით ბედისწერა.



6.

მრავალთან ერთად შმიდტიც მიხვდა ბოლოს და ბოლოს,
ბუშპრიტს და თოკებს
მოსალოდნელ ქარიშხლისაგან,
რომ მეყვსეული დაყოვნება დაიცავს მხოლოდ,
გადარჩებიან, თუ ქარიშხალს მოსდებენ ლაგამს,
თუ გადასწევენ კანონადას სულ ერთი წამით.
მთვლემარე სული ორფეოსის მტკიცე ნებისა
გაცოცხლდა მასში. და საფიქრელი
რა გაიჩინა? მოიაროს ესკადრა მთელი,
დაანამუსოს მატროსები, იქნება ამით
შეძრას გულები რკინის გერფის ქმნილებებისა.
და ნაღმოსნიდან წავიდა ქველი,
სად ნავსადგური, ცა სათხეველით
იჭერდა წარსულ ზღაპრებს ძიებით,
სადაც გემები იკვამლებოდნენ
უუშორესი დინასტიებით.
მათი რიგები უთავბოლოდ რბოდა და რბოდა,
ხომალდების ჯაჭვს უბე აღარ ესაზღვრებოდა
და აჩხორილი,
ჯავშნოსნების კვალში ხილული,
ირწეოდა და ტალღებზე ქროდა,
ქალაქი, მწვანე ხეთისხილით გადარდილული.

7.

ის ქვემეხებთან მიდიოდა განაწვალები,
სადღაც მიქროდა შორეთი ნაღვლით,
ჩახივებული, დამშეული ცქერა თვალების
მიაცილებდა საოცრად დაღლილს.

ის მიდიოდა და მოსარკულ ზედაპირს ზღვისას
რანდავდა ისე, ვით შალაშინი,
არ აჩერებდა მას დრიალი სხვისა და სხვისა,
იგი ხედავდა პეტერბურგს უინით.

რას, რას მოჰქონდა მის ხსოვნაში ყრობა მცინარე.
 ნუთუ ბრბოს ხივილს,
 რომელიც სმენას აბინძურებს, ჩამომდინარე
 უსუფთაობით სავსე არხივით.

გემების ქიმზე ის ხედავდა სკოლის მეგობრებს,
 იმ წლების სწორებს,
 იგინებოდნენ, გაჰყვიროდნენ, იმუქრებოდნენ,
 ეჯახებოდნენ ერთიმეორეს.



უკან! ცხვირს რად ვჩრით სიმყრალეში? ნუ ვფარავთ თავებს
 აშშორებული ნარეცხის თოკით.
 არა გვგონია, ბრძოლის უნარს თუ დაკარგავენ
 „სინოპი“, „ჩესმა“ და „ოჩაკოვი“.

8.

შემობრუნებულს მკვეთრად ფერდობზე
 შეაცახცახა ქალაქს ხველებით:
 ამოდიოდნენ გემის ერდოზე
 ბორკილაყრილი კატორღელები.
 ესალმებოდა მათ ეკიბაუი
 ჯავშნოსნებიდან ყვირილით, დროშით.
 ოფიცრები კი გაჰყავდათ ზღვაში,
 როგორც მძევლები საპატიმროში.

ცვალებადობა: გმირობის დრო-ჟამს
 გულგატეხილის კანკალი ცრიდა,
 გემები ცვლიდნენ შეჩვეულ დროშას,
 სამეფო ალამს წითელი ცვლიდა.
 ის „ოჩაკოვზე“ ბრუნდება ნელა,
 ჯერაც მომავალს იმედით უმზერს,
 გაჩეჩილ თმებში წაიელო ხელი,
 ჩანდა რეიდი, ვით ხელისგულზე.

ჩადგა სიწითლე ზეციდან ზღვაძღე.
 „ეხ, მიღალატეს ბილწი გულებით!“
 მოსაღამოედა. რეიდზე დადგნენ
 ღრუბლები, სუსხით აბუძგულები.

ხმელეთიდან კი ჩვეულზე სწრაფად,
 მარადისობის გამოცდილებით,
 სახურავიდან ცვიოდა დაბლა
 ქვები, კლდეები, მზე და ჩრდილები,
 მარადისობას დანაწყვილები.
 ისე აბრუნდა მიწა და წყალი,
 რომ გულისწასვლის დადგა ფინალი.

9.

მაღალფარდოვან გულივით ძგურდა
წყნარი აისი, როცა იალა,
როცა „ტერციდან“ მძლე ზარბაზნებმა
დაიგრიალა.



საქვებზე უცებ იფეთქა. დაქრა.
ნავიდან მოთქმამ შესძრა ტინები.
წავიდა წყალქვეშ. ეს იყო დაკვრა
მიმაკვდინები.

გაყინულ ტალღებს მიაპობს მკერდი.
მოცურავენი, გვამები, ალი.
და სიხარული: რომ ზოგიერთი
დარჩა ცოცხალი.

დაიწყო. თავზე ტყვიადღვრილი
ჩაება ომში სივრცე წუხილით,
დაცემულიყო რათა დაღლილი
ხალხის ქუხილით.

10.

ჩამოდგა ღამე. გარეთ კი რისხვით
ჯარების თავზე წითლად ნაღები
აუნთო კუდი ყველა ხარისხის
იარაღების.

ის მოძვრებოდა, ბომბების შუქზე
ფანტავდა ბრბოს და ორმოს ტოვებდა,
წვავდა ალმებს და პირდაპირ შუბლზე
აუთოვებდა.

გემებზე ჩრდილი დგას ხშირბინდობის,
მბღღვინავმა თავსხმამ გახსნა სარკმელი
და რიგორც თოვლი უამინდობის
მოსკდა შრაპნელი.

ის ახალგაზრდებს წვავდა ჭრილობით,
იგი სკდებოდა წყალში, ყანაში,
ბადებდა სიკვდილს, მოტეხილობას,
თამაშ-თამაშით.

ნაწილი მესამე

1.

„ყველა ჩაწყნარდა. ეღებო პირისპირ,
მკარნახობს გრძნობა და აღლო სრული:
მე გამიმართლა ბედმა წილისყრით,
მე ჩემს მეგობრებს მივეცი სული.



მე გულით დიად მიზანს შევჯერდი,
არც წვრილმანებში ვარ გახლართული,
ციცაბო აღმართს ავცდი, შევჩერდი
შობის წინადღით განცვიფრებული.

მითხარ, როგორ არ მიხვალ საშველად,
ქურდიც რომ იყოს შენი საბედო,
ისეთ დღეებში, როდესაც ყველა
მის უსათუო დასჯაზე ყბედობს.

დარჩენილი დრო მიქციე შხამად,
შემინდე მწარე სიტყვების ცოდვა.
დავაში შობა გაივლის ჩქარა,
უკეთესია, დაყოვნდეს ცოტა.

მწერდი ღებუშით — „შენი მარადის“ —
ახლაც იმ დილას ვიგონებ ოხვრით,
ოცნებით შენსკენ მომიხაროდა,
როგორ გგონია, აქ რატომ მოვხვდი?

ღებუშა მომცეს მიტინგის დროსა,
თუმც ვგრძნობდი ჯანყის შედეგებს საშიშს,
გონს აღარ იყვნენ. ჩემი წამოსვლა
ემგვანებოდა გაქცევას მაშინ.

ო, შენსკენ ვქროდი! კაცი ვერ ხვდები,
რომ მზად არ იყო მასების ნება,
მსხვერპლად გაეღოთ სხვა შეხვედრები
და დაენახათ სხვა მოსაზრება.

რწმენა — ქარხნებში წასვლისა უმალ,
აღმავლობათა ახალი ფეთქვა,
იქნებ ჩაიწნა ჩემში იღუმალ,
რომ წავიდოდით ორივე ერთად.

მაგრამ მოაწყდა ტალღაზე ტალღა,
ღუმა, ესდეკი, ზარები, ომი.
რის გამგზავრება! ვეშვები დაღმა
მეამბოხეთა რიგებში მღვომი.

მოური. მშვიდად ვარ და ეს მათცებს.
სულ არ ველოდი. მეტი რა გითხრა?
სევასტოპოლის სასაკლაოზე
ძველ გახუთებში ამოიკითხავ.“

2.



ნგრევა გადავლილ რომნიხაკენ მატარებელი
აბორგებული ქარიშხლების ბლაყილში მიქრის.
გარეთ — ვრიგალი, ნამწვავეებით ნათლება ბნელი,
ვარვარებს ქანჩი და რელსებზე მიცეკვავს ფიქრი.
მოვზაურ ქალის სასთუმალთან კვამლის ზვაობა
ღვება. ციმციმებს ნაპერწკალი კიბეებს შორის.
თერთმეტზე ქალი ვეღარ უძლებს ბილწსიტყვაობას,
მიდის ტამბურში და მიჰყვება ნაკადი ჭორის.

თავს შემოჰყოფს და იეედრება: „დაჩუმდეთ იქნებ,
შუალამეა, ეს ხმაური დამდლის და შემშლის!“
ღრჭიალი, კვამლი წაიღებს ხმას და შმიდტზე ფიქრებს,
ჩააცდენს კიბეს და მიათრევს თამაშით ტყეში.
ქალს აქვს მიზეზი — შებრუნდება და იწყებს ქვითინს,
შუაკედლისკენ პირქცეული თვალეხატულა.
თქვენ უკვე მიხვდით — ამ ქალს წერდა წერილებს შმიდტი,
კუპეშიც ირგვლივ კონვერტები მიმოფანტულა.

იმავე ღამეს ოჩაკოვზე საპნის მარაგით
ნიჟარის საგდულს ქვიშის ცელი რეცხავს ბროლიანს.
მოჩანს კუნძულზე ქვით ნაგები ციხე-ქალაქი,
გუშაგის კოშკზე ამაყად ზის თეთრი თოლია.
ქალაქი ესე არც კი იცის მგზავრმა სრულებით,
არის სეხნია მეამბოხე გემის ზვიადის,
ბედის ბოროტი ირონიით, მეზღვაურების
იმედის ვარსკვლავს უცხოთაგან ფარავს წყვდიადით.

მაგრამ რას ნიშნავს გაფიცების ზღვაში, ტიალში,
ორთა შეხვედრის უხერხული ღარდი, ვარამი!
თავი ახალე თუნდა კედელს, ბედის ტრიალში
მისი მოძებნის უმცირესი შანსიც არ არის.

რომნამდე იგი ვერ გადიტანს ფათერაკს მრავალს,
თავდავიწყება არ ყოფილა მგზავრობა თურმე,
მას მოძებნიან გიჟურად მქროლს, გინდ ფეხით მაკაღს,
დაუბრუნებენ ყოველდღიურ ცხოვრების ურევებს.

მაშინ იქნება ძებნა, ცრემლი, აბუტბუტება,
საკანის კარი გაიღება ურდულშეჭრილი,
შეიყრებიან მთვრალ პოზაში ჩასახუტებლად,

სტროფზე სიკვდილი გაცურდება ანაბეჭდივით.
 და დღე იქნება მოწყენილი, შეხვედრა მწველი,
 და გულისწასვლა, აღმოხდომა კვხის სულიდან,
 და ჩაძირული წლებში წამი უკანასკნელი,
 და ნდობა – წუთით მობრუნება განვლილ სურვილთა,
 სურვილთა, სურვილთა,
 სურვილთა

3.

რა კარგად ახსოვს გადასასვლელი!
 ოდესის დამე, ახალი წელი,
 ხომადღს არ სურდა მგზავრობა ძნელი,
 ზანტად ასწია მან საბიჯელი.
 ხსოვნაში დილის სურათს რა წაშლის,
 ყურში მღვრიე ზღვა დმუოდა ავი.
 არ თოვდა, ქროდა ღრუბელი ქარში,
 საბალდახინე ფოჩივით შავი.
 შორს პირამიდის დაჩნდა ბაქანი,
 ზედ უცხვირპირი შუქურა იდგა.
 „აი, კუნძული. შმიდტი აქ არი,
 მადამ.“ პუბლიკა მიაწყდა ქიშთან.
 ტყვიის სარდაფი როს ჩააკარგა
 საკარანტინო ბარაკებს შორის,
 ლებოდნენ თითქოს ნანახისგან
 რადაცნაირი სოკონი მძორის.

წყალს მოღუშული შავი კუნძული
 მიჰქონდა, როგორც შხამსოკოს ქუდი,
 ის მბრუნავ ჩქერში ჩაძვრა უძლური
 და ნაფურიხივით ჩაინოქა წუთით.
 პირამიდების წვერები მარდად
 შეერთდნენ, იქცნენ ქალაქის შფოთად,
 ცრემლიან თვალმა უცებ დაღანდა
 სიმავრეები საპატიმროთა.

4.

დანტს ოჩაკოვი დაუხატავს სიმართლით ასე:
 ბელლები, კოშკი, საზიდრები, რიგები სახლთა,
 სწორია. ოღონდ კომენდანტთან მიმავალ გზაზე,
 ამ ქალისაგან განსხვავებით, მეგზური ახლდა.

სად შეეჩხიროს? რა უნდა თქვას, რომ უგდონ ყური?
 „მე მისი სულის ყვავილი ვარ, ოცნება მწველი?
 კონფიდენტკა ვარ შმიდტისა და მისი დღიური?
 ჩამოვუტანე ყვავილები და პრესა ძველი.

უხერხულია ეს კალათა ვიაციტების,
როცა არ მთელიან ნათესავად და არცა ცოლად, —
ასე ფიქრობდა. ამ დროს ქარმა ძლიერი ფრთებით
ავლიჯა მიწას თავსაფარი და გააქროლა.



ამ ფიქრით შეხვდა გენერალთან მიღების წამებს
ათრთოლებს ხეულა ინდაურის ჩინაზვს სავსავით.
პრიალებს ჭერი, მძიმედ ყვინთავს სარკმელთან ღამე,
თოვლი წვავს ტბორის აუადმყოფ ხორხს მახორკასავით.

პატარა მაზრის ყრუ შესათავი.
მამლის ყივილი დილ-დილაობით,
მდინარის უბე და შესართავი.

5.

დნეპრს გაზაფხულის ფლუხი აქვს.

ოჩაკოვი იბინდება
ნავით განახუნარი,
შმიდტელების გზაზე დგება
სიკვდილივით მდუმარი.

ჩანს, მატროსის ძალალ სახელს
ჩამოსცილდა ადვილად,
იქცა ჯავრის ამოსაყრელ
სასამართლო ადვილად.
ორი ციხე მოჩანს ერთად,
დგანან თანასწორები,
აქეთ კლუბი ოფიცერთა,
შოშიები, ღორები.

სინუმეში მცირე ხმითაც
ხვდები გამოცდილებით,
გამხდარ სახურავებიდან
ძირს ცვივიან ჩრდილები.
დებს როტმისტრი აწკრიალებს,
ჯარს არ აკლებს ვინებას,
მლაშე ქვიშა სატიალე
ფეხქვეშ მიიზილება.

ო, ქვიშნარი სუნთქავს ნებით,
მიწას ბული არტყია!
„გუშაგებო, შაშხანები!
მტკიცედ იდექ, პარტიავ!“

გზა ჩიტავით მიხტის, კვირობ
 მგზავრს თვალს უკრავს მზის სარკე,
 მხარს შეუქცევს სანაპირო
 ბილიკს სიმაგრისაკენ.



ო, ჰაერი ტრიუმია
 და ტრიუმი გადმოსხმის,
 ამ წუთებში არავისა
 თავში აზრი არ მოსდის.
 მწარედ, როგორც ნატირლები,
 თავს ქინდრავენ ცხელებით
 ღობეები, პატიმრები,
 გუშაგები, ცხენები.

ჩაიარეს. ძვალტყავ ხელით
 კარებს ურტყამს დროებით
 სიმყუდროვე. ფსტის კედელი,
 კრება სამხედროების.
 სკამ-მაგიდა გააქვთ ძველი,
 მალე ისევ ხმაური.
 მწერალი და ფელდფებელი,
 კაზაკთ პოდესაული.

6.

ოჩაკოვზე გადიქროლა
 ღრუბლის ცურმა, სავსემ ცრემლით,
 ჩამოვარდა, როგორც გრდემლი,
 ბაზრის ნეხეში ჩაიქოლა.

უცებ წვიმა მოკისკასე,
 შემოქმედის პირველქმნილი,
 ცოტ-ცოტობით, ცოტ-ცოტაზე
 მოსკდა სადაუაწყვეტილი,
 თოვლად, ჭყაპად და ტალახად,
 ზამთრის დღეთა დასალახად.

ცოტა კიდევ მერე უცებ
 გზა გაეხსნათ წვიმის ღარებს,
 ღრუბლებიდან ტკაცატკუცით
 თითქოს კოკით გადმოღვარეს.

ავგაროზის სუფთა სხივი,
 მოწყვეტილი ციდან ეხოდ,
 ბუნდოვანი ბარათივით
 ძირს ამაოდ არ ჩამოემხო,
 სლუკუნებს და ეკვრის წყვილებს,

ცაცხვებს, ცაში გაფრენილებს,
 ბილიკ-ბილიკ, საცალფეხოდ,
 ბერს, გასროლას, სითბოს, სხეულს
 ტყლაშუნამდე წკებლავს თქორი,
 ზამთარს არ სწამს სიახლოვის,
 სწამს სიკვდილის და სიშორის.
 დაბალი ცა, როგორც ხიზნებს,
 გვაყრის კირქვის ნამცეც ქულებს
 და ამ ზამთრის კატეხიზმოს
 ფიფქი ყურში ჩაგვჩურჩულებს.
 ხორხოშელა ბრუნავს ოხრად,
 ცას და მიწას დაკანკალებს,
 წამიერი სითბოს ოხვრა
 ქუდს ახურავს თავის ქალებს.



ნაფოტივით თხელი არი
 ყვავილთ კონა ქაცვიანი,
 ილიმება ახალძთვარე.
 ვით ცელქს ქუდზე, ნება-ნება
 საღებავი ზედ აშრება
 ნედლ ნამგალას, მოთვალთვალეს.
 ხვრეტს და ჩიჩქნის, არ ასვენებს,
 ჩალურჯებულ ყინვის ფენებს,
 ძალაყინით ჩამოლეკავს.
 დაუღიათ ზარებს პირი,
 ოცნებობენ მოწყენილნი
 დიდი მარხვის ჩამორეკვას.

შეცქერს დავას ყინულების,
 იმათ წკარუნს უსმენს შიშით
 და ხომალდის დარბაზები
 იძირება ძილღვიძილში.

დიდი ცოდვით შეცოდება
 ამ დარბაზის ნებით ხდება,
 სულიერი დურდო, ხაშში,
 ჭყებში, ჭანჭყში თვალში უმზერს,
 უდევთ თითქოს ხელისგულზე,
 ახლაც ისე, როგორც მაშინ.

იგზავნება ყველა, ყველა
 სასიკვდილოდ დასასჯელად
 ბერეზანში მათი ნებით.

დრო მოითხოვს მტკიცე წესსა:
სასჯელს, ზომით უმაღლესსა,
მსახურებენ ბატონები.

7.



მერხები, ხმლები, შუბები, დავა,
შეგვირებები, მცველთა რაზმები.
კითხვა და კითხვა, მიუხედავად
გულისწასკლისა, ხუთვის, სპაზმების,
ნიშადურის და პიტნის სუნისა,
ცრემლების ღვრისა უსასრულისა.
ტროპარის ლოცვის გარეშე, ყუფით
კითხვა. ჟანდარმი რკინის თათებით,
მეფის სარტყელი, შარვალი მეფის,
ჭალის ქვეშ ცეკვა ათინათების.

კითხვა. თუმცა დღე მოვა ისეთი,
ადრე თუ გვიან, ღამით თუ დღით,
როცა ტირანის ცოდვებისათვის
თვით დასხდებიან ჩამოძონძილი.
ასევე დაჰბერს სიო ნელიად.
ცოცხალ სამიზნედ ყოფნა ძნელია.
იქნება მაღალ აზრების მიღმა
აქ უაზრობა წვიმის ხმასრულის.
იქნება ასომის შეტევა. კითხვა
უპაუზო და უდასასრულო.

საბრალდებულო აქტის ვერსები.
პირში ქუდს იჩრი, რომ არ იბღავლო!
ნერჩინსკის ტრაქტთან შახტის მეფეები,
იქვე კატორღა. აი, იღბალი!
ძველ ცდუნებებზე ოცნებობ ანკრად.
კბილს კბილზე აჭერ, იკაუბ კანკალს!
ფიქრი სასჯელზე. ლაფი მთასავით,
ყელამდე ჭენჭყი. გზა კი არსაით:
ეროს თუ გადაცდი — პოპი და წვალება —
გატრიალებენ, გაჭანჭყალებენ
და გაგათრევენ შეკრულ ძნასავით.
ხან პაუპტვახტის ნატვრა ნებისად,
მივიწყებულის, შესვენებისას.
ყვირილი — „შესდექ!“, ყიჟინა რიხით,
იარაღები, წუმბე, ქარები,
კაკანი ქათმის, ყიჟინი იხვის,
და ჭყაპა-ჭყუპი ნაბორბლარების.
ცას სუნი ასდის, თითქოს წვალებით

შედევებელია დღე კარაქით.
 ეს სახეები შესაბრალები!
 ატირებული ბერი ქალები!
 „შესდექ!“ — ვიღაცა ხმამაღლა კივის.

8.



ვიღაც საღლატ ცუდად არი.
 გეჩვენება, საშიშარი
 წუთები გზას ფოცხავდნენ
 კინბურნიდან მიმდინარი
 ტარკანხუტის კონცხამდე.
 ატყდა ცხვირის ცემინება
 გაყინული მცველების,
 ბაგირივით ებერებათ
 დაძარღვული ხელები.
 ეს სიცივე ვის არ დაღლის,
 ძირს მიყარეს იარაღი,
 ცოცხალმკედრები, კუშტები,
 მოცახცახე ლაწუისთავებს
 ისრისავდნენ მუშტებით.

ამ სურათის დანახვაზე
 ოფიცერი, რისხვით სავსე,
 რეკოლვერსაც მიწედა მწყრალი,
 მაგრამ ხელი აღარ ახლო
 შებორკილმა უცნობ ძალით,
 რადგან იგრძნო შორი-ახლოს,
 რაღაც მსგავსი ქარიშხლის.
 სეტყვისწინა ხმა, ჯახანი
 სულთახუთვით დაიდაღა,
 ის, რომელიც კარგახანი
 მოდიოდა საიდანღაც.
 ჰა, იქუხა ქარიშხალმა.

ღრმა აღვზნებამ ღუმლისამ
 ფერდებს, მენჯებს, ხელებს, სახეს,
 დააყარა ხორკლი რისხვად
 და სიცივით მოცახცახე,
 ვით კრახანა შეცივებული,
 ჩაძვრა უბეს, აძვრა ქუდთან,
 გახსნა წიგნი დაფურცლული,
 მერე თმებში აფუთფუთდა.

თითქოს დუღდა გარჯა, შფოთი,
 ასაგებად ეშაფოტის.
 და გაისმა ძვერა მათი —

ასე, ასორმოცდაათი
 საგულისა ცარიელის,
 რამაც შეძრა ღამე ბნელი.
 თუმც გათვალეს წინდაწინა,
 ყველა გათვლა გადილესა.
 „ჩუმაღ!“ — ყვირის კაცი, უინაც
 ვერ გაუძლო სიჩუმესა.



„ქაოსის დროს დასალიერს
 სულ ამაოდ კეთილს გამზერ,
 ზოგი სჯის და ინანიებს,
 ზოგი ადის გოლგოთაზე.“

დროთა დიდი შენაცვლების
 თქვენსავით ვარ მისხის მისხი,
 თქვენს განაჩენს წყნარად ვხვდები,
 არც ყვედრებით, არცა რისხვით.

თქვენ ადვილად, მშვიდი გულით
 შეგიძლიათ მოკლათ კაცი,
 თქვენ მსხუერპლი ხართ საუკუნის
 და დოგმატის მონა მკაცრი.

ოცდაათი გრძელი წელი
 მქონდა ტრფობა მშობელ მიწის,
 თქვენს წყალობას მე არ ველი,
 არ დამინდობთ, კარგად ვიცი.

იმ დღეებში, — თქვენაც, მგონი,
 კარგად გახსოვთ ის დღე, როცა
 რიგითთაგან სტიქიონის
 ტალღამ ზევით ამომტყორცნა.

მამულის ხმას მივეყვებნებით,
 არცა მქონდა მეტის ნება
 და განუღილი ჩემგან ვხები
 ახლა აღარ მენანება!

ბოძი, სადაც ვდგები, არი,
 სულ სხვადასხვა, ორი ხანის,
 ორ ეპოქის დიდი ზღვარი
 და მე ვხარობ არჩევანით.“

9.

სულ ოთხი იყო სასიკვდილო სასჯელით მდგარი,
 ოთხიდან ორი ატარებდა ჯერ იმედს გულით.
 ეფერებოდა ამაღლებულ ვარსკვლავებს ქარი,
 რაღაც მხურვალედ და რაღაცა მარადიულით.

გამოეთხოვა მათ სიცოცხლე, ქალაქისაკენ,
 მძინარ ხალხისკენ ჯებირ-ჯებირ მიეხეტება.
 გამოუცნობი კრთის, ეით თევზის ფარფლებს სარკე,
 მისი ნაკადი კალაპოტში აღარ ეტევა.



უკვე ახლოა დასასრული, არ ძინავს არვის.
 სულ ორ საათს თუ გაგრძელდება ცხოვრების ჯერი.
 ჭავლი იცვალა, ახრამუნებს მარგალიტს მალვით,
 საჯინიბოში თვლემს ამგვარად ხრამუნი ქერის.

სხვებს ათრობს ქარი და კატორღის სივრცის მოტივი,
 ლუკი ღიაა, ამოხდება სუნთქვა ქარსაკით
 ილუმინატორს, პირდადებულს კაშალოტივით.
 ირწევა ნავი ჩაძინებულ რვაფეხასავით.

აზმორებს „პრუტი“, ბეჭდებიან თათებით ბორგავს,
 გრძნობს მსხვერპლს და ნესტო გააშუქებს სხივებს ეშვებად.
 ჟრუანტელივით დაურბინა ბნელს პროექტორმა,
 ჭრიალებს ყულფი და ფოლადის ტრაპი ეშვება.

ნავი ქვემეხით ლუკს მიადგა ქვანახშირიანს,
 სინათლის ნემსი შიგ ჩაეშვა და მოჰყვა შიშინს.
 გაღია შუქმა დააბრმავა. გასაკვირია? —
 შებორკილები ბნელ კუნჭულებს მიაწყდნენ შიშით.

მაგრამ შემდეგ, როს აღარ ჰქონდა გაძლების ძალა,
 მიაკვდა გისოსს. ჩხვლევტდა სხივი და მოჰყვა ძახილს:
 „სისხლისმსმელებო, რაღას მტანჯავთ, მომეშვით, კმარა!“
 ჯალათებისკენ გაიშვირა ხელი ცახცახით.

წამები დარჩა დასათვლელი წამების გზებზე.
 ატყდა ყვირილი. პროექტორმა ცრემლს სხივი ჩაკრა.
 მერე გაიქცა შუბლებზე და ხელბორკილებზე
 და მიიკარგა, კატორღელთა ქვითინში ჩაქრა.



ფრანგული პოეზია

ფრანგული დან

თარგმნა მარინე შილაშვილმა



პოლ ფორი

ფრანგული ბალადები

პოლ ფორი (1872-1960) მეოცე საუკუნის ფრანგი პოეტია. თავის შემოქმედებაში იგი ხშირად მიმართავდა ძველი ფრანგული ლეგენდების და ფოლკლორული მასალის გადამუშავებას, რომელთაც შემდგომ თავისეულ ლექსთაწყობას უსადაგებდა. ერთი შეხედვით, მისი ლექსი-ბალადები, თითქოს პრთხიულ აბზაცებს მოგვაგონებენ, რომელთა მიღმა იგრძნობა პოეტის ნატიფი სიტყვა ხან კლასიკური რითმის, ხან თეთრი ლექსის ასონანსებით.

1912 წელს საფრანგეთში იგი „პოეტთა მეფედ“ აღიარეს, ეს საპატიო წოდება უფრო ადრე ვიკონტ დე ლილს და ვერლენს ჰქონდათ მინიჭებული.

პოლ ფორი საფრანგეთის „უკანასკნელ ტრიუვერად“ ითვლება.

ბედი

მინდორ-მინდორ დაჰქრის ბედი, გაიქეცი, სტაცე ხელი,
მინდორ-მინდორ დაჰქრის ბედი, სტაცე ხელი, რაღას ელი?

თუკი ვინდა ვაგილიმოს, გაბედე და სტაცე ხელი,
თუკი ვინდა ვაგილიმოს, სტაცე ხელი, რაღას ელი?

ოხრახუშზე დასკუბულა, მიეპარე, სტაცე ხელი,
ოხრახუშზე დასკუბულა, სტაცე ხელი, რაღას ელი?

წვერცანცარას რქებზე ადგას, მიდი, მიდი, სტაცე ხელი,
წვერცანცარას რქებზე ადგას, სტაცე ხელი, რაღას ელი?

ღობე-ყორეს გადაევლე, დაეწიე, სტაცე ხელი,
ღობე-ყორეს გადაევლე... დაგვარგვია, რაღას ელი?

სიყვარულის ქაფი

ჭეშმარიტი სიყვარული ძნელია, — რახან ამბობ, — წუთიერი ვჩვევია,
სიყვარულის ქაფი გაწყდა, მარია, ნუ დამალავ, იქნებ შენი ბრალია?

იქნებ ჩემი, იქნებ სხვისი ბრალია, ბედისწერა — ვაგლახ შეუვალია,
სიყვარულის ქაფი გაწყდა, მარია, დამნაშავეს ნულარ ეძებ,
სიყვარული გაგცრეცია ძალიან.

მათრობელა რამდენის გულს გაივლის, აკიღოა — მის მტევნებს ვინ დაითვლის,
საქორწინო ბეჭედის ხომ მისია, სიყვარულს თუ საფანელი ელევა
ბრაღი — არავისია.

ამ ცოუნების ჯადოსნური ანკესი მრავალ მიჯნურს ცარიელი რგებია,
იქნებ გრძნობას ყავლი ჰქონდა გასული, თუ სიყვარულს ვერაგობა სწევია?

ჭეშმარიტი სიყვარული ძნელია, — რახან ამბობ, — წუთიერი გრევეია,
სიყვარულის ძაფი გაწყდა, მარია, ნუ დამალავ, თქვი, რომ შენი ბრაღია.

ც ი ვ ვ ი

- გაზაფხულზე თუ ზაფხულში, ციყვუნიავ, ხარ მზის სწორი,
გადმოსცქერი დედამიწას, თუ ვართ შენი მოსაწონი?
- ბრიყვები ხართ, უფშურობით არ გყავთ ტოლი.
- კუდფუმფულავ, ხარ ტყის თვალი და სიცოცხლის ნაპერწკალი,
ნამვის ტოტზე შემომჯდარი, რასაც ხედავ ჰა, გვითხარი.
- დედამიწას მტვერში ახვევს თქარათქური აბეზარი.
- ნიავექარის სადარი ხარ, ხეკაკუნას ძმაკაცი ხარ, ბულბული გყავს
ბიძაშვილი, ყვავისთვას ხარ გმირთა გმირი, თუ მტერის ბურუსს
გახედავ, ერთი გვითხარ, რას ხედავ?
- მზეს მუქარით აშინებენ მახვილი და შუბის პირი.
- სიოსავით მონავარდევ, ავწეწვია ყელთან ბეწვი, თვალს აცეცებ,
წკრიალა ხმით დაკისკისებ უღრან ტყეში, რაო, რა ამბავი ხდება
მეწამული ცის ქვეშ, ჩვენში?
- დედამიწას უჰ, რამდენი ჯარისკაცი შესევია ღროშით ხელში.
- თვალგიშერავ, ემხიანო, დაგყოლია ოქროს მადლი, თათებში რომ ვაშლებს
მალავ, რაო, იქნებ ჩვენს სოფელშიც ხდება რამე, ნუ დამალავ.
- სისხლის გუბე ტბად ქცეულა, გაწყვეტილა მთლად ამაღა.
- შემოდგომით თუ ზამთარში, მხიარული ციყვუნიავ, ვაშლებს ისვრი
ცის ლაყვარდში... იქ რას ხედავ, გვითხარ მალე, ნუთუ ხეალაც ის მოგველის,
რაც აქამდე ავიტანო?
- ხომ ვითხარით, ბრიყვები ხართ, არც საშველი გადგათ რამე.

კოლ ვერლენი



აწვიმს და აწვიმს ქალაქს,
აივსო ჩემი გული,
ეს რა ნაღველი მაწევს?
ამიწრიალა სული.

რა ფეხაკრეფით აწვიმს
სახლის სახურავს, მიწას,
იქნებ მიშველოს წვიმამ,
დარდი წაიღოს სხვისას.

რატომ მიტირის გული,
კაეშანს რად ეგუა?
არც მოღალატე ჩანს და
სევდის მიზეზიც ცრუა.

არც სიძულვილი მკლავს და
არც სიყვარული მათრობს,
გამაგებიანა ნეტავ,
ეს გული რაღას დარდობს.

აოლ ელუარი

ვიჯნური

წამწამს მიზიხარ ფირუზის ფერი,
 ტანი ნაძერწი-მკლავია ჩემი,
 ცისფერი ფერია, ჩემს ჩრდილში კრთიები,
 ცისკენ გასროლილი კენჭით ქრები;
 თქროსფერთმიანო, ნუ მიმზერ ჯიუტად,
 დამეხსენ, რომ ძილი ჩამიდგეს თვალებში,

მზესაც დააბნელებს ციურ სპეფოში
 ეგ შენი ზმანება დღის წმინდა ნათელში,
 სიცილად მაქცევს და ცრემლებად
 ვიღვრები,
 ხმას ამოვიღებ და ვერაფერს მიხვდება.

ჩვენ ორნი

ხელმკლავით მივალთ ჩვენ ორნი ერთად,
 ასეა ჩვენში, მოტრფიალეთ გვწამს ერთმანეთის —
 შრიალა ხის ქვეშ, ღრუბლიან ცის ქვეშ,
 შინ ვართ თუ სტუმრად, ბუხრის კუთხეში,
 მარტო ვსეირნობთ მზიან ქუჩებში,
 თუ გვითვალთვალეხს ბრბოს ბეცი თვალი,
 ან გვერდით გვიდგას გონიერი ადამიანი,
 ვართ დიდებს შორის თუ ბავშვებში,
 პო, დაგვიჯერეთ, სიყვარული ვერ ირგებს ნიღაბს,
 ასეა ჩვენში, მოტრფიალეთ გვწამს ერთმანეთის.

გიიომა აკოლინერი

პირაბოს ხიდი

პირაბოს ხიდქვეშ ირწევა სენა,
 გული ჩურჩულებს —
 მომაპყარ სმენა, სიხარულს ჩვენსას
 წინ უსწრებდა ცრემლების დენა.

სიყვარული ხომ წყალივით მიდის
 და გვტოვებს მარტო,
 ცხოვრება ნელა მიიპარება,
 იმედიც ქრება, არ არის სანდო.

ჩამოდექ, ღამევ, გიხმობს ზარები,
 დღენი დამშორდნენ, შეგეფარები!

ჩამოდექ, ღამევ, გიხმობს ზარები,
 დღენი დამშორდნენ, შეგეფარები!

უწინდელივით დავდგეთ პირისპირ,
 ხელი ხელს მივცეთ,
 და ჩვენი მზერით მოქანცულ ტალღამ
 დე, ჩაგვიაროს მკლავების ხიდქვეშ.

მიდიან დღენი, მიჰყვება რწმენა,
 არც სიყვარული, არც წარსული
 არ დაბრუნდება,
 პირაბოს ხიდქვეშ ირწევა სენა.

ჩამოდექ, ღამევ, გიხმობს ზარები,
 დღენი დამშორდნენ, შეგეფარები!

ჩამოდექ, ღამევ, გიხმობს ზარები,
 დღენი დამშორდნენ, შეგეფარები!



სასჯელს არ ჰქვია შურიისძიება



ესპანურიდან თარგმნეს

ელდარ კერძევაძემ და სოსო კანიჭაძემ

პირველი მოთხრობა

ფერარის ერთ-ერთი ქუჩა. ღამეა,
ფერარის ქუროვი, გადაცმული ფეხი, რიკარდო.

რიკარდო

დიდებულია!

ფეხი

გაცვიათ ისე,
ქალაქში — ეჭვიც არ მეპარება —
ვერაუინ იცნობს თქვენს ბრწყინვალეებას.

კერცოვი

არა მგონია, მე მაინც ვშიშობ.

რიკარდო

არ უნდა შერცხვეს მას არაფრისა, —
ვინც გადაიცვამს აგრე იოლადა,
რადგან ამქვეყნად მეფე კი არა,
ზეცაც კი იცვლის ტანსაცმელს თვისას.
ტანსაცმელს იცვლის, აბა რა ჰქვია, —
როცა ბურუსი ღგება დროებით
და ვარსკვლავების ღილ-კილოები
უმშვენებს ხოლმე ნისლის მანტიას.
ჩვეული შუქით ზეცა არ ბრწყინავს
და მკრთალ ნათელში ვანდება ღამე,
და შუა წელზე მბრწყინავი მთუარე
ჰგავს ქამრის ბალთას, — ღირებულს ძვირად.

პერსონა

ნეტა რას ჩმახავს!

შუბი

არა, რას ამბობთ!
ძველი ყაიდის არის პოეტი,
და უნდა ძველი მიეთმოეთი
ახლა სიახლედ შემოგვასადოს.



რიკარდო

თქვენი ბრალდება სწორი არ არის, —
ჩემი რად გიკვიროთ, მაინც ვერ ვხვდები.
რალას არ წერენ დღეს პოეტები,
ციურ საჭოდაც მონათლეს მივარე.

პერსონა

შენ მართალი ხარ, არ ვიციოთ განა
როგორ იხვეჭენ მგოსნის ტიტულებს?
ლექსებიც ისე გააბითურეს...
ისინი ქუჩის მასხარებს ჰგვანან, —
უბირ ხალხს რომ ატყუებენ ხოლმე
ქუჩაში მორჭმით მღვარნი დილიდან,
სასწრაფოდ რომ იღებენ პირიდან
ათასი ფერის ქაღალდის ზონრებს.
თუმცა სჯობს, ახლა ამ ამბებს მოვრჩეთ,
მეტადრე როცა ვიციოთ ასეა.
ლამაზმანი ხომ ეშხით საესეა?

რიკარდო

ანგელოსია სულთ და ხორციოთ,
თუმცა უნაკლო არც იგი არის.

პერსონა

მაინც რა ნაკლი აქვს ასეთი?

რიკარდო

რადა, ქმარი ჰყავს,
თვალს არ აშორებს ერთი წამითაც,
გატანჯულია საწყალი ქალი,

შეგი

დღეღამ მისკენ უჭირავს თვალი,

პერსონა

და განა დიდი ცოდვა არა არის
ლაშაზ ქალს ჰყავდეს 'ჯალათი ქმარი?

**შეგი**

ამბობენ, ქმარი თანახმა არი,
რომ მეგობარი ცოლს ჰყავდეს ბევრი,
მაგრამ რაც უნდა, ეს კარგად ვიცი:
სახლის კარები ღია აქვს მისთვის,
ვისგანაც ძვირფას საჩუქარს ელის,
ასეთი არის ხარბის ბუნება,
ამას რად უნდა ფიცი და მტკიცე —
თუ ცოლი მოკვდა: მან კარგად იცის, —
რომ მას დარჩება მთელი ქონება.

რიკარდო

მოკლედ რომ გითხრათ, კაცი კი არა
ქვეწარმავალი არის ნამდვილი,
ნაღდი ჯიბიდან გაუარდნილი
და ეშმაკების თანაზიარი.
თუმც ბაღის ღია ჰქონია კარი
ხილი ვიგემოთ, არ გვაძლევს ნებას.
შესვლა იმ სახლშიც კი შეიძლება
თუმც მეუჭვება, რომ გავხდეთ რამეს.

პერსონა

რატომ?

რიკარდო

რატომ და, დედა ჰყავთ ავი,
ორი და ცხოვრობს, რომელთა დარი
ამქვეყნად ალბათ ბევრი არ არის.

პერსონა

სახიუათთა ლაშაზი ქალი.

რიკარდო

იმ სახლში ცხოვრობს ლამაზი დონა,
ქალი კი არა, — ვარდების კონა.

პერსობი

ახალგაზრდა თუ ვნებადამცხრალი?



რიკარდო

კარგი ვინმეა, სიმართლეს ვამბობ,
მაგრამ როგორც კი გააღებს კარებს
მზადაა მისი არჯალი ქმარი
ხარივით რქებზე რომ წამოგვაგოს.
ასეთი არის ბუნება ხარის!
აქ ცხოვრობს ერთი ლამაზი ქალი,
კი გაგვიღებდა ის ქალი კარებს,
მაგრამ ღამეა, გვიანი არის.

პერსობი

რა უჭირს მერე.

რიკარდო

არ შეგვიშვებენ,
ოჯახში ადამიანებს იცავენ.

პერსობი

მზადა ვარ
იმ ქალს ვუთხრა ვინცა ვარ.

რიკარდო

ო, მაშინ ნაღდად კარს გაგვიღებენ!

პერსობი

დაუკაკუნე, რაღას უყურებ.

რიკარდო

ახლავე,
ორჯერ, მისივე ნებით.
(აკაკუნებს)

გამოსვლა მეორე

ისევ იხინი და ცინტია სარკმელთან.

ცინტია

ვინ არის?

რიკარდო

ჩვენ ვართ.

ცინტია

ვინ?

რიკარდო

მეგობრები,
ცინტია, შეხსენ კარებს ურდული!
თვით ჰერცოგია შენი სტუმარი,
იმდენი გაქე, — გეწვია იგი.

ცინტია

რაო?

რიკარდო

არ გჯერა?

ცინტია

ის კი არ მიკვირს,
რომ იგი ახლა თქვენ შორის არის,
არამედ უფრო მაკვირვებს, ვფიცავ,
ასეთ მაღალ გვამს რა უნდა ამ დროს.

რიკარდო

შენთან მოვიდა, რომ აგამაღლოს
და გაზიაროს სიმაღლეს თვისას.

ცინტია

ვერ დაგიჯერებთ, რიკარდო, ხალდად,
რომ ჰერცოგს ჩვენსას ახლა არ სძინავს,
სტუმრობა მისი ერთი თვის წინათ
გასაკვირველი არ იყო, რადგან
ყმაწვილობიდან ცხოვრება მისი
საბაბი იყო ლანძღვის და ჭორის,
გარყენილებაში არ ჰყავდა ტოლი,
იყო ნიადაგ გაკიცხვის ღირსი.

ლჯახს არაფრით არ მოეკიდა,
 კასანდრაც მალე ჩამოიცილა
 და ფედერიკოს, — ვაი, სირცხვილო! —
 ნაბიჭვარს, — თელიდა ყველა შემკვიდრედ
 (თუმცა ფედერიკო ყველა ღირსებით
 შემკული არის, როგორც შეჰფერის),
 ხოლო ჰერცოგი, მეუფე ჩვენი,
 თურმე არ დადის ჩვეული გზებით.
 მანტუიაში გაგზავნა შვილი,
 რათა კასანდრა კვლავ დაუბრუნდეს
 მშობლიურ ქალაქს, საკუთარ ბუღეს,
 და თავის ქმართან იცხოვროს ტკბილად.
 და მეუბნებით თქვენ ამის მერე,
 თითქოს ჰერცოგი თქვენ შორის არის.
 მთხოვთ, შუალაძით გაგიღოთ კარი
 რატომ გგონიათ რომ დაგიჯერებთ?
 ან რას იტყოდა ჰერცოგი თავად,
 შვილი რომ ასე მოიქცეს მისი?
 გთხოვთ მოიქეცით, რიკარდო, ისე, —
 როგორც შეჰფერის ჭეშმარიტ თავადს.
 როგორღა ბედავთ დასწამოთ ცილი
 მეუფეს ჩვენსას, რომელიც ახლა
 მეშვიდე სიზმარს ნახულობს ალბათ, —
 მოლოდინშია ცოლის და შვილის.
 თქვენ კი დადიხართ კარიდან კარად
 ვითომ ჰერცოგი იყოს მიზეზი.
 ხვალე საღამოს გეპატიუებით,
 ახლა სახლისკენ მოუსვით ჩქარა,
 (სარკმელს ხურავს და უჩინარდება)

გამოსვლა მესამე

ფერარის ჰერცოგი, ფეხი, რიკარდო

პერცოპი

რას ვადამკიდუ, ეს რა მიყავი!

რიკარდო

მე დამნაშავე არ ვარ, სინიორ!

პერცოპი

ლამის ბოღმისგან ვადავირიო,
 სირცხვილით სადღა გამოუყო თავი!



ფაბი

ოლონდ მიბრძანეთ, — სახლიდან იმ ქალს
გამოვაბრძანებ, როგორც მჩუვევია.



პერცოზი

ვაი, სირცხვილო!

ფაბი

უეჭველია,
თქვენ შეგაცდინათ რიკარდოს სიტყვამ,
მაგრამ, სინიორ, მონარქსი თუ სწადის
ვაიგოს მასზე რას ამბობს ხალხი, —
ის ხშირად სტოვებს ღამით სასახლეს
და გადაცმული ქალაქში დადის,
რომ ყველაფერი ვაიგოს ნათლად
და საკუთარი თვალებით ნახოს,
ხალხის ცხოვრებას გაეცნოს ახლოს, —
უფრო მორჭმულად იმეფოს რათა.
ადრე მრავალი ლეგენდარული
მეფე ქვეყანას ასე მართავდა.

პერცოზი

უნიჭო იყო ყველა მათგანი,
მოიეფენი ჭკუით და სულით.
რამეთუ ამ ბრბოს ბნელსა და უღირსს,
შენ რაც არ უნდა დამიწყო ბრძნობა, —
არ გააჩნია აზრი და გრძნობა.
მეფეს, რომელსაც რაიმედ უღირს
რჩევა და განსჯა მდაბიო ხალხის, —
და მათი აზრის მიჩნევა წესად, —
გულწრფელად გეტყვით სიძარტლეს ჩემსას —
ასეთი მეფე ჩირადაც არ ღირს.
საკმარისია მოშურნემ ვინმემ
მოჩმახოს ჭორი და ამის მერმე
ზე აიტაცებს ხალხი და ჰერი!
ვერაფერს ვეღარ გააგებინებ.
ცხოვრება ჩვენი მათ არ უწყვიან
და ბრბო იოლად დაგიდევს არას,
სრულიად მცირე მიზეზიც კმარა, —
გლანძღავს და გოათხავს რაც შეუძლია.
ცოლთან ცხოვრება მიმაჩნდა ტვირთად
და დროსტარებას მიყვავი ხელი,
უკანონო შვილს ვუბოძე ჩემი

მემკვიდრეობა, მაგრამ ხომ ვირთავ
კასანდრას ცოლად და ფედერიკო
მანტუიაში ვავგზავნე, რათა
დაბრუნდეს იგი საკუთარ ქმართან,
კანონიერი მეუღლე იყოს.
რაც იყო, იყო, ჩაბარდა ლეთას.



ფეხი

ეს ქორწინება ყველაფერს შეცვლის.

რიკარდო

აქ სინიორი ბრძანდება ერთი,
მოდით ვესტუმროთ ყველანი ერთად.

კერცობი

მღერიან?

რიკარდო

დიახ.

კერცობი

სახლი ვისია?

რიკარდო

ერთი პოეტის.

ფეხი

ბადალი რომლის
არ არის ახლა პოეტებს შორის.

კერცობი

სიმღერა მათი ქების ღირსია.
ნუთუ ლექსებიც ასე კარგია?

რიკარდო

ეს გააჩნია ვის როგორ უნდა:
მეგობრები მათ აქებენ მუდამ, —
მტრები ლანძღავენ როგორც სწადიათ.

ჟეზი

ვინ იცის მათთან რამდენი მღერის
ხელმოცარული და დამთხვეული.

კერცობი

დარბაზი კარგი, დასი რჩეული,
ფეხ, იქირავე ჩემი სახელით,
რადგან მექნება ძალე ქორწილი
და მსურს აქედან ვიცოდე ბარემ,
არ ითამაშონ პიესა მდარე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟეზი

არ დავაყოვნებ აკრძალვას იმის,
რაიც რჩეულთა არ არის ღირსი

კერცობი

ჩუ!

რიკარდო

ბანოვანის ხმა ისმის ამო.

კერცობი

რა სიმღერაა, როგორი გამა,
ანდრულინაა, ვიცანი მეისვე

ქ ა ლ ი ს ხ მ ა (სცენის მიღმა)

მეხსიერებავ, გთხოვ შებრალებას!
მოგონებებით მაწუხებ ნულარ,
რაიც წარსულმა მომაგო უხვად,
სიაპე, ტკბობა და ნეტარება —
დღეს სამწუხაროდ, მექცა წამებად.
ვცდილობ წარსულის გადავიწყებას
დასამარებას და დამიწებას,
თქვენ კი ჯიუტად წარსულს მახსენებთ
და გულს დაფლეთილს აღარ ასვენებთ.

კერცობი

რა ტკბილი ხმაა!

ჟეზი

როგორი წმინდა!

კერცობი

თუმცა კარგია ამ ხმის მოსმენა,
მაგრამ მე წავალ და მოვისვენებ.

რიკარდო

ადრე არ არის?

კერცოზი

უკვე მომწყინდა



რიკარდო

ამ სიმღერის არ იწამო ძალა —
ცოდვია,

კერცოზი

ვშიშობ მწერლუკამ ბრაზით
ამ პიესაში ჩადო სხვა აზრი.

რიკარდო

თქვენს წინააღმდეგ? მე ვფიქრობ, არა.

კერცოზი

არ დაივიწყო, რიკარდო: დრამა
სარკვე ჩვენი ცხოვრების, სადაც
ჩანს ყველაფერი: რთულიც და სადაც,
ლაჩარიც, გმირიც, შვილიც და მამაც,
ქურდიც, მსაჯულიც, სულელიც, ბრძენიც,
ყმაწვილი, პრინცი, მოხუცი, გლაზა
და კარგად იცი, არ ვამბობ ახალს, —
ყველა სახეში ჩანს სახე ჩვენი,
ჩვენი ცხოვრების სიღრმე და სიგრძე,
რანი ვართ, ანდა რანი ვიყავით,
შეფარულია კეთილში ავი,
ცბიერ სიცილში — სიმართლის სიბრძნე.
იმ ქალბატონმა რაც უსირცხვილოდ
მოურიდებლად და თავხედურად
თქვა, ხელმეორედ არ მინდა სულაც
მეორისგანაც რომ მოვისმინო.
გადავიწყე ვხედავ სრულებით,
რომ ტახტის მფლობელს არ უნდა, არ სურს,
მწარე სიმართლეს, დრამაში ჩასმულს,
უსმენდეს ასე დაუსრულებლად.

ბილიკი ტყეში

გამოსვლა პირველი
მდიდრულ სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი
გრაფი ფედერიკო და ბატინი.

ერქონსული
ბიზნისიონია

ბატინი

რა მოგივიდათ, გრაფო, გხედავთ ესოდენ შეცვლილს,
ყოველ ხის ძირას ყოვნდებით და მარცხით მართლა,
ბუნებით ეგზომ მოუთმენელს რა დაგემართათ?

ფედერიკო

დავნაღვლიანდი, სიჭაბუკის არ მომდევს ცეცხლი.
შუამავლობის და ელჩობის არა მაქვს ძალა,
გულმოღვინებას ამ საქმეში ვერა ვიქმ ძალად.
მალიზიანებს მამაჩემი, მისი ამაღლა,
მწარე ფიქრებით ვარ აღსავსე, არ დაგიმაღავ
ხეთა ჩრდილებში, სიმწვანეში, მდინარის პირად, —
დავეხეტები მარტოღმარტო, ვიქეცი ჩრდილად.
ცოლი მოუნდა მამაჩემს და ამისი ბოლო
ის არის, რომ ტახტს სამუდამოდ გამოვეთხოვო.
ვარეგნულად ვარ მხიარული, ვერ იტყვის ენა
გულში ჩაკვალი რაოდენი დარდი და წყენა.
არც მუხლი მიჭრის, აღარც გული, აღარც გონება,
მომძულდა თავი, აღარაფრის მსურს გაგონება,
ამდენი ფიქრი უამური დამიჯდა ფასად,
მანტუიაში იმიტომ არ ვიჩქარი წასვლად, —
დედინაცვალთან შესახვედრად არ მყოფნის ძალა.

ბატინი

მამათქვენს იმდენს აგინებდა მთელი ქვეყანა,
მოსწყინდა ბოლოს გარყვნილება, ჩხუბი, ლოთობა,
და გადაწყვიტა დადინჯება,
ჭკუის მოხმობა,
ოჯახის შექმნა,
მეუღლისთვის ერთგული ქმრობა.
ამბობენ, თურმე ფრანგთ ხელმწიფეს,
დიდი ხნის წინათ,
ცხენი აჩუქა თეთრზე თეთრი
ვასალმა-ვინმემ.
აჯილდა იყო,
მიწას სცემდა ფაფარი მისი,
ვერაღინ შესძლო შეეკაზმა
ცეტი და ვიჟი.
ღმერთს რომ შემთხვევით ვაეჩინა
ის ცხენი ქალად, —

დააურვებდა მას ვერავინ, —
 'ლამაზს და თამამს.
 იმ ცხენმა ყველა გაავიჟა და გაამწარა,
 ბრძანა ხელმწიფემ
 წაეყვანათ ხანდაკში ჩქარა,
 ხანდაკში ჰყაუდათ
 ლომი ერთი, საზარი მეტად,
 რა ნახა ლომი, წახდა ცხენი,
 დაესხა რეტი,
 ბალანი ფალეზე დაუდგა და
 ეცვალა ფერი,
 გადაავიწყდა იმ საბრალოს თივა და ქერი,
 და მოიღვენთა,
 მოიმჩვარა საწყალი ისე,
 რომ ქონდრის კაცსაც
 დაურვება შეეძლო მისი.
 ყველას შეეძლო ამოედო
 ლაგამი პირში, —
 მასზედ ძლიერის
 ყველასა აქვს ამქვეყნად შიში.



ფედერიკო

გაჩენის დღიდან მამაჩემი იყო გარყვნილი
 და ქორწინება ერთადერთი არის ალვირი
 მისთვის.
 და ვიცი გასატეხი რომ გავიჟეჟე.
 სწორედ ისაა მწუხარების ჩემის მიზეზი,
 რომ მამაჩემი ქელუხრელი, შემდგომ ქორწილის,
 გახდება ისე, ვით ის ცხენი გახდა მორჩილი
 წინაშე ლომის,
 და იცხოვრებს ჩრდილივით მშვიდად,
 გადაივიწყებს, რაც გააჩნდა
 გაჩენის დღიდან.
 როდესაც ჩვილი
 წვერებზე ხელს მოუთათუნებს,
 ცოლი ალერსით
 როდესაც თავს მოიკატუნებს,
 რბილი გახდება.
 მუდამ მშვიდი ექნება ძილი,
 ჩაკვდება მისი გარყვნილების ხოში და ჟინი.
 მე კმაყოფილი ვიყო მამის კეთილდღეობით —
 როდესაც ვკარგავ სამუდამოდ მემკვიდრეობას?
 აჯილღა ცხენის დაურვება
 მე დამდეს ვალად,
 მეჯინიბე ვარ საცოდავი, —
 აბა სხვა რა ვარა.
 ლომს ჩამოვიყვან და ის ლომი მე შემჭამს თავად.

ბატიანი

სინიორ, სწორედ ახლა გმართებს
 განსჯა და ჭკუა,
 უნდა ეცადო შენი ქცევით რომ მოატყუო
 დედინაცვალი,
 მოაჩვენე, რა გენალვლება
 თითქოს მორჩილებ მის სურვილებს, აზრსა და ნებას.



ფაღერიკო

დედინაცვალი ავიტანო!..

ბატიანი

სამს გაუძელოთ
 და ახლა ერთივ აიტანეთ, იყავით ბრძენი.
 გულს ნუ აჰყვებით და ამგვარად მოიგებთ მხოლოდ,
 ჰერცოგინია არის იგი, ბოლოს და ბოლოს.

ფაღერიკო

ჩუ! ორი ქალი კივის სადღაც! საიდან მესმის?

ბატიანი

მდინარის გაღმა, ტყეში ალბათ რაღაცა ხდება.

ფაღერიკო

მე გავიქეცი!

ბატიანი

საით? თქვენ იქ რა გესაქმებათ?

ფაღერიკო

ლაჩარო, როგორ მივატოვებ ქალს განსაცდელში!
 (გარბის)

ბატიანი

მამაცმა მუდამ გაფრთხილება უნდა ყურს იღოს.
 ჰეი, ალბანო! ჰეი, ფლორო! ჰეი, ლუსინდო!

გამოსვლა მეორე

ბატიანი, ლუსინდო, ალბანო, ფლორო.

ლუსინდო

რა დაემართა გრაფს?

ფლორო

ცხენები არ მივიყვანოთ?

ალბანო

სად არის გრაფი?

ბატინი

მდინარისკენ გაქრა საჩქაროდ, —
როგორც სწვევია, — ვიღაც ქალებს რომ დაეხმაროს.
მსახურებს უხმეთ, მოემზადეთ, არ დაახანოთ,
მე გაუიქცევი, რაიმეს არ გადაეყაროს.

(გარბის)

გამოსვლა მესამე

ლუსინდო, ალბანო, ფლორო.

ლუსინდო

საით? შეჩერდი!

ალბანო

ყოველივე
ხუმრობას მოჰგავს.

ფლორო

შენ მართალი ხარ,
მაგრამ მაინც მესმის ხმაური,
ხუმრობისათვის უსიამო და უცნაური.

ლუსინდო

გრაფი მოიყვანს დედინაცვალს, რად უნდა ბრძნობა,
მაგრამ არ უნდა დაემონოს მის ნება-სურვილს.

ალბანო

ბრძაც კი შეამჩნევს, — ჩუმაღ როგორ უკვდება გულს.

გამოსვლა მეოთხე

იგივენი და გრაფი ფედერიკო, რომელსაც ხელში აყვანილი მოჰყავს კასანდრა.

**ფედერიკო**

გაკბედავ გკითხვით, სინიორა, თუ შეიძლება ძირს, ბალახებზე რომ დაგაწვინოთ?

კასანდრა

თქვენს სიმამაცეს და თაკლადას,
სინიორ, გულწრფელ ძაღლობას ვწირავ.

ფედერიკო

ბედის უსაზღვროდ ვარ ძაღლობელი,
რომ მთავარ გზიდან გადავუხვიე,
ტყე-ტყე ვიარე, და აი, შეგხვდით.

კასანდრა

რაინდო! ვინ არიან ესენი?

ფედერიკო

ეს ნაწილია ჩემი ამაღის.
თქვენ, სინიორა, არ შეგეშინდეთ,
თქვენდა მსახურად მზადაა ყველა.

გამოსვლა მეხუთე

იგივენი და ბატინი, რომელსაც ხელში აყვანილი ლუკრეცია მოჰყავს.

ბატინი

(ლუკრეციას მიწაზე აწვენს)
ვხედავ, ლამაზებს ზნე-ხასიათი
უფრო მჩატე აქვთ, ვიდრე სხეული.

ლუკრეცია

სადა ვარ ახლა? მიოხარ, ძვირფასო!

ბატინი

გამოგაშორე მდინარის ნაპირს,
ტალღებისაგან დახრულ კბილებს,
სილას და ტლაპოს, სად მუხლებამდე
შეიძლებოდა ჩაფლულიყავი.
სადაც მდინარის მშფოთვარ ტალღებმა
გადააბრუნა თქვენი კარეტა,
რომ მოეტაცა ორი ფერია.
ცოტათი შორს რომ ვყოფილიყავით, —
გაჭირდებოდა უთუოდ შეველა.



ფედერიკო

(კასანდრას)

გემუდარებით სახელი თქვენი
მიბოძეთ,
რომ მე საძრახი რამე, —
რაც არ შემფერის, — არ ჩავივლინო.

კასანდრა

სინიორ!
რატომ არ უნდა გითხრათ
სახელი ჩემი, — კასანდრა მქვია.
ვარ მანტუიის პერცოვის შვილი,
ცოლად ვეკუთვნი ფერარის პერცოვს.

ფედერიკო

თან რად არ გახლავთ თქვენი ამაღლა, —
როგორც შეჭფერის თქვენს ბრწყინვალებას?

კასანდრა

რას ამბობთ!
განა გავბედავ მარტომ
ვიმოგზაურო ამხელა გზაზე.
ჩემი თანმხლები არის მარკიზი
გონზაგო,
და მე ვისურვე თაყად
წინ მევლო, რათა დავმტკბარიყავი.

სილამაზით და თავისუფლებით
და მდინარეში შევედით ოდეს,
გადაგვიბრუნდა უცებ კარეტა,
თითქოს ფორტუნამ იქ განმიძადა
სიკვდილი, თუმცა რა შუაშია
ფორტუნა, როცა კარეტის ბორბლებს
ალარ შეეძლოთ სილაში ბრუნვა.
სინიორ, თქვენ კი, თქვენ ვინ ბრძანდებით?
მე კარგად ვხედავ, თქვენს გარეგნობას
კეთილშობილის ბეჭედი აზის,
და მოიქეცით, როგორც შეჭფერის
ჭეშმარიტ რაინდს, უსაზღვროდ მამაცს.
ამგვარ ქცევისთვის არა თუ მარტო
მე გწირავთ ახლა გულწრფელ მადლობას,
არამედ მარკიზს და მშობელს ჩემსას
თქვენ სიკვდილამდე ემახსოვრებით.



ფელეტიკო

გეტყვით ვინცა ვარ, მაგრამ მანამდე
ნება მიბოძეთ ხელზე გემთხვიოთ.
(ჩაიმუხლებს და ხელზე ემთხვევა)

კასანდრა

თქვენ დაიჩოქეთ? უხერხულია
დაცემა მუხლზე! თქვენი უსაზღვრო
ყურადღებით ვარ გარემოსილი.

ფელეტიკო

თქვენი შვილი ვარ და, სინიორა,
ვასრულებ მხოლოდ მოვალეობას.

კასანდრა

რომ ვერ გიცანით, ეს ჩემს ღირსებას,
რალა თქმა უნდა, არაფერს მატებს.
კიდევ ამიტომ, სხვას ვის შეეძლო
ამ განსაცდელში ეშველა ჩემთვის?
ნება მიბოძეთ, რომ გეამბოროთ!

ფელეტიკო

გთხოვთ, დამიჯეროთ,
არ ვღირვარ ამაღ.

კასანდრა

მხოლოდ ამგვარად თუ შემიძლია
ვალში არ დაგრჩეთ თქვენ, ფედერიკო.

ფედერიკო

მიიღეთ გული გრძნობებით სავსე
(ერთმანეთს გადაუხვევიან და ჩურჩულებენ)



ბატინი (ლუკრეცია)

რახან აღმოჩნდა ეს ქალბატონი
იგი, ვისთვისაც მანტუიაში
გამოვევაგზავნა ჰერცოგმა ჩვენმა, —
ვბედავ ვიკითხო სახელი შენი,
მინდა ვიცოდე როგორ მოგმართო, —
როგორც ქალბატონს, თუ მსახურ გოგოს?
რომ არ გაკადრო რამ უკადრისი, —
რაიც ქალბატონს არ ეკადრება.

ლუკრეცია

მე, მეგობარო, პატარობიდან
ჰერცოგინიას ვემსახურები,
პირფარეში ვარ მისი და მუდამ
დავეყვები, სადაც არ უნდა იყოს.

ბატინი

მამ, ხადუმი ხარ?

ლუკრეცია

არა.

ბატინი

თუმც, რომ ვთქვათ,
რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას,
როცა შენ მისი უსაზღვრო ნდობით
სარგებლობ თურმე, მასთან ხარ მუდამ.
ბატონებს ხშირად ჰყავთ გაიძვერა
მსახურნი, დიდხანს რომ ვერ შეამჩნევ,
ხოლო გავლენა მათი დიდია.
რა გქვია?

ლუკრეცია

მხმობენ მე ლუკრეციად.

ბათინი

რომაელი ხარ?

**ლუკრეცია**

ო, სულაც არა.

ბათინი

მადლობა უფალს! მომბეზრდა ფრიად
ხანჯლით მუქარა, ძალმომრეობა,
და ცუდმედდი სიძვის დიაცნი,
მათთან მე ბევრი ვიხუტიალე,
მივაგე ბევრი მისაგებელი.
შენც რომ გყოლოდა ტარკვინიუსი?

ლუკრეცია

ვინ?

ბათინი

რას იზამდი ნეტავი მასთან?

ლუკრეცია

ცოლიანი ხარ?

ბათინი

რა საჭიროა
ახლა ესოდენ უაზრო კითხვა?

ლუკრეცია

ამის შესახებ
მეუღლეს ჰკითხე.

ბათინი

ო, ძალზე ჩქარა იძლევი პასუხს!
იცი ვინა ვარ?

ლუკრეცია

არა, არ ვიცი.

ბატინი

ეს როგორ! ნუთუ არ ვაგიგია
მანტუიაში სახელი ჩემი, —
ბატინი?



ლუკრეცია

ასეთი წარმოდგენა
საკუთარ თავზე! შენ მე მაგონებ
იმას, რომელსაც თავის სიბრყვით
პგონია, თითქოს ქვეყანა იცნობს,
მაშინ როდესაც სახელი მისი
მის სოფელშიაც არ იცის ყველამ.

ბატინი

ღმერთია მოწმე, არა მაქვს ცოდვა, —
მივისაკუთრო დიდება სხვისი,
ამოვეფარო მეზობლის სახელს.
ვიხუმრე, თორემ რა თავში ვახლი
სახელ-დიდებას, მეტადრე მაშინ,
ოდეს ამისი არა ვარ ღირსი,
თუმც ბავშვობიდან მინდოდა ნასწავლ
ხალხში ტრიალი, გამეგო რათა
აუკარგი ჩვენი ყოფა-ცხოვრების.
დამსახურება უმეცარ ხალხში
სახელ-დიდების ეს იგივეა, —
შენვე მოიმკო სიბრყვე შენი,
რაიც ესოდენ დასთესე უხვად.

კასანდრა (ფედერიკოს)

არ ძალმიძს ახლა გამოვთქვა ენით
გრძნობები, რაც ჩვენს შეხვედრას ახლავს, —
უძამაცესი ყოფილხართ მართლაც,
იმიტომ ბრწყინავს სახელი თქვენი.
თქვენი ქცევა და სიტყვა ყოველი —
უნდა ირწმუნოთ სიტყვები დედის, —
უპვირფასესი განძია ჩემთვის
და სხვა არაფრის არ ვარ მთხოველი.
ყველა ღირსებით ხართ შემკობილი
გულით მამაცი, ტანად წყობილი

და უაღრესად კეთილშობილი.
 გადამავიწყდა ის განსაცდელი, —
 ძალაღ ღმერთს ასე უნდოდა ალბათ
 და ყველაფერი დასრულდა კარგად
 და დააჩქარა შეხვედრა ჩვენი.
 არ ბობოქრობენ ტალღები უკვე,
 შუქი ელვარებს დამეულ ცაზე,
 მეზღვაური ვარ, მაკალი ზღვაზე,
 თქვენ, ფედერიკო, ხართ ჩემი შუქი.
 მდინარე ჩემთვის ზღვა იყო ვრცელი,
 ხოლო კარუტა — ხომალდი ჩემი.
 ამიერიდან მიმიღეთ ისე
 ვით ღვიძლი დედა, რომელსაც უნდა
 შვილის სიკეთე, ვეცდები მუდამ,
 რომ ვიყო თქვენი დედობის ღირსი.
 გრაფო! დღეიდან ვამაყობ მეტად,
 რომ მეყოლება ასეთი შვილი, —
 კეთილშობილი, მამაცი, ზრდილი, —
 მეტი რა უნდა ბედნიერ დედას,
 დედის გრძნობებთან მეტად მცირეა
 ყოფნა ფერარის ჰერცოგინიად.



ფედერიკო

თუმც სილამაზემ, სიტურფემ თქვენმა
 წამართვა ენა, მაქცია მონად, —
 მაინც ვეცდები, რომ, სინიორა,
 ვიამბოთ ჩემი ჭირიც და ლხენაც,
 ჰერცოგს, — მბრძანებელს და მშობელ მამას
 გაჩენის დღიდან კარგად თუ ავად
 ვმსახურებ თავის დაუზოგავად, —
 რაც გამაჩნია ღონე და ძალა
 მამას ვეკუთვნი სისხლით და ხორციით,
 იმით, დღემდე რაც ვიცხოვრე ქვეყნად,
 მაგრამ რაც იყო,
 შეხვედრამ თქვენთან
 გადამავიწყა, მხურვალე ლოცვად
 სულს მოევლინეთ და ვხედავ ახლა, —
 რომ ქვეყანაზე შეორედ გავჩნდი.
 თქვენ მაგრძნობინეთ სიცოცხლის არსი
 და ჩამიბუდეთ სხეულში სული,
 რასაც კი დღემდე ვამბობდი მდურვით
 და ვწუწუნებდი, — ჩალადაც არ ღირს.
 ო, ეს არ არის ყასიდად თქმული, —
 მამის ვარ სისხლით
 და თქვენი — სულით.
 ჰერცოგინია, დღეიდან თქვენი

სიყრმის შვილი ვარ, რომლის გაჩენას
დიდი ხანია ფერარა ელის!
დღეს დავიბადე, გაჩენა ჩემი
მეორედ, ქვეყნად ვისაც არ სჯერა,
უბრალოდ ვეტყვი: პლანეტა ჩვენი
პლანეტებს შორის ყველაზე ძველი, —
მზეც კი ყოველდღე კვლავ იბადება.



გამოხვლა შეექვსე

იგივენი, მარკიზი გონზაგო და რუტილიო

რუტილიო

ყველა ესენი მე იქ დავტოვე

მარკიზი

ვერ ავცდებოდით უბედურებას, —
ამ კეთილშობილ და მამაც რაინდს
განსაცდელის ფაშს რომ არ ეშველა.

რუტილიო

ისურვა მისმა უმაღლესობამ
მარტოდ დარჩენა, გასაგრილებლად
მუხლამდე რომ ჩამდგარიყო წყალში.
ხანი გამოხდა არც ისე დიდი
და შემომესმა კივილი უცებ,
მდინარისაკენ გაუქანდი მყისვე,
მაგრამ ის უკვე გამოეყვანა.
აქეთ ნაპირზე ამ მამაც რაინდს,
გამოვიტყევი თქვენს შესახვედრად,
რომ თქვენთვის შემცნო ეს ყველაფერი.

მარკიზი

ხედავ, ძლივს მოსჩანს წყალში კარეტა
იქ, სილიანი ნაპირის ახლოს.

რუტილიო

აღრე არ ჩანდა, გვეფარებოდა
ხეები, ახლა კი კარგად ვხედავ, —
თანმზღებნი ჩვენი მამაც რაინდის
ცდილობენ ნაპირზე გამოეყვანას.

კასანდრა (ფედერიკოს)

გრაფო, შეხედეთ თქვენს წინაშეა
ურთოგულები მხლებელი ჩემი.

მარკიზი

ო, ქალბატონო!..

კასანდრა



მარკიზო!..

მარკიზი

ახლაც

შიშით მაჟრუღლებს, როდესაც ვფიქრობ, —
შეიძლებოდა დამზრჩვალყოფიოთ.
და ახლა უფაღს მადლობას ვწირავ,
რომ ყველაფერი დამთავრდა კარვად.

კასანდრა

ამ სინიორის გამბედაობის
და სიმამაცის წყალობით, მხოლოდ,
მისი უსახღვროდ ვარ მადლობელი.

მარკიზი

სხვას ვის შეეძლო მამაცთა შორის, —
ძვირფასო გრაფო, — თუ არა თქვენა
განსაცდელისგან დაგეხსნათ იგი
ვინც თქვენი დედა გახლება ძალე?

ფედერიკო

სინიორ მარკიზ, მე ვინატრებდი
რომ იუპიტერს ავბედ წუთებში
გადავექცეიე ჯადოსნურ ჩიტად, —
გადავუფრენდი მშფოთვარ მდინარეს,
მთებსა და კლდეებს, ტყესა და ველებს,
ავფრინდებოდი მალლა, სულ მალლა,
გულზვიად სრბოლით, ვით ფაეტონი
და ჩავიკრავდი მძლავრი ბრჭყალებით
ჰერცოგინიას სათუთად გულში,
და წაუიყვანდი იმ ქვეყანაში, —
სადაც ჰერცოგი, მეუფე ჩემი
ჰერცოგინიას დღედაღამ ელის.

მარკიზი

გრაფო! მალაღმა ღმერთმა ინება, —
ღმერთმა, რომელმაც თქვენ მოგავლინათ

პერცოვინიას გადასარჩენად, —
თქვენ და კასანდრა აწ და მარადის
ერთმანეთისთვის ზრუნავდეთ მუდამ,
რომ იტალია გაოცებული
იყოს იმ კეთილშობილი გრძნობით, —
რომელიც დღემდე ეგონა მტრობა.



მარკიზი და ფედერიკო საუბარს განაგრძობენ, კასან-
დრა და ლუკრეცია გვერდზე გადიან.

კასანდრა

სანამ მარტო ვართ და არვინ გვისმენს,
შენ, ლუკრეცია, ფედერიკოზე
რას იტყვი?

ლუკრეცია

სანამ ვიტყვოდე რამეს,
სინიორა, მსურს დარწმუნებული
ვიყო, — პასუხით არ განრისხდებით,

კასანდრა

თუმცა კი ვხვდები რაც უნდა მითხრა,
თქვი.

ლუკრეცია

მაშ, სიმართლე არ დაგიმალოთ?

კასანდრა

დიახ, მაგას ვთხოვ.

ლუკრეცია

ბედნიერებას
ჰპოვებდით სულ სხვა ქორწინებაში.

კასანდრა

შენ მართალი ხარ, მაგრამ ხომ იცი,
რომ ჩემი თავი მე არ შეკუთვნის, —
და რომ ვეძიო მიზეზი ახლა
მანტუიაში გასაბრუნებლად, —
მამაჩემს ველარ გადაუურჩები,
განრისხებული სიკვდილით დამსჯის;
და ყბად აიღებს ჩემს ასეთ ქცევას

იმ დღიდან ყველა იტალიელი.
 ესეც რომ არა, ვერ ხედავ განა, —
 გრაფი მეუღლედ რომ არ შემფერის?
 ამიტომ ჩემთვის ჩაკეტილია
 გზა სამუდამოდ მანტუიაში.
 მინდა თუ არა, უნდა წავიდე
 და ფერარაში ვეახლო პერცოვს,
 რომლის ლოთობა და გარყვნილება
 რა დაგიმალო და, შიშით მზარავს.



მარკიზი (მსახურებს)

ჰეი! ამაღა შეკრიბეთ ჩქარა!
 ტყე ჩრდილოვანი, მაგრამ ცბიერი
 დავტოვოთ და გზას ვაკუდგეთ შვეებით.
 შენ, რუტილიო, კეთილის მაცნედ
 დაიძარ სწრაფად და ფერარაში
 ყველაზე ადრე ეახლე პერცოვს.
 უნდა მოჰფინო ფერარის ქუჩებს
 სასიხარულო ამბავი ესე, —
 რომ დაიჯეროს უკლებლად ყველამ
 რაიც არავის სჯეროდა დღემდე.
 პერცოვინია! მომეცით ხელი!
 გრაფს, მსახურებო, მიჰგვარეთ ცხენი!

ფლორო

ჩქარა!
 გრაფს ცხენი!
 (მსახურნი მიდიან)

კასანდრა

ჩემს კარეტაში
 ვთხოვთ, გრაფო! ასე უმჯობესია.

ფედერიკო

ბრძანებას თქვენი უმაღლესობის
 სიამოვნებით ვემორჩილები.
 (მარკიზი ხელს უწვდის კასანდრას და ერთად მიდიან)

გამოსვლა მეშვიდე

გრაფი ფედერიკო და ბატინი.

ბატინი

რა ლამაზია პერცოვინია!

ფედერიკო

მართლაც კარგია, რას იტყვი, ბატინ?

ბატინი

კარგი? რას ამბობთ, ანგელოზია,
თეთრი შროშანი, რომელსაც უნდა
მაისის დილის ოქროსფერ ცვარში
განბანა, რათა საკინძეებად
იქცეს მის გულზე ყოველი წვეთი.
უფრო ლამაზის არ ვარ მნახველი.
დრო აღარ ითმენს (ჰერცოგინიას
მოართვეს უკვე კარეტა; თქვენაც
გმართებთ, სინიორ, საჩქაროდ წასვლა)
მინდოდა მეთქვა ის, რომ...



ფედერიკო

გაჩუმდი.
რა ეშმაკიც ხარ, ისედაც ვხედავ,
ამოიკითხე სურვილი ჩემი
და ვინდა ახლა დამიდასტურო.

ბატინი

...რომ ულამაზეს ნაყოფს ბუნების,
ამ ვარდს მაისის ნამით დაცვარულს,
ხასხასა მიხაკს, ჩარიჩქს კრიალას
და პირმშვენიერ ახალ ელენეს, —
ამ დიდ საუნჯეს თქვენ უნდა ფლობდეთ
და არა თქვენი გარყვნილი მამა.
მაგრამ კანონებს, დასწყევლოს ღმერთმა,
სად გაექცევი!

ფედერიკო

დრო არის უკვე
წვიდეთ, თორემ ამდენი ქება
დედინაცვლის არ ეგების ჩემგან,
დაეჭვდებიან.

ბატინი

სინიორ! აწ კი
გულწრფელად მინდა, რომ მოგეჩვენოთ
ჰერცოგინია მახინჯ არსებად.

(მიდიან)

სასახლის დარბაზი ფერარის გარეუბანში,
დარბაზის ფანჯრები ბაღს გადასცქერის.

გამოსვლა პირველი



ფერარის პერცოვი და ავრორა

პერცოვი

კასანდრა მალე ჩვენთან იქნება
თუ მართალია, წრასაც ამბობენ
გრაფის შესახებ.

ავრორა

დიდხანს არ ჰქონდა
სურვილი წასვლის და ფეხს ითრევდა.
როცა გაიგო, კასანდრა უკვე
გზაში არისო, მაშინ წავიდა.

პერცოვი

ვიცი, ავრორა, და ვინ გაიგებს
შვილის სატკივარს მშობელზე უკეთ.
აქამდე გრაფმა უწყოდა კარგად
ჩემი განზრახვა და იყო მშვიდი, —
თუმც უკანონო შვილია იგი, —
ტახტის მოცილუ არვინ არ ჰყავდა.
თავისი ბედით კმაყოფილს ერთობ
შიში ამქვეყნად არაფრის ჰქონდა,
იცოდა მისით რომ ვამაყობდი,
და ახლა, როცა კასანდრას ვირთავ,
როს ქორწინება გახდა საჭირო
სასახლისა და ხალხის გულისთვის,
შვილს მივაყენე წყენა ურიცხვი,
მათი გულისთვის უნდა გაეწირო.
მდიდარი არის ჭკუით და აზრით
და ფერარაშიც რომ ჰკითხო ვინმეს,
გეტყვის ყოველი, — ტახტის შემკვიდრედ
ვერ ინატრებდი უმჯობეს მასზედ.
მაგრამ ანდერძით მას ჩემი ტახტი
რომ დავუტოვო, ნათესაობას
ექნებათ შუღლი და კინკლაობა
და უნდა მთელი ქვეყანა წახდეს.
არეულობა ომს ნიშნავს მუდამ,
ომი ქვეყანას გაატიანებს,
რამეთუ სისხლი მეფემ კა არა

მოსახლეობამ დაღვაროს უნდა.
 ამიტომ ხდება ეს ქორწინება
 მინდა თუ არა, ნებით თუ ძალით

აპრორა



სინიორ, თქვენ არ მიგიძღვით ბრალი,
 რამეთუ ბედმა ასე იწება.
 თვინიერ ამის შემკვიდრე თქვენი
 ჭკვიანია და მშვენიურად იცის,
 როგორ დათრგუნოს ნაღველი თვისი,
 არ გაიმწაროს სიცოცხლის დღენი.
 ჭმუნვა და ურვა არის ამაო,
 მინდა გირჩიოთ, დამიგდეთ ყური, —
 ვინ იცის, იქნებ რჩევა ქალური
 გულზე მოგეცხთ როგორც მაღამო.
 ოდეს თავზევით არ არის ძალა, —
 გმართებთ რომ იყოთ წინდახედული.
 გთხოვთ, მაპატიოთ ეს თავხედური
 პირდაპირობა, მისმინეთ წყნარად.
 ადრე დამტოვა მამაჩემმა, ღვიძლმა ძმამ თქვენმა,
 ობლობამ დღენი სიყმაწვილის მიქცია შხამად,
 სულ ოცდახუთი წელიწადი იცოცხლა მამამ, —
 თ, ეს სიკვდილი, განურჩევლად ყველას რომ ცელავს!
 მოიშთო ჩემი ოცნებები ობლობის სუსხით.
 როგორც ნაადრევ გაზაფხულზე ყვავილი ნუშის.
 მერმე როდესაც დედაჩემიც გარდაიცვალა
 თქვენ მიპატრონეთ, თქვენ იყავით დედაც და მამაც,
 თქვენ მაზიარეთ ხელმეორედ ოცნებებს ლამაზს,
 აავსეთ ჩემი ნორსი სული დიდი სიკეთით,
 როგორც ოქროს ძაფს მოფყვებოდი დღემდე
თქვენს ალერსს,
 რომ გამეკვლია ვზა ცხოვრების ლაბირინთებში.
 ვითარცა ძმავი, შვილი თქვენი კეთილშობილი,
 ისე მიიღო გულმა ჩემმა, გამოხდა ხანი
 და ჩვენ ორთავეს სიყვარულის მოგვედო ალი,
 გრაფი მზადაა ხელი მთხოვოს, გარნა მშობელი
 მამა თქვენა ხართ და დასტურიც გვჭირდება თქვენი,
 რათა შეერთდეს სამუდამოდ გულები ჩვენი.
 წმიდაა ჩვენი სიყვარული გრძნობით ნაყური,
 ერთია ჩვენი საფიქრალი, ჩვენი სათქმელი
 და თუ გახდება ჩემი ქმარი, ველარაფერი
 ოდენ თვინიერ სიკვდილისა, — ვერ დაგვაშორებს.
 გამრიგემ ჩვენის ბედ-იღბლისა ესრეთ იწება
 და ახლა ველი თქვენს სიბრძნეს და გამოცდილებას.
 შემკვიდრეობის და სიმდიდრის რომ ვარ პატრონი
 თქვენც კარგად უწყით, ერთმანეთიც ძალიან ვვიყვარს.

და უნდა გითხრათ, — ეს ქონება სულ რომ არ იყოს, —
 სიყვარულს ჩვენსას ვერაფერი ვერ გადასწონის.
 ერთმანეთისთვის ვართ ამქვეყნად დაბადებული,
 ფერი ფერსაო და მადლი ღმერთს, ჩვენზეა თქმული.
 ამ სიყვარულით ჰპოვებს იგი ბედნიერებას
 და ცოლის შერთვას გაპატივით, გჯეროდეთ ჩემი
 გარნა თუ შვილი გეყოლებათ, მაშინ ყოველი
 დაღუპულია, და ამ საქმეს რა ეშველება
 მე აღარ ვიცი. აი, ჩემი რჩევა ქალური...
 აწ თქვენ განსაჯეთ, — შტერულია თუ ჭკვიანური.

პერცობი

ოი, ავრორავ! სახელი შენი
 დასტურ ღირსია შენი ქალობის,
 იმედის სხივი შენ მიწყალობე
 და გამინათე სიცოცხლე რწმენით.
 ველარ ვხედავდი ჩემს ირგვლივ ნათელს,
 ეჭვებმა ლამის დამაუძღურა
 და რჩევა შენი, როგორც შუქურა
 დღეიდან სავალ გზებს გამინათებს.
 მაგ სიკეთისთვის სამაგიერო
 იყოს გულწრფელი ჩემი დასტური,
 აწ ველარაეინ გადამარწმუნებს, —
 რომ ვარ სვიანი და ბედნიერი.
 არა მგონია მაგ არჩევანმა
 არ გაგიმართლოს, და სიტყვას გაძღვე, —
 შენზე უკეთესს ვერ ვნახავ სასძლოს,
 თუმცა რა, გრაფი ბრმა არის განა?
 დე, სიყვარულმა გზა გაგინათოთ,
 ავრორავ, ჩემგან ხართ დალოცვილი
 და ღმერთსა ვფიცავ, ორთავ ქორწილი
 ერთ დღეს, ერთ ჭერქვეშ გადავიხადო,
 რომ დაიხსომოს მთელმა ფერარამ
 საშვილიშვილოდ დღე დიდებული!

ავრორა

ვიქნები ოდენ თქვენი ერთგული,
 თქვენს მორჩილ მონად მიგულეთ მარად.

გამოსვლა მეორე

ფერარის პერცოვი, ავრორა, ბატინი

ბატინი

ნება მიბოძეთ, თქვენს ბრწყინვალებას
 ვახარო საქმის დაგვირგვინება!

თუ მახარობელს ეკუთვნის ჯილდო, —
 მე ქართან ერთად გავიყო ზუნდა,
 რამეთუ აქეთ მოვქროდიოთ ერთად,
 რომ ეს ამბავი გვეხარებინა.
 მე ქარს ვათხოვე ჩემი მუხლები,
 ხოლო მე მისი შუვისხი ფრთები.
 საცაა მოვა თვისი ამალით
 ჰერცოგინიაც, მშვიდობიანად
 ვიარეთ, თუმცა ერთხელ კინალამ
 მოვეტაცა წყალმა მისი კარეტა,
 ჩქარ მდინარეს რომ გადმოვდიოდით.
 მაგრამ იმარჯვა უბრწყინვალესმა
 გრაფმა და იხსნა ფათურაკისგან
 და პირში ჩალაგამოვლებული
 დატოვა ყველა უინაც კი ფიქრობს,
 რომ მშვიდად ვერასდროს იცხოვრებენ
 დედინაცვალი და გერი მისი.
 ბრწყინვალე გრაფმა ჰერცოგინია
 მიიღო როგორც მშობელი დედა,
 და რომ ასეა, — თქვენც დარწმუნდებით.



კერცობი

ამბავი ესე, ძვირფასო ბატინ,
 მართალი ვითხრა, ძალიან მიკვირს,
 ხოლო თუ გრაფი ბედნიერია, —
 ამბავი არის დიდსაკვირველი.
 დაე, მოგვხედოს ძალამ განგების,
 და ფედერიკოს, ჭკვიანს, გონიერს,
 ჰქონოდეს მუდამ გრძნობა კეთილი
 ჩემი და ჩემი მეუღლის მიმართ.

ბატინი

დიახ, ასეა.
 ბედნიერება არის ფრიადი
 დედინაცვლის და გერის ამგვარი
 ურთიერთობა.

ავრორა

მეც მსურდა ახლა,
 რომ მომესმინა სმენადკეთილი.

ბატინი

ო, სინიორა, თქვენს ღვთიურ სახეს
 როცა ვუცქერი, არ შეიძლება

არ გამახსენდეს სეხნია თქვენი!
მაინც რა გსურდათ რომ მოგესმინათ?

ავრორა

არის თუ არა მართლაც ლამაზი
კასანდრა, ამის გაგება მსურდა.



ბატინი

ასეთი კითხვა თქვენზე უმეტეს
პერცოვს შეჰფერის, ხომ კარგად უწყით
ამბავი მისი სიმშვენიერის
ცნობილია და წემი დასტური
არა მგონია საჭირო იყოს
შეტადრე, როცა მობრძანდა თავად.

პერცოვი

(მოიხსნის თქროს ძეწკვს)

ბატინ,
საჩუქრად მიიღე ჩემგან!

გამოსვლა მესამე

იგივენი, კასანდრა, გრაფი ფედერიკო, მარკიზი გონზაგო,
ლუკრეცია, რუტილიო, ფლორო, ალბანო და ლუსინდო
მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ამაღასთან ერთად.

ფედერიკო

ამ საზაფხულო სახლში მიგიღებთ,
პერცოგინია, პერცოვი ახლა
და აქ იცხოვრებთ, სანამ სასახლეს
საზეიმოდ არ განამზადებენ.
სასახლე თქვენი შვენიერ მშვენი
და დიდებული იქნება ფრიად,
ბადალი რომლის მოაქეჟამოდღე
ჯერ არ უნახავთ იტალიელებს.

კასანდრა

გრაფ!
თქვენ მთელი გზა ჯიუტად ხდუმდით,
გული მატკინა თქვენმა ღუმილმა.

ფედერიკო

დიდი მიზეზი მქონდა დუმილის.

ფლორო

თქვენს შესახვედრად მოდის ჰერცოგი
და თან ავრორა მოჰყვება



კარცობი

ღმერთო!
დღეიდან იყოს მრავალყამიერ
საქმენი თქვენი, ჰერცოგინია,
დაე, ფერარის საჰერცოგოში
დიდხანს სუფევდეს კეთილდღეობა
და საუცხოო თქვენმა ხატებამ,
კასანდრა, ჩემს ხალხს გზა გაუნათოს.

კასანდრა

მამაპაპური დავტოვე სახლი,
რომ გავხლე თქვენი ერთგული მონა.
მობოძებული თქვენგნით გვირგვინი
საპატიოა ფრიალზე ფრიად
ჩემთვის და ჩემი სომშობლოსათვის
და თჯახისთვის, თუმცაღა ღმერთმა
ისრერიგად ვერ დამაჯილდოვა,
ვითა შეჰფერის სარეცელს თქვენსას.

კარცობი (მარკიზ გონზაგოს)

ნება მიბოძეთ, რომ გუამბორით
თქვენ, ვინც მოართვით უძვირფასესი
ვანძი ჩემს ქალაქს კასანდრას სახით.

მარკიზი

მე ოდენ მისი მხლებელი ვახლდით
და ერთადერთი ესაა ალბათ,
ჰერცოგო, ჩემი დამსახურება,
და დაჩქარებას ამ ჯვარისწერის
ვცდილობდი ისე, შემეძლო როგორც.

ავრორა (კასანდრას)

უბრწყინვალესო, მე ვარ ავრორა.

კასანდრა

ჩავთვლიდი მაღალ ღმერთის წყალობად,
 თუკი ავრორა უბრწყინვალესი
 მიმეგობრებს და გამიწვევს დობას
 და თუ ყოველთვის ერთად ვიქნებით.

**ავრორა**

სურვილებს თქვენსას, პერცივინია,
 მე ვუპასუხებ მხურვალე ვულით,
 დავშთები მარად თქვენი ერთგული.
 ო, ბედნიერი ხარ შენ, ფერარა!
 დე, იამაყე მარად და მარად, —
 უბრწყინვალესი გყავს დედოფალი!

კასანდრა

ამგვარ შეხვედრით აღტაცებული
 ჩემს არჩევანში არ დავუჭვდები
 აღარასოდეს, აწ და მარადის.

პერცივი

ჩამოისვენეთ, პერცივინია,
 სანამდე მთელი ჩემი სასახლე
 თქვენს შესახვედრად მოემზადება.

კასანდრა

როგორც თქვენ გნებავთ
 დე, ისე იყოს.

(პერცივი, კასანდრა, მარკიზი და ავრორა ჩამოსხდებიან)

ნუთუ გრაფი აქ არ ჩამოჯდება?

პერცივი

არა,
 რამეთუ უპირველესად
 მას ევალება ხელზე კემთხვიით.

კასანდრა

გრაფს, კუთილშობილს, ვერ დავამცირებ
 ესოდენ

ფედერიკო

არა, აწ და მარადის
მე შერცხვენილი დავრჩები, თუკი
ვალი შეილისა არ აღვასრულე.



კასანდრა

რა გაეწყობა, მობრძანდით, შვილო.

ფედერიკო (განზე იყურება)

აღსავსე გრძნობით
და სიყვარულით გაამბორებით

(დაინოქებს)

კასანდრა

აღექით!...

ფედერიკო

არა,
გეამბორებით სამგზის. პირველად
გეამბორებით როგორც ვასალი
უმშვენიერეს ქალბატონისა,
ხოლო მეორე ესე ამბორი
არის ნიშანი ერთგულებისა
მეფის, რომელსაც ასე ვაღმერთებ.
მესამე ჩემი ამბორი ნიშნავს, —
რომ არა ოდენ თქვენი და მეფის
პატივისცემა და სიყვარული
დასტურდნენ, არამედ როგორც შვილი
ჭეშმარიტ გრძნობით და სიყვარულით
თქვენი ერთგული, თქვენს გვერდით ვიდგე
მუდამ, მყოვარეამს, ჭირსა და ღზინში
უკუნითი უკუნისამდე.

კასანდრა

თქვენმა სიტყვებმა, თქვენმა ამბორმა
ლამის წამლევას ძვირფას გრძნობებით.

კერიცი

აი, შემკვიდრეც ასეთი უნდა.

მარკიზი

დიდი ხანია სახელი თქვენი
 ავრორა, გასცდა ფერარის საზღვრებს.
 ჩემი ფიქრი და ჩემი ოცნება
 იყო თუნდ ერთხელ მენახეთ სადმე
 და ახლა, როცა პირისპირ შეგხვდით
 სიტყვები ჩემი უძლური არი
 აღფრთოვანება რომ გამოვხატო,
 რამეთუ ნანახს ვერ შეუდრება
 იგი, რაც დღემდე მსმენია თქვენზე.
 სურვილი ჩემი, — თქვენ გემსახუროთ, —
 ყველა სურვილზე ძლიერი არის.



ავრორა

მერწმუნეთ, თქვენი პატივისცემა
 უპირველესი ჯილდოა ჩემთვის,
 რამეთუ სახელს თქვენსას, გონზავი,
 და ბრძოლის ველზე თქვენს შემართებას,
 თქვენს რაინდობას და ჯომარდობას
 მოუხიბლია ბევრი ქალწული
 იტალიაში და იმის იქით.
 დიახ, დირსი ხართ თქვენი დიდების
 და ამას ბევრჯერ დაადასტურებო
 აქ, ფერარაშიც, რამეთუ ჩვენთან
 კიდევ არიან რაინდთა მოდემის.

მარკიზი

აღმაფრთოვანა თქვენმა სიტყვებმა
 და ახლა მზად ვარ გამოვაცხადო, —
 დღეიდან თქვენ ხართ ჩემი რჩეული.
 ერთია ჩემი სიტყვა და საქმე, —
 ჩემი რჩეულის პატივისცემად
 მზად ვარ აქაურ რაინდებს შეეხედუ,
 რომ დავამარცხო ყველა მათგანი.

კერცობი

დროა სტუმრებმა რომ მოისვენონ,
 გავერთეთ ერთობ ჩვენ მასლაათით
 და ბოროტად ნუ გამოვიყენებთ
 კეთილგანწყობას ჩვენი სტუმრების.
 დე, ჩემს გულისწორს ნუ ეგონება,
 რომ არ ეაყასებ იმ ძვირფას წამებს
 ორივენი რომ მოველით ასე.

ბედნიერება რისკენაც ვვიხმობს.

ყველანი, ფედერიკოსა და ბატინის გარდა, ემშვიდობებიან ერთმანეთს და გადიან.



გამოსვლა მეოთხე
გრაფი ფედერიკო და ბატინი

ფედერიკო

სისულელეა!

ბატინი

გრაფ, რას გულისხმობთ?
ან სისულელედ რა მიგაჩნიათ?

ფედერიკო

იგი, რომ ხალხი ამტკიცებს თითქოს ცხოვრება ჩვენი სიზმარი იყოს. არა, საათებს დღიურ სიფხიზლის ძალუძთ გონების დამორჩილება. სიზმრადაც რომ ვერ წარმოვიდგენდი, ზოგჯერ იმგვარი თამამი აზრი მეწვევა ხოლმე, აგრე მგონია, ავადმყოფი ვარ და თითქოს ვბოდავ.

ბატინი

დიახ, ასეა! ზოგჯერ რჩეული მადიზიანებს გვამთა კრებული, რაღაცნაირი მოძივლის ყინი, — მინდა მთელი ხმით რომ დაუიყვირო, რამე ვიანგლო, ან ავიხირო, ანდა ვინამეს ყელზე ვუკბინო, ან აივნიდან ვისკუპო, რათა სიკვდილს ჩავეკრა და ჩავეხუტო, მაგრამ ვყოვნდები და თავს ვიკავებ. ანდა როდესაც ვინმეს მარხავენ მინდა ვიგიჟო და ვიხარხარო. როდესაც მოთამაშეებს ვხედავ, წრე რომ შეუკრავთ და ჩუმად სხედან, მინდა კანდელი ვისროლო წრეში, — რათა დავაფრთხო და შევაშინო. ეკლესიაში როდესაც ვდგავარ მსურს აღსარება საკუთარ თავთან, სადაც ტირიან, ვიმღერო მინდა, და ოდეს ჩემს წინ ქალბატონს ვხედავ, —

მინდა მივევარდე, თბით დავითრიო.
 მერმე უეცრად ისრე ვწითლდები,
 განზრახვა ჩემი აღსრულდა თითქოს.

ფელერიკო

ღმერთო მომხედუ, განაგდე ჩემგან
 მსგავსი ფიქრი და მსგავსი აზრები,
 და სიფხიზლეში ამგვარი ბოდვა!
 განაკი ძალშიძს ვიცხოვრო ასე,
 თავი ვიძარტლო, ან გავიმტყუნო,
 ან გავიმეტო, ან ვაპატიო?
 არა, უბრალოდ გადაველ ჭკუას!

ბატინი

რარიგად მსჯელობ! უმაღავე განა
 ბატინს რაიმეს?

ფელერიკო

მე შემიძლია
 დაუმალო იგი, რაიც ბუნებას
 გაუჩენია, ხოლო ფიქრები
 ოდენ რუხორცო ლანდები არის
 და ამიტომაც არ შემიძლია
 დაუმალო რამე.

ბატინი

ნება მიბოძეთ,
 თქვენს საიდუმლოს ავხადო ფარდა.

ფელერიკო

მანამდე, სანამ ჩემს სულს მჭმუნვარეს
 ჩასწვდება, ბატინ, ეგ შენი მზერა, —
 ძირს ყვაუალები აყვავდებიან,
 ხოლო ვარსკვლავნი ღამეულ ცაზე.

ბატინი

არც მაგრე არის! ძნელი არაა
 მიხვედრა იმის, რომ შევიყვარდეთ
 დედინაცვალი.



ფედერიკო

გაჩუმდი-მეთქი!
ეგ მართალია... მაგრამ ვერავინ
ვერ გამოამტყუნებს, რამეთუ ქვეყნად
ფიქრით მაინც ვართ თავისუფალნი.



ბატიანი

არა, არც ისე თავისუფალნი,
რადგან მიწიერ ცხოვრების მერმე
ხომ უნდა დაგვრჩეს რაიმე წმინდა.

ფედერიკო

ბედნიერია პერცოვი!

ბატიანი

ღიას.

ფედერიკო

არ დაგიმალავ, პირდაპირ გეტყვი:
მშურს მამაჩემის ბედი და ხვედრი,
თუმც მამის გშურდეს — ცოდვას დიდი.

ბატიანი

არაა ცოდვა, რადგან თქვენ უფრო
მოვიხდებოდით კასანდრა ცოლად.

ფედერიკო

ამ ჩემს სიყვარულს არ უწერია
აყვავილება, აღვსება ძალით
და ამიტომაც ვიპოვი ძალე
სიკვდილს ეჭვების სიმწუხარეში.

მეორე მოქმედება

პერცოვის სასახლის დარბაზი ფერარაში

პირველი გამოცემა

კასანდრა, ლუკრეცია

ლუკრეცია

თქვენს მოწყვლებას მე მიხდა ვკითხო, —
დაღონებული რად არის ეგზომ?

კასანდრა

მაქვს დაღონების დიდი მიზეზი
 და „მოწყალებას“ რა თაუში ვიხლი.
 არ დაგიმაღავ შენ, ლუკრეცია,
 და ვით მეგობარს პირდაპირ ვიტყვი, —
 უბედური ვარ მე ჩემი ბედით,
 ამგვარ ცხოვრებას, დასტურ, მერნია
 არ ვყოფილიყავ ჰერცოგის ცოლი, —
 დაჩაგრული და ძიტოვებული,
 დარდისგან ლამის გამისკდეს გული,
 მომწყინდა მდიდრულ საწოლში წოლა.
 მერნია ქოხში მეცხოვრა სადმე,
 გლეხის ქალს გლეხი მყოლოდა ქმარი, —
 მოსიყვარულე, ერთგული, წყნარი,
 გამეგო ცოლქმრულ ცხოვრების ყადრი.
 რამეთუ, მაშინ ღირს სიყვარული, —
 ოდეს ღიაა გულის კარები,
 იყავ მდიდარი, იყავ ღარიბი, —
 თანაბარია ეს სიხარული.
 თუ სიყვარული ღმერთმა იხება
 და იარსებებს ეს გრძნობა-ვიდრე,
 ღარიბის ტახტს და სარეცელს მდიდრის
 მზე თანასწორად მოეფინება.
 როგორ არ მშურდეს იმ გლეხის ქალის,
 თივის საწოლში ტკბილად რომ სძინავს,
 გამოიღვიძებს ლოვინში დილით
 და გვერდით უწევს ერთგული ქმარი.
 ერთიმეორის უსიტყვოდ ესმით,
 ბაღლებს ზრდიან და ოჯახს უვლიან,
 ეჭ, რაოდენი სიხარულია, —
 რა არის ქვეყნად სხვა უკეთესი.
 თუმცა ჰერცოგი არა ჰყავს ქმარი, —
 ჩემზე ათასჯერ ბედნიერია,
 რადგან ჩახჩახებს მისი კერია
 სიყვარულის და სიცოცხლის ძალით.
 ბედნიერია, რა უჭირს იმას,
 ოდეს მეუღლე თავს დასტრიალებს,
 სახეს ჩემსავით ცრემლით კი არა, —
 დილით ანკარა წყაროს წყლით იბანს.
 თვე ისე გავა, მეუღლე ჩემი
 ერთი საათიც არ არის ჩემთან,



ვიცოდე მაინც, სად დადის ნეტა,
 ოჯახზე რატომ აიღო ხელი.
 თუმცა უკეთესს არც მოველოდი, —
 ადრე დაჰკარგა სინდის-ნამუსი,
 იმოსებოდა სხვისი სამოსით, —
 ცხოვრებას რომ მეტს გამოჩენოდა.
 არ თაკილობდა არაფერს ალბათ,
 აღარც ადათი, აღარც ზნეობა,
 ჩალად არ უღირს მოვალეობა,
 რა უნდა ელაპარაკო, აბა?
 რომ მიდიოდეს სადმე დილაძე,
 მეც ვიქნებოდი მშვიდად და წყნარად,
 რადგან იოლად არ დასთმობს ქმარი.
 თავისუფლებას ცოლის წინაშე,
 მაგრამ შეერთო ცოლი და ძალე
 არ იყო მასთან ყოფნის მდომელი,
 ამას იქმს ოდენ ბრიყვი, რომელიც
 თავისი ხელით ითხრის სამარეს.
 იმ ხალხს ეკუთვნის მეუღლე ჩემი,
 ცოლი რომ ნივთი ჰკონიათ ოდენ,
 ამგვარ ხალხს უნდათ ოჯახი ჰქონდეთ
 და სტუმრებს შეხედნენ გაშლილი ხელით.
 ჰქონდეთ სიმდიდრე თავმოსაწონი
 და არ შეხედოს არავინ მრუჭად,
 მაგრამ მე ვიცი: ასეა მუდამ
 სულელს ჰყავს მხოლოდ სულელი ცოლი.
 კი, აპატიებს ცოლი ქმარს ცოტას
 სიყვარულის და ოჯახის ხათრით,
 მაგრამ, როდესაც ოჯახი მათი
 არამც და არამც არა ჰყავს ოჯახს,
 მაშინ ძნელია, ძალიან ძნელი,
 ერთად ცხოვრებაც აღარ ღირს არა,
 რამეთუ გული თუ გაიბზარა,
 ვეჭვობ, რაიმე ეშუელოს მერე.



ლუკრეცია

გულდათუთქული ვარ, სინიორა,
 ამბით, რომელიც აქ მოვისმინე.
 ღმერთმანი, განა ფიქრობდა ვინმე, —
 ჰერცოგი ისევ ისე იოლად
 გააგრძელებდა ცხოვრებას თვისას,
 უზნეობით და თავის მოჯაყვით
 დაიქცეოდა დიდი ოჯახი —
 სიყვარულის და სიკეთის ღირსი?
 არ მოიშლიდა სმას და ღოღიალს,
 კვლავ ძველ ამფსონებს გადაჰყვებოდა,
 თქვენ კი იმგვარად მოგეპყრობოდათ,

როგორც უბრალო ნივთს ეპყრობიან.
 ქალი ოდითგან ამაყობს იმით,
 რომ მამაკაცთან თამაშობს ზოგჯერ
 და ამ თამაშში, ვითარცა კოზირს
 მოიშველიებს დამცინავ ღიმილს.
 თუ მამაკაცის გულის დაპყრობა
 სურს, თავს არ ზოგავს არასდროს ქალი,
 მოიშველიებს ქალური ძალით
 გულუბრყვილობას ან ეშმაკობას.
 მუღლესთან კი, ვერ იზამს ამას,
 მისწერეთ მამას?



პასანდრა

არა, არ მიეწერ.
 ის მირჩევნია, ვითმინო ისევ, —
 სანამდე შემწევს ღონე და ძალა.

ლუკრეცია

გერჩიათ ცოლად გრაფს ვაჰკოლოდით:
 მაშინ ჰერცოგი მემკვიდრეობას
 თავის შვილიშვილს დაუტოვებდა
 და იცხოვრებდით ტკბილად ბოლომდის.
 ახლა კი გრაფი მტრად მოიკიდეთ:
 ჰერცოგთან შვილი თუ გეყოლებათ, —
 თქვენს შვილს დარჩება მთელი ქონება.
 იგი იქნება ტახტის მემკვიდრე.

პასანდრა

თუ ვინმეს ვიცნობ, — გრაფს ვიცნობ კარგად:
 უცხოა მისთვის ეგ სულმდაბლობა,
 შურის და ღვარძლის მდაბალი გრძნობა
 და შენი აზრიც მცდარია, რადგან:
 არა მგონია, გრაფს ჰკლავდეს ჯავრი, —
 თუნდ ვაჟიშვილისაც გაუხდუ დედა,
 სულ სხვა მიზეზი აქვს გრაფის სევდას
 და იგი სევდა საერთო არის.

გამოხვლა მეორე

იგივენი, ფერარის ჰერცოგი, გრაფი ფედერიკო
 და ბატინი.

პერსონა

გრაფ! რომ მცოდნოდა მწუხარებით ესოდენ ღიმილთ
 ჩემს ქორწინებას შეხვდებოდი, ღმერთი და რჯული,
 ამგვარ დაწყველილ ქორწინებას ვარჩევდი სიკვდილს!

ფედერიკო

თავხელი არ ვარ, — შევემსჭვალე ხელმწიფის სურვილს,
 თანაც სახალხოდ გამოვხატე გრძნობები ჩემი.
 რა მწუხარება? საამისოს ვერ ვხედავ მიზეზს, რადგან
 არ მომკლებია წყალობა და სიკეთე თქვენი.
 ნაწყენიც ვიყო, მოვთოკაუდი ჩემს გრძნობებს ისე,
 არაუის ეგრძნო ჩემი დარდი და ჩემი წყენა.
 თავად არ ვიცი, — ამ ბოლო ხანს რა დამემართა,
 ავად ვარ ალბათ, მოწყენილიც ამაღ ვარ ხშირად.

პერციოზი

ფერარის მთელი ექიმობა შევყარე, რათა
 გამეგო, რომელ წამლით უნდა გიწამლო, შეილო,
 ყველაფერ ერთხმად ასე მითხრა: — შერთეო ცოლი, —
 დაუბრუნებლო ხალისსა და სიცოცხლის ნიშატს.

ფედერიკო

ქალიშვილისთვის გათხოვება მაღლია სწორედ,
 მაგრამ ვაჟისთვის ცოლის შერთვა ბევრს არას ნიშნავს.

პასანდრა (ლუკრეციას ჩუმაღ)

როგორ ვაბედა ჰერცოგმა და არ შემამჩნია,
 აინუნშიაც არ ჩაავლო ჩემი აქ ყოფნა!

ლუკრეცია

ეტყობა, შვილთან საუბარში გაერთო ძლიერ.

პასანდრა

თავხედს დუმილით უნდა გასცე პასუხი მხოლოდ...
 წავიდეთ! მაგრამ ეს იცოდე: მოდგება უამი —
 თავხედობისთვის პასუხს ავებს ბოლოს და ბოლოს.
 (გადიან)

გამოსვლა მესამე

ფერარის ჰერცოგი, გრაფი ფედერიკო და ბატონი

პერციოზი

და მაინც შეილო, მთიკრიბე ჭკუა-გონება,
 თღონდ ისურვე და მე უკვე მყავს შერჩეული
 საცოლე შენთვის, — ორთავეს რომ მოგვეწონება.

ფედერიკო

აღბათ ავრორა?

კერცობი

კი, ვგრეა, ჩვენ ერთდროულად
რაკი ავრორა ვიგულისხმეთ, კარგის ნიშანი
არის და აკი, დიდებულნიც მირჩევენ ამას,
რამეთუ შენთვის ქორწინება სწორედ ის არის
რაიც სჯობია ექსემების ფოველგვარ წამალს, —
ხევედა-დარდისგან უსათუოდ განიკურნები.

**ფედერიკო**

დიდებულებმა რა უწყიან კაცთა ბუნების,
მაგათი რჩევა-დარიგება ჩალადაც არ ღირს!
გულში არასდროს გამივლია ზრახვა ბოროტი —
ოდეს გირჩიეთ სასიკეთოდ თქვენივე ტახტის
ცოლი შეგერთოთ, დედოფალი გვერდით გყოლიდათ.

კერცობი

ნათელი არის შენი მსჯელობა —
მაძაშვილური, ნაღდი, გულწრფელი
და გიპასუხებ მეც გულწრფელობით:
ტვირთად დამაწვა ცოლის უღელი.

ფედერიკო

სინიორ! გქონდეთ ჩემი იმედი,
თქვენი ერთგული ვიქნები მარად,
სიკვდილის დღემდე გემსახურებით, —
რაც გამაჩნია ღონე და ძალა.
რადგანაც ბრძანებთ, რომ ვიქორწინო —
აღსრულდეს თქვენი მეფური სიტყვა.

კერცობი

დიახ, ავრორას უფვარხარ ძლიერ
და საუბარშიც მრავალჯერ მითხრა.

ფედერიკო

მას შეუძლია მალე გამცვალოს, —
მარკიზს იმგვარად ელაციცება.
ისიც ფეხს ითრევს, წასვლას არ ჩქარობს.

პერსონა

ეპ. ეჭვებია, ღმერთს გეფიცები!

ფაღერიკო

მამაკაცს მუდამ აწუხებს შიში:
დაწერილ ფურცელს — თუ არა ვიყი —
კვლავ ვინ მოიხმარს იმავე მიზნით.



პერსონა

ამგვარ წვრილმანებს რომ აჰყვეს კაცი
და არაფერი არ აპატიოს
ქალს, — მაშინ უნდა მოექცეს მკაცრად
და ცხრაკლიტულში გამოამწყვდიოს.
შეიორთქლება როდესაც სუნთქვით,
ბროლის სარკვეს კი უბრალო მინად
იქცევა, მაგრამ ხელს გადაუხვამთ
და ძველებურად დაიწყებს ბრწყინვას.

ფაღერიკო

მომხიბლა თქვენმა მსჯელობამ ბრძნულმა,
თუმცა, ხელმწიფევ, ასეც ხომ არის, —
წყალს გადაასხამს მჭედელი ქურას
და უმაღლესად იქცევა წყალი,
ნადვერდალი კი ისევ და ისევ
ღვივდება ხოლმე და შმაგი ალი
აგიზგიზდება ახალის ძალით.
შეშფოთებისას თუ მკითხავთ მიზეზს,
გეტყვით: — ვაითუ, ეს ქორწინებაც
წყალია ოდენ, რათა ჯროებით
შეეძლო იმ ალის დამორჩილება, —
რომელიც მერე ჩემს მყუდროებას
და ჩემს ღირსებას ცეცხლივით შთანთქავს.

პერსონა

გრაფ, ვერ გავიგე რა დაგემართა,
ავრორას, — შემკულს ფრიად ღირსებით, —
ვინამე აშარ დიაცად სახაუ!

ფაღერიკო

შიში მაქვს.

პარტოზი

რისი?

ფედერიკო

რისი და რქების.



(პერცოვი ვადის)

გამოსვლა მეოთხე

გრაფი ფედერიკო და ბატინი

ბატინი

რად დადგომიხართ გზას სახიფათოს,
თქვენ, მამის წყრომას ამძაფრებთ ამით.

ფედერიკო

უფრო მეტიც რომ დამემართოს, —
წარბს არ შევიხრი არცერთი წამით,
რადგანაც სევდით აივსო სული,
განულდა ცეცხლი მჩქეფარუ სისხლის,
თუ რამე მიხსნის, — სიკვდილი მიხსნის,
იგია ტანჯვის ჩემის სასრული.
ოღონდ სიკვდილი მსურდა იმგვარი,
რომ შემძლებოდა აღდგომა მკვდრეთით,
რომ წამიერად მეხილა ღმერთი
და საიქიოს შემელო კარი.
არ მაპატიებს, ვიცი, არავინ,
რომ ხსნას სულისას სიკვდილში ვხედავ,
მაგრამ სიცოცხლეს სიკვდილზე მეტად
მძიძევა ჩემთვის და შემზარავი.
გავმხდარვარ მონად ამგვარი ფიქრის
და რა უნდა ვქნა, თავად არ ვიცი,
ვიცხოვრო ნიშნავს — ველოდო სიკვდილს,
მოლოდინს ამგვარს რა თავში ვიხლი.

ბატინი

თუმცა სიცოცხლე გქცევიათ ტანჯვად,
მაგრამ სიკვდილსაც ამაოდ ელტვით.
არ დაგიძალავთ, პირდაპირ გეტყვით:
თქვენ ჰერმოფროდიტს მაგონებთ ახლა.
ჰერმოფროდიტი, — კაცის და ქალის
ნიშან-თვისებით სახელდებულა,

თქვენს სხეულში კი ჩაბუდებულია.
 სიკვდილ-სიცოცხლე განგების ძალით.
 რადგანაც ასე წუხართ და გლოვობთ
 ბედ-იღბალს თქვენსას და გეწვით გული, —
 მაშინ მეც უნდა დამივდოთ ყური,
 სინიორ, ერთი რამ უნდა გთხოვოთ:
 მარტკით ყოველი, ვითა მეგობარს,
 დიახ, გულწრფელად და დაწვრილებით,
 თორემ მსახურად სხვას დავუდგები, —
 მას, ვინც ბოლომდე მსახურს ენდობა.



ფედერიკო

დასამალავი რაა, აქამდის
 ვერ გამიგია, ბატინო, რა მჭირს,
 და რომ ვიცოდე მიზეზი ტანჯვის, —
 მაშინ წამალსაც გამოვნახავდი.
 როგორც ჩანს, ჩემი ბედის მწერალის
 დაწერილია ესე ყოველი, —
 რომ სწეულება ჩემი, პარადის
 იყოს უცხო და შეუცნობელი.
 გადავრჩებოდი წამებას ამდენს,
 რომ გაგანდობდი წამების მიზეზს,
 სურვილიდან კი, — აღსრულდებამდე
 შორია როგორც, მიწიდან — ცამდე.
 ეჰ, უკვე თავიც არ შენანება,
 თუ წასვლა გინდა, წაბრძანდი, ბატინ!
 მე კი, შთენილი ამქვეყნად მართო, —
 გულში დავმალავ ჩემს მწუხარებას.

გამოსვლა მეხუთე

იგივენი, კასანდრა და ავრორა.
 ფედერიკო და ბატინი განზე გადგებიან და კვლავ
 საუბრობენ.

კასანდრა

ავრორა, ტირით?

ავრორა

გულწრფელად გეტყვით, —
 რა ვქნა, ცრემლები ვერ დავიურვე, —
 გრაფი ეჭვებით აღესილა თურმე —
 თითქოსდა მარკიზ გონზაგოს ვეტრფი.
 მე და გონზაგო? საოცარია!
 როგორ იფიქრა ამგვარი რამე!

თუმცა კი ვხვდები,
 ცილს რატომ მწამებს —
 აქედან წასვლა უნდა ძალიან.
 მშობელი მამის დაქორწინებამ
 ჩაუქრო ყმაწვილს ყველა იმედი,
 არცა წამალი,
 არც ექიმები
 არ შველის,
 ბედმა ასე ინება!
 ო, ღმერთო ჩემო, უყვარდა რარივ
 თვალები ჩემი, —
 აღსაუსე გრძნობით,
 მეტრფოლა იგი უწმინდეს ტრფობით
 და გრძნობებს ჩვენსას არ ჰქონდა ზღვარი.
 ოდეს ძალალი მთის მწვერვალები
 აისის შუქით განათდებოდა, —
 ჩემს სარკმელს სხივად მოადგებოდა
 გრძნობით აღსაუსე მისი თვალები.
 ხან ვარდს მადრიდა
 და ხანაც ჟასმინს,
 ხან შადრევანთან,
 ხან ღელის პირად
 დაგვთენებია მრავალი დილა, —
 ბუნდნიერებით და ტრფობით საუსეს.
 განა შეეძლო, თუნდ ერთი წამით
 ყოფნა უჩემოდ? —
 რამეთუ მისთვის
 ვიყავ ყოველი სიკეთის დირსი,
 გავეართარსეთ სულელებიც ლამის.
 და უზრუნველად რბიოდნენ დღენი
 სავსენი ტრფობით და ნეტარებით,
 ახლა კი გრაფმა შეუბრალებლად
 დალატით ჩაჰკლა გრძნობები ჩვენი.

პასანდრა

სამწუხაროა, როგორც გავიგე,
 დანაშაული თავად მიმიძღვის,
 მაგრამ, ავრორა, გქონდეთ იმედი —
 გრაფ ფედერიკოს მე შეგარიგებთ.
 თუმც, რახან ეჭვობს, ახლა ძნელია
 მაგასთან მისვლა და საუბარი.

ავრორა

ეჭვიანობსო?



კასანდრა

კი, ჩემი ქმარი
ამბობს, რომ გრაფი ეჭვიანობსო.



ავრორა

არა მგონია, მის კაეშანში
არცა ეჭვი ჩანს,
არც სიყვარული.

(გადიან)

გამოსვლა მეექვსე

გრაფი ფედერიკო, ბატინი, კასანდრა

კასანდრა

ფედერიკო!...

ფედერიკო

ნება მიბოძეთ,
რომ მონა თქვენი
ხელზე გემთხვიოთ.

(ცალ მუხლზე დაეცემა)

კასანდრა

„თქვენო უდიდებულესობა“
ასე მოგმართაუთ,
თუ, ფედერიკო,
ამას ჩაიღენთ.

ფედერიკო

მაშინ თქვენს სიტყვებს შერისხვად ჩავთვლი.
მომეცით ხელი,
გემთხვიოთ უნდა!

კასანდრა

ნება მიბოძეთ, მე ვეამბოროთ.
(ფედერიკო წაშოდგება და ერთმანეთს ეამბორებიან)
თქვენ რა, კანკალებთ? ან თუ რაიმე
ჩემში შეიგრძნეთ, საშიში ერთობ?
ან იქნებ მიხვდით, რაიც მსურს ახლა?

ფედერიკო

დიახ, ასეა, აღბათ სახესაც
დაეტყო, რაიც იაზრა გულმა
და ამიტომაც ამოიკითხეთ
ჩემი წუხილი და შეშფოთება.

**კასანდრა**

ბატინ! ცოტა ხნით დაგვეტოვეთ, ახლა
მსურს გრაფთან დავრჩე
და ვესაუბრო.

ბატინი

(განზე გაღება და ჩაილაპარაკებს)
როგორ იქნება მართოდ დავტოვო,
რამეთუ გრაფი ძალიან დელაუს.

(გადის)**გამოსვლა მეშვიდე**

გრაფი ფედერიკო და კასანდრა

ფედერიკო

(განზე გაიხედავს და ჩაილაპარაკებს)

ცაო, მაღალი, როგორც ფენიქსი
სანამ ამ ცეცხლში დავიფერფლები
და მერე ისევ ავლორძინდები,
გთხოვ, შეანელო ეს ცეცხლი წამით!

კასანდრა

ავრორამ მითხრა, რომ თქვენს ქალაქში
მარკიზ გონზაგოს დიდხანს სტუმრობამ
თქვენს გულში ეჭვი დაბადა თურმე
და არარსებულ ქორწინებაზე
ფიქრი, — მტანჯველი გამხდარა თქვენთვის.
მაგრამ მე მჯერა, ღირსება თქვენი
ნებას არ მოგცემთ, კარლოს გონზაგო
რომ თქვენს რაყიფად წარმოიდგინოთ.
ის მეომარი უფროა, ვიდრე
წარჩინებული, — სასახლის კარის,
და თუმცა ზრდილია, მაგრამ ბუნებით
მაინც არ არის არისტოკრატი.

ამიტომ, ვფიქრობ, ეჭვის მიზეზი
 თქვენთვის, ის არის მხოლოდ და მხოლოდ,
 რომ მამათქვენის მეუღლე გ'უხდი
 და ფიქრობთ, ვაჟი თუ შეყოლება
 იგი იქნება მემკვიდრე ტახტის.
 ხოლო რამეთუ ვარ უნებლიე
 მიზეზი თქვენი ურვა-წუხილის,
 ვაღდებული ვარ, რომ დავამტკიცოთ
 თქვენი ეჭვების უსაფუძვლობა.
 უწინარესად ის უნდა გითხრათ,
 რომ მასთან შვილი არ შეყოლება.
 ჰერცოგმა ჩემზე დაქორწინება
 ოდენ ვასაღთა ნებით იწება.
 პარველი დამე დავყავით ერთად,
 მერე კი სულ არ გამკარებია,
 საუკუნედ თუ ეჩვენა ალბათ
 ის ერთი დამე, მოვწყინდი რადგან
 და ჩემთა ხელთა ბორკილებიდან
 განთავისუფლდა, და გარყვნილებას
 მიეცა ისევე, როგორც სჩვევია.
 ვითარცა ცხენი დოლის ბრახუნზე
 დაფეთდება და დაწყვიტავს ალვირს,
 გაგლეჯს საღავეს და მოხართავებს
 და უნაგირსაც მოისვრის განზე, —
 ჰერცოგიც სწორედ ისე მოიქცა,
 ფეხქვეშ გათელა ღირსება ჩემი
 და დაუბრუნდა კურტიზან ქალებს.
 მათ ანაცვალა ტახტიც, გვირგვინიც
 და წინაპართა სახელ-დიდება,
 ბილწი განცხრომით ყელამდე სავსე
 არაფერს ზოგავს, რაც გააჩნია.
 აღარც დღე ახსოვს და აღარც დამე,
 მოკლედ, გჯეროდეთ, არ გეყოლებათ
 ძმა და ვერავინ შეგუცილებათ,
 ტახტის მემკვიდრე თავად იქნებით.
 მანტუიაში მივწერდი ჩვენებს,
 რომ მომაშორონ აქაურობას,
 მაგრამ სანამდე ვიქმოდე ამას,
 ვშიშობ, ვაითუ, ვედარ ვაფუძლო
 ამ სამაგლობას, — განვაცხო სული.



ფადარიკო

საყვედურებით დაწყებულ სიტყვას
 ცრემლით ამთავრებთ, ო, ღმერთო ჩემო,
 რა ესმით ყურთა, სიტყვები თქვენი
 ქვასაც კი შესძრავს და აატირებს!

რახან გგონიათ, რომ თქვენს წინაშე
 დგას შვილი კაცის, რომელმაც ასე
 შებღალა თქვენი პატივ-ღირსება,
 მინდა იცოდეთ, მამაშვილური
 გრძნობა მისადმი არ გამაჩნია.
 ხოლო ჩემს სევდას და მწუხარებას
 ვერ ჩასწვდით, რადგან ტყუილად ფიქრობთ
 ქვენა გრძნობებით ვარ შეპყრობილი, —
 პერცოვის ტახტი მინდოდეს თითქოს.
 ადვილ-მამული და თქრო-უკრცხლი
 მე მამაჩემის არ მინდა, რადგან
 თუ აკრორაზე დაექორწინდები,
 მეყოფა, და თუ არ შეყო მაინც,
 მზად ვარ ვიშიშვლო მახვილი ბასრი
 და რაც დამაკლდა შემკვიდრებით,
 ვინძლო მეზობლებს წავართვა ძალით.
 მაგრამ რად მინდა, რა თავში ვიხლი
 სიმდიდრეს, ჩემთვის ჩირადაც არ ღირს!
 სხვაა მიზეზი ჩემი წუხილის
 და სინათრა, იქნება ახლა
 გულის ვადაშლა არც შევალემა,
 მაგრამ ჩემს სათქმელს მე მაინც გეტყვით:
 დღიდან, როდესაც ამურმა მწველი
 ისარი თვისი გულს გამიწონა,
 ჩემზე მწუხარე და უბედურე
 ამქვეყნად არვინ არ შეგულება,
 ვარ სამუდამოდ განუკურნელი,
 სიცოცხლე ჩემი, როგორც სანთელი
 იწეის ნელ-ნელა და მე სიკვდილსაც
 ამოდ ველი, სანამ სანთელი
 არ ჩაიწეება და სამუდამო
 არ გამეფდება წევდიადი ირგვლივ.

კასანდრა

ო, ფედერიკო! ცრემლები ვაჟკაცს
 არ უხდება და არც ვკადრება,
 რამეთუ ღმერთმა ცრემლების ნაცვლად
 ვაჟკაცს უბოძა სიმტკიცე სულის.
 ტირილი ხედრი არის დიაცთა,
 შემკვიდრება დედაბუნების,
 ქალის ცრემლებში გაბედულება
 არის ყოველთვის, მაგრამ ვაჟკაცის
 არ გააჩნია ძალბოსილება.
 ვაჟკაცს კი მაშინ ეპატიება
 ცრემლები, ოდეს პატიოსნებას
 და სინდის-ნამუსს გაუთელავენ

და ვერ მიუზღავს სამაგიეროს
ისე, ვითარცა წესია კაცთა.
ხოლო ავრორას რად არ აწუხებს
სინდისის ქენჯნა, როდესაც ზედავს,
კეთილშობილი, ჭკვიანი, ზრდილი,
ფრიად მამაცი და გალანტური
მიჯნურის თვისის ამგვარ წამებას,
ოდეს ღირსი ხართ ქვეყნად ყველაზე
დიდი და წრფელი სიყვარულისა



ფედერიკო

არა, ავრორა აქ უბრალოა.

კასანდრა

მაშ, დამნაშავე ვინ არის?

ფედერიკო

ვინ და,
თავად მნათობი, რომლის გარეშეც
წყვდიადიდან ვერ გამოაღწევდა
ავრორა, ასე შუქმოციინარე.

კასანდრა

ეგ, როგორ! მაინც ვისი ბრალია?

ფედერიკო

ღიახ, სულ სხვაა მიზეზი ჩემი
სასოწარკვეთის და მწუხარების.

კასანდრა

განა თუ ძალუძს ქალთავან ვინმეს,
ისმინოს თქვენი ეს აღსარება
და თანაგრძნობით არ ვიპასუხოთ?
არა მგონია, ამგვარი ქალი,
ეგზომ უმადლო და უმადური
იყოს ამქვეყნად, და უნდა ვითხრათ
გულწრფელად, — ლამის, არ დაგიჯეროთ.

ფედერიკო

თქვენ რომ გაიგოთ მიზეზი ჩემი
სასოწარკვეთის და მწუხარების,

ან რომ იცოდეთ, ვით გაუუძელი,
 რაღა ვარ მტკიცე, ანღა, უბრალოდ,
 რა სასწაულმა გადაძარჩინა
 სიკვდილს, მაშინ არ გაიკვირვებდით
 ეტლის მზისაკენ სწრაფვას და სრბოლას,
 არც იკაროსის გაფრენას მზისკენ,
 ხანთლის ფრთები რომ მზემ დაუფერფლა
 და ფერფლი იგი ვაჰფანტა ისე,
 ვით ქარიშხალმა ფრინველთა გუნდი.
 არც ბელეროფინტს — პეგასის მხედარს,
 ლაჟვარდებიდან რომ გამოიხედა
 ჩვენს ცოდვილ მიწას და დაინახა
 ამქვეყნიური არარაობა,
 არცა სინონი, ბერძენი იგი,
 დარდანელთათვის რომ მოიგონა
 ცხენი, რომელმაც მოლაღ დაცალეწა
 მძლავრი კედლები პერგამოსისა,
 არც იაზონი, მაშაცურად რომ
 შეუბა ტალღებს და გადასცურა
 და თავის არგონავტებთან ერთად
 მიაღვა პონტოს მეორე ნაპირს, —
 სიზმრადაც კი ვერ მოისიზმრებდნენ
 ჩემს გიჟურ სწრაფვას და გახელებას,
 გაჩუსჯელობას და ხელაღებას.



კახანდრა

გრაფ! ტრფობამ ნუთუ ისე აღგაგზნოთ,
 რომ სიყვარული მარძარილოში
 გამოკვეთილი გგონიათ მართლა?
 არა, იასპის თხელი ყინულით
 ვერ დაიფარავს ხვაშიადს ქალი,
 სურვილებს მისას ოდენ სიმორცხვის
 თხელი, მჭვირვალი სამოსი ფარავს.
 საკმარისია მის გულს შეეხოს
 ის სიყვარული, რომელიც თქვენ გაქვთ
 და გული მისი მსწრაფლ გაპასუხებს:
 „ღიაა კარი, შემოდი, გელი“
 ნუ შეგაშინებთ აღიარება
 ვინც გიყვართ იმის, ბერძენებიც განა
 კენერას ისე არა ხატავდნენ,
 თითქოსდა მისი ვნებები მძაფრი
 ყავნის ვნებებთან ფერმკრთალი ჩანდა.
 ანღა, ვითარცა ღიანა მკაცრი.
 თავისი ვერცხლის დარბაზებიდან
 ენდომონისკენ მიიჩქაროდა.
 გრაფ, იცოდეთ და გულით გჯეროდეთ, —

ყველაზე მტკიცე ციხე-სიმაგრის
კარებიც მხოლოდ ხანოლისგან არის
გაკეთებული. განაგრძეთ, გასმენო.

ფაღარიკო



თუ მონადირე გამოცდილია,
მან კარგად იცის, როდესაც ინდურ
პელიკანებზე ნადირობს ხოლმე, —
ცეცხლი დააგზნოს იმა ხის ძირში,
რომელზეც ბუდე აქვს გამართული.
რა დაინახავს დედა ფრინველი
ცეცხლს, ცდილობს ბარტყების გადარჩენას,
მოსწყდება ბუდეს და იმ ხის ირგვლივ
ფრთებს მძლავრად იქნევს შეშინებული.
ცდილობს, რომ ცეცხლი ჩააქროს, მაგრამ
უფრო აღვივებს ცეცხლს და დაღლილი
ბოლოს იმ ცეცხლში თავად ეარდება.
მას კი შეეძლო არ დაეკარგა
თავისუფლება, ცად აჭრილიყო.
იმ ფრინველივით, სიყვარულს ჩემსას,
ჩემი აზრების მყუდრო ბუდეში
არ ედგომება, რამეთუ თქვენი
სიტყვების ალით შეშინებული
და შელანძული ფრთებს ძლიზას იქნევს.
დაშოშმინება ჩემი ინებეთ,
მაგრამ უფრორე აღმაგზნეთ ამით.
იმედის ნაცვლად — სასოწარკვეთა,
ნაცვლად მხნეობის — უიმედობა,
და ფრენის ნაცვლად — ვვარდები ცეცხლში,
შიშმა შემიბყრო — სიმშვიდის ნაცვლად,
ვერ მოვიკრიბე ძალა და ღონე,
თქვენმა სიტყვებმა დამრია ხელი,
ჩანს, სამუდამოდ ვარ განწირული
და ყოფნას ამგვარს, — ვარჩევდი სიკვდილს.

(კადის)

გამოსვლა შერვე

კასანდრა

რა არის ესე ბედი მსახვრალი,
კაცს რომ უშხამავს სიცოცხლის ხალისს,
სიცხადე იგი, — წამრთმევი ძაღვის,
თუ მარტოოდენ წარმოსახვანი?
ჯერ აღანთებენ გულისთქმას უინით,

ტრფობის სახმილით დაიწვინენ ღამის
 მერე კი ისევ უცნაურ ძალით
 ჰქრება ყოველი, ვით ხსელი დილის.
 აგრე ყოფილა კაცთა ბუნება, —
 ხან სიყვარული, ხან არდანიობა,
 გრძნობათა მკვეთრი ცვალებადობა
 ჩანს, სულს კაცისას ესაღბუნება.
 გრაფის ბნელსა და ნართაულ სიტყვებს
 ვერ მოუძებნა ახსნა გონებამ,
 განსჯის და გრძნობის ეს გაორება,
 ეტყობა, რაღაც ღრმა აზრებს იტევს.
 საშინელია, როდესაც ხედავ, —
 როგორ ტორტმანებს ტალღებში გემი,
 აღსარება კი, გაურკვეველი, —
 საშინელია უფრორე მეტად,
 რამეთუ სულის ბორგვას და ღელვას
 ვერ შეედრება ტალღების ბორგვა,
 ნუთუ გრაფს სტანჯავს ჩემდამი ტრფობა
 და ისევ ჩემგან მოელის შველას?
 სისულელეა, თუმც ქორწინებას
 ჩემსას, როდესაც ვიხსენებ, უმაღ
 ვიფიქრებ ხოლმე წყნარად და ჩუმად, —
 ამ ცისქვეშეთში რაღა არ ხდება.
 უსიყვარულიდ რაა ცხოვრება,
 თანაც გახრწნილი მეუღლის გვერდით,
 გატანჯული ვარ ამგვარი ბედით
 და ამერიოს ღამის გონება.
 ღამის მივუზლო სამაგიერო
 ქმარს და მივაგო ღირსია რისიც,
 მაგრამ, ღმერთმანი, ძალიან მიჭირს,
 შენ დამიფარე, ძალავ ციერო!
 გრაფი ღირსია ნამდვილი ტრფობის,
 მაგრამ ეს ჩემგან ცოდვია მძიმე,
 ხოლო გრძნობები თუ გავუღვივე —
 დანაშაული იქნება ორგზის.
 პატიოსნებით ვიარე დღემდე,
 თუმც გრაფისადმი გულგრილი არ ვარ,
 მაგრამ ღირსების ერთგულმა მარად, —
 გულს იქით გრძნობებს ვერ გავახედე.
 ცოდვილი აღბათ მეცა ვარ ცოტა,
 მაგრამ იცოდეს ძალაღმა ღმერთმა, —
 პატიოსნება ჩემი რომ შერყვნას —
 ამგვარი მე არ მიმიძღვის ცოდვა.
 რამეთუ ცოდვას და ბოროტებას
 მაღალი ღმერთი რაშიაც ხედავს,
 იგივეს, — ცოდვად და ბოროტებად
 არ თვლის ჩვენივე პატიოსნება.



გამოსვლა მეცხრე

კასანდრა და ავრორა

ავრორა

დიდი ხანია საუბრობთ! ბრძანეთ
მაინც რა ვითხრათ?

კასანდრა

ექვები თვისი
გამანდო გრაფმა და მითხრა ისიც,
რომ მისი სული თქვენ დააწყნარეთ.
ოღონდ გახსოვდეთ ერთი პირობა:
არ ვააღვივოთ ეჭვები გრაფის.

გამოსვლა მეათე

ავრორა მარტოა

ავრორა

პასუხი არის შეურაცხმყოფი,
თუმც არ აკლია პასუხს ზრდილობა.
თუ გრაფი ჰკარგავს მემკვიდრეობას —
ისე არ უნდა დაჰკარგოს ჭკუა
ანუ ნამდვილი მიჯნური თუა —
ტრფობა ანაცვლოს კეთილდღეობას.
ვინც სამიჯნუროდ გაჭრილა ველად,
მემკვიდრის ტახტი რა არის მისთვის?
თავის განწირვა სიყვარულისთვის
მიჯნურს ოდითგან მიაჩნდა მღერად.
გრაფს კი სხვა დარდმა დარია ხელი
და მწუხარებამ დააჭკნოს ლამის,
რამეთუ ტახტი მშობელი მამის
მის ნაცვლად ახალ მემკვიდრეს ელის.
ვინ დაუჯერებს სულელის გარდა, —
თითქოს ვუყვარვარ თავდავიწყებით,
სინამდვილეში ხელისუფლების
ხელში ჩაგდების სურვილი ტანჯავს.
რახან ასეა, ეცდები, ვინძლო
მარკიზს ყასიდად გაუუხსნა გული,
რომ ჩამქრალი და მიძინებული
ვნებები გრაფის გამოეაღვიძო.

დასასრული შემდეგ ნომერში



ქართული
საბავშვო ბიბლიოთეკა





თარგმნა კაშილა კორინთიელმა

ფედერიკო ბარსია ლორკა

ოთხი ლექსი „კანტა სონდო“-დან

პეიზაჟი

(ციკლიდან „პოემა ბოშურ სივრცეზე“)

გიტარა

ზეთისხილის ველი
იშლება და იკეცება
ვით მარათ ჭრელი.
ზეთისხეთა თაუზე
ცა უძირო და ვარსკვლავთა
შუქის ცივი ღვარი.
მდინარის ნაპირას
ქარი ათამაშებს
ღერწებს და შუქრდილებს,
ხეები ყვირილით
დამთვრალან: მათ ჩრდილში
ტყვე ჩიტების გუნდი
კუდებს აფართხალებს,
მკუდროებას დევნის.

●
ბავშვები გასცქერიან
შორეულ წერტილს.
ქრებიან თეთრი სანთლები.
უსინათლო გოგონები
მთვარეს შეჰლაღადებენ...
და ჰაერში იღველფება
ტირილის სპირალები.
მთები გასცქერიან —
შორეულ წერტილს.

იწყება გიტარის მოთქმა.
იმსხვრევა ფიალა დილის.
იწყება გიტარის მოთქმა!
ო, არ მოსთხოვო
მას სიმყუდროვე —
დაუღალაუად
მოთქვამს და ტირის,
მონოტონურად,
ვითარცა წყალი,
ვითარცა ქარი
მყინვარზე ტირის,
ნუ ევედრები —
არ დადუმდება.
შორეულ სახეებს
გიტარა ტირის.
ასე მზე ჩამავალი
ხვალის ამოსვლას ტირის,
ასე სწრაფი ისარი
დაკარგულ მიზანს ტირის,
უდაბნოს ქვიშა გამხმარი —
თეთრი კამელიის გრილ სილამაზეს...
ხის ტოტზე მომკვდარ
ჩიტუნას ტირის...
ო, გიტარა,

გული ხუთი სატევრით
მძიმედ დაჭრილი.

გზაჯვარედინი

(ციკლიდან „პოემა მარტოობაზე“)

აღმოსავლეთის ქარი;
ფარანი
და გულში —
ხანჯალი.

ქუნა —
ძაგდავი
დაჭიმული სიმების,
ძაგდავი
უზარმაზარი კრახუნების,
და —
ფოველ მხრიდან,
სადაც გავიხედავ,
გულში —
ხანჯალი.

მარინა ცვეტაევა

**ორი ლექსი ციკლიდან
„ღონე ხუანი“**

დაშნა ჰქონდა ღონ ხუანს,
ქალი ჰყავდა ღონ ხუანს,
ღონა ანა ერქვა მას.
სულ ეს არის, რაც მიაგბეს
მშვენიერზე, საცოდავზე
ღონ ხუანზე...
მაგრამ დღეს — ო,
ჭკუით მოვიქეცი დღესი —
შუალამეს გაველ გზაზე,
მომყვებოდა ვიღაც განზე
და სახელებს თვლიდა, თვლიდა...
მოვარე ვერცხლის ნაწნავს შლიდა...
თრთოდა კვერთხი უცნაური,
ლევა ღრუბლით შესუდრული...
ღონა ანა არსად ჩანდა,
ის ღონ ხუანს აღარ ჰყავდა.

აღიონზე ნისლი თრთოდა,
გაბმით ქარი გაჰკიოდა,
ჩააწვინეს ღონ ხუანი
ცხვ საწოლში — ფაფუკ თოვლში.
არც მქუზარე შადრეკანი,
არც ვარსკვლავთ ცხელი ციალი.
ხილო მკერდზე უცნაური
ჯვარი მართლმადიდებლური.
საუკუნო შენი დამე
რომ არ იყოს ასე მწარე;
მე შენთვის მარაო შავი
სევილიის მოვიტანე,
ქალის ეშხს და სილამაზეს
მუდამ იყავ დანატრული.
გულს მოგიძღვნი ჩემს უნაზესს,
რომ არ დარჩე გულნაკლული.
მანამდე კი დაიძინეთ,
დაიწყნარეთ შლეგი სული:
შორეთიდან მომეველინეთ,
ეს სურვილიც შეისრულეთ!





გერმანულიდან

თარგმნა

თერგიზ პატარაია

წინასიტყვაობის მაგიერ

1988 წლის მაისში მთარგმნელობით კოლეგიაში ჩემს კოლეგას თენგიზ პატარაიას და მე შემოგვთავაზეს გვეთარგმნა დასავლეთგერმანელი მწერლის გიუნთერ გრასის გახმაურებული რომანი „დედალი ვირთაგვა“. როგორც საქართველოში ჩამოსულმა მწერლის იმპრესარიომ აგვიხსნა, თავად მწერლის სურვილი იყო თურმე ფილმი ამ ნაწარმოების მიხედვით გადაეღო ან ფედერიკო ფელინის ან თენგიზ აბულაძეს, გრასის არჩევანი საბოლოოდ თენგიზ აბულაძეზე შეჩერდა, ვინაიდან მწერალს თავისი რომანის კინემატოგრაფიულ ენაზე აქლერება მხოლოდ ამ რეჟისორის მხატვრული ხედვით წარმოედგინა.

გიუნთერ გრასის შემოქმედება მანამდე უცნობი იყო ქართველი მკითხველისათვის. მწერალი საბჭოთა მთარგმნელებს არ აძლევდა თავის ნაწარმოებთა თარგმნის უფლებას. და აი შეუვალი გ. გრასი თანახმა იყო მისი ნაწარმოები ქართულ ენაზე ეთარგმნათ, რათა ქართველ რეჟისორს იგი ფილმად გადაეღო.

ფილმის გადაღება რეჟისორისაგან დიდ შემოქმედებით ენერგიას მოითხოვდა. მისი აზრით ამ მრავალპლანოვანი რომანის გადაღებისას ჩართული უნდა ყოფილიყო მულტიპლიკაციის ელემენტი, რადგან ამ კინემატოგრაფიული ხერხით ვველაზე უკეთ შეიძლებოდა გ. გრასის მხატვრული ესთეტიკისათვის ნიშნეული პეტაფორიკის თუ ექსცენტრიულობის გადმოცემა.

სამწუხაროდ, არც ბ-ნი თენგიზ აბულაძე და არც თენგიზ პატარაია ჩვენ შორის აღარ არიან.

თ. პატარაია ვერ მოესწრო კვლავაც გაეცნო ქართველი მკითხველისათვის გერმანული ლიტერატურის კიდევ ერთი ნაწარმოები.

ბ-ნ თ. აბულაძის წასვლით კი ქართველმა მაყურებელმა ვეღარ იხილა რეჟისორის ფილოსოფიური აზროვნებითა და მხატვრული ნიჭით აღბეჭდილი ახალი კინოშედეგრი.

ყურნალი ბეჭდავს გ. გრასის რომანიდან რამდენიმე თავს.

თავი მათა, რომელშიაც ლიუბეკს საზვიმო ცერემონიალის დროს თავს ატყდება ჭეჭა-ქუხილი; ბატონ მაცერათს დიდად მოაქვს თავი; დედლი ვირთაგვა გემის ნაშთების ამბავს რაღაც საიდუმლოებას უკავშირებს; პრინცი გარბის; ჰამელნიდან ახალ ამბებს გკატყობინებენ; ერთმანეთს მიტყმასწილს ვირთხები მოლოდინს შეუპყრია; ტრავემუნდედან ფოსტა არ მოდეს; მკერამქუსალი ხანა იწყება და ხარები რეკავენ.

ეს ჩემი ზღვაა, აღმოსავლეთით რომ ბევრი ქვეყანა ესაზღვრება — ბალტიის ქვეყნებიდან რეველი და რიგა; დასავლეთით უამრავი უბე და ყურეა. აქ ნახავთ ეკლესიებს — ლიუბეკში, შტრალზუნდსა და დანციგში ღვთისმშობლის ტაძრები, სტეგეში, კუნძულ მიონზე იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაა, ელმენლუნდში კირით შელესილი საყდარი. უამრავი ეკლესიაა დანიის ქალაქებშიც, შემდეგ შონიის საკურორტო ზონაა, შუედეთის კლდოვანი ნაპირები უსტედედან სტოკჰოლმამდე: მალლა, ჩრდილოეთში, ფინეთის ნაპირებთან ბოტნიის ყურეა. კუნძულებს: ბორნჰოლმს, ვოტლანდს, რეკენს ვალერსება ჩემი ზღვა, მთასა თუ ბარში, ყველგან, სადაც კი აგურს სწვავენ. აქ მრავლადაა ტაძრები თუ ეკლესიასალოცაუები, რატუშები თუ არსენალები, სულიწმიდის თუ წმინდა ვიორგის დარბაზები, ცისტერიანელთა თუ ფრანცისკელთა მონასტრები. მარტი სერბთა უბანში შემორჩენილი ნაგებობანი კი არა, ყველა ისინა აგურის გოტიკის განეკუთვნება და გარს არტყია ჩემს ზღვას — მეღუზებით მდიდარ, მტკნარ, მოტყლაშუნე და ვერაგ ბალტიის ზღვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი შენობა შედევრებითაა გამოტყდილი. აქაა გუნდისთვის განკუთვნილი სკამები, იქით თეატრში გეცემათ ოსტატთა მიერ ნაკეთები დიდგვაროვანთა გერბები და ზედ ამოტვიფრული სულელურად ამპარტაყნული წარწერები, უფალ ღმერთის მორჩილებას რომ უცხადებენ. თითქოს ფეხმძიმედ არიანო, ისე დგანან მეტისმეტად გაწვრილებული მადონები. გვერდითი საკურთხევლებისა და ხის ჯვარცმების ნახვა ერთ რამედ ღირს! საინტერესოა იმ იარაღების დათვალიერებაც, რომლებითაც ოდესღაც ადამიანებს აწამებდნენ.

დროდადრო გაოცებას კედლებზე შემორჩენილი მხატვრობაც იწვევს. მდინარე შლაიზე მდებარე შლეზვიგის ტაძარზე, რომლის კედლების ბათქაშზეც მხატვარმა მალსკათმა ჯვარცმის სცენები კვლავ გოტიკურ სტილში დახატა, უკვე გესაუბრეთ. ამბობენ, თითქოს მან სულიწმიდის საავადმყოფოს საკურთხეველიც ხელის ერთი მოსმით მაღალი გოტიკის ფრესკებით დაფარაო, თუმცა ეს დღემდე სადავოა. მაგრამ ის კი ნამდვილად ცნობილია, რომ მალსკათი დაუღალავად შრომობდა ღვთისმშობლის ტაძრის ცენტრალურ დარბაზში, შემდგომ კი მაღლა. გუმბათში, რომელიც ფრანგული არქიტექტურისთვის ჩუყული მასშტაბების მიუხედავად აგურის გოტიკის სიამაყედ ითვლება და რომლის შეიღსაუკუნოვანი იუბილუც კარს იყო მომდგარი.

მალსკათი იძულებული იყო ეჩქარა, ფეიც აჩქარებდა. ცენტრალურ დარბაზში, დაბლა, ხარაჩოები მოხსნეს. დასახული იყო დიდი ღონისძიებანი და თანაც უმაღლეს დონეზე. საგანგებო მარკების გამოშვებაც კი: თხუთმეტპფენინგიანი მწვანე და ოცდახუთპფენინგიანი მოწითალო-მოყავისფრო მარკებისა. ორივეზე გამოსახული იყო ხელმარჯვე მხატვრის მიერ შესრულებული „გამოცხადება“. მარკები მილიონიანი ტირაჟით დაიბეჭდა და კიდევ გაიყიდა, რამაც კა-

რზე მომდგარი შვიდასი წლის იუბილე უფრო მნიშვნელოვანი გახადა და ლიუბეკის ეკლესიის მესვეურთაც დიდი მოგება მოუტანა.

შავანაფორიანებმა ას ოთხმოცი ათასი ტკიცინა დასაუღლოვერმანული მარკა ჩაიჯიბეს, მხატვარს კი, ერთთავად სურდოთი გატანჯული ხარაჩოებზე რომ იდგა და შრომობდა, ის საფოსტო მარკები მთაროვეს, რამდენიმე კლასიკურულება დღესდღეობით მეტად გაძვირდა, და, მე თუ მკითხავთ, უღმერთოდანც ისე რომ, მალსკათი იმ „გამოცხადების“ ჯგუფის შემომქმედი, მოწვეულ ხელოვნებათმცოდნეების ქება რომ დაიმსახურა, პირში ჩაღაგამოვლებული დარჩა. ყველაფერს ჩამომაცილესო, ალბათ პირწმინდად დამივიწყესო, ფიქრობდა ზემოთ, ხარაჩოებზე განმარტოებული, თუძცადა ფარ-ხმლის დაყრას ჯიუტად არ აპირებდა.

ბოლოს და ბოლოს ორმოცდათერთმეტი წლის პირველ სექტემბერს ლიუბეკის ღვთისმშობლის ტაძარში საზეიმო ცერემონიალი შედგა. ჩვენი ალაღმართალი მხატვარი, რომელიც დიახაც არ შეუწუხებია თავბრუსხვევას, როცა ჯერ ეკლესიის ნავში, შემდეგ კი მის ქორედში ბეჯითად შრომობდა, სულაც არ იყო ყურადღების ცენტრში. საზეიმო ცერემონიალის დროს მოწვეულ საპატიო სტუმართა შორის როდი იმყოფებოდა, უკან, მდაბიოთა შორის, ბოლოს წინა რიგში იჯდა, რომელთა შორის დამკვეთიც ვრია. ვუცქერდი და ჩემს თავს ვეკითხებოდი, ნუთუ ის აზრი, ერთხელ აღძრული, ისევ ღრღნის-მეთქი? უაზრო თვალებით შემოსცქეროდა მას საკუთარი ოცდაერთი წმინდანი, შვიდ სამკაციათ ჯგუფად დაყოფილნი რომ იდგნენ მოხატულ სვეტებზე — ზოგ მათგანს გვერდზე გახსნილი წვეტიანი ფეხსაცმელი ეცვა, ზოგი კი საერთოდ ფეხშიშველი იყო.

უკან რიგებში გაყუჩებულ მალსკათთან უფრო ახლოს იდგნენ ეკლესიის ნავში მოთავსებული წმინდანები. ყოველი ფრესკა მასზე მეტყველებდა. უბადრუკი ნაშთებისაგან-საღებაეი ხელის უნაჩესი შეხებისასაც კი მტვრად რომ იქცეოდა — მკრთალად შერჩენილი კონტურების მიხედვით ძირითადად მან თვითონ შექქმნა ისინი, ამოსწურა საკუთარი ფანტაზიის საბადოები ჩაღის ფასად. დაღლილი, დაცარიელებული ღოთარ მალსკათი იჯდა უკანა რიგში, დიტრის ფეის გამოწვალ კოსტუმში, ეცვა (ამ კოსტუმს ფეი ჯერ კიდევ შლეზვიგში ატარებდა) მოკლე შარვალი, ბეჭებში ვიწრო პიჯაკი. იჯდა შეწუხებულ-შევიწროებული. საცოდავ საფრთხობელას ჰგავდა ზემოდან, წმინდანების თვალით დანახული, როგორც დაგვიანებულ კონფირმანტს შესცქეროდა შორიდან ღვთისმშობელი. მისი ამასობაში სახელმწიფოებრივი გამოსახულება ბრწყინვალე გამოცემას ამშვენებდა. ამ წიგნში ხელოვნების ისტორიკოსები ლიუბეკის ღვთისმშობლის ტაძრის მხატვრობას საოცრებად აღიარებდნენ, ხოლო მალსკათი, ცხადია, ნახსენებიც არ იყო.

მალსკათს გულში ეცინებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ გუნძულებივით მოჩანდა თეთრი ბათქაში, კონტურები კი თითქოს საუკუნეებს დაეხიანებინათ, მაინც გასაოცარი იყო ღვთისმშობლის მზერა: ველური, მკაცრი და მათრობელი. გამომხატველი ფარული სიტკბოების.

ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის მაისში — როდესაც უკანასკნელი სასურსათო ტალონებიც გაუქმდა — მალსკათმა საუზმის დროს ფიქრში შექმნა ახლა ასე ცნობილი მადონა. ერთი სახელმწიფოებრივი კინომსახიობი ქალის ხატად შექმნა იგი, ქალისა, რომელიც წინა საღამოს კინოში ისე ღაღად გამოეცხადა, თითქოს ომი არც არასდროს არ ყოფილიყოს. ფილმს ერქვა „მხიარული ბენზინის სვეტი“. ვიდრე მალსკათი იჯდა და გულში იცინოდა, კათედრიდან ეპისკოპოსი პანტკე

მრევლს ქადაგებას უკითხავდა. მისი სიტყვები მიმართული იყო კანცლერ ადენაუერისადმი, გაქვავებული სახით რომ იჯდა. ეს ის ეპისკოპოსი არ გვევლინოთ, უმძამ რომ ჩაავონა, ქორედის თაღში სვასტიკა გამოეკვეთა. ეს გახლდათ ღრმად მოხუცებული კაცუნა, რომელიც საპატიო სტუმრებისთვის ქადაგებდა და ხანდახან უკანა რიგებში უბრალო ხალხსაც მიმართავდა. როგორც ის არ ვიცო, რა აცინებდა მალსკათის ეპისკოპოსის ქადაგებისას და მხოლოდ შემძიმდებოდა, რომ შესაძლოა მისი მხიარულების მიზეზი მადონა-კინოვარსკვლავი ან მტანჯველი ფიქრი იყო, ასევე არ ვიცო, რას ფიქრობდა კანცლერი ადენაუერი ეპისკოპოსის ქადაგების სმენისას. მის გარშემო მსხდომი საპატიო სტუმრების გაქსუბულ-უცოდველი სახეები არ უნდა ყოფილიყო მისი ჩაფიქრების მიზეზი. უფრო ისაა სავარაუდო, რომ იგი არცთუ ისე დიდი ხნის წინ განიარაღებული გერმანიის ხელახლა შეიარაღებასა თუ დივიზიების სიძლიერეზე ფიქრს შეეპყრო. ანდა, ვინ იცის, იქნებ კათოლიკური შეუვალობით უსმენდა ეპისკოპოსის პროტესტანტულ ქადაგებას?

ველესიის მსახური ხან გრძელი, ხან მოკლე სიტყვით ასხამდა ქებას უფალს და მადლობას სწირავდა მას. იგი ჰყვებოდა ღვთის წყალობაზე, სიკეთეზე და სათნოებაზე, თვით ცოდვილთაგან მიხეულ სიყვარულზე, იმ ბნელ დროებებში ღვთის მიერ ჩაღვნილ საოცრებებზე, ახალ დროებასთან დაკავშირებით კი მოიგონებდა დამარცხებულებს, რომელთაც უფალმა სურათ-ხატთა ძალით ნიშანი მისცათითქოს.

როდესაც ეპისკოპოსმა საგალობელი „ვადილოთ უფალი ჩვენი“ წამოიწყო, მას ლოთარ მალსკათი ხმამაღლა აჰყვა. გალობდა ფეიც, გალობდნენ მთავარი არქიტექტორი ფენდრიხი, უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრი გოებელი, ძველთა დაცვის თანამშრომელი მუნთერი, მინისტრის მრჩეველი შონებეკი, რომელმაც ლიუბეკის ეს საოცრება ბონიდან დააფინანსა. გალობდნენ ლანდებისა და ფედერაციის პოლიტიკოსები, გალობდა, როგორც ყოველთვის, მდაბიო ხალხი, გალობდა ახალგაზომცხვარი სახელმწიფოს პირველი კანცლერიც, ლოთარ მალსკათივით ნიჭიერი სასწაულმოქმედი, რომლის გვერდით ან მის პირდაპირ შეიძლება მჯდარიყო მეორე სახელმწიფოს დამაარსებელი და სასწაულმოქმედი და გალობაში აჰყოლიდა მას. ოღონდ ტექსტი განსხვავებული — საერო იქნებოდა. ჩვენი ბატონი მაცერათი დიასაც სამართლიანად აერთიანებს ადენაუერს, მალსკათსა და ულბრიხტს ერთ ტრიუმვირატში. ჯერ კიდევ იმ წლებამდე, იგი რომ ყალბ ორმოცდაათიანებს უწოდებს, დაიწყო სამივემ დაქუცმაცებული არაფრისაგან ძველის ახლად ქმნა და მოახერხეს მთელი მსოფლიოს ოსტატურად გაცურება, ცხადია, ყოველმა მათგანმა თავისებურად.

სამართლიანი მსჯელობაა. მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც არ ვეთანხმები ბატონ მაცერათის წინადადებას: დღეს რესპექტაბელური დისტანციის დაცვით, მას შემდეგ, რაც ბოლოს და ბოლოს სიყალბე გამოაშკარავდა, დიდი ზომის საფოსტო მარკები უნდა გამოუშვათ და მოელ გერმანიაში გავავრცელოთო. მარკებზე ნოელი ტანით ის ტრიო იქნება გამოსახული ადრე გამოშვებული „გამოცხადების“ მარკის მსგავსად, რომელიც დღეს საშინლად ძვირად ფასობსო. ნაქსოვჭუდიანი აღმოსავლელბრუსიელი მხატვრის მარჯვენა მხარეს უნდა იდგეს რაინლანდელი კანცლერი ცილინდრით, მარცხნივ — სახელმწიფო საბჭოს საქსონელი თავმჯდომარე კეპით, შესაძლოა მათი შესაბამისი ატრიბუტები — ამერიკული და საბჭოთა წარმოების სათამაშო ტანკები ეპყრათ ხელთ, ხოლო მალსკათის ფუნჯი და რკინის ჯაგრისით, მხოლოდ და მხოლოდ ასე შეიძლება მაშინდელი ყალბისქნელობა

გაეკეთილშობილით და ღირებულების სიმბოლოდ ვაქციით ისევე, როგორც კარგად მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი კეთილდღეობაც უდავოდ ეჭვძნება სიყალბეს, რომელსაც ვადაგასულობის გამო არავანსჯადი გახდა.

„სამივენი დაულაღაჲად ჭედაუნენ, — ამბობს ბატონი მაცერათი, თავიანთ ყალბ ხატებს, ჭედაუნენ დეტალური სიზუსტით. ერთი ბნელ საქმეებში იყო ჩართული, მეორე საქსონურად უქცევდა, პირმოთნეობდა, ცრუობდა და არაფრისაგან თავის საკუთარ გერმანიას ქმნიდა, მესამე კი ლიუბეკში, იქ, სადაც ქვეყანა ქვეყანას ესაზღვრება, გოტიკურ კამარებს კრავდა. სამივე უნდა გვახსოვდეს და თუნდაც ქალაქის ოსხკუთხედში გავაერთიანოთ. წერილებსა და იაფფასიან ბართებზეც ვხედავ მე ამ განუყოფელ ტრიოს — გზის ვაღმა-გამოდმა, აქეთ თუ იქით. რაც პოლიტიკოსებმა ვერ მოახერხეს, ფოსტა მოახერხებს! ეს ხომ ფილატელიის გამარჯვება იქნება!“

მე რომ წინააღმდეგი ვარ, ეს ბატონ მაცერათს სულაც არ აღარდებს და თუმცა ყურს არც მიგდებს, მე მაინც ვეუბნები: თუკი ასეთ მარკებს გამოკუშვებთ, მათზე მხოლოდ ადენაუერი და ულბრიხტი უნდა იყვნენ გამოსახულნი პოეტებივით გვერდი-გვერდ ან პროფილით პროფილის უკან — ძმები გრიმებივით. რამეთუ მალსკათმა საკუთარი ნებით შვიდსი წლის იუბილეს შემდეგ სულ ცოტა ხანში ბოლოს და ბოლოს ყალბისმქნელთა ტრიო დატოვა და დაჰკმო, თანაც ყველაფერი წინასწარ გაიაზრა-მეთქი.

ორმოცდათერთმეტი წლის პირველ სექტემბერს ნაშუადღევს მალსკათი რამდენიმე მშენებელ მუშასთან ერთად „ფრედენჰაგის“ სარდაფში იჯდა. სულ ორი-ოდე წუთით შემოირბინა ჯერაც ისევე შტრესემანის სამოსში¹ გამოწყობილმა ფეიმ. ლუდითა და არაყით გაუმასპინძლდა მათ. რატჰაუზში ეჩქარებოდა, სადაც მალსკათი კი არა, პირმშვენიერი ფეი უნდა წარედგინათ ფედერალური კანცლერისათვის. ადგილობრივი პრესის ცნობით კანცლერს მისთვის უთქვამს: „ჰოო, გამოდის, რომ თქვენ ხელოვნებათმცოდნეებს თავსატეხი გაუჩინეთ“. არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა, მაგრამ არსებობს ლეგენდა, თითქოს ამ სიტყვების შემდეგ ადენაუერს ფეისთვის თვალი ჩაუკრავს.

მოგვიანებით მალსკათი რამდენიმე მეგობართან ერთად „კაფე ნიდერვეგერში“ წავიდა. მტკიცედ გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს სიყალბისათვის ფარდა აეხადა, რადგან ეს ამბავი არა და არ ასვენებდა. სწორედ საზეიმო წუთებში, როდესაც პირმშვენიერ ფეის დათარიღებული და ბეჭედდასმული საპატიო სიგელი გადასცეს, თითქოსდა განგებ სწორედ მაშინ დაატყდა ლიუბეკს ციდან ჭექა-ქუხილი. ზეციურ ძალთა ესდენ აშკარა ჩარევამ შვაშინა ეკლესიის ბოლოს წინა რიგში მჯდარი მხატვარი, რამეთუ ჭექა-ქუხილი უზენაესის გაფრთხილებად ჩათვალა. დროდადრო ისე ეცემოდა კაშკაშა შუქი ყალბ ფრესკებს ეკლესიის ნავსა და ქორედში, დაახაც რომ მკრეხელობად ჩანდა ღვთის წინაშე სახელმწიფო ცერემონიალის პირველ სექტემბერს დანიშვნა — ამ დღეს ხომ თორმეტი წლის წინ პოლონეის ომი გამოუცხადეს... ამასთან რისხვამ, რასაც უფალი ჭექა-ქუხილით ამცნობდა, მალსკათის ორმოცდაორი წლის ის ბზობის კვირა ვაახსენა, როდესაც დიდი ბრიტანეთის თვითმფრინავებმა ბომბები ლიუბეკის ცენტრს დააყარეს. მაშინ ერთ-ერთმა ჭურუმა ტაძრის სახურავი ჩაანგრია და აგურის შენობა ცეცხლის ალში გაახვია. უზარმაზარი ზარი ეკლესიის ნაყს დაეცა, ამასთან კედლე-

1. შავი პიჯაკი და ზოლიანი შარვალი, რომელსაც ამ გვარის პოლიტიკოსი ატარებდა (1875—1929).

ბიდან თითის სიმსხო ცარცის შრეები ჩამოცვივდა, რომლებიც რეფორმაციის დროიდან მოყოლებული ტაძარს საგანგებო პროტესტანტულ ყაიდაზე ინახავდა. ამის შემდეგ შერთალი კონტურები და აქა-იქ ბაცი ფერები, ანუ ვოტიკური კედლის მხატვრობის ნაშთები გამოჩნდა. მაგრამ ეს მხოლოდ შემუსრული მშვენიერების მიმქრალი ანარქული იყო.

პოდა, ამ ნაშთებისაგან, ხანძრის შემდეგ მთლიანად რომ გაპარტახდა, მალსკათმა ლიუბეკის საოცრება შექმნა. დიახ, მხოლოდ და მხოლოდ მან და არა ფეიმ, ვილაც საპატიო სიგელი მისცეს და კანცლერმაც თვალი ჩაუკრა.

მისი წმინდანები — ქორედში სამი, ეკლესიის ნაყში ორი პეტრის სიმაღლისანი არიან. ზოგი სვეტზეა შემდგარი, ზოგიც ჩარდახქვეშაა მოთავსებული! დიახ, აშკარად შვენივით რომანული, ბიზანტიური, თვით კოპტური დეტალებიც კი. სწორი სამოსელი აცვიათ და გაფარჩხული ფარფლ-ფეხებით გვერდულად დგანან. წმინდანთა დასი დუმს, მაგრამ მაინც ენამზეობს, როცა „აღდგომის“ სცენა ჩრდილოეთ კედელზე სამხრეთისაზე „ჯვარცმის“ სცენას ეხმიანება. განსაკუთრებული მოწონება წმინდა ბართლომეს გამოსახულებამ დაიმსახურა. ეს გახლდათ წმინდა ბართლომე დახით ხელში. 1950 წლის ივლისში, როცა ყველა სამუშაო თითქმის უკვე მომთავრდა, დიდ ხარაჩოზე ფეის თაოსნობით ხელოვნებათმცოდნეები აძვრნენ. მაშინ იყო მალსკათი ხარაჩოს კუთხეში რომ დაიმალა და ჩუმ-ჩუმად იცინოდა ფეის ომახიან ახსნა-განმარტებებზე. ისევ და ისევ ფეი! მხოლოდ ის იყო კომპეტენტური, მხოლოდ ის იცნობდა ყველა დეტალს! ის წერილმანები, მალსკათს სიჩქარეში რომ გამორჩა, აი თუნდაც ჭრილობა აღმსდგარი მაცხოვრის ფეხზე ანდა ნაჭღევები წმ. ფრანჩესკოს ხელებზე, ფეიმ მაღალი ვოტიკის ოსტატთა დაუღვერობას მიაწერა და ასე ახსნა: ეტყობა, ნაჩქარევად მოუწია მუშაობაო.

მაღალი, ხმელ-ხმელი მალსკათი, ზაფხულის მიუხედავად ნაქსოვი ქუდი რომ ეხურა, ხარაჩოებში მიყუყული უსმენდა ამ ოსტატურად შეთითხნილ მონაჩმახს. და როგორც სიყრმიდანვე სჩვეოდა, თავისთვის ჩუმ-ჩუმად იცინოდა. პოდა, მაშინ იყო, რომ გადაწყვიტა ხარაჩოების საიდუმლოება დღის სინათლეზე გამოეტანა.

მაგრამ როცა მხატვარი ძეგლთა დაცვის კომიტეტში გაემურა, მერე კი ყველა საეკლესიო უწყება დაიარა, ყური არაჟინ ათხოვა. ძეგლთა დამცველებმა ავანტურისტად ჩათვალეს, მღვდლებს აურზაურის შეეშინდათ. შეიდასი წლის იუბილე აკი კარს იყო მომდგარი! არადა, კანცლერმა ხაზგასმით განაცხადა, ცერემონიალს დაეკესწრებიო. ეს სიმართლის მოყვარული მალსკათი კი თავისი მავთულის ჯავრისებზე მონაჩმაჩით მხოლოდ ხელს უშლიდა ყველას.

„როგორ თუ ყალბიაო? — გაიძახოდნენ ანაფორიანები — ასობით სპეციალისტი, ხელოვნებათმცოდნე და ექსპერტი ამტკიცებს, ნამდვილიაო, ორგინალური და დასტურ იმ ხანას ეკუთვნისო! შეუძლებელია ყველა ცდებოდეს!“

სამწუხაროდ, იმუამ კახაბის აღზევებისა და ბანკნოტების დრო დამდგარიყო. „მამა აბრამის ბატკნების“, შუუბლალაკი რეპუტაციის ჩინოსნების, მაღალი თანამდებობის მკვლელებისა და მთავრობაში მოკალათებულ ქრისტიან პირმოთნეთა ხანაში სიმართლე არაჟის აინტერესებდა, არაჟის სურდა, განა სულერთი არ იყო, რა მოხდა?

მალსკათმა ლამის ხელიც კი ჩაიქნია, დაე დარჩესო თაღლითობა თაღლითობად. ლიუბეკს რომ ის ჭეჭა-ჭეხილი არ დასტეხოდა, ალბათ ხმასაც არ ამოიღებდა.

ახლა კი, როდესაც ასე ცხადად ჩამოესმა ის ხმა ზეციდან, თავი მოუყარა ესკი-
ზებს, ჩანახატებს, დღიურებს თუ სხვადასხვა საბუთებს, საკუთარი დანაშაული
ადიარა და სიძარბო ასე უდროოდ დროს საამკარაოზე გამოიტანა.

თუმცა მაცერათს კათეტერი აწუხებს, მუდმივად რომ აქვს ჩადგმული, მისც კმა-
ყოფილია კაცი. დააბიჯებს წინ და უკან და სიტყვებს ხმამაღლა იმეორებს. ამ-
ჯერად ლაქის ფეხსაცმელი აცვია. ფარ-ხმალს არ ყრის, რაც თავში მოსდის,
ყველაფრის განსახიერებას ცდილობს. უსამშველოდ დიდი კაბინეტი აქვს. უფან-
ჯრო კედელზე, დაფის გვერდით გადიდებული შავ-თეთრი ფოტო გააკვრევინა:
მალსკათის სამება, კვლავაც რომ ამშვენებს ლიუბეკის ტაძარს (პროცესის შემ-
დეგ მხოლოდ საკურთხეველის აფსიდის წმინდანები ჩამორეცხეს). ჯიხით მაჩ-
ვენებს დეტალებს: „აი ეს ერთი ხმლითაა, შუათანას ფუნჯი უჭირავს ხელში,
შესამეს თხასავით წვერი აქვს, — მიხსნის და შემაგონებს მაცერათი მასწავლე-
ბელივით. — არ გამაცინო და ესენი არიან წმინდანები ან მოციქულები?

კი მაგრამ, მაშინ რატომ არ ადგათ თავზე შარავანდედი?

კი ბატონო, ვიცი, რასაც მიპასუხებთ, დაბნეულ, გროშებისთვის ჰაიპა-
რად მომუშავე მალსკათის გადაავიწყდაო წრეების შემოხაზვა, რა მო-
ხდა მერე? განა არ გამოჩნა ან დაავიწყდა აქა-იქ ცალ-ცალი
ფეხსაცმელი, ჭრილობა მაცხოვრის ხელზე, წმინდა ფრანჩესკოს
წყლულები? რა მოხდა, თუ ეს შარავანდედებიც ასევე გადაავიწყდა! მაგრამ თუ
ყურადღებით დავაკვირდებით — რაც ყველას არ შეუძლია და ყველას ვერც
მოსთხოვ — დაფარულ აზრს ამოვიცნობთ. ეს სამნი, ვამბობ მე, არ არიან მო-
ციქულები, ეს სამება არა ფოტოგრაფიული სიზუსტით, არა პორტრეტულად,
არამედ იდეალურ პლანში გამოსახავს ჩვენს ეშმაკუნა მხატვარსა და ორ სახელ-
მწიფო მოღვაწეს, ანუ, როგორც თქვენს დედალი ვირთაგვა ამბობს, მძლე თაღ-
ლითებს. არა, მე არ ვამტკიცებ, თითქოს მალსკათმა ერთ მშვენიერ დღეს მალლა,
ხარაჩოებზე გადაწყვიტა: პოპლა! ახლა საკუთარ ავტობიორტრეტს დავხატავ და
მარჯვნივ ბებერ აღენაურს, მარცხნივ კი წვერცანცარა უღბრიხტს ამოვიყენებ
გვერდითა. მე უფრო მგონია, რომ მას დროის სულისკვეთებამ ჩააგონა შეექმნა
ეს ჯგუფური პორტრეტი. მერე უეცრად გონება გაუნათდა და კედელზე საკუთარი
თავი დაინახა ორ პოლიტიკოსის შირის. იქნებ სულაც გაუცნობიერებლად, ასე
კოქვით, ძიამიტად — შეიყვანა ეს უწმინდური ტრიო წმინდანების კოლექტივში?
ვერაყერს გატყვით. მე მოვძებნი მალსკათს და „კაფე ნიდერეგერში“ წავიყვან.
ნამცხვარს და ჩაის შევუკვეთავ და აღუღვიძლებს გავიხსენებთ, როგორ მოხდა
ეს ყველაფერი და ვინ შეაწია ხელი იმდროინდელ საფოველთაო სიყაღბეს. ეს
კათეტერი რომ არა, დღეს უკვე გზაში იქნებოდა!”

კიდევ კარგი, მარცხი შეემთხვა, თორემ ჩადებულა აპარატი რომ არა, როგორც
ყოველთვის, ახლაც დაუფოვნებლივ დასკვნებს გამოიტანდა და საქმეს შეუდგე-
ბოდა. ჩვენი ბატონი მაცერათი დუმს. წარსულს თუ იხსენებს. დაბნეული ნელ-
ნელა დააბიჯებს აქეთ-იქით. სიტყვას ეძებს, იპოვნა, თითო (ზედ ლალის ბე-
ჭედი უელავს) თავისთან ახლოს მიხმობს, ახლოს, სულ ახლოს. დახრა მიხდე-
ბა, მისი ოდეკოლონის სუნი მეფრქვევა. სურს ყურში ჩამჩურჩულოს: „ხომ კი?
ჩემი თავიდან მოცილება, მოკვლა გინდოდათ ხომ? ჩემი ისტორია სადღაც შორს,
პოლისეთში, ბებიჩემის კალთებქვეშ გინდოდათ დაგემთავრებინათ! ყველასათვის
მისაღები, მაგრამ ნაჩქარევი აღსასრული იქნებოდა.

დავუშვათ, რომ სიკვდილი დავაგვიანე, მაგრამ ასე, ჩემო კარგო, ოსკარს თქვენ
ვერ გაანადგურებთ!”

მოკლე პაუზის შემდეგ ღრმა სავარძლიდან მესმის ჩვენი ბატონი მაცერათის ხმა: „თქვენი სწრაფვა უდროო ფინალისაკენ ჩემთვის სრულიად გასაგებია, მეტიც, მე მესმის, რომ ჩემი არსებობა ხელს გიშლით. მე აღარ უნდა ჩაუეროთ. თქვენ გსურთ თავი დამაღწიოთ, მომაკლში მაინც ჩემზე აღარავინ მიანიშნოს, როდესაც თქვენ გგულისხმობენ. მოკლედ, თქვენი ნება რომ იყოს, უკვე კარგაა ჩამოწერილი ეიქნებოდი“.

ბიზ-ნიმუში

მე ვეკამათები. მაგრამ ჩემი პროტესტის მიუხედავად მაინც ძღვებს მკვლელობის განზრახვაში ბრალს. „კმარა, შეწყვიტეთ, მაინც ვერ დამიმტკიცებთ, თითქოს ჩემი მოძავალი დაბადების დღისათვის წინასწარ არ გქონდეთ მომზადებული სა-მგლოვიარო სიტყვა. შარდით მოწამვლა და ტრაგიკული აღსასრული. თქვენ ეს ხელს გაძლევდათ. თქვენი აზრით ჩემთვის ზედგამოჭრილი სიკვდილია! კიდევ კარგი, ჩემი მძლოლი დროზე მიგიხვდათ ვერაგულ ზრახვებს. ჯერ კიდევ ჰელ-მსტედთან გადაუხეია ავტომავისტრალიდან და საუკეთესო უროლოგთან მიმიყ-ვანა. წუთი წუთზე მიეახწართ. თქვენ წარმოგიდგენიათ 1470 მილიგრამი შარ-დი შარდის ბუშტში?“

და აი ჩვენი ბატონი მაცერათი მოცოცხლდა და ნაცნობ დეტალებს უბრუნდება. მას შემდეგ, რაც კათეტერი სჭირდება, ახალი თემა აღმოაჩინა. უებარ მილებზე საუბარი მას აქეთ გარდაუვალია და სიტყვის ბანზე აგდებაც შეუძლებელი.

„რა მარტივი, რა გენიალური აღმოჩენაა!“ — და დაუღალავად მიხსნის, როგორ შეჰყავთ კათეტერი შარდსადენ მილში, შემდეგ შარდის ბუშტში, სადაც ალუბლის-ხელა ბურთულა იბერება და კათეტერს შიგნიდან ამაგრებს. ამგვარად მის მა-ტარებელს შეუძლია აბსოლუტურად მშვიდად იყოს. „შეხედეთ, — ამბობს ის, — სწორედ ეს გამოარჩევს ადამიანს: თვით ასეთი უიმედო მდგომარეობიდანაც კი პოულობს გამოსავალს“.

ჩემს აზრს, რომ დღევანდელი სავალალო მდგომარეობა დღითი დღე უფრო და-ძაბული და სახიფათო ხდება (და ეს რომ მართლაც ასეა, არავინ, თვით ბატონი მაცერათიც არ უარყოფს), გამოსავალი კი — ასე ვთქვათ, მსხნელი კათეტერი არა და არ ჩანს, არაფრად აგლებს.

„სულ ეს ავი წინასწარმეტყველება, ყველგან წყველა-კრულვა მესმის. კარგიი-რა, კმარა. აბა შე შემომხედეთ: თუმცადა ჩემი აღსასრული საფუძვლიანად გქო-ნდათ მომზადებული, კამუბეთიდან მაინც დაკბრუნდი, მართალია, ეიტანჯები, მაგრამ გადაურჩი, — ცოცხალი ვარ. საშოცის გაკხლები თუ არა, ოპერაცია უნდა გაიკეთო, ესეც მართალია, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: ამ ქვეყ-ნიდან წასვლის საშიშროება არ მეშუქრება. მეტიც, ეს თქვენ ხართ, რომ აორთქლდით, ფაფუ... და ახლა დაფარუატებთ კოსმოსურ ხომალდში გამომწყ-ყდელი“.

განა აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო, ჩემო დედალო ვირთაგვავ? განა ერთ დიდ აფეთქებას უნდა დაესვა ყველაფრისათვის წერტილი? განა ახლა იმის დრო მაქვს პაწაწუნა ოსკართან ვიდავო, რომელიც ამასობაში ბებიის უბადრუკ სამ-კაულად იქცა? მის ლაყაფს ვუსმინო. თანაც მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სინამდვილე იყო, არცთუ ისე დიდი დროა გასული. რა დავაშავე? ეს ჩვენი ბატონი მაცერათი ხომ გაუთავებლად რაღაც ახალს გვემავს და მთელ მსოფლიოს გასძახის — ცოცხალი ვარო! მერე რა, რომ მესამე პროგრამა მაინც არ გაჩერდება? როდესაც თქვენ, ვირთხის შვილები, მოსავალს მოსავალზე იღებთ და მზესუმზირას მარცვლებს ახვავებთ, მე ისღა დამრჩენია, მხოლოდ დინებას

მინდობილ გემის ნამსხვრევებზე ვილაპარაკო, რადგან ვინეტას რიგიანად დანახვაც ვერ მოახწრეს, ისე გაქრნენ ქალები. მხოლოდ უკანასკნელ გამოსათხოვარ-სამგლოვიარო სიტყვაზე ვიფიქრო?

თუ შეიძლება ერთი წუთით ქალებზე გადავიტან ყურადღებას, რადგან დროდადრო ქალები მასაზრდობდნენ თავიანთი გრძნობებით: ერთი ისეთი ნახე იყო, თითქოს საკუთარ თავს ეფერებო; მეორე სწრაფი, ფიცხი და მოუთმენელი, მესამე მხოლოდ ხანდახან, დროგამოშვებით ვხვდებოდი, მეოთხის წინაშე მუდამ დამორცხვებული ვიყავი მე თვითონ. მეხუთემ კი — დამროკამ — მთლიანად დამიპყრო, დღემდე. უნდა ვაღიარო, ვირთაგვა: სულ რაღაც ჩაკლდა, საკუთარ სახლში თავს ისე ვერასოდეს ვგრძნობდი, როგორც მინდოდა. რაღაც ხინჯი ყოველთვის მქონდა გულში. ამიტომაც გამოვივიღე ეს გემი. ზედ ქალები შევეყარე. ისე, მხოლოდ ვცადე, ვიფიქრე, ვნახოთ, რა გამოვა-მეთქი. მოძეწონა, მერე ეს აზრი ჭკუაში დამიჯდა და ყველანი ერთად გავუშვი სამოგზაურად. თუმცაღა რა დავიძალო, სინამდვილეში ერთმანეთის სასტიკი მტრები არიან და ერთმანეთს შეძლებისდაგვარად ერიდებიან. ასეთები არიანო ქალები, ამბობდნენ ჩვენს დროში. მე კი შევეცადე ქალები დამემეგობრებინა, ერთმანეთისთვის ღებად შექცია, მაგრამ შენ, ჩემო ვირთაგვა, უეცრად გამაწყვეტინე ეს საინტერესო ექსპერიმენტი. ეჰ, მათთან ერთად ნეტავ მეც გავმჭრალიყავი უკვალოდ!.

მაგრამ შენ გინდა მე ვწერო, ჩემო ვირთაგვა, და მეც ვწერ. გემის ნაშთებს დინება აღმოსავლეთისაკენ მიაქანებს. შენ მოითხოვ, როგორც კი ჩემი კოსმოსური ზომალდიდან ბალტიის ზღვა გამოჩნდება, გემის ნაშთებს ვადევნო თვალყური. კი ბატონო! — ნება შენია.

მაგრამ რაში გაინტერესებს და რატომ ანიჭებ ასეთ დიდ მნიშვნელობას ამ გემის ნაშთებს, ჩემთვის გაუგებარია. მე მაგალითად, უკვე დიდი ხანია ჩამოვწერე ეს ჯართი, ისევე როგორც ბატონი მაცერათის ჩამოწერა მინდოდა. ნეტავი გამაგებინა, რაღა უნდა ამ კაცს? რას შეჩრება და ლაპარაკს არ მაცლის? რა თავში ვიხლი ამ დაწყევლილი გემის დაწყევლილ ჯართს?

გემზე ყველა სათიკისო (ვახსოვს, ყველაფერი ცისფრად იყო შეღებილი?) თავის ქალებიანად დაიფერფლა. მართალი გითხრა, ძალიან მაკლიან. ხან საცოდავი, ხან ძლიერზე ძლიერი უიყავი მათთან. სიყვარული? ამის შენ არაფერი გაგეგება, ჩემო ვირთაგვა. უცნაური გრძნობაა ზომას გადაჭარბებული კეთილგანწყობა. თქვენ კი მხოლოდ არსებობა და გადარჩენა გინდათ. თვალი არ მოაცილო ნამსხვრევებს! მეუბნები შენ. იქ რაღაც მოძრაობს, ძმობილი, რაღაც მოძრაობსო!

მოიცა, მგონი, მართლაც რაღაც ჭრიალებს. გემბანის მოაჯირს უკანასკნელი ნაშთები მოძვრა და წყალში ჩაცვივდა. მეტი რა უნდა მოძრაობდეს? ლანდები? სარკეში არეკლილი ოცნებები? ან იქნებ მუსიკა ჩაირთო თავისით?

არაფერი არ მესმის. მეღუზები არ ძღერიან. ზღვა ხან სარკესავით სწორია, ხანაც წამოიქონირება ხოლმე. მტვრის ღრუბლები გაქრა. ზღვა ისე ბრწყინავს, თითქოს გაახალგაზრდავდაო. შეიძლება სუნიც ისეთივე უდის, როგორც ზაფხულობით, ჩემს ბავშვობაში...

შეიძლება ზღვა საერთოდ ახალია, ერთი ამოსუნთქვა და გაცოცხლდა; და მასში ისევ დიდი და პატარა მეღუზები, ლიფსიტები, სხვადასხვა ბალახბულაჩი ბინადრობენ? ალბათ უცხი თევზებიც, ერთ მშვენიერ დღეს რომ ხმელეთზე გამოვლენ. ვინ იცის? შეიძლება სადღაც ძალიან ღრმად ჩუენმა ნაცნობმა თევზმაც (ქამბალამ) ამოეოს ქვიშიდან თავი, როგორც თქვენ, ვირთხებმა, სოროებიდან? შეიძლება კიდევ რაღაც მოხდეს. ჯერჯერობით კი მხოლოდ გემის ნაშთებს ვხედავ.

უსიყვარულოდ შიაქანებს ქარი ან დინება. მაგრამ ერთი რამ არის უცნაური. მუდამ აღმოსავლეთისაკენ, საწინააღმდეგო მხარეს მიმართული დინების დროსაც კი.

დაფიქრდით, მირჩევს დედალი ვირთაგვა, გაიხსენე, რა მოხდა ვოტლანდის კუნძულზე, აი, აღსასრულამდე ცოტა ხნის წინ, გახსოვს, შენი ქალები, ვისბიზე ხმელეთზე რომ გადავიდნენ? ხუთი ამჩატებული, თავგადასავალი მოწყურებული დიაცი? გაიხსენე მათი გადაჭარბებულად მეზღვაურული მიმოხვრა, აბა ჰე, ძმობილი, მიდი, გაიხსენე!

თავიდან ყველაზე მინიატურული ჭალარა მოხუცი — აი, სულ საჭმელს რომ ამზადებდა, ჭურჭელს რეცხავდა და სულ რაღაცას ალაგებდა, გემზე აპირებდა დარჩენას. მაგრამ მერე — ჰო, გამახსენდა, ხუთივე გადავიდა ნაპირზე, ამ ტურისტებით გამოჭედილ ნანგრევებს მუზეუმში პატარა არეულობის მოწყობა გადაწყვიტეს! თავიდან ცოტა რამ იყიდეს, მგონი, გაყინული ხორცი თუ რაღაც სხვა. „აკუაკიტი“ — „სიცოცხლის წყალი“ — ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, არაფი კი ვერ იშოვნეს. სამაგიეროდ ყველგან დემონსტრაცია იყო, — იმ დროისათვის ძალზე ჩვეულებრივი მოვლენა. ყველაფერს პროტესტს უცხადებდნენ და, ცხადია, ყველა მშვიდობას მოითხოვდა. ძალზე ახალგაზრდა და ძალზე მოხუცი ვოტლანდელები სპორტულ ფეხსაცმელებსა და რეზინის ჩექმებში აქეთ-იქით დააბოტებდნენ. წვიმდა? ცრიდა, საზიზღარი ზაფხული იყო, ცივი და წვიმიანი. ტრანსპარანტებს ამოფარებული დემონსტრანტები მშვიდობიანად მოლაყუნებდნენ. ეტყობოდათ მიტინგების მოწყობის დიდი გამოცდილება, ეს გაუთავებელი მიტინგობანა ცოტა მობეზრებულიც კი ჰქონდათ. თუკი ტრანსპარანტზე ეწერა, ესა და ეს სახიფათოაო, ყველანი წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მოიცა, ვირთაგვა, გავიხსენო, რა იყო აღსასრულის წინ აქტუალური? წყლების გაბინძურება, სილატაკე და მამშილი, ორმხრივი შეიარაღება, კიდევ ტყეოა სიკვდილი. ხომ ვთქვა, ყველაფრის წინააღმდეგ გამოდიოდნენ-მეთქი. ზოგი დმერთს იცავდა. ჰო, მოიცა — ერთი ჯგუფი ცხოველებზე ცდების ჩატარების წინააღმდეგ ილაშქრებდა, ჰო, ეგეთებიც იყვნენ. „ხელაუ! — ამბობს ვირთაგვა, — როგორც იქნა! მერე რაღა მოხდა? ისე უბრალოდ მიდი-მოდიოდნენ?“

ჩემი ქალები ამ არცთუ მრავალრიცხოვან ჯგუფს გაჰყვნენ. დემონსტრანტებს ტრანსპარანტების გარდა უზარმაზარი, მუყაოსაგან გაკეთებული და შეღებილი ფიტულები ეჭირათ ხელში, ხელით ნაკეთები ძაღლები და მაიმუნები. ზოგიერთს ნილაბი ეკეთა, — თავებისა და ვირთხების. ხმელეთზე გასასეირნებლად საგანგებოდ გამოპრანჭული ქალები ამ ჯგუფს შეუერთდნენ. ერთს რაღაც გრძელი ოქროსფერ-მოყვითალო ემოსა, მეორეს თავზე ჩაღმა ედგა და საწმერთელი ეცვა, მესამეს შავი აბრეშუმის რაღაცა.

ვირთაგვა თვლის, რომ ჯობია საქმეს მიუხედავად და ქალების დაცინვას თავი ვაწყებო. არადა, გუშინ მედუზებს იჭერდნენ და ზომავდნენ, დღეს კი ცხოველთა ინტერესების დამცველებთან ერთად მიაბიჯებენ! აქ კიდევ ერთხელ შემაწყვეტინა ვირთაგვამ. მართალია, ვაღიარებ — თემას გადაუხვიე. „ეს არ არის საინტერესო! რა დროს ქალებია, დღეს მხოლოდ ისღაა მნიშვნელოვანი, რაც ვისბიზე მოხდა“, — ამბობს ვირთაგვა.

ჰო, რაღაც არეულობა მოხდა ქალაქის გარეუბანში, რაღაც სამეცნიერო ინსტიტუტის, მგონი, უფსალას უნივერსიტეტის ფილიალის წინ. არა მგონია რომელიმე ვოტლანდელ კაცუნას, მოხუცს თუ ახალგაზრდას დაეწყოს. ალბათ მეძანქანემ ან ბებერმა ისროლა პირუელი ქვა, მერე მესაჭემაც აუბა მხარი. ფაქტია,

რომ ჩემი დამროკა, რომელიც სხვა დროს ყველაზე ხელია, პირველი აღმოჩნდა შენობაში, უკან ქალები და ბოლოს გოტლანდელებიც მიჰყვნენ. შემდეგ კი, ამბობენ, ისე იქცეოდნენ, როგორც ბარბაროსები. ლაბორატორიებში საკმაოდ ძვირადღირებული რამურუმები დაამსხვრიეს და გალიები გახსნეს. ამბობენ, ერთ-ერთმა განთავისუფლებულმა მაიმუნმა შვედ ბიბლიოთეკარ ქალს უკბინა, რასაც თურმე სავალალო შედეგები მოჰყვა, რადგან მაიმუნი... „არ გადმოუხვიო! მერე, მერე!“ — მომიწოდა დედალმა ვირთაგვამ.

კურდღლები და ძაღლები, მაიმუნები, ზღვის გოჭები და რამდენიმე თაგვი მერე ისევ დაიჭირეს. ქალებმა გემს შეაფარეს თავი, როდესაც ლურჯი სინათლეები და პოლიცია გამოჩნდა, სწრაფად გავიდნენ ზღვაში და ჰაიდა, ვინუტასაკენ გაქანდნენ. უსიამოვნებას თავი აარიდეს. ცეცხლოვანი ვიროხა, განსაკუთრებით საინტერესო ეგზემპლარები, დაიკარგა თურმე. უკანასკნელად ეილაც უგონოდ მთვრალ ფინელ მეზღვაურს დაუნახავს ვირთხები ნავსადგურში.

„აი, ხედავ, ხომ მოვაგენით!“ — თქვა ვირთაგვამ და ბეწვი აეშალა. მოხოვა დინებას მინდობილი გემის ნაშთებისათვის თვალყური შედევნებინა. „დიდი ხანია თვალი აღარ მომიკრავს, თვით შენც კი, რომელიც თითქმის ყველაფერს ხედავ, დიდი ხანია არაფერი იცი მის შესახებ. ხომ გახსოვს, ძმობილო, დიდი ზათქის შემდეგ ჭვარტლით გაჟღენთილი კვამლი რომ დააწვა წყალსა და ხმელეთს? დედამიწაზე სიბნელემ დაისადგურა, არც შენ და არც ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს მეფობდა წყვდიადი. გემის ნაშთების ბედ-ილბაღი იმ სუსხიან დღეებში ჩვენთვის უცნობია. თუმცა არც ის ვიცით სინამდვილეში, ეს დღეები, თვეები თუ წლები იყო?! წყვდიადით მოსილ ნაშთებს დინება ათამაშებდა, თუ ყინულით გარშემორტყმული ყინულითვე იყო დაფარული? ეს ჩვენ არ ვიცით, თუკი სიცოცხლე, მისი რაიმე ნაირსახეობა გემზე ჯერ კიდევ არსებობდა, როგორ და რა ეშმაკის მანქანებით უნდა გადარჩენილიყო? ჩვენ, ვირთხები, ხშირად ვუსევამთ ამ შეკითხვას საკუთარ თავს“.

„მართალი ბრძანებაა! — ეამბობ მე. — ვერავინ, ბაღლინჯიც კი ვერ გაუძლებდა ამას, გემის ნაშთები ჩამოსაწერია, ნურაფერს ნულა ელი. ჩვენი ბატონი მაცერათიც უნდა მოვიცილოთ თავიდან, თუ ძმა ხარ. ეს ყველაფერი ხომ გუშინწინდელის წინა დღეა. მაგას ჯობია, ჩემო ვირთაგვავ, ის მომიყვე, თქვენს სოფლის მეურნეობაში როგორ მიდის საქმეები? კაცო, ეს გაზაფხული ზედმეტად წვიმიანი ხომ არ იყო? უკანასკნელი მოსავალი როგორია? და კიდევ ერთი რამე გაშაგებინე, თუ კაცი ხარ, კულტურებს მონაცვლეობით თესავთ თუ არა?“

„აბა არა, ჩემო ბატონო!“ — სოფლოურად გაწელა სიტყვა ვირთაგვამ. მე მინდვრებს გავხედე. ირგვლივ მოჩანდა თაღვაში, სიმინდი, ქერი, მზესუმზირა. ხილით სავსე კალათები სიმძიმისაგან გახნექილიყო. ვხედავდი ერთად დახვავებულ ხორბლეულს. ცაში, ნაირ-ნაირი ფრინველები დაფრინავდა. ლამაზი სიზმარი იყო...

ძმები გრიძების წასვლისთანავე რუმპელშტილცკენმა თქვა (ის დღეს მიმტანია), ჩაი უსვათ და მოვიცადოთო! სახლის წინ ჩამომსხდარ სტუმრებს სასმელებს ურიგებს. ყველა ჩინებულ გუნებაზეა, პატარ-პატარა ჯგუფებად დგანან და საუბრობენ, ხუმრობენ, თითქოს კუდიანმა საყოველთაოდ ცნობილი ზღაპრის გმირები წვეულებაზე დაპატიჟაი. ერთმანეთს ძველმოდურ ქათინაურებს ეუბნებიან. მაგრამ ხანდახან დამაბულობაც იჩენს ხოლმე თავს, ბოროტი ფერიები კეთილ ფერიებს მწარე-მწარე შენიშვნებს აძლევენ, მამაცი თერძი დეუებთან ჩხუბობს.

აგრესიული ჯუჯები და ტყის სულები მოუსვენრად დაძრწიან. კუდიანი და ბოროტი დედინაცვალი ერთმანეთს თვალებით ჭამენ. რუბეცალმა ქალბატონ პოლეს აწყენინა. წითელქუდა პენხელს ეკვლევება. რადგან მეფე-ბაყაყი ჭაში არ ბრუნდება და გრეტელს მოსვენებას არ აძლევს, გოგონას სურს მგლის მუცელს შეაფაროს თავი, მაგრამ ვერ ახერხებს, საკვტი გაფუჭებულია. ბებია გრიმების ლექსიკონიდან ძველ სიტყვებს კითხულობს. მას ყურს არაპინ უკლებს, ჯადოქარ მერლინისა და მეფე დროსელბარტის საუბარი გაცილებით უფრო საინტერესოა. მათ გარშემო ჯუჯები და ტყის სულები ჭიდაობენ. მეორეხარისხოვან კუდიანებს მათთან ახლოს ყოფნა სურთ. „იაკობ გრიმი კარგი კანცლერი იქნება, არაფერი მაქვს მისი საწინააღმდეგო!“ – ამბობს დროსელბარტი. მერლინს, რომელიც მეფე ართურის მრგვალი მაგიდის ჭორებსა და ინტრიგებს იხსენებს, უთანხმება. „ჩვენებური კაცი გრიმებს მაინც უნდობა“. იცინიან, ახალი მთავრობის სადღეგრძელოს სვამენ. მხოლოდ ხელებმოკვეთილი გოგონაა მოწყენილი. მოჭრილი ხელები უნდილად უქანავენ კისერზე ჩამოკიდებულ ბაწარზე. დაბოდილობს მოსაუბრე ჯგუფებს შორის, უარს ამბობს რუმპელშტილცპენის მიერ შეთავაზებულ სასმელზე. ვერ უძლებს რუბეცალის ტრაბახს, თუ რა შიშის ხარს სცემდა იგი საწყალ მუნახშირეებსა და მინახბერებს, შეწუხებული შესცქერის, როგორ მიათრევს ფიფქიას ერთი ჯუჯა ბუნქებში, ხოლო შემდეგ, როგორც კი გოგონა იორინდესა და იორინგელს შეეფეთება, უფრო იღუშება და ბოლოს საფლისკვერა სახლს აფარებს თავს. აქ რაპუნცელი, თავისი თმით რომ პრინცს შებოჭავს, ბოროტი დედინაცვლის გვერდით ფანჯარასთან ზის. ქარი ფარდებს აფრიალებს. პრინცი ისევ კოცნის თოჯინას, ასე რომ ჰგავს მძინარე მზეთუნახავს. რაპუნცელი და ბოროტი დედინაცვალი ძაფით თამაშობენ. დახლართულა ძაფი თითებიდან თითებზე გადადის. ამ თამაშს დიდხანს უყურებს უხელო გოგონა. ბოლოს ბედავს და კითხულობს: „შეიძლება ვნახო, როგორ მოიქნევს მამა ბატონი ორჯერ ნაჯახს?“ ბოროტი დედინაცვალი ნებას რთავს. გოგონას სურს მას დაეხმაროს და მოჭრილი ხელებით ოსტატურად დახლართულ ძაფს ართმევს, შემდეგ კი ყუთზე დილაკს აჭერს ხელს. ეკრანი აციმციმდება. დედინაცვალი კი გოგონას ძაფს ისევ ჩამოართმევს და რაპუნცელს გაუწოდებს, რომელიც ჩამორთმევისას ფიგურას ცვლის.

სარკე ცოცხლდება, სხვადასხვა ზღაპრის სცენები ერთმანეთს ენაცვლება. ვხედავთ შვიდ ჯუჯას ფიფქიას შუშის კუბოს გარშემო, გაცეცხლებული რუმპელშტილცპენი ფეხს ივლეჯს. ქალბატონი, რომელსაც ახლა გაუთავებელი თავის ტკივილი აწუხებს. ეკრანზე ჯერ კიდევ პატარაა და ოქროს ბურთულა ჭაში უვარდება. ბოლოს ჯადოსნურ სარკეში იწყება ზღაპარი ხელებმოჭრილი გოგონას შესახებ.

სარკესთან ახლოს მოკეცილი, დაბალ სამფეხა სკამზე ზის იგი. მოჭრილი ხელები მუხლებზე უდევს და ხედავს, როგორ იქნევს მამა ცულს (ემშაკის ჩაგონებით, ვისაც გაჭირვებულმა კაცმა სული მიჰყიდა). ხედავს საკუთარ თავს, სევდით აღვსილს, როგორ დააბიჯებს უმიზნოდ, მოჭრილი ხელები თოკით ერთმანეთზე აქვს მიბმული და კისერზე ჰკიდია. ბოლოს ხედავს, როგორ ეხმარება მას შეყვარებული პრინცი, როგორ შემოავლებს მისი დახმარებით უზარმაზარ ხეს მკლავებს და ამის შემდეგ როგორ ეზრდება ისევ ხელები. დაბოლოს როგორი ბედნიერია პრინცთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ ბოროტი დედინაცვალი თამაშშია ჩართული, მაინც ახერხებს ფილმ-ზღაპრისთვის თვალის დევნებას და იმით ერთობა, რომ თითს დი-

ლაკს აჭერს და კადრების თანამიმდევრობას არღვევს (ის ხომ ბოროტი დედინაცვალია და წესით ასეთიც უნდა იყოს). მოქმედება აჩქარებულია, მამა ცუდს იქნევს, პრინცი გოგონას ეხმარება, მერე ისევ საზარელი მამა, ისევ კეთილი პრინცი და ისევ ცული. ხანმოკლე ბედნიერება და უსასრულო ტანჯვა-წამება. და როგორც ფილმში, გოგონას ეკრანის წინაც ეზრდება ხელქმნილი მამა-მეჩრე ისევ, როგორც ყოველთვის, მოჭრილი ეღოს ისინი მუხლებში. ამასობაში წვეულება ისევ გრძელდება. ზოგიერთი ზღაპრის გმირი თავის როლს თამაშობს. საბნის ქვეშ წითელქუდას ბებია მგლის სახეს იღებს. კუდიანი ცოცხს აცეკვებს. რუბეცალი რკინის ჯოხებს ღუნავს. მთვარეულივით დააბიჯებს მეფე-ბაყაყი. ქალბატონი, რომელსაც გამუდმებით თავი სტკივა, ლანგარზე თავის ბაყაყს დაატარებს. ჰენზელი და გრეტელი უკანასკნელ ულუფა წიწიბოსა და თხილს იღებენ თაფლისკვერა სახლის წინ დაყენებული ავტობატიდან. კეთილი და ბოროტი ფერიები რიგრიგობით იქცევიან საფრთხივლებად. ნატარქეკია, მეფე დროსელბარტი, მეღვარი რკინის ჯარისკაცი და ქალბატონი პოლე, თავთავიანთ ზღაპრებზე შეყვარებულები, თავდავიწყებით თამაშობენ თავიანთ როლებს. ფიფქიას მობეზრდა ჯუჯებთან ბუჩქებში გართობა და სურს ათასჯერ უფრო ღამაზი იყოს, თუმცა კაცმა არ იცის ვისთვის. ასე გადადის ზღაპარი ზღაპარში. ორიონდუ რკინის ჯარისკაცის გვერდით წევს, იორინგელი — ნატარქეკიასთან, მხოლოდ კუდიანია საკუთარი თავისა და ჰენზელის ერთგული. უზარმაზარ მუძუებს შორის მომწყვდეულ ჰენზელს მხოლოდ ის არ ესიზმრება, რაც ასკილის ბუჩქებს უკან ხდება.

ასევე გატაცებით თამაშობენ ბოროტი დედინაცვალი და რაპუნცელი. ერთმანეთის ძაფის ჩამორთმევის ხელშეწყობაში ეჯიბრებიან და ვერ ამჩნევენ, რომ პრინცმა რაპუნცელის თმის ბორკილებისაგან თავი დაიხსნა, ქარისაგან მოფარფატე ფარდებს ამოიფარა და ფანჯრიდან გადახტა. ტყე სულ ახლოსაა და რამდენიმე ნახტომით პრინცი იქ უჩინარდება. ვერც უხელი გოგონა იჩენს სათანადო ყურადღებას, საკუთარი კინო-თაუგადასავლითაა გართული, სადაც სხვა პრინცს ხანმოკლე ბედნიერება მოაქვს მისთვის, რადგან ბოროტი დედინაცვალი ფილმას გადახვევ-გადმოხვევით ერთობა.

გარეთ წვეულება მთავრდება. ძლიერი ქარია. წყვილ-წყვილად განმარტოებულები გრძნობენ, რომ აცივდა, და სახლისაკენ მიიჩქარიან. მიმტანი რუმბელშტილცქენი ჩაისა და წველებს ურიგებს მუშტრებს, კითხულობს: „ნეტავ ამასობაში კეთილი და კარგი მთავრობის შექმნა თუ მოასწრეს ძმებმა გრიმებმა?“ ზღაპრის გმირები შიშით იგონებენ სინამდვილეს. გოგონას, რომელსაც ფილმში უკვე მერამდენედ მოჰკვეთეს ხელები და ახლა მუხლებში უღევს, ჯუჯები უხეშად აცილებენ ეკრანს. ბოროტი დედინაცვალი თამაშს წყვეტს და ჯადოსნური სარკე ბონის არხზე გადაჰყავს. ყველას, თვით გრძელთმიან რაპუნცელსაც კი აინტერესებს, რა ხდება ბონში. ერთმანეთს მჭიდროდ მიტმასნილები დგანან და სარკეს უყურებენ. ბონში მცენარეების გამაგებელი ყვავილობაა. თვით კანცლერის ოთახის ფანჯარაში, მთავრობის კაბინეტის დარბაზშიც შეაღწიეს ხვიარა მცენარეებმა.

ძმები გრიმები დროებით მთავრობასთან ერთად (რომელშიაც დიდჩინოსნები, ეპისკოპოსები, გენერლები და პროფესორები შედიან) თავიანთ პირველ კაბინეტის სხდომას ატარებენ. დამსწრეებს აჩვენებენ ზღაპრების გმირების მოთხოვნებს, წყლის შროშანის უზარმაზარ ფოთლებს: სუფთა ჰაერი, სუფთა წყალი, მოუნამლავი პროდუქტი. ეპისკოპოსები და პროფესორები ფრთხილად, ეჭვით აკან-

ტურებენ თავებს. გენერლები მაგიდასთან უძოდრად სხედან, მცენარეები აწუხებთ, მრეწველობის ხელმძღვანელები აღშფოთებას ვერ მალავენ, ხელებს იქნევენ, მაგიდას, რომელზედაც მწვანე მაუდია გადაფარებული, მუშტებს ურტყამენ. ხმაძაღალი ჩხუბი და საიდუმლოებით აღსაყსე ჩურჩულია. მაგიდის ქვეშ სარეველა ბაღახი იზრდება, პროფესორები და ეპისკოპოსები ფულებს იღებენ.

გრიმების გარდა ყველა ამ სამი უბრალო, ბუნებრივი და თავდაბალი მოთხოვნის წინააღმდეგია (ეპისკოპოსები ეითომ დიდად სწუხან). გაბრაზებული იაკობ გრიმი მაგიდაზე მუშტს არტყამს, ალბათ პირველად თავის ცხიურებაში. მხოლოდ მის ძმას ეშინია. დიდჩინოსნები და გენერლები მას მედიდურად შეკყურებენ, პროფესორები გაოცებულნი არიან მისი საქციელით, ეპისკოპოსები უხერხულობას გრძნობენ და მორცხვად იღიმებიან. იაკობი ამბობს: „ჯერჯერობით კანცლერი მე ვარ. ჯერჯერობით მე!“ ვილჰელმი მხარს უბამს: „დიახ, ნუ დაივიწყებთ ამას!“ პასუხად სიცილი. მართალია, მორიდებით, მაგრამ თვით ეპისკოპოსებიც იღიმებიან.

თაფლისკვერა სახლში ხედავენ, როგორ უყვება ვილჰელმ გრიმი გაღიმებულ მთავრობას სამი კეთილი ფერიას ისტორიას. ყველა ბონში მიმდინარე მოვლენების გავლენის ქვეშაა. შეწუხებულები ხედავენ, რომ გრიმების სიტყვას ფასი არა აქვს. უეცრად გრეტელი წამოიძახებს: „პრინცი, სად არის პრინცი?“ შიში. არეულობა. თავქუდმოგლეჯილები იქით-აქეთ დარბიან. რუბეცალი ჯუჯებს სცემს. კუდიანი რაპუნცელს თმით ითრევს და საცაა მაკრატელს უნდა სწვდეს, ამ დროს ბოროტი დედინაცვლის ხმა გაისმის: „შორს ვერ წავიდოდა!“ და რთავს ბონის არხს. აქ ვილჰელმ გრიმი კვლავ ფერიებზე ლაპარაკობს და ჯადოსნური სარკით ტყეში მორბენალ პრინცს ეძებს, პოლოს კადრში მოაქცევს. მონაცვლეობით აღეუნებენ კუდიანი, მერლინი და ბოროტი დედინაცვალი გაქცეულს შელოცვებსა და ჯადოსნურ აბრაკადაბრას. პრინცი ბორძიკობს, ეცემა, უჭირს, ყირაზე გადადის, მაგრამ გზას მაინც აგრძელებს. ხან ცხვირი უგრძელდება, მერე ღამურას ფურები ეზრდება, მაგრამ მაინც გარბის. რადგანაც შელოცვების ძალა მატულობს და ერთი მეორეს ცვლის, იგი ხან შვლად, ხან მარტორქად, ხან ბურთად იქცევა, მაგრამ მაინც მიხტუნავს, მიგორავს, მირბის. ახლა ისევ პრინცის სახე უბრუნდება, ტყის პირს აღწევს და მწვანეთი დაფარულ ავტომაგისტრალზე გადის. სარეველამოდებულ დაფაზე მიმართულებაა აღნიშნული, კითხულობს და ბონისკენ გარბის.

თაფლისკვერა სახლში გრძნეული მერლინი და ბოროტი დედინაცვალი ერთმანეთს წაუკიდნენ (ბატონ მაცერათს სურს, რომ გამწარებულმა ყვითელთვალა კუდიანმა მაინც აილოს ხელში მაკრატელი. მაგრამ მე გახოტრილი რაპუნცელის ნახვას ვერ ავიტან, მისი გრძელი თმის გადარჩენას ვცდილობ და ამიტომ კუდიანს ჰენხელს ვუპირისპირებ). ასკლის ბუნქებს უკან, თითქოს მართლა დაკაცდაო, ჰენხელი სწრაფი მოძრაობით არამეკვს მას ხელიდან მაკრატელს: „ეს არაფერში გვჭირდება!“. გრეტელი: „ჯერ ხომ არაფერი არ არის დაკარგული!“ ჰენხელის მითითებით ბოროტი დედინაცვალი ჯადოსნურ სარკეს ისევ კაბინეტის სხდომის ტრანსლაციაზე აყენებს. იქ იაკობ გრიმი, რომელსაც თავისი ძმა უღვას გვერდში, კორუფციულ მთავრობას ებრძვის. დიდჩინოსნები გენერლებს ეჩურჩულებიან. მაგიდის ქვეშ პროფესორები ათასიან ბანკნოტებს ითვლიან. მაგიდის ზევით ეპისკოპოსები იღიმებიან, ისე როგორც მხოლოდ ეპისკოპოსებს შეუძლიათ დიმილი, ცერებს ატრიალებენ ან ლოცვანს ფურცლავენ.

იაკობ გრიში: „პოლიტიკურ ხაზს ჯერჯერობით მე განვსაზღვრავ!“ დიდჩინოსნები წყლის შროშანის ფურცლებს წეწავენ. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „ძალაუფლება ჩვენს ხელშია!“ მეორე: „ჩვენ ვერავინ აგვივლის გვერდს!“ ყველა ერთად: „ბოლო მოელოს ზღაპრებს!“

ვილჰელმი ტირის. დაქანცული იაკობი ჯდება. ერთ-ერთი გენერალი დილაკს აჭერს ხელს და დაცვას უხმობს. იძლევა ბრძანებას დააპატიმრონ ძმები გრიშები. შემდეგ უკვე სხვა გენერალი სწრაფად იკავებს განთავისუფლებულ კანცლერის საჯარძელს.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორებს ასეთი მკაცრი ზომები საჭიროდ არ მიანიათ, ძმებ გრიშებს მაინც ადებენ ხელეზუ ბორკილებს. ვილჰელმი ამბობს: „ხედავ, ძმაო, ძველთაგანვე ასე უპატივცემულოდ გვექცევიან“. იაკობი პასუხობს: „ჩვენ მაინც გაუწევთ წინააღმდეგობას, მე პეტციას დავწერ!“ გრიშები დაცვას მიჰყავს.

ამ დროს დარბაზში პრინცი შემორბის. ძლივს სუნთქავს. ჰაეროვან კოცნებს აგზავნის და სულმოუთქმელად იწყებს: „მე ვარ, მე მაქვს, ... ამ დროს მე... მაგრამ გავიქეცი, ვირბინე, ვირბინე და ახლა აქ ვარ!“

გრიშების ხელეზუ ბორკილებს ხედავს, უზადო რევერანსს აკეთებს და ამბობს: „ბატონებო, მე თქვენ დიდ სამსახურს გაგიწევთ, მაგრამ უძორნილესად გთხოვთ გაანთავისუფლოთ პატივცემული გრიშები!“

სამხედროები და მსხვილი კაპიტალისტები მერყეობენ, პრინცი ამატებს: „მოდით ერთმანეთს გაკუგოთ. ჩემსა და ჩემი კოცნის გარეშე არაფერი გამოვა. ოპერაცია მძინარე მზეთუნახავი! შეიგნეთ ბოლოს და ბოლოს!“ სანამ გენერლები და დიდჩინოსნები თათბირობენ, ახლადგამოშცხვარი კანცლერის მითითებით ერთი ეპისკოპოსი გრიშებს ბორკილებს ხსნის, მეორე სათნოდ იღიმება. კანცლერ-გენერალი ამბობს: „ვიყოთ მოწყალენი, დაპატიმრებულებს ციხეში ნუ ჩავსვამთ, სახლში ისხდნენ ბატონები და წყნარად წერონ, რაც მოეპრიანებათ, თუნდაც ზღაპრები! ოღონდ სახლიდან გამოსული არ დაგინახოთ!“ — მიმართავს გრიშებს. პროფესორები გრიშებს თავიანთ ქუდებს აწვდიან. გრიშები იღებენ ქუდებს და დაღონებულები, მაგრამ წელში გამართულნი გადიან.

(რადგან მე ჩვენი ბატონი მაცერათის აზრს ვიზიარებ, თაფლისკვერა სახლში ატეხილი ორიმტრიალისა და არეულობის ჩვენება ახლა საჭირო აღარ არის, სცენა პრინცს ეთმობა). უზარმაზარ ტყის რუკაზე აჩვენებს იგი იმ ადგილს, სადაც ასკილის ბუჩქნარით გარშემორტყმულ მზეთუნახავს, კანცლერსა და მის ამალას სძინავთ. იმ წუთშივე საქმიანი ფუსფუსი იწყება: „განგაში!“, „ბრძანება საგანგებო ქვეგანყოფილებებს!“ „შევწყვიტოთ მზეთუნახავის ძილი!“ ვიჟურ ტემპით მზარდი მცენარეების ქვეშ ტელეფონებს პოულობენ. განკარგულებებს იძლევიან. მომავალ ბედნიერების წინათგრძნობით მთვრალი პრინცი ეპისკოპოსებს კოცნის (ჩვენი ბატონი მაცერათი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს ავადმყოფობაა, მეტიც, კოცნა მომაკვდინებელია).

ხელი არ ახლოთ.

მტრისას, თუ ვინმე გაინძრევა,

გაკრთება ან ამოქმედდება.

ვერც ერთი ბრიყვი პრინცი თავის როლს

ბოლომდე ვედარასოდეს შეასრულებს.

მზარეული შეგირდს აღიყურს სთავაზობს,

და გვინდა თუ არა, გაგრძელება იქნება.

ერთადერთი კოცნაც საკმარისია

და მერე ყველაფერს, მანამდე მიუჩინებულს,

კიდევ უფრო საშინელი გაგრძელება იქნება,

თითქოს არც არაფერი მომხდარაო.



მაგრამ მძინარე მზეთუნახავის ძილს

ჯერჯერობით ყველა ტყვეობაში ჰყავს,

რომ არ ეძინოთ, კიდევ უფრო საშიში იქნებოდნენ.

მესამე პროგრამა, სხვა რადიოპროგრამების მსგავსად, დღეს კვლავ საგანგაშო სიგნალებს გადმოსცემს. ეს მხოლოდ ვარჯიშია, მზადება ყოველი შემთხვევისათვის. სირენის ხმამაღალ ყმუილს სხვა მნიშვნელობა აქვს, გაბმულ ყმუილს სხვა, წრიპინს კიდევ სხვა და ა. შ. ეს ყველამ უნდა იცოდეს. ამიტომაც მოუწოდებს მთავრობა მოქალაქეებს განსაზღვრულ საათზე რადიო ჩართონ, განცხადებებს უსმინონ და მიღებული მითითებების შესაბამისად იმოქმედონ. ვისაც უკანასკნელი ომის დროიდან გამაფრთხილებელი და განგაშის დამთავრების მაუწყებელი ყმუილი ახლაც ყურში უდგას, მოწოდებულია შიში განიახლოს.

ჩემი ვირთაგვა და მე მნიშვნელოვან სიგნალებს ვისმენთ. აქვე, ჩვენ გვერდით მდებარე კერფი ყოველი შემთხვევისათვის იარაღითაა საესე, ვინ იცის, რა მოხდება, ჩვენ ვარჩევთ წინასწარ გაფრთხილების, საჭაერო თაუდაცვის, განგაშის დამთავრების სიგნალებს. ყველაფერმა უმაღლეს დონეზე ჩაიარა. ჩვენც გავნათლდით და ამიერიდან ყველაფერი ვიცით. უცნაურია, მაგრამ დახარისხებული ყმუილი უსაფრთხოების გარანტიის მომცემ წინასწარ გაფრთხილებად გვეჩვენება, მოულოდნელად თავს ვერ დაგვეცემიან!

შემდეგ სასწავლო პროგრამებს ვუსმენთ: მოძრაობის წესების შესახებ გადმოსცემენ რაღაცას, შემდეგ — თუ როგორ უნდა მოვექცეთ ძნელად აღსაზრდელ ახალგაზრდებს, მერე 'people talking', მერე ახალი ამბები: ბრიუსელში უმაღლეს დონეზე შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მარცხია. საინფორმაციო პროგრამის ბოლოს სასიხარულო განცხადებაა: უფსალაში, შედეგითში შესაძლებელი გახდა 2400 წლის წინანდელი ეკვიპტური მუმიიდან უძველესი გენის გამოყოფა და მისი სხვადასხვა ქსოვილებში შეყვანა: ესაა პროგრესი.

ჩემს საშობაო ვირთაგვასა და მე ერთი აზრი გვაქვს: ეს ახალი ამბები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს... თითქოს ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა, თითქოს აღარაფერი აღარ ხდება სინამდვილეში არც მესამე პროგრამაში, არც ბრიუსელში და არც უფსალაში: ყველაფერი დამთავრდა! ეს ჯერ კიდევ უბრალო რეფლექსებია, გრძელდება დადგენილის შეცვლა, მუმიების ძარცვა-გაუპატიურება. ბრიუსელელ ვაისაქმოსნებსა და გაქნილ შვედ გენეტიკოსებს ვლანძლავ. ამასობაში კი, შენ წარმოგიდგენია? მუმიფიცირებული ინფორმაცია ახალთახალ უჯრედებში შეჰყავთ! ჩემი ვირთაგვა წამოვორდა და ამთქნარებს,

¹ ხალხი ამბობს (ინგლ.).

თითქოს ვირთხის თვალსაწიერიდან ასეთ უმნიშვნელო დეტალებზე ყურადღების გამახვილებაც არ ღირდეს.

რაღა მაქვს საოქმელი? იმის მოყოლას ვიწყებ, რაც ახლახანს ჰამელნში შევიტყვე იუბილეს აურზაურს ჩამოეცილდი და წმინდა ბონიფაციუსის ეკლესიის სამარხს შევაფარე თავი.

ახალი ამბები გავიგე და ახლა უკვე ვიცი, რაც მოხდა. ეს ყველაფერი ბავშვების ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ დაიწყო, შავი ჭირის ეპიდემიამდე ასე სამოცი წლის წინ. მაშინ ხალხში დიდი არეულება სუფევდა. არავინ იცოდა, რა იყო კარგი და რა ცუდი, წლების განმავლობაში არ ჰყავდათ მეფე, მხოლოდ ხოცვა-ჟლეტა იყო ირგვლივ. ყველა იმას აკეთებდა, რაც მოეპრიანებოდა, იმას ითვისებდა, რაც თავად არ ჰქონდა. თანაც შიშს შეეპყრო ყველა. ყველას მომავლის ეშინოდა. ეს საყოველთაო შიში იყო. ქალაქად თუ სოფლად ერთ ადგილას ვერავინ ჩერდებოდა, სხედასხვა მიმართულებით მიდი-მოდისოდნენ ახალგაზრდები. დასავლეთში რაინს მიუყვებოდნენ აღმა. ეკალნაჩხვლეტივით ცეკვავდნენ და თავ-პირს იმათრაზებდნენ, ისისხლიანებდნენ. მათი სიმღერები, თვითგვემისას ჩხავილი შიშის ძრწოლას გერიდა ებრაელებს, რადგან თავად შიშისგან დევნილ თვითგვემთა ორდენის წარმომადგენლები ებრაელებს ხოცავდნენ.

ახალგაზრდების ნაწილი, რომლებსაც ნაკლებად ეშინოდათ და უფრო საღად აზროვნებდნენ, აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ მერეში, პოლონეთში, კამუბეთში და ვინეცერლანდში; ბალტიის ზღვის ნაპირებზე სახლდებოდნენ. თურმე წმინდა იოანეს დღეს, 1284 წლის 26 ივნისს, ჰამელნიდან ას იცდაათი ვიგო-ბიჭი აიბარგა და ვილაცას გაჰყვა, რომლის შესახებაც მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ფლეიტაზე უკრავდა ბრწყინვალედ. დამიჯერე, ვირთაგვავ, არც ერთ ქრონიკაში თქვენ არ გახსენებენ. დღესაც ვერ შეძლებს ვერც ერთი მკვლევარი დაბუჯითებით იმის მტკიცებას, თითქოს ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას მუსიკის გარდა სხვა, მეორე პროფესიაც ჰქონოდა, — ვირთხათა ჭერა. თვით ბრძენი ლაიბნიციც მხოლოდ მკითხაობდა და ვარაუდობდა, ეს ბავშვების დაგვიანებული ჯვაროსნული ლაშქრობა იყო. სხვათა შორის ეს აზრი ჭეშმარიტებასთან საკმაოდ ახლოა. ვირთხების ისტორია კი მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. მაშინ ამბობდნენ თურმე — ვინც ჩვენს შვილებს სამშობლოდან გადახვეწას ურჩევს, ის ვირთხების მჭერიას; ვინც ვირთხებს იჭერს, იჭერს ბავშვებსაც და სწორი გზიდან აცდენსო.

მას შემდეგ, რაც წმ. ბონიფაციუსის ეკლესიის საძვალე ენახე, მჯერა, რომ ეს ამბავი სულ სხეანაირად წარიმართა. ჰამელნში ყოველთვის ბევრი წისქვილი და მარცვლეულის საწყობი იყო. ამდენად ვირთხებიც მრავლად ჰყავდათ. ცხადია, ხალხს, რომელიც მარცვლეულით ვაჭრობს და ამით ცხოვრობს, ვირთხები არ უყვარს, მეტიც — ეჯავრება. ყოველი მეწისქვილისა თუ ხორბლით მოვაჭრისათვის ვირთხა მხოლოდ დაუიდარებაა. მათმა შვილებმა კი — მართლაც რომ შფოთიანი დრო იყო — ვირთხებთან თამაში დაიწყეს. შეიძლება მათ მხოლოდ თავიანთი მშობლების გაღიზიანება უნდოდათ. უზნეო ბავშვები ხომ დღესაც ასე იქცევიან და თავიანთი საქციელი ძალიან მოსწონთ.

ჰამელნელი ბავშვები, დღევანდელი პანკების მსგავსად, ან პერანგის ქვეშ დაატარებდნენ თავიანთ საყვარელ ცხოველებს, ან თმაში ან მხარზე ესვათ. მათი ჩანთებიდან და ჯიბეებიდან ვირთხები იჭყიტებოდნენ. ამას, ცხადია, უსიამოვნება

მოჰყვა. ოჯახური სცენები. ქალაქის საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო და ვირთხებთან თამაში, მათი გამოკვება და თან ტარება აკრძალა. ზოგიერთი ახალგაზრდას სასჯელის შეეშინდა და გამოსწორდა. მაგრამ ას ოცდაათამდე ჰამელნელი ბავშვი ვერაფრით ვერ დაიძორჩილეს. ისინი ჯიუტობდნენ, მიუხედავად აკრძალვისა ფგუფებად, თავიანთ ვირთხებთან ერთად, მეპურეთა ქუჩაზე მიდი-მოდი-ოდნენ. ჩაივლიდნენ ეკლესიის ქუჩას მდინარე კუხერამდე, აქედან წყლის წისკვილებს გვერდს და სურბთა უბნის გავლით საბაზრო მოედნამდე, რატუშამდე მიდიოდნენ, ერთხელ რომ რამდენიმე საათით აიღეს კიდევაც და დაცინვით ვირთხების, საბჭო შეარქვეს. წირვაზეც კი თან დაატარებდნენ თავიანთ ვირთხებს და, როგორც მაშინ ამბობდნენ, საერთოდ ჭკუას კარგავდნენ ვირთხებზე.

მართალია, ზოგიერთი მათგანი საბაზრო მოედანზე საჯაროდ გაწკეპლეს და სამარცხეინო ბოძზეც გააკრეს, მაგრამ მსაჯულებს მისამაღალში მსგავს მკაცრ მეტოდებზე (მაგალითად დაშანთუაზე, ხორცის ამოვლეჯაზე, თყალების დათხრაზე და ა. შ.) უარის თქმა მოუხდათ, რადგან ამ ას ოცდაათში წარჩინებულ მოქალაქეთა და თვით ქალაქის მმართველთა ვირთხომანიისაგან გამოთავებებული ქალკაჟნიც ერივნენ.

სატანური წირვებისა და ვირთხების კულტის გარშემო უკმაყოფილო მითქმამითქმა დაიწყო, ამბობდნენ, ამ უწმინდურობის თავშესაყარი ადგილი ეკლესიის საძვალეთა. როდესაც ას ოცდაათმა ახალგაზრდამ ვირთხულ ყაიდაზე დაიწყო ჩაცმა და დღისით, მზისით გაშიშვლებულებმა, კუდებჩამოკიდებულებმა პურისა და ხორცის დახლები გააჩანაგეს და სულ უფრო და უფრო დაემსგავსნენ თავიანთ ვირთხებს, მეწაღეებმა და მტვირთავეებმა აღიმადლეს ხმა: რას, ვის, რატომ ვუფროთხილდებით, რატომ ეძლეკთ ყველაფრის უფლებას? ხელოსნები დელავდნენ, დომინიკელები აქტიურობდნენ. ბოლოს სამღვდელთა იძულებითა და იმის შიშით, ხელოსნები არ აჯანყდნენო, ქალაქის საბჭომ საიდუმლო კრებაზე უმკაცრესი ზომების მიღება გადაწყვიტა, უცხო ქვეყნიდან ქალაქში უცნობი მსტვენია, ფლეიტაზე და სტვირზე დაკვრის ოსტატი მოიწვიეს, გასამრჯელოს ნაწილი თავიდანვე გადაუხადეს და კიდევ მეტს დაჰპირდნენ. სთხოვეს ბავშვებისათვის თავი შეეყვარებინა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს — ეს წმინდა იოანეს დღეს მოხდა — მუსიკას ჰანგების თანხლებით, ვითომ გასასეირნებლად აღმოსავლეთის ჭიშკარში გავიდნენ და მახლობელი მთისაკენ გაემართნენ (ამ მთას ხალხში გოლგოთას ეძახდნენ), ამ მთის გამოქვაბულში ას ოცდაათი ჰამელნელი ბავშვა და მათი ვირთხები მხიარულებას მიეცნენ. ხორცს წვაოდნენ და ლუდს სვამდნენ. ცეკვავდნენ. თურმე ვირთხებიც ცეკვავდნენ. ჯოჯოხეთურ სიმღერებს გაჰკიოდნენ. როდესაც დროსტარება გახურდა და ბავშვები ლუდისაგან მოითენთნენ ის მსტვენია ყველასგან უჩუმრად გამოქვაბულიდან გამოიპარა. მერე გამოქვაბულის ვიწრო შესასვლელი კალატოხებმა ამოქოლეს, გლეხებმა ურმებით ქვიშა მიაყარეს და ბოლოს მღვდლებმა ნაკურთხი წყალი უმოწყალოდ აჰკურეს. გამოქვაბულიდან ხმაური და ყვირილი თითქმის არ გამოსულა. შემდგომ გავრცელებულ ჭორებს ერთადერთი ვირთხა ასაზრდოებდა, რაღაც სასწაულით გაქცევით რომ უშველა თავს.

ჩამარხული ბავშვები იგლოვეს. მსტვენიას დაპირებისამებრ ვერცხლი წკრიალით ჩაუთვალეს და ქალაქიც ერთი დღეგნდით გამდიდრდა. ქრონიკებში გაჩნდა სიტყვა „გამოსვლა“. ფრიად მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა. ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ჰამელნზე. ტყუილებს ჰყვებიან. მაგრამ ეს ასე არ დამთავრდება, ვირთხავა, შურისძიების დღეც მოვა, უთუოდ მოვა...

ბავშვებს უფრო და უფრო იტანდათ შიში,
საღებავებით თმას იჭრელებდნენ,
ყავისფრად ან ობმოკიდებულ ხავსის ფერად
ითხიპნებოდნენ
შიშის შესაშინებლად.

ჩვენთვის დაკარგულები — უხმოდ ყვიროდნენ იხინი,
ჩემმა მეგობარმა — ჩვენ ერთად დავბერდით,
თუმცა ახლა იშვიათად ეხედავთ ერთმანეთს
და შორიდან თუ მივესალმებით,

მას ფლეიტაზე კადენციები მუდამ
ჩემზე უკეთ გამოხდით — თავის ოცი წლის ვაჟი
ბევრჯერ დაკარგა,
ამჟამ კი მისი ასაველ-დასაველის არა იცის რა.
ბიბლიაზე თუ სხვაგვარად გაზრდილი ძენი
ადრე ვარბიან.

ალარავის სურს მომაკვდავი მამების ცქერა
და დაცდა, როდის დალოცავენ.

არაუის უნდა დანაშაულის თავზე ალება.
რასაც ვთავაზობთ, — უფრო იაფად და იაფად — მხოლოდ და მხოლოდ
ჩვენვე გვაღელვებს.

ასე ცხოვრება მართლა აღარ ღირს.

ამ გზისთვის — ჩვენი საზომით —
მათ დრო აღარც აქვთ.

რასაც ვუძლებდით, თავს ხუმრობით რომ ვიმხნევებდით,
დღეს ამას ვერვინ გაუძლებს.

არც გაბრაზებულ არა-ხ ამბობენ

ამ ჩვენს ბეჯით დიახ-ზე;
უბრალოდ თავს იკაზმავენ.

ეჰ, მეგობარო, ჩემო ძვირფასო, ნეტავ რად
გავხდით ესდენ ეჭვიანები?

როდის, როდიდან აკუერია, თუმცა ლოგიკურად,
გზები მიზნისკენ?

ან რატომ გახდა ჩვენი არსებობა ასე უაზრო?

როგორ დავკანკალებ ჩემს ვაჟებს, ჩემს საკუთარ თავს,
რადგან ყოვლისმცოდნე მათმა დედებმაც

აღარ იციან გამოსავალი, ალარაფერი აღარ იციან!

დინება მიაქანებს, მაგრამ კურსს ინარჩუნებს, ახლა მხოლოდ აღმოსავლეთისა-
კენ აღარ მიდის ყოფილი ტვირთმზიდი „დორა“, შემდეგში ხომალდი „ილზებე-
ლი“, ახლა კი სამეცნიერო-კულევითი გემი „ახალი ილზებელი“. იგი შემოტრი-
აღდა, შემოუარა ჰელას ნახევარკუნძულს, რომელიც აღსასრულისას ზღვამ და-
ფარა, მაგრამ ახლა კვლავ წყლიდან ამოდის და უბეს ყურედ აქცევს. ამ ახლად
შექმნილ ყურეში სამხრეთისაკენ იღებს გეზს და, თუკი გემის ჯართზე ასე შე-
იძლება თქმა, სრული სვლით მიემართება ქალაქ გდანსკის ნავსადგურისკენ. ძვე-
ლი ჰანზის ქალაქს მისი კოშკებით შორიდანვე იცნობს კაცი. საოცარი მიზი-
დულობის ძალა აქვს ამ ქალაქს, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგება. ეს რომ

ასე არ იყო, ვერაფრით ავხსნიდი, როგორ შეძლო მან მეც მივეზიდე, ვინც კვლავაც უმწეო ჯართს ვგავარ.

ყოფილმა გემმა ნახევარი გზა უკვე გაიარა. ამას ჩემი კოსმოსური ბომბლიდან ვხედავ, რომლის ქვეშაც ახლა ბალტიის ზღვა ლივლივებს. უცნაურად როდესაც ჩემთვის წინასწარგანსაზღვრულ კოსმოსურ ორბიტაზე ვდგავარ, ჩემსად ვერ ვხედავ, რასაც წესით უნდა ვხედავდე, მაგ. ნილოსის დელტას, ბენგალიის ყურეს, ზონდის პატარ-პატარა კუნძულებს. ეს ყოველივე ნასღშია ჩაფლულა, მაგრამ როდესაც ჩრდილოეთიდან მოვდივარ და ბინდბუნდში შევედეთის სამხრეთა ნაწილი გამოიხაზება, ამ წუთიდან ყველაფერი გარკვევით ჩანს, ჩემი ზღვა ისე იშლება ჩემ თვალწინ, თითქოს ერთი პატარა გუბე იყო.

მართალია, ვოტლანდი, ბორნჰოლმი, სხვა კუნძულებიც გამქრალია, მაგრამ სამაგიეროდ სანაპირო ზოლში კარგად მოვლილი ნათესები ახარებს თვალს.

ყოფილ გემს სულ ახლიდან ვათვალიერებ, ჩემი ოპტიკა ამის საშუალებას მაძლევს. ნელა მიცურავს იგი აღებული გეზით. ზაფხულია, ნაპირებზე მზესუმზირა ხარობს. მინდვრის კულტურები სიცოცხლის ნიშანია. მინდა დაეძახხო: „მიწავ, გამოჩნდი, მიწავ, მიპასუხე!“ მაგრამ ვიცი, რომ აღარაქონ აღარ არსებობს, ვინც დაიძახებდა: „როჯერ!“ და მკითხავდა: „რა მოხდა, ჩარლი?“ მხოლოდ ჩემს ვირთაგვას შეუძლია პასუხის გაცემა და ცინცხალი ამბებით მართობს. მეტის ცოდნა უნდა, კიდრე მე დანახვა შემიძლია, მოახლოებულ სენსაციას წინასწარ გრძნობს და მისმენს კიდევაც.

„ყური დაუგდე, — ამბობს ვირთაგვა, — რაღაც თუხთუხებს. კარგად დაუგდე ყური, გესმის — გემის ძრავა თუხთუხებს, ვიხაროდეს, ძამიკო, შენს ილზებულზე ხალხია, აბა გემის ძრავა როგორ ამუშავდებოდა, თუ შენმა ქალებმა არა, ვილატამ ხომ მაინც... გადასაგდები იყო, ახლა კი მუშაობს, გესმის, თუხთუხებს ძველი დიზელი! თითქოს სულ ახალი ჩადვესო! ჰა? გესმის?“

ასე აღელვებული არასოდეს მინახავს ჩემი ვირთაგვა, ხან ნავსაყუდელში, ხანაც გრძელ ხიდზე დარბის აღმა-დაღმა. ბოლოს იმ ბოძზე შეხტა, რომელზედაც გემების ბაგირებს ამაგრებდნენ ოდესღაც. სიტყვებს ეძებდა. წინადადებებს ვერ ამთავრებდა. ძამიკო! საყვარელო! უითომ? განა შესაძლებელია? სიცვიის, ყინვის, სიბნელის მიუხედავად? ქარიშხლის, ქარბუქის და იმ დაწყევლილი გამოსხიუებისა, რომელსაც ჩვენც კი ძლივს... და მაინც რადგან მაშინ? წარმოუდგენელია! შეხედე, როგორი იმედით... უელით... მაგრამ ცოტა გვეშინია კიდევაც...

მართო არ იყო, მთელი ნავსადგური ვირთხებით იყო გამოჭვდილი, ყოველი ამწე, ვ. ი. ლენინის სახელობის გემთსაშენი მთლიანად, სადგომები გოგირდის ავზთან, რომელსაც სხვა დროს არ ეკარებოდნენ — ვირთხებს ეკავათ. ყოველი ამადლებული წერტილი, კუნძული მოტლაუსა და შკვდარი ვაიხსელის შესართავთან, თვითონ მოტლაუს ნაპირები, ახალი საზღვაო გზა, რომელსაც ადრე ნოვი პორტ ერქვა, — ახლა მისი უბნები ვრცესმეტამდე შლაპითია დაფარული და მზესუმზირის ნათესები მწვანე სარტყელივით არტყია გარს ნავსადგურს, — ვირთხებით იყო გადაქელილი. მოკლედ, ვირთხები, ყველგან ვირთხები. ცნობისმოყვარე, აღელვებული, ერთმანეთს მისტმასნილი, ერთგვაროვან მასად ქცეული ვირთხები.

ბოლოს გაირკვა, რომ ას ოთხმოც ცხენისძალიანი ძრავის თუხთუხი რეალობაა და არა ფანტაზიის ნაყოფი. სრულ სიჩუმეში ვირთხები უმოძრაოდ იყვნენ გაშეშებული, ამ ერთადერთ ხმაურს მოეცვა ჩემი სიზმარი. გავრცელდა ჭორი,

თითქოს ყოფილი სამეცნიერო კვლევითი გემს არა ახალ, ულტრათანამედროვე, არამედ ძველ, ისტორიულ ნავსადგურში შევიდოდა, სადაც ჯერ კიდევ აღსასრულამდე ნაპირს მიბმული ორი ოდესღაც თეთრი სასეირნო კატერი ტორტმანებდა. ვირთხები ამოძრავდნენ. ბოლოს და ბოლოს ოდესღაც მოთუხთუხე გემში, რომლის ოდესღაც მოშიშვლებულ გემბანზე სულიერი არ ჭაჭანებდა, მეორე მსოფლიო ომის დროინდელ საწყობების ნანგრევებსა და ომებზე მოწონებულადა ამუშებულ საწყობებს მიაღვა და გრძელი ხიდის პირდაპირ ინტელექტუალურ ჯაშუშა ღუზა. ქალაქში ვირთხებს შორის ხმა ვავარდა, ჭორი სინამდვილეა და მოსულები საწყობების კუნძულთან, პოლონურად რომ ოდესღაც შპინდერცი ერქვა, საბოლოოდ გაჩერდნენო.

ახალი ქალაქის ნავსადგურიდან, გემისაშენიდან, ახალი საზღვაო გზიდან, შლამით დაფარული რაიონებიდან დაიძრა და წამოვიდა ვირთხების ნაკადი, სტიქიანი რომ გვეგონებოდა.

ასე რომ, ჩაუშვა თუ არა ღუზა ყოფილმა გემმა, სულ მალე ქალებისა და მეპურეთა კარიბჭე, მწვანე და სულიწმიდას კარიბჭეები ვირთხებით გაჭედილი აღმოჩნდა, ნავსადგურის სანაპირო მათგან წალეკილი, გოტიკური სახლების მოტლაუს მხარეს გამავალი ფანჯრები მათით გამოჭედილი და მათი ფრონტონები მტევენებით ჩამოკიდებული ვირთხებით შემკული. ტევა არ იყო დაჟანგულ სასეირნო კატერებზე. ყოველი სანტიმეტრი ვირთხებს ეკავათ. ობსერვატორიის კოშკზე, დანახშირებულ ამწეს ნარჩენებზეც ვირთხები ისხდნენ. განიერი მწვანე ჭიშკრის ჩუქურთმები აღარც კი ჩანდა. ოღონდაც საწყობთა კუნძული, რომელიც სულ ახლახან ვირთხებით იყო გადაჭედილი, თვალის დახამამებაში დაცარიელდა, როგორც კი გემი ნაპირს მიაღვა. ეს შემოსაზღვრული სივრცე მომავალ მოვლენებს დაუთმეს ვირთხებმა. დაარქვი ამას ვინდა რიდი, ვინდ შიში, ყოველ შემთხვევაში დისტანცია დაცულ იქნა. მართალია, ვგრძნობდით, რომ რაღაც ხდება, რომ უდაც-ვიდაცები მოვიდნენ, მაგრამ არ ვიცოდით, რა სახით მოგვევლინებოდნენ მოსულები.

ყველანი ერთად ელსიცულობდით. მოსულებს ჩვენს გულეებში სხვადასხვანაირად ვსახავდით. ეს სახებანი მალევე ქრებოდა. შენ კარგად იცი, როდესაც ღვთისმშობლის ტაძარში ვგალობდით, მხოლოდ ადამიანის დაბრუნებას ვევედრებოდით მამაზეციერს. ჩვენი ღვთისმოსავი შეკრებების მომსწრე ხშირად ყოფილხარ და იცა, რომ წირვა-ლოცვას არ ვტოვებდით, მოხუცებული და მისი დაჩიანებული ბიჭუნა არ გვეხსენებინა, მაგრამ ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რა სახით მოგვევლინებოდა აღსმდგარი ადამიანი.

აბა რა გასაკვირია, რომ ურიცხვი პოპოთეზა გამოითქვა? როგორები იქნებიან? ჩვენთვის ნაცნობი, ნორმალური სიძაღლის? თუ გოლიათები? ცალთვალისა თუ ოახ თვალს დააბრიალებენ?

ადამიანის ხატად შექმნილი სათამაშო თეთრ-ლურჯი პლასტმასის ჯუჯები, რომლებიც თქვენი ეპოქის ბოლოს ურიცხვი რაოდენობით გამოუშვეს, ჩვენ ჩვენი მთავარი ეკლესიის საკურთხეველში გამოსაჩენ აღვილას, ყველასათვის თვალშიხაცემად დაეალაგეთ. მაგრამ იმედი გვქონდა, თითქმის დარწმუნებულები ვიყავით, რომ ადამიანი ჯუჯად არ დაგვიბრუნდებოდა უკან. ჩვენს მოლოდინს კონკრეტულ წარმოდგენასთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ უნდა გვცოდნოდა, ყოველ შემთხვევაში, უნდა მივმხდარიყავით მაინც, რა მოგველოდა! ჩვენზე ხომ გაუთაკებლად ატარებდნენ ექსპერიმენტებს, გვიკვირებდნენ შხამებს და ანტიშხამებს, ჩვენ ხომ მეცნიერების სამსახურში ვიდექით, ბოლოს ვვადირსეს და დაგვაჯილდოვენს კიდევაც! ჩვენ ხომ მაინც ვიცოდით, რა მო-

იგონა ადამიანის გონებას — როდესაც საქმე, როგორც კვლევის პროექტში იყო აღნიშნული, ადამიანის ჯიშის გაუმჯობესებას შეეხებოდა. უნდა მივმხვდარიყავით! მიუხედავად იმისა, რომ ასე ველოდით და ასე გვიხაროდა, რაც მოგვევლინა, როგორც იტყვიან, რამაც მზის სინათლე იხილა — თავზარი დაგვცა.

ყოფილი გემი ნავსადგურში რიგაინად შემოსულიც არ იყავი, რწმენ უკვე მზად ვიყავით სტუმრების დასახვედრად. მზესუმზირის ტანუბანში, სიმინდის ტაროები, ვაპუტული მტრედები და ბელურები დაუწყვეთ. ეს ყველაფერი ძალზე სწრაფად ხდებოდა, რათა მათი ნაპირზე გამოსვლის წინ ჩვენ ისევ, გავმკრალიყავით.

ვთქვი უკვე თუ არა, რომ გაერთიანებული ძალებით ვერთხებმა ღვთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოს ზარების დარეკვა მოახერხეს? წარმოიდგინე, ასი და მეტი მსუქანი ზრდასრული ვერთხა ბაგირებზე ჩამოკიდებული, ყოველ შემთხვევაში, როდესაც მოსულები გამოჩნდნენ და ჩვენ მოლოდინისგან გავშეშდით, ეკლესიის ყველა ხარი გუგუნებდა, როგორც ოდესღაც, ადამიანების დროს.

ვხედავდი, როგორ მიცოცავდნენ გემბანზე, მერე თავალერებული ჩერდებოდნენ. ვხედავდი, როგორ თავისუფლად ანაცვლებენ ფეხებს. დაახლოებით სამი წლის ბავშვის სიმაღლისანი იქნებოდნენ. ორივე სქესის წარმომადგენლებს სხეული მხოლოდ ალაგ-ალაგ ჰქონდათ ბალნით დაფარული. აღნაგობითაც ადამიანებსა ჰგავდნენ. და თუმცა მათ მოკლე კულებს ვერთხის კუდს ვერ მივამსგავსებდი, მაგრამ ვხედავდი კია, რომ გრძელ კისრებზე უზარმაზარი ვერთხის თავები ედგათ.

ღედალმა ვერთაგვამაც, რომელიც მწვანე ჭიშკრის ლავგარდანზე იჯდა, თქვა: „თავიდან ისე იქცეოდნენ, თითქოს ვერ შეგვამჩნიეს. ზარები გუგუნებდა. მონაცვლეობით მიდი-მოდიოდნენ გემბანზე, ფეხებს შლიდნენ, იზმირებოდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ძალზე ბუნებრივად დაიწყეს ხელების ქნევა, თითქოს გვესალმებინათ.“

თუკი მანამდე კისერს ვიწვდიდით. რათა უკეთ დაგვენახა ისინი, ახლა ერთბაშად გაკქეავდით. დამიჯერე, ჩემო კარგო, არც ერთი ვერთხის ნაშთი არ ინძრეოდა, მხოლოდ უღვაშების ცმაცუნზე თუ შეატყობდით, რომ ცოცხლები იყვნენ. შიში? კი, მაგრამ იყო იმედგაცრუებაც. კინაღამ სიცილიც წაგვსკდა. დაუოკებელი სურვილი გავვიჩნდა ახალმოსულებისათვის დაგვეცინა და სიცილით გული გვეჯერებინა, მაგრამ შიშმა სძლია. მადლობა ღმერთს, ზარების ხმა თანდათან მიწყდა“.

რასაც ვერთაგვა მიჩვენებდა, მხიარულად შევცქეროდი. სიზმარში მეცინებოდა. თმინი ადამიანი-ვერთხა ანუ გაბანჯგვლული ვერთხა-ადამიანები — ხუთნი, მერე შვიდნი, სულ თორმეტნი არიან. ახალი იღზებელის ნაშთებს ბაგირით ბოძზე ამავრებდნენ. ნაპირზე ჯერ სამნი გადმოვიდნენ. სტუმართმოყვარე ვერთხების მიერ დაწყობილი საჭმელი რომ დაინახეს, ყოველგვარი პატივის გარღმეცნენ და თქველფა დაუწყეს. თალგამი, მზესუმზირა, სიმინდი ტაროებიანად, თვით კალათებიც კი ჩანთქეს. მტრედებს და ბელურებს პირი არ დააკარგეს, დაპუტული ფრინველები მოტლაუში გადაყარეს. უში ხორცი ეზიზღათ.

უკანასკნელი ზარებიც დადუმდა. ვერთხები გაქეავებული მდგომარეობიდან გამოვიდნენ. სახლები, ფრონტონები, კოშკები, ჭიშკრები, ქონგურები, გასასეირნებელი კატერები, ნავსადგურის სანაპირო დაცარიელდა. უხმოდ დაიშალნენ. ამკარად ეტყობოდათ იმედგაცრუება. შეიძლება წმ. მარიამის ეკლესიაში შეიკრიბნენ, მათი თავშეყრის ტრადიციულ ადგილას.

მოკვიანებით, როდესაც მე უკვე სხვა სიზმარს ვხედავ, დედალი ვირთაგვის ხმა ჩამესმის: მეცნიერების ამ სასაცილო პროდუქტებისათვის, ჩემო კარგო, შენ ალბათ გახსოვს, ნობელის პრემიას დაგვპირდნენ, როგორც ამბობდნენ, გენეტიკისათვის გაწეული სამსახურისთვის. ბოლოს კი რა გამოვიდა; ვიროხა-ადამიანი ანუ ადამიანი-ვიროხა, გააჩნია, როგორ შეხედავ. ეს ხომ ჩვენი იმედების აბუჩად აგდება!

მოსულებს თავიდან უბრალოდ მოსულებს ვეძახდიო, ხანდახან მანიპულირებულებს, შემოკლებით მანიპულებს. ბოლოს ის ორი დიდი მეცნიერი გაგვახსენდა, რომლებმაც დ. ნ. მ.-ის სტრუქტურა აღმოაჩინეს, უჯრედის ბირთვის და შალეს და გენეტიკური ჯაჭვის წაკითხვა გახადეს შესაძლებელი, ბატონი ვოტსონი და ბატონი კრიკი.¹ ამის შემდეგ მოსულებს ვოტსონკრიკებს ვეძახდიო. ჩვენზე ხანგრძლივი მაკეობის პერიოდი ჰქონდათ, 18 კვირა, ერთ მშობიარობაზე ჩვენზე ნაკლებ ძუძუმწოვრებს ჰყრიდნენ, ოთხიდან ხუთამდე. ჩვენზე ნელა მრავლდებოდნენ. სხვათა შორის გემიდან გადმოსული თორმეტიდან ხუთი დედალი იყო, თანაც ორსული. გამოჩენისთანავე უნდა ამოგვეხოცა სუყველა ერთად! ჩვენს ბატონ მაცერათს, რომელსაც ვიროხა-ადამიანების ნაპირზე გადასვლის შესახებ ვუამბობ, მათი პატარა ბიჭუნას სიმალლე საკმარისად მიაჩნია და საბოლოო ჯამში ჩემს წინადადებებს მისაღებად თვლის.

ჩემს საწერ მაგიდაზე წერილების დასტა დევს, მაგრამ ტრავემუნდედან არც ერთი არ არის. სხვათა შორის ამ ბოლო ხანებში გამეორებები და ვარიანტები მესიზმრება. არა მხოლოდ ის, რომ ბოროტი დედანიცკალი კუდიანს მაკრატელს აწედის და ჭრიჭ-ჭრიჭ, — რაუნცელს მშვენიერი თმა აღარ აქვს. მე მისთვის არაფერი არ მითხოვია, არ დამიყალბებია, მაგრამ ვირთაგვა ისევ და ისევ ერთ სცენას იმეორებს ჩემთვის. ქალის თმა აღდება — დამროკას კულულები — და შემდეგ ქალები, ყველანი ერთად, იფერფლებიან. არა, მე მგონი, მაინც სხვანაირად ხდება ყველაფერი. ქალები სულ უფრო და უფრო კარგავენ ფერს და ბოლოს მათგან ფხვიერ ბაჟამზე გათხაპნილი ხალებავის ლაქებიღა რჩება. ამ კედელს მხატვარი მალსკათი, ამჯერად ჩვენი ბატონი მაცერათის დავალებით, გულმოდგინედ რეცხავს, რათა თვითონ შექმნას ფუნჯის ერთი მოსმით ხუთი ქალის სახე. არც ერთი მათგანი ჩემს დამროკას აღარ ჰგავს, ხუთივე ჰანზი კნოტიკია.

ტრავემუნდედან ბარათი არ ჩანს. მესამე პროგრამაში სიცოცხლე გრძელდება. ჩემს საშობაო ვირთაგვას დაპირებისამებრ კვირაში ერთხელ ახალ თივას ვუყვრი. ჰამელნში იუბილე ყოველგვარი ექსცესების გარეშე მთავრდება.

უფსალადას მიღებული ცნობა, რომლის თანახმადაც ძველგეგმატური მუმიებიდან გამოყოფილმა გენეტიკურმა სუბსტანციამ გამრავლება იწყო, სერიებად მესიზმრება და ვოტსონკრიკები ხმელეთზე გადმოსვლისთანავე წინა ისტორიულ პროფილებს იღებენ. რამზეს პირველის დროინდელი ქანდაკებებივით დგანან ან მოძრაობენ. ოთხკუთხედი მხრები აქვთ, ხელება, ფეხები და ჭიპი — სტილიზებული. თავიანთ ვირთხის თავებსაც ალბათ ოდესღაც ნილოსში იბანდნენ. ეს აზრი ბატონ მაცერათს არ მოსწონს. მისი სურვილია ნაპირზე გადმოსულები შვედებს ჰგავდნენ. სამაგიეროდ მეთანხმება, თორმეტიდან ოთხი ან ხუთი იმ ნიშნით გამოიყო, რომ ისინი სამკაულს ატარებენ. ჯერ ნაპირზე არც გადმო-

1. ვოტსონი და კრიკი — მეცნიერები, რომლებმაც ვენი აღმოაჩინეს.

სულან, უკვე ვამჩნევ ვერცხლის საყურეებს, სპილოს ძვლის, ოქროს გულსა-
ბამს და ონიქსის მძივებს. ეს ხომ ის წვრილი ვერცხლის მავთულისგან დაწ-
ნული ქამარია, — ვამბობ სიზმარში, — უკანასკნელად გემზე დამრავს ტომა-
რაში რომ ვნახე, სხვადასხვა ძველმანებთან ერთად. ეს ქამარი ნებისმიერ ცხრა-
თვის ორსულსაც შემოსწვდება. ხოლო ეს მარჯნის მძივი, რომელიც უნდა ერთ-
ერთი შვედურად მანიპულირებულის კისერს ამშვენებს, ოდესღაც ზღვის
მკვლევარს ვაჩუქე, მაშინ ჯერ კიდევ ერთად ვიყავით. მესაჭის სამკაულებიდა-
ნაც ნაცნობია ჩემთვის რამდენიმე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მალე და-
შორდით ერთმანეთს, ჩემს ნაჩუქარ სამკაულებს მაინც ატარებდა. საყურეები!
ერთ-ერთი დედალი — სხვების მსგავსად ორსული ვირთხა-აღამიანი გრძელ სა-
ყურეებს ატარებს. ფასი კი კარგად მახსოვს, საკმაოდ ძვირი იყო, მაგრამ უსინ-
დისო ვიყო, თუ მახსოვდეს, ვის ვაჩუქე და როდის, ვინმეს საშობაოდ თუ დე-
დის დაბადების დღეზე?

სიზმარში ვირთავის ხმა მესმის: «კარგად დააკვირდი, ძამიკო, ხედაუ ამ ბეჭ-
დებს, შენ რომ ყიდულობდი ხოლმე? ერთს შეეკატრებოდი გამყიდველს, იყიდ-
დი და მერე ვიღაცებს ჩუქნიდი, შენ თვითონაც არ იცი, ვის! შეხედე, რა სა-
საცილია. მანიპულირებულებს რატომღაც ცერა თითებზე უკეთიათ».

შემდეგ კუდიანი მაკრატელს დასწვდება, რათა გადახოტრილი რაპუნცელი აღ-
რიალოს, შემდეგ მალსკათს ვხედავ. ვხედავ, როგორ ირჯება მადლა ხარაჩო-
ებზე, სტილთა აღრევა სრულებითაც არ ანაღვლებს და გოტიკურ ფრესკებს
მკაცრ ძველგვიპტურ იერს აძლევს. აი, ავტოპორტრეტს ხატავს, ფუნჯის თა-
მამი მოსმით — ახალგაზრდა ცულლუტს ორ ხანშიშესულ მამაკაცს შორის,
რომლებსაც ძველგვიპტური გამომეტყველება უხდებათ.

მერე ტრაფემუნდში ბეჭედდარტყმული წვრილი მესიზმრება. მერე ჩვენს ბა-
ტონ მაცერათს ვხედავ, ძმებ გრიმებს ხელშეკრულებას უღებს. მერე გუგულის
ხმა მესმის, საათი თორმეტს უჩვენებს, კვლავ და კვლავ კი ზარების გუგუნში
ვოტსკონკრიკები ხმელეთზე გადმოდიან.

თავი პეტიართავი: რომელშიაც მოხულები სახლდებიან; მზეთუნახავის ძილი
საშინლად მთავრდება; ყველასათვის მოულოდნელად ჰამელნში სამი ტყუპის-
ცალი იბადება; ლიუბეკში ყალბი ფრესკების შემქმნელისათვის სასამართლოს
განაჩენი გამოაქვთ; საწყობთა კუნძულზე აუტანელი სივიწროევა; ჩვენმა ბა-
ტონმა მაცერათმა, როგორც ყოველთვის, ყველაფერი წინასწარ იცის; ვოტსკონ-
კრიკები წესრიგს ამყარებენ; და რადგან ფოსტას კარგი ამბები მოაქვს — ვღერს
მუსიკა.

ჩვენი სიზმრები დასრულდა.
ორივეს გულვიძავს. გაქცევამდე
ერთმანეთის პირისპირ ვიდგებით.

აღამიანი მესიზმრებო,
ამბობს ვირთავვა, რომელიც მე მესიზმრება.
ვარწმუნებდი და ბოლოს დაიჯერა,
რომ მე ვესიზმრები მას, და სიზმარშივე გამოაცხადა.
ვირთავვას, რომელიც მე მესიზმრება,
პკონია, რომ სიზმარში მხედავს.
ასე სარკეებში ვკითხულობთ ერთმანეთს
და ერთმანეთს შეკითხვებს ვუსვამთ.

შეიძლება ორივე,
ვირთაგვაც და მეც
ვიდაც სხვას ვესიზმრებით,
სხვა უცხო ჯიშის სიზმარი ვართ?

ბოლოს, როდესაც სიტყვა დაკარგავს ძალას,
გამოჩნდება, რა შეიძლება სინამდვილეში
და რა შეუძლიათ მხოლოდ ადამიანებს.



ცისფერი თვალები აქვთ, ნელ-ნელა ფორმას იძენენ. ჩრდილიც აქვთ და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც. სხვათა შორის საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურებიან. თავებსა და აქა-იქ ზედმეტ თმას ნუ მივაქცევთ ყურადღებას, ნუ გამოვკვიდებით. ისე სავსებით ადამიანურად გამოიყურებიან და გამართული სიარული არ უჭირთ.

ახლა კი, მგონი, დროა აღვნიშნოთ, რომ მათი ბეწვი, მაპატიეო, თმა — ქერია და ამდენად ცისფერი თვალები სწორედ რომ ამშვენებს მათ უზარმაზარ ვირთხის თავებს. მათში შვედური გენი იმდენად ტიპიურადაა გამოხატული, რომ ახალმოსულთა სკანდინავიური წარმომავლობა ეჭვს გარეშეა. სხვა ეგზოტიკურ მინარევებზე ლაპარაკი ყოვლად უსაფუძვლია. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უფსალას უნივერსიტეტის ფილიალის პროდუქტები არიან. შვედი გენეტიკოსები თავიანთ ბოსტონელ, ბომბეელ, თბილისელ კოლეგებთან თანამშრომლობდნენ და დროულად გამდიდრებული გენები შეიყვანეს უჯრედებში. შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემაზე მთელი მსოფლიოს მეცნიერები მუშაობდნენ. ამდენად ახალმოსულები, რომლებსაც ზარების რეკვირით შეეგებნენ, კაცობრიობის ისტორიის გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. გრძელდება ის, რაც დიდმა ზათქმა ასე უეცრად შეწყვიტა: კიდევ ერთი აგრესია, ისევე, როგორც ერთ დროს კოთები გემებით მოადგნენ ვაიხსელის შეხართავს, აქ დასახლდნენ, მაგრამ ცოტა ხანში ისევ აიყარნენ და სამხრეთისაკენ გასწიეს. რათა ხალხების ისტორიულ გადაადგილებაში თავიანთი როლი შეესრულებინათ. დღეს სწორედ ვოტლანდის დედაქალაქიდან მოსულები წარმოადგენენ იმ ძალას, რომელმაც ისტორიის ჩარხი უნდა დაატრიალოს. და რომ ეს მართლაც ასეა, მგონი, ამაში ეჭვი არაუის ეპარება. კი მაგრამ, ვინ ამბობს ამას? დედალი ვირთაგვა, რომელიც მე ვესიზმრება? თუ მე ვამბობ იმას, რაც მიკარნახებს და ჩამავიწყებს? იქნებ მე დავარწმუნე ამაში ჩემი საშობაო ვირთაგვა? ან იქნებ სინქრონულად ვლაპარაკობთ სიზმარში? ქერა, ცისფერთვალა მანიპულირებულთა გამოჩენამ ორივე გაგვაოცა, ვირთაგვა აღტაცებით ელოდა მათ. მე კი ცოტა არ იყოს მეშინოდა. თავიდან სიცილით ვშველოდი თავს: ვანა სასაცილონი არ არიან! თანაც ძალიან სასაცილოები! ნამდვილი კლოუნები! თითქოს ყავარჯნები სჭირდებოდათ, ისე ადგამდნენ დადრეცილ ფეხებს. რა სასაცილოდ ძალავენ კაცუნები შარდვისას სარცხვენელს, შეხედეს როგორ იკუნცხებიან დედლები! ო, როგორ ცერემონიალურად ესაღმებიან ერთმანეთს, რა საზეიმო შესტებია! მართლაც რომ სასაცილო ვინმეები არიან!

ახლადმოსულებმა მოტლაუს ტოტებს შუა ისტორიული ტერიტორია დაიკავეს. შარდვისა და კუჭის მოჭმელების ადვილებად გამიზნულად აირჩიეს ხიდეები, რომლებიც ეგრეთ წოდებულ საწყობთა კუნძულს ქალაქთან აკავშირებენ, ე. ი. ვირთხებისათვის ჩვეული წესისამებრ შემოსაზღვრეს თავიანთი სამფლობელო.

მათი ქმედებიდან ჩანს, რომ თავიანთ პრეტენზიებს სრულიად კანონიერად თვლიან. აბა რა იქნება! ვერთხები ხომ წინააღმდეგობას არ უწევს, ალბათ ასევე იპყრობდნენ თავიანთი ორდენებისათვის მიწებს გერმანელი რაინდები, ამბობს ვირთაგვა და ვამბობ მე. მოსულემა კი დაიპყრეს კუნძული, მაგრამ ნეტავ ადგილობრივი ვირთხები რატომ არ უწევს წინააღმდეგობას? იმიტომ, რომ უძაღლესი ძალაუფლების წარმომადგენლებად თვლიან და სათანადო მოკრძალებას იჩენენ. არ ებრძვიან, არ ცდილობენ იმის დადგენას, თუ ვინ უფრო ძლიერია. მართალია, ზარებით შეეგებნენ თავიდან, მაგრამ ახლა ქვეშევრდომული განდიდება სრულებით აღარ იგრძნობა. ფრთხილად უტრიალებენ გარშემო, ჰაერს ყნოსავენ და ასკვნიან: სრულიად უცხოებიანო.

ჩვენ ვიცდით. ყოველდღე ვაკვირდებით და ჯერაც ვერ გაგვირკვევია, რა ტიპები არიან. ყოველ შემთხვევაში, ერთ რამეში შევთანხმდით მე და ვირთაგვა: შვედ მანიპულირებულ ვირთხა-ადამიანებში თუ ადამიან-ვირთხებში, — ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ჩემი დედალი ვირთაგვა, — მშვიდი და ზანტი ძალა იგრძნობა. ამ ძალის დემონსტრირება მათი ჯერჯერობით არ სჭირდებათ. ისედაც ნათელია, რომ გაჭირვების ჟამს შეტევაზე გადავლენ და სწრაფად, გონივრულად, გააზრებულად შეუტევენ. ისინი რაციონალურ ძალას განასახიერებენ და არა ბრმა და მძვინვარე სტიქიურ ძალმომრეობას. დისციპლინას შეჩვეული არიან, ეს ხომ მათი თანდაყოლილი თვისებაა! ყველაფერს კეთილსინდისიერად და წესიერად აკეთებენ, ზედამხედველის მათრახის გარეშე, — რაც ვირთხებისათვის თითქმის წარმოუდგენელია.

მას შემდეგ, რაც პირველი შთაბეჭდილება გაიფანტა და მათზე აღარ გვეცინება, აღმოჩნდა, რომ თურმე ლამაზებიც არიან, გულისგასახეთქად ლამაზები, ამბობს დედალი ვირთაგვა. მეც კეთანხმები; თუკი ახლოდან, ხიდეებიდან დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ყოველ მათგანს განუმეორებელი ნაკვთები აქვს, ერთმანეთს არ ჰგვანან, ყოველი მათგანი თავისებურად მომხიბლავია. არც მათი თვალების სილურჯეა ერთგვაროვანი. ცისფერი წყლისფერში, მოთეთრო სილურჯეში, ცივ ლითონისფერში გადადის. ხანდახან განუმეორებელ სილურჯედაც გვევლინება. შავს რომ ემსგავსება ხოლმე. ადამიანები თქვამდნენ, რომ ეს რაინდთა და გმირთა თვალების ფერია.

მართლაც რომ მომხიბლავია მათი ცისფერი თვალების სხივიანი ციმციმი! ვხედავთ, როგორ დააბაჯებენ ქერათმიანები, პირდაპირ დანავარდობენ. მათი მშვენიერი თავთუხისფერია, მოწითალო თუ ოქროსფერი თმა გვაბრმავეებს. მშვიდად, მოაზროვნე სახეებით დგანან ომთაშორისი ხანის ნანგრევებთან. აზრდაც არ მოსდით, რომ ოლქსლაც ადადბერგასეს პარალელურ მიუნხენის ქუჩაზე უკანასკნელი ებრაული გეტოს საზღვარი გადიოდა. მათ ისტორიული წარსული არ ამძიმებთ. წარსულის გააზრება და დაძლევა არ სჭირდებათ. ყველაფერს თავიდან იწყებენ, დანაშაული ჯერ არ ჩაუდენიათ, არაფრის მონანიება არ სჭირდებათ! შურის თვალით შევცქერით მათ არხეინ ყოფას. უგერგილობა და უძმაკობა თითქოს დაბადებიდან აქვთ თანდაყოლილი. ოღნავ დაღრუცილი ფეხები აქვთ. ყველას სწორი თმა როდი უჩანს, ზოგს ზურგზე, მკლავებზე და ბარძაყებზე დალაღები ჰკიდია. თვით ხელისა და ფეხის თითებზეც მოუჩანთ მეჩხერი ბაღანი. დიახ, ადამიანებივით ხმარობენ ადამიანურ ხელ-ფეხს. სწორთმიანებს გრძელი თმა შუაზე აქვთ გაყოფილი. მათ ღია და მუქ ლურჯ შედურ თვალებს ქერა წარბ-წამწამი პირდაპირ ხატავს.

მე ვთვლი, რომ მართლაც ულამაზესები არიან. ვირთაგვა კი მათში ვირთხული შეჩარევის გარდა გარკვეულ დორულ ელემენტებსაც ხედავს. აი შეხედეთ, ვირ-

თხის კულები არ აქვთ, შეიძლება ვერც კი დაინახოს კაცმა, — ამბობს ვირთაგვა და მათ გოჭივით დაგრეხილ კულებს მაჩვენებს. დედალი ვირთაგვა ამას ყოველგვარი ირონიის გარეშე ამბობს, თითქოს ადამიანის, ვირთხის და ძირის მანიპულირებული გენების ნაერთი რამეთუ სჯობდეს მხოლოდ ვირთხულისა და ადამიანურის ნაჯვარს.

ცხადია, გოჭის სასაცილო კული სერიოზული საბუთია და, თუკი ამ საბუთზე გაუამახვილებთ ყურადღებას, სინამდვილისთვის თვალის არიდება გაგვიჭირდება. მე კარგად მესმის ამ ფაქტის მნიშვნელობა, მაგრამ მეც ხომ მაქვს უფლება ჩემი აზრი გამოვთქვა? მათ პაწაწუნა კულებს ღირის კულებს ვერ დაეარქმევი! მანიპულირებულ ბუნებას, ვინ იცის, თავში რა მოუვიდა? შემთხვევითობა-მოულოდნელობებისგან დაზღვეული არა ვართ. ამდენად მე კვლავინდებურად მხოლოდ ერთ ახალ ჯიშს ვცნობ და ვაღიარებ: ვირთხა-ადამიანს ანუ ადამიან-ვირთხას. მხოლოდ ვირთხული ელემენტიც სრულიად საკმარისია ადამიანის გასაკეთილშობილებლად! მართალია, ჩვენ ჩვენთვის ჩვეული ფორმით აღარ ვარსებობთ, მაგრამ ხელახლა გამოგვიგონეს. მხოლოდ და მხოლოდ ვირთხას შესწევს უნარი აამაღლოს და გააუმჯობესოს ადამიანის ჯიში, ვამტკიცებ მე. მხოლოდ ასეთი გენეტიკური სპირალი აღმოჩნდა ბუნებაზე ძლიერი! და მხოლოდ ამ სახით შეგვიძლია ჩვენ არსებობის გაგრძელება. ვირთაგვა, ვირთაგვა, ნუ იტყვი ამას, გემუღარობი! ღირულ შენარევეებზე ლაპარაკი ძალიან მიმძიმს-მეთქი.

წყვილებად ცხოვრობენ. დედლები საგრძნობლად დომინირებენ, მაგრამ ამას მატრიარქატსაც ვერ დაარქმევ. მდურია ვირთხა-ადამიანების საქმიანობა მხოლოდ მომავალი თაობის აღზრდით არ შემოიფარგლება. მოაწოვებენ ძუძუს სამ ან ოთხ ნაშიერს და მერე სეირნობენ, ფიქრობენ. მომავალ თაობას კი მამრი ვირთხები უელთან, ბოლოს და ბოლოს, ეტყობა, სქესობრივი თანასწორუფლებიანობა რეალობად იქცა. რაც ადამიანთა ეპოქაში შეუძლებელი იყო, სამზარეულოსა თუ საძილე ოთახში უსიამოვნების მიზეზი ხდებოდა და ამ კონფლიქტს ვეღარც სიყვარული შველოდა რაიმეს, ახლა აღარ არსებობს. ყოველგვარი ძილდატანების გარეშე, სრულიად ჰარმონიულად, თუმცაღა ოღნავ მოსაწყენად მიმდინარეობს ოჯახური ცხოვრება. დიახაც, ვარ მოწადინებული მათ ყოველდღიურ ყოფაში დაძაბულობის მომენტი ან რაიმე უსიამოვნება აღმოვაჩინო, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება! არაუითარი ექსცესები. მათი ყოფა მოწყვლადი და მოსაწყენია.

ახლა უკვე პირველი ახადდაბადებული ვირთხა-ადამიანები წყვილდებიან, შეედურად მანიპულირებულები უკვე საკმაოდ დიდი ტომია, მალე ერაღაც ჩამოყალიბდებიან. ვირთაგვა და მე ვითვლით, უკვე ასზე მეტი არიან. მალე საწყობთა კუნძულის ტერიტორია აღარც ეყოფათ და გაფართოება დასჭირდებათ, ომებს შორის ამენებული ორი ხუთსართულიანი სახლი მხოლოდ ბავშვებით და ახალგაზრდებითაა გამოჭედული. სურსათ-სანოვაგის პრობლემა არ აწუხებთ. საწყობები ადგილობრივი ვირთხების მიერ მოძარაგებული პროდუქტითაა სავსე. სიმინდის ტაროები, ოსპი, ხორბალი თავზისაყრელი აქვთ.

ვირთაგვას, რომელიც, ჩემი აზრით, მესიზმრება, თვითონ კი ფიქრობს, რომ მე მხედავს სიზმარში, ერთი გარემოება აღარღებს ფრიად და მეც კარგად მესმის ამ პრობლემის სირთულე. ყოველგვარი მარაგი მთავრდება. და ეს ოდესმე პრობლემებს გამოიწვევს!

„შევცდით, — ჩივის ვირთაგვა, — უნდა გავვენადგურებინა, ნაპირზე გადმოსვ-

ლისთანავე უნდა ამოგვეჩოცა! თორმეტნი იყვნენ. სულ. თრიოდ წუთში გავუსწორდებოდით. პოპ და მორჩა!“

პრინციპში ჩემი დედალი ვირთაგვა მარშალია, ალბათ სწორედ მე ვიყავი, რომელმაც მანიპულირებულთა სასწრაფოდ განადგურება მოვითხოვე. დანცივის რაიონში მცხოვრები ვირთხების ბედი რატომღაც გულთან ახლოს მაქაქვს და ალბათ ამიტომაც მოვითხოვე. ყოველ შემთხვევაში ორივეს ვერ ვეხვედები: მშვიდობა დროებითია. სულ ძალე საწყობთა კუნძულზე მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა. აბა რა იქნება, ლურჯთვალათა მეოთხე თაობამ მიაღწია უკვე სქესობრივ სიმწიფეს. საწყობებში მზესუმზირის მარაგი თითქმის გამოიღია. როგორც ჩანს, ყოფილი რკინის საწყობი უკვე ცარიელია, იქ ქერი ინახებოდა. მოტლაუში სულ უფრო მეტი და მეტი გაღრღნილი სიმინდის ტარო დაცურავს.

ვირთხების შვილებს რა უჭირთ, ბოლო წლებში ხომ საუკეთესო მოსავალს იღებდნენ, მაგრამ მაინც დარდად აწევთ: რა მოხდება, როდესაც უკანასკნელ მარაგსაც ამოსწურავენ? ამდენ დამშეკულს რა უნდა მოუხერხონ?

ჯერჯერობით მათი შეკრებები მშვიდობიანია. როდესაც სადამოლობით ჯგუფ-ჯგუფად დგახან და ხელიხელგაყრილი დასეირნობენ, ეჭვს არ იწვევენ, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე და გამრავლებაზე ფიქრობენ შედარებით ნაზი ძამაკაცები და ძალაუფლების მოყვარული დედაკაცები. ძალზე ეიწროდ ცხოვრობენ კუნძულზე, ეტყობა, ფართი არ ჰყოფნიან. მკაცრად უჯავრდებიან და უკანვე უხმობენ შვილებს, როგორც კი თამაშში გართული რომელიმე მათგანი მათი ტერიტორიის საზღვრებს გასცდება, სულერთია რომელი მიმართულებით, იქნება ეს მწვანე ჭიშკართან, კოშკთან თუ ქვემო ქალაქთან, სადაც რუსეთიდან ემიგრირებული ვირთხები სახლობენ.

მათი შთამომავლობა დამჯერია. ბავშვობიდან სწავლობენ ხელის აწევით კენჭის ყრას და გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღებას. კონფლიქტებს ერიდებიან და კეთილმეზობლობას აფასებენ. ნეიტრალიტეტის გრძნობა თანდაყოლილი აქვთ. სკანდინავიელებივით მშვიდად ირჯებიან. ამასთანავე გარკვეული სოციალურ-დემოკრატიული ქცევის ნორმები თითქოს გენეტიკურად აქვთ გათავისებული. ვირთაგვა და მეც ამას საკუთარი თავის დასამშვიდებლად ვამბობთ. ჯერ არც ერთ ვოტსონგრიკი საბაზრო მოედანზე, რატუსის წინ არ გამოჩენილა. ცნობისმოყვარეობა არ აწუხებთ, თავიანთი ტერიტორია ჰყოფნიან. ჩვენ, ვირთხებს, ძალიან გვაღარდებს მათი და ჩვენი მომავალი, ისინი კი სულაც არ ნღველობენ! მანიპულირებულები შინაგან სიმშვიდეს ინარჩუნებენ. ქერათმისანი და ლურჯთვალაიანები სულ უფრო და უფრო მრკალდებიან სურსათ-სახოვავის ნაკლებობისა და სიუიწროვის მიუხედავად. მათი სიღამაზე დღითი დღე მატულობს, ყოველი ნახვრეტიდან ხუჭუჭი ან სწორომიანი სიღამაზე ბრწყინავს.

ჯერჯერობით კი ახარებს თვალს მათი სინარჩარე. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ვამჩნევთ, რომ ზრდასრული მანიპულირებულები სავარჯიშოდ იკრიბებიან მოედანზე. ვირთაგვა და მე ეხედავით, თუ როგორ ქმნიან ისინი მოტლაუს გადაღმა კოლინებსა და სოლისებრ დაჯგუფებებს. ამართულად მთარულნი ვარჯიშობენ ფეხაწყობილ სიარულში. ო, ღმერთო ჩემო, მარშათ მოდიან! მარცხნისაკენ, მარჯუნისაკენ! ერთი, ორი, სამი! ადგილზე სდექ! — ჩერდებიან. ბრძანებისას: სწორდი! — შეშდებიან. ისევ მოძრაობენ. მდინარე არ შხუის და მათი ბრძანება კარგად გვესმის. სასისმიერი, თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ სასიამოვნო ენაა, ქალაქში გაჩვეული საჩუქრების შრიალს მაგონებს, ბატონმა მაცერათმა რომ წაუღო თდესლაც საცოდავ კაშუბელ ბავშვებს. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს

ვოტსონკრიკების ხმა ჩამესმის: მარჯვ-ჯუჯ-მარში მოჯუჯეთ! სწორდით, ჯუჯ! ჯუჯა ორი, სამი, ოთხი, ჯუჯა ორი, სამი, ოთხი, ჯუჯ!



მოდიან! ბოროტი დედინაცვლის სარკის წინ ხალხმრავლობა და ჩორქილია. ეპ-რანზე ჯერ არ ნახული მანქანები მოჩანს, რომლებიც მიწისქვეშაში უეცრად დაღებულნი ხაზიდან ამოდებიან (მიწისქვეშა ბეტონის სადგომების კარნი რღება), ზღაპრულ გველეშაპებს ჰგვანან, რაღაი საბრძოლო ტანკებს მტაცებელი ცხოვე-ლების სახელებს არქმევენ, ჩვენც მათ პირობითად უბრალოდ „ურჩხულები“ ვუწოდით. ურჩხულები ახლა ავტომაგისტრალზე იმყოფებიან და მცენარეებს თელავენ, ანადგურებენ. სულ უფრო ახლოვდებიან.

ამ მანქანებს დღემდე მხოლოდ ინდოეთში და სამხრეთ ამერიკაში იყენებდნენ ჯურღმულებისა და ქობმახების აღსაგველად პირისაგან მიწისა, დღეს კი, ვი-საც ზღაპრების მთავრობა — გრიძები მოსწონდა, ყველას თავზე გადაუვლიან. ბატონ მაკრათს სურს ეს სპეციალური მანქანები ცეცხლისმფრქვეველი მო-წყობილობითაც იყენენ აღჭურვილნი. მე ასეთი ძველმოდური შეიარაღების წი-ნააღმდეგი ვარ, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოსკარი წარ-სული ეპოქის პირმშოა, თანაც საკუთარი აზრის ბოლომდე გატანასა ჩვეული პოლონურ ფოსტასთან ბრძოლაში გამოყენებულმა ცეცხლისმფრქვევემა აპარატ-მა წარუშლილი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. თაფლისკვერა სახლში პანი-კაა, მეფე დროსელბარტს უშინია თავისი ავლა-დიდება არ დაკარგოს, კეთილი ფერიები ტირიან. თითქოს ჩაწიხლული ბოროტი ფერიები ერთ ადგილზე წრი-ალებენ. იორინდე და იორინგელი უმოძრაოდ სხედან. თითქოს იყინებაო, რა-პუნცელი საკუთარ თმაში ეხვევა. შეძრწუნებული ბაყაყი ქალის შუბლიდან ჭაში ხტება. შიშისაგან აცახცახებული მეფე-ბაყაყი კი ხევით მიძვრება. გოგონა მოჭ-რილ ხელებს თვალეზზე იფარებს, ამდენი საშინელების ატანა მართლაც შეუძ-ლებელია!

წითელქუდას ბებია გრიძების ლექსიკონიდან სიტყვა უბედურების ახლოს მდე-ბარე სიტყვებს კითხულობს, გამგები გაიგებს: „უწმინდური, ურჩხული, უიძე-ლობა...“, მაგრამ აგრეთვე „უღარდელი, უმანკო, უხლებელი“ (ხელუხლებელს თუ გულისხმობს?).

ჯერჯერობით მხოლოდ კომბლით შეიარაღებული რუბეცალია საბრძოლველად მზად. აი, გულადი თერძი და მამაცი რკინის ჯარისკაცი ამოუდგნენ მხარში. კუდიანები ნაუცბათევად მოგროვებულ ცარიელ ბოთლებში შარდავენ. ჯუჯებს მათ ვარშემო ტრიალებენ და ბოთლებს საცობებს აცობენ. გოგონას მოჭრილი ხელები ბრძოლის თავდაცვითი მეთოდებით ვარჯიშობენ.

ფიფქია და წითელქუდა ბავშვებს ურჩევენ გაიქცნენ: „ბავშვებო, შინ წადით, შინ წადით, სანამ გვიან არ არის!“ მაგრამ ჰენზელი და გრეტელი უარზე არიან. „ჩვენ თქვენთან ვართ!“

ამასობაში ჯადოსნურ სარკეში მოჩანს: ურჩხულებმა ავტომაგისტრალი გაიარეს და ტყეს უახლოვდებიან. აი, შემოვიდნენ ტყეში: ანადგურებენ და აჩანაგებენ ყველაფერს. სადაც გაივლიან, მხოლოდ ნაფოტები, დაღეჭილი ხავსი და და-ქუცმაცებული ფესვები რჩება. წინა ურჩხულის სახურავზე „კოცნით გამოღვა-ძებული“ პრინცი ზის და დროებითი მთავრობის კანცლერ-გენერალს გზას უჩვენებს. კოცნას აგზავნის ეკალბარდების მიმართულებით, იქ მძინარე მზეთ-უნახავი ეგულება.

თაფლისკვერა სახლში მოღალატე პრინცის საქციელით ყველა აღშფოთებულია,

რაპუნცელს რცხენია. კუდიანი, გრძნეული მერლინი და ბოროტი ფერიები შელოცვებით და ჯადოქრობით ცდილობენ ურჩხულების შეჩერებას, მაგრამ ჯადოქრული სიტყვები ნაპერწკლებად იფანტება, როგორც ~~გი~~ ურჩხულების ჯავშანს ხვდება და მხოლოდ და მხოლოდ მანქანების გარეგნულ ცვლილებას იწვევს, მანქანებს ჯერ დევების ღოჯები ეზრდებათ, შემდეგ ~~ფარების~~ ნაცვლად უზარმაზარ გველეშაპის თვალებს აბრიალებენ და ცეცხლოვან ენებს ახისინებენ. ამდენად ჩვენი ბატონი მაცერათის სურვილი, მანქანების აღჭურვილობას რომ შეეხებოდა, გარკვეულწილად დაკმაყოფილებულია.

ეს ყოველივე პრინციზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. იგი ბედნიერია და თავდავიწყებით გზავნის ჰაერში კოცნებს. საითაც კოცნას გაავზავნის, მანქანებიც იქით მიდის. ურჩხულების კოლონა ტყის იმ მდელის უახლოვდება, რომლის შუაშიც ძმები გრიმების ქვაში გამოკვეთილი ძეგლი დგას. კოლონის ბოლო ურჩხულში ფარებითა და ჩაფხუტებით აღჭურვილი საგანგებო ნაწილის ჯარისკაცები სხედან.

შეშფოთებული ზღაპრის გმირები ჯადოსნურ სარკეში ხედავენ, როგორ გამოდის ერთ-ერთი ურჩხულიდან უზარმაზარი რკინის ჩაქუჩი და ქანდაკებას ხვდება. ჩაქუჩის კიდევ ერთი მოქნივა და ქვაში გამოკვეთილი ძმები გრიმები ნაკუწ-ნაკუწად იმსხვრევიან. შემდეგ ამ ნამსხვრევებს სხვა ურჩხულები გადაუვლიან და ძეგლს მიწასთან ასწორებენ. ჩვენთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი მათი თავები მიწაში ეფლობა.

ხედავენ რა პრაქტიკულ ძალას, ზღაპრის გმირებს ძმებ გრიმებთან ერთად მიწაში ჩაძრომა სურთ. თაფლისკვერა სახლში ისეთი განწყობილებაა, უარესის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. „ვაი თქვენ, ადამიანის შვილებო, არც კი იცით, რას სჩადით!“ — ამბობენ კეთილი და ბოროტი ფერიები.

თავიდან პრინცი შიშითა და აღშფოთებით შესცქერის ნგრევის აქტს, მერე თვალბზე ქუდს იფხატავს და ახლა ისევ მიმართულებას აჩვენებს. ურჩხულები პრინცს არაფრად აგლებენ და, სანამ ეკალბარდებში მძინარე მზეთუნახავის პრობლემის გადაწყვეტას შეუდგებოდნენ, ჯერ საწინააღმდეგო მიმართულებით მდებარე მიზნისაკენ მიდის, ჯერ კიდევ ერთი აჩვარიში აქვთ გასასწორებელი! კოლონა სულ უფრო ღრმად მოიწევს ჯანმრთელ ტყეში.

„ვაიმე! — ამბობს ფიფქია, — ვგონებ, ჩემი ზღაპარი საბოლოოდ დამთავრდა“.

„ჩვენი სევდაც დასრულდა სამუდამოდ“, — მოთქვამენ იორინდუ და იორინგელი.

„ხომ შეიძლება ისე უბრალოდ, მხოლოდ სტუმრად მიდიან ჩვენთან?“ — კითხულობს უჭკუო წითელქუდა.

„ზღაპრების გარეშე კაცობრიობა გადარიბდება“, — ეს რაპუნცელმა კარგად იცის.

„ეჰ, შენ ვერე გეგონოს, — ამბობს რუმპელშტილცჰენი, — ჩვენ მათ დიდი ხანია აღარ ვახსოვართ“.

ამ მოთქმა-ჩივილის დროს გაისმის რუბეცალის ხმა (მას ჩვენი ბატონი მაცერათის ხმა ერთვის: „ძალიან მადარდებს ასეთი ცუდი დასასრული“). რუბეცალი საბრძოლველად მოუწოდებს ზღაპრების გმირებს, გაჰკვივის: „მოწყევით!“ და კომბალს იქნევს.

თაფლისკვერა სახლიდან ყველა გარეთ გამოდის. ბოროტი დედინაცვალი თავის განძს, თავის ჯადოსნურ სარკეს გულში იხუტებს. სულ ცოტა ხნის წინ მის ეკრანზე ყველაფრის დამანგრეველი ურჩხულები ჩანდნენ. მგელი აუშვეს ჯაჭვიდან. ბოროტი ფერიები მოჯადოებულ ყვავებს, გედებსა და შვლებს ჯადოს

ხსნიან. ჯერ უწყვერული, დაბნეული პრინციების ჯარი ადამიანურ სიარულს იწყებს. მერე საბრძოლო რაზმს ქმნიან, ჯიბრიანები და შეშინებულები. ჯუჯები კუდიანებს შარდით სავსე ბოთლებს ურიგებენ. მეფე დროსელბარტს თავში უკეთესი არაფერი მოსდის და რკინის ჯარისკაცს გენერლად ირჩევს; მკელს ეშინია და მოითხოვს, ისევე დამაბითო. მეფე-ბაყაყს ჭაში ჩაძვრომა და იქ დამალვა უნდა, მაგრამ მისი ქალბატონი და კუდიანი ქალი გაქცევის საშუალებას არ აძლევენ. საზარელი ძალის მოახლოებული ხმაური ყველაზე ადრე უხელო გოგონას ესმის და ყურებში თითებს იცობს. პუნზელი ხელს ჰკიდებს გრეტელს.

ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამწკრივებული ურჩხულები ტყიდან გამოდიან, სულ ექვსია! ყველას იარაღი აქვს მომარჯვებული და თვალებს აბრიალებენ. ურჩხულებს უკან ქვეითად მოაბიჯებენ ფარებითა და ჩაჩქნებით აღჭურვილი საგანგებო ჯარის ნაწილები. ერთ-ერთ ტანკში პრინცი ზის, სულელივით იცინის, ხელებს იქნევს და კოცნას უგზავნის საბრძოლველად გამზადებულ, მაგრამ თავიდანვე განწირულ ზღაპრის გმირებს. მერე ვიღაც ქეჩოში წვდება და ტანკ-ურჩხულში მიათრევს. წინასწარგათვლილ მოვლენებს ლიუკებიდან ეპისკოპოსები ლოცავენ (რატომდაც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩვენი ბატონი მაცერათი, როგორც უკვე ერთხელ ბავშვობაში, ახლაც მტრის მხარეზე გადავიდა, თუმცაღა მათი მოკაემირე არ არის, მაგრამ მგონია, მგონია კი არა, ჩაძვვილად ვიცი, სადღაც ინდუსტრიის ხელმძღვანელებს შორის ზის). „ძირს ზღაპრები!“ — აი კანცლერ-გენერლის ლოზუნგი.

შეიდი ჯუჯა, ტყის სულები და დანარჩენი პატარა კაცუნები კუდიანების შარდიან ბოთლებს ისერიან ხელყუმბარების მაგივრად. მართალია, ბოთლები ფეთქდება, მაგრამ ასე რიგად ურჩხულების შეტევის შეჩერება შეუძლებელია. ამასობაში მანქანებს უცნაური და სასაცილო მოხატულობა უჩნდებათ. სისინა ცეცხლოვანი ენები წინ აქვთ გამოშვერილი.

ურჩხულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კომბლიანი რუბეცალი იღუპება, მერე მამაცი რკინის ჯარისკაცი. ჯუჯები და ტყის სულები სანგრებში გამაგრებას ცდილობენ. მაგრამ უკვე გვიანაა. შემდეგ უწლოვანი პრინციები იღუპებიან, რომლებიც სულ ახლახანს ჯერ კიდევ გედები, ყვავები, შვლები იყვნენ, ბოლოს მკელიც გადადის შეტევაზე, მტერს ზედ ახტება, ძირს ენარცხება და მისგან მხოლოდ ნაგლეჯებიღა რჩება. კეთილი და ბოროტი ფერიები, მეფე დროსელბარტი, აკანკალებული მეფე-ბაყაყი, მისი ქალბატონი და ჯადოქარი ქალი, ყველა კუდიანი, ფიფქია, ბოროტი დედინაცვალი, წითელქუდა, იორიანდე, იორინგული, რუმპელშტილცჰენი და ფრაუ ჰოლე, სულ ბოლოს ველური დევები და მამაცი თერძი, მოკლედ, ყველა, ყველა გაანადგურეს. მფრინავი სკივრი, ცოცხებზე შემომჯდარი კუდიანები — ყველაფერი, ვინც და რაც დაფრინავდა, ჩამოაგდეს, ცეცხლოვანი ენებით მისწვდნენ, გასრისეს და დაამსხვრიეს, როგორც იტყვიან — ალგავეს პირისაგან მიწისა. რასაც ურჩხულები ნთქავენ, უკნიდან უშვებენ კომპაქტურად გადამუშავებული სახით.

გრძნეული მერლინი სარზე წამოეგო, რაბუნცელის გრძელი თმა ურჩხულის მუხლუხომ ჩაითრია. უხელო გოგონა დაიწვა, თუმცაღა მისი ხელები ბოლომდე ცდილობდნენ თუნდაც მცირედი ზიანი მიეყენებინათ ურჩხულებისთვის, თუნდაც ერთი ჭანჭიკი მოეხსნათ, შუშა ჩაემსხვრიათ. ურჩხულისეულმა ძალამ ხელებიც გაანადგურა. წითელქუდას ბებია გრიმების ლექსიკონიდან კითხულობს: „მოწყალეა, მოწყალე, მიტევება, მოძალადე“... მაგრამ ურჩხულთა შეჩერება შეუძლებელია.

თითქოს სხვათა შორის თაფლისკვერას სახლიც გაანადგურეს, ნანგრევების გარშემო ყრია გაჭყლებილი, დამსხვრეული, დაგლეჯილი, დაფშვნილი: ჯადოსნური სარკე და რუმპელშტილცჰენის ფეხი, ჯუჯებისა და წითელქუდას ქუდები, მგლის გამსკდარი ბოქლომიანი მუცელი; გოგონას მოჭრილი ხელები, ფიფქიას შუშის კუბოს ნამსხვრევები, დაფლეთილი ლექსიკონის ტომები. რა სამწუხარო სასაზღაპროა, რა საშინელებაა! (მტრის მხარეს რაღაც გადასულიყო, მისი აღსასრულიც კარგა ხანია დადგებოდა, — თვლის ჩვენი ბატონი მაცერათი), მხოლოდ ჰენზელი და გრეტელი გადარჩნენ. ერთი რამ კარგად იცნა ან ბავშვებმა, დროზე უნდა უშველონ თავს. ხელიხელნაკიდებულები გარბიან ჯერ ცოცხალსა და მერე მკვდარ ტყეში. ურჩხულები მოსდევენ. ბოლოს იმ ეკალბარდებს უახლოვდებიან, რომლის იქითაც ყოვლისმომცველი ძილი სუფევს. ჰენზელი და გრეტელი მოჭრილი ხეების უკან იძალებიან. კანცლერ-გენერალს, ეპისკოპოსებს და მრეწველობის წარმომადგენლებს, ურჩხულების ლიუკებიდან რომ იჭყიტებიან, პრინცი ახალ მიმართულებას უჩვენებს. მმართველთა ინტერესების დამცველი კლასიკური ტრიო — კაპიტალი, ეკლესია და არმია — ბარდნარში იჭრება, ანადგურებს ყოველივეს და მიწასთან ასწორებს. აი, ბოლოს ყველაფერი გამოთავისუფლდა: კოშკის ნანგრევი, რომელშიაც მზეთუნახავს სძინავს, ძილში გაშეშებული კანცლერი და მისი გაშეშებული ამალა. ამას თავიანთი სამალაუიდან ხედავენ ბავშვები.

მეთაური ურჩხულიდან რკინის ხელი გამოდის (ამასობაში ჩვენი ბატონი მაცერათი ერთ-ერთი გვერდითი ლუკიდან იპარება, რათა თავი ისე აჩინოს, ვითომც უცოდველი ბავშვია). რკინის ხელი პრინცს მალლა და მალლა ეწევა, ბოლოს პრინცი იმ უსახურავო ოთახს გაუსწორდება, რომელშიაც მზეთუნახავს სძინავს, გადახტება, მზეთუნახავს მივარდება და გზივივით კოცნის. კოცნის ისე, როგორც ჯერ არასდროს უკოცნია. დაღონებულია, მაგრამ თან იმედით აღსავსე, თითქოსდა კიდევ შეიძლება რაღაცის იმედი ჰქონდეს! ხანგრძლივი კოცნით აღვიძებს მზეთუნახავს, მკლავს გაუყრის და მასთან ერთად რკინის ხელთან ბრუნდება. რკინის ხელი ამოდრავდება და კოშკის ნანგრევებს სცილდება. კანცლერი და მისი ამალა ნელ-ნელა იღვიძებს. ჰოდა, ზღაპარი ისევ და ისევ გრძელდება. ვალვიძებისთანავე კანცლერი იმ უზარმაზარ კარაქისკრემიან ტორტის ნაჭერს ჩაკბინავს, ხელში რომ ეჭირა, ვინემ მზეთუნახავს ეძინა. ვალვიძებისთანავე ჩვეულებისამებრ დეტალებზე კამათს იწყებენ ექსპერტები და მინისტრები, პოლიციელები თვალის დახამჩამებაში იმარჯვებენ აუტომატებს, დაწყებული წინადადების წერას განაგრძობენ ჟურნალისტები, მაშინვე იწყება ფილმიც, მის დევიზს ყველა კარგად იცნობს, როგორც ასწავლეს, ისეც იქცევიან ყველანი, ყველაფერი თავისი რიგით მიდის, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ძალზე ჩვეულებრივად, ისევე, როგორც წინათ.

კანცლერი უკანასკნელ ლუკმას ყლაპავს და იძახის: „შვილებო, ჩემო საყვარლებო! დაბრუნდით. ყველაფერი ხომ ისევე რიგზეა, საშინელი სიზმარი დამთავრდა. დაბრუნდით უკან, დედიკო და მამიკო გთხოვთ დაბრუნდეთ, დაბრუნდით! შინ ყველაფერი ძველებურადაა, დაბრუნდით!“

ჰენზელი და გრეტელი სამალავს ტოვებენ და გარბიან (ჩვენი ბატონი მაცერათი არ მონაწილეობს იმ ამბებში, რაც აქ ხდება, მაგრამ მოქმედების ამგვარ განვითარებას იწონებს და მე მას სავსებით ვეთანხმები). კანცლერის ბრძანების გარეშე, ვისაც სხვათა შორის ჰგონია, რომ ჩვეულებისამებრ შეუძლია განაგრძოს ქვეყნის მართვა, თითქოს არ არსებობდნენ გენერლები, მღვდლები და ბობოლა ჩინოსნები, წინამძღოლი ურჩხული რკინის ხახაში მოიქცევეს პრინცი-

სა და მის მზეთუნახავს და ისეთი ძალით მოისვრის, ორივე მაშინვე სულს გა-
ნუტივებს.

შემდეგ ურჩხული თავზე გადაუვლის შეყვარებულთა წვეილს, მაკდრებიც კი
რომ ჰკოცნიან ერთმანეთს. ურჩხულებმა გადაწვიტეს ჰენზელსა და გრეტელს
დაედევნონ, ჩაყლაპონ, გაანადგურონ, მაგრამ ბავშვები უკვე შორს უნდას.

ბიზლიჩისეჟა

ეს ჩვენ არ გვინდოდა,
ეუბნებიან დამწუხრებულები
შავი ძაძვებით მოსილთ.
ამდენი სტატიკური მწუხარება ჩვენ არ გვახსოვს,
არც არახდროს ყოფილა
ამდენი მაყურებელი.
ჩვენ შეშფოთებული ვართ! — გასძახის გუნდი
შეძრწუნებულ გუნდს.
უმრავლესობა თურმე
ძალზე შეძრწუნებული და შეშფოთებულია.
შემდგომ ახლად შეძენილ თვისებებზე,
გამძლეობაზე და ძალაზეა ლაპარაკი.
და კიდევ დანაკარგებზე,
რომლებსაც უნდა შევეგუოთ, რაოდენ ძლიერ არ
უნდა გვწყდებოდეს გული.
ახალმა უმრავლესობამ ძალა მოიკრიბა
და თავს არავის დააჩაგვრინებს.
მიუხედავად ამისა, როგორც კომენტარებში ამბობენ,
ადამიანს ხანდახან უნდა შეეძლოს
მწუხარების გამოხატვა
თუნდაც საღამოობით, ახალი ამბების შემდეგ.

მე ვპირდები ჩემს საშობაო ვირთაგვას, რომ გაქცევით არ დავამთავრებ. შეიძ-
ლება ამაღლებულ ფინალს დაუწყყო ძებნა, როგორც ამ ცოტა ხნის წინ ორა-
ოდ სიტყვით მირჩია ჩვენმა ბატონმა მაცურათმა: „იმედს ნუ დაკარგავთ! სას-
წაუღლს ნურასოდეს ნუ გამოირიცხავთ!“ მიუხედავად ამისა ჩემი დედალი ვირ-
თაგვა მაინც ძალიან ინდეფერენტულია, თავის ვალიაში ზის და მასზე არაფე-
რი აღარ მოქმედებს, მხოლოდ ხანდახან ებურძგლება ბეწვი და ნესტოებს პე-
რავს. არაფერი აღარ იზიდავს: არც საეკლესიო მუსიკის კონცერტი, აღარც
ვლბასა და ზაალეში წყლის დონის შესახებ ცნობები, ახალი ამბების გაგონე-
ბა ხომ საერთოდ არ უნდა. თვით სასწავლო პროგრამაც, ადრე რომ ყოველთვის
აინტერესებდა, ვერ იპყრობს მის ყურადღებას. ჩვენი არსებობის საბუთი, —
მესამე პროგრამა, ვეღარ ამართლებს ჩემს იმედს.

ამიტომ ისევ ჰამელნის ამბებით ვცდილობ გავერთო. ყური მივდე, ვირთაგვაე,
იქ უკვე რამდენიმე კვირაა ზეიმობენ. სადღესასწაულო სიტყვებს ამბობენ და
გრაფიკული ნამუშევრების გამოფენაც მოაწყვეს. გამოფენის თემა — ვირთხული
მოტივებია. მეც ვავაგზავნე რამდენიმე ნახატი, რომლებზედაც შენა ხარ აღბე-
ჭდილი, ჩემი სიზმრების ილუსტრაციებით: ვირთხები ამართულ სიარულში
ვარჯიშობენ. ვირთხები სორიებში მიძვრებიან, ვირთხები გარბიან, ვირთხები
ლოცულობენ. ქალაქ დანციგ-გდანსკის მრავალრიცხოვანი კოშკების ფონზე მო-

ცუნცულებს დედალი ვირთაგვა. ვირთხა-ადამიანი ანუ ადამიანი-ვირთხა. ნახატები მსუყე შავით, ფუნჯით, ციმბირული ნახშირითაა შესრულებული, გრაფიურები ნატიფად დაშტრიხული.

ამის ნაცვლად გაცილებით უფრო დიდი სიამოვნებით მოვყვებოდი თუ რა მოხდა ჰამელნში შვიდასი წლის წინათ. მაგრამ იქ გოტიკური ტანკეტები და მათი ვირთხების ხსენებაც არ უნდათ. სადღესასწაულო პროგრამაში ეს სევდიანი სინამდვილე არ შედის. აბა გასტრონომიისა და ტურიზმისათვის რა ხეირს მოიტანდა? ხომ შეიძლება დღევანდელ პანკებს თავიანთი ვარდისფრად თუ მწვანედ შეღებილი ვირთხებით თავში მოსვლოდათ და ჰამელნში, მდინარე ვეზერთან შეკრებილიყვნენ? მკვდრისფრად შეღებილი, ჯაჭვებჩამოკიდებული პანკები, რომლებსაც მოქალაქეები ამრეხით უყურებენ. ჰამელნში კიდევ ერთხელ დაისადგურებდა ქაოსი. კიდევ ერთხელ გახდებოდა საჭირო წესრიგისაკენ მოწოდება, წესრიგის დაცვა, პანოვერიდან და კახელიდან სამხედროების ჩამოყვანა, ცრემლსადენი გაზის მომარაგება, სახანძრო მანქანების მზადყოფნაში მოყვანა, ყოველი პოლიციელის ჩაჩქნითა და ფართო აღჭურვა, როგორც ოღესდაც შუა საუკუნეებში. მაგრამ ეს ხომ არავის მოსწონს: ხელები შორს! გაშალეთ მუშტები! ქუჩებში ბრძოლები და ბარიკადები. შვიდასი წლისთავის საზეიმო პროგრამა დაირღვეოდა, გაზეთებში მყვირალა სათაურები გაჩნდებოდა: „ჰამელნმა იხმო და პანკებიც მოვიდნენ“, და სხვა მსგავსი ტირადები. არა, ეს არავის არაფერში სჭირდება. ზომიანე მეტად აშიშვლებს სიძარბოს. ამას ისიც ემატება, რომ 130 პანკს შორის, გამოქვაბულში ცოცხლად რომ ჩამარხეს, ერთი სათნო და წყნარი გოგონაც ყოფილა, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ლამბერტ რიკეს უმცროსი ასული, სახელად გრეტი! თავთუხისფერნაწნავიანა, ღვთისმოსავი, ლამაზი და წყნარი გრეტი! მდიდარი მეწისქვილის პორნემულეს ვაჟზე ყოფილა დანიშნული, ვინემ ერთ მშვენიერ ღღეს სხვა ბიჭუნების და გოგონების მსგავსად მასაც ვირთხები არ შეუყვარდა, განსაკუთრებით კი ერთ ვირთხაზე დაკარგა თურმე ჭკუა. როგორც ამბობენ, ეს გრეტი, აი, თავმჯდომარის უმცროსი გოგო თავის ვირთხას ჰანსს ეძახდა და თავის ვირთხა ჰანსთან ვითომ — დიახ, დიახ, — თანაც რეგულარულად...

თუმცა რას ჰქვია ვითომ! ვითომ კი არადა ნამდვილად! (სუ... ჩემად)... დიახაც ასე გახლდათ:

ღვთისმოსავი გრეტისთვის კი ადრე თურმე ხელიც არავის დაუკარებია. დიდი უკარება ვინმე ყოფილა, ერთთავად ლოცულობდა და ყოველგვარ სიბილწეს, თუნდაც ერთ ბეწოსაც, ახლოს არ იკარებდა. მდიდარი მეწისქვილის ვაჟს მხოლოდ შორიდან ელაპარაკებოდა, ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. როდესაც წირვაზე მიდიოდნენ, მხოლოდ ერთმანეთის შეხედვა ჰქონდათ ნებადართული და, ღმერთმა დაიფაროს, ზედმეტი სხვა არაფერი.

ვირთხისათვის კი არაფერი იყო აკრძალული. თავიდან გრეტმა მხოლოდ თამაშის უფლება მისცა, მერე და მერე კი ჰანსი გათავხედდა და მეტი და მეტი მოინდომა. საბოლოო ჯამში ყველაფრის უფლება მოიპოვა. თანაც რეგულარულად. ამის შედეგად თავმჯდომარის ასული დაორსულდა და სულ მოკლე ხანში (რის ცხრა თვე!) სამი ტყუპისცალი შვა. ახალშობილები პატარები იყვნენ, მაგრამ სხვა ჰამელნელი ბავშვებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვირთხის პატარა საყვარელ თავებს. სხვა მხრივ თავიდან ფეხებამდე წაიადამიანებდნენ.

რა გაიხარეს გოტიკური პანკების წრეში! მღვდლის ვაჟმა პინელმა, საიდანღაც გასაღები იშოვა და წმინდა ბონიფაციუსის ეკლესიაში შეპარვა მოახერხა. საკურთხეველთან მონათლეს სამი ბიჭუნა და მათ აღმოსავლელ ბრძენთა სახელები უწოდეს: კასპარი, მელპიორი და ბალთაზარი. ღვთისმოსევე ცხადვარდები ნათლობის დროს გატრუნულნი იდგნენ. მათ ძონძებზე მიკერძებულნი ყუფობით რკინა არც ფლარუნობდა. პატრონების თმაში ან სამოსქვეშ ტანზე მიკრული ვირთხებიც ჩუმად იყვნენ. ნათლობის წესს მღვდლის ვაჟი ასრულებდა. დანარჩენები მოწიწებით და კრძალვით იმეორებდნენ: *Credo in unum deum...*¹.

მერე მდინარე ვეზერის ნაპირას დილაძღე ზეიმობდნენ. მოქალაქენი პანკების აღფრთოვანებას არ იზიარებდნენ. „ნუკლეინის მჟავა“, „გენეტიკური ჯაჭვი“ — ასეთ სიტყვებს მაშინ ჯერ არ ხმარობდნენ. გაცხოველებულ ადამიანებს და გაადამიანებულ ცხოველებს მხოლოდ ზღაპრებსა თუ სურათებიდან იცნობდნენ ან, რაიც უკვე თავისთავად დიდი ცოდვა იყო, ჯადოქრებისა და გრძნეულების თავყრილობებიდან, მაგრამ ჰამელნში ასეთი ამბები რომ დღისით, მზისით, ღმერთო, შენ დაგვიფარე! აღშფოთებული ჩურჩული ქუჩებს ავიწროვებდა. თერთო თუ შავანაფორიანი მღვდლები ქადაგებდნენ, ეს ყოველივე წარღვნის მოსვლას მოასწავებსო. მდაბიო ხალხი დიდგვაროვანთა წინააღმდეგ ამხედრდა. მტვირთავები და მეწაღეები, მეწისქვილეები და მეპურეები შეიარაღდნენ და ყველანი ერთად ახმაურდნენ. აჯანყება თითქმის გარდაუვალი იყო.

მაგრამ როგორც კი უკმაყოფილო მოქალაქეები აგრესიულ მოქმედებაზე გადავიდნენ და ახალგაზრდა დედისათვის ახალშობილების წართმევა მოისურვეს, ას ოცდაათმა პანკმა ცოცხალი გალავანი შემოარტყა დედასა და მის ლამაზ შთამომავლობას. მოქადაგეები შეცბნენ და ცოტა არ იყოს შეშინდნენ კიდევაც. პანკები იმუქრებოდნენ, თუ ძალას გამოიყენებთ, წისქვილებს, ეკლესიებს და მარცვლეულის საწყობებს გადავიწვავთო.

ბოლოს და ბოლოს თავმჯდომარე რიკემ — მისმა ასულმა ხომ თავისი სამარცხვინო საქციელით თავი მოჭრა, თანაც ეკლესიის მსახურებისა და ხალხის უკმაყოფილებამ შეაწუხა — დიახ, სწორედ რიკემ მოიწვია შორი ვინზენიდან ლუიზე ვილაც სტვენია. ამბობენ, ეს კაცი განსაკუთრებულ ხმაზე უკრავდაო. ხელწერილი მისცეს, რომ თუკი პირობას შეასრულებდა, საზღაურს ვერცხლით გადაუხდიდნენ. ისიც დათანხმდა და იმ ას ოცდაათს დაუახლოვდა. მათი სურვილის მიხედვით უკრავდა, ახალ ცეკვებს ასწავლიდა, ისე რომ, სულ მალე მათ სამალავებშიც შეესვლებოდა. სხვათა შორის კალვარიის მთის იმ უზარმაზარ გამოქვაბულშიც კი შეიყვანეს, სადაც ნორჩი დედა გრეტი თავის ვირთხა ჰანსსა და სამ ლამაზ შვილიკოსთან ერთად იმალებოდა, რათა აღელვებული მოქალაქეებისათვის, ამ მკვლევებისათვის, აერიდებინა თავი.

წმინდა იოანეს დღეს სტვენია ამ, რომელიც ჩინებული მესტკირეც აღმოჩნდა, დანარჩენი ას ოცდაცხრა ქალაქიდან გაიყვანა — ცხადია, მუსიკის თანხლებით — რათა, როგორც თვითონ ამბობდა, გრეტი, ჰანსი და მათი შვილიკოები მოენახულებინათ და დღესასწაული მათთან ერთად ეზეიმათ. იარეს ველებსა და მინდვრებში, თხილნარებსა და ტყეებში. ბოლოს გამოქვაბულში შევიდნენ და ნადიმიც დაიწყო. თავზე საყრელად იყო პური და შაშხი, თაფლი და ლუდი. არც ვირთხები დავიწყებიათ, მათზეც იზრუნეს, — ყველი, მზესუმზირას მარცვლები გაუმზადეს. შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, მაგრამ ძონძებში გა-

1. ბრწყამს ერთი ღმერთი (ლათ.).

მოწყობილი, ჯაჭვებჩამოკიდებული ას ოცდაათი ახალგაზრდა და მათი ვირთხე-
ბი მაინც ცეკვაუდნენ. ვაჭარ ამელუნგის ვაჟები, ხაბაზ სტენკეს ქალიშვილები,
რაინდ სკადელერის იორგი, გილდიის წევრებისა და მელუდეების შვილები იგ-
რიხებოდნენ, მიგბიგებდნენ. გრეტი და ჰანსი განსაკუთრებული სიმშაგით რო-
კაუდნენ, დახტოდნენ და დაბაკუნებდნენ. ეს ის დრო იყო, როცა ცეკვა უყვარდათ.
მოცეკვაუნი ისე გაერთანენ, ვერც კი შეამჩნიეს, სტვენია რომ გამოთუნინას გა-
იპარა. იყო ერთი მხიარულება, ხმაური და ზურზური. გოგონები თავიანთ ვირ-
თხებს ეალერსებოდნენ.

მერე, როგორც ჰყვებიან, სტვენია თურმე მაღალ ხეზე ამძვრალა და ფრთაგარ-
ჭობილი ქუდით ნიშანი მიუცია. შემდეგ ყველაფერი ისე მომხდარა, როგორც
დაგეგმილი იყო. გამოქვაბული ამოქოლეს, — ეს უკვე ვიცით — ზედ მიწა მია-
ყარეს და ნაკურთხი წყალი მოასხეს. ყმაწვილებს პატარა ბიჭები — კასპარი, მელ-
ქიორი და ბალთაზარიც უნდა მიუათვალათ და ამიერიდან ას ოცდაცამეტ ჰა-
ნელსულ ბავშვზე ვილაპარაკოთ. ისინი 1284 წლის 26 ივნისს თხემის მთის წი-
ალში გაჰქრნენ და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

ჩემს საშობაო ვირთაგვას, რომელიც გალიიდან გამოდის თხრობის დროს და
ჰაერს ყნოსავს, ვუბნები: ისე კი, კაცმა რომ თქვას, თუ ძალსკათის წინარე
ცხოვრებას თვალს გადავაავლებთ და ხელოვნებათმცოდნეებს არ დაუუჯერებთ,
მაშინ მივხვდებით, რომ სწორედ ამ დროს არის ღვთისმშობლის ტაძარი მოხა-
ტული და არა მარტო ეკლესიის ნაჳი და ქორედი, არამედ სარკმელთა ღიობე-
ბიც და თაღებიც. ამ დროს შეიქმნა სარკმელთა მხიარული იგავ-არაკების სიუ-
ჟეტები, — მაგალითად ვირი და ქათამი — ვირი ნემსში უყრის ძაფს, ხოლო
ქათამი კვერცხებს აზის, რომლებიდანაც, ცხადია, ბორბოტება გამოიჩეკება —
ვხედავთ, როგორ თამაშობენ კიბოები ჭადრაკს, ბერი მელა თხასა და ცხვარს
სახარებას უკითხავს. რატომ ზის სართავ ჯარასთან ბუყაითი ირემი? ფრთა-
გამლილ ჩიტებს სარკმელთა ზედა ხვეულებში და თაღების კამარებში დაუდევო-
ბინა. ალბათ მტრედები თუა. ერთ-ერთი სარკმლის ღიობში რელიეფურად გა-
მოსახული ქალწულის თავზემთ იმავე სიდიდის მრგვალი რელიეფი მოჩანს.
ზედ გამოსახულია გრძელი და სლიპინაკუდიანი ცხოველი, მამაკაცის წვერიანი
თავი რომ ადგას. ამით ერთმნიშვნელოვნად მტკიცდება, რომ ჰამელსში მონ-
ხდარმა ამბებმა ლიუბეკელ ოსტატთა შემოქმედებაზეც მოახდინეს გავლენა.
ასეა თუ ისე, აგურის გოტიკისეული ღვთისმშობლის მთავარი ტაძრის კედლის
მხატვრობაში ის საზარელი დროა ასახული. ექვსას ოთხმოცი წლის შემდეგ,
როდესაც ვილაც მხატვარი კიდევ ერთხელ აუიდა ხარაჩოებზე, მას საოცრება-
ნი და წინასწარმეტყველებანი, წმინდა ვიტის ცეკვა, სიკვდილის როკვა და უკ-
ვე წინასწარ განჩინებული ყველა განსაცდელი გახსენებია. ამბობენ, სულ ცო-
ტა ხანში ვირთხებს შავი ჭირი გაუერცელებიათ, რომელსაც თან მოჰყოლია
სიკვდილი და რომელსაც ადამიანები ძრწოლვით ელოდნენ.

ლოთარ ძალსკათის აღძრული ყალბი ფრესკების პროცესი ლიუბეკში ორ წელ-
ზე მეტ ხანს გრძელდებოდა და საზოგადოების მხარდაჭერას მხოლოდ მაშინ იმ-
სახურებდა, როდესაც სასამართლოზე სიტყვით ბრალდებული, აღმოსავლეთ-
პრუსიელი ძალსკათა გამოდიოდა. თლინდ შუამდგომლობას ლიუბეკის სასამართ-
ლოს წინაშე შედეგი არ გამოუღია, რაშიც დავრწმუნდი, როდესაც ბრალდების
ტექსტსა და სასამართლოს სხდომების ოქმებს გადავხედე. და თუმცა ძალსკათს
ორი წელი, მის დამკვეთ ფეის კი წელიწადნახევარი ციხე მიუსაჯეს, მაგრამ
ნამდვილ, მსხვილმასშტაბიან ყალბისმქნელებს მართლმსაჯულება არ შეხებია,

მათ პატიოსნებაში ეჭვი არაყის შეუტანია. ისინი დღემდე ისევე ტყუიან, მლიქვნელობენ, სიყალბეს თესავენ და თავი წმინდანებად მთაქვთ. სახელმწიფო მოღვაწეთა სიყალბენი არასოდეს განუხილავთ სასამართლო პროცესზე, ისინი დაუსჯელად გადარჩნენ. და როდესაც ეს მიხრწნილი ბებრები მოიცვალნენ, ერთი — ზარზეიმით დაასაფლავეს, მეორე კი თითქმის ყველასაგან მიუიწყებულს მიაბარეს მიწას.

ამიტომ ორმოცდაათი წლების თაღლითობას, შემოკლებით რომ გფრ-სა და გდრ-ს ვუწოდებთ, დღესაც სინამდვილედ აღვიქვამთ. მალსკათის ნამუშევრებას დიდი ნაწილი კა—ანუ ის ოცდაერთი წმინდანი, რომლებიც მხოლოდ მის საკუთრებას წარმოადგენდა, ორმოცდათხუთმეტ წელს გულმოდგინედ ჩამორეცხეს, ჩამორეცხილი ადგილების გაოეთრებაზე (პროტესტანტული წესით) დროზე არ იზრუნეს. ამდენად დღესაც ღაღადებენ ჭუჭყიანი და გათხაპნილი ლაქები, თუ როგორ იავარქმნეს მალსკათის შემოქმედება. ოპ, ნეტამც მისი წმინდანებისთვის მაინც არ ეხლოთ ხელი, ბოლოს და ბოლოს ხომ თვითონ გამოამზურა ნაყალბევი, არაყის არასდროს რომ არ უღიარებია. ეს ხომ ფარდას ახდიდა სახელმწიფოთა დამაარსებლების ბნელ საქმეებს!

ჰოდა, მალსკათი, ეინაც აღიარა და მოინანია დანაშაული, ციხეში ჩასვეს. ორ დიდ აფერისტს კი ხელს არაყიან უშლიდა და ისინიც არხეინად განაგრძობდნენ თავიანთ უკეთურ თამაშს. სახელმწიფო სახელმწიფოს წინააღმდეგ, ტყუილი ტყუილის წილ, ყალბი ფული ყალბი მონეტების წილ. და ვიდრე მალსკათის გოტიკურ ფრესკებს ნაჩქარევად ანადგურებდნენ — დივიზიებს, ისევ და ისევ გერმანულ ჯარისკაცებს ერთმანეთის წინააღმდეგ ტყვიების ქარცეცხლში გზავნიდნენ. რაიც იმ ბებრებმა გვიანდერძეს, დღემდე გრძელდება. საჭიროა სულ უფრო და უფრო მეტ ჯარისკაცს გაუჩნდეს სულ უფრო და უფრო ზუსტი და მტკიცე მისწრაფება ერთმანეთის განადგურებისა. არა, ვირთაგვავ, აღარ გვინდა ახალი ამბები, უკეთუ წარსული საშინელებებისა და დანაშაულის ექოს შემთხვევითი ლაყბობანი ახშობს? პროგრამები ერთმანეთში ირევა. შეუძლებელია კიდევ რამე გამძიმებდეს და გტკიოდეს. მხოლოდ ბუნდოვნად გვახსენდება, რაღაც რომ იყო, რაღაც მართლა იყო, რაღაც ხდებოდა... ხომ დარჩა რაღაც ნაკვალევი.

როდესაც ლიუბეკის ეკლესიის ეპარქიის ბრძანებით ოცდაერთი წმინდანი უფრო გათხიპნეს, ვინემ მორეცხეს, მთავარ ფრესკებთან ერთად მრავალი წვრილმანიც გაქრა, მალსკათს რომ საკუთარი გუნება-განწყობით, ზოგანაც გოტიკის ხანისადმი ერთგულებას გამო ორნამენტებითა თუ ჩუქურთმებით გამოეკვეთა, აქა-იქ კი სახელდაწელოდ სურათებიც მიეხატა ან შებათქაშებულ კედელზე ამოეკაწრა. ეს ყველაფერი იმ დროს ხდებოდა, როდესაც სამხედრო ბლოკება ერთმანეთთან პაქტებს დებდნენ.

ერთ-ერთი წმინდანის წვეტიანი ფეხსაცმლის გვერდით რუკაა გამოსახული. რუკაზე „რუგიად“ წოდებულ კუნძულ რიუგენსა და პენეს შესართავს შორის ამოკაწრულია „ეინეტა“, დაღუპული ქალაქის სახელი. ერთ-ერთ სვეტს ამშვენებს მინიატურა, რომელზედაც სამი კაცუნაა გამოსახული. მათ ცხოველის გრძელდრუნჩა თავები ადგათ და საღამურზე უკრავენ. მინიატურა კაპიტელის ხვეულებსა და ჩუქურთმებს ისე ორგანულად ერწყმის, შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს კაცმა, იქვე ბათქაშზე ამოკაწრული რომ არ იყოს: „ეს მოხდა წმ. იოანესა და პავლეს დღეს ჰამელნში“.

მკვეთრად მოჩანს სამი ბიჭუნა, საღამურს რომ უკრავენ. ტერცეტი დედაშობილა ზის. სრულებითაც არ მეუხერხულება მათ თავებს ვირთხის თავები ვუწო-

დო. მაგრამ ეს ყველაფერი ძალზე გვიან აღმოვიჩინე. ისიც უნდა ვაღიარო, რომ ეს ეფექტი ნაწილობრივ შუქ-ჩრდილთა თამაშზეა დაშოკიდებული. ამდენად ეს ლიუბეკის სასამართლო პროცესზე ფრესკების ფალსიფიკატორის კიდევ ერთ მამხილებელ საბუთად არ გამოდგებოდა. მით უფრო, რომ მალსკატის განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა და სასჯელიც ფრიად ხალისიან გუნებაზე მოხდილი. რამდენიმე თვე აპატიეს კიდევაც. უამრავ წერილს იღებდა, თანდათან ხანაში მისი დიდება ბრწყინავდა. ბლოკნოტი და ფერადი ცარცი ციხის საკანში თან ჰქონდა, ოღონდაც მხოლოდ უმნიშვნელო მოტივებიღა გადაჰქონდა ქალაქდზე. წარსულის საშინელებანი აღარასოდეს გამოუსახავს. აღარც გოტიკურ ელფერი დაჰკრავდა მის ნამუშევრებს. ამასობაში ყველაფერი ვადაგასულობის გამო მოძველდა კიდევაც.

დედალი ვირთაგვა მეუბნება ან იქნებ ილუზიას მიქმნის, თითქოს მე მესიზმრებოდეს იგი და სურს ეს უღარდელად ძჯეროდეს?! ამიტომ ლაპარაკობს ამას დედალი ვირთაგვა, ამიტომ სურს ჩემი ჩაჩუმება.

ნუთუ მხოლოდ კოსმიურ ხომალდშია ჩემი ადგილი? ნუთუ გაუთავებელივ ამ ორბიტაზე უნდა ვიტრიალო? უკვე ელიფსები მესიზმრება და მცირე გადახრებს ვნატრობ, უბრალოდ გამოსვლა მინდა, თითქოს დაბმული არ ვიყო.

დედალი ვირთაგვა ობსერვატორიის გუმბათზე ჩამოსკუპულა. ქუნა, რომელზედაც ობსერვატორია მდებარეობს, სხვათა შორის მოტლაუსაკენ მიემართება. იგი მეუბნება: ამ ძველი შენობიდან, რომელშიაც ჯერ კიდევ ასტრონომი იოჰანეს ჰეველიუსი დიდ ტელესკოპთან იჯდა და მთვარის ფაზებს აკვირდებოდა. შეგვიძლია გარშემო ყველაფერს თვალყური ვადევნოთო. მერე წარსულს მიამერო მზერა და თქვა: ადრევე უნდა გავვენადგურებინა! სულ ძალე გვიან იქნება ყველაფერი!

ვხელაუდი, რას იგონებდა ვირთაგვა: დიახ, დიახ, დიდი ზათქის შემდეგ ჩვენ, ვირთხათა მოდგმა, გაერთიანებულნი, მუშტად შეკრულნი ვიყავით, კარგად გვესმოდა თავის გადარჩენა იყო მთავარი! მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს მიდამო ვოტსონკრიკებმა დაიპყრეს, გაუთავებელივ ვკინკლაობთ. ჩვენს ლოცვებსაც წმ. მარიამის ეკლესიაში აღარ წარმოვთქვამდით, რის გამოც შენ, ჩვენს საყვარელ მეგობარს გეგონა, რომ ჩვენ, ვირთხები, კათოლიკური ღვთისმოსაობით გამოვირჩეოდით. ისევ და ისევ გვირევდა თავგზას საკუროთხევლის წინ და უკან ნაქადაგები, სვეტებსა და გუმბათებზე აყვანილი პროტესტანტიზმი, ჰუმანთა ეს კინკლაობა. მხოლოდ ჩვენი გზაა სწორი, — გვესმოდა ამგვარი ყოყონური განცხადებები, ვითომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ფლობდეს ვინმე, გვიყენებდნენ ამ ზედმეტად ადამიანურ ალტერნატივას. გავითიშეთ და ერთმანეთს მტრად მოვეკიდეთ. ერთნი მოითხოვდნენ: ძირს მანიპულირებულნი! მოვსპაოთ, დღესვე ამოვხოცოთო! მეორენი საწინააღმდეგოს გაიძახოდნენ: ჯერ არა, მოვიცადოთ, აჩქარება არ ივარგებსო!

ვირთაგვა წუწუნებს: ჩვენ ყველანი კი ადამიანთა მოდგმის დაბრუნებას ველოდებოდით ერთსულლოვნად, სულერთია რა სახით მოგვევლინებოდა იგი. მართალია, მოხერხებულად დავიძვრინეთ თავი, არ გვემოდა, დემოგრაფიული პრობლემები არ გვექონდა. მაგრამ ადამიანები მაინც გვაკლდა! და როდესაც ჩვენს ლოცვებს იმ გადაბეხრეკებულ სიფრიფანა და გალეულ ქალს აღუვლენდით, ვის ფეხებშიაც ის დაჩამიჩებული ბიჭია მიმჯდარი, ამას ყოველთვის ერთი მიზეზი ჰქონდა — ადამიანის დაბრუნებას ენატრობდით. ეს ნატვრა ღვთისადმი კრძალვას გვინერგავდა. ჩვენს ლოცვებში თვით თეთრ-ლურჯა ჯუჯებსაც ვახსენებდით. დახმარებას ვთხოვდით, ვთხოვდით ესწავლებინათ ჩვენთვის ხენა-თესვა. ჩვენი გალობა

შენ, ბატონო ჩემო, გრიგორიანულს რომ მიამსგავსე, მხოლოდ მას, მხსნელს უხმობდა. ვევედრებოდი ადამიანო და ჩვენი უაღამიანო მარტოობისთვის ბოლო მოეღო. თუმცა პო, მართალი ხარ, თქვა ვირთაგვამ, სრულიად მარტონიც არ ვიყავით. ნელ-ნელა სხვა ცხოველებიც მოიზარდნენ. ზოგზე უბრალოდ გული გვერეოდა, ასეთები იყვნენ, მაგალითად, ნეხვის ბუხები, ვნადარობდით მტრელებზე, ბელურებზე, მინდვრის თაგვებზე. და ეს ჩვენი სასოფლოუსამეურნეო ნადავლი გახლდათ. ოღონდაც ბუნებას ადამიანის მსგავსი მაინც არაფერი უყურებია. და მერე, როდესაც ისინი გამოჩნდნენ, ბატონო ჩემო, რა გულის კანკალით ველოდიოთ გემს! მისი მოახლოება გვესიზმრებოდა... მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. არა! ასეთი სახით არა! ჩვენი პირველი განცდა იყო აღშფოთება. ასეთი რამ ჩვენ არც გვინატრია! ესენი ხომ მიუხედავად ლურჯი თვალებისა არიან და არც არიან. ეს სასაცილო, საზარელი ნაჯვარია, სხვათა შორის ღორული ელემენტიც რომ ურევია, სრულიად არ შეეფერება ჩვენს წარმოდგენას ადამიანზე, ადამიანის ხატზე, ჩვენს გულებში რომ ასე სათუთად ვუფრთხილდებოდით, იგი აკნინებს და ამახინჯებს მას. მათთვის, ამ ბუნების შეცდომისათვის გადარჩენა არც კი ღირდა. აი შენ, მაგალითად, შენს კოსმოსურ ხომალდში რომ გზედავით ან გვესიზმრები, ჩვენითვის სათაყვანებელი და მისაბაძი არსება ხარ.

დავუშვათ, — ამბობს ობსერვატორიის გუმბათზე მოკალათებული ვირთაგვა, — სხვათა შორის აქედან საწყობთა კუნძული ხელისგულივით ჩანს, — დავუშვათ, რომ ჩვენმა პარტიამ ნაადრევად წამოიძახა: გავანადგუროთ! ამოვხოცოთო! კი ბატონო, ვთქვათ, ჩვენ რადიკალები ვართ და ნაადრევად და ერთსულოვნად შევეცადეთ ჭეშმარიტი გამოცდილება საყოველთაო განადგურების სურვილად გვექცია, მაგრამ მოწინააღმდეგეებმაც ხომ არ დააყოვნეს! მათმა პარტიამ მყისვე აღიმალა ხმა: მოვიცადოთ, თუაფი ვალეუნოთ, მათი ჩვევებიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ და სუსტი მხარეები მოუუძებნოთ! ზოგიერთები იმედს არ კარგავდნენ და ფილასოფოსობდნენ: ხომ შეიძლება ისევე აუსვან აქედანო? იქნებ შთამომავლობა ამოუწყდეთო? შესაძლოა დაპროგრამების დროს რაღაცა შეეშალათ და მხოლოდ ამიტომ ჰგვანან ადამიანებსო?

ასე რომ ჯერჯერობით ვუთვალთვალვით, დასავლეთით, საწყობთა კუნძულის პირდაპირ, აქ, ძველ ობსერვატორიაში ვსხედვართ, აღმოსავლეთ ხანაპიროდან, ეგრეთ წოდებული რძის ქეაბის სათოფურებიდან ვაკვირდებით. გადის კვირები, თვეები, მაგრამ არაფერი არ ხდება. არც უკან გაბრუნებას აპირებენ, არც გაჭირვება აღგას, პირიქით, ხომ ხედავ, როგორ მრავლდებიან! ჩვენ კი სულ მეტი და მეტი გააფორებით ვებრძვით ერთმანეთს. უკვე ვიყოფთ ერთმანეთში ჭარხლის, სიმინდის და მხესუმშირას ნაკვეთებს. არამცთუ ქალაქად, სოფლადაც გაემიჯნა ერთმანეთს ჩვენი პარტიები. სათეს მარცვლეულს ვერ ვიყოფთ, ამიტომ ქერისა და ოსპის მოსავალი მცირდება, ორივე პარტია ცალ-ცალკე ვინახავთ ხორავს. მონაცვლეობით ვიკრიბებით წმ. მარიამის ეკლესიაში.

ამ ცოტა ხნის წინ გადავწყვიტეთ, რომ მეპურეთა და თერძთა ქუჩის მარცხენა მხარეს, მოტლაუსაკენ მიმავალ ქუჩებში ვიცხოვროთ, ხოლო მშვიდობის მოყვარულთა ტერიტორია მარჯვენა მხარეს იქნება. გარეუბნის თხრილამდე. იმედოვანი ყბედობას ვერ ანებებენ თავს: დროთა განმავლობაში მათთან კონტაქტი დამყარდება. თუკი დავაკმაყოფილებთ, ადამიანი-ვირთხა შეგვეგუება. ბოლოს და ბოლოს ჩვენზე იქნებიან დამოკიდებულნი. ჩვენ ხომ უკვე წლების მანძილზე ვინახავთ მოსავლის მარავს, არ ვხმარობთ, პოდა, მოდით მივცეთ, რამდენიც დასჭირდებათ! რაც ვნებავთ ის დავარქვათ ამას, ვინდა ხარკი, ვინდა გადასახადი, ვინდა ბეგარა, სულერათა. ყოველ შემთხვევაში ნუ ვაშიმშილებთ, ხომ იცით,

შიმშილი აგრესიულებს გახდით მათ. ჩვენ, ვირთხებმა თუ არა, აბა მაშინ ვინ იცის, რა არის შიმშილი?

ვირთავვამ მწარედ ჩაიციხა, თითქოსდა ათასწლოვანი გამოცდილებით ყოფილიყო დამძიმებული, და განავრძო: აბა ერთი ყური დაუგდე, ჩემო ბატონო, ეს შენ-რიგებლები და მშვიდობის მაძიებლები, როგორც ყოველთვის, ერთხანად ლაპარაკობენ! თან ჭკუასაც რომ გვასწავლიან! ჩვენ მათთან არაფერი გვაქვს საერთო, ჩვენ ყველაფერს ძალიან ნათლად ვხედავთ. ცოტა ხანში კიდევ უფრო მეტს მოინდომებენ. ბოლოს იქამდე მივა საქმე, ისინი გაგვინაწილებენ, რაც მორჩებათ. ტალონებს დაგვირიგებენ. მათ სიხარბეს და გაუმაძღრობას ჩვენ რას გაუძლებთ: ეს ხომ ადამიანური თვისებაა მანიპულირებულებში. მორჩა, დავხიცოთ! ვამბობთ ჩვენ, მაგრამ იმის მაგივრად საქმეზე გადავიდეთ, ისევ ჩვენ-იანებსვე ვებრძვიტ. ამ ცოტა ხნის წინ რამდენიმე ადგილას, ფეიქართა ქუჩაზე, კოშკის გარშემო და არსენალის უკან ხალხმრავალი (უკაცრაყად, ვირთხამრავალი) შეტაკებები მოხდა. სოფლად ჯერჯერობით მხოლოდ მცირედი კონფლიქტებია.

და მე ვხედავდი, როგორ გლეჯდნენ ერთმანეთს სიკვდილის პირამდე. ერთმანეთს ვირთხის ბასრი კბილებით აფრინდებოდნენ, სადაც უთანხმოება ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. ჩემი დედალი ვირთავვა ყველგან დამატარებდა. ვირთხები საწყობთა კუნძულს ახლოს არ ეკარებოდნენ, არ უნდოდათ მანიპულირებულებს გაეგოთ, რომ მათ შორის შუღლი ჩამოვარდა. ქალაქის ცენტრში კი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოქმედებენ. ერთხელ ვირთხების ჯგუფს არსენალიდან (რომელიც ახლა, ისევე როგორც მის გვერდით თეატრის შენობა, საწყობადაა გადაკეთებული) სიმინდის ტაროები და მზესუმზირას გამოუჩურჩავი თავები მოჰქონდათ, რათა ეს მეათედი ფეიქართა გრძელი ქუჩისა და მწვანე ხიდის გავლით საწყობთა კუნძულის ხიდებთან მიეტანათ და იქ დაეწყათ. მაგრამ ამ ჯგუფს თავს დაესხა და ორთაბრძოლა გაუმართა თერძთა ქუჩიდან გამოსულმა ვირთხების ურდომ. მშვიდობის მაძიებელთა კოლონამ ბრძოლით, დიდი დანაკარგებით გაიარა გზა ხილამდე. ათიდან ერთმა ძლივს მიაღწია მიზანს. მანიპულირებულთა რაციონიც შესაბამისად შემცირდა.

შეკმახე: ეს ხომ მცირედი ხარკია-მეთქი.

დედალი ვირთავვა: ესეც ხელმეტია მაგათოვის!

მე: ასეა თუ ისე, გაჭირვებული არიან!

ახია მაგათზე, — წამოიძახა მან, — არაფრის მაქნისები არიან, ჭამენ და მრავლდებიან, მრავლდებიან და ჭამენ, მუქთახორები!

საწყობების კუნძული გადაჭედილი იყო. თუმცა უბრძოლველად დაიბყრეს დაბის მიმართულებით მიმდებარე კუნძული კილის არხსა და მოტლაუს შუა, გაფართოვდნენ, ყოფილი საქაჩი სადგურის ტერიტორიაზე და ტყვიაწამლის საწყობებშიც დაიდეს ბინა, მაინც ვიწროდ არიან, ყოველი ფანჯრიდან ყრმა თუ ზრდასრული ვოტსონკრიკები მოჩანან. ხალხმრავლობა ნაკსადგურსა და „ხმინელნაზე“, როგორც პოლონელები სვიის ქუჩას ეძახდნენ. ჭედვას ხიდებზე, განსაკუთრებით ლენინგრადსკას ფართო ხიდზე, რომელიც წინათ ქალაქის მარჯვენა ნაწილის საზღვარს წარმოადგენდა. ყველგან ეს გამხდარი, გაძვალტყვივებული ვოტსონკრიკები დალაშლაშებდნენ. მათი სკანდინავიური სიმშვიდე თუ შვედურ-სოციალ-დემოკრატიული ფლეგმატურობა ახლა ყოვლისმომცველ დაუდგრომლობას და მოქმედების დაუოკებელ ეინს შეეცვალა. მათი ჩახლეჩილა, მაგრამ აქამდე სასიამოვნო სასისმიერი ხმა ახლა კაპასად გაისმოდა და ირგვლივ მხოლოდ მათ მუქარას და წყევლას გაივონებდით.

და დავინახეთ მე და ვირთავვამ, როგორ დაირაზმნენ ისინი. არა, არ შეიარაღებულან, სარდაფების სარკმლებიდან რკინის ვისოსები არ მოუგლეჯიათ, შეუიარაღებლად დაირაზმნენ. სოლისებრი დამკვრელი რაზმი აჩქარებულნი მწყობრი ნაბიჯით გადმოვიდა ხიდზე, ვაიარა მწვანე კარიბჭე და ბაზრის მიუღწეველად შეიჭრა. ამ რაზმს უკან კოლონები მოჰყვანენ: ქერათმიან, ცისფერთვალება ვირთხებს ხევით აუღერათ თავები, თითქოს ეშინოდათ თვალი გვერდზე სან გავიქცეო, თითქოს ამქვეყნად მხოლოდ ერთ სურვილს შეეპყროთ, ვრ დაცალკევებულიყვნენ. ცხადია, ყველანი თანასწორუფლებიანები იყვნენ. მღედრმა და მამრმა ვოტსონკრიკებმა დაიპყრეს ტერიტორია გრძელი ბაზრიდან საყასბოს ქუჩამდე. მათ წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. დიდგვაროვანთა ფრონტონებიანი სახლების შესასვლელებში ორივე სქესის დარაჯები დააყენეს. თითქოს მათ არც ეხებათო, ვირთხებს აღნიშნული სახლებიდან გაქცევაში ხელს არ უშლიდნენ და არ სდევნიდნენ. ისევე როგორც არ სდევნიდნენ მათ ართურის სასახლიდან გაქცევისას, რომელსაც სიმინდის შესანახად იყენებდნენ. მათთვის არც მაღალკოშკებიანი რატუშიდან გაქცევაში შეუშლიათ ხელი, მარცვლეულის საწყობად რომ აქციეს. რატუშის სარდაფებში მხესუმზირასი და შაქრის ჭარხლის მარაგი ინახებოდა.

უფრო წინ აღარ წაუწევიათ. იქვე, რატუშის ლომებით შემკულ შესასვლელთან, სადაც კიბეებს ლანგასკუზე გავყავართ, ქუჩა ბეტონის ქოთნებით გადახერგეს. პუმანთა ხანაში ამ ქოთნებს ყვავილებისთვის ხმარობდნენ, როდესაც ქალაქის ცენტრი მხოლოდ ფეხით მოსიარულეებს ეკუთვნოდათ. ცხადია, გარდა ამისა შარდითა და განავლითაც აღნიშნეს ახალი საზღვრები.

მერე სიჩუმე ჩამოდგა, ყველაფერი მიწყნარდა. ისევ თავიანთ თავში ჩაიკეტნენ ნელ-ნელა, მერე მშვიდად და ჩრდილოელებისთვის ჩვეული საზრიანობით ჯგუფ-ჯგუფად შეგროვდნენ ნუბტუნის შადრევნის გარშემო. ეტყობა, აპირებდნენ შადრევანი ისევ აემოქმედებინათ, რათა დაკუნთული შიშველი ბრინჯაოს მამაკაცა, რომელსაც სამკბილი ეჭირა ხელში, კვლავაც წყლის ჭაულში გახვეულიყო. ზოგიერთი მათგანი სულელურად ბაძავდა და ანსახიერებდა ზღვის ღმერთს.

ყური მიგდე, — თქვა, დედალმა ვირთავვამ, — ყვენი დიდხანს ვერ განერღებთან წყნარად, ესეც არ ეყოფათ. ცოტა ხნით, სანამ ახალი თაობა წამოიჩიტება, თავს დაგვანებებენ. მერე კი ჯერ ლანგასკეს დაიპყრობენ კარიბჭემდე, ხოლო შემდეგ იპოდრომისა და მჭედლების ქუჩის შუა მდებარე უბანს. გარეუბნები შეიძლება ჩვენ დაგვიტოვონ. მაგრამ წმინდა მარიამის ეკლესიის ტერიტორიას, ქალაქის მარჯვენა ნაწილს ძველი ქალაქის თხრილამდე, მთლიანად წაგვართმევენ. ჩვენ მხოლოდ „სტარე მიასტო“ დაგვრჩება, როგორც პოლონელები წმ. ეკატერინეს ეკლესიის მიმდებარე უბნებს უწოდებენ. იქ ან ბაყაყების წუმბეში და ყასბების ქუჩის შუა უნდა შევიყუეთო, ან ქვემო ქალაქში, რომელიც ისედაც გალაჭედ ილია, სანამ ამ უბნების დაცლასაც არ მოგვთხოვენ. მერე, ვინდა დავნიძლავდეთ, ვირთხებს ქალაქში ცხვირსაც არ შეგვაყოფინებენ, ვაიხსელის დაბლობებიდან კაშუბების მთებამდე ზედამხედველის მათრახის ქვეშ წელში გაწყვეტამდე გვამუშავენ, რათა ვოტსონკრიკებს საჭმელ-სასმელი არ მოაკლდეთ!

როდესაც საწყობთა კუნძულსა და გრძელ ბაზარს შორის გაჩაღებულ მიმოსვლას უხმოდ ვაკვირდებოდი, უნდა ვითხრა, ფარული სიამოვნების გრძნობით ეუყურებდი, თუ როგორ გადადიოდნენ დიდი ოჯახები რკინის საწყობებიდან დიდგვაროვანთა ფრონტონებიან სახლებში. მიათრევდნენ მაგილებისა და სკამების მსგავს ავეჯს, თქვა დედალმა ვირთავვამ ისეთი რიხით, თითქოს სხვა რამეზე

უნდაო ჩემი ყურადღების გადატანა, რათა მანიპულირებულთა სხვა ადამიანური თვისებები აღარ შემეძინია და ვირთაგვამ ხმამაღლა განაგრძო: სხვათა შორის ჩვენ ისევ ვმოგზაურობთ. ისევ ჩამოვიდნენ რუსეთიდან, სულ ახლახან გვეწვივნენ პირველი იმიგრანტები ინდოეთიდან. საინტერესო ამბები ჩამოაქვთ. მართალია, კიევი და ოლესა ქალაქების სახით აღარ არსებობს, მაგრამ იქაც გამოჩენილან ადამიან-ვირობები. ზოგი ფეხით, ზოგი გემით ჩასსულდა. იგივეს ვკატყობინებენ ინდოეთიდანაც, ამ ახალი ამბებიდან ნახევარიც რომ მართალი იყოს, მაშინაც არასწორი იქნებოდა მათი არად ჩაგდება. ახლა ყოველ შემთხვევაში ის მაინც ვიცით, სხვაგან რა ხდება. ინდოელი მანიპულირებულები თურმე ჩვენებს ჰგვანან, ოღონდ დამატებით ფრთებიც ჰქონიათ, ჰი, ფრთები, — როგორც ანგელოზებს. რუსებზე ამბობენ, ოთხი ძუძუ აქვთო და ჩვენს შვედებზე უფრო სწრაფად მრავლდებიანო. — ეჰ, თქვა დედალმა ვირთაგვამ, — ეგენი თავიდანვე უნდა ამოგვექუჟა! ისევე, როგორც რუსი ვოტსონკრიკები ამოწყვიტეს, როგორც კი ნაპირს მიაღწენ. ისინი თურმე ქართული წარმოშობისა ყოფილან. ქალაქ ოლესის ნანგრევებში ამოუწყვეტიათ ყველანი. კიევში კი მათ ფეხი მაგრად მოუკიდებიათ და გაძლიერებულან. თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ იქ აშშ-ს ნაწარმნიც ყოფილან, რომლებიც ჰუმანთა ხანის ბოლოს ჩუმად შეუპარებიათ სახელმწიფოში ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის. საკმაოდ დიდები ყოფილან და მათ შორის შავებიც ურევიათ თურმე.

ყველაფერ ამას ჩვენი ბატონი მაცერათი სიამოვნებით აქცევდა ვიდუოფილმად. ამდენად არ არის გამორიცხული, რომ ახლი მომავალში მის ფირმას მზად ექნება წინასწარგადაღებული ვირთხა-ადამიანთა თავგადასავალი, მათი საოცარი გადარჩენისა და შემდგომი ყოფის ამსახველი ვიდუოკასეტა. ისევე, როგორც, ოსკარმა ბებიამისის, ანა კოლიაჩეკის დაბადების დღეს უმცირესი კაშუბური წვრილმანიც კი იწინასწარმეტყველა, ფირმა „პოსტ ფუტურუმის“ დახმარებით კასეტაზე გადაიღო და ბებიამისის დაბადების დღეზე სტუმრებს, დასასრულის გარდა, ყველაფერი აჩვენა.

იცის, თუ როგორ უნდა სწვდეს კულში მერმისს. ნამდვილი გურმანივით გრძნობს, თუ როგორ უნდა გაუხიხჯოს მომავალს გემო. დღის სინათლეზე გამოტანილ ამბებს, რომლებზედაც შლოხი ლაპარაკობს, ის ფილმად აქცევს. ჩვენს ბატონ მაცერათს ისტორიის საკუთრებად სურს აქციოს არა მარტო საკუთარი თავი და თვისი საკმაოდ კარგად შენიღბული ორჭოფულობა, არამედ ყველაფერი — რაც ხდებოდა, ხდება და რაც მოხდება. მასვე სწადია განსაზღვროს, რა წვლილი შეიტანეს ვირთხა-ადამიანებმა პოსტჰუმანური ისტორიის განვითარებაში. როგორც წინასწარ განაცხადა, ვიდუოფილში დიდი ტირაჟით გაიყიდება და ბაზრის მოთხოვნილებას არაითუ დააკმაყოფილებს, გადაფარავს კიდევაც. ამ ფილმში „ახალი ილზებელი“ მხოლოდ ჰელას ნახევარკურძულს როდი შემოუვლის, რათა დანციგის ნავსადგურს მიაღგეს, არამედ გემის ჯაროსაც უნდა დაელოდოს, რათა გუთებმა, ათას ხუთასი წლის წინათ უცებ რომ აიყარნენ და გზას დაადგნენ, შესძლონ მოზაურობის დაწყება. ჩვენი ბატონი მაცერათი აპირებს გუთების გზას ვაიხსელის შესართავიდან შავ ზღვამდე გაჰყვეს. შემდეგ ესპანეთსა და იტალიურ ჩექმასაც მოინახულებს მათთან ერთად. და კვლავაც ვირთხები ალაგვებენ მომთაბარე ბანაკებს, ვირთხები მონაწილეობენ სხვადასხვა ბრძოლებში.

1630 წლის 25 ივნისს თვით შუკედი მეფის, „შუადამის ლომად“ წოდებული გუსტავ ადოლფის ხმელეთზე გადმოსვლამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ვოტსონკრიკების გამოსვლის მზადებას. ჩვენი ბატონი მაცერათი ისევ და ისევ ბატალურ

სცენებსა და უზარმაზარ პეიზაჟებს ქმნის. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს თავისი ყოფილი ჯუჯური და ახლანდელი კუჩიანი არსებობის წაშლა და დაეწყება სურს. იგი ვრცელ ეპიკურ თხრობას ანიჭებს უბირატესობას, მოკლე სხარტი სტილი არ მოსწონს. ამიტომ შვედეთის მეფის უზოდომის კუნძულზე გადასვლას — ეის მოთვლის, რაზდენი ხომალდი და აფრა ხანს კადრში — დიდოსტატ დიობლიონის რომანიდან „ვალენშტაინი“ ამოღებულ წინადადებას კასკადით უკეთებს კომენტარს.

ვიდეოფილმი ორი მიმართულებით ვითარდება. ერთი მხრივ ისტორიიდან ამოღლებილ ეპიზოდებს წარმოგვიდგენს, მეორე მხრივ კი მოძაველს პარავს თამამ პროექტებს. თქმა რად უნდა, რომ გუსტავ ადოლფის ხომალდებზე ვირთხებიც ბრძანდებიან. ევროპის ბედ-იღბალს ჯერჯერობით შავი, ეგრეთ წოდებული სახლის ვირთხები განაგებენ და არა ნაცრისფერი მოგზაური ვირთხანი.

ცხადია, შვედი და ფინელი გლეხის ბიჭებთან ერთად ვირთხებიც გადადიან ნაპირზე, რათა ამიერიდან, იქნება ეს ნაორდლინგენთან, ლიუცენთან თუ ვიტბტოკთან, იქ, სადაც ომი გრძელდება, ყველგან ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

ათას ცხრაას ექვსში რუსი ადმირალი როჟდენსტვენსკის ბალტიის ფლოტი ლიბაუს ნავსადგურის მახლობლად ჩაუშვებს ლუხას და ჩვენც ვხედავთ, რა გამაღვბით გარბიან ვირთხები სახიფათო ესკადრიდან.

შეიძლება ეს დეტალები ზედმეტადაც კი მივიჩნიოთ, მაგრამ იმპრესარიოს არაფრას ამოღება არ სურს, რას იზამ? ასეთი კაცია, ისევ და ისევ რაღაცების წამატებას მოითხოვს. ვირთხებისაგან მიტოვებულ ჯაბახანა გემებზე რუსი მეზღვაურები თავიანთ სევდიან სიმღერებსაც კი იმღერებენ. მანიპულირებულები, ახლა უკვე კარგად შეიარაღებულები მიახლოებით თუ ზუსტად დადგენილი ისტორიული იარაღებით, ბოლოს და ბოლოს ნაპირზე გადმოდიან. ან იქნებ ჯერ არა? იქნებ სატიტულო ტიტრს სხვა ტიტრი უნდა მოსდევდეს? იქნებ ფილმის ისტორიული ფონი აკლია?

ჩვენმა ბატონმა მაცერათმა არამც და არამც არ მოინდომა დროის იმ მონიკვეთის შემოკლება, რომელშიც მან საკუთარი ეგზისტენციალური მარცხი განიცადა. ასე და ამრიგად ვხედავთ, როგორ იწვის ქალაქი დანციგი, ვხედავთ ლტოლვილთა კოლხონებს, მერე მათ მდინარეზე გადასვლას. გადატვირთულმა გემებმა მშვილობიანი მოსახლეობა, პარტიული პირმოთხეები, დაჭრილი თუ ჯერ კიდევ საღსალამათი ჯარისკაცები მოახლოებულ საბჭოთა ჯარებისაგან უნდა იხსნან და ბალტიის ზღვის დასავლეთ ნაპირთან მიიყვანონ. ჩვენ ვხედავთ, როგორ იძირება 1945 წლის 30 იანვარს შტოლპშუნდესგან 12 საზღვაო მილით დაცილებული „ვილჰელმ გუსტლოფი“. გემზე ხუთი ათას მგზავრზე მეტია, „შტოიბენი“ 10 თებერვალს იძირება, მასზე სამი ათას კაცამდია. „კაპ არკონამ“ სამი რეისი უკვე გააკეთა და ჩვიდმეტი ათასი ლტოლვილი გადაარჩინა. ამის შემდეგ იგი საკონცენტრაციო ბანაკის ნოიენგამეს დაახლოებით ხუთი ათას ტყვესთან ერთად შლეზვიგ-ჰოლშტაინის ნაპირებთან იღუპება. ბრიტანელი მფრინავები შეცდომით უშენენ მას ბომბებს. ეს მოხდა სამ მაისს, შუალედური ომის დამთავრებამდე ხუთი დღით ადრე. ამ ეპიზოდს, ცხადია, ვირთხებიც ხედავენ. არც ერთ მათგანს არ სურს „ვილჰელმ გუსტლოფს“ უკანასკნელ რეისში გაჰყვეს. „კაპ არკონაზე“ ასვლისას საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეები ხედავენ, როგორ პაიპარად ტოვებენ ვირთხები განწირულ ხომალდს.

მას არც ერთი კადრის ამოღება არ უნდა. ყველაფერს, უკანასკნელ ბორნებსა და სასეირნო კატერებზე მყოფ ვირთხებსა და ადამიანებსაც გვიჩვენებს ჩვენი ბატონი მაცერათი, სხვათა შორის „დორასაც“. მერე მოვლენების განვითარებას

წინ უსწრებს და უშუალოდ დიდი ხათქის წინ სამეცნიერო-კვლევითი გემის „ახალი ილზებილის“ წყალში ჩაშვების მოწმეები უხდებით.

ბოლოს და ბოლოს ფილმი ვისბის გენტიუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინ მდგომ ქალაქებს გვიჩვენებს. გვესმის ყვირილი, ვხედავთ, როგორ იმსხვრევა მინები. ვიდეოს გარეშე ხომ სიცოცხლე ვეფერწარმოვიდგენია. ჩვენ თვალწინ გალიები იხსნება, ჩვენც და განთავისუფლებულ ცხოველებსაც გვიხარია. თავადან ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს მხოლოდ ჩვეულებრივი ცხოველები გამოუშვეს ვალიებიდან, მაგრამ ძალე ვამჩნევთ, რომ მათ შორის კარგა ბლომად არიან ისეთებიც, რომლებზეც უკვე მთელი რიგი ცდება ჩატარებული. ადამიანი და ვირთხა, ვირთხა და ადამიანი გუნებითაა ერთმანეთთან მიჯაჭვული, ნამდვილი ვოტსონკრიკები, რომლებიც განთავისუფლებისთანავე ნავსადგურისაკენ გარბიან.

ჩვენი ბატონი მაცერათი საკმაოდ დაწვრილებით გვიჩვენებს თავის ფილმში, რომელსაც უბრალოდ „მანამდე და მას შემდეგ“ ჰქვია, თუ როგორ შერბიან ადამიან-ვირთხები ნავსადგურში. თითოეული მათგანი დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლისაა. ხედავენ შეიარაღებული მუსაზღვრეების ნავს, ხედავენ გასასეირნებელ კატერებს, მაგრამ ეპატარავენ და იწუნებენ. ბოლოს „ილზებელს“ ირჩევენ. ვხედავთ, როგორ იტაცებენ სურსათებს საწყობებიდან და გემბანზე აღიან. მერე გემის ფსკერზე ჩადიან, თვრამეტი თუ ცხრამეტი ვოტსონკრიკი ლიუკში ძვრება და ყოყილი სატყუროთო გემის რკინისა და ხის ფსკერს შორის პოულობენ თავშესაფარს.

ფილმში ვირთხა-ადამიანები ისე გამოიყურებიან, თითქოს ჩემი სიზმრიდან იყვნენ გამოსულები. როდესაც ხუთი ქალი გემზე ბრუნდება, ვგრძნობ, რომ კაპიტანი დამროკა ჩვენს ბატონ მაცერათისაც მოსწონს. ის ჩემს დამროკას ჰგავს და ფილმში დანარჩენი ქალებიც ნაცნობები არიან.

ვიდეოსტორია ამ წუთიდან სწრაფად და სწორხაზოვნად ვითარდება, „გუსტავ ადოლფის“ მარშრუტს ახლა „ახალი ილზებელი“ იმეორებს: გვხს უზედომისაკენ იღებს. რაც „გუსტავ ადოლფმა“ ვერ მოახერხა, სწორედ ის იზიდავს ქალებს, ის მათი მგზავრობის მიზანია. ვინეტას ღრმა წყლებში ღუზას უშვებენ და სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის გადიან. საბედნიეროდ, გდრ-ს პოლიციელები ვერა საეჭვოს ვერ ნახულობენ. ფილმში მშვენიერია ის სცენა, სადაც ქალები ირთვებიან, სამკაულებს იკეთებენ, გემბანზე დააბიჯებენ და თავიანთ საყვარელ როლებს თამაშობენ – მხოლოდ და მხოლოდ დედოფლების როლს. ცხადია, ჩვენს ბატონ მაცერათს აქ კვლავაც შეეძლო ისტორიული კადრების ჩვენება, იქნება მათი ჩართვა აუცილებელიც იყო, მაგრამ ისევე, როგორც მოლაპარაკე თევზის ეპიზოდს (სადაც თევზი დამროკასთან საუბრისას მოახლოებულად სასარულს გვაძენობს), მათაც ამოიღებს, მერე შედუზების მრავალხმიან სიმღერასაც წაშლის. რადგან, როგორც თვითონ ამბობს, „ყოველივე ირაციონალურის სასტიკი წინააღმდეგია“. ასევე ამოიღებს იგი დაღუპული ქალაქის, ქალების აღთქმული ქვეყნის ისტორიასაც, რათა მიხვეულ-მოხვეულების გარეშე მივიდეს ჰუმანთა ისტორიის დასასრულამდე.

შეიძლება ოსკარმა ჩათვალა, რომ მოლაპარაკე თევზი და მისი ხილები ხელს შეუშლიდა საკუთარ არსებობაზე გაუმახვილებინა ყურადღება. შეიძლება შედუზების სიმღერამ ძალზე მტკივნეულად მოაგონა თავისი ბავშვობისდროინდელი გამკივანი შეძახილი. შეიძლება ეს დაბალი ტანის, მაგრამ ერთობ ვაჟკაცური მამაკაცი ეჭვის თვალთ უცქეროდა ქალების სწრაფვას ძალაუფლებისადმი. ასე იყო თუ ისე, მან ეს ყველაფერი გამოტოვა, წაშალა, ამოავლო და უარყო. აკრძა-

ლა თავის ფილმში გადაჭარბებული ეფექტების გამოყენება და დიდი ზატქები ისე წარმოაჩინა, თითქოს ისინი მეხივით ჩამოვარდნილიყვნენ მოწყენილი ციდან.

ბედისწერასავით გარდაუვალია ეს ყველაფერი. არაუის უნდოდა, მაგრამ წინაც არაუის აღსდგომია. საკითხი იმის თაობაზე, ვინ არის დამნაშავე, არ წამოჭრილა. ცენტრალურ კომპიუტერებში მოქმედი ვირთხები არაა არაიან. ყველაფერი თავისით ხდება. ბოლო კადრებში ელვასა და კაშკაშა სინათლეს ვხედავთ. პენეპუნდესა თუ შტრალზუნდის თავზე და კაღვე უფრო შორს მოჩანს სხვა ფილმებიდან ჩვენთვის კარგად ნაცნობი რადიაციული სოკოები. ჩვენ შეგვეძლო ეს ყოველივე ბუნებრივ მოვლენად ჩაგვეთვალა, ამ ბოლო სცენებში ჩვენს ბატონ მაკერათს მთავარანგელოზის მჭექარე ხმით რომ არ ემცნო: „ასე მთავრდება ამბები, რაც დიდი ხნის წინ დაიწყო. ასე აღსრულდა ის, რასაც ადამიანები ერთმანეთს აღუთქვამდნენ. ამისათვის აღზარდა კაცობრიობამ საკუთარი თავი. ასე მთავრდება ის, რაც არასოდეს არ უნდა დაწყებულიყო. პოი, სალო აზრო! პოი, უკვდავებავ! ჩვენ არაფერი ჯერ არ დაგვიმთავრებია, მაგრამ ყველაფერი დამთავრდა!“

ნელ-ნელა ორთქლდებიან ქალები გემიდან ისე, რომ ვინეტა არ უპოინიათ. განა არ შეეძლო ჩვენს ბატონ მაკერათს რაიმე სასიამოვნო, ყოველ შემთხვევაში შესაძლებელი გაგრძელება მაინც მოეფიქრებინა? რაიმე უფრო დამამშვიდებელი? მის დრამატურგიას გაცილებით გაამძაფრებდა, აღსასრულის წინ ვინეტას თავზე მოცურავე თევზი რომ გამოჩენილიყო. თევზი მოღრეცილ პირს გახსნიდა და დამროკას შეთაურობით ქალებს წყლის სიღრმეში დაბატივებდა. წყლის ქვეშ ყოველ პოსტჰუმანურ მოვლენას ჩამოცთვებული ქალები თავიანთ იდეალურ ქალთა ქალაქს დააარსებდნენ. განა ასეთი გაგრძელება ცუდი იქნებოდა? ეს იქნებოდა ახალი ისტორიის დასაწყისი და მაყურებელს ძველის აღქმა შეუძლავბუქდებოდა. მაგრამ არა! ლოგიკური და დიახაც თანამიმდევრულია ჩვენი ბატონი მაკერათი: მათი მშვენიერება არარაობად უნდა ქცეულიყო! ჩემი ბრალი არ გახლავთ, ოსკარმა ისურვა ასე! მას შემდეგ ქალები მავლია.

გემის ნაშთებს უხალისოდ მიაქანებს დინება აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ გემის ქიმზე მანიპულირებულნი მაინც განაგრძობენ არსებობას. გემის შავ ჯართზე მობინადრე არსებებს ვიდუოფილმი მხოლოდ რამდენიმე წამით გვიჩვენებს. მათაც განიცადეს დანაკლისი. ახალი სახეობის ექვსმა, არა, შეიღმა წარმოშადგენელმა ფეხები გაფშიკა და ახლა მათ გვამებს წყალში ყრიან. თორმეტნი დარჩნენ. ვხედავ მათ ადამიანურ კიდურებს, ვირთხის თავებს. ოთხი თუ ხუთი მათგანი, აშკარად მდუდრობით სქესის ვირთხა-ადამიანი, დასტურ გამოცდილი მეზღვაურებივით ირჯება: ისინი გემის ნაშთებს სვლა-გეზს უნარჩუნებენ. მერე თვალის დახამხამებაში ყველა გემბანის ქვეშ იძალდება, ისეთი მტვრის ბუქი ამოვარდება.

ვოტსონკრიკებს აშინებთ ეს ყოვლისმომცველი უბედურება. კადრებზე ჩანს, თუ რა საშინლად გამოიყურება ირგულივ ყველაფერი. არამარტო მოსკოვი და ნიუ-იორკი ქცეულა მტვრად, არამარტო დონეტის აუზი, მდინარე პოს ველა და რუ-რის მხარეა გადაბუგული. ციურიხიც, ბომბეიც, რიოც და კაპშტატიც მხოლოდ წარსულში არსებობდნენ. ხოლო პონკონგი? ნუთუ ეს ოდესღაც პონკონგი იყო? ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია, რაც ჩვენი ბატონი მაკერათის ვიდუოფილმში მიწასთან სწორდება, ნადგურდება, კრატერებით მოფენილ ლანდშაფტებად იქცევა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში კულისების სახითაა შემორჩენილი კულტურის ძეგლები, მაგალითად, ფლორენცია, კიოტო და, რო-

გორც ვიცით, გდანსკი. ფილმში მთელი სამყარო ნადგურდება, სამაგიეროდ გემის ნაშთებს მოჩვენებახავით ხშირად ვხედავთ კადრში. ყინვა და სიცივე, მტკრის ქარბუქი ყოველგვარ სიცოცხლეს სპობს. ბოლოს და ბოლოს მზის დაბნელება მთავრდება, მტკრის ბუქს მაცოცხლებელი სიო ცვლის, და ჩვენ ვხედავთ, როგორ იზმორება რამდენიმე მანუბულირებული გემბანზე. ვადიარებ, მაცერათის ვიდეოფილმის ეს ნაწილი გაწელებულია. ბოლოს ჩვენ კატასტროფის ანალიზისადმი მიძღვნილ უაძრავ ფილმს ვიცნობთ — ჩვენი ეპოქის ბოლოს ამ თემაზე ხომ მართლაც უთვალავი ფილმი გადაიდეს. ფანტაზიით აღსავსე Homo ludens-მა უკვე მერამდენედ იწინასწარმეტყველა მომავალი კატასტროფა. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლასა ბატონი მაცერათის ქმნილება ბოლო ხანების სხვა ფილმებისაგან მაინც საგრძნობლად განსხვავდება. მის მიერ წინასწარ გაშუქებული და რუღუნებით დაგეგმილი მომავალი სიცოცხლე პერსპექტივას გვისახავს.

შთამბეჭდავია ფილმის ფინალი. აქ პოსტჰუმანური ისტორიის ნეოჰუმანურში ვადასვლის პროცესია გაშუქებული. ვიდეოფილმში კიდეც უფრო ნათლად ჩანს, ვიდრე ჩემს სიზმარში (რომელსაც ჩემი დედალი ვირთაგვა შეშინებული ვირთხის პოზიციიდან უკეთებს კომენტარს). ვირთხა-ადამიანის, განსაკუთრებით მღერობითი სქესის წარმომადგენლების სილამაზე და მიმზიდველობა. ისევ და ისევ მოჩანს მოწითალო, ქერა, თუ თავთუხისფერი ბალანი: ხელებზე, ბარძაყებზე, ძუძუებზე, — ნახი და ფაფუკი, ჯაგარივით ხშირი ბეჭებზე. ბალნიანია მათი სასაცილო დაგრეხილი კულები კუდუსუნთან. კარგად ჩანს მათი თმაც. — ჰოი, რა ღამაზია მათი თეთრწამწამებიანი ლურჯი თვალები! მათ ხან სწორსა და ვრძელ, ხანაც ხვეულ თმას ფილმში ისე ხშირად გვიჩვენებენ, რომ ამის წყალობით. სიზმრებში დამროკა ჩემთვის თითქმის ხელშესახები ხდება. ნელა, ყოყმანით ვამბობ: ეს ის არის, ის მშვენიერი დალალებიანი დიაცი. ჩემი დამროკას ქარვის მძივი უკეთია. ჰოი, ჩემო საყვარელო ოსკარ, როგორ გულით ვუსურვებ ვოტსონკრიკებს მდაბიო ვირთხებზე გამარჯვებას! ჩემი ოცნება რეალურ სახეს იღებს და მცირე იმედი შესახება...

ყოველ შემთხვევაში ვირთაგვაც იმას ამბობს, ვიდეოფილმი წინასწარმეტყველება იყო. ისინი ნაპირზე გადმოდიან და ზარების გუგუნში სულ უფრო მეტ და მეტ ტერიტორიას იპყრობენ. მთელი მარჯვენა ქალაქი, გარეუბნებსა და ძველი ქალაქის თხრილებს შორის, უკვე დაიკავეს. სხვათა შორის არ ძალადობენ. თავიანთ ავტორიტეტს ძალის გარეშე ამტკიცებენ. ვირთხათა მოდგმანი არ გაუნადგურებიათ, მხოლოდ განდევნეს, რათა თავიანთი ბოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინათ. ცხადია, ნებართვა არ უთხოვიათ, ისე დაეპატრონენ ქერის, სიმინდის, მზესუმზირას მარავს. ვირთხების მიერ დაგროვილი მარავი ცენტრალიზებულად ინახება. მის განაწილებაში ახლა ვირთხა-ადამიანები ასრულებენ მთავარ როლს. ყველაფერს გეგმავენ და აწესრიგებენ.

ვირთაგვა აღიარებს: სამაროლიანად ანაწილებენ, თუმცაღა უფრო დიდხნობით ვვიწევს რიგში ღვთაო. ვირთხებს ნება აქვთ დართული წმ. მარიამის, წმ. ბრიგიტეს, წმინდა საძებისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებში იარონ. მათი კანონმდებლობა საკმაოდ დემოკრატიულია. სასისმიერიდან ხორხისმიერამდე, ყურს შეჩვეულ დაჯუჯავებულ ენაზე გამოსცემენ კანონებს. კათოლიკეთა სიტყვა კანონი აღარ არის. ვირთხებს უფლება ეძლევათ ნებისმიერი დმერთი იწამონ. აბდენად ვირთხები ისევ სხვადასხვანაირად ლოცულობენ, ასე მოწესრიგებულად მიედინება ხავსმოკიდებულ, შლამით დაფარულ მიწაყრილებს მიღმა ქალაქის ცხოვრება. სოფლებს ყურადღებას არ აქცევენ, მხოლოდ ხანდახან თუ გაავზავ-

ნიათ ვინმეს სარევიზიოდ. კარტუზიში, ჩეფში და ნოვი სტავში, რომელსაც წინათ ახალი ტბა ერქვა, მათ საგარეო წარმომადგენლობა გახსნეს. საბოლოო ჯამში შვედი მანიპულირებული და კაშუბელი ვიროხები, ისევე როგორც ახალმოსულები — ამ ცოტა ხნის წინ აფრიკელი ვიროხების ტომები ჩამოვიდნენ ვეროპაში — მშვიდობიანად, შეიძლება ითქვას, ჰარმონიულად თანაარსებობდნენ ერთმანეთს, ჩვენი ბატონ მაცურათი, რომელიც დაჩაბიჩებული, ჩამომხმარი ბებბაბბიჩებებთან ჩამოძვდარა და მუდმივი კათეტერიით არსებობას აგრძელებს, არაფერს ამბობს მოძავალზე. მას შემდეგ, რაც „მანამდე და მას შემდეგ“ მაჩვენა — ეს ფილმი ჩემს გარდა არაყის უნახავს — მეუბნება: „სულ მალე ჩემი დაბადების დღეა და მოხარული ვიქნები, თუ თქვენს მეუღლესთან ერთად სტუმრად მეწვევით“. თითქოს ტელეფონი არ არსებობდეს, ღია ბარათით მატყობიჩებენ, რომ გემი ტრავემუნდში შევიდა, იქვე წერია: „წერილი მოსდევს“.

მომდევნო წერილში ბევრი სასიამოვნო რამ სწერია (ჯერ კიდევ ვახსოვართ): ორსაწლიანი ლოგინისათვის შალის საბნის გარდა ჩემთვის პულსოვერია თურმე უკვე მოქსოვილი. მერე ვკითხულობ: მოგზაურობამ ისე ჩაიარა, როგორც დაგეგმილი იყო. თქვით გდრ-ის სასახლურო წყლები ისე გავიარეთ, რომ დიდი დაბრკოლება არ შეგვხვედრია. თუმცა არც გრაიფსვალდში და არც პენემუნდში შესვლის უფლება არ მოგვცესო, „ძირითადად კონსერვებით ვიკვებებოდით! საღამოობით კი ხშირად ვუსძენდი საგუხდო სიმღერებს“.

შემდგომ წერილში ნათქვამია, კელევის პროგრამა თითქმის შესრულებულია. მართალია, უზარმაზარი მეღუზების გამრავლება მოძავალშიც მოხალისდნელია, მაგრამ ბალტიის ზღვის დამედუზიანებაზე, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ლაპარაკი ადრეა. თუმცა, თუ ქლოროფილის შემცველი წყალმცენარეები კვლავაც ასეთი ტემპით გამრავლდება, რეგიონალური საშიშროება შეიქმნება. წყალმარჩხ ადვილებში ზღვა ყარსო. „მე პირადად მეღუზების თელა საბოლოოდ ამომივიდა ყელში“:

ვკითხულობ წერილს, რომელიც ღია ბარათს მოსდევს. ცხადია, გემზე კომფლიქტებიც მომხდარა. რაც „წინასწარ ვიცოდი: ნავი ძალიან პატარაა!“ ცხადია, ძველი აზბებიც გაიხსენეს. ახლა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ამ გადასახედიდან განსაკუთრებით გამაღიზიანებელია მესაჭის საქციელი. ის ყოველთვის, თვით უსიამოვნო სიტუაციებშიც პირველობას იჩემებდასო. მემანქანესთან მომხდარი უსიამოვნების მიუხედავად, სახელდობრ ვისბიზე, როდესაც ნაპირზე გადავედით და ყველანი კინოში წაგვათრია, რაღაც ამერიკული სისულელე-გვანჩენა: ურჩხულები, ნახევრად ცხოველები, ნახევრად ადამიანებიო. „მასთან ურთიერთობა მაინც ყველაზე იოლი აღმოჩნდა, იმედგაცრუებული ვარ ზღვის მკვლევარის საქციელით, მხოლოდ თავისი საქმე აინტერესებს“.

სამივენი, ნათქვამია წერილში, ჯერ კიდევ კილბიში გადმოვიდნენ გემიდანო. „მემანქანე უზენაესს სასამართლოში იყო დაბარებული. ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე ყოფილა თურმე! მესაჭეს კვლავ გადასახადის რაოდენობა უნდა შეამოწმონ, რაღაც პროცენტებზე ლაპარაკობდა, ხომ იცი, ჩემთვის გაუგებარია ასეთი რაღაცეები. ზღვის მკვლევარი, ცხადია, სასწრაფოდ ინსტიტუტში გამოიძახეს. მხოლოდ დედაბერმა გაძლო ბოლომდე, ტრავემუნდმდე, დაბოლოს გემბანიც კი გახეხა“.

უცნაურ ღრუბლებზე და წვიმიან ზაფხულზეა წერილში ლაპარაკი. ვინეტასთან წყლის სიდრმეზე სიტყვა არ არის დამრული. მიონის კლდოვან ნაპირებზე და რიუგენის ცარცოვან კლდეებზე ნათქვამია: „უფრო ლამაზია, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება“. გემზე ერთხელ წვეულებაც კი გაუმართავო. „ცხადია, ჩვენს

წრეში. საკმაოდ ვიძინარულეთ“. მოულოდნელად აი რას ვკითხულობ: „სიმნე-
ლეები კი გვექონდა, მაგრამ მოგზაურობა ძალზე საინტერესო იყო. და მაინც
„ილზებელი“ უნდა გავყიდო“. ეს ნიშნავს, რომ ქალებს მოუხედრებდ მძღებუდი
გამოცდილებისა პატარა გემზე ერთმანეთის ატანა უჭირთ. „არ ვიცი, რისი ბრა-
ლია, სულ დაძაბულობა სუფიქსა. ამდენი ქალი ერთად მძღებუდი ძარ-
ღვებს“, ბოლოში აი ეს წრეები კოცნას აღნიშნავს. კიდევ ერთი სახეობა ცნო-
ბას ვპოულობ: ჩემს დამროკას სურს ახლო მომავალში კვლავ მთლიანად მუსი-
კას მიუძღვნას თავი.

ამჯერად ჩემი ვირთხა კი არა, მესიზმრა
შავი პიანინო, რომელზედაც უამრავი კაქტუსი იზრდება.
პიანინოს უნდოდა ევროპაში გადაეტანათ,
არადა, იქ თურმე პიანინოები ზუკრძალავთ.

მესიზმრა, ვითომ ევროპაში
ვიდაც უკანასკნელი პიანისტი ქალი აღმოჩნდა,
რომელიც კაქტუსებს თითებს არ აცილებდა,
შეეძლო სულ ასე სჭეროდა.

თუმცა ეს პიანინო კი არა, ბესშტაინის როიალი იყო,
შავი, ახლა კი მწვანედ აფეთქებული,
ტრადიციული ევროპული სკოლის
პიანისტ ქალს რომ უხმობდა.

კლავიშებს სახურავი ქალმა
შაკრატლით მოაცილა,
მწვანე ბარდებქვეშ კი
ორივე პედალი მოხსნა.

იგი ჩემს სიზმარში ძალზე ცოტა ხანს
ბარტოკის რაღაცას უკრავდა ხან ნელა, ხან ჩქარა.
მერე კაქტუსებმა კვლავ მწვანედ იფეთქეს და ყველაფერი
ისე გამწვანდა, როგორც ოდესღაც ბრაზილიაში.

როდესაც დედალი ვირთაგვა კვლავ ისევ მესიზმრა,
ყველაფერი მოვუყევი. შენი კაქტუსებიო, მითხრა ასე,
შენივ ფანტაზიის ნაყოფია, ბესშტაინის როიალი კი
ორღანისა, რომელიც გადარჩაო.

ღვთისმშობლის ტაძარში ბახს ვუსმენდი. ხან ხმადაბლა,
ხან ხმამაღლა,
ეკლესიის ნაღვი ვირთხებით იყო გავსებული,
ორღანისტ ქალს კი
მშვენიერი დაღალები ეფინა მხრებზე.

თავი მეორეაქტი: რომელშიაც ეტლი წარსულში მიემგზავრება, ორი ხანში-
შესული მამაკაცი წარსულზე საუბრობს; ახლა სხვა დამროკას აქვს მშვენიერი და-
ღალები; აგროვებენ სამუზეუმო ექსპონატებს და ვირთხებს ასუქებენ; სამგლო-

ვიარო ცნობა დაბადების დღეზე მოსულ სტუმრებს ხასიათს უფუჭებს; სოლი-
დარნოსტი იმარჯვებს; მაგრამ ადამიანისაგან აღარაფერი რჩება და უკანასკნე-
ლი იმედიც ქრება.

მხოლოდ ჰენზელი და გრეტელი შველიან თავს გაქცევით. რასაც ზღაპარი ერქ-
ვა და ავად თუ კარგად მთავრდებოდა, ურჩხულების მსგავსმა მანქანებმა გადა-
თელეს, გადაჯეგეს, მიწასთან გაასწორეს და მოსპეს. პრინციპი რომელიმე მზეთ-
უნახავი კოცნით გამოაღვიძა, ხოლო შემდეგ კანცლერს და მის ამაღლას დაუფრთ-
ხო ძილი, თავის გამოღვიძებულ მზეთუნახავთან ერთად მიწაში ჩაფლეს და
ჩვენ, სიცოცხლეშიც და ფილმებშიც მუდამ პირში ჩალაგამოვლებული რომ ვრჩე-
ბით, მხოლოდ ფრაგმენტულად ვხედავთ მის ტურებს. პრინციპით კოცნას მომა-
ყალში ველარაყინ შეძლებს. აღარც სადათას ძილით დაგვეძინება ოდესმე. ამიუ-
რიდან ყოველი სიზმარი ცხადში გათამაშდება. სამხედროები იცინიან. „ყველა-
ფერი მოვსპეთ!“ ერთმანეთს ბეჭებზე უტყაპუნებენ ხელს.

რა გასაკვირია, თუ ყველაფერი ძველებურად გრძელდება. არა, კიდევ უფრო უა-
რესად, რადგან ახლა იმედი გაქრა. ექსპერტები დაობენ, როგორც ყოველთვის.
მინისტრები და დიდ-დიდი ჩინოსნები თავიანთ საქმეებს აგვარებენ. ავტომატე-
ბით შეიარაღებული პოლიციელები მათ ყოველი მხრიდან საიმედოდ იცავენ.
ეპისკოპოსებს თავში ახალი არაფერი მოსდით და გენერლებს ლოცავენ. კანც-
ლერი ტელეკამერის წინ დგას და ჟურნალისტების გასახარად ხმამაღლა გაჰ-
ყვირის: „ჰანს, მარგარეტ!“ ამასობაში ჰენზელი და გრეტელი გარბიან.

ჩვენს ბატონ მაცერათს ასე ნებავს. მე ვეთანხმები. ვიღაც ხომ უნდა გადარჩეს?
მთლად უზღაპროდ ცხოვრება არავის უნდა.

დედამიწის ზურგზე ყველა ასე ფიქრობს; მაგრამ ჟურნალისტების შეკითხვა-
ზე — „ბატონო კანცლერო, ბავშვები ძალიან გაკლიათ?“ არა მამა, არამედ კან-
ცლერ-გენერალი ასე პასუხობს: „ამ დანაკლისით მოგვრილ ტკივილსაც ავი-
ტანო“.

ჰენზელსა და გრეტელს აღარავინ მისდევს, მაგრამ შეშინებული ბავშვები მაინც
გარბიან. მათ გარშემო მკვდარი ტყეა. ოღონდაც უკან არ მოიხედოთ, მოცილდით
აქაურობას, წადით! შორს, შორს, შორს...

ჟურნალისტები მიკროფონებს იმარჯვებენ და კითხულობენ: „რა ეშველება
ტყეს?“ — „ჩამოვწერთ, უბრალოდ ჩამოვწერთ, როგორც ზღაპრებს, ისევე ტყე-
საც“, — პასუხობს ერთ-ერთი დიდი ჩინოსანი.

ეს წინადადება იწერება და ეკრანზე რჩება, ჩვენ კი უხედავთ, როგორ გარბიან
ხელიხელ ჩაკიდებული ჰენზელი და გრეტელი,

ყველაფერს, რაც ხდება, კეთილსა თუ ბოროტს, ეპისკოპოსები მამაზეციერის
ნებას მიაწერენ. „ღმერთმა მოგვცა და ღმერთმავე წაგვართვა, — ამბობს ერთი:
— ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო“ — დაასკვნის მეორე.

დაფას, რომელსაც ასისტენტი ყოველი ინტერვიუს წინ აჩხაკუნებს, აწერია: „ჯა-
დოქარი მკვდარია — ზღაპრები განადგურებულია“ — ასე ერქმევა სატელევიზიო
გადაცემას.

„ახლებურად უნდა შევაფასოთ მოვლენები, ცხადია, რეალისტურად, —
ბრძანებენ მინისტრები და ექსპერტები, — უნდა გადავწყვიტოთ პრიორიტეტის
საკითხი!“ „ზოგი ტყეზე ლაპარაკობს. ჩვენ ამ საკითხს ღიად ვტოვებთ!“ „ტყე
კი არ კვდება. კვდება მუშაობის სურვილი“. „ეს ხომ არასერიოზული, არასე-
რიოზული საკითხებია“.

ხელიხელჩაკიდებული ჰენზელი და გრეტელი იცინიან და გარბიან. მიაბიჯებენ

მკვდარ ტყეში. სადაც გაიარეს, ხეები გაცოცხლდა. მკვდარი ტოტები უეცრად აშწვანდა. ბავშვები სიხარულისგან ხტიან. ახლა ჰენზელსა და გრეტელს ძველ-მოდურად აცვიათ, თითქოს წარსულში მიდიოდნენ: ფერადი მაღალყელიანი წინდები და ტყავის მუხლებამდე შარვალი — ჰენზელს, ძველებური კაბა — გრეტელს. ქუდებიდან ნაწნავები, აბურძგნული ქერა თმა მოჩანს. მხატვარ ლუდვიგ რიხტერის ნახატს ჰკვანან. უღრანი ტყე თითქოს ღვთისმოსავსა შემოქმედმა მორიც ფონ შეინდმა დახატა: ნაძვნარი, უზარმაზარი წიფელი, მუნა, ძველი შერეული ტყე, რომლის სიღრმეშიც ჯერ არც ერთ მენახშირეს არ შეუღწევია.

გარბიან, თითქოს ზღაპრები ჯერ კიდევ არსებობდეს, თითქოს ზღაპრული მხეცი აი, ამ წუთას... თითქოს ჩხიკვები აფრინდებიან, თითქოს კოდალა კაკ-კუკ და სოკოც იზრდება, თითქოს აქვეა სადღაც კუდიანიც. ხეების ფესვებთან რაღაც მოძრაობს, ისევ ჭიანჭველები. განათება წამდაუწუმ იცვლება. ისევე, როგორც ოდესღაც, როდესაც იმედი ჯერ კიდევ ბუტბუტადა, გარეულ მტრედს ოქროსფერი თმა უჭირავს ნისკარტში ახლაც, რათა ბუნქნარში, ჭაობებსა და წიწვნარში გზა ასწავლოს ბავშვებს, რადგან რაღაც გზა საითკენღაც მაინც მიდის. იქ, სადაც უღრანი ტყის შუაგულში ორი გზა ერთმანეთს კვეთს, ჰენზელი და გრეტელი გზაჯვარედინზე შავცხენშებშულ ეტლს ხელავენ და ხულაც არ უკვიართ. კოფოზე მეეტლე არ ზის. მოუერცხლილ ეტლში ოთხი რაშია შებშულ... ეტლი მითმინებით იცდის, თითქოს ვიღაც წარჩინებულ ბატონს გამოეგზავნოს, ცხენები ჭიხვინებენ. მათი მორთულობა ბრწყინავს. უეცრად იხსნება ეტლის კარი. შეხვედრა ძველ ნაცნობებთან! იაკობ და ვილჰელმ გრიმები ბავშვებს გულითადად ესალმებიან. ისინიც ჰენზელისა და გრეტელის მსგავსად ბიდერმაიერის სტილში არიან გამოწყობილნი: მაღალი ქუდები, ყაბოიანი საყელოები, ჯიბეებსა და სახელოებზე ზავერდის კანტებშემოკლებული ფრაკები. მოკლედ, ისე გამოიყურებიან, გაყვითლებულ გრავიურებზე რომ გვინახავს. იმ დროს ისინი ჰესენში თუ სადღაც სხვაგან ზღაპრებს იწერდნენ, და მაშინ ტყე ჯერ კიდევ ტყე იყო.

ჩვენი ბატონი მიცერათი თელის, რომ საოქმელი ახლა აღარაფერია, მაგრამ მე მაინც მინდა ვილჰელმ გრიმს ვათქმევინო, „ჩვენთან დასხუდით, ბავშვებო“. იაკობი ხელით პატიჟებს მათ. ამ დროს ჩნდება წარწერა: „ახეთ აწმყოში ჩვენ ვერ დავერჩებით: ჩვენ არავის აღარ ვჭირდებით“.

შეიძლება ზრდილობიან ჰენზელსა და გრეტელს რევერანსი გაეკეთებინათ და ერთხმად ეთქვათ: „ჩვენ ვგრძნობდით, რომ საბოლოოდ ჯერ არ ვიყავით დაღუპულები!“ ისინი ეტლში სხდებიან. მეეტლის გარეშე მიჰყავს ოთხ ცხენს ეტლი. წინ კი არა, წინ თვითონ ეტლია, ცხენები უკან-უკან მიაბიჯებენ. ეტლი წარსულში მიემგზავრება. ეს სახალისო მოგზაურობაა. გზად ათასი ჯურის ხალხი ხვდებათ.

ოდრონიოდრო გზა ტყიდან გამოდის, ყანებსა და მდელოებზე მიიკლაკნება და მერე ისევ ტყისაკენ მიემართება. გზის მარჯვნივ და მარცხნივ ძველებურად ჩაცმულ ხალხს ვხედავთ. აი, ვიღაც ძინძებში გახვეული მოლასლასებს, ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები ლაღად და მზიარულად მოაბიჯებენ. აგერ ვიღაც დედაბერი მოხრილა მძიმე ტვირთის ქვეშ, აი, კაცი სკით ხელში, ზურგზე გოდორმოკიდებული ქალი, გლეხი თოვზე გამობშული ხბოთი, ორი მოხეტიალე შეგირდი, ბატების მწყემსი გოგონა, მათხოვარი, მდაბიოთა ბრბო და ჯაჭვის ერთმანეთზე გადაბშული ტყვეები, ჯარისკაცები რომ იცავენ.

ეტლი, რომელშიაც ჰენზელი, გრეტელი და ძმები გრიმები სხედან, უკან-უკან მიგორავს, ხალხიც უკან მიდის: თითქოს დედაბერს მძიმე ტვირთი, კაცს სკა,

ბექთონის ცოლს გოდორი და გლეს თოვზე გამობმული ხბო ექაჩებათო უკან. უკან-უკან მიაბიჯებენ მოხეტიალე შევირდებიც, მიდიან და მიიმდებიან. ბატები ისევ ფარდულში მიერეკებიან მწყემს გოგონას. უკან გაშვერილი ხელით მათხოვრობს მათხოვარი. მდაბიო ხალხს, ტყვეებსა და მათ მცველებს იმედი აქვთ, თუკი რაც შეიძლება ღრმად შეიჭრებიან წარსულში, რადესაც ყოფილ სამეფოში მოხუდებიან და ბოლოს და ბოლოს იმ ქვეყანას მიაგნებენ, სადაც უკეთესი ცხოვრება იქნება და სადაც ჯაჭვებისაგან გაათავისუფლებენ. ამას წარსული გვპირდება.

ასეც შეიძლება დამთავრებულიყო მუნჯი ფილმი „გრიმების ტყეები“, რომლის თემა მომაკვდავი ტყე და ზღაპრების აღსასრულია. თუკი ვისმე წარსულისაკენ მიმართული ეს ფინალი ხედმეტად იმედიანი, შელამაზებული და არასაკმარისად მძაფრი უჩვენება, მან გახეთი გადაშალოს და წაიკითხოს, რასაც კანცლერის ექსპერტები ლაპარაკობენ, ვიდრე ბოლმა არ დაახრჩობს, — ასეთ რჩევას იძლევა ჩვენი ბატონი მაცერათი. ყოველ შემთხვევაში პენზელისა და გრეტელის ზოგადი დამთავრდა.

ეჰ, ვირთაგვავ, ვირთაგვავ! რაღა დაგვრჩა მესამე პროგრამის გარდა? სადღაა იმედი? ვისთან ხელჩაკიდებულმა გამოვაცხადო სიზმარში: ჯერ კიდევ ვარსებობთ!? ჩვენ ვარსებობთ! ჩვენ გვსურს მომავალშიაც...

ცხადია, მალსკათიც აქ არის. ნამყო-აწმყოთი დამძიმებული მხატვარი ლიუბეკის მახლობლად ერთ-ერთ კუნძულზე, დეებენმორში, მტკიცედ დაცულ საზღვრის შორიახლოს ცხოვრობს, რომლის გაღმა-გამოღმა სახელმწიფოები ერთმანეთს თვალს უხვევენ და სხვადასხვა ვერმანიის არსებობის ილუზიას უქმნიან. მალსკათმა, ამ პატიოსანმა მეოცნებემ, უფრო დიდხანს იცხოვრა, ვიდრე მისმა თანამედროვეებმა, ბოლომდე ყალბისმქნელებად რომ დარჩნენ. მართალია, საცოდავი ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ ყველა მაინც პატივს სცემდა. ხოლო რადესაც ბებერი მელა და ის საქსონელი მოჩლიფინე წვერცანცარა გვახსენდება, ლამის გული გვერევა.

მე ვამტკიცებ, ჩემო ვირთაგვავ, რომ არა მარტო მალსკათი, არამედ ჩვენი ბატონი მაცერათიც ჯერ კიდევ ცოცხალია და თავის პოპულარულ ვიდეოკასეტებს აწარმოებს. დამიჯერე, მართლა ასეა! ხომ ფაქტია, რომ მეც ვარსებობ ჯერჯერობით, მხოლოდ ხანდახან ჩემს კოსმოსურ ხომალდში ვარ გამოკეტილი, ამიტომ დამიჯერე! უნდა დამიჯერო, აბა სხვა რა გზა გაქვს? იცი, რა მოგიტანე? ვიცი, რომ გიყვარს. შე მსუნაგო შენა, — ყველის ნაფშხვენები. თივასაც დაპირებისამებრ გამოვიცვლი. მეტი რა ვინდა? მე ჩემს არსებობას კეთილი სიტყვითა და აღერსით ვამტკიცებ. დამროკაც არსებობს ისევ, ხანდახან ყავის ფინჯნით ხელში ჩვენთან შემოდის და გვიყურებს, როგორ ვსაუბრობთ.

მხოლოდ ის თეზისი დარჩა უარსაყოფი, თითქოს ეს ყოველივე მხოლოდ სიყალბე და მოჩვენება ყოფილიყოს, თითქოს ჩვენ საერთოდ აღარ ვარსებობთ და ვირთხებს ვესიზმრებით მხოლოდ. აი, ვირთხები კი ნამდვილად არსებობენ და ესიზმრებათ, როგორ ვმოქმედებთ. ჩვენ ხომ ოდესღაც მართლაც ვარსებობდით. ახლა კი ვირთხები გვიგონებენ თავიდან, არ სურთ საბოლოოდ დაკარგონ ჩვენზე წარმოდგენა, როდესაც მოესურვებათ, მაშინ ვესიზმრებით, ხანდახან შენც, შენი ღია გაღიაც ესიზმრებათ — კიდევ ყველის ნაფშხვენები და მხატვარი მალსკათი თავის კუნძულზე, დეებენმორში. ესიზმრებათ დამროკას ხანმოკლე ვიზიტები, ინფორმაციის საშუალებებზე შემლილი ბატონი მაცერათი და მესამე პროგრამა. ესიზმრებათ, რა მხიარულად ლაპარაკობს დიქტორი, თითქოს ყვე-

ლაფერი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, თითქოს ჯერ კიდევ ღირდეს სკოლის რა-
 დოს მოსმენა, ღირდეს სიცოცხლე. თუმცა იოტილოდენა იმდენ მაინც არ-
 სებობს. ყოველგვარი საფრთხის თავიდან აცილება შეიძლება, თუკი ვააზრებუ-
 ლად ვიმოქმედებთ, რაღაც-რაღაცებზე უარს ვიტყვი და ყველანი გარდავიქ-
 მნებით. საჭიროა მხოლოდ მოვისურვით. მაშინ ისევ შესაძლებელია იქნება მო-
 მავლის დაგვემვა. სკეპტიკური განწყობილების მიუხედავად ^{ორი ათასი წელი} ~~ორი ათასი წელი~~
 მაინც დადგება. აი, რას ამბობენ: ჯერჯერობით ცოცხალ ტყვეს დასაცავად პო-
 ლიეთილენის შრეს შემოავლებენ მომავალში, მინის თაღებქვეშ დიდ დასახლე-
 ბულ ადგილებში გარანტირებული იქნება სუფთა ჰაერი. ვენეტიკის დახმარებით
 იმას მივადწევთ, რომ არავინ და არსად აღარ იშინდება, რომ დროც თან-
 დათანობით უფრო დამყოლი გახდება, წარსულისა და მომავლის გამოყენებაც
 შესაძლებელია. მხოლოდ სურვილია მოთავარი, ამბობს მესამე პროგრამა, სურ-
 ვილის სურვილი გქონდეს და მოვლენები რაც შეიძლება სწრაფად გაააზრო!
 ასე ვაგრძელებთ სიცოცხლეს რეალურად არსებულ ვირთხათა მოდემის სიზ-
 ხარში. ამასობაში ვირთხების ისტორია პროგრესს განიცდის. სულ უფრო და
 უფრო მეტს აძლევენ ელტსონკრიკებს, ამბობს დედალი ვირთაგვა.
 რაც ჩვენი ბატონი მაცერათის ვიდუოფილმებში პერსპექტივის სახითაა წარმოდ-
 გნილი, კარგად ორგანიზებულ რეალობად იქცა. დანციგ-გდანსკის რაიონში გა-
 ნაწილების ისეთი სისტემა განვითარდა, რომელიც ადამიან-ვირთხებს სურსა-
 თით უზრუნველყოფს, ხოლო ვირთხათა ტომებს, რომლებიც სასოფლო-სამე-
 ურნეო კომპლექსში არიან დაკავებულნი, გარანტიას აძლევს, რომ მიწა მათ სა-
 კუთრებაში დარჩება.

ძალაუფლების საკითხი როგორც არ უნდა ვადაწყდეს, საკუთრების გარეშე არა-
 ფერი გამოყა. ახალ პოსტჰუმანურ ხანაში ეს აქსიომა კარგად აქვთ გათვითცნო-
 ბიერებული. სუთუ ჩვენ, ეინც ვირთხებს ვესიზმრებით, ვირთხა-ადამიანებზე,
 ვინც ჩვენ ვესიზმრებიან, ასეთ კარგ გაველენას ვახდენთ? ამბობენ, ოდესღაც
 იმ წვერიან ბერიკაცს, ჩვენ რომ ღმერთს ვუწოდებთ, ყველა ჩვენ მიერ შექმნი-
 ლი წარმოდგენა მის შესახებ მოსწონდაო თურმე.

იზრდება, თვალდათვალ იზრდება ჩემი საშობაო ვირთაგვა. გაოცებას ვარ კაცი,
 არადა, ცნობილია, რომ ჩვეულებრივი და ლაბორატორიის ვირთხებიც მოელი
 თაეიანთი სიცოცხლის მანძილზე, რომლის ხანგრძლივობა სამი წელია, შეუ-
 ჩერებლივ იზრდებიან თურმე. მაფიქრებს მისი ასეთი სწრაფი ზრდა. ერთ მშვე-
 ნიერ დღეს შეიძლება აღარც დამხვდეს, გაქვავებული ეგდოს გულადმა. მკვდა-
 რი. მერე რაღა ვინატრო საშობაოდ, თუ ჩემი საყვარელი აღარ იქნება? მხო-
 ლოდ მაღსკათი და მისი მრავალი წლის წინ მომხდარი ისტორია, ჩვენი ბა-
 ტონი მაცერათი ვიდუობაზარზე, ხანდახან დამროკა და გამუდმებით ჩართული
 მესამე პროგრამის ფონზე მე თვითონ, სიზმრებისაგან დაცლილი. მაშ მხოლოდ
 ჩვენლა ვიარსებებთ?

ვოტსონკრიკებმა წმ. მარიამის ეკლესიაში ორლანის შეკეთება და ნეფტუნის
 შადრეუნის ამუშავება შესძლესო, მიმტკიცებს დედალი ვირთაგვა. ჩვენს ბატონ
 მაცერათს პოლონეთიდან დაბრუნებისთანავე წინასწარპროდუქტირებული კასე-
 ტის ვიდუო ბაზარზე გამოტანა უნდა, იმ ვიდუო კასეტისა, ბებიაამისის წინასწარ
 გადაღებული ასმეშვიდე დაბადების დღე რომ იწანასწარმეტყველა.

წმ. მარიამის ეკლესიაში ორლანი შუალედური ომის დროს დაიწვა, სამაგიე-
 როდ ადამიანების ისტორიის დამთავრებამდე სულ ცოტა ხნით ადრე წმინდა
 ათანეს ეკლესიაში ახალი ორლანი დადგეს.

ჩვენს ბატონ მაცერათს გადაწყვეტილი აქვს მრავალსერიანი ფილმი გადაიღოს, რომლის თემაც ადენაუერ-მალსკათ-უღბრეხტის სამეული აქნება. „ყალბისმქნელება საქმიანობენ“ — შეიძლება ფილმის სამუშაო სათურთ ასეთი იყოს, ან უბრალოდ „ყალბი ორმოცდაათიანი წლები“.

დედალი ვირთაგვა ჰყვება: ვოტსონკრიკები ყოველ კვირას აწყობენ — სპორტანო მუსიკის კონცერტებს, რომლებსაც ვირთხებიც დიდი სიამოვნებით ესწრებიანო. ამბობენ, ამას წინათ ჩვენმა ბატონმა მაცერათმა მხატვარი მალსკათი თავის კუნძულზე დეეპენმორში მოინახულაო. ცხადია, თავისი ძერსედესით გაემგზავრებოდა. „ჰეი, მებორნეკ!“ შესძახა ისკარმა, რიდესაც დაინახა, რომ კუნძულს ხმელეთთან ხიდი არ აკავშირებდა. მალსკათმა კუზიანი კაცუნა ნიჩბიანი ნავით გადაიყვანა ნაპირზე, მძლოლს „ძერსედესთან“ დარჩენა მოუწია.

მესამე პროგრამა, რომელმაც ყოველთვის ყველაფერი იცის, ახლა ბახს გადმოსცემს: ტოკატა და ფუგა F-Dur. ვოტსონკრიკები ბუქსტუდესაც იცნობენო, ამბობს ვირთაგვა. საიდუმლოდ არ უნდა დარჩეს, თუ რა ჰქონდა ამ ორ ხანშიშესულ მამაკაცს ერთმანეთისთვის სათქმელი.

ერთ-ერთი მათგანი ოთახის სივიწროვის მიუხედავად წინ და უკან დააბიჯებდა და ხელებს შლიდა. ეს პატარა სივრცეც კი ჰყოფნიდა ბოლთისათვის. მეორე უსმენდა. როგორც ყოველთვის, ნაქსოვი ქუდი ყურებზე ჰქონდა ჩამოფხატული. ერთმა თქვა: „კაცმა რომ თქვას, ისე ჯერ მოძაკვდავი ტყე უნდა გადავვლო, მაგრამ მე თქვენს ისტორიას ვანიჭებ უპირატესობას“, მეორე ღუმდა. „ეს ყველაფერი, წმინდანების ფრესკებისა და გრიმების ტყეების განადგურება ერთი მთლიანობაა და ერთმანეთის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ“, ამბობს კუზიანი კაცუნა და ბოლთას სცემს. შალისქუდჩამოფხატულ მხატვარი სიტყვაძვირია, დიდი-დიდი რამდენიმე პროფესიონალურ წვრილმანზე რომ მიუთითოს. შიგადაშიგ ორივენი თავიანთ ბავშვობას იხსენებდნენ, რათა სული მოეთქვათ და ახალ თემაზე გადასულიყვნენ. კიონისბერგი და დანციგი მათთვის დაუვიწყარია. „გადაწყვეტი ის იყო, — ამბობს ერთი, — რომ საბრალო დედაჩემმა, სამი წლის როცა გავხდით, დაბადების დღეზე წითლად და თეთრად შეღებილი თუნუქის დაფდაფი მაჩუქა. ამის შემდეგ ზრდის შეწყვეტა გადავწყვიტე“. „ბავშვობაში ბევრს ვხატავდი, — ამბობს მეორე, — მამაჩემის ანტიკვარულ მაღაზიაში გამოფენილი ძველი ოსტატების ტალოები ნიმუში იყო ჩემთვის“. მერე ორივემ თავი ანება სიყრმის მოგონებებს. ახსენეს და რამდენიმე წინადადებით მოამთავრეს ომის თემა, შავი ბაზრების ხანას უბადრუკი, მაგრამ თავშესაქცევი უწოდეს და ორმოცდაათიან წლებს დაუბრუნდნენ.

ის პოპულარული ამერიკული სიმღერა, რომელსაც კვარტეტი, „The Platters“ მღეროდა, თქვენ ალბათ კარგად გახსოვთ, ძვირფასო მალსკათ. ამ სიმღერას „The great Pretenders“ ერქვა და ორივე გერმანული სახელმწიფოს ეროვნულ ჰიმნად გამოდგებოდა, ოღონდაც, რა თქმა უნდა, მრავლობით რიცხვში.

„We are Pretenders“¹, — მღეროდა ერთი, მეორე ორმოცდაათიანი წლების საკარნავალო მელოდიას ანიჭებდა უპირატესობას. აქ ტაეპების ბოლოს ისევ და ისევ მეორდებოდა შეკითხვა, — კი მაგრამ, ვინ გადაიხდის?

„ჩვენმა ფილმმა, — ამბობს ჩვენი ბატონი მაცერათი, — რომელშიც ახალი ვი-

1. დიდი თვალთმაქცები (ინგლ.).
2. ჩვენ დიდი თვალთმაქცები ვართ (ინგლ.).

დეოტეჩნიკის წყალობით უწყვეტი გადასვლები იქნება გამოყენებული, განსაკუთრებით ახალგაზრდობას უნდა აუხილოს თვალი. მათ ხომ ტყუილის და თაღლითობის არაფერი გაეგებათ. უდიდესი თაღლითების ეპოქას ხომ უხდა გაეცნონ ოდესღაც!”

„ჩემი მცირედი წვლილი იმდროინდელ ყოვლისმომცველ სიყვარულში მე თავთონვე ეამხილე. უეცრად მომბეზრდა ამდენი ტყუილი“.

თითქოს სიტყვის წარმოსათქმელად ემზადებაო, ისეთ პოზაში დგას ჩვენი ბატონი მაცერათი და, თითქოს მხატვარი იქ არ იყოს, თავისთვის ამბობს: „ჩვენ თრმოციანი წლების ბოლოს დაწყებული ხელახალი შეიარაღებით დავიწყებთ, მაგალითებს მოვიყვანთ, ერთი აღვიღოდან შეორეზე გადავინაცვლებთ და მერე ვაჩვენებთ, როგორ აღმართავენ ლიუბეკის ღვთისმშობლის ტაძარში ხარაჩოებს. შემდეგ ვაჩვენებთ ორივე მხარის მიერ სახელმწიფოდ გამოცხადების მზადებას, მაგალითად, საპარლამენტო საბჭოს აქტივობას, არეულობას პანკოსა და კარლ-ჰორსტის რაიონებს შორის, ასე მოვამზადებთ ნიადაგს საერთო გერმანული სიყაღბის წარმოსაჩენად. ამ დროს რუსები და ამერიკელები, ისევე როგორც ხელღონებათმცოდნეები, თავიდანვე გრძნობდნენ, რომ ყველა დონეზე რაღაც ყალბი იქმნება, მაგრამ არ უნდოდათ გაეგოთ, რომ სიყაღბე დროთა განმავლობაში სიმართლეს ისისხლხორცებს და, თუკი სიყაღბეს თვალს შევაჩვენებთ, მერე იგი სინამდვილეს ემსგავსება. რადგან ლიუბეკის ღვთისმშობლის ტაძარში საღებავის მტკვრი ყოფილ კედლის მხატვრობაზე მეტყველებს, აღმოსავლეთპრუსიელი მხატვრის ხელით, გროშის ფასად უნდა შეიქმნას არაფრისაგან გოტიკური ფრესკები, თუძცა რატომ არაფრისაგან? თვითონ მხატვრის ფანტაზიის საგანძურიდან, რომელსაც მალსკათი ბავშვობიდან აგროვებდა. ასევე რეალობად იქცევა აქ რაინულ-კლერიკალური, იქ საქსონურ-პრუსიული ოცნებები. ასეთ ხელსაყრელ შესაძლებლობას დიდი ხანია ელოდნენ სახელმწიფო მოღვაწეები. ერთ-ერთი მათგანი ინდიელს ჩამოგავს, მეორე კი ბოდერმაიერის ეპოქის შვილს გვაგონებს. გოტიკური განძით აღჭურვილი მხატვრისათვის ასეთი გასაქანი არასოდეს მიუციათ. სახელმწიფოებრივ სიყაღბეს უკვე რესპუბლიკა პქვია, კედლის მხატვრობას — ლიუბეკის საოცრება. მართალია, აქაც და იქაც, ისევე როგორც ლიუბეკის ეკლესიის კედლებზე, სვასტიკის კვალის გაქრობას ცდილობენ, აქაც და იქაც დიდი კოვზებით მიირთმევენ — აქ დემოკრატიული სუნელით შეზავებულს, იქ კომუნისტური საკმაზით შენელებულ სასწავლო პროგრამებს და დედის რძესავით ერგებათ, — მაგრამ ახალი ფასადების უკან კიდევ დიდხანს იბინადრებს გუშინდელი კვილი. გულმოდგინედ ამოქოლილი სარდაფებიდანაც კი ვვამების სუნი ჟონავს.

მრავალი ლიუბეკელი მღვდლის ქაქისფერ-ყავისფერი წარსული ართულებს მათ ღვთისმოსავ ყოფას ამ ახალი უცოდველობის ხანაში. მაგრამ სხვათა გაცურებას მაინც ახერხებენ! სულ ახლაჰან შენდობის მთხოვნელი დამარცხებულები თავიანთ დამმარცხებელთ ტკიპებივით მიეწებნენ. რას მიქვია ახლა უნდობლობა! ეს დამარცხებულები ახლა ისევ ანგარიშგასაწევ სამხედრო ძალას წარმოადგენენ. გაიძახიან — აღვადგინოთ! ავადორძინოთ! და ყველაფერი ისევ წინ მიდის. დანაშაულზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს დანაშაული კი არა, ვალი იყოს და ახლა მხოლოდ პროცენტებს იხდიან. ძალე ერთნი იმ გამარჯვებულ, მაგრამ დაუძლურებულ სახელმწიფოზე უფრო შეძლებულები ხდებიან. მეორენიც კი სულ მა-

ლე გაცილებით უფრო მდიდრებად იგრძნობენ თავს, ვიდრე მათი გამარჯვებული მეზობელი, და ლიუბეკის ღვთისმშობლის ტაძრის კედლის მხატვრობასაც გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე იდესმე წარსულში. აქ მხოლოდ უბადრუკი ნაშთები კი აღარ არის, გოტიკა გვაბრძავს და გვაოცებს. ყველა აღფრთოვანებულია ყოვლისმომცველი სიყალბით. მოელ მსოფლიოს აოცებს, თურმე რა სწრაფად შეიძლება დამარცხება გამარჯვებულ შემოტრიალდეს. ნანგრევებიდან აღვსდებით! ჩვენ ისევ რაღას წარმოვადგენთ! ძღეროან, ყვიროან და ერთმანეთს ბეჭებზე უტყაბუნებენ ხელებს. ჩვენ უნდა მოგვბადონ! ჯერ კიდევ გუშინ უკანასკნელი ნაგავი ვიყავით, დღეს კი? მერე რა, რომ გადაღმა მხარე მუშების ტრაგიკულმა აჯანყებამ მოიცვა, გამოღმა კი ჩურჩულ-ბლუყუნით, უღიმღამოდ განაცხადეს პროტესტი. დიახ, სკანდალები, დაძაბული სიტუაციები, გაგისხარია, ბევრია, მაგრამ ასეთი რამ განა სხვაგან არ ხდება? მთავარია, სანიმუშოდ მოიქცე და დიდი გამარჯვებულის საყვარელ შეილიკოდ დარჩე, ხარაჩოებზე არავინ აუშვა, ხშირად ილაპარაკო პირველ გერმანულ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოზე, ჩვენს თავისუფალ დემოკრატიულ წყობაზე, ჩრდილოგერმანული გოტიკური სტილის გავლენის ძალაზე და მაშინ ეს სიყალბეც კურთხეულ იქნება! ასე ხდება ბონში, პანკოსა და ლიუბეკშიც, სადაც შვიდასი წლის იუბილეზე თაღლითობის დიდოსტატი კანცლერი ადენაუერი ილუზიებით ისუღვლეებს თავს. ან იქნებ კიდევ გრძნობდა ბებური სიყალბეს და მხოლოდ შიბადვის ხელოვნებით გახლდათ აღფრთოვანებული? „მაგრად ვიმუშავიათ!“ — უთქვამს თურმე და კათოლიკურ ყაიდაზე თვალი ჩაუპატუნებია...

ჩვენი ბატონი მაცერათი მცირე ხნით დაღუპდა და პატარ-პატარა ნაბიჯებით მოჰყვა ბოლოას მალსკათის დაბალჭერიან ოთახში. მოკლედ დაამატა ესა თუ ის დეტალი მოსაყალ ვიდუფილმს „ყალბ ორმოცდაათიახებთან“ დაკავშირებით: „იმ წლების შოდა და გემოვნება სივალსაჩინო უნდა გავხადოთ. ეს ეხება არამარტო აუცილებელ ოვალურ მაგიდებსა და უსაგნო მხატვრობის მოსაწყენ დიდფორმატიან ტილოებს, არამედ მესერშმიდტის მოტოციკლეტებსა და ბორგვარდის მანქანებსაც. კაღრში უნდა გამოჩნდეს ორივე არშიის ზრდა და ძლიერება! დაუ სიმლორაში მზე კაპრისთან ჩაეშვას ზღვაში, ფრიც ვალტერმა ფეხბურთი ითამაშოს, თანამდებობის პირებსა და წარჩინებულთა შორის მკვლელებიც ერიოს, „მაგრამ, — შესძახა მან, — ფასადებს უკან უნდა ისმოდეს წიკწიკის ხმა დანაშაულის საათისა, რომელსაც ვერამც და ვერამც ვერ გააჩერებ. ერთი შიბრძანეთ, ბატონო მალსკათ, თქვენზე რომ ამბობენ, კაპიტელების ორნამენტებში და წმინდანთა სამოსის ნაოჭებში ხანდახან მალულად ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად ვიროხებსაც ხატავდაო“.

მალსკათმა უარყო ეს: ზღაპრული ცხოველები, კი ბატონო, რამდენიც გნებავთ, დამიხატავს. მაგალითად, ინდაურები შლეზვიგის ტაძრის კედელზე ჩემი ხელითაა შექმნილი. ვიროხების დახატვა კი არასდროს თავში აზრადაც არ მომსვლიათ.

მათ შორის მტვრის სვეტივით გაწვა მოგოხებები. წარსულს იხსენებდნენ. განსაკუთრებით ჩვენს ბატონ მაცერათს მოსწონდა საკუთარი ცხოვრების უკან დატრიალება. ერთი ხანა მუიორეს სცულიდა. მერე ოქროსჩარჩოიანი სათვალე მოიხსნა და აჩინა თვისი ღურჯი თვალები, ყველა საოცრებას რომ სჭკრეტდნენ, და მოულოდნელად მხატვარი მალსკათი თავისი დაბადების დღეზე დაპატიუა. მერე უთხრა: „ჩემო საყვარელო მალსკათ, მთელი ეს სიყალბე არ უნდა გამოვემქვლავნებინათ“. „იქნებ მართალი ბრძანდებით, მაგრამ რას იზამ, პატიოსანი კაცი ვარ და სინდისმა ნება არ მომცა“.

ეს ყველაფერი ისეა წინასწარ განსაზღვრული, წყალი არ გაუვა,
ამიტომ ქალაღზე თუ დაძაბულ ფილმებში ჩვენი აღსარული
უკვე დადგა და ახლა ლეგენდად იქცა,
როგორც ჰამელნში მომხდარი ამბავი.
იქაც ხომ ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული.



როცა ბავშვები თავიანთ ვირთხებთან ერთად
ამოქოლილ თხემის მთაში ისხდნენ და მათთვის
თითქოს გაჩერდა დრო, ერთმანეთს ასე ჩასჩურჩულებდნენ:
ეს ჯერ არ არის აღსასრული,
აუცილებლად მოგვკებნიან და გვიპოვნიან!

ჰამელნელმა მოქალაქეებმა თავიანთი შვილები
ვირთხებთან გამოქვაბულში რომ ამოქოლეს,
და ზედ მიწაც რომ მიაყარეს, გადაწყვიტეს
თვისი შვილები მოეძებნათ.
ჰოდა, ვითომც მართლა ეძებდნენ,
ვითომც დადიოდნენ და გაიძახოდნენ:
ვიპოვნით, აუცილებლად ვიპოვნით იმათ.

ერთმა ბავშვმა კი ასე უთხრა თავის ვირთხას:
ვერ გვიპოვნიან, რადგან არც არავინ გვეძებს.
მე ვიცი: ეს ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული.

მე მისი დახატვაც კი შემძლია თეთრ ქალაღზე, დედალი ვირთაგვა, მე რომ
მესიზმრება, ხუჭუჭთმიანია და სულ უფრო და უფრო ემსგავსება ადამიანს. რო-
დესაც ვითომ სასხვათაშორისოდ ამბობს, შვედი ვოტსონკრიკების მმართველობა
დანციგ-გდანსკის რაიონში საკმაოდ დემოკრატიულია და ძალადობის გარეშე.
საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ლაპარაკობს ახლა ჩემს სადღეღამი-
სო სიზმრებში საშობაო ვირთაგვა. თუმცა არა, ის გრძელკუდიანი დედალი
ვირთაგვა კი არ ცოცხლდება ახლა, არამედ ეს ლამაზი, ხუჭუჭთმიანი მოვირ-
თხო ადამიანი. იგი დამროკას მაგონებს, რომელიც სინამდვილეში სხვა ქალებ-
თან ერთად საკვლევე გემზე დაიღუპა. მაგრამ მერე, როდესაც ღია ბარათი დაძე-
სიზმრა, რომელშიაც ეწერა, წერილიც მალე მოვაი, დამროკა უეცრად ისევ ჩემ-
თან გაჩნდა.

მოთქინებით მისმენს დედალი ვირთაგვა. ესმის ჩემი მდგომარეობა, ესმის, რომ
მისი ბრწყინვალე სინამდვილის აღიარება მიჭირს, რომ ვერ ვაღიარებ მას სი-
ნამდვილედ! სულ ახალ-ახალი ვარცხნილობით მიზიდავს მისი თმა. საყვარე-
ლო, — მეუბნება იგი, — განა უკმაყოფილო ხარ იმით, რომ მხოლოდ და მხო-
ლოდ მე მესიზმრები და ამ წუთიდან არავითარი პასუხისმგებლობა არ გაკის-
რია? შენ ხომ მხოლოდ ჩემს სიზმრებში არსებობ.

სასიამოვნოა მის სიზმრებში ყოფნა. ბევრ რასმე ვხედავ მისი წყალობით. დან-
ციგის ქუჩებში ორ ფეხზე მოსიარულე ახალი შვედები ხეირნობენ, წყვილებიც
თავიანთი ნაშეურებით — მართლაც რომ საყვარელია ვირთხა-ადამიანი ბავშვო-
ბაში! — გრძელი ქუჩის ჭიშკრიდან ბაზრაბდე მიდიან და მერე უკან ბრუნდები-
ან. ჩვეულებრივი ვირთხები არ ჩანან. მხოლოდ მაშინ გამოჩნდებიან ხოლმე.
როდესაც ვოტსონკრიკები წყვილ-წყვილად ატარებენ ყოველთვიურ ინსპექცი-

ას ქალაქის მიმდებარე რაიონებში, ვაიხსელის დაბლობებში ან მოგზაურობენ, კეთილგანწყობით და ამავე დროს ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ვოტსონ-კრიკები ვირთხების საქმიანობას მიწათმოქმედების სფეროში. კარგ რჩევებს იძლევიან და მართლაც ძალიან ბევრი რამე იციან. ისევ და ისევ უმეტესწილ ქერისა და სიმინდის კულტურების მოშენებას მისდევენ, მზესუმზირას უზარმაზარი პლანტაციები ყვითლად ლივლივებს. გოდრებს ამოფარებული ჯეელი ვირთხები ძტრედებზე, ბელურებზე და სხვადასხვა მავნებლებზე ნადირობენ.

ახალი შვედები ამბობენ: ჩვენ ძალიან ფრთხილად ვმოქმედებთ. ბოლოს და ბოლოს არამანიპულირებული ვირთხები არამართო საკუთარ თავს, ჩვენც უზრუნველგვეყოფდნენ საკვებით. ჩვენი განადგურება დიახაც შეეძლიათ, როდესაც ცოტანი და უძლური ვიყავით. მაგრამ შეგვიფარეს. ზარების რეკვით შემოგვეგებენ. ადამიანის გაუმჯობესებული ვარიანტი დაინახეს ჩვენში. შენი დაბრუნება არ იყო, საყვარელი, მათი სასუკიარი ოცნება, მათი ვედრება და გალობა ჩვენ გვეძღვნებოდა, ჩვენ გველოდნენ! რაც შენ წირვა-ლოცვაზე მომიყევი, იქიდან ვასკვნი, რომ ისინი კათოლიკენი გგონია. სისულელე და ცრუ რწმენაა. ჩვენ მათ თავყრილობებს, როგორც იტყვიან, ორგანიზებული სახე მივეციით.

ცვლილებებს ვხედავ წმ. მარიამის ეკლესიაშიც. სადღაც გამქრალიყო კოლიაჩეკის მუშია, ვისაც ფეხებითან ეჯდა დაქიშმიშებული პატარა ოსკარი. ასევე აღარსად იყო საკურთხეველის მორთულობა, ოქროს მონეტები, ლურჯ-თეთრი ჯუჯები, სათვალე თავის ბუდიანად, ქალაღდის საჭრელი დანა, პროთეზი, ლითონის აბრა წარწერით: „სოლიდარნოსტ“. პოლონეთის სახელმწიფო ორდენი და ოსკარის ბეჭდები. ეკლესიაში ცივი სიმკაცრე და პროტესტანტული სიცარიელე გამეფებულიყო. ორი გაშეშებული მამრი ახალი შვედი საკურთხეველთან მსახურობს, ისე უხერხულად ირჯებიან, თითქოს მათი მთავარი ამოცანა ღვთის მსახურება კი არა, ერთმანეთისთვის თვალყურის დევნება იყოს. კათედრიდან კი ჩემი ხუჭუჭთმიანი ლამაზმანი მიმართავდა ვირთხათა მოდგმას: შრომასა და გარჯაზე ლაპარაკობდა, სხვადასვა ვარიაციებით.

საკურთხეველის წინ სევდიანი დღესასწაულები იმართებოდა. ახალი სამღვდელთა ვირთხების ორფეხზე სიარულს ვერ იტანდა და ამიტომ გამუდმებით აჩოქებდა მათ. იმათ გალობას გრიგორიანული აღარაფერი ეცხო. გართიმულ სიმღერებს მღეროდნენ. თითქოს შესმოდა: მყარი ციხე-სიმაგრე... ან: არ შეშინდე, მცირე გუნდო... მაგრამ ჩემთვის კარგად ნაცნობი საეკლესიო სიმღერები ძალზე დაკნინებული მეჩვენებოდა. ყოველ მესამე სიტყვას ვოტსონკრიკების ღნავილი ერთვოდა. და მე ვიგრძენი, რომ სურვილი გამიჩნდა სიმღერას აველოლოდი.

ეს ხმოვანთა მეორე გადაწევაა, ამბობს მანიპულირებული დამროკა. მისი საუბრის კილოს ცვლილება არ განუცდია, ყოველ შემთხვევაში იგივე ხორხისმიერ-ს წარმოთქვამს, როგორც ეს წინა პომერნის მკვიდრთ ოდითგანვე სჩვევიათ. დამროკა ორდენის სკამზე ზის, სკამი ახალი შვედების სარგო ზომისაა. ასევე მოცუცქნულია კლავიატურაც, თვითონ ორდენი კი ჩვეულებრივია. პრელუდია!.. უკრავს, ხელ-ფეხს ისე ხმარობს, თითქოს დაკვრა მისთვის სუნთქვასავით ბუნებრივი რამ იყოს; ეს შესაძლებელი გახდა სამი ასოსაგან შემდგარი ჯადოსნური ფორმულის წყალობით: დნმ.¹

1. დეზოქსირიბოზუკლეინის მკაევა — გენის აღმნიშვნელი ფორმულა.

მერე დამროკას ხმა შემომესმა: სხვათა შორის ის საზარელი მუშია და მისი მუშიფიცირებული გნომი არ გადავივდია, ორღანის უკან შეეინახეთ, დღეს მალე ყურადღებას თითქმის არავინ აქცევს. როგორც იცი, ჩვენ ძალმოძრვობას არ ვიყენებთ, ნელი, უმტკივნეულო ცვლილებების მომხრენი ვართ. ჩვენი მოქმედების საფუძველი კარგად გააზრებული იდეებია. ამიტომაც მუშიების წინაშე მუხლის მოღრეკას არ ვკრძალავთ, ღმობიერებას ვიჩენთ და ხანდახან კიდევაც ვუწონებთ ვირთხებს ასეთ საქციელს. მაგალითად, დიდი ზათქის აღსანიშნავად ყოველ წელიწადს დღესასწაულს ვაწყობთ. მუშიებს გამოსაჩენ ადგილას ვათავსებთ, რათა ვირთხებმა ილოცონ. იგივე შეორდება ჩვენი ნაპირზე გადმოსვლის, აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულებზეც. ადამიანის სხეულის ეს უკანასკნელი ნარჩენები შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც შემდგომი გამოცდილებისთვის გვჭირდება. „აი, ნახეთ! — ხშირად ვიმეორებთ ქადაგებებისას — ასეთი რამ აღარასოდეს არ უნდა განმეორდეს! დააკვირდით, რა ჩაიღინეს ადამიანებმა! ეს მუშიები ჩვენს წარსულს გვახსენებენ და ამავე დროს გვაფრთხილებენ, ზომ ხედავთ, რა საშინელებაა!“


მეც განმანათლებლური კილოთი მესაუბრება ხუჭუჭომიანი ვირთავკა-ადამიანი. ხელ-ფეხს ორღანს არ აშორებს და ამბობს: ჩვენ ვაღიარებთ ჩვენში არსებულ ვირთხულ ელემენტს და ამით ჭკუშმარიტად ჰუმანურად ვიქცევით. და რაკილა ჩვენში ადამიანური ელემენტებიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, ამიტომაც ვირთხულ ნაწილს ასეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ! ჩვენ ოღესაც ადამიანმა შეგვქმნა, მაგრამ ჩვენს შემქმნელს ბევრად გავუსწარიო წინ და ახლა, როდესაც უკან ვიყურებით, გვეცოდება კიდევაც. ისინი საკუთარ თავს შეეჭანენ და განადგურდნენ. ხოლო მომავალი ჩვენ გვეკუთვნის, ვირთხული ელემენტების წყალობით!

დამროკამ ორღანზე დაკვრას თავი მიანება, ჩემკენ შემოატრიალა ვირთხის დრუნჩი და ორივე მხარეს ჩამოყრილი კულულები და განმიცხადა: აი, ეს არის კიდევ ერთი მაზეზი იმისა, რატომ ვუცქერით შორიდან, თუმცა კი თანაგრძნობით ვირთხებს, როდესაც ისინი ჯგუფ ჯგუფად იმ უკანასკნელ თანამგზავრზე ლოცულობენ, რომელიც თავის ორბიტაზე ტრიალებს და რომელშიაც შენ ხარ გამომწყვდეული. სხვათა შორის სიზმარში ძალიან ხშირად გიხმობ ხოლმე. ჩვენ გვესმის შენი მსჯელობა. შენი უკმაყოფილება და მოთხოვნები ჩვენთვის ნაცნობია, შენი ყვირილი — დედამიწავ, მიპასუხე! მიპასუხე, დედამიწავ! — ხანდახან გვაიძულებს შენით ვიამაყოთ კიდევაც. შენ გესიზმრება, რომ ადამიანი ცოცხალია, მოქმედებს და ახალი იდეებითაა აღსავსე. შენს კოსმოსურ ხიმაღდში გამოწყვდეულ სიზმრებს ჩვენც ვხედავთ. კარგად გვესმის, რომ დაბოღმილი ხარ. რომ გვიან, მაგრამ მაინც მოინახიე ყველაფერი, ესეც გვესმის. როდესაც შენს დამროკაზე დარდობ, უნდა გითხრა, ცრემლი მერევა.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩება მომცეს თავი და თავთან ერთად ჩემი მარტობაც მის დაღალებში ჩამერგო და გავტრუნულიყავ — მხოლოდ მისი სიცილი მაღიზიანებდა ხანდახან. ახლა ისევ ორღანის წინ იჯდა, ამჯერად ხელები მუხლებზე ეწყო და ამბობდა: ხანდახან გვეცინება, როდესაც ამტკიცებ, რომ შენი ჰუმანური მამაკაცობა და შენი მოსაწყენი თავგადასავლები ქალებთან სინამდვილეა, ხოლო მე ბილოს და ბოლოს მართლა შენი სატრფო. ყველა მანიპულირებულა შვედი და ჩვენი ძვირფასი ვირთხები მხოლოდ გესიზმრებითა, ფანტაზიის ნაყოფი ვართ სხვა სიზმრებთან ერთად. და უეცრად ძალზე მკაცრად მითხრა: „ამას ბოლო უნდა მოეღოს! ასეთ ხრიკებს ვერ ავიტანთ! შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს საერთოდ დაგავიწყოთ, შენ მაგივრად სხვა რამ, მაგ.

ჩეხვის ბუხები დაგვესიზმროს. იმედი მაქვს, მიმიხვდი, რასაც ვგულისხმობ!“
ახლა კინკლაობა დავიწყეთ. მე ვევიროდი: ვე შენი იდიოტური ჩეხვის ბუხები სა-
ერთოდ არ არსებობს!

ის მპასუხობდა: მომავალში შენც აღარ იარსებებ!

მე ვეუბნებოდი: კარგი, გეყოფა, დამროკა, ნუ მემუქრები, ძალიან ვიხივ. 
ორღანზე აკორდი აიღო და მგაცრად თქვა: ეს ჯერ მხოლოდ გეგონებოდა, ჩემო კარგო, რათა საბოლოოდ შეიგნო, სად შეიძლება აღმოჩნდე, მე თუ...
ღანარჩენი სიტყვები ორღანის გუგუნმა ჩაახშო. ჩუმად, შეიძლება ძალიან ჩუ-
მადაც, მაგრამ ისე, რომ ჩემი მაინც ესმოდა, ვუთხარი: არა, ძალიან ვიხივ, არ
გინდა. შენ ძველებურად მომხიბლავი ხარ. მეტად, შენი სხეული მესიზმრება,
შენი კანი და თმა მენატრება.

აღელვებული ვარ. მინდა მოვეფერო, მომენატრა, თქვენ, მანიპულირებულები
ძალიან პატარები ხართ, მაგრამ რას იზამ, მივიჩვევა, შეგეგუები. შენი ვირ-
თხის სახეც ვერ გაანყლებს ჩემს ვნებას. უფრო ახლოს ვიქნებოდი ერთ-
მანეთთან, ერთ არსებად შეკერწყმოდით ერთმანეთს, ეს სკამი ასე მოცუცქნუ-
ლი რომ არ ყოფილიყო და ასეთი პაწია პირი რომ არ გქო...

ჩემი ხმა ბახსა, ბუქსტეჰუდეს და ორღანის ხმას ფარავდა: პო, მხოლოდ შენ,
მხოლოდ შენ მინდიხარ და მენატრები! ასე ძლიერად არასოდეს განმიცდია სა-
ყვარულის ვნება. ყველაფერზე თანახმა ვარ! შენი მეუღლე, შენი სულელი, შე-
ნი ღვთიური საქმროც ვიქნები. ჩასაყლაპი ხარ, თავით ფეხამდე ჩასაყლაპი, მიფ-
ვარხარ... მაგრამ გევედრები, ძვირფასო, ნება მომეცი ჩემთვის ჩემი პატარა სი-
ნამდვილე მქონდეს! ეს მხოლოდ ჩემია და თავს ვერ დავანებებ! რამდენიც გინდა
მიღრინე, თუნდაც ვირთხულად! გავიღვიძებ თუ არა, რადიოს ჩავრთავ და მე-
სამე პროგრამა ხომ იმის დამამტკიცებელზე საბუთი იქნება, რომ ვარსებობ, მესამე
პროგრამამ ხომ ყველაფერი იცის, რჩევას გვაძლევს, გვამშვიდებს და სა-
ლი აზრისკენ მოგვიწოდებს! წინასწარ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ
ხვალ ბრიუსელში, გვაიმედებს, რომ ძალე ჩინგრძლივა მოლაპარაკება დაიწყე-
ბა. სულ მცირე, მაგრამ მაინც იმედიან ყოველ შემთხვევაში რაღაც მაინც ხდება. გა-
დასახადი შეამცირეს. რომის პაპი მოგზაურობას აპირებს. ზაფხულის ბოლოს
ფასდაკლებით ვაჭრობა ეკონომიკას გამოაცოცხლებს. და ჩვენი ბატონი მაცე-
რათი დაბადების დღეს გადაიხდის. როგორ გეკადრება, დამროკა, ორთავანი
დაპატიჟებული ვართ, აუცილებლად უნდა წამოხვიდე! მაგრამ შენზე ეს არ მოქ-
მედებს, თითქოს ეს ყოველივე — რომის პაპი, ბრიუსელი, ფასდაკლებით ვაჭ-
რობა — მხოლოდ ფანტაზიის საყოფი, მხოლოდ ფიქცია იყოს...

ორღანი დადუმდა. სიჩუმე ჩამოდგა, შიში მიპყრობს. ხელს ვერ შეახებდი ვერც
ორღანის სკამს და ვერც მას. კვლავაც ჩემს კოსმოსურ ხომალდში დაბმულს
დამროკას ხმა მესმოდა, მონიტორზე მის სახეს ვხედავდი. გული მეკუმშებოდა,
ვბუტბუტებდი: მე ხომ მართო რამდენიმე უმნიშვნელო ფაქტი მაინტერესებს...
ეს ხორხისმიერი „რ“, მისი პომერანული კილი: სისულელეებს ნუ მიედ-მოედ-
ბიო. ბილოს და ბოლოს ვერ უნდა შეიგნო, რომ თქვენ თქვენი მესამე პროგრა-
მიანად მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სიზმრებში არსებობთ? მართალია, ძალიან
მიყვარხარ, მაგრამ კიდევ უფრო გარკვევით უნდა გითხრა: სანამ ვიროხებსა და
ჩვენ ჯერ არ მოგვბეზრებია თქვენი — ღმერთის ხატად შექმნილი თვითმკლე-
ლების გახსენება, მანამდე ადამიანის ნაშიერი, ესე იგი შენც იარსებებ. ოღონდ
მხოლოდ რეფლექსის სახით, და ეს რეფლექსი სულ უფრო და უფრო შესუსტ-
დება. სხვათა შორის ჩვენ ცუდ მახსოვრობას ვუჩივით, ოღესღაც მკაფიო შთა-
ბეჭდილებები ფერმკრთალდება. ჩვენ ეს სრულებითაც არ მოგვეწონს და არც

გულხელდაკრეფილები ვსხედვართ. ჯერ ართურის სასახლეში, შემდეგ რატუშაში მუზეუმი გავხსენით. აქ ჩვენი მომავალი თაობისათვის ჭკუის სასწავლებლად ჰუმანების ხანიდან შემორჩენილი ნაშთები გამოვფინეთ. თქვენ მიერ დატოვებული ნაგავი აქ ჯერ კიდევ ბევრია. სარდაფებსა და სხვენებში ბევრი რამაა შემონახული: საბუჯდი მანქანები, ტელეფონები, კინოკამერა, ქვილე-ფოლქსვაგენი, სათადარიგო ნაწილები, რაღაც სასწაულად გადარჩენილი სკულპტურული რომაელი. ის დედაბერიც თავის გნობთან ერთად ორღანის უკან აღარ დაიმტვერება და ჩვენი კოლექციის ექსპონატად იქცევა, ბოლოს და ბოლოს თავის ადგილს იპოვნის და ფუნქციაც კი ექნება! თავისთავად ცხადია, ჩვენ ძალ ღოხეს არ დაეიშურებთ, რათა დანციგ-გდანსკის არქიტექტურული სახე შევინარჩუნოთ. მოგეხსენებათ, ეს დიდი საქმე ჯერ კიდევ ვირთხებმა წამოიწყეს. ღმერთმა იცის, ძალა და ენერჯია საკმარისი გვაქვს!

ვეხვეწებოდი, ვეაჯებოდი, მაღალფარდოვან ქათინაურებს ვეუბნებოდი დამროკას, ამან, ცხადია, დიდი დრო წაიღო, მაგრამ ბოლოს ნება დამრთო ღვედი მომეხსნა და მივახლოვებოდი. მისი მზრუნველობითა და დახმარებით დაეიწყე ადამიანების გვიანდელი ისტორიის მუზეუმის დათვალიერება. ექსკურსიამბდლი ვოტსონკრიკის ჯიშის ვირთხების ჯგუფს რატუშის დარბაზებში დაატარებდა. ყველგან ხანიმუშო წესრიგი იყო. ყველაფერს თავისი ადგილი პქონდა მიჩენილი. რაღას არ ნახავდიო აქ! „შეხე-შეხე!“ — შესძახა ჩემმა სატრფომ, რომელიც, თითქოს რაღაც დღესასწაულიაო, ჩემი დამროკას მსგავს დალალებს ქვემოთ ქარვის მძივს ატარებს, — „შეხე, რაღა დარჩა თქვენგან!“

დავინახე სტომატოლოგის სკამი და საჭირო ხელსაწყოები, პატარა კომპიუტერი და ძველმოდური სასწორი, ხელოვნების უამრავი ნიმუშიცაა, მათ შორის გოტიკური ექსპონატები, წარმოგიდგენიათ ფაიფურიც, კი იყო იქ, მსუბუქი თუ მძიმე შეიარაღება, საჭაერო თავდაცვის რაკეტები! იქვე სათამაშოების განყოფილებაა. მე თეთრ-ლურჯი ჯუჯებისკენ გამიწია გულმა: ერის ნაჯახი უჭირავს ხელში, მეორეს ცელი, აგერ იქ ორს ვხედავ, ნიგბურთის რაკეტებით, კიდევ ვიღაცა პოლიციელის ხელ-ჯოხით სათამაშო მოძრაობას აწესრიგებს. ეს ჯუჯა უმუშევარია, აი, ხილ-ბოსტნეულის გამყიდველები, ნამდვილი მატარებლის მინიატურულ სათამაშო ბაქანზე უამრავი ჯუჯა იცდის, ერთი მეორეზე საყვარლები. ვხედავ მიქსერს და ტოსტერს, პოლიციელების ადჭურვილობას: ჯოხებს, ხელბორკილებს, ჩაჩქნებს, ადამიანთა ისტორიის ნარჩენები ძირითადად გერმანულ-პოლისური წარმომობისა იყო. ორდენებსა და სამკერდე ნიშნებს შორის ჩანდა აბრაზე რკინის ასოებით ამოკვეთილი სიტყვა „სოლიდარნოსტ“, ბოლოდან მეოთხე ასოზე ჯერაც ისევ თეთრ-წითელი პატარა დროშაა ჩამოცმული.

ოპ, ესღა მაკლდა! ამის დანახვა სულაც არ მინდოდა. „ერთი შეხედე, შეხედე! — შესძახა ვითარსმა დამროკამ. — კარგად დააკვირდი!“ — და მე თითქოს ჩემი ბავშვობის ნაწილს ვხედავ: ნახევარკუნძულს და ბალტიის ზღვის შუამდებარე საკონცენტრაციო ბანაკს, რომელსაც შტუტპოფი ერქვა, ათას ექვსასზე მეტ ბანაკთაგან ერთ-ერთს. ჩემ თვალწინაა ადამიანების ისტორიის დოკუმენტი, მისი ზუსტი მოდელი, არც ერთი გაზის კამერა, არც ერთი ბარაკი არ აკლია.

უკანა გზაზე გლობუსი დავინახე, რომელსაც მუზეუმში მოხული ვირთხები სიამოვნებით მოკიდებდნენ ხელს და დატრიალებდნენ, ნებადართული რომ იყოს, და როდესაც წიგნების განყოფილებაში შევედი, რომელიც მუსიკალური საკრავების განყოფილების მსგავსად გადაჭედილი იყო, უამრავ უში-

ნაარსო წიგნს შორის რამდენიმე პოლონური შედეგრი, მაგალითად, პან თაღე-
უში და ფერდიდურკე აღმოვაჩინე, მერე ოსკარს და ბებიამისს დაუწყე ძებნა.
ანა კოლიაჩეკის შუმიას და მის შვილიშვილს ბოლოს და ბოლოს თავისი აღ-
ვილი ეპოვნათ რატუშის წითელ დარბაზში, სადაც ოდესღაც ცნობილი სურათი
„ხარკის აკრეფა“ ეკიდა. ოსკარი ბებიის ფეხებთან იჯდა, ნახევრად მისი ქვე-
დატანით დაფარული, მაგრამ რაღაც აკლდა. ჩემს ძეგროფას ვუჩურობდი ეს,
ჩუჭუჭამ, რომელსაც ჩემს დამროკას ვამხგავსებდა, გაიცინა. გაიცინა და ნება
დამართო რაღაც სასწაულად გადარჩენილი თუნუქის დაფდაფა, რომელმაც სა-
თამაშოების განყოფილებაში მიიპყრო ჩემი ყურადღება, რატუშის წითელ დარ-
ბაზში გადმომეტანა. ეს აქცია ორმა დარაჯმა ახალმა შეედმა იკისრა, ოსკარმა
მიიღო, რაც აკლდა! ჩემმა სატროფომ კიდევ ერთხელ გაიცინა და მკითხა: რო-
გორ ამბობდნენ ადრე? მთავარი წესრიგიაო!

მოგვიანებით საღდაც, უფრო ზუსტად, ჩემს კოსმოსურ ხომალდში გამოკეტილი,
მონიტორში მისი მანიპულირებული სხეულის სილამაზეს ვერ ვხედავდი, მისი
ხმა კი მაინც, მესმოდა: ხომ ხედავ, როგორ ვცდილობთ. ექსპონატების ძირი-
თადი ნაწილი ქალაქში ვიპოვნეთ, ნაწილი, მაგ. კაშუბურა კერამიკის ნაშთები,
სოფლებიდან მოვზიდეთ. ადამიანის ხატი საბოლოოდ არ უნდა გაფერმკრთალ-
დეს, დავიწყებას არ უნდა მიეცეს! აი, ეს არის ჩვენი მიზანი. ასე რომ, ვირ-
თხებს თითქოს ვალდებულებად ეკისრებად გაიხსენონ ჰუმანების სიდიადე და
თავდაჯერებულობა. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენც, ადამიან-ვირთხებს ანუ, რო-
გორც შენ ამბობ, ვირთხა-ადამიანებს ხანდახან ძალის გამოყენება გვიხდება.
ჩვენ ვთვლით, რომ მუზეუმის დათვალეურება აუცილებელია, ამიტომ მითი-
თებებს ვიძლევი. რადგან მარცვლეულის მარაგს ჩვენ ვაკონტროლებთ, არ გვა-
ჭირს იმის უზრუნველყოფაც, რომ ჩვენი მითითებები შესრულდეს. ჩვენს სოფ-
ლის მეურნეობაში დაკავებულ ვირთხულ მოსახლეობას ტიტულებსა და საკუთ-
რებას ვურიგებთ. ხოლო თუ ამით იმას ვერ ვაღწევთ, რომ ჩვენზე დამოკიდე-
ბულნი გახდნენ, ყოველ შემთხვევაში ჩვენდამი კეთილგანწყობა და პატივისცემა
უზრდებათ. ამას, ცხადია, გარკვეული შედეგები მოჰყვება. მდინარის ნაპირე-
ბიდან მთებამდე, მაგალითად, მიწა უკვე დანაწილებულია. ესრთხათა ურდოები
ტრანსპორტის კოლონებს ადგენენ, რადგან მარაგი ცენტრალიზებულად ინახე-
ბა. მხოლოდ ქალაქშია გეგმაზომიერება შესაძლებელი. ამიტომ აქ ვანაწილებთ.
ჩვენ ვანაწილებთ. ჩვენი სისტემის წყალობით არავინ შიმშილობს. ჩვენი დევი-
ზია: ზომიერი დეფიციტი...

აქ ჩემმა სატროფომ ლაპარაკი შეწყვიტა. დაფიქრებით ლაპარაკობდა. ამასობაში
სხვა სინამდვილეებთან შეთამაშება მოვასწარი — საქმიანი შეხვედრები დავნი-
შნე, მოძავალი დაბადების დღე გამოვაცხადე. მოკლე პაუზის შემდეგ მისი შეწყ-
ხებული ხმა შემომესმა: „ასეთი განვითარების გზა ბევრ საზრუნავს გვიქმნის.
ძალიან დიდია საშიშროება, რომ ჩვენთვის კარგად ნაცნობ ჰუმანურ ყოფასა და
ქცევის ნორმებს დაუბრუნდეთ. ასეთი ტენდენცია შესაძინეია, ამას ისიც დაე-
მატა, რომ ჩვენ მიერ ცეცხლის მოპოვებას, როგორც იცი, გარკვეული შედეგე-
ბი უნდა მოჰყოლოდა, და მოჰყვა კიდევაც, ჩვენ, ადამიან-ვირთხები, სიბინდის
ტაროებს ვხარშავთ ან უწვავთ, აგრეთვე ნანადირევსაც. ახალი წესების მიხედ-
ვით ნანადირევი მთლიანად უნდა ჩავკაბაროთ, რადგან ამჟამად გაუძაძრები
გავხდით, შემწვარ-მოხრაკულ მოთხოვნილებას ვეღარ ვიკმაყოფილებთ. ცხადია,
ისინი ისე იქცევიან, როგორც საჭიროა. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, საკმარისა
არ არის, დეფიციტი სულ უფრო იზრდება. ჩვენი სასურსათო პროგრამა ძალ-

ზე ნელა ხორციელდება. კეგმაზომიერი ეკონომიკით ხორცის დეფიციტს ვერაფრით ვერ მოვსაობთ!

რაც მოვისმინე, ჩემს მოლოდინს გადააჭარბა: რადგან ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ნაყოფიერ მარშლანდის რაიონში მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, კომპლექსური გზით ვირთხათა მოსახლეობის შემცირების შესახებ. ეს აქციოზ კერძო ფაქტების შესართავის რაიონში უნდა ჩატარებულიყო, სადაც რუსეთსა და ინდოეთიდან ემაგრირებული ვირთხები ბინადრობდნენ, მოგვიანებით კი კამუბეთის რაიონშიც. სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან შერეული გერმანულენოვანი ვირთხები ცხოვრობენ და ოდითგანვე ფლობენ მიწის ნაკვეთებს. განსაკუთრებით დონიერა ახალგაზრდა ვირთხების კონცენტრაციას საგანგებო ზონებში ვახდენთ.

სწორია! გამოიცანი, შესძახა ჩემმა დამროკამ: ჩვენი გადმოსხდომის ადგილას ახლაც დგას ყოფილი გემი. სხვათა შორის ნაშთების დათვალიერება დასვენების დღეებში ჩებადართულია. საწყობთა კუნძულზე სელექციას ვახდენთ და საუკეთესო მარცვლეულისა და სემინდის ჯიშებით ვაკვებთ ვირთხებს, ვასუქებთ და დასაკლავად ვამზადებთ. მოვახერხეთ ჩვეულებრივ ვირთხის წონასთან შედარებით საკვები ვირთხის წონის საგრძნობლად გაზრდაც, ამდენად მოშავალში ზორციით უზრუნველყოფილი ეიქნებით. მომავალ სეზონში მტრედის ზორცის დეფიციტი ვიღევაც რომ გაიზარდოს, მაინც შევძლებთ ზორცის დამზადების გეგმის შესრულებას. მას შემდეგ, რაც ჩვენს სამზარეულოებში ცეცხლი აგიზგიზდა, თითქმის აღარაფერი გვაკლია, სულ რაღაც ითუშება და იხრაკება. კაცმა რომ თქვას, კმაყოფილები უნდა ვიყოთ და ეს უნდა ვიკმაროთ. მაგრამ რადგან ქერის უკანასკნელი მოსავალი ასეთი მდიდარი გამოდგა, ლუდის წარმოება დავიწყეთ. ამ სიახლის თაობაზე ახალ შედთა საბჭოში ხანგრძლივი დებატები მიმდინარეობდა. მაგრამ ეს საკითხიც დაღებიტად გადაწყდა. არსენალის ფლიგელში, ქალთა ქუჩაზე რამდენიმე საკვებ ობიექტში, რატუშის სარდაფში შეგიძლიათ გემრიელი ლუდი მიირთვათ. ცხადია, ზომიერად და მეთვალყურეობის ქვეშ. ლობობასა და ღრეობის მოსაწყობად საგანგებო ნებართვაა საჭირო. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ, დიდი ზათქის სამოცდამეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ ზეიმზე ჩვენმა მოქალაქეებმა დამსწრე ვირთხათა დელეგაციებს ამაზრზენი სანახაობა აჩვენეს. მათ საქციელს სხვა სახელს ვერ დარქმევ. მოვრალეები ჯგუფ-ჯგუფად დაბანცალებდნენ გრძელ ქუჩაზე, აღმა-დაღმა დაეხეტებოდნენ, ნებტუნის შადრეკანი ნარწყევით აივსო.

ეს ყველაფერი მადარდებს, ძვირფასო, მითხრა მან. ისევ მოცუტქნულ ორღანის წინ სკამზე იჯდა და პრელუდიას უკრავდა. სევდიან მელოდიას, „ვნებას“ ჩამოჰგავს; ეჰ, დამროკა!

როდესაც ვიკვლევთ, რით განსხვავდება ადამიანი ცხოველისაგან, სიამოვნებით ვახსენებთ ხოლმე სიყვარულს, ვით უნარს საგანგებოს ადამიანის. და ვგულისხმობთ არა სიყვარულს მოვგახისადმი, რომლისაც ცხოველს უფრორე მეტი გაუგება ადამიანზე, არამედ სხვაგვარ სიყვარულს, ანუ სიყვარულს ტრისტანისა და იზოლდასი და სხვა სამაგალითო წყვილებისაც, რომლის მსგავსსაც თვით გედთა შორის ვერ მოიძიებ.

ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ ეფერება მამალი ვეშაპი დედას, მაგრამ ფაუსტისა და გრეტჰენის მსგავსი ურთიერთობა ამ უზარმაზარ ძუძუმწოვართათვის არათუ უცხო ხილი, არაბუნებრივიც კი იქნებოდა.



ირმის ყვირილზე ძალდა დგას სოლომონის ქებათა ქება, მაიმუნების ვერაფერი ვერ შეედრება ვერონელთ ტრფობას, არა ბულბულს, არა ტორთლას, არამედ მხოლოდ ადამიანს უყვარს თავდავიწყებით, სიგიჟემდე და არა მხოლოდ დროგამოშვებით. და ამ სიყვარულს ვერა და ვერ კლავს თვითონ სიკვდილიც. ხომ ცნობილია, შეყვარებულებს ერთმანეთის შეხრამუნებაც კი უნდათ ხოლმე. მართალია, ჩემო ძვირფასო, ახლავე მზად ვარ თავით ფეხამდე... მანამდე კი — მოდი მუსიკას ავუწიოთ ხმა. და შევიწვათ ჩვენთვის ღორის ცვრიანი ჩალადაჯი.

გეხვეწები, ნუ გამაწბილებ, ორივენი დაბატივებული ვართ. შეხედე, მოსაწვევებიც კი დააბეჭდინა. ნახე, რა სულელური შრიფტია. ხალხი ბევრი არ იქნება. მხოლოდ უახლოესი მეგობრები ჰყავს მოწვეული. ნახე, ხელით საგანგებოდ მიუწერია: „ძალიან ვთხოვთ აუცილებლად წამოიყვანოთ დამროკა“. როგორც გვინდა, ისე ჩაუცივამთ. პასუხი შემატყობინეთო, მთხოვს, რა ვუპასუხო? (სამწუხაროდ, მალსკადი დაბადების დღეს ვერ დაესწრება).

ჩვენ ადრე მივედით. თავიდან ძალზე ცოტა სტუმარი იყო. მათ შორის გრძელფეხება ქალები, ასე რომ მოსწონდა მას. ისე კი ხომავს მეტად გამოპრანჭულ მუცლებს ჰგავდნენ: იმზომ დამღლეული მზრუნველობა ჩანდა მათ თვალებში. სახლის პატრონის გაძოსვლას ველით. დამროკას რაღაც მოყვითალო-მოოქროსფერი აცვია. დიდხანს ვიფიქრე, რა მეჩუქებინა იუბილარისთვის და ბოლოს გადაწყვიტე პოლონეთში საშინელი ხარისხის ქაღალდზე არალეგალურად დაბეჭდილი დეფიციტური ორი ტომი-მისი მემუარების თარგმანი მეჩუქებინა. ლეგალური გამოცემა ამ ცოტა ხნის წინ გამოვიდა და სწრაფად გაიყიდა.

აყო მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი, მისი ადვოკატი, მანდილოსნები სარეალიზაციო განყოფილებიდან, ორი დაპოსნული კოლეგა, რამდენიმე ცნობილი კინორეჟისორი და იმპრესარიო, რომლებიც თავიანთ წარმატებებს მეტნაკლებად მას უნდა უმაღლოდნენ, მათ შორის ერთი მარადიული ყმაწვილკაცი სმოკინგსა და მთამსვლელის ფეხსაცმელებში. ის თავის გენიალობას სიამოვნებით გამოავლენდა უღრან ტყეებში, უდაბნოებში ან ლუის ტრენკერის მსგავსად მთის მწვერვალებზე. ამათ გარდა იყო ერთი ძალზე უცნაური პროფესორი და გაუპარსავი პოეტი, რომელიც გაბრაზებული იფურებოდა იქით-აქეთ. მისი თანმხლები, ბავშვური გარეგნობის გოგონა ახალგაზრდა მარია ტრუშინსკას¹ ჩამოჰგავდა, რომელიც ახალგაზრდობაში, სანამ მაცერათის ცოლი გახდებოდა, ხელოვნური მარგალიტის მძივებს ატარებდა ხოლმე. მოყიდა თვითონ მარიაც, გამოწკებილ კოსტიუმში ჩაცმული, ნამდვილი მარგალიტის მძივებით. თავისი ახალგაზრდობის ორეული ვერც კი შენიშნა. მისი ერთადერთი საზრუნავი საკუთარი ვაჟი, ნაპუტკუნებული და გაუზრდელი კურტჰენი იყო, რომელიც პირდაპირ საჭმელს ეძგერა.

1. ოსკარ მაცერათის დედა.

მოუთმენლად ველოდით ბატონ მატერათის გამოჩენას. დაპატიუებულთაგან ყველა ვერ მოვიდა. ხმადაბლა ვუხსნი დამროკას, ვინ ვინ არის. აღმოჩნდა, რომ პროფესორს იცნობდა. „აი ის მთავარი მომტანი, — ვუთხარა მე, — მეტი სმეტად ტკბილი შამპანურით რომ უმასპინძლებს სტუმრებს, მისი მძლიერი ბრუნოა, ყველაფერი რომ იცის და ეხერხება“.

სექტემბრის დასაწყისია. გარეთ გვიანი ზაფხულია. ვერცხლი ფანჯრებიდან თითქოს მოწვეთავს საღამოს სინათლე. დამროკას არ მოეწონა მთამსვლელების ფეხსაცმლიანი გენიოსი და ამბობს: „სულ იმას ცდილობს, როგორ გამოიჩინოს თავი!“ სტუმრები ჯგუფებად იღვწენ და საუბრობდნენ. ცხადია, ყველაზე ხმადაბლა პროფესორი ლაპარაკობდა, თითქოს დიდ თავყრილობას მიმართავსო. მასპინძელი ჯერ არ ჩანს. მასთან დაკავშირებით პროფესორი თავის პრინციპულ პოზიციას განმარტავდა ოპოზიციონერის როლის შესახებ. ერთ-ერთი კინორეჟისორი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ საკუთარ ფილმში იუბილარის ბავშვობის წლებს შეეხო, დაეთანხმა მას: მასაც თურმე ოსკარის სწორედ ეს სამაგალითო ოპოზიციურობა უნდოდა ეჩვენებინა.

ამ დროს გამოჩნდა ჩვენი ბატონი მატერათიც. არა მთავარი შესასვლელიდან, არამედ გვერდითა, თითქმის უჩინარი კარიდან მოვევლინა თავის სტუმრებს. საზოგადოება მას ტაშით შეეგება.

დაბნეულები შევცქერიოდით. არც ერთ ჯგუფთან არ მისულა. კუბოკრული შარვალ-კოსტუმში ეცვა. უხერხულად მოათვალიერა სტუმრები. სათვალე ვითომ დაორთქლილი ჰქონდა? მე ვერ შემაძინია, თუმცაღა დამროკა მახლდა. ან იქნებ შენიშნა; რომ რამდენიმე კაცი აკლდა, ცხადია, მალსკათიც მათ შორის. მერე უცებ წელში გასწორდა და მარიას მიესალმა. მარიას მისთვის ლოყაზე საკოცნელად დახრა დასჭირდა. ახლა უზარმაზარ მატრონად ქცეულ ოდესღაც ოსკარის ახალგაზრდობის საყვარელ ქალს ამისი ყოველთვის რცხვენოდა. საღღაც შორს კურტჰენი შეუსვენებლივ სანსლაუდა ორაგულს, შემწვარ ღორის ხორცს.

ამის შემდეგ ჩვენს ბატონ მატერათს სტუმრები შემოეხვივნენ. მილოცვებს ბოლო არ უჩანდა (იმ კინორეჟისორის მიმართ, პროფესორის რჩევით მასში რომ ოპოზიციონერი დაინახა, გაცილებით მეტ კეთილგანწყობას იჩენდა ჩვენი ბატონი მატერათი, ვიდრე ჩემდამი, ვისაც იგი თავის გრძელვადიან კათეტერს უნდა უმაღლოდეს).

რალა არ მიიღო საჩუქრად! გრძელ მაგიდაზე პატარა და დიდი კოლოფები ეწყო. ზერელედ შეაუღო თვალი საჩუქრებს, ეტყობა, საკუთარი მემუარების პოლონურმა გამოცემათ გაახარა: „დაგვიანებით, მაგრამ მაინც...“

როდესაც დამროკა წარუდგინე, მოტელებილი თავი ასწია, ცერად აჩედა და გაუღიმა. ვისაც ასე უღიმიან, მას ერთდროულად აცხელებს და აცივებს ხოლმე. „ყველაფერი გასაგებია“, თქვა მან, მეტი არაფერი. მერე ისევ სტუმრები შემოეხვივნენ.

დაბადების დღის პროლოგზე კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა. მაგალითად ის, რომ საჭმელი მარიას დელიკატესების განყოფილებაში იყო ნაყიდი შეღავათიან ფასებში. ან: როგორც კი ტერასა ხალხისგან დაიცალა, იაპონელებმა სურათების გადაღება დაიწყეს, ერთ-ერთ სურათზე ჩემსა და დამროკას შორის იუბილარია აღბეჭდილი. ან: კურტჰენი ოსკარს თავის ვალებზე ელაპარაკება და თან „მაპიკოს“ ეძახის. ან: გვიანი ზაფხულის საღამოა, მწერები არ გვაწუხებენ, მხიარულებაა, ოქროსფერ... და მაინც იძულებული ვარ ამ ალაგ-ალაგ ხე-

ლოვნურად შელამაზებულ დღესასწაულს, რომელსაც მხიარულად და საერთო ჯამში ბუნებრივად უნდა ჩაეელო, უსიამოვნების ჩრდილი მივაყენო. ახალი ამბავი ბრუნომ მოიტანა. ტელეგრაფმა ვერცხლის სიხსუ ელო. აქამდე ტელეგრაფები და მილოცვები შავიდაზე ელაგა, ეს კი ხელში მისცეს ოსკარს. შესაძლოა ბრუნოს ეს ჩვევა — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნობების მიხედვით და მისი სურვილის წინააღმდეგ მიწოდება, იყო სტუმრების განსაკუთრებული მიზეზი. ჩემ შემდეგ ჯერ იმ რეჟისორმა, დროდადრო რომ ხშირად იყო ოსკართან, შეამჩნია, რომ რაღაც ხდებოდა, მერე პროფესორმა. ბოლოს ყველამ იგრძნო, აქ ვიღაც უცხო რეჟისორის ხელი რომ ერია. მგონი, უკვე ვთქვი, ბატონი მაცერათი კითხვის დროს სათვალეს იხსნის-მეთქი? სათვალე გვერდულად ეჭირა ხელში, ნუკი კი გაბზევილი ჰქონდა. ტელეგრაფმა რომ წაიკითხა, მიმოიხედა, მისი ლურჯი თვალები თითქოს ყველაფერს ჩახვდნენ, სწრაფი მოძრაობით კურტჰენს უხმო და უთხრა: „შვილო ჩემო“, და მერე: „ის შენი დიდი ბებია იყო“ და სთხოვა ტელეგრაფმა ხმაბაღლა წაეკითხა.

მატარნიის ამავე სახელწოდების ეკლესიის მღვდელი იუწყებოდა, რომ ანა კოლიაჩეკი გარდაიცვალა. ბიბლიურ ასაკში წავიდა ჩვენგანო, — ნათქვამი იყო ტელეგრაფში. კურტჰენს თავისი ამოცანის შესრულება გაუჭირდა, ენა ებმებოდა და ასო-ასო ძლივს კითხულობდა. „ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას“, — ნათქვამი იყო ბოლოში.

ბრუნომ ალბათ იგრძნო, თუ რა ვითარებაში შესძლებდა ჩვენი ბატონი მაცერათი ბებუის გარდაცვალების ყველაზე იოლად გადატანას. იგი გულმოდგინედ ავსებდა ჭიქებს, რათა ოსკარის სურვილი, ბებუის შესანდობარი შეესვა, დაუყოვნებლივ აღსრულებულიყო. ბ-მა მაცერათმა დალია ანა კოლიაჩეკის შესანდობარი, მერე სტუმრებს მწუხარების გაზიარება აუკრძალა, მოუწოდა ემხიარულათ, — დაღუპულის ხასიათიდან გამომდინარე სწორედ ეს იქნებოდა მისი პატივისცემა.

ასე რომ, სტუმრები არ დაიშალნენ, მხოლოდ კურტჰენი წაეიდა. ყველანი ჯგუფებად იდგნენ და ხმადაბლა საუბრობენ. რიდესაც ჩვენმა ბატონმა მაცერათმა უფლება ითხოვა დამჯდარიყო, მარია გვერდში ამოუდგა. უზარმაზარ სავარძელში ოსკარი კიდევ უფრო გაუბედურებული და დაჩიავებული ჩანდა, პარკეტის ფონზე გამოკვეთილად მოჩანდა ლაქის ფეხსაცმელები. დამროკამ ჩამჩურჩულა: „ხედავ, მისი ხელი უჭირავს“. მარია კარგა ხანს იდგა ასე, ოსკარს გვერდიდან არ მოშორებია.

ალარ მახსოვს, ჩემ გარდა კიდევ ვინ სთხოვა პროფესორს ამ სამწუხარო ფაქტის გამო სიტყვა წარმოეთქვა, ალბათ რეჟისორებმა და პოეტებმა. ყოველ შემთხვევაში პროფესორმა ისე ღრმად და ვრცლად დაიწყო თხრობა ყოველგვარი მომზადების გარეშე, თითქოს ანა კოლიაჩეკის შესახებ წარმოთქმულ სამგლოვიარო სიტყვაში მსოფლიოსა და მისი მდგომარეობის ახსნა უნდაო. „ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რას განასახიერებდა იგი“, თქვა მან, რათა მოეყოლებინა ის, რაც მართლაც ყველამ იცოდა: „მან საუკუნეზე მეტ ხანს გაუძლო ამ საშინელ, მეტიც, ამ ბარბაროსულ ეპოქას, ცხადია, ის არ იყო მოვლენების ცენტრი, მაგრამ დრომ მაინც გასტანჯა. ეს მისი შვილიშვილი იყო, მოვლენებში რომ თანამონაწილეობდა, მოქმედებდა და დიახ, დიახ, დანაშაულიც კი დასწამეს. მაგრამ ბებუის გარეშე, რომელიც მუდამ თავის ადგილას იყო, კაშუბეთის მინდვრებში (ამასობაში ჩვენ გავიგეთ, რომ კაშუბეთი თურმე ცალკე სამყაროა), მის გარეშე ჩვენი ოპოზიციონერი და უჩვეულო ვპირი უგზოუკვლოდ დაკარგული იქნებოდა.

მერე პროფესორმა ოსკარის ოცდამეათე დაბადების დღე მოიგონა და ყველაზე ფარული წვრილმანების მცოდნე კაცის კილოთი გააგრძელა; „მაშინ ეგონა, ჩვენგან თავის დაღწევას მოახერხებდა“. მერე ჩვენი ბატონი მაცერათის შემდგომ ცხოვრებას ორმოცდაათიანი წლებისათვის ტიპური უწოდა, საკუთარი თავი და საკუთარი ოპოზიციონერობაც ახსენა და მხოლოდ გაქრეთ მუცხიო მაცერათის ვიდუფილძებს, სხვათა შორის ცოტა კიდევაც გაქრეთ მუცხიო პრასი იხად, ჩვენი მეგობარი ახალ საშუალებებზე გიჟდება! ამას კიდევ ერთი წინადადება დაურთო, რომელიც მე მეხეობდა, მარიას პატივისცემის ნიშნად თავაზიანი რევერანსი გაუკეთა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად გამოაცხადა: „ახლა კი ოსკარი ისევ მთლიანად ჩვენ გვეკუთვნის!“.

დაბადების დღეს, მართალია, სევდა შეეპარა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც მზიარულად გაგრძელდა, ორატორს ულოცაუდნენ. ჩემს დამროკას ბატონი მაცერათი ადრეულს ბაროკოს საეკლესიო მუსიკის შესახებ ხანგრძლივ საუბარში რომ არ ჩაუტრია, ალბათ ბოლოს პროფესორს მეტი ყურადღება ხვდებოდა წილად, ვიდრე იუბილარს. მერე სტუმრები მან ბალტიის ზღვაზე მოგზაურობის აღწერით დაატყვევა, არაფერი არ გამოუტოვებია, მიონი, ვისბი თუ გრაციუსკალდის უბე. „ოდინდ მეღუზები უკვე ეელში ამომივიდა“ – თქვა დამროკამ. ამის შემდეგ ოსკარი ჯერ მარიასთან ხელიხელ ჩაკიდებული დადიოდა, მერე კი სტუმრებს შეერია.

შემთხვევით გავიგე, რომ „გრიმების ტყეების“ გადაღებაზე ჯერჯერობით ფიქრისც კი ზედმეტი იყო. ეს ამბავი ფირმა „პოსტფუტურუმის“ რწმუნებულმა გამანდო. თუ ეს დაგამშვიდებთ, ახლო მომავალში მალსკათის თემაზე დაიწყება მუშაობაო. ბატონი მაცერათი დარწმუნებულია, რომ მომავლის გასაღები ორმოცდაათიანი წლების ნაშთებში უნდა ვეძებოთო.

კინორეჟისორები მომავალ გეგმებზე და საქმეებზე ლაპარაკობდნენ. გაუგებარი მიზეზის გამო პოეტი კიდევ უფრო მოიღუშა. მე სისულელე მომივიდა და გენოსთან კამათი წამოვიწვე. კიდევ კარგი, პროფესორი და დამროკა კარგ ხასიათზე იყვნენ, თვით გაუპარსაკი პოეტიც კი ვააცინეს! ჩვენმა ბატონმა მაცერათმა ტაშა შემოჰკრა (ამ წუთში მას ძალიან სანდობიანი გამომეტყველება ჰქონდა) და ყურადღება მოითხოვა. თითქოს წვეულების სათანადოდ დამთავრება სურსო, გამოგვიცხადა, რომ „ძირითადად პირად თემაზე“ გადაღებულ ვიდუფილმს გვიჩვენებს, რომელიც „სამწუხარო ცნობის“ შემდეგ ალბათ საყოველთაო ინტერესს გამოიწვევს. რაღა გაეწყობოდა. ვნახეთ „პოსტფუტურუმის“ ყველა ფილმი. იქ ასახული მოვლენები ამასობაში უკვე წარსულს მიეკუთვნებოდა. ბრუნომ ფარდები ჩამოუშვა, ზაფხულის მზეს მოგვარიდა, სკამები, როგორც კინოში, ისე დააღაგა, ფართო ეკრანისთვის განკუთვნილი აპარატი ცენტრში დადგა, ყველას კიდევ ერთხელ შეუვსო ჭიქა და ვიდუფილმაგნიტოფონში კასეტა ჩართო: „დრამად პატივცემულ ანა კოლიაჩეკის, ქალიშვილობაში ბრონსკის, ასმეშიდუ დაბადების დღე“.

რა კარგია, რომ სოფლის დღესასწაული ვნახეთ. თორემ ოსკარს რომ საკუთარი სამოცი წლისთავის აღსანიშნავად გამართული ქალაქური წვეულება გადაელო წინასწარ, ახლა იმის მოყოლა დამჭირდებოდა, თუ რაოდენ ზუსტია მისი ხილვები. ყველაფერი, მარიას დელიკატესები, ყოველი ორაგულისა და ბატის თეთრი ხორცის ნაჭერი დათვლილი იქნებოდა, ყოველი სტუმარი, პოეტის წვერი, წინასწარნამეტყველები, ჩემი დამროკას მოყვითალო-მოოქროსფრო სამოსი, სმოკინგზე ჩაცმული მთამსვლელის ფეხსაცმელები, ბოლოს ტელეგრაფი ვერცხლის სინზე, კურტჰენის ბლუკუნი, პროფესორის მსოფლიო პრობლემატიკისად-

მი მიძღვნილი სიტყვა, თვითონ ისიც, პატარა, მაგრამ ხელგაშლილი პიროვნება კუბოკრული შარვალ-კოსტუმში. ერთი სიტყვით, ყველაფერი, გუბნებით, ყველაფერი წინასწარ იქნებოდა განჭვრეტილი და მოძავლის ხელიდან გამოვლენილი, თვით მარიას ხელიც კი მის მოცუცქნულ ხელზე. მაგრამ, კიდევ კარგი, ოსკარმა დაგვზოგა და წვეულება ანა კოლიანევის ქოხის წყნებულ დაამთავრა. როდესაც დამროკა და მე ღერუფანში ვიდექით და უკანასკნელ სტუმრებთან ერთად უკვე წასასვლელად ვემზადებოდით, ჩვენი ბატონმა მაცერათმა უკან მიმბრუნა. „მოდით მთავარზე ვილაპარაკოთ! — წამოიძახა მან. — ვოტსონკრიკების თითები თუ დაგიტვლია ოდესმე? ერთიდან ხუთამდე წესიერად თუ დაგიტვლიათ? აუცილებლად დაითვალეთ, აუცილებლად! სასწრაფოდ!“

შემთხვევა ჩამიყარდა თუ არა, დავითვალე. იმ ჯუჯების მსგავსად, რომლებიც ოსკარმა გამუბელი ბავშვების გასახალისებლად წაიღო პოლონეთში, ახალ შვედებსაც ცერის გარდა ხელებზე მხოლოდ სამ-სამი თითი აქვთ. ამას განსაკუთრებით კარგად ვხედავ, როცა ახლოდან მესიზმრებიან. ასევე სამი თითი აქვს თვით ჩემს ხუჭუჭასაც, ახლა რომ ორდანი სკამზე ზის. მაგრამ ყველანი ჯუჯებით მარჯვედ, სწრაფად და პროფესიონალურად მოქმედებენ. ვხედავდი, ჰუმანთა ყოფილ იარაღებს როგორ იყენებდნენ დანიშნულებისამებრ: სახრახნისს, ჩაქუნს, ბორბალსა და ფარგალს. არა მხოლოდ მაშინ ჰგავდა მათი ენა ჯუჯურს, როდესაც ბრძანებებს იძლეოდნენ. რომ მივაყურებდი, თითქმის ყოველ მესამე სიტყვაში სიტყვის წინა ან ბოლო მარცვალში „ჯუჯ“ ბგერები მესმოდა. ჯერჯერობით ძლომამდე სკდებიან და სკანდინავიური წარმოშობის შესაბამისად ჯუჯურად სიტყვაძვირები არიან.

ჩვენი ბატონი მაცერათი ამბობს, თურმე ვოტლანდელ გენეტიკოსებს ბავშვურ სიხარულს ანიჭებდათ ის გარემოება, რომ თავიანთი ქიშკრებისთვის სამი თითის გარდა ის პლასტიური უცხო ენაც დააპროგრამეს, რომლის ინფანტელური საფუძველი გვიანჰუმანთა ხანის მეცნიერებისათვის ბავშვობიდან ცნობილი იყო. სავარაუდოა, რომ უფსაღას უნივერსიტეტში მიზანდასახულად ჩაატარეს ეს ლინგვისტური ექსპერიმენტი: ექსტრემალურ ვირთხას ექსტრემალურ ადამიანთან ყოველდღიური ურთიერთობა ხომ ენის საშუალებით უნდა აქონდეს!

და მართლაც: იმ ხანიდან, როდესაც ვოტსონკრიკები ხმელეთზე გადმოსხდნენ და საწყობთა კუნძულზე დასახლდნენ, მათ ცხადად გამოუმუშავებული აქონდათ გაწონასწორებული, დავარქვათ ამას სოციალ-დემოკრატიული ქცევის ნორმები. კენჭის ყრასა და საქმიან დებატებს ბოლო არ უჩანდა. ხშირად გაიგონებდით ასეთ ცნებებს: სოციალურ-ჯუჯური წყობილება და ჯუჯოკრატია. სწავლას მოწყურებული ვირთხები მათ შორიდან უსმენდნენ. ამდენად სრულებითაც არ არის საკვირველი, რომ მეორე ბგერათგადანაცვლების ხანაში მათ ენაშიც ჩაისახა ჯუჯური შემოკლებანი. ჩვენი ბატონი მაცერათისთვის ბავშვობიდან ნაცნობია ჯუჯური სულისკვეთება, ჯერ კიდევ ძანამდე, ვინემ ლურჯ-თეთრ ჯუჯებს დაამზადებდნენ. ამიტომაც სურს თავის ვიდუოფილმს პოსტჰუმანური განვითარების შესახებ ასეთი სათაური მოუძებნოს — ჯუჯა გადაარჩენს სამყაროს! სამყარომ კი, სამწუხაროდ, უარი თქვა გადარჩენაზე, კვლავაც ყველაფერი შეცდომით მოხდა. სასკოლო რადიოს გადაცემის შემდეგ ვუთხარი ჩემს დედალ ვირთაგვას: ხომ ხედავ, ამ ბოლო ხანებში ახალი შვედები შამფურებზე შემწვარ ვირთხებს მიირთმევენ. კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა მომხდარიყო. მათში ხომ ადამიანური ნაწილი მართლაც ძალიან დიდია. დედალ ვირთაგვას, მე რომ მესიზმრება, მობეზრდა თავის ჩვეულებრივი ვირთხული გარეგნობა და სურს დამროკასავით ხუჭუჭთმიანი იყოს.

ან იქნებ მე აღარ მინდოდა, ჩემო ვირთაგვავ, შენი სიზმარში ნახეა? ან იქნებ, რაკი მაინცაღამაინც ვირთხა ვინატრე, აუცილებლად მანიპულირებული უნდა ყოფილიყო? ასეა თუ ისე, სიზმარშიც და ცხადშიც დაუშვებელია მანიპულირებულებს ეკუთვნოდეთ მომავალი! თავიდან მოვიცილოთ! ჩემი ვირთხავ, აღი-
მალლე ხმა! თქვი: ამათაც მოვუღებთ ბოლოს! ისინი თვითონ გვანდგურებენ სა-
კუთარ თავსო, ჩვენ კი მათ სიამოვნებით მივეხმარებით! ~~სიზმარში~~ ~~ხანა~~ ძალიან
ადამიანურები გამოვიდნენ-თქო.

მესამე პროგრამაში ელბასა და ზაალეში წყლის დონე გამოაცხადეს, ამის გა-
გონებაზე ვირთაგვა გამოცოცხლდა, გაიზმორა, ჩვეულებისამებრ ჰაერი დაყნო-
სა, რამდენიმე წამით საჭმლის ჯამსა და მაწოვარას ბოთლს შორის განერდა
და მერე ისევ თავის ნახევრად ჩაბნელებულ საძინებელს შეაფარა თავი, როდეს-
საც გადაცემა „პოლიტიკა შუადღისას“ დაიწყო და ნიკარაგუაზე საუბარს ბოლო-
არ უჩანდა.

როგორ გაიზარდა! და მაინც ისევ და ისევ იზრდება. ჩვენ ერთი აზრი გვაქვს:
ვოსტონკრაკების ფარფაში უნდა დამთავრდეს! თვით ჩვენს ბატონ მაცერაი-
საც კი, რომლის ვიდუოფილმშიც მომავალი ადამიან-ვირთხებს რჩებოდათ, თავისი
მესამოცე დაბადების დღის შემდეგ საკუთარ კონცეფციაში ეჭვი შეეპარა.
„ერთი წუთით დაძივდეთ ყური, — თქვა მან და თითქოს სათამაშო ფეხი განზე
გაღვა, — მე ბავშვობიდანვე ინფორმაცია-პროპაგანდის საშუალებებისათვის ვი-
ყავი გაჩენილი. რალაც თუნუქის ნივთს მეტი ძალა მივანიჭე, ვიდრე მას რეა-
ლურად ჰქონდა, მაგრამ დიდზე დიდი მარცხი განვიცადე. ჩემს ხმას, რომელიც
მართლაც მჭახე იყო, გაცილებით მეტ ძალისმიერ აქციებს მიაწერდნენ, ვიდრე
მართლა ჩამიდენია. სინამდვილეში კი ჩემი დამცველი საშუალება ძალიან ცუდ
დროს დავკარგე. მერე, როდესაც ყველაფერი ისევ მაწიქსრივდა და ფალბი ორ-
მოცდაათიანი წლები სულ უფრო მეტ იმედს გვიჩერგავდნენ, გადავწყვიტე ჩემი
ბავშვობის დროინდელ თუნუქის დაფლავს - დავბრუნებოდი კვლავაც, რადგან
ხმა საბოლოოდ დავკარგე. ყავლგასული საკრაკი კიდევ ერთხელ გავაცოცხლე
წარსულის მოსახშობად. საკონცერტო დარბაზების გავსება მოვახერხე, სანამ
ბოლოს წარსული ყველას ყელში არ ამოუვიდა. ასე თუ ისე, ვცხოვრობდი
პროცენტებითა და მოგონებებით, მინდოდა ყველაფერზე ხელი ჩამექნია და სი-
ტყვა ყოველ წუთს მოსაღიღნელი წყვილიადისათვის დამეთმო, მაგრამ სწორედ
ამ დროს აღმოვაჩინე ურთიერთობების ახალი საშუალება. განსაკუთრებით ვი-
დეოკასეტა მომწონს, რალაცნაირად ინტიმური და სახლში ხმარებისათვის გა-
მოსადეგია. მოკლედ: ვიდუობაზარზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება აღ-
მოვაჩინე და საშუალოზე იდნაე უფრო ძალადი დონის ერთიულ-საგანმანათლებ-
ლო ფილმებს ვუშვებდი. მაგრამ მერე, როდესაც აშკარად თვალში საცემი გახდა,
რომ ჰუმანთა ისტორიის აღსასრული მოახლოვდა, ის შემოქმედებითი სფერო
მოეძებნე, რომელიც ჩემს ნიჭს შეესაბამება. უკანასკნელად გადავიღებ წარსულს.
ეს ჩემი მოვალეობაა საკუთარი თავისა და მხატვარ მალსკათის წინაშე, ხოლო
მერე „ახალი ილზებილი“ იმოგზაურებს და მეც თითქმის დოკუმენტური სიზუს-
ტით ავსახავ ჩვენს აღსასრულსა და წინასწარ წარმოვადგენ პოსტჰუმანურ ის-
ტორიას. ცხადია, ახალი შვედებისათვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა მე-
ტი ვირთხული ინსტინქტები ჰქონოდათ და ნაკლები ადამიანური რაციონალუ-
რობა. საქმე ისე მიდის, რომ პროცესი ალბათ ხანმოკლე იქნება. დამონებულ
ვირთხებს შორის უკმაყოფილება იზრდება. სამწუხაროდ, ყველაფერი ისე მოხ-
დება, როგორც წინასწარ არის განსაზღვრული. ვავბედავ და პროცესს ვავა-

კეთებ. ბებიაჩემის სიტყვებით რომ ვთქვა — იმის სულს აცხონებს ღმერთი: „მათგან აღარაფერი დარჩება!“

კუნძულზე კი არა, კაშუბეთში დაიწყო ეს ყველაფერი. ქერისა და სიმინდის ყანებში ზედამხედველ მანიპულირებულთა წყვილები ქრებიან. უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშენებული მხესუმხირას პლანტაციებიც იღუპებიან. მათ ვირთხები ესხმან თავს, სულ უფრო და უფრო მეტი ვირთხები ასე მთავრდება მათი ზედამხედველობის როლი. ეს ყველაფერი ძალიან იოლი ჩანს, თითქოს ბანდიტებსა და პოლიციელებს თამაშობდნენ. ეს ხომ ადრეც შეეძლოთ. ვირთხები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ შეიძლებოდა სულ ადვილად ნაკვერჩხალზე შებრაწულ ჩასუქებულ ვირთხებად ქცეულიყვნენ, დღეს მანიპულირებულთა ხორცს მიძენიან და მათ ძვლებს ხრავენ.

არა, შემეშალა. საჩამ კაშუბეთში და შემდეგ კი კუნძულზე ეს ყოველივე დაიწყებოდა, ჯერ რაღაც მოხდა. აბრაზე რკინის ასოებით ამოკვეთილი ის სიტყვა, რომელიც ბოლოს რატუმის მუზეუმში ინახებოდა, სადღაც გაქრა. ახალმა შვედებმა აბრა, მართალია, მოიკითხეს, მაგრამ ამ ქურდობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიაჩნჯეს. სხვა დროსაც იპარავდნენ ხოლმე რაღაც-რაღაცებს, მაგალითად, ჯუჯებს. ახლა კი შეცდომას უშვებენ, თავის თავში იმდენად არიან დარწმუნებულები, რომ რკინის ასოებით დაწერილი სიტყვის მნიშვნელობა ავიწყდებათ. არადა, ამ მნიშვნელობის ასტორია ჯერ კიდევ ჰუმანთა ხანაში იწყება. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც სიტყვა მოიტაცეს და ახლა სადღაც იატაკქვეშეთში ინახება და მოქმედებს, თანდათანობით ყველაფერი ინგრევა, რაც კი ვოტსოჩკრიკებმა თავიანთი სისტემის დასაცავად შექმნეს.

ცხადია, ახალი ზედამხედველები მოდიან. მაგრამ ისინიც ქრებიან და მხოლოდ მათ ჩონჩხებსღა თუ პოულობენ ხანდახან. სიმინდის ტაროების, მხესუმხირათი სავსე ვიდრების, ქერისა და ოსპის გადაზიდვა სულ უფრო და უფრო ფერხდება. ქალაქის მთავარ საწყობში — დიდ წისქვილში, სასტუმრო ჰაველიუსში, არსენალში, თეატრსა და ლენინის სახელობის ვერფის სასადილოში სურსათი ვეღარ გადააქვთ. დამსჯელი რაზმები სიცარიელეს ებრძვიან, ტყუვლებიან, ვაიხსელის დაბლობებში იქსაქსებიან, კაშუბეთის მთებში ქანცგაწყვეტილები, განაჩევრებულნი ბრუნდებიან. მას შემდეგ, რაც სასაზღვრო პოსტების, კარტუზისა და სოვი სტავის სანაპიროზე გამაგრებული ძველი ნანგრევების (ამ ადგილს ოდესღაც ოლივა ერქვა) შენარჩუნება შეუძლებელი ხდება, ახალი შვედები უკან იხევენ. ოდესღაც დატბორილ ტერიტორიაზე გაშენებული მწვანე ზოლის უკან ჰაველსბერგის სიმაგრეებსაც ტოვებენ. მერე ბიშოფსბერგსაც აბარებენ.

მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მოელი გულისყურით დაკარგული სამუზეუმო ექსპონატის ძებნას — იხხრიკება ყველა ეკლესიის საღარო, ვერფის სასადილოს სარდაფები. ხან სად და ხან სად უნახავთ თურბე მოპარული სიტყვა. ძიება უშედეგოა. მხოლოდ მითქმა-მითქმა მატულობს. საწყობთა კუნძულზეც უშედეგოდ დამთავრდა ძებნა. აქ მცირე ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ახალგაზრდა ჩასუქებულ ვირთხებს მოუყრიათ თავი, ძიების პროცესში ხშირად ხდება შეტაკებები. დასაშინებლად მიღებულია გადაწყვეტილება: მოხდეს მათი მასობრივი განადგურება. ლენინის სახელობის ვერფის მიდამოებში, ასევე ეკლესიებშიც, რომელთა შესახებაც ხმაა გავარდნილი, თითქოს იქ ვირთხები ფარულად იკრიბებოდნენ, მაგ. წმ. ბრიგიტეს ეკლესიაში — ძიება ასევე უშედეგო აღმოჩნდა. არადა, სიტყვა თითქოს ჰაერში დაფრინავს. ყველას პირზე აკერია იგი. თუმცა ამ დაწყევლილი სიტყვის ხმარება აიკრძალა. ოთხმარცვლიანი სიტყვის თვით გაჯუჯებული გამოთქმაც კი არ შეიძლება. რადგან მთვრალ მღვდომარეო-

ბაში ეს სიტყვა რამდენიმეჯერ ხმამაღლა წარმოითქვა. ქერის მოწოდებაც შეწყვეტილია, ყოველნაირი ლუდის გამოხდაც აიკრძალა.

გასაცოდაკებული ვირთხები ორ რიგად ჩამწკრივებულები არსებობს, წიხტილს, სასტუმროს მაღლივ შენობას და სხვა საწყობებს დარაჯობენ. ვერც კი ხვდებიან, რომ მარცვლეულის მარაგი ქვევიდან ქრება, ამოიჭრებიან ხვრელებიდან, თითქოს რაღაც ძალა იზიდავსო. მარცვლეულის მტეხების შენარჩუნება შეუძლებელია და მარაგი თვალსა და ხელს შუა იღვევა. მას შემდეგ, რაც უზარმაზარი, დასაკლავად ნაპატიები ვირთხები აჯანყდნენ და ჯერ თავიანთი ფერმა, მერე საწყობთა კუნძული და ბოლოს ტყვია-წამლის საწყობებიც დაიკავეს, ცენტრალური ხორცის საწყობის დირექტორ-გამგებებისაგან მხოლოდ ძულები და თმის ბლუჯები დარჩა. დაიწყო შიმშილი — ადამიან-ვირთხების შიმშილით სიკვდილი.

ვხედავ: დაბნეულები და შემინებულები არიან. სკანდინავიური სიმშვიდისა და გოტლანდური სიმამაცისა აღარაფერი შერჩათ. ძველი ქალაქის შენობებში იმალებიან. მათთვის ჩვეული სეირნობა, ფრაუნგასეზე და ლანგგასეზე აღმადამა სიარული ახლა სახიფათოა. კანალიზაციის მიღების საშუალებით ვირთხებმა ძველ და ახალ შენობებში შეჭრა მოახერხეს. მიღებში სათითაოდ მიძვრებიან. ასე რომ, ახალი შედეგების მდგომარეობა შიგნითაც სახიფათოა. ჩვენი უკანასკნელი თავშესაფარი წმ. მარიამის ეკლესიააო, — გასძახიან და აფროზილებენ ერთმანეთს.

ვხედავ: ნაჩქარევად, მაგრამ მაინც ორგანიზებულად ტოვებენ შეშა-ნახშირის ბაზარს. მაღალი კოშკი, რატუშა და გრძელი ბაზარიც დაცალეს. ძაღლების ჩიხიდან ბოიტლერგასეზე გარბიან. პილონური ფოსტის ყოფილი შენობიდან სოლისებრი კოლონა თევზის ბაზრის, გრძელი ხიდის და სულიწმიდის ტაძრის გავლით მოტლაუსკენ იხევს. არეულად მიემართებიან წმ. მარიამის ეკლესიისაკენ. თუ სასწაული არ მოხდა, აქ ყველას შიმშილით ამოსძვრება სული. ბოლოს აღბათ ასე ოცდაათი ათასი თუ დარჩა. მაგრამ უზარმაზარი გუმბათოვანი ეკლესია მათთვის იდეალური თავშესაფარი არ არის. სასწაული აღბათ არ მოხდება. ყოველი ზევით ახედვისას ახალ საშიშროებას ხედავენ. აქ თაღებში და სვეტებზე ერთმანეთზე მტეხნებივით ჩამოკონწიალებული ახალგაზრდა ვირთხები ჰკილია და მოთმინებით იცდიან.

რის ვაივაგლახით ხერხდება ატეხილი პანიკის დაშოშმინება. შიმშილის გარდა ვოტსონკრიკებში რაღაც ეპიდემიაც ვრცელდება. თითქოს გენი გენს ებრძვის მათში. როგორც ჩანს, ადამიანური იმარჯვებს. სულ მცირე მიზეზის გამო მზად არიან ერთმანეთს ყელში სწვდნენ. მერე ერთმანეთს ახრჩობენ. ეკლესიის შუა ნავში გვაძების მთაა აღმართული. საკურთხევლის უკანა ტერიტორიის დათმობა უხდებათ; ორღანიც უნდა მიატოვონ. აქამდე მუსიკის ჰანგები მაინც ანუგეშებდათ; უკანასკნელად პასაკალია! მოისმინეს: უშინაათ, გასასვლელებისგან მოწყვეტილი არ აღმოჩნდნენ, და ამიტომ ვოტსონკრიკების ნაშთები ჩრდილოეთის გასასვლელთან იკრიბებიან. ასამდე თუ იქნებიან, მათი რიცხვი დღითი დღე მცირდება. ცდილობენ ერთმანეთის შეჭმას, მაგრამ ვერ ახერხებენ. გული ერევათ. ბოლოს უკანასკნელი ახალი შედეგები უკანასკნელ ძალას იკრებენ — ხუთნი არიან, არა, მოიცა დავითვალო, სულ ცხრანი, არა, სულ თორმეტნი არიან — მკვდრების ტაძარს ტოვებენ.

1. ძველებული ეეკვა (იტალ.).

ფრაუნგასეზე უნდათ გაქცევა. გაჭირვებით უვლიან გვერდს ვირთხებით გა-
მოჭედულ სადარბაზოებს. პორტალები, სვეტები, აივნები, ფანჯრები ვირთხები-
თაა გაჭედული. უკანასკნელ თორმეტს თავს აღარ ესხმიან, მაგრამ მათგან მალე
ცხრალა რჩება, მერე რვა; ფრაუნგასეს კარიბჭის გავლით გრძელ ხილზე გაღ-
წევა მხოლოდ შეიძმა მოახერხა. ხუთნილა დარჩნენ, ერთ-ერთი მათგანი ჩემი
გამკალტყავებული დამროკაა. მწვანე კარიბჭის გავლით, — უხილვით უხილვით საწ-
ყობთა კუნძულზე მოხვედრა, წინ დამროკა მიუძღვით, — მისი მისი მოტლავს
ნაპირს და გემის ნაშთებს სურთ თავი შეაფარონ, მაგრამ „ახალი ილხებელიც“
ვირთხების ხელშია.

ვანა ძნელი იყო ამის წინასწარ განსაზღვრა? ან კი როგორ წარმოედგინათ ამ
ჯართით ზღვაში გასვლა; გემის ნაშთები ხომ უკვე ღირსშესანიშნაობადაა ქცე-
ული და მის სანახავად ვირთხები მოდიან ექსკურსიაზე? საით წავიდოდნენ, სად
შეაფარებდნენ თავს, ძრავა კიდევაც რომ აემუშავებინათ?

ეს ის ახალგაზრდა, კარგად ნაპატივები, ჩასუქებული ვირთხები არიან, რომლებ-
საც სულ ცოტა ხნის წინ გემრიელ საკვებს უწოდებდნენ, დღეს კი გემი დაუპ-
ყრიათ. სამი ახალი შვედი ჯერ კიდევ ორფეხზე დგას. ტორტმანებენ, ერთმა-
ნეთს ებლაუჭებიან. ცდილობენ არ წაიქცნენ. სიბრალულის აღმძვრელია, რო-
გორ მოუწოდებენ არაქათგამოცლილი ქესტებით ახალგაზრდა ვირთხებს გემი
დასცალონ. მათი თავთუხისფერი თმა გამოხუნებული და გაწეპილია, უბადრუ-
კი სანახაობაა. მომწვანო ვირთხები მონაცრისფრო-მოყავისფრონი ხდებიან.
მერე შავდებიან. აჯანყების დაწყებიდან სულ უფრო მუქდებიან, თითქოს უკან,
წარსულში ბრუნდებიანო, და იმ ჯიშს ემსგავსებიან, რომელსაც ადამიანები
rattus rattus-ს, ანუ უბრალოდ — შავ ვირთხას ეძახდნენ — როგორც ამბობენ,
მათ მოუტანიათ ადამიანებისთვის შავი ჭირი.

სულ ბოლოს ჩემი დამროკა იღუპება: ჯერ მუხლებზე ეცემა თმააჩეჩილი, მერე
დანარჩენებს თავზე ემხობა — იმავე წუთს ვირთხები ესხმიან ხუთივეს თავს.
ყველა შავდება და ხორცი ებრუნჭკებათ. არ ისმის არც კენესა, არც ჩივილი,
ყურში თითქოს ზარების ხმა ჩამესმის, ვაცოცლებით უფრო ხმადაბლა, ვიდრე
ვოტსონკრიკების გამოჩენისას.

მესიზმრა, თითქოს ნება დამროეს იმედი მქონდეს
რაღაც ნაფშხვენის და კიდევ იმის, რაც თეფშზე
დარჩა სალაფავის შესანსვლის შემდეგ, იმედი, რომ არა
რაღაც იდეა, უფრო ალბათ შემთხვევითობა,
კეთილგანწყობად წოდებული, გზაშია უკვე.
ვერ შეაჩერებს მას ვერა საზღვარი და გავრცელება
ყველგან, ყველა მხრივ ეს გადაძვები,
თუმცა შვების მომტანი შავი ჭირი.

მესიზმრა, თითქოს კვლავ რაღაცის იმედი მქონდა —
ზამთარში ვაშლის და სადღესასწაულო ინდაურისა,
მარწყვის ყოველ წელს,
კიდევ ვაჟთა გამელოტების და
ქალთა გაჭადრაკების, მოხალიცი ბარათების შვილიშვილთაგან,
იმედი ავანსის და პროცენტების, თითქოს ადამიანს
კვლავაც განუსაზღვრელი კრედიტი ჰქონდეს.

მესიზმრა, თითქოს ნება დამრთეს ჩემი თავის დანუგეშების, სიტყვებს ვეძებდი ამ იმედის დასაბუთების და დასაბუთებულ იმედის დასიზმრებისა თავის დასამშვიდებლად. შევეცადე და გამოვთქვი კიდეც ახლის, კარვის იმედი. ფრთხილი იმედის შემდეგ ის მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, მას ცრუს და მატყუარას ვუწოდებდი.



ვეაჯობოდი შეწყალებას.

და ეს უკანასკნელი იმედი ჩემი მჩატედ, მსუბუქად მაწვა გულზე. მესიზმრა, ბოლოს მომცეს უფლება იმედისა, რომ ყველა მანქანის გასაღებს გადასდებს გვერდზე და ღია კარში ადამიანებს ამიერიდან ერთმანეთის რწმენა ექნებათ. და გამართლდა ჩემი იმედი, ახლა იხინი ერთმანეთს ლუკმას უყოფენ.

ოღონდაც ეს მხიარულება, რომლის ასეთი იმედი მქონდა, არ მეჩვენება ჩვენებურად.

ხმამალლა დაგვცინიან ვიროხათ ტომები მას შემდეგ, როცა უკანასკნელ იმედთან ერთად ყველაფერი ქარს გავატანეთ.

დაინახე დაფაზე რკინის ასოებით ამოტვიფრული სიტყვა? დამარცვლე იგი? გემის ჯართზე შუა ადგილას გამოჩნდა ოთხი მარცვალი (სოლიდარნოსტი), როდესაც ყველაფერი დამთავრდა.

ისევ აქ არის იგი და იცინის. იმ ხარჩევი ახალგაზრდა ვიროხებიდან, რომლებიც ვაისხელის დაბლობზე მოაგროვეს გასასუქებლად, ერთ-ერთი ჩემი დედალა ვირთაგვაა. ახლა ისევ ჩვენ გვეკუთვნის მომავალიო, — ამბობს იგი, — აღარაფერი არ დარჩა მათგან, ნაფშხენიც კი. ხედავ, მხოლოდ ჩვენ, მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის მომავალიო!

ივხედავ, როგორ მრავლდება ვიროხების მოდგმა. ბოლოს და ბოლოს ადამიანებისაგან განთავისუფლებული მიწა მათ ეკუთვნით. ზღვაში თურმე კვლავ უამრავი თევზია. ქალაქის უკან, პორცვებზე, გაუვალი ტყეებია. ცა ჩიტებს ეკუთვნით. ახალი, მანამდე წარმოუდგენელი ცხოველებიც გაჩნდნენ, მათ შორის ძუძუმწოვარა ნეხვის ბუხები. ძველი დანციგი ინგრევა. მდიდრულად მორთული ფასადები იფშხენება, დაბზარული კოშკები იმსხვრევა. გოტიკური სახურავები იბრიცება და ინგრევა. ნელ-ნელა ყველაფერი ნაღვურდება. აღარც წმ. მარიამას ტაძარი, აღარც ერთი ეკლესია აღარ არსებობს.

დედალი ვირთაგვა თხრობას ამთავრებს და ამბობს: ასე წაიშალა ადამიანის ჯიშის უსაშინლესი იდეა, მისი უკანასკნელი პირმშოც აღგვილია პირისაგან მიწისა. ადამიანმა კი არა, ჩვენ ვისწავლეთ ისე ცხოვრება, როგორც რკინის ასოებით ამოტვიფრულმა სიტყვამ დაგვმოძღვრა. ამიტომაც აღარაფერი დარჩა მის კვალად.

მე ჩვეულებისამებრ არ ვეთანხმები. ხომ შეიძლება, ვირთაგვავ, გემუღარები, უკანასკნელი იმედი მაინც...

აჰ, ეს შენ ხარ? მაგ შენს მარადიულ კოსმოსურ ხომალდში ^{სულ დაგვევიწყდი} რაო, ახალი გეგმები გაქვს?

დედალი ვირთაგვა ამბობს: რატომაც არა? რაკიდა ადამიანი ^{ერთნაირად} აღარ არსებობს, მას უნდა მიეცეს უფლება კვლავაც და კვლავაც იმედები დაამყაროს რაიმეზე! ამის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს. პირიქით, ხანდახან გაგვეცინება მაინც, როდესაც დაგვესიზმრებით...


დანარჩენს კვლარ ვარჩევ მის ხარხარში, დედამიწის გარშემო დასადგურებულ მხიარულებას რომ ერთვის. უთვალავკუდიან ვიროხათა ნაშიერებს, მათ შვილებსა და შვილიშვილებს ჩემზე ეცინებათ. და მაინც, — ვამბობ მე, — მაინც დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენ, სიზმრისეული ვირთხები კი არა, სინამდვილეში ჩვენ... ჩვენ, ვირთხები, უფრო რეალური ვართ, — ამბობს იგი, — ვიდრე ეს შენ შეიძლება დაგვესიზმროს.

მაგრამ ყველაფრისდა მიუხედავად ხომ მაინც უნდა...
 არაფერიც აღარ უნდა, აღარაფერი.
 მაგრამ მე მინდა, მინდა კვლავაც...
 კი მაგრამ, მაინც რა გინდა?

მინდა მხოლოდ დავუშვათ, თითქოს ჩვენ, ადამიანები, კიდევ ვარსებობთ...
 კარგი, დავუშვათ.

...მაგრამ ამჯერად ჩვენ ერთმანეთისთვის ვიარსებებთ და თანაც მშვიდობიანად, გესმის? ვიცხოვრებთ სიყვარულსა და სათნოებაში, ისე როგორც ბუნებამ შეგვქმნა...

მშვენიერი სიზმარია, თქვა ვირთაგვამ და გაუჩინარდა.



ირმა რატიანი



იაპონური დღიური

1994 წლის იანვრის თვეში, მუთლის, მათემატიკოსი კახაბერ კორძაია მიწვევით იაპონიას გავემგზავრე, სადაც 1996 წლის გაზაფხულამდე დავყავი. შორეულ კუნძულებზე გატარებულმა წლებმა საოცარი შთაბეჭდილებით ამაღსო. წყნარ ოკეანესავეთ ღრმა და ამომავალ მზესავეთ ელვარე იაპონურმა კულტურამ მართლაც რომ წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს ცნობიერებაზე. ეს მოკრძალებული სტრიქონები, რომელთაც „იაპონური დღიურის“ სიხელწოდებით წარმოვიდგენთ, ჩემი ერთგვარი ადამიანური და პროფესიული ხარკია გულთბილი იაპონელებისა და მათი ეგზოტიკური გვეყნის მიმართ. ვფიქრობ, უშუალოდ ნანახსა და განცდილთან თანაზიარება ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველი მკითხველისათვის.

ვაბი, საბი, სუკი...

შემოდგომა, განსაკუთრებით კი ნოემბრის თვე, განუმეორებელ იერს სძენს კიოტოს... ხელ-ხელა მივუყვები არაშიამას პარკის დაბურულ ხეივანს და წუთით არ მტოვებს ბუდნიერების განცდა — რა კარგია... რა საოცარია... ხეივანს მთელ სიგრძეზე ჩაჰყვება დაბურული ხეკერჩხლები და მსუბუქი ქარი ნაზად ფანტავს მათ წითელ ფოთლებს... გამეფებულ სიჩუმეს რიტმული ნაბიჯები არღვევს... ცხვირს ვრგავ შემოდგომის ფოთლების თაიგულში და ვაკვირდები, თანდათან როგორ მშორდება ათასფრთიანა წეროებით დამშვენებული კიძანო... მიიღის იაპონელი ქალი და რაღაცას სევდიანს მიდიღინებს...

„... მე გავიგონე ირმების ნაღვლიანი ბლაკილი შორს... იმ მაღალი მთის ფერდობიდან... თავაწყვეტილი ქარი კი ღმუის... ღმუის და ცისკენ მიაგორებს ხეკერჩხლის ფოთლებს, შემოდგომის ამ სევდიან მოციქულებს...“

(ხარუ მარუ)

...„საბი“ ამბობენ იაპონელები... ყოველივე წარმატალია... დრო მიედინება, მაგრამ არაფერი კვდება: გარდაცვალებას ხელმეორედ დაბადება მოსდევს შეწყვეტილი სიცოცხლე ახალი სუნთქვით იმსჭვალება და ბევრად უფრო ღრმა და გრძნეული უბრუნდება სამყაროს...

აი, ქვა... ქვაზე სისხლივით წითელი ყვავილი... რა ლამაზია... მზე ამოდის და მზე ჩადის, დღეები ზღვის ტალღებით ემსხვრევიან ნაპირებს... ყვავილი ფერმკრთალდება, ფითრდება, ჭკნება... მაგრამ არასოდეს წყვეტს არსებობას. — მიწის მფეთქავი ენერგიით გაქლუნთილი, ისევ ამოპყრის ფოთლებს და მომხიბვლელი ღიმილით შეეგებება ამომავალ მზეს...

სიცოცხლე ბრუნავს...

ქართული
ლიტერატურა

— თქვენ აუცილებლად უნდა ნახოთ ტოფუკუ ჯი — ღიმილით მეუბნება ქალბატონი საკურაი და თან მორიდებით მიდებს თუფშუე ცხელ ოკონომიკის, — რატომ მაინცა და მაინც ტოფუკუ ჯი? — ეკითხება კახა.

— როგორ გითხრათ... ჩვენში ამბობენ, რომ ტოფუკუ ჯი ნოემბრის თვის დედოფალია... წითელი დედოფალი — აზუსტებს ქალბატონი კაორუ...

1225 წელს აუგიათ რინზაის სექტის წევრებს ტოფუკუ ჯი ანუ ტოფუკუს ტაძარი, მისი დიდებული ეზო კიდევ ერთხელ ადასტურებს იაპონელთა დეკორატიულ ტალანტს... თუმცა, ეს არ არის დეკორაცია: ეს მხოლოდ სილამაზის შეგრძნებაა — წარმატებული სილამაზის მწვავე შეგრძნება... ჩემი ვაჟები, ჯანო და ლუკა მხიარული ყიფინით დარბიან წითლად გადაპენტილ მდელოებზე. ეკვრებიან ხეებს, კარდებიან, იცინიან... გაივლის სულ რაღაც ორიოდე კვირა და ამ ბაღში არ იქნება არც ერთი წითელი ფოთოლი, იქნება მხოლოდ შიშველი ხეები და აქა-იქ დაბზარული მიწა... მაგრამ ეს არ იქნება დასასრული, ეს იქნება მხოლოდ მსუბუქი თვლელა მორავი სასიცოცხლო ქარტეხილების წინ...

... სიცოცხლე ხომ ბრუნავს?...

„ვაბი, საბი, სუკი...“ იაპონური შექცენების საშუალება... სამივე გამორიცხავს რაციოს ბატონობას... მთავარია შეგრძნება, მთავარია წვდომა, მთავარია განცდა...

„ვაბი“ — ამბობენ იაპონელები: ადამიანის სული უნდა გაემიჯნოს გარესსამყაროს ყველა მატურ ხიბლს — სიმდიდრეს, ძალას, პატივმოყვარეობას... იგი უნდა იღვეს უფრო მაღლა, ვიდრე წვრილმანი სოციალური პრობლემები. ბუნების მიერ ბოძებულ მცირე, მაგრამ თვითმყოფად გარემოშიც შეიძლება იყოს სული ბედნიერი...

იაპონელთა „ვაბის“ ქვაკუთხედი კიოტოს ბამბუკების ბაღია... ღვანან აშოლტილი ბამბუკები — სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა სიმაღლის, სხვადასხვა ჯიშის... ღვანან და გაძლიერებენ ბუნებასთან ზიარების ბედნიერებით... მივდივართ და ქურდულად მოგვეყვებიან თვალუწვდენელი ბამბუკების ტოტებში მოუღვარე მზის სხივები... უნებურად მახსენდება ერთი ეპიზოდი:

კურამა დერას ტაძრის ეზოში ბერძუნასავით ღვას ათასწლოვანი ბამბუკის ხე... მის ძირში ჩია ტანის მოხუცი ზის, ფაქიზად უსვამს ხელს ბამბუკის ბებერ კანს და ღიმილით მეუბნება:

— ეს ბიჭი 2000 წლისაა... ეს კი მისი ნათესავია...

და მოხუცის თითები ნახად ულაციცებიან ბამბუკის ტანზე ამოკვეთილ დახვეწილ ფიგურებს. გასათვარი სიმძაფრით ხუნთქავენ ეს პატარა ფიგურები — თავად ბუნება ჰქმნის მათ სინატიფეს... მიყვარს ბუნების ყივილი!!... მიყვარს, ანუ „სუკი“, და ეს სიყვარული ყოვლისმომცველია, ყოვლისმძლე და ყოვლისშთანთქმელი, იგი არ ემორჩილება მასშტაბებსა და ჩარჩოებს. არ ერიდება ზღუდეებს და არ თავსდება კალაპოტებში: „სუკი დეს“! „სუკია“ ყველაფერი, რაც გხიბლავს და ანდამატივით გიზიდავს, ყველაფერი, რაც ანგრევს შენი

აზროვნების სტანდარტებს და სრულიად ახალი, ხშირად კურიოზული ვნებებითა და ემოციებით გავსებს – სწორედ ამ დაულაღავ ბორკეაშია სიყვარულის ელექტანტურობა...

„ვაბი, საბი, სუკი“... ახლა რამდენადმე მესმის ამ სამეულის მაგიურობა...

ეროვნული

სიტყვადღაწეული ოცნებები

... იმპერატორი კუშტ მზერას არ აცილებდა მწიფე ქლიავეებით დახუნძლულ ტოტებში მოფრთხილვე ჩიტს. ჩიტი მოუსვენრად ტერციალებდა, შფოთავდა და დაუდევრად ისროდა ძირს სიმწიფისაგან დახეთქილ ნაყოფს... „გასდევნეთ!“ – ბრძანა ბოლოს მოთმინებადაკარგულმა იმპერატორმა... საიმპერატორო ამაღლას მყისვე გამოეყო ხანდომიანი გარეგნობის ახალგაზრდა და მეტი ერთგულების ნიშნად ადგილზევე განგმირა ანცი ფრინველი... ეს ახალგაზრდა საიგიო ფუჯივარა გახლდათ... იმავე საღამოს შინ დაბრუნებულ საიგიოს უცნაური ამბავი დაახვედრა მეუღლემ – სულისშემძვრელი სიზმარი უნახავს ქალს: ჩიტადქცეული, თითქოს ქლიავის ხეზე შემომჯდარიყო და მაღიანად შეექცეოდა მწიფე ნაყოფს, რომ მოულოდნელად, რისხვასავით წასდგომია თავს უცხო მეომარი და უმოწყალოდ მოუკლავს იგი... სასწაულებრივი ზმანებით შეცბუნებულ და გაოგნებულ საიგიოს უსიტყვოდ შეუკრავს ბარგი და მღუმარედ შესდგომია ტაძრის გზას... იმ ღამით კეთილშობილი საიგიო ფუჯივარა განდევნილ საიგიო ბერად იქცა და თავისი პოეზიით სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ბუნების მშვენიერებას ემსახურა...

...ფუჯის მოასავით ძალაღი და მიუწვდომელია იაპონური პოეზია... ათასწლეულებისა და საუკუნეების ბორკვნის წიაღში მას რუღუნებით შეუკრებია, იაპონელთა უღრმესი ფიქრები და უმრწემესი ოცნებები – შეუკრებია, უსაზრდოებია და ერთ გაბმულ, უნაჩეს ძელოდღად უქცევიან... ეს ძელოდღია მწუხარეცაა და ღიმილიანიც, მიამიტიცა და ბრძენიც, რეალურიცა და ირეალურიც. ეს მართლაც რომ ბერძუხასავით ფესვმაგარი პოეზიაა, ღვთისაგან შექმნილ სამყაროსთან უყოყმანოდ და უსაზღვროდ ნაზიარებს...

... ზღვის სანაპიროზე, აშოლტილი ფიჭვების ჩრდილქვეშ აუგია პატარა ქოხი ძლევაძოსილ სარდალს – ოტა დოკვანს. მის პოეტურ სულს მეტისმეტად მოჰყვირებია უზარმაზარი ციხე-სასახლე და ისლით დახურულ ქოხში უპოვია სავანე, როდესაც დოკვანის გაუჩინარებით გაკვირვებულ იმპერატორ გოთსუჩიმიკადოს უკითხავს მისთვის სად არის, სარდალო, თქვენი ახალი რეზიდენციაო, ოტა დოკვანს მშვიდად მიუვია:

„ზღვის ნაპირას,
ძალაღი ფიჭვების გასწვრივ,
ღვას ჩემი ქოხი...
და ფუჯის თეთრი, თვალუწვდენელი მწვერვალი
ნაზად ელვარებს ჩამავალი მზის ათინათებში“...

... ჭეშმარიტად იაპონური პოეტური გენია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბუნებასთან კარმონიულად შეთვისებული ფენომენი... იაპონურ პოეზიაში ბუნება აღიქმება მეტყველ, განცოცხლებულ და მფეთქავ მთლიანობად. იმ სრულყოფილ მთლიანობად, რომელსაც ადამიანის სულის შეფარება ძალუძს...

„ვერ ვურიგდები ამ ცხოვრების პომპეზურობას,
ვერ გამოვდექი უზნეობის კანონმდებელად,
მიჯობს, მორჩილად გავეხვიო შავ მოსასხამში
და, ვით შეჭფერის მოკრძალებულ, ბერს, მიუსაფარს,
ნათელი გულით მივაშურო მთის მაღალ კალთას“...

ერეკლე
(არქიეპისკოპოსი ქიქელი)

განდეგილმა და პოეტმა რიუოკვანმა სულიერი სიმშვიდის ძიებაში იაპონიის ჩრდილოეთამდე მიაღწია. მისი ღარიბული, ცალ გვერდზე გადახრილი ქოხი იაპონიის ზღვასთან გაშენებულ ერთ ჩვეულებრივ, უმნიშვნელო სოფელში იდგა... ქოხის სიცარიელეს დღისით სარკმლიდან შემოფრენილი ჩიტების უღურტული, დამით კი — მთვარის ბრწყინვალე ნათელი ავსებდა... ერთ დღისათვის სიცარიე რამ აღმოაჩინა ბერმა — მის ქოხში ბამბუკის ხის ნორჩ ყლორტს ამოეყო თავი! აღფრთოვანებული რიუოკვანი თავს ევლებოდა მცენარეს და სიხარულით აღუეხებდა თვალს მის ზრდას... დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს, წელიწადი — წელიწადს და აი, ტანაყრილმა ბამბუკმა ქოხის ჭერს მიაღწია... ბევრი არ უფიქრია რიუოკვანს, ანთებული სანთლიდან შეუპოვრად მოუკიდა ცეცხლი ქოხის ჩალით დაფენილ სახურავს და გზა მისცა ბამბუკს...

ეს, ალბათ, პოეტური თავისუფლების ერთგვარი მანიფესტი იყო. თავისუფლებისა, რომელიც თამამად აქცევს ზურგს მოძველებულ ნორმებს, მომაბეზრებელ დოგმებს, უვარგის წესებს და უკალაპოტო, აზვირთებული დინებისაკენ მიაქანებს სულს... აქ არ არსებობს მიზეზი და არ არსებობს მიზანი, არსებობს მხოლოდ მშვენიერების უბადლო განცდა, თავისუფალი ყოველგვარი ჩარჩოებისაგან...

„თავაწყვეტილო, ვიქმავო ქარო! ო, გვედრები!
სწრაფად მოკერიბე ნაცრისფერი, კუშტი ღრუბლები!
იქნებ ამ წმინდა, გულთმისანმა ქალიშვილებმა
ცახ გამოჰფინონ ფრთავაშლილი ანგელოზები
და მათთან ერთად გამაქროლონ შორეთის გზებზე“...

(ეპისკოპოსი ჰენჯო)

... ერთ საღამოს, ხეტიალით დაღლილ საიგიოს თავშესაფარი უთხოვია მოხუცი ცოლ-ქმრისათვის. ცოლ-ქმარს სიამოვნებით შეუთავაზებია მგზავრისთვის ღამის გათევა, მხოლოდ... ბოლოსში მოუხდიათ ქოხის არასახარბიელო მდგომარეობის გამო. მართლაცდა უცნაურად გამოიყურებოდა ქოხი — სახურავი მხოლოდ სანახევროდ იყო გამართული... „რატომ მთლიანად არ გადახურავთ ქოხს?“ — დაინტერესებულა ბერი-პოეტი და სრულიად კურიოზული რამ შეუტყვია: ერთმანეთთან ვერ მორიგებულან მოხუცები — ქალს თავდავიწყებით ჰყვარებია მთვარე და გადაუხურავი ქოხის მიღმა ყოველდამ ეალერსებოდა მთვარის ნათელს, კაცს კი ქოხის სახურავზე წვიმის წვეთების რაწკა-რუწკა ნიბლაუდა და შემოდგომის გრძელ ღამეებში სველი ფოთოლცვენის უნაზესი ჰანგებით ტკბებოდა... განცვიფრებულ საიგიოს იქვე შეუთხზავს ლექსი:

„რა სჯობს, ვინ იცის,
 შევერცხლილი მოვარის ნათელი,
 თუ შემოდგომის ხევდიანი წვიმის შხაპუნი?
 ჩვენი ფიქრები სხვადასხვა გზით მიედინება?..“

მოვარე და წვიმა, ქარი და ფოთოლცვენა, ნეკერჩხლები და ქრიზანთემები... სწორედ მათი მავიური მონაცვლეობა აქმნის მისტერიასა და ილუმალებას იაპონურ პოეზიაში... თუკი მოვარე მარტობისა და ხევდის სიმბოლოა, წვიმის ხმაური დინამიურად აძლიერებს ძარღვების პულსაციას, თუკი ფოთოლცვენა შორს გაფრენილი, ნაღვლიანი ოცნებების კვილს მიაგავს, თეთრად მოქათქათე ქრიზანთემები მარადიული და უჭკობი სიყვარულის აპოლოგიაა... ზღუასავით გამჭვირვალე იაპონურ პოეზიაში ღამაზ-ღამაზი, წვრილ-წვრილი კენჭებივით მოხჩანს ბუნება...

„გაახსენდებათ გაზაფხული ტურფა ყვავილებს
 და უეჭველად მალე მოვლენ ცოდვილ მიწაზე,
 ზურმუხტისფერად მოშრიალე ხეების ჩრდილქვეშ
 მე მოთმინებით ველოდები მათ პირველ ყლორტებს“...

(საიუიო)

... ტყეში გზააბნეულ პოეტს და ფილოსოფოსს დოოგენს მალაღი ნეკერჩხლების წიაღში შემოქლამებია ერთხელ. ყრუანტელივით დაუვლია ტანში მიუსაფარი მარტობის შეგრძნებას. სასოწარკვეთამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, რომ, უეცრად, წვიმის გაბერილი წვეთი დასცემია ხელისგულზე, ერთს მეორე მოჰყოლია, მეორეს — მესამე, მესამეს — მეათე და სულ მალე, ტყე შეუძრავს კისრისტეხით მოშხაპუნე წვიმას... გასაოცარი შვება უგრძვნია დოოგენს: ის აღარ იყო მარტო! ციდაჩ წყალობასავით მოვლენილმა წვიმამ ტყის რიტმული სუნთქვის თანაზიარად აქცია პოეტი!

„ჩვენ ღრუბლებივით ხელა დავცურავთ დაბადებასა
 და სიკვდილს შორის!
 მოვარეულები მივუყვებით ცოდნისა და უმეცრების
 ვიწრო ბილიკებს!
 მაგრამ ძილშიც და ღვიძილშიაც მარადიულ ხსოვნად
 ქცეულა ჩემთვის
 ფუკაკუსას ტყის სიჩუმეში გაგონილი წვიმის

ხმაური“...
 (დოოგენი)

დაიგო-ჯის ცენტრალური დარბაზის ვერანდაზე საათობით სხედან ხოლმე იაპონელები და თვალს არ აცილებენ მომცრო ქვებითა და მასიური ლოდებით ნაშენ ბაღს... პატარ-პატარა ნაცრისფერი ქვები აბობოქრებული ოკეანის იმიჯს ქმნიან, უტყვად დაყუდებული თლილი ლოდები კი მასში გაბნეული თავშესაფარი კუნძულებია... „ესაა ჩვენი ცხოვრება, — ჩურჩულით შეუბნება ტერუმი, — განუწყვეტელი ხეტიალი სიმშვიდეა და მღელვარებას შორის... ამაში უხედავო პოეზიას იაპონელები“...

1235 წელს საუკუნეების მანძილზე დავროვილი ლექსთა საუნჯე ერთ წიგნად შეუკრავს პოეტ საღაიე ფუჯივარას და კრებულისათვის „ჰიაკუ ნინ

იშუ“ ანუ „ასი უძველესი ლექსი“ უწოდებია. ამ კრებულში იაკონური კლასიკური პოეზიის სიამაყე და მშვენიერება, ასი უძველესი ტანკაა თავმოყრილი. ყოველგვარ პრეტენზიულობას, ამბიციურობას და ყულგარულობას მოკლებული ლექსების სტრიქონები სათუთად გვიმხელენ ძლევამოსილი იმპერატორებისა თუ გულზეიადი ფეოდალების, მოკრძალებული პრინცესებისა უკუგანდებელი ბერების დაფარულ განცდებსა და აუხდენელ ოცნებებს... ეს ჰაქიზი, თაყვისი არსით, მედიტაციური ლირიკის უბადლო ნიმუშია.

იაკონელებს გენეტიკურად მოსდგამთ ლტოლვა სიფაქიზისადმი, სიმკრთაღისადმი, სიწმინდისადმი. მიწისძვრისაგან გაპარტახებულნი აუჩქარებლად სვამენ მწვანე ჩაის და დაუსრულებლად უმზერენ დედოფალივით გაბრწყინებულ მთვარეს, წყალდიდობისაგან იავარქმნილნი მოუდღელად უსმენენ ქარის შფოთვას და შემოდგომის ფოთლების ნალვლიან შესას, გვალვისაგან ილაჯგაწყვეტილნი ბავშვური სიხალისით ეგებებიან ბზეს და გატაცებით კრეფენ მინდვრის ყვავილების უმშვენიერეს თაიგულებს... იაკონური ლექსის მაგიური ხიბლი იაკონელთა სულიერ სიძლიერეშია, იაკონური სულის ძლევამოსილება კი ღვთისაგან ბოძებული სამყაროს უკიდევანო, უსაზღვრო, თავდავიწყებულ სიყვარულში ძევს...

„მწუხრის ბინდ-ბუნდი და ერთი ციდა მდინარე წარას ფაქიზი
სუნთქვა,

შრაინის მაღალ კარიბჭესთან

აწ განბანილი მლოცველების ჩუმი ბუტბუტი...

სიზმარს მიაგავს ყოველივე...

უმშვენიერეს ზაფხულის სიზმარს“...

(აიე-ტაკა)

სუმო

„სუმო ჩვენთვის გაცილებით მეტი რამაა, უიდრე სპორტის რიგითი სახეობა. იგი რიტუალია. რიტუალი, რომელიც შემოსილია ასწლეულების იდუმალეობით და თან გასდევს იაკონიის ხანგრძლივ ისტორიას“, — ასე ამბობენ იაკონელები...

სუმოს ყოველი ტურნირი დღესასწაულს მოგაგონებთ — საასპარეზო სასახლის შემოგარენი მორთულია ფერად-ფერადი ლენტებითა და ყვავილებით, ფრიალებს იაკონიის დროშა და მისი მეწამული მზის ფონზე მორიდებით დააბიჯებენ ჭრელ-ჭრელ კიბანოებში გამოწყობილი ქალბატონები... არის ჩოჩოლი, არის ხმაური, სახელდახელოდ მზადდება პოპულარული იაკონური კერძები და ტკბილეული, ღელავს მაყურებლებით გაჭვდილი დარბაზი... ყველას თავისი რჩეული ჰყავს და თავდავიწყებული ერთგულებით უჭერს მას მხარს. ის კი, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ესწრება სუმოს ტურნირს, ცდილობს ტელევიზორში მაინც შეასწროს თვალი გოლიათების შერკინებას:

— ჯიკან დეეს! ჯიკან დეეს! ჯიკან დეეს! — ეფინება ქუჩებს ომახიანი შემახილი და ათასობით გაფაციცებული მზერა ებჯინება ორთაბრძოლას.

სუმოს ტურნირების ტრანსლიაციის დროს ჩვენს ოჯახშიც წყდებოდა ყო-

1. იწყება! (იპ.).

საოცარ ამბავს მოგვითხრობს იაკონური და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის განძი, მურასაკი შიკიბუს „გენჯი მონოგატარი“:

მე-9 საუკუნის შუაწლებში, როდესაც ტახტიდან გადამდგარა იმპერატორი მონტოკუ, ტახტზე პრეტენზია განუცხადებია მის რივით მუთხე ვაჟს კორეპიტოს. იმპერატორი ფრიად უკმაყოფილო დარჩენილა ამ გარემოებით. მისი ნება და სურვილი ყოფილა, რომ ტახტს უფროსი პრინცი კორეტაკა დაჰპატრონებოდა.

— დე, ტახტის ბედი სუმიმ გადაწყვიტოს! — უბრძანებია ბოლოს დაორჭოფებულ იმპერატორს.

დამდგარა ბრძოლის დღე. ერთმანეთს ორი ძალოსანი უნდა შესჭიდებოდა: კი ნო ნატორა და ოტომო ნო იოშიო. კი ნო ნატორა კორეტაკას ინტერესებს წარმოადგენდა, ოტომო ნო იოშიო კი — კორეპიტოსას. იოშიო ბევრად უფრო ჩია ტანისა ყოფილა და ორთაბრძოლა ნატორას საგრძნობი უპირატესობით დაწყებულა. იოშიო თურმე უკვე აგებდა ბრძოლას, რომ უეცრად ყველასათვის მოულოდნელი სასწაული მომხდარა: საასპარეზო მოედნის ახლოს ბუდისტური ტაძარი მდგარა, სადაც განდევნილი ბერები დახოქილნი ლოცულობდნენ კორეპიტოს გამარჯვებისათვის. ასცხადებიათ ბერებს ლოცვა, აგუგუნებულა მიწა, მოვარდნილა წყლის ვეებურთელა ნაკადი და წალეკვით დამუქრებია არე-მარეს. თითქმის გამარჯვების პირას მყოფი კი ნო ნატორას წამით დაუკარგავს წონასწორობა, გულმოცემულ ოტომო ნო იოშიოს მთელი ძალით ჩაუჭიდა მისთვის ქამარში ხელი და მიწაზე გაუგორებია დაბნეული მოქიშპე... იმ დღეს იაკონიის იმპერატორი კორეპიტო გამხდარა...

... „სუმიო ჩვენთვის გაცილებით მეტი რამაა, ვიდრე — სპორტის რივითი სახეობა. იგი რიტუალია, რიტუალი, რომელიც შემოსილია ასწლეულების იღუმალეებით და თან გასდევს იაკონიის ხანგრძლივ ისტორიას“, — ამბობენ იაკონელები...

— ტაკანო ჰანა¹ ნო კაჩიიი!²

— ვაკანო ჰანა³ ნო კაჩიიი!

— მუსოშიმარუ⁴ ნო კაჩიიი! — მელოდიურად ეფინება ქუჩებს ლამაზი შემახილი და გრვეინუასავით მოჰყვება თან ათასობით აღფრთოვანებული ყიყინა...

საკურას მუსიკა

„ადამიანებს განრიდებული,
ვსახლობ უდაბურ ძარტოობაში
და პრავინ მყავს ჭირისუფალი,
ოდენ ალუბლის ხე მშვენიერი,
გადმოწვდილი მაღალი მთიდან“...

(გიოხონი)

უცხოეთში არაფერია ცარიელ საფოსტო ყუთზე უფრო სევდიანი: ყოველ დილით გაღვიძებს რაღაცის მილოდინი, ფარული იმედით აღსავსე ალებ სახ-

1. სპორტსმენის გვარი.

2. ვაინარჯვა (იამ).

3. სპორტსმენის გვარი.

4. სპორტსმენის გვარი.

ლის კარს, სუნთქვაშეკრული იჭყიტები საფოსტო ყუთში და... მასში გამეფებული დიდთვალეობა სიცარიელე განუზომელი სუკდით გავსებს... ასე გადიან დღეები, ხანდახან თუკებაც კი, სანამ ერთ იღბლიან დილას გარესამყაროს პირველი მოციქული არ დაარღვევს შენს მოსაწყენ სიმყუდროვეს:

„ქალბატონ ირმა რატიანს“, კეთილუბნ ფარატინა ქსელდსე... ორგანიზაცია „კამოგავა კაი“... გულისფანქვალით ვხსნი კონვერტს:

„ქალბატონო ირმა, მოგმართავთ კიატოს ქალთა საზოგადოების „კამოგავა კაის“ სახელით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება იაპონიაში! ჩვენი სურვილია დაგიმეგობრდეთ და რამდენადმე გაგაცნოთ ჩვენი ქვეყანა. უმორჩილესად გთხოვთ, 22 აპრილს მეწვიოთ შინ და დაესწროთ ჩვენი საზოგადოების მიერ ორგანიზებულ საღამოს — „საკურას მუსიკა“. პატივისცემით — ქალბატონი კიტაჯიმა“...

... გარეთ გაზაფხულია. წვიმს. მე დიდი ქოლგითა და მოსაწყვევი ბარათით ხელში აღელვებული ვეძებ ქალბატონი კიტაჯიმას სახლს.

„დოზო, დოზო, დოზო იოროშიკუუ!“¹ — დიმილით შეგებება ქალბატონი კიტაჯიმა, ფროზილად იწევს სადღესასწაულო კამანოს კალთას და სასტუმრო ოთახისაკენ მიმაცილებს... ხალხმრავლობაა... ფლეიტა უკრავს ნაღვლიან მუსიკას, გარეთ კი — წვიმს... სუფთად მოკირწყლულ ქვის ბაღში დედოფალივით დგას საკურა და შორეული ოცნებების ზომალდს მიაგავს... თითქოს ყველა ლამაზი ფიქრი და სიზმარი გაფრენილა და თეთრად აფეთქებულ ალუბლის ყვავილებად ქცეულა. „წკაპ-წკაპ-წკაპ“, — ხმაურით ეცემიან წვიმის წვეთები ნაზ ყვავილებს და ქვებზე მოჩუხჩუხე პაწაწინა რუს უერთდებიან... სევდიანად უკრავს ფლეიტა... ეს კენძაბურო ოეს² ვაჟის მუსიკაა...

— ბატონი კენძაბურო ოეს ვაჟი მძიმედ ავადაა, — ხმადაბლა მიჩურჩულებს ქალბატონი კიტაჯიმა, — მისი ერთადერთი შვიბა მუსიკა გახლავთ... მას თურმე ძალიან უყვარს საკურა...

... საკურას ყვავილი უძველესი დროიდან ქცეულა ამომავალი მზის ქვეყნის სიმბოლოდ. იაპონელთა ცნობიერებაში იგი ყოველივე მშვენიერს და ამაღლებულს, ლამაზსა და კლემამოსილს, სუფთასა და წმინდას ესიტყვებოდა. გადიოდა დრო, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ეპოქები, ბევრი რამ ირღვეოდა და კვდებოდა შინაომებით მოქანცულ ქვეყანაში, ბევრი რამ იწვებოდა ციცხლში აბრიალებულ ტაძრებთან ერთად, მაგრამ არასოდეს გაცვეთილა აფეთქებულ ალუბლის შტოს ჯადო და ხიბლი. ყოველ წელიწადს საკურას უნაზესი ყვავილების თოვლით მოდიოდა იაპონური გაზაფხული, მოდიოდა და დღესაც მოდის, მოდის და თან მოაქვს თავისი განუშეორებელი ხმა. ეს მელოდია იტევს ყველაფერს, რაც კი ადამიანთა სულიერ საუნჯეს შეადგენს: ეს არის მუსიკა — სიყვარული, მუსიკა — სევდა, მუსიკა — გაფრენა, ეს არის თავად სიცოცხლის ძახილი...

... IX საუკუნის მიწურულს, გვიანი გაზაფხულის ერთ დილას შინიდან გამოსულა პოეტი ტომონორი კინო, იგი მოწიწებით შეჩერებულა ალუბლის ხესთან და სასოწარკვეთით შეუმჩნევია, რომ საკურას ყვავილი სცვივა... დანადვლიანებულ პოეტს იქვე შეუთხზავს ლექსი:

1. მობრძანდით ვეთაყვა!

2. XX საუკუნის გენიალური იაპონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

„გაზაფხულია,
მზე ჩახჩახებს კვლავინდებურად...
ილიმის ზეცა,
მე კი ცრემლით მევსება თვალი:
რარივ მწუხარედ კვდება საკურა...“



... საკურას ყვავილთან ერთად ჭკნებიან ფიქრები, ოცნებები და აღმაფრენები... სწორედ ამიტომ უყვართ აპრილი იაპონელებს: გრძნობათა ყმებად ქცეული ადამიანები ლალად დააბიჯებენ ალუბლებით დაბურულ პირანოს ტაძრის ეზოსა თუ თეთრი კედლით მოღვივლივე ფილოსოფოსთა ხეივანში, უსმენენ სევილიან კოტოს¹ და ფიქრობენ ცხადადქცეულ სიზმრებზე...

ცაცხლოვანი ღოგაბი...

„განისვენებენ ჩიყრმის მეგობრები,
ადამიანები, რომლებიც მიყვარდნენ,
ბებური ფიჭვის ხე კი
ძველებურად ჰყვავის
ტაკასაგოს სანაპიროზე“...

(ოკი-კაზე ფუჯიუარა)

...ფეხმორთხმული ზის ბატონი ტოკურიკი და მშვიდად მიერთმევს კამკამა მწვანე ჩაის... იგი 93 წლისაა: საუკუნეა ზურგსუკან, საუკუნე და საოცარი გარინდება ღრმად ჩამსხდარ ვიწრო თვალებში... სახელოსნოს კედლებს უზადო ნამუშევრები ამშვენებენ: „საკურა“, „თოვლი“, „ყვავილები“, „ქუნა“... ავტორი — ბატონი ტოკურიკი... შესრულების თარიღი — — — 1925 წელი..... 41 წელი... 57 წელი... 63 წელი... ზურგსუკან საუკუნეა...

მონუსხული ვაკვირდები თითოეულ ნახატს: სრულიად სხვა სტილი, სხვა გემოვნება, სხვა თვალთახედვა... კონტურები მკვეთრია, ფერები — ხასხასა, აღქმა — სწრაფი... იაპონელები ამას „ხის ფიქალზე ბეჭდვას“ უწოდებენ და ჭეშმარიტად იაპონურ ხელოვნებად მიიჩნევენ. როგორც ყოველთვის, ისინი არ სცდებიან...

სიჩუმეა... სუფთა ტატამზე თავდახრილი მუშაობს რამდენიმე ახალგაზრდა... სწრაფად მოძრაობენ თითები: ხის დაფაზე ამოჭრილი რელიეფი სქლად იფარება მძიმე საღებავებით და ფაქიზად იწმინდება ფუნჯით. უკვე გამზადებულ სიბრტყეს ფრთხილად ეფინება ქათქათა ფურცელი და სულ რაღაც წამებში ხის დაფაზე ამოკვეთილი ფიგურებიცა და ფერებიც ქაღალდზე იბეჭდებიან... იცვლებიან ბარელიეფები, საღებავები, ფურცლები, იცვლება ნამუშევრების ხასიათიც... ტექნიკა უცხოა, სამუშაო — რთული, ... ტოკურიკი სენსეი კი უძრავად ზის, არავის არაფერს უსწორებს, არავის არაფერს უწონებს ... იგი მღუმარედ იცქირება შორეთში და მშვიდად სვამს კამკამა მწვანე ჩაის... იქნებ წარსულზე ფიქრობს...

... — მე პიტერ ბეილი გახლავართ, ტოკურიკი სენსეის მოწაფე, — დიმილით მეცნობა კიძანოში გამოწყობილი ევროპული გარეგნობის მამაკაცი.
— ძალიან სასიამოვნოა, ირმა რატიანი.

1. ხალხური საკრავი ინსტრუმენტი.

... — დიდი ხანია, ამ სახელოსნოში მუშაობთ, ბატონო ბეილ? — ვეკითხები რამდენიმე თავაზიანი ფრაზის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ.

— ო, უსაზღვროდ დიდი, — ეცინება ჩემს თანამოსაუბრეს, — ოცდახუთი წლის წინათ მივატოვე ამერიკა და ხის ფიქალზე ბეჭდვის საიდუმლოს იაპონიაში გამოვეყვი. ვფიქრობდი, ერთ-ორ წელიწადში დავუფიქრებ ტექნიკას და უკანვე, კალიფორნიაში გავბრუნდები-მეთქი, მაგრამ — არ გამოვიდა, ერთი-ორი წელი ოცდახუთად მექცა, მერე დავოჯახდი კიდევ აქ და წასვლაზე აღარ მიფიქრია...

— ალბათ, რთულია ამ სტილის გათავისება?...

— როგორ გითხრათ... მე უფრო ხელმოცარული მხატვარი ვახლავართ, — დიმილით ამბობს ბატონი ბეილი, — ღმერთია მოწამე, ნიჭი, ძალა და ენერჯია არ დამიშურებია საქმისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ არის! ჩემი ვერც ერთი ნამუშევარი ვერ ახდენს იმის მეოთხედ შთაბეჭდილებასაც კი, რასაც ტოკურიკი სენსეის ნახატები... აქ, სულ სხვა ექსპრესიაა, — უფრო თავისთვის დასძენს ბატონი ბეილი და აღტაცებულ მზერას ავლებს კედლებზე გამოფენილ ნამუშევრებს...

ნამუშევრები მართლაც ვირტუოზულია და მით უფრო ძნელი სარწმუნოა, რომ ამ ფერთა ჯადოქარი ოთახის კუთხეში ფეხმორთხმით მჯდომი ჩია ტანის მოხუცია...

— თუ ვინდა დანატო ბამბუკის ხე, თვითონ უნდა იქცე ბამბუკად და დაბატო შენი სული, — მკაფიოდ მარცვლავს ბატონი ტოკურიკი, — ხატვას ვერავის ასწავლი, ეს ხელოვნება ღვთისგანაა...

ჭეშმარიტად, სენსეი, ღვთისგან და მხოლოდ ღვთისგან...

შინანქრისებურ ფონზე ზურმუხტისფრად იკვეთებიან ერთმანეთზე გადახლართული ნეკერჩხლები, მძვინვარე ქარს ლერწმებივით დაუხრია ძირს მათი ფესვმაგარი სხეულები და გზადაგზა თეთრი დიდილოები გაუბნევია გაწეწილ თმებში, ფაფარაშლილი მეწამული ლომები მრისხანედ გაყინულან საბედისწერო ნახტომში და განწირულად ღრიალებენ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის წინ... ჩვენამდე აღწევს ამ ღრიალის მგრგვინვარე ექო...

კანო ეიტოკუ... უიღბლო გენიოსი... ასობით შედევიდან, რომელიც მის ფუნჯს შეუქმნია, მხოლოდ რამდენიმე გადარჩენილა... კანო ეიტოკუ... გენიოსი-ლეგენდა... რუღუნებით მიუხატავს აზუჩის გრანდიოზული ტაძარი, მაგრამ... ამოდ: ერთ ღამეში დაუწვავთ ოდა ნაბუნაგეს² მტრებს აზუჩი და მასთან ერთად ჩაფერფლილან კანო ეიტოკუს უბადლო ტილოებიც...

კანო ეიტოკუ, კანო მოტიანობუ, კანო სანრაკუ... ოცნებად ქცეული სახელები...

კანოს სამხატვრო სკოლა ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში დაუფუძნებიათ კანოს გვარის წარმომადგენლებს და დროთა განმავლობაში იაპონური კულტურის სიმბოლოდ უქცევიათ. სრულიად თვითმყოფადი და განუმეორებელია კანოს სკოლის ხელწერა-მხატვრობა მეღნით: შავი მეღნით გამოყვანილი უნაზესი კონტურები ჰარმონიულად ითავსებენ როგორც მშვიდ და სევდიან, ისე — მკვეთრ და ექსპრესიულ ფერებს... უნიკალურია ფერთა ეს იშვიათი ჰარმონია...

... ვაჭირვებით ეჩვევა თვალი სამბო-ინის ტაძრის ნახევრად ბნელ ოთახს,

1. მასწავლებელი (იაპ.).

2. მე-16 საუკუნის ძლიერი ფეოდალი.

ეჩვევა და მონუსხულივით ეჯაჭვება სიძველისაგან გაცრეცილ კედელს, კედელზე გაზაფხულია: ქარვისფერ ქვიშაში გაბნეულ ქვებზე მხიარულად მორაკრაკებს ნაკადული და ნაზად ელაციცება თეთრად მოქათქათე ქრიზანთებებს, იქვე ასკილის აყვავებულ ბუჩქზე, ყელი მოუღერებია ასაფრენად შემართულ უცხო ჩიტს და სივრცისათვის მიუპყრია ლალი მზერა...

უსაზღვრო მეოცნებეს — კანო სანიაკუს მოუხატავს სამბო-ინის ტაძრის კედლები... ხეტიალისაგან დაღლილს ამ პატარა ტაძარში უპოვია სავანე და მის კედლებზე დაუღვრია თავისი ხულის სიმფონია...

... ერთი ციდა ოთახი მოღიანად შთაუნთქავს ვარდისფერ ზეცას და საკურას რძისფერი ტოტებით სავსე ჩარდახს... ალუბლის გაშლილი ყვავილები ქალწულის ოცნებებით იღვრებიან ჩარდახიდან და გედებივით მიიწევენ ცისკენ... საუკუნეების მიღმა იფრქვევა მათი მაგიური სურნელი და თან კანო სანიაკოს დაღლილი ხუნთქვა მოაქვს...

... და ბოლოს, აი, ისიც, ეული მხატვრის მარადიული თემა და მარადიული ტკივილი: სიყვარულის სევდიანი ზღაპარი... თეთრ ფონზე დინამიურად მოძრაობენ მელნით დახატული შავი ფიგურები და მათი სინატიფე ზედმეტს ხდის ფერებს... ჰაეროვანი კიშანოს ნაზი ნაკეცები... შეხვედრა, ვნება, განშორება... ვარინდებული მამაკაცი სევდიანად გაპყურებს გზაზე მიმავალ თავდახრილ ქალს...

„ლოდი შუაზედ ჰყოფს მდინარის წყალს,
მაგრამ ორივე შენაკადი ზათქით და ქუხილით
მიექანება ჩანჩქერისაკენ,
ვიცი ნამდვილად,
ისინი კვლავაც შეერთდებიან“...

(იმპერატორი სოტოკუ)

ამ იმედით ეტოყებ სამბო-ინის ტაძრის ეზოს... ნელა მოუყვები წერილი ქვებით მოკირწყლულ ბილიკს და უნებურად მახსენდება ტოკურიკი სენსეის შეგონება:

—ხატვას ვერავის ასწავლი, ეს ხელოვნება ღვთისგანაა...
ჭეშმარიტად, სენსეი, ღვთისგან და მხოლოდ ღვთისგან...

გიიონი...

... გულმოღვინედ რეცხავს ნესტორი კოქტიელის დასვრილ ჭიქებს და შიგადაშიგ ალტაცებულ მზერას ავლებს წითელ კიშანოში მოგოგმანე ოფიციანტს. მე და კახა დიდი ძალისხმევით ფასად ვიკავებთ სიცილს: ორმეტრიანი და ასკილიანი ნესტორი გულივერივით დგას პაწაწინა იაპონური რესტორნის დაბლთან და ვერაფრით თავსდება საშუალო იაპონელი მამაკაცის ზომაზე შეკერილ უნიფორმაში. მის ყოველ მიხვრა-მოხვრას თან სდევს თეთრი პერანგის ფხრეწის ხმა და ჩვენი მოგუდული ხარხარი...

ეს ნესტორის „არბაიტია“ ანუ „ზეგეგმითი სამუშაო“: საათში — 8 დოლარი, დღეში — 40 დოლარი, კვირაში — 200 დოლარი, თვეში — 800 დოლარი, და, როგორც თავად ნესტორი ამბობს, „სამობაოდ, ჩილემში გამგზავრების სრუ-

ლი გარანტიია!...“ მშვენიერი შემოსავალია, მხოლოდ, ეგ არის, თავს გაბეზრებს ათასნაირი გემოსა და ფერის კოქტეილების დაუსრულებელი შეზავება და ჭიქების ყოველდღიური ჭახა-ჭუხი — მაინც რამდენს სვამენ ეს იაპონელები?!...

... კიოტოს ცენტრში, მდინარე კამოს მარცხენა სახაპიროზეა განფენილი გიიონი — კიოტოს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი უბანი. ამ უბანში სრულად და განუყოფლად ბატონობს ბახუსი: ერთმანეთის გვერდით მიჯრით ჩაწყობილი დიდი თუ პატარა, შთამბეჭდავი თუ უღიმღამო, ხმაურიანი თუ მყუდრო რესტორნები მაცოურად იზიდავენ მუშაობისგან გვარიანად დაღლილ მოქალაქეებს და უხვად სთავაზობენ დელიკატურ იაპონურ კერძებს... სისხლსავსე ცხოვრებას გიიონი საღამოხანს იწყებს და შუალამემდე არ ცხრება: ქმინავს, ჩოჩქოლობს, ბობოქრობს, პაერში კი მადისაღმძვრელად ბრუნავს და ტრიალებს იაპონური სუშისა¹ და ლუდის განუმეორებელი სურნელი...

— აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ ოჯახში, — მოვლი სერიოზულობით ამტკიცებს ნესტორი, — გულისხმიერები არიან, ვუყვარვართ, პატივს მცემენ...

შაბათ-კვირის გარდა იგი ყოველ საღამოს მოდის გიიონის ამ პატარა, კოლორიტულ რესტორანში და ხუთი საათის განმავლობაში კეთილსინდისიერად ასრულებს ბარმენის მოვალეობას. ერთი სიტყვით, დღისით ექიმია ნესტორი, საღამოს კი — ბარმენი...

— არ გბეზრდება? — ეკითხება კახა და თან დაგემოვნებით წრუბავს კოქტეილს.

— არა, — იჩუჩავს მხრებს ნესტორი, — უნივერსიტეტში ძალიან მღლის დაუსრულებელი ცდები და ექსპერიმენტები. აქ კი, ერთბაშად განვიტვირთები, ვისვენებ... თანაც, ძვირფასო კახიტა², მუქთად მივირთმევ ფანტასტიურ იტალიურ პიცას და „კირინ ლაგერ ბიერს“³! ქვეყანა ჩემი მგონია!

ნესტორი იცინის და ამაყად ირტყამს ხელს თავის შთამბეჭდავ ღიბზე...

... ლამაზია გიიონი... გველებივით დახლართული ვიწრო და გრძელ-გრძელი ქუჩები დაუსრულებლად კვეთენ ერთმანეთს და განახჩახებული ლაბირინთის ასოციაციას ქმნიან.

— ირაშაი მასეენს³ — ნახად გიკრავენ თავს ქვაფენილზე მანეკენებივით მდგომი მომხიბვლელი ქალიშვილები და თავ-თავიანთი რესტორნისაკენ გეპატიუებიან...

იაპონურ რესტორანს საუკუნეობით ჩამოყალიბებული ტრადიციები გააჩნია და გიიონის უბანში ისინი ზედმიწევნითაა დაცული... რესტორნის პოპულარობას ბევრად განაპირობებს რომანტიული ხედი, უპრეტენზიო მომსახურება, სიტუაციის ადექვატური მუსიკა და, რაც მთავარია, დიასახლისი ქალბატონის პერსონა...

— ამ ქალს ყველანი „MAMA-სანს“ ვეძახით, — გვიხსნის ნესტორი, — უკვე ათი წელია აქ მუშაობს და კარგად იცნობს რესტორნის ძირითად კლიენტურას. აღლოიანი ქალისა...

შავ კიბანოში გამაწყობილი, სოლიდური გარეგნობის ქალბატონი სათნო ღიმილით უახლოვდება ჩვენს მაგიდას:

1. ბრინჯისაგან დამზადებული ნაციონალური კერძი.

2. ესპანურად მოფერების ფორმა.

3. მობრძანდით! (იაპ.).

— სადამო მშვიდობისა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება... შეიძლება ჩამოვჯდე?...

„MAMA“-სანის მოვალეობა სტუმრების შეხვედრა, გართობა და გაცილებაა. მაგრამ „გართობა“ ზღვარგადასულს არაფერს გულისხმობს — იგი ორ მომენტს ითვალისწინებს: სტუმრისათვის სასურველ თემაზე საუბარს და, ჩოგადად, სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნას. თუ დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ სწორედ ეს ორი მომენტი განსაზღვრავს ნებისმიერი რესტორნის სახელსა და პრესტიჟს. ამდენად, „MAMA — სანის“ პასუხისმგებლობა რესტორნის წინაშე მართლაც მნიშვნელოვანია...

... ხმაურიანია გიონი... მილეთის ხალხი დაიარება ქუჩებში... ერთმანეთს სწრაფ-სწრაფად ენაცვლებიან ეკროპული და აზიური ყაიდის სახეები, განსხვავებული სასაუბრო ენები და აქცენტები... გამომწვევად ჩაცმულ იაპონელ გოგონებს გვერდით ამაყად მოჰყვებიან კარგად შემთვრალი შუახნის მამაკაცები და ძვირფასი დიზაინით დამშვენებული რესტორნებისაკენ მიაცილებენ... ასეთ რესტორნებში მხოლოდ შესვლა ღირს 50 დოლარი, ერთი ჭიქა კონიაკი 70 დოლარი, სტუმრებს კი პროფესიონალი გეიშები და მაიკოები ემსახურებიან. მთელს იაპონიაში კიოტოს ვაიონის უბანი არის ერთადერთი ადგილი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს იაპონელი მაიკოების ტრადიციას.

— ეს ხორცშესხმული ხელოვნებაა, — ღამილით გვეუბნება ჩვენი მასპინძელი, ბატონი ცუკუი, და ყურადღებით ათვალიერებს მენიუს...

დარბაზში ვარდისფერი სჭარბობს. იშვიათი სილამაზის კიბანოებში გამოწყობილი და თეთრი ფერუძარილო სახეგალებილი მაიკოები გულმოდგინედ ნაქანდაკარ ფაიფურის თოჯინებს ჰკვანან. მათი მიხვრა-მოხვრა საოცრად ნაზი, დახვეწილი და ელევანტურია — იგრძნობა იაპონელი ქალის გენეტიკური გრაციოზულობა.

— იტადაკიმაას,¹ — გვიღიმიან მშვენიერი მაიკო და ფროთხილად გვისხამს საკუს მოვარაყებულ თიხის ჭიქებში...

„დღეს ჩემი ფიქრები ისეთივე ხშირია,
როგორც ჩემი გრძელი, შავი თმა“...

მასხენდება უნებურად...

განიერი „კოტაცუ“² თანდათან ივსება ვემოვნებით გაფორმებული სურნელოვანი კერძებით: ონიგირი, ტაკიკომი გოჰანი, შამეჯი გოჰანი, ტორი ნო მომო იკო, აგედაში თოფუ...

— იტადაკიმაას! — ვიმეორებთ ჩვენც და აუჩქარებლად ვსვამთ გრილ საკუს...

თავდახრილი გეიშა სევდიანად უკრავს კოტოზე, მე კი შუა საუკუნეების იაპონურ ფუნდუკში ძგონია თავი...

... მრავალნაირია გიონი... ჭრელა და ჭრულა... ერთგან თუ ხმაურიანად თქვლუფენ მისომირუსა და სუმაშიჯირუს, მეორეგან მოკრძალებულად მიირთმევენ იაკისობასა და საშიმს, ერთგან თუ წყნადად არაკუნებენ ჰაეროვან ია-

1. მიირთვიან. (იაპ.).

2. დაბალფეხებიანი იაპონური მაგიდა.

პონურ ჩხირებს, სხვაგან ყურს ჭრის ვერცხლის დანა-ჩანგლის თამაში რაწკარუწკი: იაპონიაში ჭამასაც თაუისი კანონები აქვს!

... — ირაშაი მასევეს! დოხო ილოშიკუუუ! დომო არივატო ვოზაბიმაშიტააა!
— გაუთავებლად ისმის რესტორანთა მუერვეების ომახიანი ყვირილი და თვალის აცა-ბაცა გარბის პატარძლებივით მორთული ვიტრინებისაკენ.

— რაც მთავარია, — ბრძნულად ასკვნის ნესტორი და სიფარეტს რაქრობს,

— რესტორანში მუშაობა საგრძნობლად აუმჯობესებს ჩემს იაპონურს...

— იოკო, — უცვბ ეშმაკურად უციმციმდება ნესტორს თვალები, — არ მასწავლი იაპონურს?

წითელ კიბანოში გამოსპრანჭული იოკო პირზე ხელს იფარებს, იცინის და თაუისი კიბანოს ფერი ხდება...

— თუ შენ არ მასწავლი იაპონურს, მე გასწავლი ესპანურს, — არ ეშვება ნესტორი.

იოკო კი იცინის და იცინის...

გიიონი კი ქოთქოთებს და ქოთქოთებს...

ქვეყანა კი ბრუნავს და ბრუნავს...

ჩა-ნო-იუ...

„თვალთ დამიბინდდა...

მწუხარების ცრემლები მტანჯავს...“

ვაითუ, მძლია სიბრაღულმა სამყაროსადმი,

ან იქნებ მთვარის სევდიანმა, ნათელმა მკრთალმა

დამაღონა ასე ძალუძად...“

(საიგიო)

ეს იყო სენ ნო რიკიუს უკანასკნელი ღამე... ჩაის ჯადოქარი მდუმარედ იჯდა ბნელ ოთახში და მოახლოებულ დასასრულზე ფიქრობდა... ჰაერი ძრწოდა... ხეთა შრიალი გზააბნეული ღანდების ჩურჩულს მიაგავდა... სულ ახლოს იყო სიკვდილი, სენ ნო რიკიუს კი შიშის უფლება არ ჰქონდა...

...ფეხაკრეფით შემოდისოდნენ გაოგნებული სტუმრები და უხმოდ სხდებოდნენ ქარვისფერ ტატამზე: დღეს მათ უკანასკნელად მიართმევდათ ჩაის დიდი მავესტრო...

„დროა“... ჭრაქი აანთო სენ ნო რიკიუმ და ლითონის ჩაიდანში მოთუხთუხე ნეტარი სითხე გაწაფულად დაასხა თიხის ფინჯანზე... თავში ავარდა მავიური ჩაის სურნელი და შირიული გაზაფხულის მოგონება გააღვიძა...

იმ დილით ძღვევამოსილი და მრისხანე ტოიტომო ჰიდეოში² ბავშვური დავემოვნებით წრუპავდა მწვანე ჩაის სენ ნო რიკიუს ერთი ციდა ჩაის ოთახში და თვალს არ აცილებდა ნაზად მოყვლეულავე ფაიფურის ლარნაკს... ლარნაკში ვარდისფრად აყვავებული ალუბლის ტოტები ჩაეწყო გულისხმიერ მასპინძელს... აფეთქებულ საკურას ხარბად შთაენთქა სივრცე და უხვად გაეჟღინთა გაზაფ-

1. დიდი მადლობა გეთაყვათ (იაპ.).

2. მე-16 საუკუნის დიდი ფეოდალი.

ხულის განუმეორებელი არამატით... „ჩაი, მზე და საკურა“... განუწყვეტლივ იმეორებდა ჰიდლოში და წამით ვერ ელედო ბედნიერ დიმიდს...

... მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ... ეს იყო მაშინ, როდესაც სენ ნო რიკიუ და ძლიერი ამა ქვეყნისა მეგობრებად იწოდებოდნენ, ერთმანეთს შეძლებდნენ ბევრ-მა წყალმა ჩაიარა...

... რიკიუ სენსეი არ ჩქარობდა... ყველა სტუმარს სათითაოდ მიართვა ჩაი, შემდეგ რუდუნებით აიღო ხელში მისთვის ესოდენ ძვირფასი წითელი თიხის თასი და სთქვა:

„ამ თასს, დაღდასმულს უბელობასგან, აღარასოდეს შეეხება ჩემი ბაგენი“... სთქვა და სამსხვრევებად აქცია იგი...

... ეს იყო სენ ნო რიკიუს უკანასკნელი ღამე: იმ ღამეს კაცი—ლეგენდა ჰიდლოშის ბრძანებით კვდებოდა...

... დასრულდა ჩაის ტრაგიკული ცერემონია... სტუმრები მძიმე სინანულით წამოიშალნენ, სამუდამოდ გამოეთხოვნენ მასპინძელს და ფეხაკრეფით დატოვეს ოთახი..

სენ ნო რიკიუმ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი კაკემონოს,¹ ნახად მოყვლ-ყელავე ფაიფურის ღარჩაკში მწუხარედ ჭკნებოდნენ შემოდგომის ყვავილები...

„დროა!“ — სთქვა მაესტრომ და მთვარის მკრთალ შუქზე ცივად მოლაპლაპე ხმალი წარბშეუხრელად დაისვა ყელზე...

ასე დასრულა სიცოცხლე იაპონური ჩაის ცერემონიის პატრიარქმა სენ ნო რიკიუმ 1591 წელს...

„და ის ერთი ხმალი დღემდე ელვარებს ცის კაბადონზე“, სწამთ იაპონელებს...

ჩაის სმა იაპონულთათვის წმიდათა წმიდა რიტუალია. რიტუალი, რომელიც დროებით ავიწყებს მძიმე ყოველდღიურობას, მომაბეზრებელ პრობლემებს, იძულებით ურთიერთობებს და მცირე ხნით მაინც ანმარტოვებთ საკუთარ თავ-თან...

... პატარა, ნახევრადბნელ ოთახში ყრუდ ისმის წყლის თუხთუხი... სკდე-ბიან წყლის ბუშტები და სკდებიან წუთები... დრო მიედინება... წყალი კი თუხ-თუხებს და შორს მიაფრენს სულს: იქ, სადაც ცამდე აზიდულ მთებში თავაწყ-ვეტილად მოქეხს ჩანჩქერი და მაღალი ფიჭვების შრიალი ფრუანტელივით მაფრავს ჰაერს...

„ჩაის სმა მარტოობაა, — ამბობდა სენ ნო რიკიუ, — მარტოობა საკუთარ სულთან... წყალი, რომელიც ჩაისთვის დუღდება, ჩვენი გონების უღრმესი და უხილავი შრეებიდან წვეთავს... ამ წყალთან ერთად ვდუღვართ ჩვენც.“

„ვღგავარ ეული მიწასა და ზეცას შორის,
და ვფიქრობ სამყაროს უსასრულობაზე“,

ახუსტებდა სექჩო...

...იაპონიაში ჩინეთიდან ჩაი შემოუტანია მე-12 საუკუნეში ბუდისტ ბერს ეისაის... ბერი ეისაი თურმე ყოველდღე მიირთმევდა ნეტარ სითხეს და არც თავისი იაპონელი მეგობრებისთვის იშურებდა... ვინ იცის, ბერის ეს გატაცება კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა შეუმჩნეველი, რომ არა ერთი შემთხვევა: მოუ-ლოდნელად ავად გამხდარა იმ დროის ძლიერ გავლენიანი ფეოდალი სანეტომო

1. ჩაის ოთახში დაკიდებული ნახტი.

მინამოცო და ეისაი ბერს სამკურნალო მიზნით ჩაი შეუთავაზებია მისთვის. ფეოდალი რამდენსამე დღეში მომჯობინებულა, ეს ამბავი კი ელვის სისწრაფით მოსდებია მთელ კუნძულს... ურწმუნებიათ რა ჩაის მაგიური ძალა, იაპონელებს მეტი ინტერესი გამოუჩენიათ მის მიმართ: მცენარეს ტრადიციები მოპყლია, ტრადიციებს — ცერემონიები, ცერემონიებს კი — მთელი კულტურა. და აი, მე-13 საუკუნეში, კიოტოში, ეროვნულ მახწავლებლად შერაცხულ ბერს დაი-ოს ჩაუტარებია ჩაის პირველი საყოველთაო ცერემონია და უამრავი მიმდევარიც გაუჩენია. დაი-ოს მიერ წამოწყებული საქმე შემდგომ საუკუნეებში ღირსეულად გააგრძელეს სხვა ბერებმა: იკკიუმ, შუკომ, ჯიომ, დაბოლოს გენიალურმა სენ ნო რიკიუმ, რომელმაც უკიდევანო ტალანტის, დახვეწილი გემოვნებისა და ნატიფი ტექნიკის წყალობით ჩაის უძლეველი კულტი შექმნა იაპონიაში...

... წითლად მოურთავს ნოემბერს ვოშოს იმპერიალური სასახლის ბაღი... მე და დედა აუჩქარებლად მივუყვებით ჭკნობაშეპარული ფოთლებით დაფარულ ბილიკებს... ლურჯად მოლივლივე ტბაში ნაზად შეჭრილა წვრილი კენჭებით მოკირწყლული ერთი ციდა ნახკვარკუნძული და სუნთქვასაკით მსუბუქი ტალღები შეპარვით ელაციცებიან კუშტად მომზირალ შავ ლიდას — კოშიკაკე იმის...

— ამ ქვაზე უყვარდა ჩამოჯდომა გადამდგარ იმპერატორს გომიზუნოს, — ღიმილით გვიხსნის გიდი, — განსაკუთრებით დაბინდებისას, როდესაც ტბას მთვარის ნათელი გადაეკვრებოდა და მთელი ბაღი კერცხლისფერ სამოსელში იყო გახვეული. პეიზაჟით ტკბობის შემდგომ იმპერატორი ჩაის პავილიონისკენ მიემართებოდა...

... ჩაის ცერემონია თავისთავად გულისხმობს პიროვნებებზე მედიტაციას სამყაროსთან... ალბათ ამიტომაც არის, რომ ჩაის პავილიონების ტრადიციული ადგილი სამყაროს სიმბოლოებად ქცეული თვალწარმტაცი ბაღების შუაგულშია: ტბა, ხიდი, ქვები, ბუჩქები, ზიგზაგები, მინიატურული მთები და ჩანჩქერები — აი, ის აუცილებელი დეკორატიული ელემენტები, რომლებიც ბუნების სახე-სიმბოლოებად შეუქმნიათ ჩაის ტრფიალ იაპონელებს და რომელთა ფასეულ ეპიცენტრსაც ჩაის ცერემონიის ოთახი წარმოადგენს: ბაგენი სვამენ ჩაის, თვალები უმზერენ სამყაროს და გონება უერთდება უსასრულობას...

„ვისწავლე, რადგან მსურდა სრულყოფილება!“ — ეს სიტყვები რიუონჯის ჩაის პავილიონის შესასვლელთან ნაკვებ ქვის ჯამზეა ამოტვიფრული... ჩაის ცერემონიის ანუ ჩა-ნო-იუს ფილოსოფიით, სრულყოფილება სულის ზეობას გულისხმობს, სულის ზეობა კი პარმონიის, კრძალვის, სიწმინდისა და სიმყუდროვის გზით მიიღწევა... როდესაც ჩინეთიდან დაბრუნებული დოოგენისთვის უკითხავთ, რა შეისწავლეთ უცხოეთშიო, მას დაუყოვნებლივ მიუგია: „არაფერი, გარდა სულის სიფაქიზისაო“... სწორედ სულის სიფაქიზე ქმნის ჩაის ცერემონიის უჩვეულო ატმოსფეროს — წყლის ცხელი სუნთქვა, შავად და წითლად მოკრიალე თიხის თასები, სათუთი შეხება, ნაზი სურნელი, ჩუმი ხმაური... ეს ყველაფერი პარმონიულად ერწყმის სუსტად განათებული ოთახის იდუმალეზას და საიცრად ღინჯი, აუმღვრეველი სიმშვიდე ისადგურებს. უნებურად გიპყრობს კრძალვის განცდა. კრძალვისა მათ მიმართ, ვინც შენთან ერთად ზის ტაძარზე და დაგემოვნებით წრუპავს კამკამა სითხეს: ჩა-ნო-იუ მისდაუნებურად ამსხვრევს იერარქიული კიბის საფეხურებს და გტოვებს მარტო საკუთარ სულთან...

„მე მინდა მეტი ელყარება!“ — უბრძანებია ერთხელ ომებით მოქანცულ ტოტიში პიდუოშის და რამდენსამე დღეში ოსაკის¹ ციხის ურიცხვ დარბაზებს ოქროს მოვარაყებული ჩაის ცერემონიის ოთახი შეჰმატებია... ოქროს კედლები და ოქროს ტოკონომა², ოქროს კაკემონო და ოქროს ლარნაკი, ოქროს ჩაიდანა და ოქროს თასები... ოქროს მახიურ ფილებში უგზოუკვლოდ³ გაბნეულა და ჩარგულა პარმონიაცა და მოკრძალებაც, სიწმინდეცა და სიმყუდროვეც...

„ოქრო ვერასოდეს განწმენდს სულს, — იტყვის საუკუნის შემდეგ განდევნილი ბერი სოტანი, — პატარა ოთახი, მკრთალი სინაილე, ყვავილი ლარნაკში და ლითონის ჩაიდანა — სხვა არაფერია საჭირო სულის მოსასვენებლად“...

... გასაოცრად ჰყვარებია სოტანი ბერის ჩაის ოთახის სიმყუდროვე გენიალურ კანო ტენნიუს. თურმე საათობით შეეძლო მჯდარიყო ფაქიზად მოწნულ ტატამზე და მოუღალავად ესმინა ბამბუკის წვრილი მილიდან მოწანწკარე წყლის ხმაურისთვის... მხოლოდ კედლების სიცარიელე არ ასვენებდა მის შემოქმედ სულს, რამდენჯერ შეუთავაზებია მასწავლებლისთვის მათი მოხატვა, მაგრამ — ამოდ... — „ნუ გაირჯებით, დასაძრახი როდია ეს სისადავე“, — მუდამ თავაზიანი ღიმილით პასუხობდა სოტანი სენსეი...

ერთხელაც, სოტანი ბერთან სტუმრად მიხულ კანო ტენნიუს შინ არ დაჰხვედრია მასპინძელი... გაწბილებული ტენნიუს თურმე გაბრუნებას აპირებდა, რომ კვლავაც მოჰხვედრია თვალში კედლების ყბადალებული სიცარიელე. ამჯერად, დრო აღარ დაუკარგავს მხატვარს, ამოუღია ჩანთიდან ფუნჯები, საღებავები და სწრაფად შესდგომია მუშაობას... ხატვაში გართულს გვიანლა შეუტყვია ჩაის დიდოსტატის მოახლოება, ადუღებულა, აჩქარებულა, წამებში მოუხაზავს ბოლი კონტურები და ბერის მოსვლამდე გაუჩინარებულა... ოთახში შესულ სოტანი სენსეის საოცარი სანახაობა გადაშლია თვალწინ — კედლებზე კანო ტენნიუს ეირტუოზული ტილი „რვა ბრძენი მსმელი“ ბრწყინავდა... მონუსხული ბერი კარგად დაჰკვირვებია ნახატს, დაჰკვირვებია და მოულოდნელად აღმოუჩენია, რომ ერთ-ერთ ფიგურას ხელები ჰქონდა აღრეული: აჩქარებულ კანო ტენნიუს ვეღარ მოუზომავს პროპორციები და უნებლიე შეცდომა დაუშვია...

„დიდებულია ყველაფერი, რაც არ არის პომპეზური და უნაკლო!“, უთქვამს სოტანი ბერს და უფოყმანოდ დაუტოვებია ტენნიუს შედეკრი ჩაის ცერემონიის ოთახში, როგორც გენიალური უბრალეობის სიმბოლო...

... მოვარაყებული ლითონის ლარნაკიდან ნაზად მილიმის გვირილის ტოტი... მასაკო არ ჩქარობს. ხელის ნაცადი მოძრაობით ფაქიზად ასხამს თიხის თასებში მღუღარე სითხეს და პატარ-პატარა, მოწიწებული ნაბიჯებით მოაქვს სტუმრებთან... მუხლზე დაჩოქილი, თავდახრილი გვაწვდის ფიალებს და ნიაჟსავით მსუბუქი ხმით წარმოთქვამს:

„იტადაკიმახენ გოზაიმას“...³

რუღუნებით კიხედები მწვანე უფსკრულში და ჩემი ანარეკლის ნაცვლად იაპონელთა წარსულის აჩრდილებს ვლანდავ...

1. ქალაქი იაკონიაში.

2. ჩაის ოთახის საპატოო კუთხე.

3. მიირთვით, გეთაყვა. (იაპ.).

ნოემბრის პირი საღამო ტენრიში.....

იაპონია ზღაპრული სილამაზის ქვეყანაა და ამ სილამაზეს, ალბათ, ბევრი რამ განაპირობებს: ლურჯი მთები და იღუმალე ქვის ბალები, სიძველისაგან ჩაშავებული ხის ტაძრები და ჭრელ-ჭრელ კიბანოებში მოლიულოვე ქალბატონები... ეს სილამაზე კიდევ უფრო საგრძნობი ხდება ნოემბრის თვეში, როცა მთებზე შეფენილი თუ ქუჩებში მიჯრით ჩაწყობილი ნეკერჩხლის ხეები წითლად იმოსებიან და მაროლატ მაგიურ იერს სძენენ იაპონურ პეიზაჟებს... 8 ნოემბრის საღამოა. მე და ჩემი თანამგზავრი, ტენრის უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი ტაკაო ჰინო ნეკერჩხლების წითელ ხეივანს მივუყვებით.

— „გეგმა“ ასეთია, — მეუბნება ბატონი ჰინო, — ჯერ დავათვალიერებინებთ ტენრის უნივერსიტეტს და შემდეგ გავემგზავრებით პროფესორ ოტანისთან.

მღელვარებით ვფიქრობ მოხალოდნელ შეხვედრაზე: სულ რამდენიმე საათის შემდეგ სტუმრად უნდა ვეწვიო იაპონიის სალიტერატურო წრეებში უაღრესად დაფასებულ მოღვაწეს და, რაც ჩემთვის უმთავრესია, „ვეფხისტყაოსნის“ იაპონურ ენაზე მთარგმნელს, პროფესორ ფუკასი ოტანის.

— ოტანი სენსეი თქვენთვის სპეციალურ კერძს ამზადებს, — ეშმაკურად იღიმება, ბატონი ჰინო.

პროფესორი ტაკაო ჰინო ოტანი სენსეის აღზრდილია — სიტყვას „სენსეი“ მაგიური მნიშვნელობა აქვს იაპონელთათვის. იგი იტევს ყველაფერს, რაც კი ღირებულია: პატარისცემას, მოწიწებას, სიყვარულს, და პროფესორი ოტანი ერთ-ერთი იმათაგანი გახლავთ, ვინც ღირსეულად ატარებს ამ მაღალ წოდებას.

დრო მალე გარბის და მე და ბატონი ჰინო იაპონური სტილის დეკორატიული ბაღით დამშვენებულ პატარა, კოპწია სახლს ვუახლოვდებით. კარის გაღებისთანავე ჩემი მღელვარება უკვალოდ ქრება: კარში მდგომი საიცრად კეთილი გარეგნობის უკვე ღრმად მოხუცებული მამაკაცი ფაციფუცით იხსნის წინსაფარს და განუწყვეტლივ იმეორებს:

— მომიტევეთ, მომიტევეთ, როგორც ყოველთვის, საქმეები ძლივს მოვასწარი. მობრძანდით, მობრძანდით...

ბატონი ოტანის სასტუმრო ოთახი ჩემს სასიამოვნო გაოცებას იწვევს: ყველა კედლიდან საქართველო იმზირება. შესულისთანავე იტაცებს თვალს შოთა რუსთაველის დიდა პორტრეტი, რომელსაც გვერდს უმშვენებენ ქართული ჭედურობანი, ფერწერული ტილოები, სხვადასხვა ზომისა და ღიზინის ყანწები და ხანჯლები...

— ჩემს ოთახში პატარა საქართველო „გავაშენე“, — მეუბნება ბატონი ოტანი, — სულ ბუდამ შევეყურებ ამ ნივთებს და თქვენი ლამაზი სამშობლო მახსენდება. უსაზღვროდ მიყვარს საქართველო. განა კი შეიძლება, რომ ადამიანს, რომელიც თუნდაც ერთხელ იმოგზაურებს ამ ქვეყანაში, განსხვავებული გრძნობა აქონდეს?... აი, ნახეთ, რა გაჩვენოთ!

ბატონი ოტანი წიგნის თაროდან სამ მძიმე ფოტოალბომს იღებს და ჩემთვის მოაქვს:

— ფოტოაპარატი ყოველთვის თან მქონდა და ვცდილობდი აღმებუჭა ჩემთვის დაუვიწყარი მომენტები... წარმოგიდგენიათ? — გარკვეული სიამაყით ამბობს ბატონი ოტანი და ვარძიაში გადაღებულ ფოტოსურათებზე მიმითითებს, —

ძალიან ყოჩაღად მივძვრებოდი ვარძიის გამოქვაბულების ლაბორინთებში!
... ვარძიას ცვლის მცხეთა, მცხეთას — ძველი თბილისის უბნები... გულს
მიმძიმებს ნოსტალგიის გრძნობა. აი, გაღიმებული ბატონი სარგის ციციშვილი...

— დიდებული პატივი მცა ბატონმა სარგისმა, როგორი ახალგაზრდა იყო!
— გულწრფელი განცდითა და თანაგრძნობით წარმოთქვამს უტყუარ სიტყვებს...

ალბომების დათვალიერების პარალელურად მასპინძელს — გენერალს, თუ
თავის დროზე „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების გაცნობის შემდეგ,
როგორ დაიმუხტა განზრახვით, იაპონურად ეთარგმნა რუსთაველი. „იაპონია
აუცილებლად უნდა გასცნობოდა მსოფლიო პოეზიის ამ ერთ-ერთ ყველაზე უმა-
ღლეს მწვერვალს“, — ამბობს ოტანი.

ჩვენს საუბარში ქალბატონი ოტანი ერევა.

— უკაცრავად, ძალიან მესიამოვნება, თუ სადილის წინ იაპონურ ჩაის მიი-
რობევენ.

კეთილი და პატიოსანი! ნოემბრის ცივ საღამოს არაფერი სჯობს თბილ
კოტაცუსთან ჯდომას და გამჭვირვალე, კამკამა მწვანე ჩაის სმას... ოტანი
სენსეის ეღიმება:

— აი, სწორედ თქვენს ადგილას, მაგ დივანზე იჯდა ბატონი გიორგი ციცი-
შვილი. მე და ბატონი გიორგი დიდი მეგობრები ვართ. კარგად ვიცნობ მის
ოჯახს. ძალიან გობოვით, ჩემი დიდი მოკითხვა გადასცეთ და ამცნოთ, რომ ჯან-
მრთულად ვარ, კარგად ვარ და მუშაობის ენერჯიაც ძველებურად შემწევს. ვი-
ცი, ესიამოვნება. ახლა კი თქვენთვის ერთი პატარა საჩუქარი მაქვს...

ამ სიტყვებით წუთით გვტოვებს ბატონი ოტანი და უკან „პატარა საჩუქ-
რით“ ხელში ბრუნდება. ეს გახლავთ იაპონურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყა-
ოსანი“! აღელვებული ვფურცლავ შესანიშნავი ილუსტრაციებით დამშვენებულ
„იაპონურ“ „ვეფხისტყაოსანს“ და არ შეჯერება, რომ ჩემს მოპირდაპირე მხარეს
ზის ამ ტიტანური შრომის გამწევი კაცი...

— არა, გეთაყვათ, ნუ ვისაუბრებთ ამ ნაშრომის სრულყოფილებაზე, — იგე-
რიებს ჩემს ქათინაურს ოტანი სენსეი, — ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, გაუ-
ბედავი პირველი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს დიდმა სიყვარულმა გადამა-
დგმევინა. მე მჯერა, რომ ეს გაგრძელდება. იაპონელი ლიტერატორების მომა-
ვალ თაობებს, ალბათ, ექნებათ საშუალება, სრულყოფილად შეისწავლონ თქვე-
ნი დიდებული ქართული ენა და ჩემი ნაშრომი გააუბჯობესონ.

— ალბათ, ძალიან მძიმე იყო „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის მთელი პერი-
ოდი?

— ძალიან მძიმე, — სწრაფად მპასუხობს ოტანი სენსეი, — შეიძლება ითქვას,
რომ ეს გახლდათ ჩემი ცხოვრების უმოავრესი შრომა! ამ დროს ყველაზე რთუ-
ლია... არც კი ვიცი, ეს როგორ გითხრათ — საკუთარი უმწეობის შეგრძნების
დაძლევა: როცა ერკინები შოთა რუსთაველის დონის გენიოსს, უმწეობის
გრძნობა თავისთავად გჯაბნის: ვინ — მე და ვინ — ის!... სწორედ ამ ფიქრობ
ჭიდილმა დამდალა ძალიან... გარდა ამისა, კოლოსალური ფიზიკური და მენტა-
ლური ენერჯია წავიდა თვითონ თარგმანზე. თქვენ თავად ლიტერატორი ბრძან-
დებით და კარგად ვამიგებთ: ნაწარმოები ფეთქავს, როგორც ცოცხალი ორგანი-
ზმი, მასთან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ვსარგებლობდი „ვეფხისტყაოსნის“
თარგმანებით სხვადასხვა ენებზე, ბწკარელული თარგმანით რუსულ ენაზე და
აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურით, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლ-
მხედველობრივ თუ ესთეტიკურ პრობლემატიკას ეხება... მსქსიმალურად შევე-

ცადე, არ დამეკარგა „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული ხიბლი — მსაჯულა მხოლოდ შკითხველია!

— ვწუხვარ, რომ ჩემი იაპონური არ მაძლევს საშუალებას წავიკითხო თქვენი ნაღვაწი.

— ნუ იღვლეხვებთ, — იცინის ოტანი სენსეი, — თქვენ წაღვალსკუდასკუდნი-ერება, ორიგინალში იკითხოთ ეს გენიალური ქმნილება!

ბატონი ოტანი ხელში კალამს იღებს და წიგნზე სახსოვარ წარწერას აკეთებს...

— ძალიან მინდოდა საქართველოში კვლავ ჩამოსვლა და ჩემი ნაშრომის რამდენიმე ეგზემპლარის პირადად ჩამოტანა, მაგრამ... ველარ შევძელი, გზა ცოტა არ იყოს, მაშინებს — ალბათ, მოეხუცდი, თორემ უწინ ასეთი სიფრასხილევები არ მჩვეოდა...

ქალბატონი ოტანი სასადილო ოთახში გვიხმობს. თვალს იტაცებს უზადო გემოვნებით გაწყობილი სუფრა და საჩვენებელ ადგილას დადგმული „მუკუზანი.“

— ეს ღვინო საგანგებოდ თქვენთვის გამოვიწერე ტოკიოდან, — ღიმილით მეუბნება ოტანი სენსეი, — ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ უხდება ქართული ღვინო ტრადიციულ იაპონურ კერძს „შაბუ-შაბუს“, რომელიც ამ საღამოსათვის მე ოვითონ მოვაშხადე...

„დიდი მსმელი“ არ გახლავართ, მაგრამ საოცრად მსიამოვნებს ჩემი მასპინძლის ესოდენ მზრუნველი ყურადღება და... მართლაც რომ არნახულად გემრიელი იაპონური „შაბუ-შაბუ“...

... დასასრული აქვს ყველაფერს და უს დაუეიწყარი საღამოც დასასრულს უახლოვდება... თბილად და მეგობრულად ვემშვიდობებით ერთმანეთს მე და ოტანი სენსეი. ქუჩაში გამოსულთ ნოემბრის ქარი გვეგებება... მე წელგამართული მოკუყვები ნეკერჩხლების მშვენიერ ხეივანს და წუთით არ მტოვებს სიამაყის შეგრძნება: მე ქართველი ვარ...

(გავგრძელება იქნება)



ანათეაზა უსასტიკესი

დიდი ბრიტანეთის გამომცემლობა „ვიკინგმა“ 1988 წელს დასტამბა ინდოელი მწერლის საღმან რუშდის რომანი „სატანური ლექსები“. ეს ნაწარმოები შესაძლოა არც ისეთი პოპულარული გამხდარიყო, აიატოლა ჰომეინის რომ არ მოეწოდებინა მუსულმანური სამყაროსათვის — მოეკლათ წიგნის ავტორი! მართლმორწმუნეთა მამამთავარმა ეს ნაწარმოები ყურანისა და წინასწარმეტყველ მუჰამედის შეურაცხყოფად ჩათვალა. მუსულმანურმა ქვეყნებმა რადიოთი ამცნეს მთელ მსოფლიოს, რომ რუშდის მოკვლისათვის დაინიშნა ჯილდო — ხუთი მილიონი დოლარი.

ისტორიას ახსოვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მწერლები გადაუციათ ანათემაზე, გაუკრავთ სამარცხვინო ბოძზე, მოუწვევიათ აუტოდაფე, ექსორია უქმნიათ... მაგრამ ახლა კაცობრიობა პირველად შეიქნა იმის მოწმე XX საუკუნის დასასრულს, საუკუნისა, რომელსაც ცივილიზაციის დიდი პრეტენზია გააჩნია, ადამიანს ასეთი განაჩენი გამოუტანეს.

იმ ავითაჟის წყალობით, რომელიც შეიქმნა „სატანური ლექსების“ ირგვლივ, ეს წიგნი 1988 წელს ბესტსელერად იქცა, ხოლო მუსულმანურ ქვეყნებში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში კი მკაცრად აიკრძალა.

მაინც რა ხდება ამ ნაწარმოებში? მკითხველი თავიდან ვერ მიხვდება, რისი თქმა ნებავეს მწერალს. რომანი იწყება იმით, რომ მისი ორი გმირი — ლონდონის ტელევიზიის რეჟისორი სალაჰუდინ ჩამჩა — „ათასხმიანი კაცი“, და მეორე კი ინდოეთის ეკრანის კინოვარსკვლავი ჯაბრაილ ფარტიში უპარაშუტოდ მოფრინავენ ზეციდან. ისინი თავბრუდამხვევი სისწრაფით უშვებიან, და მიუხედავად მათი მდგომარეობის უჩვეულობისა, ორივე თავის საყვარელ სიმღერას გაჰკვივის. ტელევიზიის რეჟისორი გაღობს ინგლისის ჰიმნს, კინოვარსკვლავი კი რაჯ კაპურის „ავარას“ მელოდიას მღერის:

ჩექმები მაქვს იაპონური,
ჯინსები ამერიკული,
შლაპა ვეება რუსული
და ჰინდუსტანური სული.

მხოლოდ რამოდენიმე გვერდის შემდეგ აგვიხსნის ავტორი საქმის ვითარებას: ბოინგმა „ბუსთანმა“, რომელიც ინდოეთიდან ინგლისში მიფრინავდა, ლამანშის სრუტეზე ავიოკატასტროფა განიცადა. მთელი ორმოცდაათი გვერდის შემდეგ შეიტყობს მკითხველი, რომ ბოინგი თვითმფრინავის გამტაცებლებს ჩა-

უგდიათ ხელში. ოთხი სიკვი ტერორისტის ულტიმატუმი ასეთია — სიკვების სახელმწიფო პალისტანი გამოეყოს ინდოეთს. ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ და მაშინ მათი მეთაური ქალბატონი თავლინი ბრძანებს ააფეთქონ თვითმფრინავი.

ორი ინდოელი ელვის სისწრაფით ეშვება ინგლისის სანაპიროზე და ხდება „ზეციოვან მიწას დახარცხებულთა“ ერთობ საინტერესუ ტრანსფორმაცია, — ეს ადამიანები კი არ იღუპებიან, არამედ გარდაიქმნებიან, — ელდისაგან ჯაბრაილს თავზე ხათლის გვირგვინი დაადგება, ხოლო სალადინს ფეხები შეებანჯვლებს, ტერფები ჩლიქებად გადაექცევა და რქებიც ამოეზრდება.

ჯაბრაილ ფარტიში, რომელსაც ბოლო ხანებში ათეიზმისაკენ აქვს მიდრეკილება, უხერხულადა გრძნობს თავს, რადგან ხათლის გვირგვინი მას წმინდათა დასს მიაკუთვნებს, მეორეს მხრივ კი ალტაცებულია იმ გარემოებით, რომ, როგორც მსახიობს მას შეუძლია მთავარანგელოზი გაბრიელი (ჯაბრაილი) განახორციელოს.

სალადინსაც გარკვეულწილად „ბედმა გაუღიმა“ — იქნებ ის „მეფისტოფელის“ შთამომავალია.

რომანის დასაწყისში ჯაბრაილი სიკეთის მაუწყებელია, ხოლო სალადინი ბოროტების მაცნე, ამბის ბოლოს მათი ხვედრი და მოწოდება იცვლება. ყოფილი მთავარანგელოზი ჯაბრაილი ლონდონში ხანძარს გააჩენს, ამის შედეგად დაიღუპება სალადინის ოჯახი. შემდეგ ინდოეთში დაბრუნებისას მოკლავს თავის შეყვარებულს ალილუია კოუნს, გადმოაგდებს ევერესტიდან და თვითონაც თავს მოიკლავს. ხოლო ბოროტების სიმბოლო სალადინი ლონდონის ხანძრის დროს გადაარჩენს ხალხს და საერთოდ სავსე კეთილი ზრახვებით. ორივე გმირი რამდენადმე ადამიანის „მე“-ს გამოხატავს. ბუნებაში არ არსებობს სპეტაკი უმწიკვლო სითუთრე და აბსოლუტური სიშავე, — ამტკიცებს მწერალი. დედამიწაზე, ზეცაში, კოსმოსში ეს ორი მცნება ერთმანეთთან აღრევის ზღვარზეა.

„სატანური ლექსები“ არის რომანი ფანტასმაგორია და ბევრს არ ეყოფა მოთმინება, ბოლომდე წაიკითხოს. ენა ნაწარმოებისა რთულია, ჭარბადაა აღმოსავლური ლექსიკა, და მისი ჭეშმარიტი შეფასება შეუძლია იმ ხალხს, ვინც მხოლოდ დასავლეთ ევროპის ტრადიციებს კი არ იცნობს, არამედ გათვითცნობიერებული აქვს ინდოეთის, მახლობელი აღმოსავლეთის კულტურა, ისტორია, რელიგია, ფილოსოფია, იცნობს ურდუს, ჰინდის, ფარსის ენას. რომანი ვეებერთელა ისტორიულ დროს მოიცავს, — დაწყებული თანამედროვე ეპოქით, როდესაც ინდოეთში მთავრობას სათავეში უდგას რაჯივი, ინგლისში — ტეტჩერი, იასირ არაფატი „ეკინგლავება“ ბეგინს, და დამთავრებული უძველესი პერიოდით — ჯერ კიდევ ისლამამდე, როდესაც არაბებს არ გააჩნდათ ყურანი, ბელუინები ეთაყვანებოდნენ კერპებს და წმინდა შავ ქვას. „სატანური ლექსების“ გეოგრაფიული რუკაც ვეებერთელაა, მოიცავს აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც — მოქმედება ხდება ინგლისში, არაბეთის ქვეყნებში, ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, სცილდება რეალურ სამყაროს და გადადის ფანტაზიით შექმნილ ქვეყნებში — პერისტანში, ეკზაილში და ა. შ.

რომანი შედგება ცხრა თავისაგან, ოღონდ ეს წმინდა წყლის ფორმალობაა. სინამდვილეში მას „მაჰაბჰარატასავით“, ათასი განშტოება, გადახვევა და უკუქცევები აქვს, რომლებიც თავისთავად დამოუკიდებელი მოთხრობებია.

სალმან რუფში საკმაოდ ხშირად იყენებს ცნობილ ხერხს „რომანი რომანში“, „სიზმარული ხილვები“, „სიზმარი და კინოსცენარი“ და ა.შ. ასეთ ჩართულ

ტექსტებს უპირველესად მიეკუთვნება მაჭუნდის ამბავი, რომელიც ფანტასტიკური ქვიშის ქალაქის ჯაპილიის მოციქულია, აქვე არიან გადამწერი სალამანი, ქალიშვილი აიშე, ცოლ-ქმარი მირზა საიდ აკატარა და მამალი, რომლებიც სალოცავად მექაში მიდიან. მოთხრობილია პოეტ აბუ სიმბელესა და მისი ცოლის პინდის ამბავი, პამელა ლოველასისა და რეკჰე შერნანდის და დაბრუნებული ალპინისტის აღილულია კონის ისტორია. აღილულია აკრატუსის, უმმაკეული აზრითაა შეპყრობილი, მას სურს მარტოდმარტომ დაიპყროს ევერესტი და ამ სურვილის მსხვერპლი გახდება კიდევ — ჯაბრაილი მას ევერესტიდან გადმოაგდებს და მოკლავს, მოციქული მაჭუნდი და მისი ამალის ამბავიც თითქოს სიზმარია, რომელსაც ძველ დროში გადავყავართ, მაგრამ სინამდვილეში ესენი ქმნიან რომანის ძირითად არსს. მთავარი ქვეტექსტი მიჩქმალულია მოციქულ მაჭუნდში, გადამწერ სალამანში და კრიტიკოს ბაალში და არა ჯაბრაილ ფარტიში თუ სალადინ ჩამჩაში. ცნობილია, რომ მაჭუნდი არქაული სახელწოდებაა მუჰამედისა. ისლამის შემსწავლელი ინდური ინსტიტუტის დირექტორი ზაფარულ ისლამ ხანი ასე აზუსტებს ამ ამბავს: „მაჭუნდი“ მოციქულის დამამცირებელი სახელია, ასე მას უწოდებდნენ ინგლისში. ინგლისელთათვის ეს ნიშნავდა „მაი ჰუნდ“-ჩემი ძაღლი“ („ტაიმზ ოფ ინდია“ 30 ოქტომბერი, 1988).

როდესაც დიდი ბრიტანეთის დედოფალი ვიქტორია დელიში ინდოეთის იმპერატრიცად გამოაცხადეს (1877 წ.), მან აკრძალა ინგლისის ლიტერატურაში მუსულმანთა დამამცირებელი სიტყვის („მაჭუნდ“) ხმარება. მაგრამ 111 წლის შემდეგ სალამან რუშდიმ ისევ აღადგინა ეს შეურაცხყოფელი მეტსახელი. რატომ დაარქვა სალამან რუშდიმ თავის რომანს „სატანური ლექსები“? ერთ-ერთ სუნაში მოცემულია იმ ადამიანების ნაშობი, რომელნიც იცნობდნენ მოციქულ მუჰამედს. მათი თქმით მოციქული ბრძანებდა, რომ ზოგიერთი მისი „აღმოჩენა“ ალაჰისგან კი არა, სატანისგან იყო ნაკარნახევი. ჰადისში „ალ-ჰარანიკ“ მოთხრობილია სწორედ ასეთ აღიარებაზე.

გულახდილად რომ ითქვას, რომანში ნამდვილად არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც შეურაცხყოფენ მართლმორწმუნე მუსულმანთა თავმოყვარეობას. არ მოეწონებათ მათ წმინდა ქალაქის სახელწოდებაც — ჯაპილია. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით არაბები წინაისლამურ პერიოდში სწორედ ასე ეძახდნენ მას, რაც თარგმანში „უმეცრებას“, „უვიცობას“ ნიშნავს. რომანში ქვიშით ნაგები ფანტასტიკური ქალაქი სხვა არა არის რა, თუ არა მექა.

„სატანურ ლექსებში“ მოციქული მუჰამედის ცოლებიც არიან გამოყვანილნი, რომლებიც საროსკიპო სახლში „ჰიჯაბში“ ბრძანდებიან. ერთობ საინტერესოა ასეთი „წვრილმანი“ დეტალიც: მეძავეების სახელები მუჰამედ მოციქულის ცოლების სახელებს ემთხვევა — ესენი არიან აიშა, ორი ზეინაბი, მარია და ა.შ. თუ მათ შორის მუჰამედის პირველი ცოლი ჰაჯიჯი არ ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სახელს ატარებს პერისტანის დიდი მმართველის ბრიყვი, კაჰასი და უღირსი მეუღლე. „ჰიჯაბში“ დროდადრო შეეხებება ბოჰემური პოეტი და კრიტიკოსი ბაალი, იგი „დაქორწინდება“ მაჭუნდის ჰარამხანაზე და მისი ცოლების სუტენიორად გადაიქცევა. ეთიკური საზღვრების გრძნობა აშკარად დალატობს რუშდის. მიუხედავად ამისა, მწერალი დაჯილდოებულია მკითხველის დაინტერესების დიდი უნარით, — არაჩვეულებრივი სიუჟეტით, მისტიური ამბებით, იუმორით, სატირის ელემენტებით, რაც გროტესკში გადაიზრდება ხოლმე. რუშდის რომანში ბევრი რამ არის მრავალმნიშვნელოვანი, აუხსნელი, განუჭვრეტელი, მაგრამ საინტერესო და ცნობის აღმძვრელი.

საღმან რუშდი აწმყოს წარსულთან და წარსულს მომავალთან რომ „შეაჯახებს“, მკითხველი ერთობ იოლად იღებს ამ სიუჟეტურ არეულობას, რადგან ეს „არაციონალური“ ლოგიკა გამართლებული და ჩვეულებრივი ამბავია, როგორც მიდერნისტული ხერხი, ან ორიგინალური, პიკანტური სტილი.

თიქოსდა ასეთი მრავალჯანრობრიობა, ნაირნაირი სტრუქტურა, აზრის აღმაფრენა, რომლებიც ვეებერთელა გეოგრაფიულ ტილოზეა — გსნტქნილო, მხოლოდ ეკლექტიკურისა და იღრევის შთაბეჭდილებას უნდა ქმნიდეს, მაგრამ, ამისდამიუხედავად, მწერალი ყველაფერს ვირტუოზულად მიუჩენს თავთავის ადგილს. წიგნის ფურცლებზე სატირა და ფანტაზია ერთობ ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, რაც არ ითქმის გროტესკისა და რელიგიის შესახებ. მკითხველს დროდადრო შეაცბუნებს მწერლის ცინიზმი და ბილწსიტყვაობა.

საღმან რუშდი ამჟამად იძულებულია დაიმალოს, იგი „თავისუფალ ტყვედა“ ზის თავშესაფარში, მას იცავს სკოტლანდ — იარდის პოლიცია. ვიდრე აიატოლა ჰომეინის მოწოდება არ შეიცვლება, ისლამის მიმდევარნი არ მოეშვებიან მწერალს. ამას მოწმობს ირანის ახლანდელი სულიერი მამის ალი ჰამენეის განცხადება: „ტყვია ნასროლია, მას აწერია მსხვერპლის სახელი, ადრე თუ გვიან იგი მიზანში მოხვდება“.

სენსაციური რომანი „სატანური ლექსები“ შესწავლილ უნდა იქნას, მკითხველნი და სპეციალისტნი კრიტიკულად უნდა მიუღვნენ მას, უნდა ყოველ მხრივ გააანალიზონ, მაგრამ მწერლისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა — დიდი სისასტიკეა.





თარგმნა შახინა ბურაკაძემ

საუბარი იელოველთა მწვალებლობაზე

1. კითხვა: რას წარმოადგენს იელოველების სწავლება?

პასუხი: იელოველთა სწავლება არის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მწვალებლობა, რომელიც ამჟამად, ჩვენს დროში არსებობს. მწვალებლობა, ანუ ერესი—ცრუ სწავლებაა, დამახინჯებული სწავლება ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრესი ჭეშმარიტების შესახებ, რომლებიც სახარებაშია გაცხადებული და საეკლესიო გადმოცემაშია დაცული. თავის დასაბამს ეკლესია წმიდა მოციქულთაგან-ქრისტეს მოწაფეთაგან იღებს. მისი სწავლება თითქოსდა ერთი მდინარის უწყვეტი ნაკადია, მწვალებელთა სექტებს კი არა აქვთ არც მემკვიდრეობითობა და არც ტრადიცია. ისინი სხვადასხვა დროს ჩნდებოდნენ და წარმოადგენდნენ დამახინჯებულ შეხედულებებს ქრისტიანობაზე ამპარტავნებით შეპყრობილი ცალკეული ადამიანებისა თუ ადამიანთა ჯგუფისა, რომლებიც მოსწყვეტიდნენ ქრისტეს ეკლესიას და თავიანთი ცრუ შეხედულებანი დაეპირისპირებინათ მისი ჭეშმარიტი სწავლებისათვის.

2. კითხვა: საიდან იღებს დასაბამს მწვალებლობა?

პასუხი: მწვალებლობა დასაბამს იღებს ადამიანის გონების ამპარტავნებიდან, დემონისმიერი ცდუნებიდან, რომელიც შთააგონებს ცოდვილი ადამიანის გონებასა და გულს თავის ცრუ სწავლებას, შინაარსით მრავალსახოვანსა და წინააღმდეგობრივს, მაგრამ ამავე დროს ერთი მიზნის მქონეს-შეარყიოს და მოსპოს ეკლესიის სწავლება, რომელსაც პავლე მოციქული უწოდებს „სუეტსა და სიმტკიცეს ჭეშმარიტებისას“ (1 ტიმ. 3,15). იელოველების სიმულვილი ქრისტეს ეკლესიისადმი იმდენად მძვინვარე და შეურაცხმყოფელი ხასიათისაა, რომ, ყურადღებით თუ ჩაუუკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რა სული მოქმედებს მათში. მათმიერი გმობა ქრისტეს ეკლესიისა აღსავსეა ისეთი გამოთქმებით, როგორცაა „სატანა“, „ბაბილონის შეძავი“ და ა. შ., რის უფლებასაც თავს ურწმუნო ადამიანიც არ მისცემდა.

3. კითხვა: როდის და საიდან აღმოცენდა იელოველების სექტა?

პასუხი: იელოველების სექტა აღმოცენდა პროტესტანტული წრეებიდან ამერიკაში. თავის დროზე მართლმადიდებლობას (XI ს.) კათოლიციზმი გამოეყო, კათოლიციზმს-პროტესტანტობა (XVI ს.), პროტესტანტობა კი სექტებად ქუცმაცდებოდა; აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი სექტიდან გამოვიდა იელოვიზმის ფუძე-

მდებელი რასელი, რომელიც პროფესიით კომერსანტი იყო. ამიტომაც იელოვიზმმა დაასრულა მოელი წყება განხეთქილებათა, განდგომილებათა და მწვალებლობათა.

4. კითხვა: როდის წარმოიშვა ეს მწვალებლობა?

პასუხი: ეს მწვალებლობა წარმოიშვა გასული საუკუნის მეცხრედიდან და ათიან წლებში. ასაკის მხრივ იგი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სექტამ უფრო ახალგაზრდა, კიდრე ბაპტიზმი, პოლოკანობა, აღვენტიზმი თუ პროტესტანტული სამყაროს სხვა ნამსხვრევები.

5. კითხვა: ჰქონდა თუ არა რასელს შეძენილი რაიმე საღვთისმეტყველო განათლება?

პასუხი: რასელს არ ჰქონია შეძენილი არანაირი საღვთისმეტყველო განათლება. ის მხოლოდ ვაჭრობასა და ბიზნესს მისდევდა, და დიდ ქონებასაც მოუყარა თავი.

6. კითხვა: რით დაიწყო ეს მწვალებლობა?

პასუხი: იელოველების მწვალებლობაც იმითვე დაიწყო, რითაც თითქმის ყველა სხვა მწვალებლობა იწყებოდა-უსწორო, თავისუფალი განმარტებით საღმრთო წერილისა, ბიბლიისა. რასელმა ჩამოაყალიბა წრე, რომელიც ასეც იწოდებოდა — „ბიბლიის მკვლევარნი“. ეს სახელწოდება მან შემდეგში უფრო შთამბეჭდავი გახადა და თავის წრეს „ბიბლიის სერიოზული მკვლევარნი“ უწოდა. რასელის შემკვიდრეთა ხელში ამ მწვალებლურმა სექტამ საბოლოოდ მიიღო დღევანდელი სახელწოდება — „იელოვას მოწმეები.“

7. კითხვა: რას ნიშნავს თვით სიტყვა „იელოვა“?

პასუხი: ბიბლიაში გვხვდება მთელი რიგი საღმრთო სახელებისა, როგორცაა, მაგალითად, „ელოჰიმ“, „საბაოთ“, „აღონაი“ და სხვანი. ღმერთის ერთ-ერთი ასეთი სახელია „იელოვა“, რაც ებრაულად „მყოფს“, „არსებულს“ ნიშნავს.

ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო იელოველები უარყოფენ ღმერთის დანარჩენ სახელწოდებებს. ეს გამოარჩევა ბიბლიის ტექსტში ყველა სექტანტისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ განსაკუთრებით—იელოველებისთვის. წინასწარმეტყველი და სჯულისმდებელი მოსე ამბობს: „... უფალო ღმერთი-მოშურნე სახელი არს მისი“ (გამოსვლათა 34,14). წინასწარმეტყველი დავითი წერს: „ვაქებდე სახელსა ღმრთისა ჩემისა და განვადილო იგი ქებითა“ (ფსალმ. 68,31), — ებრაულ ტექსტში იგი გადმოცემულია სიტყვით „ელოჰიმ“, ბერძნულში — „თეოს“, ქართულში — „ღმერთი“, რუსულში — „ბოგ“.

ესაია წინასწარმეტყველი წერს: „უფალი საბაოთ-სახელი მისი (ღმრთისა) (ეს. 48,2). ამოს წინასწარმეტყველიც ასევე იტყვის: „... იტყვის უფალი, — ყოვლისა მპყრობელ (საბაოთ) სახელი მისი“ (ამოს. 5,27).

როგორც ვხედავთ, იელოველები არღვევენ და უარყოფენ საღვრთო წერილის პირდაპირ მოწმობას, მათ მხოლოდ ერთი სახელი აირჩიეს ღმრთისა, ხოლო ყველა სხვა, რომლებითაც ღმერთი თავს განუცხადებდა ადამიანებს, უკუაგდეს.

8 კითხვა: რატომ დაუშვებს უფალი ღმერთი მწვალებლობებისა და სექტების არსებობას?

პასუხი: პაულე მოციქული ამბობს: „...წვალებანიცა ყოფად არიან თქვენ შორის, რათა რჩეულნი იგი თქვენ შორის გამოჩნდნენ“ (1კორ. 11,19). უფალმა თავისუფალი ნება მიაანიჭა ადამიანს. ცოდვა ამ უდიდესი საბოძვარის ბოროტად

გამოყენების შედეგი იყო, მწვალებლობა კი მხოლოდ ნებიდან და გრძნობიდან მომდინარე ცოდვა კი არ არის, არამედ, პირველ ყოვლისა, გონებისმიერი ცოდვაა. მწვალებლობის დასაბამია არქონა სიყვარულისა, იგი ვლინდება ამპარტავნებასა და განკერძოებაში. მწვალებლობათა შემომღებნი და „მოძღვარნი“, თავიანთ სულიერ სიბრძავეში, წინასწარმეტყველთა და მტრმჭედთა თანასწორად მიიჩნევდნენ თავს. ეკლესია სიყვარულით იწყება, მწვალებლობის კი — კრიტიკით, შოთით, ბრძოლითა და სიძულვილით აღმოცენდებიან. მაგრამ, მეორეს მხრივ, მწვალებელთან ბრძოლაში მართლმადიდებელი ქრისტიანი ქრისტეს მხნე მხედრად შეიქმნება და მისი დამოკიდებულებაც ეკლესიისადმი უფრო ღრმა და შეგნებული ხდება, ანუ ადამიანი უფრო სრულყოფილი შეიქმნება და „რჩეულნიც იგი“ ჩვენს „შორის გამოჩნდებიან“.

9. კითხვა: როდის შემოადწია საქართველოში იელოველების ცრუ-სწავლება?

პასუხი: არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში. მეორე მსოფლიო ომის დროს იელოველების სექტამ უკრაინაში გაიღვა ფესვები. ჩვენთანაც მისი პირველი მქადაგებლები სწორედ უკრაინიდან ჩამოვიდნენ. იელოველები აკრძალულ სექტათა შორის ირიცხებოდნენ, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა მათ ხელს თავიანთი ცრუ-სწავლება ხალხში გავრცელებინათ. მეტიც, მათ თავიც მოჰქონდათ როგორც „წამებულთ და სიძარტლისათვის დევნილთ“, და ამაში მთავრობას კი არ სდებდნენ ბრალს, არამედ — მართლმადიდებელ ეკლესიას.

10 კითხვა: რამ შეუწყო ხელი იელოვიზმის გავრცელებას?

პასუხი: იელოვიზმის გავრცელებას ხელი შეუწყო იმ დევნა-შევიწროვებამ, რაც საბჭოთა მთავრობამ დაიწყო ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ და რაც ათწლეულების მანძილზე გავრცელდა. ამ დევნის შედეგად ხალხმა, რეკოლუციის შემდგომი ორი თაობის ცხოვრების მანძილზე, დაივიწყა მართლმადიდებელი სწავლება ეკლესიისა. ყველა მონასტერი და ეკლესიების უმრავლესობა დახურეს; ბევრი მათგანი ააფეთქეს და სრულიად გაანადგურეს. სულიერი განათლება აღარსად იყო. ის ადამიანებიც კი, რომლებიც თავს ქრისტიანად თვლიდნენ, არასდროს არ იღებდნენ ხელში სახარებას. ადრეული ბავშვობიდანვე საბჭოთა ადამიანი ათეისტურ აღზრდა-განათლებას იღებდა. ადამიანებს ასწავლდნენ ეკლესიის სიძულვილს, სიწმიდეთა შებიღწვას, ღმერთის გმობას. ყოველივე ამან ქვეყნის სულიერი ცხოვრება უკაცრიელ უდაბნოდ გადააქცია. იმისთვის, რომ აღვიდგინოთ წარსულის სულიერი ცხოვრება, დროა საჭირო. და აი, ამ სულიერ უდაბნოში იელოველები შემოიჭრნენ, თანაც ისე, რომ არანაირ არსებით წინააღმდეგობას არ შეხვედრიან. აბა, რით უნდა შეპასუხებოდა მათ, ვთქვათ, რომელიმე გულუბრყვილო სოფლელი დედაკაცი, რომელმაც მხოლოდ ის იცოდა, რომ ბავშვები უნდა მოინათლონ, აღდგომას კი კვერცხი უნდა შეიღებოს?! ადამიანის გული ხომ მარადის ღმერთისაკენ — თავისი შემოქმედისაკენ მიისწრაფის, და ამას მოხერხებულად იყენებდნენ იელოველები. ისინი ყველას სთავაზობდნენ, ბიბლიას განგიმარტავთო, სახარებით მოვამარაგებთო. ხოლო იმ ადგილებში, სადაც იელოველთა სექტა დამკვიდრდებოდა, მატერიალურ დახმარებასაც უწევდნენ მის წევრებს.

11. კითხვა: კიდევ რა საშუალებას იყენებენ იელოველები თავიანთი ცრუ-სწავლების გასავრცელებლად?

პასუხი: ისინი ასწავლიან ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, და არა — ზეციურზე; ქადაგებენ ქვეყნიურ სუფევას, და არა — ცათა სასუფეველს, რომლის დასამკვიდრებლადაც უფალი სინანულად მოგვიწოდებს: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე 3,2).

ათვისტურ სახელმწიფოში აღზრდილი ადამიანები, რომელთაც დათრგუნვილი აქვთ სულიერება და რელიგიური გრძნობები, უფრო აღვიწყლებენ სწავლებას ამქვეყნიური ბედნიერი ცხოვრების შესახებ, რომელშიც, ვითომც უხვად იქნება სარჩო-საბადებელიცა და ყველანაირი შვება-სიამეც. იელოველები მოხერხებულად იყენებენ ადამიანთა მწუხარებას ახლობელთა სიკვდილის გამო, და ჰპირდებიან მათ — იელოვა ხელახლა შექმნის მათ, ამქვეყნად დააბრუნებს და თქვენ კვლავ შეხვდებითო ერთმანეთს. და განა მოინახება ქვეყნად ისეთი შვილმკვდარი დედა, ვინც არ მოისურვებდა კვლავ ენახა თავისი შვილი, იმგვარივე, როგორც ის ხორციულად მოჰკვდომია, დაბრუნებული ამქვეყნად იმისთვის, რომ აჯახს მოეკიდოს, შვილები შვას, მეურნეობას მიჰყოს ხელი?!... ამგვარი დაპირებების შემდეგ იელოველები იცხადებენ, რომ მეორედ შექმნილი ეს ადამიანები კვლავ მოკვდებიან, თუკი დროულად არ მიიღებენ იელოველების სწავლებას...

იელოველებმა მთელი მსოფლიო თავიანთი ქადაგების ზონებად დაჰყვეს, ყველგან მრავლად აგზავნიან მქადაგებლებს და რეგულარულად იღებენ ადგილობრივი თემებისაგან ანგარიშგებებს: თუ როგორ მიდის ქადაგება, როგორია წარმატებანი, სად რა სიძნელეებია და რა სახის დახმარებაა საჭირო. ეს ანგარიშგებანი იგზავნება ამერიკაში, ბრუკლინში (ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი), სადაც იელოველთა მსოფლიო ცენტრი მდებარეობს. აქედან ყველა მიმართულებით ფართო ნაკადად მიედინება სექტის ლიტერატურა, წიგნები და ჟურნალები 100-ზე მეტ ენაზე, მრავალმილიონიანი ტირაჟებით. ეს გამოცემები მდიდრულად არის ილუსტრირებული: იელოველები მათზე გახსნილი, ნათელი სახეებით არიან გამოხატულნი, ბედნიერი ღიმილით გაცისკროვნებულნი. მათ სახეებზე სიხარულია აღბეჭდილი იმის გამო, რომ ისინი იელოველები გამხდარან. მოწინააღმდეგეთ ისინი ციხიდან გამოქცეულ ბოროტმოქმედებსავეთ გამოსახავენ, გაბოროტებულთ. დაღვრემილთ, სიძულვილით აღსავსეთ. იესო ქრისტეც მათს გამოცემებში გამოხატულია როგორც ვინმე ახალგაზრდა ფერმერი თუ კოვბოი, მიმზიდველდიმილიანი, ხორციელი სიამის მქადაგებელი, ამქვეყნის მოყვარე... იელოვიზმის ფუძემდებელი რასელი კომერსანტი იყო. ამიტომაც მან კარგად იცოდა რეკლამის ყადრი და მიუხედავად იმისა, რომ იელოველთა წიგნების შინაარსი არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებულობით, ვარკვულად ბრჭყვიალა რეკლამა პატარა ბავშვებით იზიდავს მათკენ ადამიანებს.

12. კითხვა: რა ბოროტება მოაქვს იელოვიზმს ადამიანებისათვის?

პასუხი: ყოველგვარი სულიერი სიცრუე უკვე თავისთავად არის დიდი ბოროტება. როგორც არასწორ გზაზე დამღვარი ადამიანი სულ უფრო მოშორდება მიზანს, ასევე ცრუ-სწავლებას დამონებული ადამიანიც სულ უფრო განეშორება ღმერთს. იელოვიზმი მახვილივით არის მიმართული გულის-გულისაკენ ქრისტიანობისა. ჩვენი რწმენის საფუძველი, ჩვენი იმედი და სასოება იმაში მდგომარეობს, რომ იესო ქრისტე — ღმერთია, რომელმაც ადამიანური სხეული მიიღო, განკაცდა, რათა გამოესყიდა, ეხსნა კაცობრიობა. ხოლო იელოველები ასწავლიან, რომ ჩვენი მხსნელი — იესო ქრისტე ღმერთი კი არ არის, არამედ უმაღლესი ანგელოზია. კვლად, ისინი განარჩევენ დიდ ღმერთსა და მცირე ღმერთს. მაგ-

რამ განა შესაძლებელია ღმერთი მცირეც იყოს?! — იგი ხომ დაუსრულებელი და მარადიული სულია! იელოველები სიტყვიერ ხრიკებს მიმართავენ, რომელთა მიზანიც ერთია: დაარწმუნონ ადამიანები იმაში, რომ იესო ქრისტე არ არის თანახმობის და ერთარსი თავისი ღვთაებრივი მამისა, და ამიტომ, თითქოს, მისი ჯვარცმა არ ყოფილა სრულყოფილი მსხვერპლი, გაღებული კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად.

ქრისტიანის სახელს ქართველი ხალხი 16 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ღირსეულად ატარებდა, და აი, ახლა, იელოველებს სურთ სხვა სახელით შესცვალონ იგი! მაგრამ „იელოვას“ სახელს ხომ ებრაელებიც (იუდეველებიც) იყენებენ, როცა „იახვე“-ს მოუხმობენ, ასევე მუსლიმებიც, როცა „ალაჰ-ს“ გაიძახიან! მხოლოდ ქრისტიანის სახელი მოწმობს იმას, რომ ჩვენ იესო ქრისტე გვწამს როგორც ჭეშმარიტი ღმერთი და ჩვენი მხსნელი.

იელოველები უარყოფენ ეკლესიას, მიუხედავად იმისა, რომ თვით ქრისტე გვიმოწმებს მის არსებობასა და აუცილებლობას: „...ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერუოდიან მას“ (მათე 16, 18). ხოლო იელოველებს არათუ მიაჩნიათ, რომ ეკლესია უკვე დამარცხებულია ჯოჯოხეთის მიერ, არამედ „ბაბილონის შეშავადაც“ აცხადებენ მას! იმგვარი გმობა, აქამდე არნახული და წარმოუდგენელი, მხოლოდ ცოფიანის, ბოროტად ეშმაკეულის საქციელია.

იელოველები უარყოფენ ქრისტეს ეკლესიის უმთავრეს დოგმატს — ყოვლადწმიდა სამებას და საღმრთო პირთა — მამის, ძის და სულიწმიდის თანახმობასა და ერთარსებობას. ისინი ამტკიცებენ, რომ იესო ქრისტე ღმერთის ძეა არა საკუთრივი მნიშვნელობით ამ სიტყვისა, არამედ როგორც მხოლოდ მართალი და კეთილმსახური ადამიანი; რომ ღირსებით იგი ანგულოვნთა თანახმობია. სულიწმიდა კი იელოველებს მიაჩნიათ მხოლოდ გამოსხივებად იელოვასი, სინათლისა თუ რადიაციის მსგავს რაიმედ...

საქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებული მოწიწებით ეთაყვანებოდნენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, — ივერთა ხომ მისი წილხედრი ქვეყანაა. ცნობები ამის შესახებ სხვა ხალხების მატყანეებშიც გვხვდება. ამ თაყვანისცემით იყო განმსჭვალული ქართველთა არა მარტო სარწმუნოებრივი ცხოვრება, არამედ — საოჯახო-საეროც. უძველესი დროიდანვე ზეციური დედოფლის სადიდებლად სწევდნენ სასმისს ყოველი პურობის დასრულებისას და მისმიერი დალოცვით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. იელოველებს კი ამ სიწმიდებზეც — ყოვლადწმიდა ღვთისმშობელზეც — მარადის ქალწულ მარიამზეც აღუმართაუთ ხელი! ისინი ცრუდ ამტკიცებენ, რომ მას შემდეგ, რაც იესო ქრისტე იშვა სულიწმიდისაგან, ღვთისმშობელს, თითქოს, სხვა შვილებიც ეყოლა იოსებ დამწინდველისაგან. თვით იესო ქრისტე ბრძანებს, რომ უქორწინებლობა უმჯობესი ხედრია ადამიანისათვის, და „რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ!“-ო (მათე 19,12). ასევე პავლე მოციქულიც წერს: თუკი არ დააქორწინებ შენს ასულს, უმჯობესად იქმო (1 კორ.7,38). ხოლო, თუკი იელოველების ცრუსწავლებას დავუჯერებთ, დედა ღვთისა, რომლისაგანაც კაცობრივი სხეული მიიღო იესო ქრისტემ და რომლის რძითაც იგი აღიზრდებოდა, ხნეობრივი თვალსაზრისით ქრისტეს ბევრ მიმდევარზე დაბლა მდგომი ყოფილა! აი, სადამდე მიდიან იელოველები თავიანთ გმობაში! განა შეეძლო სულიწმიდისაგან თავისი პირმშოს სახწაულებრივი ჩასახვისა და შობის შემდეგ ქალწულ მარიამს მამაკაცისაგანაც ჩაესახა სხვა შვილები?! — ამის გაფიქრებაც ხომ საშინელი მკრე-

ხელობაა. და თუკი, იელოველების მტკიცებისამებრ, ღვთისმშობელს შვილები ჰყავდა იოსებ დამწინდველისაგან, მაშინ მისი სული ვნებით ყოფილა მოწყვლული და ამ ვნებას იგი უსათუოდ გადასცემდა თავის ძესაც; და განა შეძლება კაცობრიობის მხსნელი იყოსო ის, ვინც თავისი შობითვე არასრულყოფილია?! — აი, რისი ჩავონება სურთ ადამიანებისთვის იელოველ მწვალებლებს! სინამდვილეში კი ისინი, ვისაც სახარებაში იესოს ძმანი ეწოდებოდათ, იოსებ დამწინდველის შვილები არიან მისი პირველი ქორწინებიდან. იუდეველი ხალხისა და ასევე ბევრი სხვა ძველი ხალხის კანონებით, ასეთი ნათესაობა სისხლისმიერ დამობას უთანაბრებოდა...

იელოველები უარყოფენ წმიდა ხატებს, მათს თაყვანისცემას, და ამტკიცებენ, ხატები კერპებიაო. მაგრამ, როგორც ვიცით, ქერუბიმთა გამოსახულებანი — ეს პირველი ხატები — სჯულის კიდობნის თაუზე ჰქონდათ გამოსახული ძველ იუდეველებს, და ისინი ძველი აღთქმის კრეტსაბმელზეც იყო ამოქარგული წმიდათაწმიდაში — საკურთხეველში. იმისთვის, რომ გვერდი აუქციონ თავისთვის ამ უსიამოვნო ფაქტს — ბიბლიის მოწმობას სჯულის კარავსა და იერუსალიმის ტაძარში არსებული წმიდა გამოსახულების შესახებ, იელოველები ამბობენ, რომ, თითქოს, ეს მხოლოდ ნახატები იყო ხალხისთვის, აწინდელი მათი ილუსტრირებული წიგნების მსგავსი. მაგრამ „წმიდათაწმიდაში“ ძველი აღთქმის ტაძრის საკურთხეველში შესვლა მხოლოდ პირველმღვდელმთავარს შეეძლო, და ისიც — წელიწადში ერთხელ, რათა იქ მთელი ერისთვის აღველინა ლოცვა-ვედრება და სამსხვერპლო სისხლი ეპკურებინა! ამიტომაც იელოველების ეს ახსნა-განმარტება არ შეესაბამება სინამდვილეს... კვალად, იელოველები უარყოფენ გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგომასაც და ამბობენ, რომ ღმერთი, რომელსაც დამახსოვრებული ჰყავს თითოეული ადამიანი, მეორედ შექქმნის მათ. ისინი უარყოფენ თვით სულსაც და სულის უკვდავებასაც, ისევე, როგორც მატერიალისტები და ათეისტები. და ეს მაშინ, როცა სახარებაში, იგავში გლახაკ ლაზარესა და მოულოდნელად მოძკვდარ უკეთურ მდიდარზე, ქრისტე თვით გვეუბნება სიკვდილზე, როგორც სულისა და სხეულის გაყრაზე შემდგომი არამატერიალური არსებობით სულისა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს გონი, მახსოვრობა, გრძნობები და სიყვარულიც თავისი ახლობლებისა (იხ. ლუკა 16, 19-31). იოანეს გამოცხადებაში აღწერილია გარდაცვლილ მოწამეთა სულები, რომლებიც ილიცვიან უფლის საყდრის წინაშე (6, 9-11). საღმრთო წერილის ყველა ამ მოწმობას იელოველები არად აგდებენ და უარყოფენ. მსოფლიოს ყველა ხალხის გადმოცემებში დაცულია მოწმობანი სულის უკვდავების შესახებ, გარდაცვლილთა ურთიერთობაზე ამქვეყნად მცხოვრებ ადამიანებთან. ამ შემთხვევაში იელოველები იმეორებენ საღუკეველთა — იმ უღმერთო იუდეველთა — სწავლებას, რომელთაც განეკუთვნებოდნენ ქრისტეს ჯვარცმულნი პირველმღვდელმთავარნი — ანნა და კაიაფა.

იელოველები უარყოფენ მღვდლობასაც, თუმცა კი ცნობილია, რომ თვით უფლის წმიდა მოციქულნი ასხამდნენ ხელს და აკურთხებდნენ ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და დიაკვნებს ახალი აღთქმის ეკლესიისათვის (იხ. პავლე მოციქულის ეპისტოლეები ტიტესა და ტიმოთესადმი). წმიდა მოციქულთა — იოანესა და პავლეს მოწაფე ეგნატე ღმერთშემოსილი და პეტრეს მოწაფე კლიმენტი რომაელი მოუწოდებენ მორწმუნე ერს, პატივი მიაკეთ ღვთისმსახურთ და ყოველივეში დაემორჩილეთო მათ. ჩვენამდე მოღწეულია სხვადასხვა ქრისტიანი ერ-

ების ლიტერატურათა უძველესი ტექსტების ხელნაწერები, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ საზოგადო ღვთისმსახურებას ყოველთვის აღასრულებდნენ ეპისკოპოსები და მღვდლები.

იელოველები უარყოფენ საეკლესიო წეს-ჩვეულებებსაც. მაგალითად, სანთლებისა და კანდელების დანთებას. და ეს მაშინ, როცა ცეცხლი უკვე დაუკანონების საგანი კი არ არის, არამედ მხოლოდ სიმბოლოა. აქვე უღვევდნენ ცხოვრებაშიც ვიტყვი ხოლმე — სულის ცეცხლით, გულის მხურვალეობა, გონების სინათლე და ა.შ. სანთლის ცეცხლი, ნათელი — ლოცვითი სურვილია იმისა, რომ ჩვენი სიცოცხლე სიყვარულით იწვოდეს და კეთილი საქმეებით ანათებდეს ღმერთისა და ადამიანთა წინაშე, რათა ღვთაებრივი მადლი — სანთლისა თუ კანდელის ნათელით გვინათებდეს ცხოვრების გზაზე. იოანეს გამოცხადებაში მოხსენიებული შვიდი ანთებული ლამპრის ქვეშ (4,5) იგულისხმება შვიდი ანგელოზი, ანუ ქვეყნიური ეკლესია, ეს სახეა ზეციური ეკლესიისა...

იელოველებს სძაგო ჯვარი, და იმისთვის, რომ მისი ხსოვნაც კი მოესპოთ, ისინი „თალმუდს“ დაესესხნენ ცნობას მასზედ, თითქოს იესო ქრისტე ბოდს მიამსჯევდეს, და არა — ჯვარს!

თავის შვილებს ჯვარით ლოცავდა ყოველი ქრისტიანი დედა: ჯვრები აცისკროვნებდნენ ჩვენი მამა-პაპების საფლავებს; ჯვრებს აღმართავდა ხალხი მაღალ მთებსა და მიუდგომელ კლდეებზე, რითაც ღმერთს მიუძღვანებდა თავის მიწა-წყალს. ახლა კი ამას შეცდომად და უგუნურთა ჩვეულებად აცხადებენ იელოველი მწვალებლები... ჯვრის გამოსახულებები ძველი აღთქმის ეკლესიაშიც იყო; მაგალითად, სწორედ ჯვრის გამოსახულება გააკეთებინა მოსემ, როცა აღმართულ ბოდზე სპილენძის გველი მიაკვრევინა და ხალხს უთხრა, გველი რომ დაგგესლავს, რწმენით შეხედეთ ამ გამოსახულებას, — ჯვარს! — და ღმერთი სიკვდილისაგან დაგიხსნითო, და ამის შემდეგ, მართლაც, ყველა დაგესლილი ცოცხალი რჩებოდა; ჯვრის გამოსახულება იყო ის სისხლიანი ნიშანიც, რომელიც ეგვიპტეში დასვეს ებრაელებმა თავიანთი სახლების კარებებზე, რათა უფლის ანგელოზს მათი ყრმანი არ მოესრა. და კიდევ სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, რომელნიც ჯვარის სიწმიდესა და ხალმრთო დანიშნულებას ადასტურებენ ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში.

მაჰმადიანები ნებას არ აძლევდნენ ქრისტიანებს ჯვრები აღმართათ ეკლესიების გუმბათებზე. უღმერთონი გულიდან აგლეჯდნენ ჯვრებს ბავშვებს; საბჭოთა არმიაში აკრძალული იყო ჯვრების ტარება, ადამიანს შეეძლო სამსახური და ლუკმა-პურაც დაეკარგა, თუკი მას ჯვარს აღმოუჩენდნენ. ახლა კი იელოველებს სურთ ადამიანთა გულიდან ამოგლიჯონ ჯვარი და სასაცილოდ აიგდონ, წაბილწონ იგი!.. ჯვარი უფლისა ის ძალაა, რომლითაც იესო ქრისტემ ჯოჯოხეთის სძლია; ამიტომაც სატანას — ბოროტ სულს — სძულს ჯვარი, ძრწის მის წინაშე და ყველა მანქანებითა და მზაკვრობით ებრძვის მას თავისი მსახურების — იელოვისტი მწვალებლების მეშვეობით.

13. კითხვა: ყველაზე მეტად რას ქადაგებენ იელოველები?

პასუხი: იელოველები ქადაგებენ იმას, რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ და იტაცებს ადამიანს, ანუ ქვეყნის დასასრულის საშინელ ამბებს. იელოველებმა წარსულში რამდენჯერმე დათქვეს ქვეყნის დასასრულის „ზუსტი“ თარიღი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ მომხდარა. ამას სულაც არ შეუცბუნებია ისინი, — ყოველთვის გამოჩახავდნენ ხოლმე თავიანთი შეცდომის „გამამართლებელ“ მიზეზს, და ასე იძახდნენ, — ქრისტე ნამდვილად მოვიდა ამქვეყნად ჩვენ მიერ და-

ოქმულ დღეს, ოღონდ ჯერ მხოლოდ „სულიერი სახითო“, ანდა ამტკიცებდნენ, რომ თითქოს, „ამ წელს დაიწყო უფლის უხილავი სამჯავრო მსოფლიოზე“-ო. ამგვარი, „ქრისტეს უხილავი მეორედ მოსვლის“ ახსნა შეუძლებელია შემოწმდეს, დამტკიცდეს თუ უარყოფილ იქნას, და იელოველებს^{ს. მ. ხილვაძე} გადიან ფონს...

უკანასკნელად ქვეყნის დასასრულის თარიღად იელოველებმა გამოაცხადეს 1956 წელი. ამის შემდეგ იელოველებმა გადაწყვიტეს, რომ უმჯობესია მხოლოდ ქვეყნის დასასრულის ნიშნების აღწერით დაკმაყოფილდნენ ხოლმე და არამც და არამც არ გამოაცხადონ ზუსტი თარიღები. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იელოველების ლიდერმა სასახლე შეიძინა კალიფორნიაში, რათა ქვეყნის დასასრულის შემდეგ, ვითომც მასში მიეღო, მეფენი – დავითი, სოლომონი, სხვა მართალი მორწმუნეება ძველი აღთქმისა...

იელოველების ქადაგებებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მსოფლიო ბრძოლის აღწერას – ე.წ. „არმაგედონს“, ანუ იმ ხოცვა-ჟლეტას, რომელშიც მთელი კაცობრიობა უნდა მოისპოს, რა თქმა უნდა, იელოველების გამოკლებით! თუმცა კი ახალ აღთქმაში სულ სხვა მოვლენებზეა ლაპარაკი ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ქვეყნის დასასრულის წინ: ანტიქრისტეს გამოჩენაზე, რომელიც ცრუმოდვარი და ტირანი იქნება, – ადამიანისა, ვინც სატანის განსაკუთრებული ზემოქმედების ქვეშ მოექცევა და ყოველივეში მის ბოროტ ნებას ადასრულებს; აგრეთვე აპოსტასიაზე – ღვთისაგან დიდ განდგომილებაზე კაცობრიობის უდიდესი ნაწილისა. იელოველები უარყოფენ ეკლესიის სწავლებას ანტიქრისტეზე როგორც ღვთისმბრძოლზე, რომელიც შეეცდება წინ აღუდგეს ქრისტეს, და ამას იმისთვის აკეთებენ, რომ მათ მიერ შეცდენილმა ადამიანებმა ყვერ შესძლონ მოძხადება მოძვეალ უბედურებათათვის და რომ ისინი უძღურნი შეეგებონ ქრისტეს ეკლესიის დიდ დევნულებას, რაც ანტიქრისტემ უნდა დაიწყოს. თუკი ჩვენ არ გვეცოდინება ჭეშმარიტი სწავლება ანტიქრისტეზე, მაშინ მისი გამოჩენა მოულოდნელი იქნება ჩვენთვის და მისი ცრუ, მოჩვენებითი სასწაულებიც შეგვაცდენს, მათ ჩვენ ჭეშმარიტ, ღვთაებრივ სასწაულებად მივიღებთ...

კვალად, იელოველები უარყოფენ იესო ქრისტეს სხეულებრივ მკვდრეთით აღდგომას. მათი შეხედულებით, მისი სხეული ან კვლავაც სადღაც მიწისქვეშა მღვიმეში დევს, ანდა ჰაერს განზავებია და სრულიად გამქრალა. იელოველებისათვის არ არსებობს პასექის – ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის – დღესასწაული, და ამ ღოგიკით, ისინი არც კვირას – უფლის დღეს – აღნიშნავენ. სიტყვები – „ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!“ არ გაათბობენ მათს გულებსა და არ განაჩაოლებენ მათს სულებს...

14. კითხვა: თუ აქვთ იელოველებს რაიმე დღესასწაულები? თუ იკრიბებიან ისინი ერთად ლოცვისათვის?

პასუხი: იელოველებს მხოლოდ ერთი დღესასწაული აქვთ – „ქრისტეს ვნების – ძელზე გამოკიდების“ მოხსენიება, რომლის დროსაც გამოაქვთ წითელი ღვინო და პური. ამ „ტრაპეზში“ მხოლოდ ისინი მონაწილეობენ იელოველთაგან, რომელთაც იელოვას „რჩეულებად“ მოაქვთ თავი, სხვანი კი, „რიგითნი“, ამ დროს ღუმილათ აღევნებენ თვალს ამ სცენას... ლოცვითი შეკრებების დროს იელოველების უფროსი ხმაძაღლა კითხულობს „იმპროვიზირებულ“ ლოცვას, სხვები კი მხოლოდ უსმენენ.

15. კითხვა: როგორ მოქმედებენ იელიველები?

პასუხი: იელიველები ყოველთვის ძალზე დაჟინებით და ენერგიულად მოქმედებენ. ყოველ მათგანს გეგმა აქვს შემუშავებული, კვირაში რამდენი საათი დაუთმოს ქადაგებებსა და საუბრებს, რამდენი — თავიანთი წიგნებისა და ჟურნალების გავრცელებას. ყოველი წერი ვალდებულია რამდენიმე ადამიანი მაინც მიიყვანოს სექტაში. ამიტომაც იელიველები ხშირად ქუჩაშიც აჩენებენ ადამიანებს და ესაუბრებიან; ასევე სამსახურშიც, ტრანსპორტშიც და ბაზარშიც ელაპარაკებიან ყველას თავიანთი სექტის შესახებ და ცდილობენ მათს „მოქცევას“, — სექტაში ჩათრევას. შინაც გაწვევით, — სთავაზობენ ისინი ადამიანებს, რათა თავიანთი პოზიციებიდან განუმარტონ ბიბლია. მოურიდეებლად მიადგებიან ხალხს სახლში სრულიად უცნობ ადამიანებს, ძალით აჩენებენ თავიანთ ლიტერატურას. ყოველივე ეს ძალდატანებაა, „კართა მტკრევაა“, და იმას, ვინც თუნდაც სულ მცირე ინტერესს გამოხატავს მათი ცრუ-სწავლებისადმი, იელიველები უკვე არ ჰკარგავენ მხედველობის არეღან. უმთავრესი საზრუნავი იელიველებისა არის ბიბლიის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება, სემინარების მოწყობა, ასევე ახალ მქადაგებელთა მოშხადება. რა თქმა უნდა, ბიბლიის ახსნა-განმარტება ხდება იელიველების პოზიციებიდან, ბრუკლინის ცენტრიდან გამოვლენილი გეგმებისა და სქემების მიხედვით.

16. კითხვა: რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ქმედითად აღუდგეს წინ იელიველთა სწავლებას?

პასუხი: ამისთვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა სულიერი ცოდნის გაღრმავება და განვრცობა; სახარებისა და საეკლესიო წიგნების შესწავლა სულიერი მოძღვრის ხელმძღვანელობით; ცხოვრების ქრისტიანული წესისა და რიტმის დამკვიდრება ყოველ ოჯახში, რაც გულისხმობს დილისა თუ საღამოს ღოცვებს, კვირაობით ღვთისმსახურებაზე დასწრებას, მონაწილეობას საეკლესიო საიდუმლოებებში, უმთავრესად — სინანულისა (აღსარება) და ზიარების საიდუმლოებებში.

ადამიანთა ქრისტიანული განათლება უნდა დავიწყოთ ყველაზე მარტივი ცნობების მიწოდებით, მართლმადიდებელი სარწმუნოების ყველაზე საჭირო-როტო საკითხების გარკვევით. უმთავრესი კი ის არის, რომ ყოველ სოფელში, დაბასა თუ უბანში აღდგეს, აშენდეს თუ ამოქმედდეს ეკლესია-ტაძრები, სამლოცველოები. ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას ძალა შესწევს ნებისმიერი ადამიანის სულიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, ყოველი ადამიანის სულიერი წყურვილი დაარწმუნოს, როგორც დიდი, წყალუხვი მდინარე დაარწმუნებს ყველას, ვინც კი მის ნაპირთან მიდის.

17. კითხვა: რა მოაქვს ქართველი ხალხისთვის იელიველთა სწავლებას?

პასუხი: უპირველესად — ცრუ სულიერი ორიენტირები; ასევე — უარისთქმა თავის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, რომლებიც განუყრელადაა დაკავშირებული ქრისტიანულ მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან და რომელთა გარეშეც თვით ადამიანებიც სხვანაირნი ხდებიან.

იელიველთა მთელი სწავლება და საქმიანობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთი დიდი საექიმო ოპერაცია, რომელსაც ხალხის გულს უტარებენ. ამ ოპერაციის მიზანია — ამპუტირება, ამოგლეჯა და მოსპობა ყოველივე იმისა, რაც საუკუნეთა მანძილზე ძვირფასი იყო ქართველი ხალხისათვის. ეს კი მოასწავებდა უარის თქმას საკუთარ ისტორიაზე, თვით საკუთარ თავზეც.

იელიველ მწვალებლებს რომ დავუჯეროთ, მაშინ გამოდის, თითქოს, საქართველოს მატთანე მხოლოდ შეცდომების ისტორიაა. დიდებულ ტაძრებსაც,

რომლებიც ქართველმა ხალხმა ააგო როგორც ხორცშესხმული გამოხატულება თავისი სიყვარულისა ღმერთისადმი და თავისი ერთგულებისა ქრისტიანული მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი, იელოველები მიიჩნევენ საგვრძე ბომონებად, სადაც ბოროტი სულები — ეშმაკნი დამკვიდრებულან. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებსაც, რომლებშიც აღწერილია სასულდურნი თუ საერო პირთა მოღვაწეობისა და გმირობის ამბები, ისინი მასურ შეცთომილებად თვლიან, ხოლო წმიდანთა და რჩეულ მოხაგრეთა სახელებს აუგად მოიხსენიებენ და მათ დემონთა მსახურებად აცხადებენ. იელოველები ცინიკურად უწოდებენ წმიდა ხატებს — კერპებს, წმიდა ნინოს ჯვარს, რომლითაც ის საქართველოში შემოვიდა, — ჯოხს; წმიდა დიდმოწამესა და ძლევა მოხილს გიორგის, რომლის პატივადაც მსოფლიოს მრავალი ხალხის ენებში საქართველოს „გიორგია“, ანუ „გიორგის ქვეყანა“ ჰქვია. სამხედრო დამნაშავედ ხმობენ, რაკი იგი მხედართმთავარი იყო და ბევრ ბრძოლაშიც მიუღია მონაწილეობა; კვალად, იმ მხედრებსაც, ბრძოლებში რომ დაცემულან რწმენისა და მამულისათვის და ამით ქართველი ერის ისტორიული თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებიათ, ისინი დიდ ცოდვილებად ნათლავენ, რადგან იელოველები, საერთოდ, ყველა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს სამშობლოს დამცველებად კი არ მიიჩნევენ, არამედ დანაშაულებრივ ორგანიზაციად აცხადებენ. მათი შეხედულებით ხომ, იარაღის ხელში აღება უკვე თავისთავად არის შეცოდება, ხოლო სამშობლოს დამობას მტრისათვის ისინი სავსებით დასაშვებ საქმედ მიიჩნევენ, — ეტყობა ფიქრობენ, რომ შემოსეულ მძვინვარე მტერს — მკვლელებსა და მოძალადეებს — შეიძლება უიარაღოდაც შეეწინააღმდეგო, მხოლოდ ცრუ-მოძვარ რასელის ბროშურებით ხელში. თვით მოსეც, რომელმაც საღმრთო მცნებები მოსცა ადამიანებს — „არა კაც ჰკლა“ და სხვანი, ომის უამს იარაღს იღებდა ხელში და თავისი ხალხის ღაშქრის მხედართმთავარი ხდებოდა. მაშასადამე, ამ საღმრთო მცნებაში ღაპარაკია სულ სხვა რაიმეზე, ანუ იმაზე, რომ დაუშვებელია ადამიანის მოკვლა შურისძიების, ახგარებისა და ა.შ. მიზნით. საკუთარი ისტორიისადმი გულგრილობითა და ზიზღით აღვსილი ხალხი იმ ბავშვს ჰგავს, უდუღამოს, რომელიც უპატრონოთა სახლში მიუციათ აღსაზრდელად და რომელსაც არც თავისი სახელი ახსოვს და არც გვარი.

ამგვარად, იელოველები, ხალხის სიწმინდეთა ეს შემბილწველნი, მოგვევლინნენ მეორე დამანგრეველებად ეკლესია-მონასტრებისა კომუნისტების შემდეგ, ოღონდ იმ განსხვავებით რომ ეს უკანასკნელნი უხეში ძალის გამოყენებით სპობდნენ ყოველივეს, — რაც კი სარწმუნოებასთან და სულიერ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. იელოველებს კი სურთ თითოეული ადამიანი გადააქციონ ღვთის ტაძრის ნებაყოფლობით დამანგრეველად, — როგორც ქვათავან აგებულისა, ასევე — სულიერისაც, ანუ საკუთარი სულისაც გამოდის, რომ იელოველები ამ ღვთისსაწინააღმდეგო საქმეში სოლიდარულნი არიან კომუნისტებთან და სწორედ მათს ბოროტ საქმეს აგრძელებენ. თუკი ხალხს მის წარსულს წაართმევენ, მას აღარც მოძავალი არ ექნება; იგი გადაიქცევა გაურკვეველ, ამორფულ მასად, რომელსაც, გარედან ზემოქმედებით, ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია.

იელოველები უარყოფენ სახელმწიფოს, არმიას, ეკლესიას. რა დაუძარტებოდა საქართველოს, ასეთ ცრუ-მოძვრებას ჭიასავით რომ გამოეხრა მისი სარწმუნოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრება? — იგი ერთ წელიწადსაც ვერ გაუძლებდა მტრის შემოსევას, ვერც ისეთი მძლავრი სახელმწიფოებისას, როგორიც

წარსულში სპარსეთი და თურქეთი იყვნენ, და ვერც სხვა რომელიმესი, დაე, თუნდაც ნებისმიერი ველური ტომისა...

ქრისტიანობა აღმოსავლეთიდან მოვიდა მსოფლიოში, ახლა ვა შევხვდებით დრუბელი იელოველთა მწკალებლობისა დასავლეთიდან მოემართება ჩვენსკენ. მართლმადიდებელი აღმოსავლეთი ბრძენია და შემხუცებელი ყოველთვის სულიერი სიმდიდრე ერჩია მას მატერიალურ კეთილდღეობას, და მისთვის ყოველთვის მარადიულზე, საღმრთოზე ფიქრში იყო ჩაძირული.

დასავლეთმა კი სხვა მოდელი შემოგვთავაზა — ტექნიკური ცივილიზაცია, რომელშიც ადამიანის სულიერი პროგრესი შეცვლილია მანქანური პროგრესით. მაგრამ სულიერებისა და რელიგიურობის მხრივ ის ყოველთვის მართლმადიდებელ აღმოსავლეთზე დაბლა იდგა. ამჟამად დასავლეთს სურს მართლმადიდებელი აღმოსავლეთის მასწავლებელი იყოს, და ავიწყდება, რომ ერთ დროს თვითონ სწავლობდა მისგან.

საქართველოს ისტორია მხოლოდ ბრძოლისა და ომების მატიაზე კი არ არის მის მძლავრ მტრებთან, როცა ქვეყნის ცხოვრება სისხლით მოისყიდებოდა, არამედ ეს, უპირველესად, სხვადასხვა სარწმუნოებრივ გამოცდათა, განსაცდელთა მატიაზეა.

ცეცხლთაყვანისმცემლობის ბატონობის ეპოქა წარმართები სხვადასხვა პრივილეგიათა და უფლების აღუთქვამდნენ ქრისტიანებს ჭეშმარიტი სარწმუნოების უარყოფისა და წარმართობაში გადასვლის სანაცვლოდ. მაგალითად, ბაჟისა და გადასახადების გაუქმებას, მაღალი წოდებებისა და თანამდებობების მიცემას თავად-აზნაურობისათვის, ხშირად კი პირდაპირ მოსყიდვასაც არ ერიდებოდნენ. მაგრამ ქრისტიან ქართველ ხალხს ყოველთვის რწმუნის ეროგულება ერჩია ყოველგვარ სიმდიდრესა და კეთილდღეობას, და მას არასდროს არ გაუყიდა სული. იმჟამად სპარსელები სპეციალურ სკოლებში, მაგალითად, განძაკში, თავიანთი მქადაგებლების მთელ ლაშქარს ამზადებდნენ, რომლებიც შემდეგ საქართველოში მოდიოდნენ, ცეცხლთაყვანისმცემელთა ბომონების ასაშენებლად სპარსული ფულით, და ქართველ ჭაბუკებს უფასო განათლებას სთავაზობდნენ სპარსეთში. მაგრამ ქართველი ხალხი ყოველთვის შეურყევლად იდგა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, ხოლო როცა ამის საშუალება ეძლეოდა, როგორც ეს ვახტანგ გორგასლის ზეობისას იყო, ქვეყნიდან განდევნიდა კიდევ ამ წარმართ მქადაგებლებს.

მუსლიმანთა ბატონობისას ქრისტიანთა მდგომარეობა მშვიდობიანობის დროსაც კი მძიმე იყო. არაბნი, სპარსნი თუ თურქნი დიდძალი გადასახადებით შეაჭირვებდნენ მათ; ეს გადასახადები უძელვე უუქმდებოდა მას, ვინც მაჰმადიანობას მიიღებდა. გარდა ამისა, თავადაზნაურობას მაღალ თანამდებობებსაც ჰპირდებოდნენ მაჰმადიანურ ქვეყნებში. მაგრამ ქრისტიანმა ქართველმა ხალხმა ამ განსაცდელსაც გაუძლო — საქართველო კვლავაც ქრისტიანულ ქვეყნად დარჩა და სახელწოდებაც დაიმსახურა „ჯვარისმტვირთველისა“...

იელოველები დიდ მატერიალურ დახმარებას ჰპირდებიან თავიანთი სექტის მომავალ წევრებს, საიდან მომდინარეობს ეს მხარდაჭერა? უანგაროა კი იგი? ბიბლიაში მოთხრობილია, თუ როგორ გაჰყიდა შიმშილით შეწუხებულმა ესაქმა თავისი პირმშობა და მამისეული კურთხევა ერთ ქოთან ოსპის შეჭამადზე... სახარებაში წერია, რომ უკანასკნელ ეპოქაში, ქვეყნის დასასრულის წინ, გამოჩნდებიან ახალი ცრუ-სწავლებანი და ცრუ-მოძღვრები, რომელნიც მრავალთ შეაც-

დენენ. ცოდვის გამრავლება ამქვეყნიად, ურთიერთსიყვარულის გაიშვილება ადამიანებში, მატერიალურ ინტერესებში ჩაფლობა, რელსიგიური უფულისხმობა და უბედრება — ყოველივე ეს უართო ასპარეზს გადაუშლის ამ ცრუ-მოძღვრებს მოქმედებისათვის. ეშმაკს არ შეუძლია შექმნას რაიმე, ის მხოლოდ ანგრევს, და ეს ადამიანებიც — იელოველი ცრუ-მოძღვრებიც სულიერ მხრეველად გვივლინებიან. ისინი გმობენ, ცილს სწამებენ, აბუნად იგდებენ ყოველივე ეშმაკს, რითაც ხალხი საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა, და სანაცვლოდ ბრუკლინში დაბეჭდილ იმ ბრჭყვიალა სურათებიან ბროშურებს გვთავაზობენ, „კოკა-კოლას“ რეკლამას რომ წაავაგს. მართლმადიდებელ ქრისტიანებს ისინი ველურ ხალხად, უბირ პაპუასებად მიიჩნევენ, რომელნიც უნდა „განანათლო“, და ავიწყლებათ ის, რომ, როდესაც ქართულნი თავიანთ ცივილიზებულ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, მაშინ ბრუკლინის ადგილას ველური ინდიელები თავიანთ ვიგვამებს დგამდნენ...

ზნეობრივი თვალსაზრისით, იელოველთა მწვალებლობას მხოლოდ ნიჰილისტის აღზრდა შეუძლია, ანუ ისეთი ადამიანისა, რომელსაც დაკარგული აქვს იდეალება, ტრადიციები, ყოველგვარი სიწმიდეები; იელოველები უარყოფენ ყოველივეს, აბუნად იგდებენ, დახციანიან ყველას და ყველაფერს, არღვევენ, ანგრევენ, თვითონ კი არაფერს არ ქმნიან. ამიტომ მათ მიერ აღზრდილი ადამიანიც ასეთია: არა სჯერა სულის როგორც სხეულისგან განსხვავებული ბუნების არსებობა, რამეთუ ფსალმუნთმგალობელი დავით მეფის სიტყვით, „ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგნურ და მიემსგავსა მათ“ (ფსალმ. 48, 13).

იელოველები ანტიქრისტიანულ სექტას შეადგენენ, მაგრამ ქრისტეს სახელით ინიღბებიან, რადგან ხალხს უყვარს თავისი მხსნელი — იესო ქრისტე, თუმცა უმრავლესობამ არ უწყის მართლმადიდებელი ღვთისმეტყველება. იელოველებს მხოლოდ ერთი რამ სურთ: დაარწმუნონ ადამიანები იმაში, რომ იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი; და თუ ისინი ამას მოახერხებენ, მაშინ ამ შეცთომილ ადამიანებს აღარ ევოლებათ უფალი ჩვენი იესო ქრისტე როგორც კაცობრიობის მხსნელი.

ამიტომაც იელოველთა მწვალებლობასა და ქრისტიანობას შორის ღრმა, გაუვალი უფსკრულია. იელოველებთან მისული ადამიანი უკვე ამითვეა უარყოფელი იესო ქრისტესი როგორც ღმერთკაცისა. ანგელოზსა და ადამიანს ძალუბთ ერთგულად ემსახურონ შემოქმედ ღმერთს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ კაცობრიობის ხსნა. ქრისტიანობის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთი ხორციელ-იქმნა და განკაცდა იმისთვის, რომ გამოესყიდა ადამიანები ეშმაკის ტყვეობისაგან, გაეთავისუფლებინა ისინი ჯოჯოხეთისაგან და მოენიჭებინა მათთვის ცათა სასუფეველი, საუკუნო ნეტარი ცხოვრება და ღმერთთან მადლმოსილი ერთობა.

ათეისტები უარყოფენ ქრისტეს; იელოველები შესცვლიან მას, სხვას ჰქადაგებენ ქრისტეს სახელით. შედეგი კი ორსავე შემთხვევაში ერთია: მათ მიერ შეცდენილი ადამიანი მარტოღმარტო რჩება თავისი გამოუსყიდველი ცოდვებით დამძიმებული ღმერთის სამართლიანი სამსჯავროს პირისპირ.

მაშ, შენ რას ამოირჩევ, მართლმადიდებელი ქრისტიანო, ქართულო კაცო:

ჭეშმარიტ ეკლესიას, რომელმაც გადაარჩინა საქართველო, თუ ახალ, დამღუბ-
ველ მწვალებლობას, რომელიც გადაშენებას უქადის მას?! წმიდა გიორგის მაც-
ხოვნებელ ეკლესიას, თუ იელოველ მწვალებელთა სულისწარმწყმედ კლუბს?!
იერუსალიმის ღვთაებრივ ნათელს, თუ ბრჭყვიალა ბრუკლინურ რეკლამებს?!...

ვისთან ერთად გსურს შენ საუკუნო ცხოვრება: შენს სუფსნათ წიქარებთან
ერთად, რომელნიც საკუთარი სისხლით იცავდნენ ქრისტობნობას და მართლმა-
დიდებელი სარწმუნოებაც თავის მძლე საფარველს ჰქენდა მათ, — თუ იმ
ულირს ადამიანებთან ერთად, რომლებიც ბოროტ სულს ემსახურებიან და
ფეხით სთელავენ შენს საუკუნოვან სიწმინდეებს?!

უფალი ღმერთი, შემოქმედი შენი, ასე მოგიწოდებს:

„მოწამეს-ვპყოფ დღეს ცასა და ქვეყანასა, რამეთუ ცხოვრებასა და სიკვ-
დილსა დავსდებ თქვენ წინაშე, — კუროხევისა და წყევისაგან გამოირჩიე შენ
კუროხევაი იგი, რათა სცხონდე შენ და ნათესავი შენი!“ (მეთრე სჯული 30,19),
— სცხონდე უფლისა მიერ იესო ქრისტესი, რომელსა შვენის დიდება, პატივი
და თაყვანისცემა თანა მამით და სულიწმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი
უკუნისამდე. ამინ.



ფრანგული მასალების მიხედვით

მოამზადა როენა ყენიამ

კამილ კლოდელი

ფრანგი მოქანდაკე ქალი კამილ კლოდელი ტრაგიკული ბედის ხელოვანია. მისი პიროვნება აქამდე მივიწყებული იყო. ოგიუსტ როდენის მოწაფე დაიჩრდილა დიდი მანეტროს ფრთებქვეშ, მაგრამ მადლიერმა შთამომავლობამ იგი სრულ დავიწყებას არ მისცა. ეს საინტერესო ხელოვანი დღეს შეტად პოპულარულია. მასზე იწერება წიგნები, პიესები, კინოსცენარები.

კამილა 20 წლისა იყო, როდენი კი 44, როცა ერთმანეთი გაიცნეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ურთიერთობა 15 წელი გრძელდებოდა, ბედნიერი მხოლოდ რამდენიმე წელი აღმოჩნდა. ეს პერიოდი ორივე ხელოვანისათვის შეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო. მათი ინტელექტი საოცარი სიძლიერით გამოვლინდა ერთად შექმნილ ნამუშევრებში. ხელოვნებისა და გრძნობების შერწყმამ მრავალი შედეგრი შთააგონა და შეაქმნევინა ამ ორ ნიჭიერ მოქანდაკეს.

კამილა ცნობილი ფრანგი მწერლის პოლ კლოდელის და გახლდათ. და-ძმა ბავშვობიდანვე მეგობრობდნენ. კამილა ძმის მრავალი ნაწარმოების გმირის პროტოტიპია, ბევრი რამ საერთო აქონიათ მათ, მაგრამ განსხვავებაც ბევრი იყო. კამილამ გახედა, მიატოვა ოჯახი და როდენს დაუახლოვდა, როდენისა და ქანდაკების სიყვარული ამჯობინა დამკვიდრებულ ტრადიციებს. უფრო კონსერვატორი პოლი კი პოეზიამ და თეატრმა გაიტაცა.

ასე იქცა კამილა კლოდელი ამ ორი ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედების წყარო.

ერთნაირი ძალით გატაცებულ ორ ხელოვანს შორის დიდი გრძნობა დიდხანს ვერ გასძლებს. ოსტატისა და შეგირდის რთულმა ურთიერთობამ, შემოქმედებითმა მეტოქეობამ და ეჭვიანობამ მალე შეაღწია კამილასა და როდენის ცხოვრებაშიც. მათ გრძნობას წინ აღუდგა რეალური ცხოვრების სირთულეები. ნორჩი კამილას პირველ, დიდ სიყვარულს როდენმა გრძნობებით სავსე ცხოვრება დაახვედრა, მას უკვე ჰყავდა საყვარელი როზ ბერე, რომელთანაც ბევრი რამ, ყველაზე მთავარი კი — შვილი აკავშირებდა. ვარდა ამისა, როდენი დაკავშირებული იყო მოდელით და ზეპური საზოგადოების წარმომადგენელ ქალებთანაც.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რა მყარი იყო გათხოვილი ქალის სოციალური მდგომარეობა XIX საუკუნის ფრანგულ საზოგადოებაში, არ გაგვიკვირ-

დება, თუ რატომ არ გაანდო კამილამ თავის ოჯახს როდენთან ურთიერთობის ამბავი. მისი ოჯახისთვის, საზოგადოებისათვის, ვის წრეშიც ის ტრიალებდა, კამილა მუდამ „ბატონი როდენის მოწაფედ“ დარჩა. მაგრამ მოულოდნელად მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — კამილამ მიიღო მძიმე გადაწყვეტილება — დაეტოვებინა როდენი და დაეწყო დამოუკიდებელი ცხოვრება — დატოვებულ თავისი შემოქმედება. ეს იყო მეტად ნაყოფიერი, შემოქმედებითად დატვირთული პერიოდი მის ცხოვრებაში, მაგრამ, სამწუხაროდ კამილას არ ეყო ძალა და აეკვიპატა აზრი, რომ მისი ცხოვრების გართულებაში დანაშაული როდენს მიუძღოდა.

„მან ყველაფერი შესწირა როდენს და ყველაფერი დაკარგა მასთან ერთად“, — თქვა მოგვიანებით კლოდელმა.

კამილა კლოდელის ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს, რა რთული იყო იმ ეპოქაში ქალს ხელოვნების ამ დარგში ემუშავა და წარმატებებიც მოეპოვებინა. კრიტიკა კამილას იხსენებს არა მარტო როგორც როდენის მოწაფეს, არამედ როგორც ნიჭიერ მოქანდაკეს. იქტავ მირბო წერდა: „იგი თავისი ეპოქის უნიჭიერესი ქალია“. არც როდენი აკლებს კამილას ხოტბა-დიდებას. „მე მას ვუჩვენე, როგორ მოეპოვებინა ოქრო, თუმცა ოქროს, რომელსაც ის მოიპოვებდა, თავად ფლობდა“.

ქანდაკებისათვის საჭირო ფიზიკური ძალა ამ ხელოვნებას მამაკაცის საუფლოდ თვლიდა, ამიტომაც საზოგადოებისათვის დაუჯერებელი იყო, — ღამაზი, სრულიად ნორჩი და ფაქიზი გარეგნობის კამილა კარგი მოქანდაკე თუ დადგებოდა. მართლაც, XIX საუკუნე დარიბია მოქანდაკე ქალებით, რასაც ვერ ეიტყვიოთ მწერლობასა და მხატვრობაზე. კამილას არასოდეს მიუღია დავკვეთა სახელმწიფოსაგან, თუმცა დაპირებები ბევრი იყო, არც თავის მშობლიურ სოფელ ვილენევიში დაადგმევინეს ქანდაკება. მაშინ ქალს არ ანდობდნენ ამგვარ საქმეს. მხოლოდ რამდენიმე კოლექციონერი დაინტერესდა მისი ხელოვნებით, ესენი იყვნენ: მატეას მორარდტი, მ. კეიტელი, მორის ფენაილი, კაპიტან ტისიე, ანრი ასელენი, ეფენ ბიო და სხვები, რომლებიც მისი მეგობრები და დამცველები გახდნენ, მაგრამ ნამუშევრების გაყიდვა. რა თქმა უნდა, საკმარისი არ იქნებოდა მასალის, ტრანსპორტირების და ჩამოსხმის ხარჯების დასაფარად. კამილა კუსტარული მეთოდით მუშაობდა, იგი თავად ასრულებდა ყველა სამუშაოს. მასალად იყენებდა ქვას, ონიქს, მარმარილოს. როდენი კი რენესანსის ოსტატთა ტრადიციების მიხედვით მუშაობდა და პრაქტიკოსებს სამ ატელიეში ხელმძღვანელობდა. შეგირდები ასრულებდნენ შავ სამუშაოს, თავად კი საბოლოო შტრიხებს ამუშავებდა, ამიტომაც ძალიან ბევრ შეკვეთას ასრულებდა და შესანიშნავად ართმევდა თავს საკუთარ შემოქმედებით საქმიანობას.

ამგვარი მუშაობისათვის სახსრები კამილას არ გააჩნია. უჩვეულო ტემპერამენტისა და მკაცრი აღზრდის გამო არ ეხერხებოდა ურთიერთობების დამყარება. განმარტობით მუშაობაც უყვარდა და საზოგადოებაშიც ნაკლებად ტრიალებდა. როდენი, პირიქით, თავისი დროის აკადემიური აზროვნების წინააღმდეგ და ხელოვნებაში ახალი ფორმების დასამკვიდრებლად გაბედულად და აქტიურად იბრძოდა. იგი განუწყვეტლივ ტრიალებდა ლიტერატურულ და პოლიტიკურ წრეებში, ბევრ შეკვეთას იღებდა და თავისი ნამუშევრების გარშემო ატეხილ მრავალ სკანდალსა და პოლემიკას იგერიებდა.

როდენთან ურთიერთობის პირველ წლებში კამილას წინ ბევრი კარი გაიხსნა. მაგრამ შემდეგ იგი დასცილდა მხატვრულ სამყაროს. გაჭირვებას ყოველ-

თვის განიცდიდა, თუმცა შვილების გენიალობაში დარწმუნებული მამა რეგულარულად უგზავნიდა ფულს. ის კი არა, მამა თავის წილსაც არ ხარჯავდა, რათა დახმარებოდა ქალიშვილს, მაგრამ არც ეს კმაროდა. მატერიალურმა და ფსიქოლოგიურმა სიძნელებმა, რასაც თან ერთოდა უკიდურესი სიჭარბოვე, კამილას ცხოვრება აუტანელი გახდა, დაარღვია მისი სულიერი წინასწრობა და შეარყია მისი ფსიქიკა.

ხელოვანი ქალის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები საკმაოდ საინტერესოდ აისახა სკულპტურულ ნამუშევრებში: წყვილის თავდავიწყებული სიყვარული: „კაკუნტლა ანუ მიტოვება“; სიგიჟის ძალვა: „კლოტო“; კლოდ დებოუსისადმი მიძღვნილი „ვალსი“, ქუჩის ყოველდღიური სცენები: „მოსაუბრეები“; უარყოფილი სიყვარულის ნაყოფია: „ვედრება“; განხეთქილება სიყვარულში: „მომწიფებული ასაკი ან ცხოვრების გზა“; მოახლოებული ბედისწერა: „პერსეუსი, ანუ ის, ვინც უკანმოუხედავად კლავს“.

კამილა კლოდელის სკულპტურები მოგვითხრობენ სიცოცხლეზე, ადამიანურ ემოციებზე და გრძნობებზე. მოქანდაკე ჭეშმარიტების შეცნობის ძიებაშია. იგი როდენის ღირსეული მოწაფეა, რომლის სწავლების ძირითადი არსი „ბუნების სინამდვილეშია.“ კამილასათვის ეს სინამდვილე მხოლოდ გარეგნული, სოციალური პრობლემებით სავსე გამოხატულება როდია; თითოეული სკულპტურა შეფერილია ცოცხალი, ემოციებით დატვირთული ფერებით, გრძნობებით განათებული მასალა მოგვითხრობს ხელოვანის განცდილს შესახებ. ყოველი ქანდაკების გრძნობითი სამყარო ღია და ყოველნაირი მაყურებლისთვის მისაწვდომია: არანაირი აბსტრაქცირება, მხოლოდ ქალის ინტიმური, გრძნობებითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე ცხოვრების ასახვა. ხელოვნების ეს მყისიერი „ფოტოგრაფიული“ უშუალოდ ხსნის შინაგან რეალობას და აისახება მასალაში, სადაც სინათლე და ჩრდილი საგანთა იდუმალ მნიშვნელობას გადმოსცემს. კამილას ხელოვნებას თეატრისდარად განტვირთვის ფუნქცია აკისრია. ამ მოქანდაკას ორიგინალობა მისი ნიჭისა და შინაგანი ბუნების განსაკუთრებულ გამოხატულებაშია. ჭეშმარიტების ეს უშუალო, ნახევრად მისტიური, ქალური სუბიექტურობით დატვირთული ძიება შესაძლოა ახალ ფორმათა და აბსტრაქტულ სტრუქტურათა მაძიებელთათვის მოდიდან იყოს გასული, მაგრამ უდავოა, რომ იგი ინტერესმოკლებული არაა.

კამილა კლოდელის შემოქმედების ბოლო პერიოდის ქანდაკებებში პიროვნების გაორება შეიმჩნევა. პირად ცხოვრებაზე იგი უკვე აღარ მოგვითხრობს პირდაპირ, უშუალოდ და მხოლოდ მითოლოგიური პერსონაჟების მეშვეობით, გვესაუბრება. „პერსეუსი ანუ ის, ვინც უკან მოუხედავად კლავს“ ახალგაზრდა კაცია, რომელიც ამაყად ასრულებს თავის მისიას—მან უნდა მოკლას ურჩხული და ვათავისუფლოს კუნძულის მკვიდრნი. ბოროტი გოგონას ცდუნების თავიდან ასაცილებლად, პერსეუსი იყენებს წინასწარმეტყველურ სარკეს, არხევს გიჟურად გადმოკარკლულ თვალებიან გოგონას თავს, რომელიც კამილამ საკუთარი სახის ნაკეთობით გამოხატა.

1905-დან 1913 წლამდე (კამილას სიკვდილამდე) ხელოვანს ღირებული არაფერი შეუქმნია. ეს იყო თვითგვემის პერიოდი, როცა მან ბევრი ნამუშევარი გაანადგურა. როდენისადმი ავადმყოფურმა სიძულვილმა შეაშფოთა ოჯახი და კოლექციონერი მეგობრები. ბევრი ახლობელი შემოეცალა ხელოვან ქალს და იგი დარაბებდავმანულ სახლში ცხოვრობდა, ჭუჭყსა და უცნაურ გარემოცვაში...

ცუდად იკვებებოდა... ფსიქიური მდგომარეობაც დღითიდღე უარესდებოდა და ოჯახმა მისი იზოლირება გადაწყვიტა. გაუსაძლისმა ყოველდღიურმა ცხოვრებამ კამილას წონასწორობა სრულიად დაურღვია. იგი როდენს ბრალად სდებდა შთაგონების და ნამუშევრების მოპარვას.

ძნელია ჩაწვდეს ამ ორი ნიჭიერი ხელოვანის ურთიერთობას, როგორც კი კამილამ როდენი მიატოვა, როდენმა მას შეუწყვიტა დახმარება, სიძულვილი როდენის სიკვდილის შემდეგაც არ განელებია. შეიძლება ითქვას, რომ როდენის სიცოცხლე კამილასათვის მის სიყვარულთან ერთად დამთავრდა.

კამილას ძმა უცხოეთში მუშაობდა დიპლომატად და დას ყურადღებას ვერ აქცევდა. მამა, რომელიც ნიადაგ ეხმარებოდა, მოხუცდა, ახლობლები ველარ ეგუებოდნენ, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს არავინ ეხმარებოდა. მას რომ ჩვენს დროში ეცხოვრა, დღევანდელი მედიცინა მდგომარეობიდან გამოიყვანდა, იგი გადაიტანდა სიმძულვებს, მოიკრებდა არსებობისათვის საჭირო ძალებს და სრულქმნიდა თავის ხელოვნებას. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ხელოვანი ქალის ფსიქიური მდგომარეობა, რომელიც მაშინ ხდებოდა მეიფე, როცა სიმძულვებს აწყდებოდა. მოზღვავეებულმა ენერგიამ შეიძლება ხელოვანზე ნეგატიურად იმოქმედოს, მის ფსიქიკას ნორმალური ფუნქციონირების უნარი წაართვას. დღეს გავვიჭირდება მისი სიგიჟის ხარისხის განსაზღვრა, ცნობილია იმდროინდელი პრესის რეაქცია ოჯახის წინააღმდეგ. კამილა ვილევრარდის თავშესაფარში მოათავსეს. მას უკრძალავდნენ კორესპონდენციების მიღებას, მნახველებთან შეხვედრებს. მონღევერგის შორეულ თავშესაფარში გადაგზავნის შემდეგ კამილა სრულ იზოლაციაში მოექცა: 31 წლის განმავლობაში იგი არც დედას, არც დას არ უნახავს, მოინახულებდა მხოლოდ პოლი, როდესაც საფრანგეთში ჩადიოდა, აგრეთვე რამდენიმე მეგობარი. არ არის შემონახული არც ერთი კორესპონდენცია გარდა ოჯახის წევრებისადმი მიწერილი წერილებსა, არც კოლექციონერი მეგობრებისადმი მიწერილი წერილები არსებობს. მფარველი მამის სიკვდილმა და პოლის ხანგრძლივმა სამსახურებრივმა გადაადგილებებმა კამილას დედას შვილის იზოლაცია გადააწყვეტინა, მაგრამ მაშინაც კი, როცა თავშესაფრის დირექტორმა შესაძლოდ მიიჩნია კამილას ოჯახში დაბრუნება, დედამ უარი განაცხადა. ძნელია ამ გარემოების ახსნა. იქნებ ეს იყო მოსალოდნელი შიში სკანდალისა, რომელიც უკვე მერამდენედ შეარყევდა საკმაოდ რესპექტაბელური ოჯახის რეპუტაციას. იქნებ ეს ქალი XIX ს-ის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გავრცელებული გულქვა დედის პროტოტიპია, რომელმაც ვერ შესძლო თავისი მიზნების განხორციელება კამილას მეშვეობით. მეორე ქალიშვილის, ლუიზას საშუალებით კი მოახერხა, რომელმაც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სარფიანი ქორწინება არჩია და ამით დედის პატივმოყვარეობა დააკმაყოფილა. ან იქნებ ეს იყო ოჯახური რისხვა სოციალური და რელიგიური ტაბუს დარღვევის გამო? იქნებ დედა-შვილის ურთიერთობამ ბავშვობაშივე დაასვა დაღი კამილას ლაბილურ ფსიქიკას? იქნებ მოზარდ ასაკში ეს ურთიერთობა ურთიერთსიძულვილში გადაიზარდა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა კამილას ნერვული მდგომარეობა? ამგვარი დედის სახეს ხშირად ვხვდებით ანდრე ჟიდის, ფრანსუა მორიაკის და თვით პოლ კლოდელის შემოქმედებაშიც. კონტაქტების გაწყვეტას და აბსოლუტურ იზოლაციას არ შეეძლო არ გაეუარესებინა კამილას ფსიქიური მდგომარეობა, რაც ვლინდებოდა ხშირ ბოღვებში, გაანჩხლებასა და აკვიატებულ აზრებში.

კამილა კლოდელმა 30 წელი გაატარა საგიჟეში. ამ ხნის განმავლობაში

მას რა თქმა უნდა, არაფერი შეუქმნია, შემორჩა მხოლოდ რამდენიმე წერილი სავსე გრძნობებით, სურვილებით, სევდით, სინანულით, აკვიტებული აზრებით...

დღეს საზოგადოებას მეტად აღელვებს კამილა კლოდელის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება, ცხოვრება ნიჭიერი ქალისა ორი გენიოსი მამაკაცის გვერდით იმ ეპოქაში, როცა მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ წარმატებების მიღწევის საშუალება.

ხელოვნების ღირებულება

„ლუვრი შესანიშნავი წიგნია კონსულტაციისათვის, მაგრამ ის მხოლოდ შუამავალი უნდა იყოს. რეალური და ნაყოფის მომცემი სწავლა კი მხოლოდ ბუნებაშია, მისი მრავალფეროვნების აღქმაშია, ლუვრში ჩვენ კითხვას ვსწავლობთ და, როგორც კი იქიდან გამოვდივართ, ბუნებას მივაშურებთ, იქ ვცდილობთ განვიწმინდოთ აზრები და ჩვენი თავის გამოხატულება ჩვენს არსებაშივე ეპოვოთ, დრო და დაკვირვება ნელ-ნელა ხეწს ჩვენს ხედვას და ბოლოს გვეხსნება გონება...“ — ასე წერდა სეზანი და აზრად არ მოსვლია არც მას და არც ერთ დიდ ხელოვანს, მათი სიკვდილის შემდეგ სრული ანარქია რომ დამკვიდრდებოდა მათს მხატვრულ მემკვიდრეობაზე, იმაზე, რასაც სისხლის ფასად ქმნიდნენ და რასაც გროშის ფასადაც ვერ ყიდდნენ. დღეს კი ფასი დღითი დღე ემატებათ მათ ნაწარმოებებს.

ხელოვნების შეფასება რთულია, ეს საყოველთაო დაა ცნობილი, თუმცა არიან ისეთები, რომელთაც სურთ, რომ ეს შეფასებული იყოს. მართლაც, ხელოვნებას ფასი არა აქვს. მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებს უნდა გააჩნდეს თავისი ღირებულება. როგორ შეიძლება ამის დადგენა, რას უნდა დაეყრდნო, საიდან დაიწყო? ეს მეტად რთული საკითხია, განსაკუთრებით იმ მხატვრისათვის, ვინც ცოცხალია, რადგან არც ერთი მხატვრული ტილო ზომის გარდა ერთმანეთს არა ჰგავს. ამიტომ საფრანგეთში გადაწყდა ხელოვნების ნაწარმოებების საჯარო აუქციონზე გამოტანა, ამან კი საშინელი შედეგი გამოიღო, ფასები დამოკიდებული აღმოჩნდა მოდაზე, გატაცებაზე, მხატვრის პროდუქციის ხარისხზე და სხვა და სხვა.

როგორც ვითარებამ უჩვენა, ფასების დაკანონებამ საკითხი ვერ მოაგვარა, რადგან თითოეული ნაწარმოები ერთადერთია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, თუ მხატვრისაგან არაყინ ყიდულობს, მისი ტილოების ღირებულება დაბალია. ვან გოგის ტილოებს მის სიცოცხლეში საერთოდ არ ჰქონდა ფასი, რადგან მას არცერთი არ გაუყიდა. როცა მხატვარი ისტორიის საკუთრება ხდება, მხოლოდ აუქციონერები და კერძო პირები არიან მისი შემოქმედების შემფასებლები. მყიდველთა შორის ნამდვილი ომი წარმოებს — რაც უფრო დიდი დროა გასული, მით უფრო იზრდება მყიდველთა რაოდენობა და ფასებიც თანდათან მატულობს.

აუქციონებზე ერთმანეთს კონკურენტობას უწევენ კერძო კოლექციონერები და ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც ვალდებულია დაიცვას ეროვნული საკუთრება. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, კონვენტის დეკრეტის მიხედვით, კანონით აიკრძალა საფრანგეთიდან მხატვრული შემოქმედების ნიმუშების გატანა, მაგრამ კონკურენტობა ქალაქებზეც ვრცელდება. მხატვრულ ტილოს სხვა-

დასხვა ფასი აქვს პარიზსა და ნიუ-იორკში, საოცრად მაღალი ფასებია საფრანგეთში შექმნილ სურათებზე სხვა ქვეყნებში.

1987 წლის მარტში კრისტის სააქციო საზოგადოებამ ვან გოგის ტილო „მზესუმზირები“ 25 მილიარდ სენტიმად გაყიდა, ამავე წლის 11 ნოემბერს კი სოტებიმ ამავე ფასად გაყიდა „ირისები“. დეკემბერში ერთი მანუ გაიყიდა 7,5 მილიარდ სენტიმად კრისტის მიერ. მოდელიანის „მშენებელი რომაელი ქალი“ — 4 მილიარდად. 1988 წლის ივნისში ლონდონში სოტებიმ მონე გაყიდა 14,5 მილიარდად და ა. შ.

გულისტკივილსა და აღშფოთებას იწვევს, რომ ეს მხატვრები საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, ზოგმა ერთი სურათიც კა ვერ გაყიდა თავის სიცოცხლეში. დღეს კი მათ ნაშრომებზე სრული სპეკულაცია მიდის. არც ამჟამად მოღვაწე მხატვრები არიან კარგ დღეში. საფრანგეთს შესყიდვის სახსრები არ გააჩნია, ფასები კატასტროფულად იზრდება, ამას კი შედეგად მოჰყვება ის, რომ მალე საფრანგეთი აღარ იქნება საკუთარი მხატვრული შემოქმედების ბატონ-პატრონი და მთელი მისი მხატვრული სიმდიდრე აშშ-ში დაგროვდება. საფრანგეთის მთავრობამ უკვე 150 წელია უკუაგდო ავანგარდისტული ხელოვნება და ამჟამად საფრანგეთში თითქმის აღარ არის მისი დიდი კოლექციები. ცხადია, ამგვარ ვითარებაში ვერ შეებრძოლები ინტერნაციონალურ სპეკულაციას.

აქაც, ისევე როგორც სხვა სფეროებში, თავად ხალხმა უნდა მოუაროს თავის საქმეს. მეცენატები ვერ გადაჭრიან ამ სერიოზულ ფინანსურ საკითხს. ის, რასაც ისინი გამოუყოფენ ქალაქს ამ საქმისათვის, საკმარისი არ არის. შეიძლება გულხელდაკრეფილი ვუყურებდეთ ეროვნული სიმდიდრის ძარცვა-განადგურებას? საჭიროა მოიხსოს ეს სპეკულაცია, შეიქმნას რაღაც მექანიზმი კონტროლის დასაწესებლად იმაზე, რაც ხდება.

P. S.

ეს პრობლემა ჩვენი ქვეყნის წინაშეც დგას, რადგან ჩალის ფასად იყიდება ყველაფერი, იქმნება საშიშროება, რომ ეს დაღს დაასვამს ჩვენში ჯერ კიდევ არსებულ მხატვრულ პოტენციალს, ჩვენს სულიერ საგანძურს — ხელოვნების ნიმუშებს.





ინგლისურიდან

თარგმნა ნატო მებრეველიძე

ნაბიჯი მოკვდინების კულტურის დამკვიდრებისაკენ

საკუთარი ახალშობილი ვაჟის ეკვლელის
გამართლება საშიშ პრეცედენტს უქმნის
ადამიანის სიცოცხლის დაცვას

მიჩიგანის შტატის სასამართლომ გაამართლა დერმატოლოგი გრეგორი მუსენჯერი, რომელსაც ბრალი ედებოდა მკვლელობაში. მან შეგნებულად გამართო თავისი დღენაკლული ვაჟის ინკუბატორი, რითაც მოკლა საკუთარი შვილი. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კვლავაც რჩება დისკუსიების საგნად, და არა მარტო შეერთებულ შტატებში.

სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირება არ შეიძლება არა მარტო იმიტომ, რომ ეს გამართლების ტოლფასი იქნება, არამედ იმიტომაც, რომ ეს შექმნის პრეცედენტს სისხლის სამართალში, განსაკუთრებით, „არასასურველი“ ადამიანის სიცოცხლის დაცვასთან მიმართებით.

„ილ მესაჯეროს“ ნიუ-იორკის კორესპონდენტი, რომელმაც „კორიერე დელა სერასთან“ ერთად ეს ამბები მუქ ფერებში გააშუქა, აღნიშნავს დეტალს, რომელიც ჯეროვნად უნდა იქნეს შეფასებული, კერძოდ, ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენა მოახდინა მღვდელმა, რომელმაც სასამართლოში ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ „მამის ქმედება არ ეწინააღმდეგება მიღებულ სამედიცინო და ეთიკურ ნორმებს.“

როგორც „ილ მესაჯეროს“ კორესპონდენტი აღნიშნავს, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით შეერთებულმა შტატებმა გადადგა „შემდგომი ნაბიჯი ეუთანაზიის ლეგალიზებისაკენ“ (ეუთანაზია – უმტკივნეულოდ მოკვდინება. მთარგმნ. შენიშვნა).

მისი მიმთხილვა კარგად არის დასაბუთებული. ჯერ არავინ დამდაბლებულა იმ დონემდე, რომ საკუთარი შვილის მკვლელს თავი დამნაშავედ არ ეცნო. დერმატოლოგი მკვლელობას ამართლებს ეუთანაზიის შემთხვევებში ჩვეულებრივ გამოყენებული საბაბით: უბედური პირის განრიდება ტკივილისაგან, მოკვლა – რათა დასრულდეს ტანჯვა. „მოწყალება“, „სიყვარული“ (საკითხავია,

გულწრფელობის რა წილია ჩადებული ამ სიტყვებში) მიჩნეულია ეთიკური და ლეგალური გადაწყვეტილების კრიტერიუმებად. ასეთ მსჯელობას თუ მივყვებით, საზოგადოებას აღარ დასჭირდება საავადმყოფოებში განყოფილებები ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი და განუკურნავი სენით შეპყრობილი ავადმყოფებისათვის. სურვილის მიხედვით ყველას შეეძლება დაუსჯელად სიცოცხლეს გამოასაღმოს ტანჯული ადამიანი.

აი, რას წარმოადგენს ეს აბსურდული ჰიპოთეზა, რომელსაც ზოგჯერ შეუზღუდავად მიმართავენ. მოკვდინების კულტურა, მოკვდინებისა ეუთანაზიის გზით, ისევე შეუზღუდავია, როგორც მოკვდინება აბორტით, ეს უკანასკნელი კი ლეგალიზებული მეთოდია შობადობაზე კონტროლისა. აბორტი, როგორც დემოგრაფიული კონტროლის საშუალება, ეუთანაზიასთან ერთად წარმოადგენს ადამიანთა სელექციის საშუალებას, იმათი ფიზიკურად მოშორების გზას, ვინც ტვირთად აწევს საზოგადოებას.

ეუთანაზიასთან დაკავშირებული საკითხები ეკლესიის მაგისტერიუმის ყურადღებას დიდი ხანია იპყრობს — პიუს XII-დან დაწყებული იოანე-პავლე II-ის ჩათვლით. ვატიკანის მეორე კრებამ იგი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილ უსაზიზღრეს დანაშაულთა სიაში ჩართო. რწმენის დოქტრინის კონგრეგაციამ 1980 წლის 5 მაისს გამოსცა სპეციალური დოკუმენტი, რომელიც წარმოგვიჩენს კათოლიკური მოძღვრების საფუძვლებს და შეტანილია პაპისა და საეპისკოპოსოს მაგისტერიუმის დოკუმენტებში.

რწმენის დოქტრინის კონგრეგაციის დოკუმენტში ნათქვამია: „ეუთანაზიის ქვეშ იგულისხმება ისეთი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც განაპირობებს, ან მიზნად ისახავს სიკვდილს იმისათვის, რათა ამ გზით ჩამოშორებულ იქნეს ყველანაირი სატანჯველი. ამრიგად, ეუთანაზიას განუკუთვნება როგორც ამ მიზნით ჩადენილი ქმედება, ასევე ნების მიმართება“ (რწმენის დოქტრინის წმიდა კონგრეგატა, დეკლარაცია ეუთანაზიის შესახებ, 1980 წ. 5 მაისი).

პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზემოთ მოთხრობილი მაძის, ამერიკელი დერმატოლოგის ქმედებაში ადგილი აქვს ორივე ელემენტის არსებობას. მისი მტკიცე გადაწყვეტილება იყო არ დაეშვა ჩვილის სიცოცხლე, რადგან, როგორც აცხადებდა, ვერ დაუშვებდა ბავშვის „უსარგებლო ტანჯვას“, მისი ქმედების შედეგი კი ადამიანის მკვლელობა იქნებოდა. მართლაც, მაძის მოქმედებამ დაუფოვნებლივ გამოიწვია ბავშვის სიკვდილი. ის იმდენად იყო დარწმუნებული შედეგში, რომ ჩაიდინა ეს ქმედება, როგორც კი მორიგე შედგა გავიდა ოთახიდან.

საავადმყოფოს ექიმების ჩვენების საფუძველზე სასამართლოს მსულებლობაში დადგინდა, რომ ბავშვს შეეძლო ეცოცხლა. ექიმები ხაზს უსვამდნენ იმაზე, რომ ინკუბატორის გამორთვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სრული კლინიკური გამოკვლევების საფუძველზე დგინდება ბავშვის სიცოცხლისუუნარობა, და არავითარი იმედი არ რჩება მისი სიცოცხლის შენარჩუნებისა.

ქმედება, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია, იყო ინკუბატორის გამორთვა. ეს იყო წინასწარ მოფიქრებული, გაცნობიერებული და განხორციელებული მკვლელობა, რომელსაც ვერაფერი გადაელობებოდა გზაზე — სურვილის აღძვრიდან — გაცნობიერებულ ბოროტმოქმედებამდე. სისხლის სამართლის ეს დანაშაული ზუსტად შეესაბამება ეუთანაზიის განმარტებას, რომელიც მოწოდებულია რწმენის დოქტრინის კონგრეგაციის მიერ. ეს განსაზღვრება მთიცავს

ორ ასპექტს: ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თავისთავად იწვევს სიკვდილს და განზრახვა, ანუ გაცნობიერებული სურვილი ასეთი ქმედების ჩადენისა.

მაგრამ სასამართლოში მოუსმინეს მღვდელსაც, რომელმაც დერმატოლოგის მოქმედებას „მისაღები“ უწოდა, თუმცა ეს არაფრით დაუსაბუთებია. თუკი პრესის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, საქმე უნდა გვექონდეს საღვთისმეტყველო შეცდომასთან, რადგანაც, როგორ შეიძლება მოქმედებას, რომელსაც საკუთარი შვილის სიკვდილი მოხდევს, თანაც სიკვდილი გაცნობიერებული და წინასწარგანზრახული—„მისაღები“ ვუწოდოთ? როგორ შეიძლება ამ მტკიცების შეთანხმება რწმენის დოქტრინის კონგრეგაციის დეკლარაციასთან, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, კათოლიკური მოძღვრების ფუნდამენტური ტექსტია?

ეუთანაზიას მრავალი ეთიკური და ლეგალური ასპექტი აქვს, რომელთა შესახებ დაეა-მსჯელობა არ წყდება თეოლოგიის მორალის მცნობელთა შორის. შეერთებულ შტატებში, სადაც სიცოცხლის ღირსება გაცილებით ადრე შეირყა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში, ასპარეზზე გამოვიდნენ ეპისკოპოსები, რათა განემარტათ მორწმუნეთათვის, რომ დოქტრინის მიმდევრობა კათოლიკური ეკლესიის მიმდევრობას ნიშნავს და არა თეოლოგების მოსაზრებების მიმდევრობას.

შეერთებული შტატების ეპისკოპოსთა სიცოცხლის დაცვის კომიტეტის დოკუმენტში „კვება და დარწყულება — მორალური და საეკლესიო ასპექტები“ — განხილულია თეოლოგების მრავალრიცხოვანი შეხედულებები. ამასთანავე, კომიტეტი გამოთქვამს თავის სინანულს იმის გამო, რომ „თვით ლეგალური მორალური არგუმენტები, მოწოდებული ფრთხილი და შეზღუდული მოხმარებისათვის, ადვილად შეიძლება სხვანაირად იქნეს გაგებული. შესაძლოა, მათი მნიშვნელობა გაფართოვდეს და ისინი ბოროტად იქნეს გამოყენებული სხვების მიერ ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრების სიცოცხლის გაუფასურებისათვის“.

ეპისკოპოსები განაგრძობენ ახსნას: „ჩვენ ვვმობთ კვებასა და დარწყულებაში დაშვებულ ფოველგვარ შეცდომას, რომელიც გამოიწვევს პაციენტის სიკვდილს. ჩვენ მხარს ვუჭერთ სამედიცინო ჩარევით განხორციელებულ კვებას და დარწყულებას, თუკი პაციენტი საჭიროებს ამას“. დოკუმენტის გადამწყვეტი წერილია: „ადამიანის პიროვნების ღირსების მიუხედავად ჩვენ ვაღიარებთ ვართ შევინარჩუნოთ ჩვენი სიცოცხლე და დავეხმაროთ სხვას სიცოცხლის შენარჩუნებაში ისეთი მეთოდების დახმარებით, რომლებიც სიცოცხლის გადარჩენის დასაბუთებულ იმედს გვაძლევენ“.

არანაკლებ საგულისხმოა რწმენის დოქტრინის კონგრეგაციის მიერ ხაზგასმული ერთ-ერთი მთავარი პრინციპი: „საჭიროა კიდევ ერთხელ მტკიცედ განვაცხადოთ, რომ არავის არა აქვს უფლება რაიმე გზით შეწყვიტოს უღანაშაული ადამიანის არსებობა, იქნება ეს ემბრიონი თუ ნაყოფი, ბავშვი თუ ზრდასრული, მოხუცი თუ განუკურნავი სენით გაწამებული, ან მომაკვდავი. უფრო

მეტიც, არავის ეძლევა უფლება ითხოვოს მკვლელობის ამ აქტის ჩადენა არც თავისთვის და არც მის მზრუნველობას მინდობილი პიროვნებისათვის, აგრეთვე არა აქვს ამაზე თანხმობის მიცემის უფლება, არც პირდაპირ და არც მინიმუმებით. ასევე არ შეიძლება რომელიმე ავტორიტეტმა ამკარად, ურჩევლად დართოს ნება ამგვარი მოქმედების ჩადენისა“.

მაშის მოქმედება — ინკუბატორის გამოართვა, რამაც მისი ახალშობილი ბავშვის სიკვდილი გამოიწვია, სასამართლოს გადაწყვეტილება, — რომელმაც მისი უდანაშაულობა აღიარა და მღვდლის მიერ ამ კაცთაკელის აქტის სამედიცინო პრაქტიკისათვის მისაღებ მოვლენად გამოცხადება ეწინააღმდეგება დოქტრინალურ პრინციპს.

ამ გამართლებით, მიჩიგანის სასამართლომ საფუძველი დაუდო უზარმაზარ და საშინელ სასაფლაოს იმ ახლადშობილი ჩვილების დასამარხად, რომლებიც არასასურველნი არიან თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, და ვინც სიცოცხლის შენარჩუნებისათვის საჭიროებს ხელოვნურ კვებას სამედიცინო ჩარევით. ლეგალურმა თავისუფლებამ ეს სიგიჟე შეიძლება განავრცოს სერიოზულად ან უკიდურესად დასნებოვნებულ ადამიანებზეც, რომლებიც თავის თავს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ. ეს იქნება უკიდურესი ბოროტმოქმედება და საყოველთაო ტრიუმფი მოკვდიანების კულტურისა.



ვერდის რამე დღიურები ენერა...

1855

16 თებერვალი. ვერდი — დე სანკტისს:

მეკითხებით, ამ საშინელ ყინვაში რას აკეთებო! — ვწყევლი ყველაფერს ქვეყანაზე! დიახ, ვწყევლი და არ ვწერ იმიტომ, რომ თავს ცუდადა ვგრძნობ. თავზე თითქოს რკინის ჩაჩი ჩამოძაცვეს. რატომ ვარ ასე, მეც არ ვიცი. იქნებ სიცვივის ბრალია, ან ჰავისა, ან იქნებ მზე მაკლია? ვინ იცის! ის კი ვიცი, რომ არაფერის გაკეთება არ შემიძლია და ეს შემაწუხებელი ხდება!”

2 მარტი. ვერდი — კლარა მაფეის:

„თქვენ მეკითხებით, სკალასთვის თუ დასწერო. არა, მიზეზს ნუ მკითხავთ, ჰასუხი გაშიჭირდება: შემეძლო მეთქვა, რომ თითქმის აღარა მაქვს მუშაობის სურვილი, ან არა და, ხელშეკრულების დადება მაშინებს... მაგრამ არა იმიტომ, რომ აქ მინდა დავსახლდე (როგორც ამას ამბობენ კიდეც!). აქ დაფუძნება? ეს შეუძლებელია... ანკი რატომ უნდა დავსახლდე აქ? რა მიზნით? დიდებისათვის? დიდებისა არა მჯერა. ფულისთვის? იტალიაში, თუ მეტს არა, ამდენს მაინც ვიღებ. თან, კიდეც რომ მინდოდეს, ვიძეორებ, ეს შეუძლებელია. ძალიან მიყვარს ჩემი ველ-მინდვრები, ჩემი ცა, თანაც თავს არ ვიხრი არც გრაფების, არც მარკიზებისა და არც არავის წინაშე... ბოლოს და ბოლოს ესეც უნდა ვთქვა: სასტიკად მინდა შინ დაბრუნება...”

მარტი-აპრილი. ვერდი პარიზთან ახლოს, მანდრესში ცხოვრობს და მუშაობას იწყებს. მას ჯერ კიდევ არ დაეწინა „მეფე ლირი“, გარდა ამისა, შეუდგა „ტრავიატას“ ზოგიერთი ადგილის გადაკეთებას, და ბოლოს, „სიცილიური მწუხრის ლოცვის“ მუსიკის წერაც დაიწყო.

6 მაისი. ვენეციაში, ამჯერად უკვე თეატრ „სან ბენედეტოში“ დგამენ „ტრავიატას“. ოპერას ძალიან დიდი წარმატება ხვდა. „ვენეციაში შენს ოპერას ასეთი წარმატება არასოდეს ჰქონია, შენივე „ერნანის“ დროსაც კი“, — ჭწერს ვერდის ტიტო რიკორდი.

18 მაისი. ანტონიო ბარეცი, რომელსაც ერთი წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა, თავის ახალგაზრდა მოახლეს მადალენა ფახიონის ირთავს. ამან დიდად აღაშფოთა მისი ვაჟები და მეგობრები.

26 მაისი. ვერდი სწერს დე სანკტისს:

„ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ტრაჯიატა“, რომელიც ახლა „სახ ბენედეტოში“ იდგმება, ზუსტად იგივეა, შარშან „ფენიჩეში“ რომ დადგეს. მხედველობაში თუ არ მივიღებთ უმნიშვნელო ტრანსპონირებასა და პუნქტირებას, რაც მე თვითონ მეკუთვინის; დანარჩენი არც ერთი ნომერი არ შეცვლილა, არც განმარტება რამე, არც მიმატებია — არც ერთი მუსიკალური აზრი არ არის შეცვლილი, რაც — „ფენიჩეში“ იყო, იგივეა „ს. ბენედეტოში“. მაშინ ჩაფლავდა, ახლა კი ფურორი მოახდინა. დასკვნა თქვენთვისვე მოძინდვია“!

9 იანვარი. ვერდი — გროზინეს:

„...მე არ გამოვცხადდები რეპეტიციებზე მანამდე, სანამ ჩემს მოთხოვნებს არ შეასრულებენ!“

17 თებერვალი. ვერდი უპასუხებს დე სანკტისს, რომელმაც შეატყობინა „ტრაჯიატას“ ბუდი ნეპოლში:

„ტრაჯიატა“ ჩაფლავდა! წინასწარვე ვიცოდი ეს... როგორ არა რცხვენია ღირეჯიას, ასეთი საშუალო ნიჭის მომღერლები რომ გამოიყვანა ახალ ოპერაში?! და ამის შემდეგ თქვენ კიდევ მთხოვთ ნეპოლისთვის შეექმნა რამე?..“

21-25 მარტი. სომა უგზავნის ვერდის „მეფე ლირის“ დამთავრებულ ლიბრეტოს და ახალ თემას სთავაზობს.

5 აპრილი. ვერდი უპასუხებს სომას:

„...უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამაში სანახაობა კი არ მაინტერესებს, არამედ გრძნობები; „სომნაბულას“ ან „ლინდას“ მაგყარი რაღაც, იღონდ ლიბრეტო უნდა განსხვავდებოდეს ამ ჟანრისაგან, რადგან ის უკვე ცნობილია. ამ წუთას არავითარი სიუჟეტი არა მაქვს, რომ შემოვთავაზოთ“.

აპრილი — მაისი. პარიზი მსოფლიო გამოფენის ციებ-ცხელებას მოუცავს, ვერდი და სტრეპონიც საზოგადო ცხოვრების ამ ორომტრიალში ებმებიან.

18 ივნისი, პარიზში „სიცილიური მწუხრის ლოცვის“ პრემიერას მოწონება ხვდა (მონაწილეობდნენ: კრუველი, სოვიე, გეიმარი, ბონშე და ობენი).

„ოდნავადაც არ ვამცირებ არც „ტრუბადურისა“ და არც სხვა დანარჩენი ამაღელვებელი ოპერების ღირსებებს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ „მწუხრის ლოცვაში“ მელოდიური გამოძახატველობის გულშიჩამწვდომი ძალა, ორკესტრირების ბრძნულად ამაღელვებელი მრავალფეროვნება, მასშტაბურობა, ანსამბლების პოეტური ელერალობა... მთელს ოპერას გრანდიოზულობისა და კეთილშობილური სიდიადის თავისებურ ელფერს აძლევს; და ეს აქ უფრო საგრძნობია, ვიდრე ამავე ავტორის სხვა ოპერებში“ (ბერლიოში — „ღებას“ ფურცლებზე).

28 ივნისი. ვერდი სწერს კლარა მაფეის:

„ჩემი აზრით, „სიცილიური მწუხრის ლოცვა“ არც თუ ურიგოდ მიდის... აქაური რეცენზიები ან დამაკმაყოფილებელია ან კეთილად განწყობილი; თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხოლოდ სამ იტალიელს — ფორენტინის, მონტაციოს და სკუდის, ჩემი მეგობრები იტყვიან ხოლმე: „რა უსამართლობაა! რა უხინდისოა მსოფლიო!“ მაგრამ არა. მსოფლიო მეტისმეტად სულელია, რომ უხინდისო იყოს“.

ზაფხულში ვერდი და სტრეპონი ისევ ანგენში იხვენებენ.

სექტემბერი. საავტორო უფლებების მოუწესრიგებლობის გამო ვერდის დავა აქვს პარიზის იტალიური თეატრისა და ლონდონის თეატრების ხელმძღვანელებთან. ასეთი მტკიცე მოქმედებით ვერდი არა მხოლოდ თავის უფლებებს იცავს, არამედ თანამემამულეების უფლებებსაც.

21 ოქტომბერი. ამ საქმესთან დაკავშირებით ვერდი მიმართავს თავის ბუსეტოელ მეგობარს, ვექილ ბალესტრეს:

„ლონდონში ორჯერ ყოფნისას შემომთავაზეს ინგლისის, საფრანგეთის ან პიემონტის მოქალაქეობა მეოხოვა (საფრანგეთს და პიემონტს) საფრთხილისა შეთანხმება აქვთ ინგლისთან), მაგრამ მე მინდა იმად დაგურთავო ვარ, ანუ სოფელ ლე-რენკოლეს მკვიდრად. ისევ ისა სჯობს, ჩემს მთავრობას ეთხოვო, შეთანხმება გააფორმოს ინგლისთან, რამდენადაც ეს წმინდა მხატვრულ-ლიტერატურული შეთანხმება იქნება, პარმის მთავრობა არაფერს დაკარგავს; საჭირო იქნება მხოლოდ, მოითხოვოს ეს ლონდონში თავისი წარმომადგენლების შემვეობით, რომელიც მგონი ავსტრიელი თუ ესპანელი ელჩი უნდა იყოს“.

ოქტომბრის მიწურული. ვერდი დროებით ზავს დადებს პარიზის იტალიური თეატრის დირექტორ კალცადოსთან, რომელიც, კომპოზიტორის სურვილისამებრ, გადასდებს „რიგოლეტოსა“ და „ტრაკიატას“ პრემიერებს.

დეკემბრის მიწურული. ვერდი და სტრუპონი სანტ-აგატაში ბრუნდებიან. ტურინში და პარმაში წარმატებით გაიმართა პრემიერა „ჯოვანა დი გუცმანისა“ („სიცილიური მწუხრის ლოცვის“ იტალიური ვარიანტი).

1856

9 თებერვალი. პრემიერ-მინისტრ კავურის წარდგინებით, სარდინიისა და პიემონტის მეფემ ვიქტორ-ემანუელ მეორემ ვერდის წმ. აურიციოს და ლაზარის ორდენის კავალერის წოდება მიანიჭა.

11 თებერვალი. ვერდი ჯილდოსთვის მადლობას უხდის კავურის.

8 მარტი. ვერდი ჯერ მილანში, მადის რიკორდისთან მოსალაპარაკებლად, მერე კი ვენეციაში, რათა იქ პიავეს მოელაპარაკოს „სტიფელიოს“ შესაძლო გადაკეთების თაობაზე.

28 მარტი. ვერდი ბუსეტოდან სწერს სანკტისს:

„გუშინ პიავე ჩამოვიდა, „სტიფელიოს“ გადაკეთება უნდა დაიწყო (მოუხედავად ნეაპოლელი მაცურებლის განაჩენისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, მიმაჩნია, რომ, ჩემი სხვა ოპერების მსგავსად, ეგვიტ შეიძლება დარჩეს რეპერტუარში) და 20 აპრილისთვის დამოავრებული იქნება ეს „სტიფელიო“, რადგან სულ რამდენიმე რეჩიტატივი და ორი-სამი ნომერი მაქვს დასამატებელი. ამას რომ მოვრჩები, მაშინვე განვაახლებ მუშაობას „ლენიანოს ბრძოლაზე“ და შევეცდები მაისის ბოლოსთვის დავამთავრო, იმ ვარაუდით, რომ მომავალი კარნავალისათვის ახალი ოპერის დაწერა მოვასწრო“.

აპრილი. ვერდი სთხოვს სომას ახალი შესწორებები შეიტანოს „მეფე ლორის“ ლიბრეტოში. დე სანკტისისა და ტორელისადმი მიწერილ წერილებში იგი უკვე მსჯელობს მსახიობებზე, რომლებთანაც მისი აზრით, ნეაპოლის თეატრმა უნდა დადოს ხელშეკრულება პრემიერაში მონაწილეობისათვის.

15 მაისისათვის პიავემ დაამთავრა „სტიფელიოს“ გადაკეთება (ოპერის ახალ ვარიანტს „აროლდო“ დაარქვეს) და ახლა ვენეციაში ბრუნდება. თეატრ „ფენიჩეს“ ხელმძღვანელობამ კომპოზიტორს სთხოვა ახალი ოპერის შექმნა, და ვერდი სთავაზობს პიავეს, დაუწეროს ლიბრეტო „სიმონ ბოკანეგრას“ სიუჟეტის მიხედვით.

პარიანი ვენუაში დგამს ვერდის ოპერა „ჯოვანა და გუცმანს“.

26 ივნისი. ვერდი და სტრუპონი ვენეციაში ჩადიან. ვერდის კუჭის ტკივილი სტანჯავს და იძულებულია ოთხი კვირის განმავლობაში იმკურნალეს. მაგრამ, ამავე დროს „აროდოს“ ლიბრეტოს საბოლოოდ დახვეწაზე მუშაობის პიკვესთან ერთად.

10 ივლისისთვის ვერდი მუციოს მოინახულებს და უამბობს, როგორ ჩაიარა პადუაში „ჯოვანა დი გუცმანის“ პრემიერამ, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა.

31 ივლისი. ვერდი და სტრუპონი პარიზში მიემგზავრებიან. მანამდე კი კომპოზიტორმა ჯერ ისევ ბუსეტოდან მისწერა პიავეს:

„შივილე სტიფელიოს“ გალექსილი ტექსტი და კარგი იქნებოდა, აქა-იქ ხელმეტი ნახევარტაეპები, ზოგჯერ მთელი სტრიქონები, უადვილოდ ჩასმული სიტყვები და ათასნაირი აჰ, ოჰ, ეჰ-ები რომ არ აფუჭებდეს. და ეს ყველაფერი მხოლოდ მარცვალთა რაოდენობის გაზრდისათვის...“

ავვისტო. პარიზიდან ვერდი პიავეს უგზავნის ლიბრეტოს სქემას გუტიერასის დრამის „სიმონ ბოკანეგრას“ მიხედვით და სთხოვს დადგმის ნებართვა აიღოს. მაგრამ ცენზურამ უკვე ლექსად გაწყობილი, დამთავრებული ლიბრეტო მოითხოვა და ამან დიდად დასწყვიტა გული ვერდის.

თვის დამლევს ვერდი და სტრუპონი ისევ ანგიენში ბრუნდებიან.

2 სექტემბერი. ვერდი — ტორელის:

„სტიფელიოს“ გადაკეთებაზე მუშაობა უფრო ხანგრძლივი და დამქანცველი გამოდგა, ვიდრე მეგონა, და ამიტომ ჯერ ვერ დავამთავრე. სიუჟეტი შეიცვალა: სტიფელიო მღვდელი აღარ არის; კვანძის გახსნისათვის საჭირო გახდა კადვე ერთი მოქმედების დამატება (ახლა — ოთხია) და საჭიროებისამებრ ნომრების და რეჩიტატივების შეცვლა, ამოგდება ან დამატება წინა სამ მოქმედებაში...“

ოქტომბერი. „აროდოს“ მზად არის. გრანდ-ოპერაში იწყებენ „ტრუბადურის“ რეპეტიციებს ფრანგულ ენაზე.

თვის დამლევს კომპიენეში ვერდი მონაწილეობს იმპერატორის კარის დღესასწაულში.

დეკემბერი. კალუადომ მოიგო ვერდის წამოწყებული პროცესი საავტორო უფლებათა შესახებ და პარიზში იტალიურ თეატრში დადგა „ტრავიატა“ ისე, რომ კომპოზიტორისათვის პონორარი არ გადაუხდია.

ვენეციის თეატრის „ლა ფენიჩეს“ ხელმძღვანელობა სთხოვს ვერდის, გადაამუშაოს „ბოკანეგრას“ ლიბრეტო. ვერდი უარზეა: მისი აზრით, ნაწარმოების იდეა, ურთიერთ შუღლსა და მმათაშორის ომზე ერთიანობის გამარჯვება, არ უნდა დაიკარგოს. იგი სწერს პიავეს: „გიგზავნი გამარტივებულ და შემოკლებულ ლიბრეტოს. ასეთივე უნდა დარჩეს მოღვიანობაში. როგორც წინა წერილში გწერდი, ახლა შენზეა დამოკიდებული — მოაწერ თუ არა შენს გვარს ამ ლიბრეტოს. თუ ცალკეული ეპიზოდები დაგენანება, იცოდე, რომ შენზე უფრო მე მწყდება გული, იქნებ უფრო მეტადაც; მაგრამ ამის მეტს ვერაფერს გეტყვი: „ეს აუცილებელი იყო!““

1857

12 იანვარი. პარიზის ოპერაში დიდი წარმატებით მიდის „ტრუბადური“, მესამე მოქმედებაში საბალეტო დივერტისმენტის დამატებით.

12 იანვარი. ვერდი და სტრუპონი მარსელისა და გენუის გავლით ბუსეტოში ბრუნდებიან.

23 იანვარი. ვერდი „სიმონ ბოკანეგრაზე“ მუშაობს. რიკორდისადმი მიწერილ წერილში იგი მტკიცედ აყალიბებს თავის მოსაზრებას გამოცემის შესახებ.

„არ ვიცი მისაღება იქნება თუ არა შენთვის ჩემი პირობები, რადგან ახლა ისინი წინანდელისაგან განსხვავებულია. მაინც გატყობინებ, შენ ვადამიხდი 36 ათას ფრანკს... შემდეგ, ნოტების გაქირავებისა და გაფიდგანგებების შედეგად თანხის 50%, ამას დაემატება ლიბრეტოსგან მოგებულ თანხის ნახევარი.“

27 იანვარი. პიავე შეფიქრიაანებულია ვერდის ჯანმრთელობის გამო: „იმედი მაქვს, ისე ავად არა ხარ, რომ ამ თეატრს საბედისწეროდ მოაკლდეს შენი ახალი ოპერა: მთელი მათი გეგმები, იმედები და სურვილები მასთან არის დაკავშირებული...“

21 თებერვალი. ვერდის ვენეციაში ჩააქვს დამთავრებული „სიმონ ბოკანეგრა“ და მის ორკესტრირებას იწყებს. ამჯერად პირველად, რაც ერთად არიან, თან მიჰყვება ჯუზეპინაც.

22 თებერვალი. მუციო რიკორდის მდივანს ჩერისა სწერს „სიმონ ბოკანეგრას“ შესახებ:

„თავიდან ბოლომდე მოვისმინე ვერდის ახალი ოპერა. საოცარი რამ არის, ამაღელვებელი, გულის ამარყვებელი. პროლოგი და მესამე მოქმედება ყველაზე მშვენიერი და ორიგინალურია. პირველ საღამოს იქნებ გულგრილად მიიღოს მაყურებელმა, მაგრამ მეორე და მესამე სპექტაკლი ყველას ააღელვებს და ცრემლს მოჰგვრის. ფინალი სახეიმო და დიდებულია...“

12 მარტი. „სიმონ ბოკანეგრას“ პრემიერა ჩავარდა.

18 მარტი. ვერდის წერილიდან ვინჩენცო ტორელისადმი ნეაპოლში:

„კარნავალი ვენეციაში შესანიშნავი იყო: თეატრალური სეზონი აქამდე კარგად მიდიოდა, მაგრამ წუხანდელი დამე უბედურებით დაიწყო: „ბოკანეგრას“ პრემიერას თითქმის ისეთივე ხვედრი ერგო, რაც „ტრავიატას“ პრემიერას. შეგონა, რივიანი ოპერა დავწერე-მეთქი, მაგრამ, ვტყობა, შევცდი, თუმცა კიდევ ვნახოთ, ვინ არის მართალი“.

რეცენზია „გაზეტა მუზიკალე დი მილანში“:

„... მსმენელმა ვერ გამოუტანა „ბოკანეგრას“ განაჩენი, რადგან წესიერად არც მოუსმენია... მსმენელი იმით იყო გართული, რომ ლიბრეტო ეკითხა და მასზე შენიშვნები გამოეთქვა. ასეთ პირობებში ამ გულშიჩამწვდომი, დახვეწილი ოპერის შეფასება კი არა, აღქმაც არ შეიძლება... „ბოკანეგრა“ ისეთი ნაწაროები არ არის, რომლის შეფასებაც ერთბაშად შეიძლებოდეს... უყოყმანოდ ვაცხადებ, რომ ეს არის ვერდის ერთ-ერთი შესანიშნავი, უადრესად შთაგონებული ქმნილება...“

18 მარტი. პიავე სწერს ვერდის, რომელიც ამ დროისათვის უკვე დაბრუნდა სანტ-აგატაში:

„უმეტესად შინ ვზივარ, მარტოკა, რადგან ვენეციაში გაუთავებელი კამათია „ბოკანეგრაზე“.“

11 აპრილი. ვერდი სწერს თავის მეგობარს, ჩეზარე ვინიეს, ვენეციაში: „რა ქნეს, დამშვიდდნენ ბოლოს და ბოლოს ვენეციელები? ვინ იფიქრებდა, რომ ეს საწყალი „ბოკანეგრა“ — კარგია თუ ცუდი — ასეთ ალიაქოთს გამოიწვევდა... ზოგიერთს ჰგონია, რომ ლიბრეტოც ჩემი დაწერილია. ესღა მაკლდა! ეს პიავეს ლიბრეტოა, და წინასწარვე ჰქონდათ აკვიატებული, ცუდი იქნებო; თამამად ვიტყვი, მოხარული ვიქნებოდი, ასეთი ლექსების წერა შემეძლოს, ამ“

პოემაში რომ არის აქა-იქ გაბნეული, ჩემი უსუსურობა უნდა ვადიარო: ასეთი ლექსების დაწერა არ შემიძლია...”

8 მაისისთვის ვერდი და ჯუზეპინა რედუო-ემილიაში მიემგზავრებიან, სადაც „სიმონ ბოკანეგრას“ რეპეტიციები უნდა დაიწყოს. ნეაპოლშიაც ემზადებიან „ბოკანეგრას“ პრემიერისთვის, რადგან ვერდიმ „მეფე ლირის“ დაწერაზე უარი თქვა და ახლა ამ ოპერით დაინტერესდნენ.

17 ივნისი. ვერდი ტორელის სწერს ამ პრემიერის შესახებ:

„მაშ ასე, რამდენიმე სიტყვა „ბოკანეგრას“ ბედზე. პირველ საღამოს კარგად მიიღეს, მეორე დღეს — ცოტა უფრო გულგრილად, მესამე დღეს კი ძალიან კარგად. მე რომ ანტრეპრენიორი ვიყო, უყოყმანოდ დავდგამდი ამ ოპერას...“

ტორელი მაინც ყოყმანობს. იგი მოლაპარაკებას იწყებს რიკორდისთან პარტიტურის გამოყენების საფასურზე (1000 ლუკატის ნაცვლად, ტორელიმ მთელი მასხალის საფასურად 300 ლუკატი შესთავაზა).

ივლისის დაძლევა. ვერდი სანტ-აგატაში მუშაობს: „აროლდოსთვის“ რამდენიმე ახალ ნომერს ამზადებს. იგი სწერს ტორელის:

„ჩემი პარტიტურისთვის თქვენ 300 კი არა 30 ლუკატიც შეგიძლიათ შესთავაზოთ (მოგცემთ თუ არა — ეს რიკორდის ნებაა). ოღონდ, იმაში კი ცდებით, თითქოს ჩვენ რეჯოში „სიმონზე“ დაწერილი ცუდი რეცენზიები დაგვეშალოს. სხვებზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ, რომ წესად არა მაქვს ჟურნალისტებზე გავლენა მოვახდინო. მე იმას ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლებ ცუდად დავწერო მუსიკა, და სრულ თავისუფლებას ვანიჭებ ყველას — საკუთარი აზრი გამოთქვას, პირუთენელი და ზომიერი იქნება ეს აზრი თუ უსამართლო და მკვახე. ერთადერთი, რასაც თქვენგან მოველი (რაკი თქვენვე ამბობთ, რომ მიცნობთ), ის არის, რომ ჩემს სიტყვებს ესღოთ... ხოლო ყველაფერი ამის შემდეგ, დადგამთ თუ არა „ბოკანეგრას“, ეს რიკორდისთან ერთად გადაწყვიტეთ, მე კი ვალდებული ვარ შეგატყობინოთ, რომ ჩემი მონაწილეობის იმედი ნუ გექნებათ: მე არ ჩამოვალ ოპერის დასადგმელად!“

28 ივლისი. ვერდი რიმინიში მიემგზავრება, რათა მონაწილეობა მიიღოს „აროლდოს“ დადგმაში.

მარიანი სისტემატურად ატყობინებს რიკორდის რეპეტიციების მიმდინარეობის შესახებ: „ძალიან მიხარია, რომ ასეთ დიდებულ მეგობრებთანა ვარ, გარწმუნებ, ისე ბედნიერად ვცხოვრობთ, როგორც ნამდვილი ძმები... რეპეტიციები ფორტეპიანოს თანხლებით სწრაფად მიიწევს წინ; მე და ვერდი ერთმანეთს ვენაცვლებით ხალმე მუშაობისას. დროის მოსაგებად მალე შევუდგები ორკესტრთან რეპეტიციებს. ჯერჯერობით ძალიან მომწონს „აროლდოს“ ახალი მუსიკა...“

16 აგვისტო. „აროლდოს“ პრემიერით გაიხსნა რიმინის ახალი თეატრის საზეიმო სეზონი (მთავარ როლებში მონაწილეობდნენ: ლოტი, პენიცა, პანკანი, ფერი, კორნავო).

მარიანი რიკორდის ატყობინებს: „აროლდომ“ ფურორი მოახდინა, ყოველი ნომერი ტაშის გრიალში მიდიოდა. მაესტრო უთვალაუჯერ გამოიძახეს სცენაზე, და ძალიან კმაყოფილიც არის. კარგი სპექტაკლი იყო...“

22 აგვისტო. ვერდი — რიკორდის:

„ესეც მორჩა! „აროლდო“ დაიდგა და ახლა ხალხის განკარგულებაშია; ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ დროთა განმავლობაში ეს ოპერა მთელ მსოფლიოს მოივლის...“

19 სექტემბერი. ვერდი ისევ სანტ-აგატიდან ნეაპოლში სწერს:

„სრულ სასოწარკვეთილებაში ვარ! ბოლო რამდენიმე თვეში უამრავი დრამა გადავიკითხე (ზოგი მათგანი მშვენიერია), მაგრამ არც ერთი არ გამომადგება...“

ახლა ერთი ფრანგული დრამის გადამუშავება დაეიწყე, სკრიბას ლიბრეტოა: „გუსტავ მესამე, შვედეთის მეფე“. ოც წელზე მეტი ხნის წინათ იცდებოდა ოპერაში. გრანდიოზულია, მრავალფეროვანი და მშვენიერი. მაგრამ მისთვის არის სხვა ოპერებისთვის დამახასიათებელი პირობითი ხერხები, რომლებიც არასოდეს არ მომწონდა და ახლა აუტანლად მიმაჩნია“.

ამ წლის სეზონისათვის ვერდი ნეაპოლელებს სთავაზობს „აროლდოს“, „ბრძოლას ლენიანოსთან“ და „ბოკანეგრას“, გაისად კი „მეფე ლარის“ დაწერას აპირებს.

ოქტომბრის დამდეგი. ვერდი სომასა სთხოვს „გუსტავ მესამის“ ლიბრეტო დაშიწერო. სომა დაეთანხმა, ოღონდ იმ პირობით, რომ ლიბრეტოს ან სულ არ მოვაწერ გვარს ან კიდევ ფსევდონიმს მოვაწერ, ასე უფრო თავისუფლად ვიმუშავებო.

6 ნოემბერი. პოეტმა სწრაფად მუშაობს და ვერდი კმაყოფილია: „პოემა ძალიან კარგია, ხოლო რამდენიმე წერილმანი იქნება გადასაკეთებელი, რასაც თქვენ ერთ წუთში შეასწორებთ“...

17 ნოემბერი. სომა — ვერდის: „გუშინ მივიღე ამა თვის 14 რიცხვში გამოგზავნილი წერილი, რომელშიც შემორანდუმი მიგყავთ ნეაპოლის ცენზურის მიმართ. თქვენ აბობთ, მთელი ჩრდილოეთი შეგვრჩა შვეციისა და ნორვეგიის გამოკლებით, მაგრამ რომელ საუკუნეში მოვაქციოთ ოპერის მოქმედება? მომწერეთ, ამაზე რა აზრისა ხართ... ჩემის აზრით, თუ ლაპარაკია ჩრდილოეთზე, პერცოგზე, იმ ხანაზე, როცა წარმართი ბარბაროსები ქრისტიანულ ცივილიზაციას ებრძოდნენ, აჯობებდა პომერანიაზე შევჩერებულიყავით... XII საუკუნის დამოუკიდებელ საჰერცოგოზე. ამ საჰერცოგოს იმდროინდელი ისტორია ბურუსშია გახვეული, ისე რომ ჩვენს ნებაზე შეგვეძლება გამოვკვეთოთ პერცოგის პიროვნება...“

26 ნოემბერი. ვერდის სომასადმი მიწერილი წერილიდან:

„მე თუ მკითხავთ, XII საუკუნე ძალიან შორსაა ჩვენი გუსტავისაგან. ებ ისეთი უხეში, მხეცური ეპოქაა, მით უმეტეს იმ ქვეყნებში, რომ ალბათ უაზრობა იქნება შიგ გუსტავისა და ოსკარის ფრანგული მანერით გამოძერწილი ხასიათები მოვათავსოთ. ჩვენ უნდა მივაგნოთ ისეთ თავადს, პერცოგს, სატანას, თუნდაც ჩრდილოეთიდან გამოსულს, ვინც ლუდოვიკო მეოთხემეტის სამყაროში მოხვედრილა და იქაური სამეფო კარის ატმოსფერო დაუყნოსავს“.

6 დეკემბერი. ლიბრეტო რომ დაამთავრა, სომამ ვერდის თავის ფსევდონიმად შესთავაზა თავისივე ანაგრამა ტომაზო ანონი.

დეკემბრის მეორე ნახევარი. ვერდი სომასთან ერთად ამთავრებს ახალი ოპერის დახვეწას.

24 დეკემბერი. ვერდი — დე სანკტისს: „მეუღლესთან ერთად ჩამოვალ ნეაპოლს“.

14 იანვარი. ჯუზეპინასთან ერთად ვერდი ნეაპოლში ჩადის და მაშინვე გადასცემს ტორელის „გუსტავ მესამის“ სიუჟეტზე დაწერილ ოპერის ლიბრეტოს, რომელსაც ახალი სახელწოდება აქვს: „შურისძიება დომინოში“. სადამოს სან-

კარლოში ვერდი სპექტაკლს ესწრება, მაყურებელი ცნობს მას და გულგობილად ესაღმება.

28 იანვარი. გამორკვა, რომ ჯერ კიდევ შარშან, 21 ოქტომბერს, ცენზურამ არ მიიღო „გუსტავ მესამის“ სიუჟეტზე დაწერილი ოპერის ლიბრეტო. ახალი ცდა, როგორმე გაეტანათ ლიბრეტო, მარცხით დამთავრდა. მაღიან გააბრაზა ვერდი.

7 თებერვალი. ვერდი — სომას:

„უბედურების მორევში ვარ! თითქმის აღარ შეეჭვება, რომ ჩვენს ლიბრეტოს ცენზურა არ დაამტკიცებს. შემომთავაზებს შემდეგი ცვლილებები:

1. მთავარი მოქმედი პირი უბრალო ფეოდალად უნდა გადაკეთდეს, ფიქრიც კი აგვიკრძალოს მმართველზე; 2. ცოლი დად უნდა იქცეს; 3. გადაკეთდეს კუდიანის სცენა, და გადავიტანოთ ისეთ ეპოქაში, როცა მათი არსებობა სჯეროდათ; 4. ამოიღეთ მეჯლისი. 5. მკვლელობა სცენის გარეთ უნდა ხდებოდეს. 6. უნდა ამოვარდეს წილისყრის სცენა და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ!!!. ალბათ, დამეთანხმებით, ამ პირობებს ვერ მივიღებთ, ასე რომ, ოპერა აღარ დაიდგმება. შედეგად: ანტრეპრიზა სასამართლო პროცესს დაიწყებს ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ და მე 50000 ლუკატი ზარალი მეძუქრება!!! ჯოჯოხეთია!.. რაც შეიძლება ჩქარა მომწერეთ თქვენი აზრი“.

13 თებერვალი. სომას პასუხი ვერდისადმი: მაგ სენიორებმა რაც უნდათ ის გააკეთონ, მე კი ვითხოვ: სატიტულო გვერდზე ჩემი გვარის მაგივრად სხვა გვარი ეწეროს; სულ რომ არ ეწეროს ლიბრეტოს ავტორის გვარი, ეს მე არ მაკმაყოფილებს, რადგან ჩემი ავტორობის ამბავი ძალიან გაურცელდა; მეორე — ოპერასაც სახელი შეეცვალოს. რაც გნებავდეთ, ის დაარქვით“.

14 თებერვალი. ვერდი ტორელის სწერს, რომ ლიბრეტოს ასეთი დიდი გადაკეთება ყოველგვარ აზრს და ქმედითობას დაუკარგავს ოპერას.

„ხელოვნების სფეროში მე საკუთარი აზრები მაქვს, ჩემი საკუთარი, მტკიცედ ჩამოყალიბებული მრწამსი, რომელზედაც უარს ვერ ვიტყვი“.

„სამეფო თეატრების დირექტორს სინიორ მონაკოს საჩივარი შეაქვს კომერციულ სასამართლოში: ზარალის დასაფარავად იგი ძალიან დიდ თანხას მოითხოვს...“

13 მარტი. 90 გვერდიან განცხადებაში ვერდი ცენზურას უმტკიცებს, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ცვლილებები მიუღებელია.

„თქვენ ისე უწყალოდ შეგრიტეთ დრამა, რომ შეუძლებელია ჩემმა მუსიკამ იმ უღერადობას მიაღწიოს, რაზედაც მე ვოცნებობდი“.

პროცესი ჯერ ისევ მიმდინარეობს, ვერდის კი უკვე მოლაპარაკება აქვს გამართული ლუკარდისთან და იაკოვაჩისთან რომში ოპერის დასადგმელად. ის კი არა და, ორივეს უგზავნის ლიბრეტოს თითო ეგზემპლარს, რათა ვატიკანის ცენზურის ნებართვა მიიღონ.

აპრილი. ნეაპოლის სასამართლომ დაასკვნა, რომ „ცვლილებები შეიძლება მართლაც დამლუპველი აღმოჩნდეს მუსიკისათვის“, და მხარეებს შეთანხმებისაკენ მოუწოდებს; ბოლოს და ბოლოს თანხმობა მიღწეულია: თეატრი უარს ამბობს ოპერაზე „შურისძიება დომინოში“, რომელიც ახლა ვერდის საკუთრება ხდება, სამაგიეროდ, კომპოზიტორი კისრულობს ნეაპოლში შემოდგომაზე „ბოკანეგრა“ დაღვას.

28 აპრილი. ვერდი და ჯუზეპინა შინ ბრუნდებიან.

12 მაისი. ვერდი სანტ-აგატადან სწერს კლარა მაფეის:

„აჰა, კვლავ აქა ვარ, და ნეაპოლის აურზაურის შემდეგ ეს სრული სიმშვიდე ჩემთვის კიდევ უფრო ძვირფასი გამოდგა. ძნელად თუ სადმე შეხვდები ასეთ უსახურ ადგილს, მაგრამ მე არსად ისე თავისუფლად არა ვგრძობ თავს, როგორც აქ... შემოდგომაზე იქნებ დავბრუნდე ნეაპოლში, კარნავალისთვის/კი რომს გავემგზავრები, თუ ცენზურამ ნება დართო თეატრს, ნეაპოლისათვის დაწერილი ოპერა დადგას. თუ არა და, მით უკეთესი, შემდეგი კარნავალისთვის/კი ვერაფერს დავწერ. „ნაბუკოს“ შემდეგ, შეიძლება ითქვას, ერთი საათი მოსვენება არა მქონია. თქვესმეტი წლის კატორღა!“

ივნისის დამლევს ვერდი და ჯუზეპინა კურორტ ტაბიანოში ისვენებენ.

ივლისის შუა რიცხვებში ისინი ვენეციაში ჩადიან, რათა სომა დაითანხმონ, შეასრულოს ვატიკანის მოთხოვნა. პოეტი დაახლოებით 60 სტრიქონს გადააკეთებს. რაკი ამბავი ევროპის საზღვრებს გარეთ უნდა გაიტანონ, ვერდიმ შესთავაზა, ჩრდილო ამერიკაში გაიშალოს მოქმედება. ასე გადაიტყა შექმნის მეფე გუსტავ მესამე ბოსტონის მმართველ რიჩარდად.

სექტემბერი. ვერდი — სომასადმი: „არა მგონია, ლიბრეტოს ბევრი რამე დაკლებოდეს, ის კი არა და, ზოგ ადვილას მოიგო კიდევ“.

ტიქსტის ბოლო რედაქციას, ამჯერად უკვე „ბალ-მასკარადის“ სახელწოდებით, ვერდი რომში აგზავნის, თვითონ კი პარტიტურის დამუშავებას ამთავრებს.

დაახლოებით 20 ოქტომბერი. ვერდი და ჯუზეპინა კვლავ ნეაპოლში მიდიან. ჯერ კიდევ შენევიდან მაესტრო ესკიუდიუს უპასუხებს:

„და თქვენ ძელაპარაკებით თეატრზე? თქვენა მთხოვთ პარიზის ოპერისთვის დაწერო?!.. თქვენ?!.. 1. მე არც იმდენად მდიდარი ვარ, და არც იმდენად დარიბი, რომ თქვენი დიდი თეატრისთვის ვწერო.. 2 აკი დაუწერე თქვენი ოპერისათვის „მწუხრის ლიცეა“, ფრანგულ ენაზე ვთარგმნე ორი ოპერის ტექსტი — არც ძალიან ცუდად, არც ძალიან კარგად. თუ მეტის იმედი გაქვთ ან უფრო მეტ პრეტენზიას მიყენებთ — ძალიან ცდებით. ახლაც, ისევე როგორც მაშინ (ამას ყურში ჩაგჩურჩულებთ), მე საკმაოდ ადვილად ვპოულობ მელოდიებს, მაგრამ, ეტყობა, თქვენი ოპერისათვის ეს არა კმარა. იქნებ მოვვიანებით, როცა მელოდიები შემომაკლდება, მართლაც დავიწყო რაღაც აბდაუბდის წერა“.

ნოემბრის მიწურული. ნეაპოლში ვერდის მიერ დადგმული „ბოკანეგრა“ წარმატებით მიდის.

18 დეკემბერი. „ბალ-მასკარადის“ ლიბრეტოში ჯერ კიდევ დარჩა გადასაკეთებელი ადგილები, მაგრამ ვერდი ვერ ბედავს, მიმართოს ისედაც მოთმინება-დაკარგულ სომას, და შუამდგომლობას სთხოვს მის მეგობარს დოქტორ ვინიუსს.

„რალა თქმა უნდა, თეატრი მსხვერპლს მოითხოვს, და ვისაც საამისო გამბედაობა არა ჰყოფნის, არც უნდა იკისროს ასეთი მძიმე განსაცდელი“.

1859

11 იანვარი. ნეაპოლში დამთავრდა „ბალ-მასკარადის“ პარტიტურაზე მუშაობა და ვერდი ჯუზეპინასთან ერთად რომში მიემგზავრება.

სწორედ იმ დროს, როცა ისინი რომში ჩავიდნენ, მთელი ქალაქი აფორიაქებული იყო ვიქტორ-ემანუელ მეორის მანიფესტით, რომელიც ტურიინის პარლამენტში წაიკითხეს: „ჩვენ გულგრილი ვერ ვიქნებით იმ ტკივილიანი ამოძახილებისადმი, რომლებიც იტალიის ყოველი კუთხიდან გვეხმის...“

4 თებერვალი. ვერდის პასუხი ტიტო რიკორდისადმი, რომელიც ატყობინებს, 24 იანვარს „ბოკანეგრას“ პრემიერა ჩატარდა:

„მილანში „ბოკანეგრას“ ფიასკო უნდა განეცადა, და ასეც მოხდა. „ბოკანეგრა“ უბოკანეგროდ! მოკვებით ადამიანს თავი და ვნახოთ მერე ფუჭედლებით მის ცნობას. შენ მაყურებლის უწესობა გაცეხებს? ეგ მე ხუფთაყურებს! მაყურებელი მუდამ მზად არის აურზაური ატეხოს. 25 წლისა რომ ვიყავი, მეც მქონდა ასეთი ილუზიები, მჯეროდა, რომ მაყურებელი კარგად აღზრდილი იყო, მაგრამ გავიდა ერთი წელი და თვალები ამეხილა, დავინახე ვისთანაც მქონდა საქმე... ეს მაყურებელი გახლდათ, საზიზღრად რომ გაუსწორდა საშინელი უბედურებით გულგახერილი, საწყალი სნეული ჭაბუკის ოპერას! ეს ყველაფერი იცოდა მაყურებელმა, მაგრამ სიგლახეს ვერ მოერია და არ დაინდო. მას შემდეგ არ მინახავს „მეფობის დღე“. იქნებ ეს მართლაც ცუდი ოპერა იყოს, მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი სუსტი ოპერა მიუღია კარგად მაყურებელს და ტაშიც კი დაუკრავს. ო, რა მადლობელი ვიქნებოდი, ტაში თუნდაც არ დაეკრა და მხოლოდ ჩუმი მოთმინებით მოესმინა ეს ოპერა... მე არავის არ ვკიცხავ. სიმკაცრეს შევეგუები, სტვენასაც, ოღონდ ერთი პირობით — ტაშის სანაცვლოდ ნურაფერს მომთხოვენ. ჩვენ, საწყალი მოხეტიალე ბოშები, თაღლითებიც და კიდევ რაც გნებავთ ის გვიწოდეთ, იძულებული ვართ, გავყიდოთ ჩვენი ნამუშევარი, ჩვენი ნაფიქრ-ნააზრები, ჩვენი აღმაფრენა... მაყურებელი კი 3 ლირად უფლებას იძენს გვისტვინოს ან ტაში დაგვიკრას. ჩვენი ხვედრია — დავემორჩილოთ ამას, მეტია არაფერი“.

9 თებერვალი. კრიტიკოს ფილიპო ფილიპისადმი მიწერილ წერილში ვერდა თითქოს ანვითარებს ზემოთ გამოთქმულ აზრებს:

„კიდევ თუ მივყვები ამ ბედუკულძართ კარიერას, მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ, 25 წლის კაცისთვის, უკვე ძალიან გვიან იყო პროფესია შეეცვალა, და კიდევ იმიტომ, რომ ფიზიკურად სუსტი ვიყავი, მიწის სამუშაოს ვერ დავუბრუნდებოდი...“

17 თებერვალი. რომის თეატრში „ბალ-მასკარადის“ პრემიერა (მონაწილეობდნენ: ჟულიენ დეჟანი, სბირისკია, ფრასკინი, ჟირალდონი) უდიდესი წარმატებით გადის. არა მარტო თეატრში მყოფნი, არამედ მთელი ქალაქი პატივს მიაგებს მაესტროს. ტაშის გრიალი არა ცხრება, კედლებზე წარწერები გაჩნდა „Viva Verdi“. მართალია, ეს წარწერები გამოხატავენ არა მხოლოდ ვერდის პოპულარობას, არამედ იმასაც, რომ მისი გვარი სიმბოლო გახდა: პატრიოტებს არ გამოპარვიათ: ვერდი იმ მეფის სახელის პირველი ასოებისაგან შედგება, „რომელიც იტალიის განთავისუფლებისთვის იბრძოდა: „Vittorio Emanuele Re D'Italia“. (ეტიმოლოგიური-ეტიმოლოგიური, მეფე იტალიისა).

თებერვლის ბოლო. ვერდი სწერს პიავეს:

„ბალ-მასკარადს წარმატება ხვდა. სპექტაკლი ნაწილობრივ კარგია, ნაწილობრივ ყოველად უვარგისი“.

ვერდი უკმაყოფილო იყო მთავარი პარტიების შემსრულებელი ორი ქალისა. მან იაკოვიჩის უთხრა: „ოჰ, შე ძაღლო, ანტრეპრენერო! კარგი ანსამბლი რომ ყოფილიყო, რა დიდი წარმატება იქნებოდა“.

იაკოვიჩიმ კი უპასუხა: „ოჰ, ნეტა, მეტი რაღა გინდათ? თეატრი ყოველ საღამოს გაჭედებულია. მომავალში ვიპოვი კარგ მომღერლებს და მაყურებლისათვის ისევ ახალივით აჟღერდება. „წელს ერთი ნახევარი, — გაისად — მეორე“.

10-19 მაისი. ვერდი და ჯუზეპინა გენუისა და პიაჩენტას გავლით შინ, სანტ-აგატაში ბრუნდებიან.

28 აპრილი. ფრანგების იმედით პიემონტმა უარყო ავსტრიის ულტიმატუმი. ავსტრიის ჯარები პიემონტის მიდამოებში შეიჭრნენ. თითქმის ყველა ბრძოლას იტალიელები იგებენ. პიემონტის ჯარები ყირიმის ომში მონაწილეობდნენ, სამაგიეროდ, ახლა ნაპოლეონ მესამე თავისი 100-ათასიანი არმიით მიიჩქარის ვიქტორ-ემანუელ მეორის დასახმარებლად. მარიანი ყოველდღე ავზავნის გენუიდან სანტ-აგატაში ბრძოლების ამბებს.

21 მაისი. სტრუპონი სწერს დე სანკტისს: „ჩვენ კარგადა ვართ, მაგრამ ეს მძიმე ამბები გვალელებს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. დღეს დილის 8 საათზე პიაჩენტაში, რომელიც 18 მილით არის ჩვენგან დაშორებული, ხიდები გადახსნეს და ქალაქის ჭიშკარი ჩაკეტეს. ფრანგები და პიემონტის არმიის ნაწილები ამ სიმაგრისკენ გაძოვდნენ; ამაღამ თუ არა, ხვალ მაინც გავიგონებთ ზარბაზნების გრიალს.. ვერდი შეწუხებულია, მაგრამ სიმშვიდეს ინარჩუნებს და მომავლის იმედი აქვს. მე, რა თქმა უნდა, უფრო ვღელავ, რას იზამ, ქალი ვარ და თანაც უფრო ტემპერამენტიანი“.

ვერდი მართლაც საოცარი სიმშვიდით იშორებს თავიდან იაკოვინის, რომელმაც მასთან ვაჭრობა დააპირა:

„ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე არ შემძლია, მივწერო რიკორდის, გაქირაუების ფასი დაუკელი-მუთქი; დაჩვეული არა ვარ ასეთ საქმეებში ჩარუკას. ეგვიტ რომ არ იყოს, „აროლდოს“, „ბოკანეგრას“ და „ბალ-მასკარადის“ საფასური (რაც არ უნდა მცირე ფასიანი იყოს ეს ოპერებზე), ჩემის აზრით, ძალზე დაბალია. არ ვიცი, დამეთანხმება თუ არა რიკორდი, მაგრამ თუ დამეთანხმა, ისიც იმასვე იტყვის, რასაც მე, რასაც თქვენ იტყოდით: სხვანაირად უნდა მიხელო საკუთარ თავს. თუ სხვებთანაც გეძვირათ, ძველ კლასიკურ რეპერტუარში მოძებნეთ, რომელიც უკვე ხალხის საკუთრება გახდა, და ამრიგად სულ იაფი დაგიჯდებათ. თქვენ სამი ოპერა გჭირდებათ? იხებეთ: პაიზიელოს „შმაგი ნინი“, გლიუკის „არმიდა“, დიულის „ალცესტა“. გარდა იმისა, რომ ეკონომიას გასწევთ ამ ოპერების დადგმით, თან ჟურნალისტებთან ბრძოლასაც აიცდენთ და ა. შ. მუსიკა მშვენიერია, კომპოზიტორები დიდი ხანია იმქვეყნად არიან, უკვე ასი — ორასი წელი იქნება, რაც მათ მხოლოდ კეთილად მოიხსენიებენ, მომავალშიაც მხოლოდ კარგს იტყვიან მათზე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდად მოიხსენიონ ისინი, ვისაც ჭკუა არ ეყო და დროზე არ მოკვდა, მშვიდობით, ჩემო ძვირფასო იაკოვინი. ახალ ოპერებზე ნულარ ვიფიქრებთ“.

ივნისი. მაჟენტას და სოლფერინოს მისადგომებთან იტალია-საფრანგეთის ჯარებმა გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწიეს. ავსტრიელები გარბიან ლომბარდიდან.

20 ივნისი. ვერდი შეწირულობათა შეკრებას იწყებს გამარჯვებით დამთავრებულ ბრძოლებში დაჭრილებისა და დაღუპულებისათვის.

23 ივნისი. ვერდი — კლარა მაფეის:

„...მას შემდეგ, რაც ამ ბატონებმა პიაჩენტას სიმაგრე ააფეთქეს, ჩვენს ბუდეში იმდენი რამე მოხდა და ხდება, იმდენი მღვლეარებაა, იმდენი ახალი ამბავი მოდის — ზოგი მართალი, ზოგიც ტყუილი — რომ ერთი წუთი მოსვენება არ არის. ბოლოს და ბოლოს ისინი წავიდნენ, ყოველ შემთხვევაში, გავვშორდნენ მაინც. დაე, ჩვენმა ბედნიერმა ვარსკვლავმა სულ შორსა და შორს წაიყვანოს ისინი, სანამ ალპების იქით არ გადაყრის; წავიდნენ და დატკბნენ თავიანთი

კლიმატით, თავიანთი ცით, დაე, მათი ცა ჩვენსაზე უფრო მშვენიერი, სუფთა და თვალისმომჭრელი იყოს.

სულ რამდენიმე დღე გავიდა და ამდენი სასწაული მოხდა! პირდაპირ დაუჯერებელია! ანკი ვინ ელოდა ასეთ დიდსულოვნებას ჩვენი მოკვებებისაგან?! პირადად მე — უნდა გამოვტყდე ჩემს ცოდვებში — არ ვცდილობდი რომ ფრანგები იტალიაში შემოვიდოდნენ, მით უმეტეს, არა მჯეროდა ჩვენს ხალხს სისხლს თუ დაღვრიდნენ, თანაც ისე, რომ ჩვენი დაპყრობა არა მხოლოდ განზრახული. პირველში შევცდი და, იმედი მაქვს, მეორეშიც შევცდები: სახელდობრ ნაპოლეონი არ უარყოფს მილანის მოწოდებას. მაშინ მაგასაც ისე გავაღმერთებ, როგორც ვაშინგტონს ვაღმერთებდი... უფრო მეტადაც...“

შემდეგ ვერდი ლაპარაკობს პროფესორ მონტანელიზე, 1848 წლის ვეტერანზე, რომელიც ახლაც შევიდა არმიასი მოხალისედ.

„...ისდა შემოდის ვთქვა, რომ ამან აღმაფრთოვანა და შემშურდა კიდევ: ჯანმრთელი რომ ვიყო, მეც მის გვერდით დავდებოდი! ამას მხოლოდ თქვენ გუბნებით საიდუმლოდ, სხვას ვერ ვეტყვოდი: არ მინდა პატივმოყვარე ბაქიად გამოვჩნდე. სინამდვილეში სამი მილის გავლაც კი მიჭირს, მზეზე ხუთ წუთსაც ვერა ვჩერდები, საკმარისია მსუბუქი ქარი ან სინესტე, რომ ყელი ამტკივდეს და რამდენიმე კვირით ჩაუწყვე ლოგინში. საცოდავი კაცი ვარ! არაფრის მაქნისი!“

ივლისის დამდეგი. მილანი ნაპოლეონის დღეობის აღსანიშნავად ემზადება. ვერდის სთხოვენ სახეიმო კანტატის დაწერას, მაგრამ კომპოზიტორმა მოკლე ვადა მოიმიზეზა, თავიდან აიცილა ეს დაეალება.

11 ივლისი. ვილაფრანკაში ზავის დაღებით დამთავრდა ომი.

18 ივლისი. ვერდი — კლარა მადეის:

„მე ასე მგონია, დღეობის პიძნების მაგივრად დღეს უნდა ვტიროდეთ ჩვენი ქვეყნის გაუთავებელ უბედურებაზე. თქვენს წერილთან ერთად 12 რიცხვის „ბიულეტენიც“ მივიღე, სადაც წერია: „იმპერატორი მიმართავს იმპერატორის მეუღლეს... ზავი დაიდო... ვენეცია ავსტრიის გამგებლობაში დარჩა!..“ მაშ, სადღაა დიდიხნის ნანატრი და ათასგზის შეპირებული დამოუკიდებელი იტალია? ან მილანის მოწოდება რას ნიშნავს? თუ, ვენეცია უკვე აღარ არის იტალია? ამდენი გამარჯვების შემდეგ ასეთი შედეგი? ფუჭად დაიდვარა ამდენი სისხლი?! რამდენი საწყალი ახალგაზრდა დარჩა მოტყუებული? გარიბალდიმაც ძველი, მტკიცე რწმენა შესწირა მეფეს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია? გაგაგიჟებს კაცს ამდენი უბედურება, მაშ, მართალი ყოფილა, რომ უცხოელებისგან არაფერ სიკეთეს არ უნდა ველოდოთ, ვინც არ უნდა იყვნენ ეს უცხოელები. თქვენ როგორა ფიქრობთ? იქნებ, ისევ უცდები? ნეტავი...“

ამრიგად, ვენეცია ისევ ავსტრიელების ხელშია, მაგრამ ტოსკანის, ემილიის, პარმის, მოდენის ხალხები მედგრად გადაუდგნენ უცხოელ მბრძანებლებს, ცდილობენ პიემონტს შეუერთდნენ, რომელიც ლომბარდიასთან გაერთიანდა.

29 აგვისტო. ვერდი და ჯუზეპინა სტრეპონი ოფიციალურად დაქორწინდნენ. ჯვარი დაიწერეს პატარა სოფელ კოკოლონჯ-სუ-სალევში, რომელიც საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარზე მდებარეობს და მაშინ იტალიის სავოიას ეკუთვნოდა. ჯვარი დასწერა ვენევის აბატმა მერმილიემ; ჯვრისწერას ესწრებოდნენ იქაური მნათე და მეეტლე.

2 სექტემბერი. ვერდი სწერს პიავეს ვენეციაში:

„როგორც ხედავ, მთლად სოფლის მაცხოვრებელი ვაგხდი. იმედი მაქვს, მუზეებს უკვე დავემშვიდობე და ღმერთმა ქნას, აღარაფერმა მაცდუნოს, ისევ

მოვიკიდო კალამს ხელი. სანტ-აგატაში მზე მშვიდად ანათებს... და ოთახი შენტვის მუდამ მზად არის..."

4 სექტემბერი. ვერდი პარმის პროვინციების დეპუტატად ირჩევა ქალაქ ბუსეტოდან.

5 სექტემბერი. ვერდი წერილით მადლობას უხდის ბუსეტოს პოლცესტას და ალუტქვამს:

"...ჩემი თანამოქალაქეებისა და ჩემი სახელით მე ვაცხადებ ბურბონების დამხობას და პიემონტთან შეერთებას".

15 სექტემბერი. ვერდი სხვა დეპუტატებთან ერთად ტურინში იმყოფება. დეპუტატები კრების ერთსულოვან გადაწყვეტილებას გადასცემენ მეფეს: ემილიის პროვინცია პიემონტს უერთდება.

17 სექტემბერი. ვერდი კავურს მოინახულებს, რომელიც ვილაფრანკაში დადებული ზავის შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა და ლერიში, თავისივე მამულში, დასახლდა.

ოქტომბერი. წესრიგის დამყარების მიზნით, გადაწყდა, იტალიის განთავისუფლებულ პროვინციებში შექმნან ეროვნული გვარდია. ბუსეტოს სახსრები არ გაანჩია გვარდიის შენახვისა და აღჭურვისათვის, მაგრამ ვერდიმ თავად იკისრა ხარჯები.

ნოემბერი. ინგლისის ელჩის მეშვეობით და მარიანის დახმარებით ვერდიმ 172 თოფი შეიძინა და ქალაქის საბჭოს გადასცა.

საფრანგეთის აკადემია ერთხმად ირჩევს ვერდის თავის წევრად. ტურინმა, ბოლონიამ და გენუამ სათითაოდ გამოაცხადეს ვერდი თავიანთ საპატიო მოქალაქედ.

1860

8 იანვარი. კავური ქსევ მთავრობის მეთაური ხდება.

10 თებერვალი. ვერდი სწერს ესკიუდიეს პარიზში:

"რაც ნოტების წერას თავი დავანებე, კომბოსტოს და ცერცვის მოყვანას მოვიკიდე ხელი, მაგრამ ეს საქმეც არ მაკმაყოფილებს და ნადირობა დაუიწყე!!!"

8 მარტი. პიავე ვენეციაში ებრძვის ათას გასაჭირს, მერე მილანში მიდის სამუშაოს საძებნელად. ვერდიმ ქალაქის მმართველ მასიმო დ'აცელიოსთან უშუამდგომლა, შესთავაზა აგრეთვე კლარა მაფეის მფარველობა; მალე, ამის შემდეგ, პიავე თეატრ „ლა სკალას“ რეჟისორად მიიღეს.

11 მარტი. ვერდი მეუღლითურთ გენუიდან სანტ-აგატაში ბრუნდება. თავის ბაღში ისინი რგავენ ფორთოხლებს, მაგნოლიებს, დაუნას და იწყებენ სახლის გადაკეთებას.

24 მარტი. ტურინის ხელშეკრულებით ვიქტორ-ემანუელი შემოერთებული პროვინციების სანაცვლოდ ნაპოლეონს გადასცემს ნიცას და სავოიას.

11 მაისი. გარიბალდი და მისი წითელხალათიანები მარსელის სანაპიროზე გადმოსხდნენ. რამდენიმე კვირის განმავლობაში სიცილია მთლიანად შეუერთდა პიემონტს.

27 მაისი. ვერდი სწერს მარიანის:

"მაშ, გაუმარჯოს გარიბალდის! ღმერთიანი, მაგის წინაშე ყველამ უნდა

მუხლი მოიდრიკოს. სანამ გენუაში ხარ, ხშირად მომწერე სიცილიის ამბები..."

აგვისტო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან აჩქარებენ, ვერდი მაინც არ აპირებს მიუბრუნდეს მუსიკას.

„ჩემს ირგვლივ აგურები, კირი და კალატოზებია.... რაც ძალა და ღონე მაქვს, ვმუშაობ. ვდგები ხუთ საათზე, რამდენჯერმე ვესვრი ხოლმე იმ მწერებს, რომელთაც იმდენი ჭკუა აღმოაჩნდათ, მახეში არ გაბმულიყვნენ, მერე ვსაუბრობ და მე კალატოზების დასახედად მივდივარ; პირველი საათიდან ორამდე ცოტას წავიძინებ-ხოლმე, მერე საშინაო საქმეებს მივხედავ, ვწერ წერილებს, ესადი-ლობ, მერე საღამომდე ვსვირნობ, შინ რომ დავბრუნდები, ცოტას ვსაუბრობ და ბოლოს ვიძინებთ...“

7 სექტემბერი. გარიბალდი ნეაპოლში შეიჭრა. ვიქტორ-ემანუელის ჯარი გენერალ ჩალდინის მეთაურობით ძღვევამოსილად მიიწევს წინ ცენტრალური იტალიის ტერიტორიაზე.

2 ოქტომბერი. ვერდი სწერს მარიანის: „ეს დიდი შემოქმედები! დიდი ქმნილებანი! და როგორი ფინალები! სულ ჭახაჭუხით!“

წერილი კაპეჩელატრას ნეაპოლში:

„თქვენა მთხოვთ ჰიმნი დავწერო მაშინ, როცა წითელხალათიან გმირს ვზის ბოლო მონაკვეთიდა დარჩა? ოპო! ეროვნული ჰიმნი ერთდროულად უნდა იმღერომ ვენეციის ლაგუნებშიაც, ნეაპოლშიაც, და ალპებშიაც. არა, ჰიმნს არ დავწერ მანამდე, სანამ, ღმერთის წყალობით, საბოლოოდ არ დავამსხვრევთ ბორკი-ლებს; მე მოვესწრები ამ დღეს! ეს იქნება ჯუზეპე ვერდის პირველი და უკანასკნელი ჰიმნი“.

2 დეკემბერი. ვერდი გენუაში მიემგზავრება, რათა აქ მარიანისთან ერთად შემსრულებელი შეზრჩიოს „ბალ-მასკარადისათვის“, რომლის დადგმასაც იქ აპირებენ. ჯუზეპინას ავადმყოფობის გამო კომპოზიტორი უარს ამბობს ტურიინში წასვლაზე.

7 დეკემბერი. ვერდი კვლავ სასტ-აგატაშია. აქ მასთან ჩამოდის გამოჩე-ნილი ტენორი ენრიკო ტამბერლიკი, რომელიც გადასცემს პეტერბურგის ოპე-რის დირექტორის მიწვევას: „დირექცია ყოველგვარ დათმობაზე წავა, თუ თა-ნახმა იქნებით, მომავალი სეზონისთვის ოპერა დაწეროთ... კლიმატი, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, არც ისე საშიშია...“

1861

იანვარი. იტალია პირველი თავისუფალი არჩევნებისთვის ემზადება. ბუ-სეტომ პირველ საერთო იტალიურ პარლამენტში თავის კანდიდატად ვერდი წამოაყენა, მაგრამ კომპოზიტორი თანხმობას არ აძლევს. წარდგენილი კანდი-დატებიდან ყველაზე მეტი მანხი ვერდის მეგობარს მინგელი-ვაინის აქვს. მას წინათვრძნობა აქვს, რომ არჩევნებში დამარცხდება და მზად არის თავისი კანდიდატურა მოხსნას, თუკი ვერდი თანახმა გახდება არჩევნებში მონაწილე-ობაზე.

10 იანვარი. კავური თბილი წერილით მიმართავს ვერდის და სთხოვს ეს მისთვის ძნელი მოვალეობა იკისროს.

18 იანვარი. ვერდი ცდილობს თავი აარიდოს დეპუტატის საპატიო მოვალე-ობას და ტურიინში ჩადის კავურის მოსახახულებლად. მაგრამ ანგარიშს უწევს პრემიერ-მინისტრის დაჟინებულ თხოვნას და საბოლოოდ დათანხმდება წამოა-

ყენოს თავისი კანდიდატურა, ოღონდ იმ პირობით, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მაინც უარს იტყვის დეპუტატობაზე.

ვერდის წერილი მარიანის:

„არ გაგიკვირდეს, ტურინში რომ მნახო. იცი, რატომ ვარ აქ? იმიტომ, რომ დეპუტატი არ გავხდე. სხვები ყოველ დონეს ხმარობენ, რაფაელ დეპუტატად აირჩიონ, მე კი ყოველნაირად ვცდილობ არ გავხდე დეპუტატი. მსგავს ამ ვს ჩვენ შორის დარჩეს!“

22 იანვარი. ხანამ ვერდი ტურინშია, ჯუზეპინა მინგელი-ვაინის ამშვიდებს, ვერდი დეპუტატობაზე უარს იტყვისო. მაგრამ მინგელი-ვაინის უკვე ეჭვი შეეპარა თავის წარმატებაში და სასოწარკვეთილმა ასეთ ხერხს მიმართა: ვერდის შესთავაზა რომელიმე სხვა ადგილას ეყარა კენჭი, ბუსეტო კი მისთვის დაეთმო.

23 იანვარი. ვერდი სწერს მინგელი-ვაინის:

„მე არც წარმიდგენია და არც წარუადგენ ჩემს კანდიდატურას, საერთოდ, ხელსაც არ გავანძრევ საამისოდ. მაგრამ, თუ ამირჩიეს, დავეთანხმები, თუმცა ეს ჩემთვის მძიმე ტვირთი იქნება და შენ იცი, რა მიზეზიც მაიძულებს დავეთანხმდე. თუმცა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი უარი ვთქვა... თუკი გამივიდა... შენ თუ მოახერხებ, რომ მე ნაკლები ხმები მივიღო, შენ კი მეტი და ამ ტვირთს ამაშორებ, ენით ვერ ავიწერ, ისეთი მადლობელი ვიქნები. ამით დეპუტატების პალატასაც სიკეთეს მოუტან, შენც გაიხარებ და ჯუზეპე ვერდისაც უდიდეს სამსახურს გაუწევ“.

2 იანვარი. ვერდიმ არჩევნებზე 298 ხმა მიიღო, მინგელი-ვაინიმ — 185, დანარჩენი ხმები სხვა მონაწილეებზე განაწილდა.

3 თებერვალი. დამატებითი არჩევნების დროს ვერდიმ უფრო დიდ გამარჯვებას მიაღწია (339—206).

5 თებერვალი. ვერდი სწერს პიროლის:

„თქვენი და თქვენი ამომრჩევლების საბედნიეროდ, თქვენ პარლამენტის დეპუტატი გახდით; მეც დეპუტატი ვარ, ჩემი და ჩემი ამომრჩევლების საუბედუროდ. მაგრამ ვალდებული ვიყავი, და ვფიქრობ, კარგადაც მოვიქეცი, რომ დავეთანხმდი... შემატყობინეთ როდის წახვალთ ტურინში... უნდა გავესაუბროთ, რჩევა გკითხოთ...“

ვერდი თავის პირობებს ატყობინებს ტამბერლიკს: მას სურს პეტერბურგის თეატრისთვის დაწეროს ოპერა ვიქტორ ჰიუგოს „რუი ბლანზის“ მიხედვით. პონორარი — 60 ათასი ფრანკი, ამას გარდა, იგი ითხოვს ხარჯების ანაზღაურებას.

18 თებერვალი. პირველი საერთო იტალიური პარლამენტის გახსნასთან დაკავშირებით მოწყობილ კონცერტზე ვერდის ოპერებიდან სამი ფრაგმენტი შეასრულეს.

19 თებერვალი. პარლამენტის პირველ სხდომაზე ვერდი ზის ცენტრში, ოდნავ მარცხნივ, მთავრობის თავგამოდებულ მომხრეებსა და ოპოზიციას შორის. ხმის მიცემის დროს მას ორიენტაცია კავურზე აქვს: „ესე, დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს შევცდები“.

მარტი. პარლამენტმა კანონით გაამაგრა ახალი იტალიური სახელმწიფოს არსებობა. იტალიის დედაქალაქად რომი გამოცხადდა, რომელიც ჯერ კიდევ ელოდა განთავისუფლებას. დამთავრდა იუ არა სხდომა, ვერდიმ გადადგომა დააპირა, მაგრამ კავური მოთმინებისკენ მოუწოდებს და მიმართავს: „ჯერ რომში უნდა შევიდეთ!“

ვერდი სწერს ტამბერლიკს (რადგან მან შეატყობინა: „რუი ბლანზის“ რევოლუციური შინაარსი პეტერბურგს არ მოუხდებაო):

„...სულ დავიბენი. უამრავი დრამა გადავიკითხე, მაგრამ არც ერთი არ მომეწონა, არ შემიძლია და არც მინდა ხელი მოვაწერო კონტრაქტს, სანამ არ ვიპოვი სიუჟეტს, რომელიც პეტერბურგის მსახიობებისთვის იქნება შესაფერისი და ხელისუფლებაც დაამტკიცებს...“

19 მარტი. ვერდი სწერს დე სანკტისს ნეაპოლში, სადაც ზოგიერთმა თავაშვებულმა, ბოლოს მიღებული კანონების მიუხედავად, სეპარატისტული ქვეყნის ერთობის საწინააღმდეგო მოთხოვნები წამოაყენა:

„თუ ღმერთი გწამთ, მოეშვიოთ ამ ბავშვურ გამოხდომებს, იყავით მშვიდად, მოთოკეთ ეგ ვიყები, მოთმინება იქონიეთ და ენდეთ დიდ პოლიტიკოსს, რომელიც ჩვენი ბედის გამგებელია; მაშინ ყველაფერი მოგვარდება. ჩაუფიქრდით მაინც: თუ იტალიის გაერთიანების დიადი იდეა ვერ შესრულდა, ეს თქვენი ბრალი იქნება. იტალიის სხვა პროვინციებში საეჭვო არაფერია.“

თუ ახლა ამ ადგილუფროსობის უბადრუკი იდეების გამო იტალია (ღმერთმა დაიფაროს) დაქუცმაცდა, იგი მულამ დიდი უცხო ქვეყნების გავლენისა და პროტექტორატის ქვეშ იქნება. ერთიანობა და მხოლოდ ერთიანობა გახდის იტალიას დიდ, ძლიერ და პატივცემულ ქვეყნად; ცულად წავიკაოთ საქმე, თუ გულწრფელად არ მოგვენდობით და არ შემოგვეერთდებით. თანამედროვეებისა და შთამომავლობის გაკიცხვასა და წყევლა-კრულვას ვერ აცდებით და ახიც იქნება თქვენზე“.

17 აპრილი. ჯუზეპინა თავის ძველ კოლეგას, კორტიჩელის სწერს, რომ ვერდის მოლაპარაკება აქვს ტამბერლიკის შვილთან ტურინში:

„ვერდის ნება მისცეს დაწეროს ოპერა „რუი ბლანის“ სიუჟეტზე ან სხვა, რასაც მოისურვებს... მის ყველა მოთხოვნას შეასრულებენ გარდა ერთისა: მეფე ალექსანდრემ რუსეთში რესპუბლიკა არ უნდა გამოაცხადოს...“

საბოლოოდ ვერდი აირჩევს ა. საავედრას დრამას „ღონ ალვარო ანუ ჭედის ძალა“ და პიავეს სთხოვს ლიბრეტოს დაწერას. ჯუზეპინა ახლა უკვე დიდი ხალისით ემზადება გასამგზავრებლად.

26 აპრილი. ვერდი ისევ სწერს დე სანკტისს ნეაპოლელი „პატრიოტების“ მოთხოვნასთან დაკავშირებით (წაიკითხეთ: ადგილობრივი პატრიოტიზმის გამოხატულები):

„დედაქალაქი! განა შეიძლება ნეაპოლი იტალიის დედაქალაქი იყოს? ვის მოაფიქრდა ეს აზრი?! ღმერთმანი, ეს არ არის სამშობლოს სიყვარული!“

მაისი. მუშაობა სანტ-აგატაში გრძელდება: ვერდი სწერს „ბედის ძალას“ და სახლს აშენებს.

6 ივნისი. მოულოდნელად გარდაიცვალა იტალიის პრემიერ-მინისტრი კაჯური.

7 ივნისი. ვერდი სწერს არივაბენეს:

„ზედ გამგზავრების წინ შევიტყვე გამოავნებელი ამბავი, რომელიც პირდაპირ გამანადგურა! ვაჟკაცობა არა მყოფნის, ტურინში გავემგზავრო; ანკი ზოგორ შევძლებ, ამ ადამიანის დაკრძალვას დავესწრო... რა უბედურება დაგვატყდა თავს! რამდენი ერთი!“

ივლისი. ბუსეტოს ესტუმრენ ჯერ მარიანი, რომელიც „ბალ-მასკარადის“ საფორტეპიანო პარტიტურაზე მუშაობს, შემდეგ კი პიავე; იგი ვერდისთან ერთად ახალ ლიბრეტოზე მუშაობს.

ჯუზეპინა, რომელიც მომღერლობიდან დიასახლისის უფრო სასიამოვნო

მდგომარეობამდე ამაღლდა, სურსათისა და სასმელების გრძელ სიას უგზავნის კორტიჩელის, უნდა მოიმარაგოს, რათა პეტერბურგში კარგად იდგასახლისოს.

აგვისტო. ვერდი რამდენიმე წერილში უკმაყოფილებას გამოთქვამს პიავეს ნამუშევრით. მისი ღევიზია:

„ლექსს ევალება და შეუძლია კიდევ, უფრო ცოტა სიტყვებით გამოხატოს პროზაული ტექსტის აზრი; ამ მხრივ შენ ჯერ ვალდარ-მიგახდია...“

პიავე უპასუხებს: „...მე ეტნასავით ვგვიზგიზებ იმის სურვილით გამოთბარი, რომ შენი მოთმინება არ გადავტვირთო... ეს ხომ ტაციტუსის ჟანრია, და ადვილი არ არის წარმატებას მიაღწიო. მაგრამ, მე მინდა, ძალიან მინდა, კარგად გამომივიღეს“.

სექტემბერი. სანტ-აგატაში პიავე, ვერდისა და მარიანისთან ერთად, ამთავრებს „რატაპლანას“ ტექსტს — ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო გუნდს „ბედის ძალაში“.

22 ნოემბერი. ვერდი სწერს ტიტო რიკორდის:

„ოპერა („ბედის ძალა“) მზად არის, დარჩა მხოლოდ ორკესტრირება...“ თვის ბოლოს ვერდი, მეუღლითურთ, პიაჩენცასა და ტურიჩის გავლით, პარიზში ჩადის.

6 დეკემბერი. ბერლინსა და ვარშავაში შეჩერების შემდეგ, ისინი პეტერბურგში ჩადიან. ვერდი სწერს პიავეს:

„ჩვენ არავითარი უსიამოვნება არ შეგვხვედრია, ეს კია, რომ (უცნაური არ არის განა!) ცოტა არ იყოს ცხელა... ჩვენს განკარგულებაშია მშვენივრად გამოთბარი ბინა... და ელვასავით მარდი ორი ცხენი...“

21 დეკემბერი. ვერდი სწერს რიკორდის:

„რეპეტიციები ჯერ არ დაწყებულა: ჯერ „სტრადელა“ უნდა დაიდგას; ისე რომ, თავისუფალი დრო საკმაოდ მაქვს, უფრო მეტიც ვიდრე მჭირდება“.

1862

7 იანვარი. პიავესადმი მიწერილ წერილში:

„ბედის ძალის“ რეპეტიციები ჯერ არ დაგვიწყია; პრიმადონა ლა გრუა ავად არის. არ ვიცა რა ჯანდაბა გამოვა...“

7 თებერვალი. ჯუზეპინა სწერს არივაბენეს:

„ასე რომ, ვერდის მისჯილი აქვს აიტანოს 24, 26, 28 და ამაზე მეტი გრადუსი ყინვა (რეომიურის მიხედვით). მაგრამ ეს ყინვა ჩვენი ბინის წყალობით, სულაც არ გვაწუხებს: სიცივეს ვხედავთ, მაგრამ ვერა ვგრძნობთ. ოღონდ სწორად გავუგოთ ერთმანეთს: ეს თავისებური წინააღმდეგობაა — მდიდრების პროვილეგია. დარიბების უმეტესობა, განსაკუთრებით კი მეეტლეები, მსოფლიოში ყველაზე უბედური არსებანი არიან! აბა წარმოიდგინეთ... მეეტლეების უმეტესობა ზოგჯერ მთელი დღე, და ღამეც კი, ყინვისაგან დაუცველები, ელოდებიან თავიანთ ბატონებს, რომლებიც თბილ, მდიდრულ აპარტამენტებში ქეიფობენ; ამ დროს კი ზოგი საცოდავი მეეტლე სიცივისაგან იღუპება! მე ვერასოდეს შევეჩვევი ამდენი ტანჯვის ყურებას!...“

„ლა გრუა ავად არის, დანარჩენი ქალები კი, ჩემის აზრით, ახალი ოპერისათვის არ გამოდგებიან. გადაწყდა, პრემიერა მომავალი სეზონის ნოემბერში გაიმართოს“.

24 თებერვალი. ვერდი და მისი მეუღლე პარიზში არიან.

8 მარტი. ვერდი სწერს პარიზის:

„პარიზში კიდევ 8-10 დღე დავრჩები, ეს სულელური მარში უნდა დაეწეროს ლონდონის გამოყენებისთვის“.

საზვიანო კონცერტში, რითაც გამოფენა უნდა გახსნილიყო 1 მაისს, ფრანგული, გერმანული და ინგლისური მუსიკა უნდა წარმოედგინათ ობერის, მაიერბერისა და ბენეტის, ხოლო, იტალიური მუსიკა — ვერდის ნაწარმოებებით!..

მარტის მიწურული. ოცი წლის ბოიტი ვერდის თავის ლექსს გადასცემს „ეროვნებათა ჰიმნისთვის“ მუსიკის დასაწერად.

აპრილის მიწურული. ვერდი იტალიაში ბრუნდება, ჯუზეპინა კი გამოფენისთვის სასწრაფოდ დაწერილი „ეროვნებათა ჰიმნი“ ლონდონს მიემგზავრება.

24 აპრილი. ვერდი „ტაიმსშივე“ უარყოფს ამას:

„5 აპრილს ჩემმა რწმუნებულმა წერილობით შეატყობინა მდივანს, ბატონ სტენფორდს, რომ ჩემი ჰიმნი, სავსებით დამთავრებული, მის ხელთაა, სამეფო კომისიის განკარგულებაში. რაკილა პარიზში ობერმა განმიცხადა, ამ გამოფენისთვის მარში უნდა დაეწერო, მე მარში აღარ დამიწერია, თუმცა ადრე ასე ვიყავით შეთანხმებული, დავწერე კანტატა სოლოსა და გუნდისათვის, და ტამბურლიკი თავაზიანად დამთანხმდა რომ იძღვრებდა...“

2 მაისი. ვერდი სწერს არივაბენეს:

„მე მეგონა მომილოცავდი, რომ ჩემი კანტატა არ შესრულდა გამოფენაზე, შენ კი თურმე ამ ფაქტს ისეთ მნიშვნელობას ანიჭებ, რასაც იგი არ იმსახურებს. მე მუდამ იმ აზრისა ვიყავი და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ შემთხვევით დაწერილი ნაწარმოები, ხელოვნების თვალსაზრისით, საზიზღრობაა.. ხოლო, რაც შეეხება იტალიას, სრულებითაც არ იყო სავალდებულო ამ გამოფენაზე იტალიური მუსიკა შესრულებულიყო. ჩვენი მუსიკა ყოველდღიურად ორ თეატრშია წარმოდგენილი, და არა მარტო აქ, არამედ ყველგან, იმიტომ რომ, მიუხედავად მეცნიერების მიერ აღმოჩენილი დეკადანსისა, არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა იმდენი იტალიური თეატრი, რამდენიც ახლაა“.

24 მაისი. შოტლანდიის ტბებზე გასეირნების შემდეგ ვერდი და ჯუზეპინა ლონდონში ბრუნდებიან, რათა მოისმინონ კანტატა, რომელიც დიდი წარმატებით შეასრულეს სამეფო თეატრში; სოლო პარტია არღიტიმ შეასრულა.

1 ივნისი. ვერდი და ჯუზეპინა პარიზის გავლით შინ ბრუნდებიან. კომპოზიტორი პიროლისთან ერთად მონაწილეობს პარლამენტის საგანგებო კომისიის მუშაობაში.

28 აგვისტო. ასპრომონტის ინციდენტის შემდეგ — სამეფო ჯარის ნაწილებსა და გარიბალდიელებს შორის ვერდი სწერს არივაბენეს:

„უბედური იტალია! ნეტა, რატომ არ გადადგება ეს ყველასათვის საძულველი მთავრობა? არც ის შესძის, რატომ მეფე, ახეთი ძამაცი ადამიანი, ჯარს სათავეში არ ჩაუდგება და არ განაცხადებს: სამშობლო საფრთხეშია; მე თქვენი პირველი ჯარისკაცი ვარ, მომყევით!..“

თვის ბოლოს ვერდი და ჯუზეპინა მეორედ მიემგზავრებიან რუსეთში, კვლავ პარიზის გავლით.

24 სექტემბერს ვერდი და ჯუზეპინა მოსკოვში დაესწრნენ „ტრუბადურს“. მაყურებელმა იცნო მაესტრო ჯა გულთბილად მიესალმა.

10 ნოემბერი. პეტერბურგში „ბედის ძაღლის“ პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა (მონაწილეობდნენ: ბარბო, ნანტიე-დიდიე, ტამბურლიკი, გრაციანი და დე ბასინი).

ვერდი სწერს რიკორდის:

„ოპერის დებიუტს წარმატება ხვდა. ძალიან კარგი სპექტაკლია, ძალიან მდიდრული დეკორაციები და კოსტიუმები“.

„ბედის ძალა“ ვერდის ყველაზე მთლიანი ნაწარმოებია, როგორც შთაგონებისა და მელოდიური სიმდიდრის, ისე მუსიკალური დამუშავებისა და ორკესტრირების თვალსაზრისით. („სანკტ-პეტერბურგის ჟურნალი“).

8 დეკემბერი. კორტიჩელისადმი მაწერილ წერილში ჯუზეპინა მიუთითებს ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებზე, რომლებიც „ბედის ძალის“ გამო გამოითქვა: ოპერას თავს ესხმოდნენ როგორც გერმანული მუსიკის მოტყუილენი, ისე ეროვნული მუსიკალური სკოლის — მძლავრი ჯგუფის მიმდევრები: „ოპერამ ძალიან კარგად ჩაიარა, მიუხედავად გერმანული პარტიის მანჭვა-გრებისა, რომელთაც სხვათა შორის, გულწრფელად ვუთანაგრძნობ. უკვე რამდენი წელიწადია, ეგენი მთელ მსოფლიოში გაჰკვივიან, გერმანული ოპერები ყველაზე კარგიათ, ხალხი კი ჯიუტად უვლის გვერდს, როცა თეატრში მათი ოპერა იდგმება, ხოლო, როცა ისეთ საშინელ „საძაგლობას“ გამოაცხადებენ, როგორცაა „ბალ-მასკარადი“, „ბედის ძალა“ ან სხვა, მაშინ მაყურებელი პირდაპირ აწყდება თეატრს. მეფემ, რომელიც მხოლოდ მეოთხე წარმოდგენას დაესწრო... ვერდი მიიპატიჟა თავის ლოჯაში და დედოფალთან ერთად მრავალი ქება უძღვნა ოპერას. მეფე ტრადიციულად ყოველ წელს ჩადის ხოლმე მოსკოვში და იმ დღეს, სანამ გაემგზავრებოდა, ვერდი წმ. სტანისლავის ორდენით დააჯილდოვა“.

9 დეკემბერი. ვერდი და ჯუზეპინა პეტერბურგს გამოეთხოვენ.

15 დეკემბერს ისინი პარიზს ჩავიდნენ.

1863

5-11 იანვარი. ვერდი და ჯუზეპინა გზას განაგრძობენ და მადრიდში ჩადიან, რათა ესპანეთში „ბედის ძალის“ პრემიერას დაესწრონ.

კომპოზიტორს მოლაპარაკება აქვს ანტრეპრენერ მეპელსონთან, რომ ეს ოპერა ლონდონში დაიდგას; ამავე დროს იგი ათვალისწინებს ოპერის პარტიებს, რომელიც რიკორდის განკარგულებით გადაწერეს და გამოუგზავნეს.

მაესტრო განრისხებულია:

„არც ხელი უვარგათ გადამწერებს, სანოტო ნიშნებიც გაურკვეველია, შეცდომებს ხომ ნუღარ იკითხავ, მაგრამ მთავარი ისაა, რასაც ვერასდიდებით ვერ ვაპატიებ, რომ თითქმის ვერსად ნახავ კოლორიტიცა და გამომხატველობის ნიშნებს... ამრიგად, მუსიკა სოლფეჯიოდ იქცა... მარტო „რატაბლანის“ გუნდის პარტიაში, სადაც ოთხმოცამდე ტაქტია, 14 შეცდომა გავასწორე სანოტო ნიშნებში და 74 — კოლორიტიცა და გამომხატველობის...“

21 თებერვალი. „ბედის ძალამ“ მადრიდში წარმატებით ჩაიარა.

ტელეგრამა არივაბენეს:

„გუნდი და ორკესტრი გასაოცრად კარგი იყო; ფრასკინმა და ლაგრანჟმა ალან-ალაგ კარგად იმღერეს, დანარჩენი კი... — ცარიელი ადგილი ან ცუდი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა... წარმატება აშკარაა უსაზღვრო პატივისცემა და ა. შ. ხვალ ანდალუზიაში მივემგზავრები“.

10 მარტი. კვლავ მადრიდიდან — არივაბენეს:

„...ისე დავიღალე, რომ წესით ახლა ლოგინში უნდა ვიწვე და ჩემს ხველას ვიშუშებდე — ლამის დამახრჩოს, ანდალუზიაში მოგზაურობისას გავცივდი. ყოველად ძნელი მგზავრობა შემხვდა — ხანგრძლივი და დამქანცველი...“

აღგაძვრა... ტოლედოს, კორდოვასა და სევილიის ტაძრები — ტყუილად კი არ არიან სახელგანთქმულნი.

ესკურალი (მაპატიე მკრეხელობა) არ მომეწონა. მარმარილოს გროვა და შიგნით უამრავი უმდიდრესი ნივთი (ზოგი მათგანი მართლაც მშვენიერია), მათ შორის საუცხოოა ლუკა ჯორდანოს ფრესკა; მაგრამ მთლიანობაში თუ ავიღებთ — უგემოვნობაა და მეტი არაფერი. პირქუში სასახლე, მიძინისმოძვერელი, როგორც მისი სასტიკი მბრძანებელი, ვინც ეს ააშენა...

14 მარტი. ვერდი მეუღლითურთ პარიზში ბრუნდება.

აპრილი-მაისი. პარიზის ოპერის თეატრი ემზადება „სიცილიური მწუხრის ლოცვის“ აღსადგენად. ვერდი რეპეტიციებს ესწრება და უკმაყოფილოა. მილანი ცდილობს რაც შეიძლება ჩქარა მიიღოს ნებართვა „ბედის ძალის“ დადგმისათვის. რიკორდისადმი მიწერილ წერილში ვერდი შეაჯამებს თავის მოთხოვნებსა და საყვედურებს „ლა სკალას“ მიმართ:

„დიდი სურვილი არა მაქვს მილანში ჩავიდე, რათა იქ სისხლი ვანთხიო და ბრაზისაგან დავიხრჩო, კერაფერს მივალწიე-მეთქი... არაჩვეულებრივსა და შეუძლებელს არაფერს მოვითხოვ; უბრალოდ, ის უნდა გააკეთონ, რაც აუცილებლად საჭიროა. ეს იგივეა, მხატვარმა რომ ცოტათუნი სინათლე მოითხოვოს, სურათი კარგად გამოჩნდესო...“

25 მაისი. იმ მითქმა-მოთქმასთან დაკავშირებით, თითქოს ვერდი სამუდამოდ პარიზში დასახლებას აპირებდეს, ვერდი სწერს არივაბენეს:

„იქნებ სულ ძალე ჩამოვიდე ტურიინში, მაგრამ სახელდობრ როდის — ეს ჯერ არ ვაღამიწყვეტია, რადგან არ ვიცი, როდის დაბრუნდება ან დამბრუნდება კი როდისმე — რეპეტიციები ამ დაწყვეტილი „მწუხრის ლოცვისა“.

20 ივლისი. ოპერაში დაიდგა პირველი სპექტაკლი განახლებული „სიცილიური მწუხრის ლოცვისა“.

21 ივლისი. ვერდი და ჯუზეპინა იტალიაში ბრუნდებიან.

31 ივლისი. ვერდი სწერს კლარა მაფეის, რომელმაც წერილით სთხოვა: ფაჩოსა და ბოიტოს მფარველობა გაუწიეთო:

„შარშან პარიზში ხშირად ვხვდებოდი ხოლმე ბოიტოსა და ფაჩოს, ნამდვილად ნიჭიერი ახალგაზრდები არიან... ამ ორ ახალგაზრდას ვაგნერის მხურვალე თაყვანისმცემლებად თვლიან, და ამაში ცუდი არაფერია, თუ ეს თაყვანისცემა მიბაძვაში არ გადაიზარდა. ვაგნერი უკვე არსებობს და რა საჭიროა მისი ხელახლა შექმნა. ვაგნერი არც მხეცია, როგორც პურისტები ამტკიცებენ და არც წინასწარმეტყველი, როგორც მის მოციქულებსა ჰგონიათ. ეს გახლავთ დიდი ნიჭის პატრონი, რომელსაც დახლართული გზები მოსწონს, რადგან სწორი გზებისთვის ვერ მიუგნია“.

3 ოქტომბერი. რიკორდი ცდილობს როგორმე დაითანხმოს ვერდი ახალი ოპერის დასაწერად, რაზეც კომპოზიტორი უპასუხებს:

„ისევ ოპერები ვწერო? მერედა, რატომ? იმიტომ რომ ვუსმინო რა საშინლად ასრულებენ? ან ისევ კავატიინებს, დუეტებს ტერციაში, და რონდოს ტრელებს უნდა დაუბრუნდეთ ან მოძღერლებს ნოტების კითხვა ვასწავლოთ... რაც შეეხება სიმებიანი კვარტეტების საზოგადოებას, გთხოვ გამათავისუფლო. შენ ხომ იცი, რომ მუსიკაში მე ვირი ვარ და სულაც ვერ ვერკვევი იმაში, რაც მცოდნეებმა კლასიკად მონათლეს...“

30 ოქტომბერი. ვერდი სწერს პიავეს:

„შენი თქმისა არ იყოს რამე უნდა მოუხერხოთ „ბედის ძალას“, მთავარი კვანძის გახსნა და იმასაც უნდა ვეცადოთ, რომ ამდენი სიკვდილი არ იყოს...“

11 ნოემბერი. ფაჩოს ოპერა „ფლამანდიელი ლტოლვილების“ პრემიერამ ააფორიაქა მილანის მუსიკალური ცხოვრება. კომპოზიტორის მეგობრები — ბოიტი, ფილიპი, ალვარდი, პრალა და სხვები, ოპერის დადგმით თავის გამარჯვებას ზეიმობენ. ეს ჯგუფი ახალგაზრდა პოეტებისა და კომპოზიტორებისა „ქარიშხლისა და შეტევის“ გვიანიტალიური ვარიანტის ბელადებად განეჭმადნებიან, მათ იტაცებს მომავლის ხელოვნება, უცხოური ესთეტიკური მამდინარეობანი; კერპად დაუსახავთ ვაგნერი, ხოლო, ყველაფერ (მათი აზრით) მოძველებულსა და „შინაურს“ — მაცონი იქნება ეს თუ ვერდი — არაფრად აგლებენ, ეზიზღებათ...

დაახლოებით 20 ნოემბერი. ფაჩოს პატივსაცემად მოწყობილ ბანკეტზე, ბოიტომ ჭიქა ასწია და ამ დღისთვის დაწერილი თავისივე ოდა წაიკითხა:

„გაუმარჯოს, იტალიის ხელოვნებას,
ვისურვოთ რომ ახალგაზრდა, სიცოცხლით და ჯანით სავსე,
გაემიჯნოს ძველს, დრომოჭმულს, ქანცგაწყვეტილს,
იქნებ უკვე იშვა კიდევ ის, რომელსაც
ვალად ადევს — სიწმინდით და სისპეტაკით
ზეაზიდოს ხელოვნება საკურთხეველზე,
საკურთხეველზე, რომელიც დღეს შეუბილწავთ,
ვით კედლები სამეძაო სახლისა“.

(პწკარული თარგმანი)

22 ნოემბერი. ჟურნალ „მუზეო დე ფამილიაში“ დაიბეჭდა ბოიტოს ოდა.
დეკემბერი. კლარა მაფეი და ტიტო როკორდი ცდილობენ შეარიგონ ვერდი და ახალგაზრდები; ცდილობენ გაფანტონ მათდამი კომპოზიტორის არც თუ უსაფუძვლო უნდობლობა. ამის პასუხად ვერდი სწერს კლარა მაფეის (რომელიც ისევე სთხოვს, ფაჩოს მხარი დაუჭიროე):

„...რალა საჭიროა გაამხსნეო ის, ვინც უკვე წარსდგა მაყურებლის წინაშე და მის სამართალს მიენდო? ახლა თვითონვე გაერკვნენ თავიანთ საქმეებში, სხვისი სიტყვა სრულიად ზედმეტია.“

ვიცი, რომ ამ ოპერაზე ბევრს, ჩემის აზრით, მეტიმეტად ბევრსაც, ლაპარაკობენ. წავიკითხე კიდევ რამდენიმე სტატია ჟურნალებში, სადაც ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს შეხვდებით ხელოვნებაზე, ესთეტიკაზე, აღმოჩენაზე, მომავალზე და ა. შ. და გამოგიტყდებით, მე (ყოვლად უვიცმა!) ვერაფერი გავიგე-ეგეც რომ არ იყოს, მე არც ფაჩოს ტალანტს ვიცნობ, არც მის ოპერას, და არც მინდა გავიცნო, რომ დისკუსიაში არ ჩაუება, ჩემი განაჩენი არ გამოვუტანო. ვერ ვიტან ამისთანა რამეებს, როგორც ყოვლად ფუჭსა და უმაქნისს. კამათს ჯერ არავინ დაურწმუნებია, განაჩენი კი ხშირად მცდარია ხოლმე. და ბოლოს, თუკი ფაჩომ ახალ გზებს მიაგნო, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, თუ ამ კომპოზიტორს ბედმა არგუნა ხელოვნება აზიდოს საკურთხეველზე, რომელიც ახლა საროსკიპოსავით შეუბილწავთ, მით უკეთესი მაგისტრისა და მაყურებლისთვისაც. ხოლო, თუ იგი, როგორც სხვები ამტკიცებენ, გზააბნეულია, მაშინ დაუბრუნდეს კეთილ გზას, თუ ასე გადაწყვეტს, თუ ეს სწორად მიაჩნია...“

როკორდისადმი მიწერილი წერილიდან, რომელიც ბოიტოს გამოესარჩლა:

„თუ მეც, სხვებთან ერთად, შევბილწე საკურთხეველი, როგორც ბოიტო ამტკიცებს, მაშინ ადგეს და თვითონ გაასუფთაოს, მე კი პირველი მივალ და სანთელს დავუნთებ“.

ქრისტეშობა. ბარუცი მეუღლითურთ დღესასწაულს ვერდის ოჯახში ატა-

რებს. ჯუზეპინა სწერს პიავეს: „ჩვენ მთელის გულით გვიყვარს ეს ცოლ-ქმარი, რომლებიც იშვიათი სათნოებით გამოირჩევიან და არც ოთხსახა იანუსს სცემენ პატივს“.

იანუარი-მარტი. ვერდი ესწრება პარლამენტის რამდენიმე შეკრებას ტურინში და მშვიდად მუშაობს გენუასა და სანტ-აგატაში. იგი „მაკბეტისა“ და „ბედის ძალის“ გადაკეთებას შეუდგა.

3 აპრილი. ვერდი მოთმინებიდან გამოუკვანია ფილიპის ტურინის სტატიას და არივაბენეს სწერს:

„როსინი ბოლო ხანებში ვითარდებოდა და სწავლობდა!!!“ ნუტა რას? მე თუ მკთხავ, ვისურვებდი ყველაფერი დაევიწეებინა და ახალი „სუვილიელი დალაქი“ დაეწერა...“

9 აპრილი არივაბენეს:

„რიკორდი არასოდეს არ მიგზავნის ნოტებს... მე თვალებით არ მესმის მუსიკა...“

8 ივნისი. ვერდის სიცილი მოპკვარა ბოიტოს ერთმა სტატიამ და პიავეს სწერს:

„სფერული... ფოკუსი.. მიხაკის მაღალი ძზე! რა მშვენიერი რამეებია! დასანანი კია, რომ გაუგებარია.“

მაშ, ფანოს ოპერას გენუაში დიდი წარმატება ხვდა?.. ძალიან კარგი, მაგრამ, ერთი მითხარით, არ შეიძლებოდა ცოტა ჩუმად მოეგვარებინათ საქმე?! რა საჭიროა ერთი ოპერის გამო ნახევარი სამყარო ყირამალა დააყენო? ან იქნებ, ეს „სფერული მეიოლია“? მაგრამ, ხუმრობა იქით იყოს, თუ ფანოს ნამდვილი წარმატება ხვდა, რომელიც გაგრძელდება და პოპულარულს გახდის, ვშიშობ, რომ მან უკვე გადაადგო ან ძალე გადაადგებს ყველაფერ „სფერულს“ და რჯულ-განდგომილი გახდება. მესამე გზა არ არსებობს.

„სფერული ფოკუსი, მიხაკი“ — ყველაფერი ეს მშვენიერია, მაგრამ მუსიკის შესაქმნელად ერთი უბრალო რამ არის საჭირო — მუსიკა“.

2 ივლისი. ვერდი — რიკორდის:

„ბედის ძალას“ კიდევ სჭირდება დამუშავება, მე კი ჯერ ვერაფერი გადამიწვევტია... თავს ვიმტვრევ და ვერ მომიფიქრებია; ერთი ვარიანტი პიავემ დამიწერა, მეორე ახლა გამომიგზავნა დე ლოზიერმა პარიზიდან, მაგრამ არც ერთი მომწონს და არც მეორე. ცოტა კიდევ მაცალეთ, მოვიფიქრო, და მერე ან ამგვარადვე ან შეცვლილს უსათუოდ გადავცემ ამ წყვეულ „ბედის ძალას“ მილანის თეატრს“.

21 აგვისტო. ქალაქი პესარო პატივს მიაგებს როსინის. ტორელი სთხოვს ვერდის: თქვენც დაწერეთ რამე ამ დღისათვის, პაჩინიმ და მარკადანტემ უკვე დაწერესო. ვერდი თავს არიდებს ამას:

„არაფერი არა მწამს ასე სახელდახელოდ შეთითხნილი რამისა, რასაც ხელოვნების თვალსაზრისით გარკვეული მიზანი არ გააჩნია...“

სექტემბერი. ქალაქი არეცო ემზადება ბერი გვიდოს შუასაუკუნეების მუსიკალური სამყაროს გამოჩენილი წარმომადგენლის იუბილესათვის. ვერდის სთხოვენ მონაწილეობა მიიღოს საიუბილეო კომისიაში, მაგრამ კომპოზიტორი უარს ამბობს.

სექტემბრის მიწურული. ვერდი სწერს კლარა მაფეის (ამ და ამდგვარი თხოვნების გამო).

„ასეთ თხოვნებზე რომ დავთანხმებულებიყავი, მარტო წელს ექვს პიმს დავწერდი! არა სჯობია თორმეტი ოპერა დავწერო, ვიდრე ამნაირი მუსიკა, რო-

მელსაც სინამდვილეში მუსიკა არც ეთქმის, არამედ ხელოვნების უარყოფა და ხელოვნებასთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორც მე — თეოლოგიასთან. მე, რა თქმა უნდა, ყოველთვის უარს ვამბობ ამაზე, მეგობრები და არამეგობრები კი მკიცხავენ და მომავალშიც გამკიცხავენ“.

24 თქტომბერი. ვერდი სწერს პარიზში ესკიუდიეს, რომელსაც სთხოვს დააჩქაროს „მაკბეტის“ ახალი ვარიანტი:

„აქ რამდენიმე სუსტი ან, რაც უფრო უარესია, არასახასიათო ნომერია.... ამის დამუშავებას და საბალეტო სცენის დაწერას დრო სჭირდება“.

დეკემბრის დამდეგი. პირველად მათი ურთიერთობის განმავლობაში ვერდი და მარიანი უსაყვედურებენ ერთმანეთს: ორივე მოითხოვს, ანგარიში ჩააბარონ ერთმანეთს მათივე გამონათქვამების გამო, რაც ეტყობა, დამახინჯებულად მიუტანიათ მათ ყურამდე უსაქმურ შეჭორებს.

15 დეკემბერი. ვერდი სწერს რიკორდის, რომელსაც უთხოვია, რაც შეიძლება მალე მორჩეს „ბედის ძალის“ დამუშავებას:

„ნება მომეცი ჯერ „მაკბეტი“ დავამთავრო, ხოლო მერე რამეს მოვუხერხებ „ბედის ძალას“. ერთი მითხარი, ხომ არა ვყავს ისეთი მეგობარი, პოეტი ან ლიტერატორი, რომელიც ამ ოპერას შესაფერის დაბოლოვებას მოუძებნიდა?“

20 დეკემბერი. სანტ-აგატაში სიურპრიზია: ბოიტომ ვერდის გამოუგზავნა უაღრესი მოწიწების გამომხატველი პოემა, რომლის სათაურია „მეფე დათვი“ (რე ორსო). სათაური იმით აიხსნება, რომ გულჩათხრობილ, რეფლექსისკენ მიდრეკილ ვერდის მეგობრების წრეში ზოგჯერ დათვს ეძახდნენ.

1865

1 იანვარი. ვერდი უარს ამბობს რიკორდის წინადადებაზე, სხვებთან ერთად გისლანცინი და ბოიტოც მიიწვიოს „ბედის ძალაზე“ სამუშაოდ. ამავე დროს იგი ამშვიდებს ესკიუდიეს — „მაკბეტის“ სამ მოქმედებას მალე გამოგიგზავნიო.

4 იანვარი. პიავე თავის კანდიდატურას წარადგენს კონკურსში მილანის კონსერვატორიასთან შექმნილ დრამატურგიისა და დეკლამაციის კათედრის მისაღებად და დახმარებას სთხოვს ვერდის. კომპოზიტორი მის განზრახვას არ იწონებს, მაგრამ მაინც თანახმა გახდა, დაეხმაროს პოეტს, რადგან:

„...ეს მომავლის ცოფიანი მიმდევრები რა თქმა უნდა, მონინდომებენ, თავისიანი გაიყვანონ, რომელიც საბოლოოდ მოსწყვეტს ახალგაზრდებს წარსულსა და აწმყოს და ქაოსსა და ტრასცენდენტურისკენ უბიძგებს მათ...“

თებერვლის დამდეგი. ვერდი სიხარულით აუწყებს ესკიუდიეს, რომ „მაკბეტის“ საფუძვლიანი გადაკეთება დამთავრებულია:

„გაგეცინებათ, როცა გაიგებთ, რომ ბრძოლის სცენისთვის ფუგა დაეწერე!!! ფუგა! ეს მე გავაკეთე, ვისაც ზიზღსა ჰგვრის ყველაფერი, რასაც აკადემიზმის სუნი ახდის, და აი, უკვე 30 წელი იქნება, რაც ამისმაგვარი არაფერი გამიკეთებია!!! მაგრამ აქ მართლაც ძალიან უხდება ეს მუსიკალური ფორმა“.

ვერდი და ჯუზეპინა გენუის გავლით ტურინში გაემგზავრნენ: პიროლისთან ერთად კომპოზიტორი მონაწილეობს პარლამენტის მუშაობაში, რომელმაც საავტორო უფლებათა კანონი უნდა მიიღოს.

8 თებერვალი. ვერდი სწერს პიავეს:

„რამდენჯერ მინდოდა უარის თქმა, მაგრამ მუდამ რაღაც შემძლიდა ხოლმე ხელს; და აი, ახლაც, ჩემი სურვილისა და გემოვნების მიუხედავად, იმის

მიუხედავად, რომ არც ნიჭი მაქვს საამისო, არც მიდრეკილება და არც ტალანტი, ჯერ კიდევ დეპუტატი ვარ“.

21 აპრილი. პარიზის „თეატრ ლირიკში“ გაიმართა „მაკბეტის“ პრემიერა. მამის ავადმყოფობის გამო ვერდი სპექტაკლს არ დასწრებოდა.

ესკიუდიე და თეატრის დირექტორი კარვალო დეპეშიტი იტყვიან „გრანდიოზულ წარმატებას“. მაგრამ ისეთი დუმილი მოჰყვა ამას, რომ ვერდიმ გადაწყვიტა, ოპერა ჩაფლავდა.

მაისის დამდეგი. ისევ ახმაურდნენ „მომავლის მუსიკოსები“, ემზადებიან გენუაში ფაჩოს ახალი ოპერის „ჰამლეტის“ დასადგმელად. ამასთან დაკავშირებით ვერდი სწერს ტიტო რიკორდის, რომლის ვაჟი ჯულიო ფაჩოს მომხრეა:

„ჩრდილოეთიდან ჩვენსკენ ღრუბლები დაიძრაო, შენ წუხარ?! არა ხარ მართალი... მე მუდამ მიყვარდა და მხარს ვუჭერდი პროგრესს და თუ ეს ხროვა (ნუ დამძრახავ ამ გამოთქმისთვის, რომელსაც მე აქ ძალზე დადებითი მნიშვნელობით ვხმარობ), ეს მილანში აღმოცენებული ხროვა, რომელთა რიგებში შენა ჯულიოცაა და, იქნებ, შენივე სურვილის წინააღმდეგ, შენც აღმოჩნდე, აამაღლებს ჩვენს მუსიკას, მაშინ შევძახებ: ოსანა!“

სიტყვა „ხროვამ“ აღაშფოთა ჯულიო; მხოლოდ მამის ხათრმა და ჯუზეპინას უაღრესად დიპლომატიურმა, პატივისცემის აღმკურნელმა წერილმა შეაკავეს იგი, შეურაცხყოფელი პასუხი გაეგზავნა ვერდისთვის.

20 მაისი. მარიანი, რომელიც ფაჩოს „ჰამლეტის“ პირველ სპექტაკლს დირიჟორობდა, ახალი ოპერის გამო თავის აზრს უზიარებს ვერდის: „არის ამ ოპერაში მშვენიერი ადგილებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, რაც მშვენიერია – ახალი არ არის, ხოლო, რაც ახალია – მოსაწყენია...“

21 მაისი. ვერდი სწერს პიავეს მას შემდეგ, რაც მილანის კონსერვატორიის კათედრა მან კი არა, პრადამ მიიღო:

„ისევ ასე სჯობს, რადგან შენ უცხო სტიქიაში მოხვდებოდი. ახლა კი ყველაფერი რიგზეა. მიყვარს, როცა საგნებსა და მოვლენებს გარკვეული ხასიათი აქვს. მილანის კონსერვატორია სწორედ ასეთი ხდება, და, როცა (ეს კი ძალიან ძალე მოხდება) დირექტორსა და ძველის ზოგიერთ წარმომადგენელსაც გამოაგდებენ, საქმეც დამთავრებული იქნება“.

30 მაისი. ფაჩოს „ჰამლეტს“ გენუაში ხმაურიანი წარმატება ხვდა. მაგრამ კომპოზიტორის მომხრეებში განხეთქილებაა: ფილიპი და მისი მომხრეები ხოტბას ასხამენ კომპოზიტორს, გისლანცინი კი აკრიტიკებს ოპერას.

12 ივნისი. ვერდი სწერს ესკიუდიეს:

„მეხუმრებით?! ოპერა დავწერო ამ თეატრისთვის?! როგორა გგონიათ, მართლა არაფერი ემუქრება ჩემს თვალებს, იმის შემდეგ, რაც ორი წლის წინ „მწუხრის ლოცვის“ რეპეტიციაზე მოხდა?... ხუმრობა ხუმრობად, და მე ვაჟაკობა მეყოფოდა, პირისპირ შევხვედროდი ღვარძლსა და სიბუღვილს, თუ გვერდით მეყოლებოდა ისეთი საზრიანი და გავლენიანი დირექტორი, როგორიც მესიე პერენია. არაფერია ისე ადვილი, როგორც შეთანხმება ოპერის დასაწერად; ჩვენ ხელაღვე გავუგებდით ერთმანეთს, ლიბრეტო რომ გვეჭონოდა, ან თუნდაც მკაფიოდ დამუშავებული თემა... ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ლიბრეტოზეა დამოკიდებული, ლიბრეტო, ლიბრეტო, – და ოპერაც მზად არის!“

აგვისტო. ბუსეტოში თეატრი ააშენეს. ვერდი ბოლოს და ბოლოს დათანხმდა თეატრს მისი სახელი მიანიჭონ; ამავე დროს, ქალაქის საბჭოს საჩუქრად გადასცემს ათი ათას ლირას, თითქოსდა ლოჯის „აბონემენტის შესაძენად“.

სექტემბრის მიწურული. ტაბიანოში დასვენების შემდეგ ვერდი უკანასკნელად ესწრება პარლამენტის სხდომებს ტურინში, მისი დეპუტატობის ვადა მიიღია, ახალ არჩევნებში კი აღარ აპირებს მონაწილეობას. ახალი პარლამენტი შეიკრიბა ფლორენციაში, იტალიის დროებით დედაქალაქში.

ოქტომბერი. ჯუზეპინა კვლავ მიემართება რიკორდისთვის დრამატული მისიით. იგი აფროზილებს გამომცემელს: იქნებ ახლა „მადამს“ მკვლელს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კორექტული არ არის, თქვენ მიერ გამოცემული ოპერები, რომლებიც თქვენთვის დაუწერია ავტორს, გადაჭრულებული იყოს სამარცხვინო შეცდომებითა და კალმისძიერი ლაფსუსებით; ასეთ ფაქტებს ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო ხშირად ვაწყდებით.

20 ნოემბერი — 1 დეკემბერი. ვერდი და ჯუზეპინა — გენუისა და მარსელის გავლით პარიზში მიდიან. ჯუზეპინა გახარებულია, რომ ბოლოს და ბოლოს ფართო საზოგადოებაში გამოჩნდნენ: ხშირად მოინახულებენ ხოლმე როსინის, მათთან სტუმრად დადიან პოლონელი პოეტი მიცკევიჩი, მოქანდაკე დანტონი, თეატრის ახალი ვარსკვლავი, ბრწყინვალე მომღერალი ქალი პატი.

ვერდიმ მიაგნო თემას, რომლის მიხედვითაც პარიზის თეატრს დაუწერს ოპერას.

1866

იანვარი-თებერვალი. ცოლ-ქმარი მერი დიუ ლიკლები ვერდისთვის ახალი ოპერის ლიბრეტოს სწერენ. მიიღებს თუ არა ლიბრეტოს ნაწილებს, კომპოზიტორს მაშინვე მუსიკაზე გადააქვს.

17-24 მარტი. პირველი მოქმედების დამთავრების შემდეგ, ვერდი ჯუზეპინასთან ერთად, ნიცისა და გენუის გავლით, შინ ბრუნდება, სანტ-აგატაში.

28 აპრილი. ვერდი სწერს ესკიუდიეს:

„აგერ, უკვე ოთხი თვეა, ხან ძალიან შემაწუხებს, ხან ცოტათი დამიყუჩდება, მაგრამ განუწყვეტლივ მტკივა ყელი. ბოლო ორი დღე კი ისე გამამწარა, რომ მუშაობაც აღარ შემიძლია, ორი დღე ფუჭად დაიკარგა!“ „დონ კარლოსი“ ისე სწრაფად ვერ მიიწევს წინ, როგორც მე მინდა“.

30 აპრილი. პიავე სწერს ვერდის: „მადლობა ღმერთს!!! როგორც იქნა, ჩაესვენა ავსტრიელების მზე იტალიაში!!! ან ახლა, ან არასოდეს!!!“

იტალიელი პატრიოტების გულში იმედი აკიაფდა — ვენეციის პროვინცია მალე გათავისუფლდება ავსტრიელებისაგან. იტალიის მთავრობამ კავშირი შეკრა პრუსიასთან, რათა ერთად გაუსწორდნენ ავსტრიელებს. ჩრდილო იტალიაში გარიბალდიმ ისევ შეკრიბა ჯარი.

6 მაისი. ვერდი სწერს ესკიუდიეს:

„ყოველ წუთს იმედით ველოდები ხარბაზნების ხმას, ჩემგან ისე ახლია ფრონტი, რომ არ გამოკვირდება, ერთ მშვენიერ დილას ჩემს ოთახში შემოვარდეს ყუმბარა. ომი გარდაუვალია, საქმე ისე წარიმართა, მთელმა მსოფლიომ კიდევაც რომ არ მოინდომოს, ჩვენ მაინც მოვინდომებთ. მასებს უკვე ველარავინ შეაკავებს, მეფესაც კი არ ძალუძს ეს, და მოხდეს, რაც მოსახდენია, მაგრამ ომი აუცილებლად უნდა დავიწყოთ... ომი რომ გაჩაღდება, ალბათ ამ სახიფათო აღვიღს უნდა გავეცალოთ, მაგრამ მე რა გული მომცემს, იტალია დავტოვო! რა უნდა ვქნა?.. ვინ იცის!? სამწუხარო კია, მაგრამ ეს ორი კვირა ოპერა სწრაფად მიიწევდა წინ! მესამე მოქმედება დავამთავრე და მეოთხე დავიწყე...“

9 ივნისი. ვერდი — პიროლის:

„მე ჯერ ისევ აქა ვარ, მაგრამ ზარბაზნის პირველი ზათქისთანავე წავალ... ჯერ გენუაში ჩავალ და ბოლო წუთამდე იქ დავრჩები, თუმცა პარიზს უნდა წავსულიყავი. ვამბობ უნდა წავსულიყავი-მეთქი, იმიტომ რომ, იტალიის/დატოვებაზე ფიქრიც კი მთრგუნავს, როგორც სინდისის ქენჯნა...“

21 ივნისი. ნაწყვეტი წერილისა დიუ ლოკლისადმი, რომელსაც ვერდი ისევ და ისევ სთხოვს, გადაამუშაოს ლიბრეტო:

„ზევ ზარბაზნები აგრიადდება, 23-ში ოში გამოცხადდება. სულ სხვა მუსიკა! საშინელი! მაგრამ ძალიან სასურველი...“

6 ივლისი. ვერდი სწერს ესკიუდიეს:

„გუშინდლიდან გენუაში ვარ. ის იყო ჩამოვედი და ჟურნალებში ისეთი რამ ამოვიკითხე რომ გული ჩამწყდა: ავსტრია ვენეციას უთმობს საფრანგეთის იმპერატორს?!!“

ნუთუ ეს შესაძლებელია? რას უზამს იმპერატორი ვენეციას? თავისთვის დაიტოვებს? ჩვენ გადმოგვცემს? მაგრამ ჩვენ მას ვერ მივიღებთ და, იმედია, მინისტრებიც უარს იტყვიან. თქვენ ჩვენი არაფერი გმართებთ და ჩვენც არაფერი გვინდა თქვენგან. თქვენ ისე სათუთად ეპყრობით ყველაფერს, რაც ღირსებას შეეხება, რომ სხვებსაც ადვილად გაუგებთ და სხვების ღირსებასაც სათუთად მოეპყრობით. არა, იმპერატორს არ შეუძლია, არავითარ შემთხვევაში. არასგზით არ უნდა მიიღოს ვენეცია... პარიზი კი უკვე ილუმინაციებს აწყობს!!! არა, არა, ჯერ ზავი არ დაუდვიათ, და ასეთნაირად ვერც დადებენ. ჯერ კიდევ 'შემოგვრჩა მამაკაცები და ჯარისკაცები, და იქნებ, ამ წუთებშიაც, ამას რომ ვწერ, იქ ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული.

სხვა რამეებზე უნდა შელაპარაკნა თქვენთან, მაგრამ თავი ლამის გამისკდეს, ეგეც რომ არ იყოს. ჩვენთვის ამ მძიმე, შფოთიან დროს, სირცხვილიცაა მუსიკის დასაწერად დავჯდეთ. შეატყობინეთ მესიე პერენს, რომ მე არა ვწერ, არ შემიძლია წერა“.

14 ივლისი. ვერდი — ესკიუდიეს:

„ჩვენთვის ნათელია, რომ არც საფრანგეთს, არც სხვა დიდ სახელმწიფოებს არა სურთ ავსტრიის განადგურება. თუ ახლა პრუსია ზავს დადებს, მარტო ჩვენ ვერ გავაგრძელებთ ომს, მაგრამ, თუ პრუსიამ უარყო ზავი, როგორ მოიქცევა საფრანგეთი??.. მდგომარეობა ძალიან სავალალოა; ერთადერთი, რამაც შეიძლება გადაგვარჩინოს, ჩალდინის გამარჯვება იქნება, მაგრამ ესეც შეუძლებელი ვახდება, თუ უკან დახევისას ავსტრიელები კვლავ განაგრძობენ ციხე-სიმაგრეების აფეთქებასა და ქალაქების ძარცვა-გადაწვას, როგორც ეს როვიგოში მოიმოქმედეს. გადაწვა, ძარცვა-გლეჯა! ეს არის განმანათლებელი მისია ნაციონსა, რომელსაც თავგამოდებით უჭერენ მხარს! როგორც ხელაუთ პირქუში სურათია, მომავალი კა, ალბათ, უფრო შავბნული იქნება! და თქვენ გინდათ, ასეთ ვითარებაში პარიზში ჩამოვიდეთ? რა გული მომცემს! ერთი გამოსავალია რჩება: კონტრაქტის დარღვევა ოპერასთან...“

22 ივლისი. არივაბენესადმი მიწერილი ბარათიდან:

„ამ სადამოს პარიზს მივემგზავრები. ყველაფერი ვიღონე, დამერღვია კონტრაქტი. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ხომ წარმოგიდგენია, რა მხიარულ გუნებაზე იქნება ახლა პარიზში იტალიელი, რომელსაც სამშობლო უყვარს!“

19 აგვისტო. ვერდი ჯუზეპინასთან ერთად მიემგზავრება კოტორეში, ეს აგარაკი პირინეების მთებშია. აქ უფრო ადვილია დასვენებაც და მუშაობაც, ვიდრე დედაქალაქში.

12 სექტემბერი. დაამთავრა თუ არა კოტორეში „დონ კარლოსის“ მეხუთე

მოქმედება, ვერდი პარიზში დაბრუნდა. ახალი ოპერის რეპეტიციები ნელა მიდის, ათასი დაბრკოლებები ეღობებათ. ღირექციას პრემიერა არ გამოუცხადებია. ბედზე სწორედ ამ დროს მუცით დაბრუნდა ამერიკიდან. იგი თავის ამერიკელ მეუღლესთან ერთად იზიარებს ვერდისა და ჯუზეპინას განმარტოებულ ცხოვრებას და კომპოზიტორი ისევ კარგ გუნებაზე დგება. ამასობაში იგი კვარებს სანტიაგატის საქმეებს, დავალებებს უგზავნის თავის მოურავს აგრძელებს მიმოწერას რიკორდისთან, უნდა აიღოს ნებართვა ესკიუდიუსაგან, რათა რიკორდიმ გამოსცეს და გაავრცელოს „დონ კარლოსის“ პარტიტურები იტალიასა, ესპანეთსა, პორტუგალიასა და გერმანიაში. ამავე დროს კომპოზიტორი გამომცემლისაგან მოითხოვს, მეტი ყურადღებით მოეპყროს მის ოპერებს.

ოქტომბერი. დამარცხებისა და დამამცირებელი ზავის შემდეგ პლებიციტის შედეგად ვენეცია იტალიას შეუერთდა.

12 ნოემბერი. ვერდი — რიკორდის:

„დონ კარლოსზე“ თუ უარს მეტყვი, მაღლობელი დაგრჩები; მაგრამ დაჟინებით თუ მომთხოვ ნებართვას იტალიაში გავრცელებისათვის, მაშინ მტკიცე გარანტია უნდა მომცე, რომ ოპერას არ დამიმახინჯებ, როგორც ეს ჩვეულებად გექცა“.

18 ნოემბერი. ვერდი — რიკორდის:

„დონ კარლოსი“ მთლიანად უნდა დაბეჭდო, ისე, როგორც პირველად დაიდგმება პარიზის ოპერაში“.

1867

7-14 იანვარი. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ბუსეტოში გარდაიცვალა ვერდის ძამა კარლო ვერდი. იგი ვიდალენცოში, ცოლის გვერდით, დაასაფლავეს. ბუსეტოში, ვერდის სახლში, რჩება მისი 83 წლის დეიდა, კომპოზიტორ ფილომენ ვერდის ძმისშვილი — შვიდი წლის გოგონა და ორი მსახური

19 იანვარი. ჯუზეპინა სწერს კორტინელის: „ვერდი ძალიან დარდობს: მეც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტახანს ვიცხოვრე ვერდის ძამასთან ერთად, ერთგვრქვემ და სავსებით განსხვავებული აზრები გვქონდა, მეც დამწვიტა გული, მეც ღამის ვერდივით ვღარდობ“.

11 მარტი. „დონ კარლოსი“, რომლის პრემიერა რამდენჯერმე გადაიდო, ბოლოს, როგორც იქნა, წარმოადგინეს პარიზის ოპერის თეატრში (მონაწილეობდნენ: სას, ვეიმარ, ფორე, ობენ და მორე). ოპერა თავაზიანად მიიღო მაყურებელმა.

12 მარტი. ვერდი სწერს არივაბენეს:

„წუხელ წარმოადგინეს „დონ კარლოსი“. არავითარი წარმატება!!! არ ვიცი მერე და მერე რა იქნება; არ გამიკვირდება თუ ვითარება შეიცვლება“.

მართლაც, მეორე და მესამე სპექტაკლი გაცილებით უკეთესად მიიღო მაყურებელმა; ბოლოს და ბოლოს ერთ სეზონში ორმოცდასამჯერ აჩვენეს ეს ოპერა.

„ვერდი უკვე აღარ არის იტალიელი. იგი ვაგნერს ბაძავს. მის ცნობილ შეცდომებს თავს არიდებს, მაგრამ არც არაფერი სიკეთე შერჩა. ბრძოლა წააგო და ოპერას კვდომის პერიოდი დაუდგა“ (ბიზეს წერილიდან ლაკომბისადმი).

„...პატივს მიუაგებ კომპოზიტორის გაბედულ ექსპერიმენტს „ბედის ძალაში“, „ტრუბადურსა“ და „რიგოლეტოში“, ამავე დროს თავს ვალდებულად ვთვლი განვაცხადო, რომ „დონ კარლოსში“ კომპოზიტორს არ დაუკარგავს თავისი ყველაზე ღირსშესანიშნავი თვისებები...“ (სწერს რეიე ჟურნალ „დე დებაში“).

„ახლა, როცა ძველი სკოლის მიმდევრები ჯერ კიდევ სჭარბობენ, ვერდის არაერთხელ უსაყვედურებენ ამ მკვეთრ შემოხრუნებას; მაგრამ მაესტრომ იცის, რომ სულ ახლახან „ოტელოსა“¹ და „ქურდი კაჭკაჭის“ მუსიკაც ხმაურთანად და უთავბოლოდ მიაჩნდათ, ასე რომ, კომპოზიტორი მიხვდა: თუ ვსურს თქვენამ მომავალშიც იცოცხლოს, ხელოვნების უახლესი ფორმებით უნდა იყოს შთაგონებული“.

(სწერს ვიდე „მონიტორში“).

1 აპრილი. ვერდი სწერს ესკიუდიეს:

„რიკორდის გაზეთში წავიკითხე საფრანგეთის დიდ ჟურნალებში „დონ კარლოსზე“ დაბეჭდილი რეცენზიების ანგარიში. როგორც იქნა, ნამდვილი ვაგნერიანული გაზეთი! კრატაკოსები რომ ოდნავ უფრო დაკვირვებულები იყვნენ, იმავე შტრიხებს „ერნანის“ ტერცეტშიაც აღმოაჩენდნენ, „მაკბეტშიც“ (სომხამბულიზმის სცენაში) და სხვაგანაც ბევრგან...“

14 მაისი. ჯუზეპინა ვადასწყვეტს მარტოკა გაემგზავროს ლოკატოში დედის მოსახარებლად და მილანში ზოგი საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ეს მხოლოდ საბაბია, რადგან სინამდვილეში დიდი ხნის განზრახვის შესრულება სურს. იგი ვერდის ერთგულ მეგობარს, კლარა მაფეის გაუვლის და მასთან ერთად მოინახულებს ვერდის იდეალს, 82 წლის მწერალ ალესანდრო მაცონის. კომპოზიტორი გაკვირვებული დარჩა, როცა ჯუზეპინამ ამ მოგზაურობის ამბავი მოუთხრო და თან მაცონისგან მოძღვნილი ფოტოსურათიც გადასცა, მწერლისავე წარწერით.

24 მაისი. ვერდი კლარა მაფეის:

„როგორა მშურს ჩემი მეუღლისა, რომ ეს დიდი ადამიანი ინახულა. მეც რომ წავსულიყავი მილანში, ვერ ვიტყვი, შეყოფოდა თუ არა გამბედაობა, მის წინაშე წარუძგარიყავი. თქვენ კარგად იცით, რა დიდ პატივსა ვცემ ამ ადამიანს, რომელმაც ჩემის აზრით, არა მარტო ჩვენი ეპოქის უდიდესი წიგნი დაწერა, არამედ ერთ-ერთი უდიდესი თხზულება, რაც კი ოდესმე შეუქმნია ადამიანის გონებას. ეს მხოლოდ წიგნი კი არ არის, ეს სიმბხვევს შემატებს კაცობრიობას. წიგნი ისეთივე ჭეშმარიტი, როგორც თვით ჭეშმარიტება.“

ო, ხელოვნების ხალხი რომ ოდესმე შეიგნებდეს ამ ჭეშმარიტებას, მაშინ, აღარც მომავლისა და წარსულის მუსიკოსები იქნებიან, არც პურისტები და რეალისტები მხატვრები, და არც კლასიკოსი და რომანტიკოსი პოეტები; იქნებიან მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტები, ჭეშმარიტი მხატვრები და ჭეშმარიტი მუსიკოსები.

გიგზავნით ჩემს ფოტოსურათს მაცონისათვის გადასაცემად. ვიფიქრე ორსამ სტრიქონს წავაწერ-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე, მომეჩვენა, რომ პრეტენზიულად გამოვიდოდა. თქვენ უბრალოდ უთხარით, როგორ მიეყარს და რა პატივსა ვცემ, რომ ვაფასებ და პატივს მივაგებ ისე, როგორც არავის ამ ქვეყანაზე — როგორც ადამიანს და როგორც უდიდეს ჭეშმარიტ დიდებას ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნისა“.

25 მაისი. ჯუზეპინა სწერს დე სანკტისს: „ჩვენ ცდუნების წინაშე აღმოვჩნდით: ხომ არ ავიყვანოთ აღსაზრდელად ერთი საყვარელი შვიდი წლის გოგონა, ვერდის შორეული ნათესავი, გვარად ისიც ვერდია“ (ფილომენა-მარია).

11 ივნისი. ვერდი სწერს ესკიუდიეს, რომ ლონდონში „დონ კარლოსს“ ბრწყინვალე წარმატება ხვდა:

1. იტულისკმება როსინის ოპერა „ოტელი“.

„პარიზის ოპერას მუდამ ორი რამ დააკლდება: რითმი და აღფრთოვანება. ბევრ რამეს კარგად აკეთებენ ხოლმე, მაგრამ გატაცების ცეცხლი არასოდეს ექნებათ, სანამ კონსერვატორიაში სიმღერის სწავლებას უკეთესად არ დაიწყებენ. სანამ არ იპოვნიან კოსტას ან მარიანის მსგავს დირიჟორს...“

16 ივნისი. ვერდი სწერს არივაბენეს (ვერდის მამულში იმ დროს ჭას თხრიდნენ და ტუმბოს აყენებდნენ):

„ზემოთ მოხსენებული მაესტრო... მთელი დღე ჭის ფსკერზეა, თან მუშების წასახალისებლად, თან მათ გასაწვალებლად, მაგრამ უმთავრესად იმიტომ, რომ უხელმძღვანელოს. უხელმძღვანელოს? დიახ, ეს მაესტროს სისუსტეა. იგი მშვიდად მოიხმენს, თუ ეტყვი „დონ კარლოსი“ ევარგისიაო. მაგრამ ძალიან გავინაწყენდებათ, ეჭვი თუ შეგეპარათ მისი, როგორც კალატოზის, ნიჭიერებაში... აქ სხვა რამ არის საჭირო და არა მარილზე და საფქვაავზე გადასახადები, რაც კიდევ უფრო აუარესებს ღარიბების მდგომარეობას. თუ გლებმა კარგად ვერ იმუშავა, თუ მიწის მფლობელებმა, დიდი ბეგარის გამო, ვერ აამუშავეს გლებები, მაშინ ჩვენ ყველანი შიმშილით ამოვწყდებით. უცნაური რამ მოხდა! როცა იტალია წვრილ-წვრილ სახელმწიფოებად იყო დაქუცმაცებული, ფინანსური საქმე ყველგან ყვაოდა, ახლა კი, როცა გაუერთიანდით, ლამის გავკოტრდეთ. მაშ, სად წავიდა ის ძველი სიმდიდრე?“

ივლისი. ვერდის მოთმინება აღარ ჰყოფნის, ცუდ გუნებაზეა. ჯუზეპინა თავის დღიურში სწერს: „ღმერთმა ქნას, რომ დამშვიდდეს; ვიტანჯები მისი შემყურე და კომპასდაკარგულივით დავბორიალობ...“

21 ივლისი. ბუსეტოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ვერდის ხელში დალია ხული ანტონიო ბარეციმ. მისი უკანასკნელი სიტყვა „ვერდი“ იყო.

ვერდი — არივაბენეს:

„...აღარ არის ჩემი მეორე მამა, კეთილისმყოფელი მეგობარი, რომელსაც ასე ძალიან ვუყვარდი. უკვე მოხუცი იყო, მაგრამ ეს სულაც არ მინელებს გულისტკივილს, დიდ გულისტკივილს“.

15 აგვისტო. დიდი ქალაქის ფუსფუსი უფრო ანელებს ხოლმე დარდს, ამიტომაც ვერდი და ჯუზეპინა ექვსი კვირით პარიზს მიდიან.

ოქტომბერი. სანტ-აგატაში რომ დაბრუნდა, ვერდიმ თავისი დაუდევარი მოურავის ნაცვლად მაურო კორტინელი აიყვანა.

ბოლონიაში „დონ კარლოსი“ (დირიჟორი მარიანი, ერთ-ერთი შემსრულებელი ტერეზინა შტოლცი) გასაოცარი წარმატებით მიღის. „მომავლის მუსიკის“ მიმდევრები კომპოზიტორის წინაშე ხრიან თავიანთ დროშებს.

5 დეკემბერი. პიავეს დამბლა დაეცა და ამის შემდეგ წვალებით მიათრევს თავის უბადრუკ წუთისოფელს. ვერდი ეშურება დახმარების ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში ჩავარდნილ მეგობრის ოჯახს.

28 დეკემბერი. ახალგაზრდა დრამატურგი აკილე ტორელი (ვინჩენცოს ვაჟი), რომელსაც უკვე წარმატებისთვის მიულწევია, რჩევით მიმართავს ვერდის. კომპოზიტორი უპასუხებს:

„ნურავის მიბაძავთ, განსაკუთრებით კი დიდ დრამატურგებს... ხელი გულზე დაიდეთ და თუ თქვენში ხელოვანის ნამდვილი ტემპერამენტი გიზგიზებს, გული თვითონვე გიკარნახებთ ყველაფერს, თავბრუს ნუ დაგახვევთ ქება და ნურც საყვედურები დაგაფრთხოთ... კრიტიკა... სჯის... დაწესებული ნორმებისა და ფორმების მიხედვით; ხელოვანმა მომავალი უნდა იგრძნოს; ქაოსში უნდა დაინახოს ახალი სამყაროები...“

9 თებერვალი. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის, რომელსაც ამ დროს უკვე მაძისგან ფირმის ხელმძღვანელობა მიუღია:

„ამგვარად გადაწყდა: „ღონ კარლოსი“ მილანში დაიდგმება. მაგრამ სანამ რეპეტიციებს დაიწყებთ, კარგად დაფიქრდით.. ორკესტრი დაილაღდა, კუნძს ხმა ჩაეხლიჩა, და თუ დროც არ გვექნა საკმარისი, არაფერი გამოგვივა“.

ღიუ ლოკლი, რომელიც ევროპაში მოგზაურობს, ფივიდან მოკითხვას უთვლის ვერდის.

5 მარტი. ბოიტოს „მეფისტოფელი“ ჩაფლავდა „ლა სკალაში“.

25 მარტი. „ღონ კარლოსის“ პირველ წარმოდგენას განსაცვიფრებელი წარმატება ხვდა. ვერდი, რომელიც სპექტაკლს არ დასწრებია, მადლობას უხდის ჯულიო რიკორდის.

29 მარტი. იტალიის განათლების ახალი მინისტრი ემილიო ბროლიო ღია წერილით სთხოვს როსინის თავმჯდომარეობა გაუწიოს მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა ახლადშექმნილ საზოგადოებას. საზოგადოების მიზანი უნდა ყოფილიყო კონსერვატორიებისა და მუსიკალური დაწესებულებების ხელმძღვანელობა, მოძღვრლების მომზადების რეორგანიზაცია და ხელის შეწყობა ახალგაზრდა კომპოზიტორების ისტაბილურობის სრულყოფისათვის. წერილში მინისტრი უჩივის იტალიური მუსიკალური ცხოვრების „უნაყოფობას“.

მაისი. მთავრობა ვერდის აჯილდოებს იტალიის სამეფო გვირგვინის ორდენით. მაესტრო განათლების მინისტრს, ბროლიოს, უბრუნებს ორდენს:

„ეს ორდენი იმათთვის არის დაწესებული, ვინც სარგებლობა მოუტანა იტალიას იარაღით, ლიტერატურით, მეცნიერებით ან ხელოვნებით. როსინისადმი წერილში თქვენი ბრწყინვალეობა მოსაზრებას გამოთქვამს — თუმცა თავადვე აღიარებთ, რომ მუსიკისა არაფერი გაგვეგებათ — თითქოს ბოლო 40 წლის განმავლობაში იტალიაში არც ერთი ოპერა არ დაწერილიყოს. მაშ, რატომღა მიგზავნიან ამ აჯილდოს? უტყობა ადრესატი შეგეშალათ“.

ვერდი ტიტო რიკორდის:

„მინისტრს, თანაც იტალიის მინისტრს, სანამ სერიოზულ აზრს გამოსთქვამდა ხელოვნებაზე, რომელსაც მსოფლიოში დღემდე იტალიურს უწოდებენ, ჯერ კარგად უნდა შეემოწმებინა და შეეფასებინა მდგომარეობა“.

ვერდი — პიროლს:

„ხეტა იყო მოიძებნება საქმიანი ადამიანი, რომელიც მინისტრის პროექტს მოიწონებდა? რაღაც საზოგადოებას ავალებენ კონსერვატორიის შენახვას? საზოგადოებას, რომელიც დღეს დაიბადა, ხვალ კი შეიძლება მოკვდეს? ამას უნდა დაემყაროს ხელოვნების მომავალი და ახალგაზრდობის იმედები?“

30 ივნისი. კლარა მაფეის სანტ-აგატაში სტუმრობის შემდეგ, როგორც იქნა, აუსრულდა ვერდის დიდხნის გულისწადილი: იგი მილანს მიემგზავრება (პირველად 20 წლის მანძილზე) მაცონის სანახავად.

7 ივლისი. ვერდი სწერს კლარა მაფეის:

„რა შემძლია გითხრათ მაცონიზე?... ადამიანზე ლოცვა რომ შეიძლებოდეს, მის წინაშე მუხლებზე დავემხობოდი. ამბობენ, ეს არ შეიძლებაო; კეთილი, მაგრამ ჩვენ ხომ საკუროთხეველზე აგვყავს ძალიან ბევრი ისეთი, რომელთაც არც ტალანტი აქვთ მაცონისა, არც ხსეობა, და თან ჩამოყალიბებული თაღლითები არიან...“

28 აგვისტო. ვერდი სწერს არივაბენეს:

„...ახლა არც „ფალსტაფსა“ უწერ და არც სხვა რამ ოპერას. ჩემს სხეულსა და სულს მხოლოდ ტკბილი უსაქმურობა სურთ“.

15 აგვისტო. ბუსეტოში თეატრი გაიხსნა „რიგოლეტოში“ ზაფხულის სეზონი ერთ თვეს გრძელდებოდა და ბოლო სპექტაკლად „ბალ-მახკარადი“ წარმოადგინეს. ბუსეტოელების ძნელად ასატანი პატივისცემა რომ აღვსდინა, ვერდიმ მეუღლითურთ სადღესასწაულო დღეები გაატარა ჯერ გენუაში, მერე კი ტურინში.

16 სექტემბერი. ვერდი და ჯუზეპინა სანტ-აგატაში ბრუნდებიან.

13 ნოემბეს პასიში (პარიზთან ახლოს) გარდაიცვალა როსინი.

ვერდი სწერს კლარა მაფეის:

„დიდებული სახელი წავიდა ამ ქვეყნიდან! ჩვენი ეპოქის ყველაზე ცნობილი, ყველაზე პოპულარული ადამიანი, იტალიის სიამაყე! როცა მეორეც (ალსანდრო მაცონი), რომელიც ჯერ ცოცხალია, აღარ იქნება, რაღა დაგვრჩება? ჩვენი მინისტრები და ლისასთან და გუსტოცასთან გამოჩენილი ჩვენი გმირობა...“

17 ნოემბერი. ვერდი სწერს ტიტო რიკორდის, რომელმაც ეს წერილი გამოაქვეყნა თავის „გაზეტა მუსიკალეში“:

„კარგი იქნებოდა, როსინის ხსოვნის აღსანიშნავად იტალიის ყველაზე ცნობილმა კომპოზიტორებმა... ერთად შექმნან რეკვიემი, რომელიც როსინის გარდაცვალების წლისთავზე შესრულდება... ბოლონიაში წმ. პეტრონიოს ტაძარში: ეს ქალაქი იყო როსინის ნამდვილი მუსიკალური სამშობლო. ამ ნაწარმოებს (რა კარგიც არ უნდა იყოს მისი ცალკეული ნაწილები), რა თქმა უნდა, მუსიკალური მთლიანობა არ ექნება. მაგრამ ამ ნაკლითაც კი, იგი გამოსატულება იქნება ყველა ჩვენგანის უსაზღვრო პატივისცემისა იმ ადამიანს მიმართ, რომელსაც მთელი მსოფლიო დასტირის“.

მილანის კონსერვატორიის დირექტორის ხელმძღვანელობით იქმნება კომისია, რომელმაც უნდა შეარჩიოს კომპოზიტორები და რეკვიემის ცალკეული ნაწილების დაწერა დაავალოს.

დეკემბერი. ვერდიმ ისევ დაიწყო „ბედის ძალის“ გადაკეთება და მიაგნო მშვენიერ დამხმარეს — გისლანცონის.

15 დეკემბერი. ვერდი სწერს ტიტო რიკორდის:

„მე თვითონ ჩამოვალ მილანში და უზუხელმძღვანელებ რეპეტიციებს... (იმ პირობით, რომ კომპოზიტორის გვარი არ იქნება მოხსენიებული პროგრამაში და იგი პირადად არც მიიღებს მონაწილეობას პრემიერაში, რომელიც მხოლოდ კომპოზიტორის ნებართვით შეიძლება გაიმართოს)“.

დეკემბრის მიწურული. ვერდი — ჯულიო რიკორდის: „ფინალი შესანიშნავად მიიწევს წინ...“

1869

ოცდაათი იანვრიდან მოყოლებული ვერდი „ბედის ძალის“ რეპეტიციებს ხელმძღვანელობს მილანში.

27 თებერვალი. „ბედის ძალის“ პრემიერას „ლა სკალაში“ დიდი წარმატება ხვდა. მეორე დღესვე ვერდი და ჯუზეპინა გამოსამშვიდობებლად ეწვივნენ მაკონის და მილანიდან გენუაში გაემგზავრნენ.

* ბოლო ომის დროს, ამ ორ ბრძოლაში, იტალიელები დამარცხდნენ.

1 მარტი. ვერდი სწერს არივაბენეს:

„წუხელ საშინლად დაღლილი ჩამოვედი ძილანიდან. ზედიზედ ორი კვირა მაინც უნდა გამოვიძინო, რომ სული მოვითქვა. შენ, ალბათ, უკვე გეცოდინება, რომ სპექტაკლი კარგი გამოვიდა და წარმატება ხედა. შტოლცი და ტიბერინი შესანიშნავები არიან. დანარჩენები — კარგები, მთელი ანსამბლი, გუნდი და ორკესტრი ენითაუწერელი სიზუსტით და ტემპერამენტით მღეროდნენ და უკრავდნენ, თითქოს ეშმაკი ჩაუჯდათ სულში...“

ფილიპი ყურნალ „პრესევერანცაში“ დაბეჭდილ თავის სტატიაში აღნიშნავს ოპერის დირსებებს, მაგრამ იქვე შენიშნავს: ლეონორას კანტაბილეში ვერდი შუბერტს ბაძავსო.

4 მარტი. ნაწყვეტი ვერდის წერილიდან ფილიპისადმი:

„მუსიკაში ძალიან უვიცი ვარ, თანაც რამდენი ხანია შუბერტის „Ave“ არ მომიხმენია და ამიტომ ძალიან გამიჭირდებოდა მისი მიბაძვა. არ გეგონოთ ვხუმრობდე, როცა ვწერ „მუსიკაში ძალიან უვიცი ვარ-მეთქი“, არა ეს სრული სიძარბოა... ძველსა და თანამედროვე კომპოზიტორებს შორის მე ყველაზე ნაკლებად ერუდირებული ვარ. თღონდ, კარგად გავუგოთ ერთმანეთს, მე ერუდიციაზე ვლაპარაკობ და არა ცოდნაზე.“

რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ვერ ვიცრუებ, ახალგაზრდობაში დიდხანს და სერიოზულად არ მიმეცადინია-მეთქი. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ ჩემი ხელი საკმაოდ ძლიერია, რომ ჩემივე სურვილს დაუუმორჩილო მუსიკა, და საკმაოდ ხანდოა, რათა სასურველ ზემოქმედებას მივაღწიო... და თუ რაიმეს სხვათა მითითებით არა ვწერ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მკაცრი მითითებები იმას არ მაძლევენ, რაც მე მინდა, და იმიტომაც რომ, რაც დღემდე მითითებები მომიხმენია, არც ერთი არ მიმაჩნია გონივრულად“.

8 მარტი. ჯუზეპინა — ჯულიო რიკორდის: „ხომ მართალია, ჯულიო, რომ ვერდის ბუნებაში ადამიანი სჭარბობს ხელოვანს! უკვე მრავალი წელია, რაც დმერთმა მარგუნა მისი თანამგზავრი ვიყო, და არის ხოლმე წუთები, როცა არც კი ვიცი, რომელი გრძნობა უფრო სჭარბობს ჩემში: სიყვარული თუ პატივისცემა“.

პრილი. ვერდი და ჯუზეპინა გენუიდან სანტ-აგატაში გადასახლდნენ. მანქანის ახლა ყველაზე მეტად თავისი მეურნეობა და ბაღის გაფართოება აინტერესებს. ჯუზეპინა პატარა ფილიმონა-მარიას აღზრდაზე ზრუნავს. მათი შვილობილი ტურინის ერთ-ერთ სასწავლებელში სწავლობს.

ივნისი. დე სანკტისი ნებართვას სთხოვს ვერდის „ბედის ძალის“ ნეაპოლში დადგმაზე. ვერდი უარს ამბობს, რადგან იქაური მომღერლები არ მოსწონს:

„წარმატების საიდუმლო აი რაშია: ან ოპერა უნდა მიესადაგოს მომღერლებს, ან ოპერის შესაფერი მომღერლები უნდა შეარჩიონ...“

7 აგვისტო. „ბედის ძალა“ წარმატებით მიდის ვენეციაში, მაგრამ კომპოზიტორი უკმაყოფილოა მაყურებლის მიღებით.

10 აგვისტო. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის:

„კაცმა რომ თქვას, რა მოეწონათ „ბედის ძალაში“? ერთი ბაღადა, ორი რომანსი, ორიც ლექტი... ანუ საკონცერტო ნომრები, და არც ერთი ასე თუ ისე ორიგინალური და სახასიათო სცენა, სცენურ მოძრაობასა და დრამატულ აზრს რომ შეიცავდეს... და თუ ეს ასეა, უნდა დავასკვნათ, რომ ასეთი სცენები — შეცდომაა და უაზრობა, და ისევ კავატინებს დავუბრუნდეთ“.

15—25 აგვისტო. პესაროში მარიანის ხელშეწყობით გაიმართა როსინის ხსოვნის დღეები. დირიჟორი ატყობინებს ვერდის, რომ მის განკარგულებაშია

შესანიშნავი მოძღვრლები. ამავე დროს შიშს გამოთქვამს რექვიემის ბოლო-
ნიაში შესრულების გამო: „იქნება კი ბოლონიაში ასეთი გუნდი? იზრუნა კი სა-
ამისოდ მილანის კომისიამ?“

19 აგვისტო. ვერდი — მარიანის:

„...შენი წერილიდან გამოდის, რომ შენ უნდა ვთხოვოთ რექვიემის გუნდი
მოგვეცენ. ვერაფრით ვერ გავიგე, როსინისადმი მიძღვნილი რექვიემის შესრულება
ხვდა თუ არა ბედნიერება შენ მოგწონებოდა. ვინც საკუთარი ინტერესებისათვის
არ იღწვის, არამედ ხელოვნებისათვის, სამშობლოს დიდებისა და კეთილდღეო-
ბისათვის, მის კეთილ საქმეებს ხოტბის შესხმა არა სჭირდება. დიდი უბედურე-
ბა არ იქნება, ამა თუ იმ კომპოზიტორის პატივმოყვარეობა ან რომელიმე თავ-
დაჯერებული შემსრულებლის ამბიციები არ დაკმაყოფილდეს. საქმე პიროვ-
ნებებს როდი შეეხება; მთავარია დადგეს ის დღე, ჩავატაროთ ეს დღესასწაული,
და ბოლოს და ბოლოს, მოხდეს ისტორიული ფაქტი, სწორად გამოიგე, ისტორი-
ული ფაქტი. ამაზე თუ შევთანხმდით, მაშინ ჩვენი საერთო ვალია, გავაკეთოთ
ყველაფერი, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რათა მიზანს მივაღწიოთ. იმის
პრეტენზიები ნუ გეიქნება, რომ ჯერ მიგვიწვიონ და მერე გვაქონ და მადლობით
აგვაესონ. თუ ეს ხეიში ჩავატარეთ, ეჭვი არ არის, კარგ საქმეს გავაკეთებთ —
მხატვრული თვალსაზრისითაც და პატრიოტულითაც. თუ ვერ ჩავატარეთ, ბო-
ლოს და ბოლოს, ის მაინც გაირკვევა, რომ მხოლოდ პირადი ინტერესებისა და
პატივმოყვარეობისთვის გავრჯილვართ...“

ამავე დღეს მარიანი სწერს ვერდის: „ბოლონიისთვის არის დიდებული
გუნდი, და შე უკვე ვიცი, როგორ უნდა ჩაუვიდო ხელში...“

20 აგვისტო. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის:

„ხვალ გამოგიგზავნი როსინისადმი მიძღვნილი მესის ჩემს წილს.
კარგი იქნება, თუ კომისია შეიგნებს, რომ მარიანი თავს არ შეიწუხებს ამ
ჩვენი მესისათვის, რადგან ის არა ყოფილა ამ საქმის ინიციატორი, და კიდევ
იმიტომაც, რომ კომისიას მისთვის არ დაუვალვია მესის რომელიმე ნაწილის
დაწერა...“

24 აგვისტო. რაკი წინა წერილის პასუხი არ მიიღო, მარიანი ისევ სწერს
ვერდის: „შე მგონი, მხოლოდ ვალი მოვიხადე, როცა ჩემი სამსახური შემოგ-
თავაზე, და მუდამაც შემოგთავაზებ...“

22 სექტემბერი. მარიანი სანტ-აგატაში ჩადის, მაგრამ პირადად საუბრებ-
მაც ვერ გააქარწყლა მათ შორის გაუგებრობა.

6 ოქტომბერი. როსინისადმი მიძღვნილი ხეიმის მომწყობმა კომისიამ თხო-
ვნით მიმართა ბოლონიის თეატრის ანტრეპრენერს სკალაბერნის, რომ მან ხელი
შეუწყოს „რექვიემის“ შესრულებას, ეს უკანასკნელი უპასუხებს ღია წერილით
„მონიტორი დი ბოლონიას“ ფურცლებზე: 1. შე არასოდეს მიკისრია გადმო-
მეცა ჩემ მიერ ანგაჟირებული მსახიობები როსინისადმი მიძღვნილი რექვიემის
შესასრულებლად;... 5. თუ კომისია... მომმართავს, როგორც კომერსანტს, რო-
მელსაც ექვსი შვილი ჰყავს და სიმდიდრე კი არაფერი გააჩნია, არა როგორც
ხელოვნების მფარველსა და მეცენატს, მაშინ უსათუოდ გამოვნახავთ საერთო
ენას“.

27 ოქტომბერი. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის, რომელმაც შესთავაზა
ან გადაედოთ ხეიმი ან მილანში ჩავატაროთო:

„თუ ჩვენ ჩავატარეთ ხეიმი: 1. არა ბოლონიაში, 2. არა ზუსტად როსინის
გარდაცვალების წლისთავზე, მაშინ ასეთ ხეიმს რა აზრი ექნება, იგი ერთ ჩვე-
ულებრივ კონცერტად გადაიქცევა“.

4 ნოემბერი. მილანის კომისია აქვეყნებს განცხადებას, რომ იძულებული გახდა უარი ეთქვა წმინდა ქმნილების შესრულებაზე.

ნოემბერი — დეკემბერი. ვერდის მცდელობით გამოდის პიავესადმი მიძღვნილი და მისი ოჯახის დასახმარებლად დაბეჭდილი ალბომი (ალბომის შინაარსი: ოპერის, კანონის, მერკადანტეს, რიჩის, ტომას და ვერდის სიმღერები და რომანსები).

ესკიუდიე, დიუ ლოკლი და სხვები სთხოვენ, აჩქარებენ ვერდის, დაწეროს ოპერა პარიზის საოპერო თეატრისთვის. კომპოზიტორი უარზეა და იწუნებს თემებს, რომლებსაც ერთიმეორეს მიყოლებით სთავაზობენ.

ვერდი ისევე სთხოვს თავის გამომცემელს, გამოუგზავნოს ნოტები „ვაგნერის — ოპერის „ტანგეიზერის“ შესასწავლად“.

9 დეკემბერი. წერილი დიუ ლოკლისადმი, რომელიც ისევე აჩქარებს ვერდის: „...მე საპარიზო კომპოზიტორი არ გახლავართ. არ ვიცი, მაქვს თუ არა ნიჭი, ის კი კარგად ვიცი, რომ ჩემი შეხედულებანი ხელოვნებაზე ძალიან განსხვავდება თქვენისაგან... იმასაც დავძენ, რომ, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, არც ისეთი ელასტიური ვარ, საკუთარი შეხედულებანი დავთმო ან დავგმო, რადგან ეს შეხედულებანი ღრმა და საფუძვლიანია“.

სინათლე და ჩრდილი

(1870—1884)

1870

იანვარი. დიუ ლოკლი სტუმრად არის ვერდისთან გენუაში.

„მე მაინც მგონია, რომ ნერონი კარგი თემა იქნებოდა დიდი ოპერისათვის, რა თქმა უნდა, თუ ჩემებურად დავამუშავებდი. ახლა როგორც არის, ყოვლად გამოსადეგარია ოპერისათვის. მითუმეტეს აქ...“

3 თებერვალი. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის:

„...ოპერის დაწერისაგან თავს ვიკავებ არა იმიტომ, რომ კომპოზიტორის სამუშაო დამქანცველია, არამედ იმიტომ, რომ ძნელია ჩემი მოსაწონი შემსრულებლების მოძებნა!“

5 მარტი. პიროლისადმი მიწერილი წერილიდან:

„ნეტა, რა ეშმაკი შემიჯდა, რომ იმ ბაბილონში (პარიზში) მივდივარ, რამე საქმე მაინც მქონდეს იქ. მხოლოდ იმას თუ ვნახავ, ჩვეულებრივზე უფრო გადარეულები არიან ფრანგები თუ არა!“

29 მარტი. ვერდი და ჯუზეპინა პარიზს მიემგზავრებიან. მუციო მთელი სამი კვირა არ მოსცილებია მათ, სულ იმას უამბობდა, რა წარმატებას მიაღწიეს ეგვიპტეში. ქაიროში, იტალიის თეატრის პირველი სეზონის დროს, „რიგოლეტოსა“ და „ტრუბადურს“ მუციო დირიჟორობდა. მან იქვე გაიცნო მარიეტ-ბეი და დრანეტ-ბეი.

19 მარტი. ვერდი სანტ-აგატიდან სწერს არივაბენეს:

„პარიზში ძლივსლა ვიდექი ფეხზე, ლამის დავყრუვდი. რა ჯოჯოხეთია, რა ჯოჯოხეთი!.. თხუთმეტი წუთითაც კი არა მქონია მოსვენება. ოცი დღე გავატარე იქ, მთელი დღე აქეთ-იქით დავრბოდი, ათასი რამე ვნახე, მოვისმინე და მეტი არაფერი... ახლა დავბრუნდი და იმის თავიც არა მაქვს, მკაფიოდ გამოვ-

თქვა, ბოლოს და ბოლოს რისთვის წავედი... როგორც ხედავ... თქვენს არა ვწერ არც იქაური და არც სხვა თეატრებისთვის, თუ ვწერ, ისიც დიდი გაჭირვებით“.

26 მაისი. წერილი დიუ ლოკლს:

„წაიკითხე ეგვიპტური მონახაზი. ძალიან კარგია; მიზანსწრაფი ბრწყინვალეა, არის ორი-სამი სიტუაცია, რომელიც შეიძლება ძალიან ახალი არ იყოს, მაგრამ მშვენიერი კია. ავტორი ვინ არის? იგრძნობა ძალიან გამოცდილი, დახელოვნებული ხელი და შესანიშნავი ცოდნა თეატრისა“.

დიუ ლოკლის პასუხი: „ეს მონახაზი — ეგვიპტის მმართველის და ცნობილი არქეოლოგის მარიეტ-ბეის ერთობლივი ნაწარმოებია...“

2 ივნისი. ვერდი — დიუ ლოკლს:

„1. ლიბრეტოს თანხას მე გადავიხდი.“

2. ჩემივე ხარჯით გავგზავნი ქაიროში ვინმეს, რომ შეასწავლოს ოპერა და უდირიჟოროს.

3. გამოევზავნი პარტიტურის ასლს და მოელ უფლებას ლიბრეტოსა და მუსიკაზე გადავცემ მხოლოდ ეგვიპტის ტერიტორიისთვის; ხოლო ჩემთვის დავიტოვებ უფლებებს ლიბრეტოსა და მუსიკაზე მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.

ჩემს კუთვნილ თანხას, ასორმოცდაათიათას ფრანკს, პარიზში გადამიხდიან...“

იმავ დღეს ვერდი სწერს რიკორდის:

„მე ხელთა მაქვს ოპერის საბოლოო ესკიზი... მხოლოდ დიალოგები და ლექსები აკლია. თუ ოპერაზე მუშაობა გადავწყვიტე, გისლანცონი შესძლებს ლიბრეტოს დაწერას? რაც შეიძლება ძალე მიპასუხეთ, მინქარება; ოპერა ძალიან სწრაფად უნდა დაიწეროს“.

5 ივნისი. დიუ ლოკლის ტელეგრამა: „პირობებზე თანახმანი არიან...“

ივლისის დამდეგი. გისლანცონი სანტ-აგატაში ჩადის და ვერდის უშუალო მონაწილეობით ლიბრეტოს წერას იწყებს.

ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„ისევ და ისევ კეთილშობილ „აიდას“ სცენარს. ვათვალისწინებ გისლანცონის შენიშვნებს, რომლებიც (ჩვენ შორის დარჩეს) ძალიან მაშინებს... თანაც, არ მინდა დაეიწებულ იქნას სცენური მეტყველება. მე ვვულისხმობ ისეთ სიტყვებს, რომლებიც რელიეფურს ხდიან სიტუაციას, ხასიათს, და მაყურებელზე ძალიან მოქმედებენ. ისიც კარგად ვიცი, რომ ხშირად ძნელია სიტყვებს დახვეწილი პოეტური ფორმა მისცე. მაგრამ... (მაბატითი ღვარძლიანი სიტყვები) ასეთ შემთხვევაში პოეტსაც და კომპოზიტორსაც უნდა ჰქონდეს საკმარისი ტალანტი და გამბედაობა, რომ არ დაწერონ არც ლექსები და არც მუსიკა...“

16 ივლისი. პიროლისადმი მიწერილი წერილიდან:

„წარმოგიდგენიათ! გატაცებული ვარ! ქაიროსთვის ვწერ ოპერას!!! ორი წლის წინ რომ ვინმეს ეთქვა ჩემთვის: შენ ქაიროსთვის დაწერ ოპერასო, ვიჟად ჩაუთვლიდი, ახლა კი ვხედავ, რომ გიჟი თვითონვე ვარ“.

ვერდი გამაღვებით კითხულობს ლიტერატურას ისტორიაზე, რელიგიის ისტორიაზე, ეგვიპტის არქეოლოგიაზე, ამავე დროს ხშირი მიწერ-მოწერა აქვს გისლანცონისთან.

იწყება საფრანგეთისა და პრუსიის ომი.

25 აგვისტო. ვერდის „აიდას“ ხელშეკრულებაში რამდენიმე შესწორება შეაქვს და ხელს აწერს. პრემიერა 1871 წლის იანვარშია დანიშნული.

აგვისტო-სექტემბერი. ვერდი სწერს გისლანცონის:

„...მეორე მოქმედების პირველი გუნდი ცივად უღერს და უფერულია. ასე ნებისმიერი შიკრიკი მოყვებოდა ამბავს. მე კარგად ვიცი, რომ აქ მოქმედება არ არის, მაგრამ საკმაოდ გაწაფული კაცი შესძლებდა ღირსეული რამის შექმნას...“

დუეტის დასაწყისსა და ბოლოში არის შესანიშნავი ადვილები, მაგრამ ტექსტი ძალიან გაჭიანურებული და გრძელია... თუ ამას მოქმედება მოითხოვს, სულაც არ დაგიდევდით არც რიტმს, არც რითმას, სტროფს და თავისუფალი ლექსით დავწერდი, რათა მკაფიოდ, ზუსტად გადმომეტა ყველაფერი, რასაც მოქმედება მოითხოვს...“

სჩანს, თქვენ ორი რამ გაშინებთ: ზოგიერთი ასე ვთქვათ, სცენური სითამამე და კაბალეტების წერა! მე კი მგონია, კაბალეტები მხოლოდ მაშინ უნდა დაიწეროს, როცა ამას სიტუაცია მოითხოვს... ყურადღება მიაქციეთ, რომ მეორე მოქმედების ფინალის სტრუქტურაში სცენაზე ტყვეების გუნდიცაა; შეუძლებელია, რომ ისინი ხმას არ იღებდნენ (ოცამდე ტყვე მაინც იქნება), ხოლო ხალხთან ერთად სიმღერა მათ არ შეუძლიათ. ასე რომ, აქ რამდენიმე სტროფი უნდა ჩაამატოთ...“

30 სექტემბერი. საფრანგეთ-პრუსიის ომის სავალალო ამბები, სედანთან ბრძოლა – ყველაფერი ეს გულს უმძიმებს ვერდის; რომის განთავისუფლებამაც კი ვერ გაახარა, რადგან იტალიის გაერთიანება მხოლოდ საგანგებოდ შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობების შედეგია.

წერილი კლარა მაფეის:

„საფრანგეთის უბედურებამ მეც, ისევე როგორც თქვენ, სრულ სასოწარკვეთაში ჩამავლი... ევროპის ომი არ აგვცდება და მაშინ კიდევაც გადაგვსანს-ლავენ. ეს ხვალ არ მოხდება, მაგრამ ნამდვილად კი მოხდება. საბაბს ადვილად იპოვნიათ: იქნებ რომი... ხმელთაშუა ზღვა... რომის საქმე – მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ვგრძნობ, ეს შეიძლება უბედურების მიზეზიც გახდეს. როგორც შეგნით, ისე გარეთ; იმიტომ რომ, არ შემოიძლია ერთმანეთთან შეკათავსოთ პარლამენტი და კარდინალის კოლეგია, პრესის თავისუფლება და ინკვიზიცია...“

არ შემოიძლია ერთად წარმოვიდგინოთ რომის პაპი და იტალიის მეფე – ამ წერილშიაც კი“.

3 ნოემბერი. ვერდი რჩევას აძლევს გისლანცონის, როგორ აავოს „აიდას“ ბოლო მოქმედების ფინალი:

„ქურუმების სამგლოვიარო გალობა, ქურუმი ქალების ცეკვა, მიჯნურების გამოთხოვება სიცოცხლესთან, ამნერისის in pace – ყველაფერი ეს მრავალფეროვანი, კარგად დამუშავებულ მოლიანობას შექმნის. და, თუ მოვახერხე ეს ყველაფერი კარგად გამოვხატო მუსიკით, მაშინ გამოგვიკა კარგი ან თუნდაც არაორდინალური ნაწარმოები. მაშ, ვაუბედოთ! ჩვენ უკვე დესერტს შევექცევით, ყოველ შემთხვევაში თქვენ მაინც“.

12 ნოემბერი. ვერდი ატყობინებს მარიეტ-ბეის, რომ ოპერას მალე დაამთავრებს, ასე რომ, არც ქაიროში დააყოვნებს პრემიერას, რომელიც იანვარში სუეცის არხის საზეიმო გახსნას დაუკავშირეს, და არც მილანის პრემიერას თებერვალში.

30 ნოემბერი. დიუ ლოკლისაგან მოკლე ცნობა მოდის: „მარიეტა და მე მტრით გარშემორტყულ პარიზში ვართ. „აიდას“ დადგმასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო (დეკორაციები, რეკვიზიტი) შეჩერებულია მუშახელის უკმარისობის გამო. პარიზის დასაცავად ყველა ერთ საქმეს – გვარდიის შეიარაღებას – ემსახურება“.

მარიანი მთელი წლის განმავლობაში ცდილობს დაუახლოვდეს ვერდის: პი-

რადი შეხვედრისას, წერილებით, შუამავლების საშუალებით, მაგრამ ამაოდ, ყოველთვის კომპოზიტორის წინააღმდეგობას აწყდება. იგი სთავაზობს ვერდის: ქაიროში „აიდას“ შესწავლას ვუხელმძღვანელებო, მაგრამ ვერდის გადაწყვიტა მუციოს მიანდოს ეს, და მარიანის უარს ეუბნება.

17 დეკემბერი. ვერდი — ჯულიო რიკორდის: ერქვენი

„გარდაიცვალა თუ არა მერკადანტე, მინისტრმა მაშენვე დააყენა კეითხათ ჩემთვის, თუ დაუთანხმდებოდი ნაპოლის კონსერვატორიის დირექტორობაზე. მე უარი შევუთვალე. გუშინ ფლორიმომ მომწერა ნახევრად ოფიციალური წერილი და ამასვე მოაეაზობდა. მასაც ისევე ვუპასუხე. დღეს მივიღე ეს სტატია, რომელიც „ჯორნალე დი ნაპოლიში“ დაიბეჭდა და თქვენ გიგზავნით.“

ღმერთო, მიშველე! ყველა ნეაპოლელი მუსიკოსი (მთელი არმია) მზად არის თავს დამეხნას. თუ შეგიძლიათ, უპასუხეთ პატარა სტატიით და ეს დარტყმა ამაცილეთ. შეგიძლიათ დაწეროთ — რამდენჯერაც შემომთავაზეს ამისთანა თანამდებობანი იტალიაში თუ საზღვარგარეთ, მუდამ უარს ვამბობდი, რადგან ძალიან მიყვარს პირადი თავისუფლება და ჩემი მინდვრების სუფთა ჰაერი“.

1871

5 იანვარი. ფრანჩესკო ფლორიმოსადმი მიწერილ წერილში ვერდი თავაზიანად ამბობს უარს კონსერვატორიის დირექტორობაზე და კონსერვატორიის მუშაობის პროგრამას დაუსახავს:

„მე მინდა ერთი ფეხით წარსულში ვიდგე, მეორეთი კი აწმყოში და მომავალში (რადგან არ მეშინია მომავლის მუსიკისა); ახალგაზრდებს ამას ვეტყვოდი: „მუდამ ივარჯიშეთ ფუგაზე, ჯიუტად, თავის გაბეზრებამდე, მანამდე, სანამ ხელი ისე არ გაგიმაგრდებათ, რომ მუსიკალური ბგერა თქვენს ნებას დაუმორჩილდეს... შეისწავლეთ პალესტრინა და ზოგი მისი თანამედროვე... მაგრამ ერთდეთ არ გაგიტაცოთ პარმონის ამოუწურავმა სიღამაზემ, ინსტრუმენტირებაში ანდა შემოკლებულმა სექტაკორდებმა: ეს თავშესაფარია იმათთვის, ვინც ოთხ ტაქტს ვერ დაწერს ისე, ექვსამდე სექტიმა რომ არ იხმაროს. როცა მთელი ეს სამუშაო და პარალელურად ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლა მოთავდება, მაშინ ვეტყვოდი ახალგაზრდებს: ახლა გულზე ხელი დაიდეთ, წერეთ მუსიკა, და თუ შემოქმედებითი ტემპერამენტი გაგანჩიათ, კომპოზიტორები გახდებით...“

ვისურვებთ იპოვოთ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ნამდვილად მცოდნე და მკაცრი მასწავლებელი. კონტრაპუნქტში თავისუფლება და შეცდომები დასაშვებია და ზოგჯერ ლამაზიც კია თეატრში, მაგრამ არა კონსერვატორიაში. ძველს მიუბრუნდით და ეს იქნება პროგრესი“.

იმავე დღეს ვერდი ატყობინებს ჯანეტ-ბეის, რომ, მისი თხოვნის თანახმად, „ლა სკალაში“ „აიდას“ პრემიერისთვის მზადება დააყოვნა, რათა ოპერა პირველად ქაიროში აუღერდეს.

26 იანვარი. ჯულიო რიკორდი სწერს ვერდის:

„ბოიკოთ თავს მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ და იღბლიან ადამიანად ჩათვლიდა, თუ თქვენთვის „ნერონის“ ლიბრეტოს დაწერდა; იგი მაშინვე სიხარულით იტყოდა უარს ამ ლიბრეტოს მიხედვით მუსიკის დაწერაზე“.

ვერდის პასუხი:

„ვაჟკაცობა არ მყოფნის ვთქვა: გავაკეთებთ-მეთქი, მაგრამ არც იმის ძალა მყოფნის, ასეთ მშვენიერ გეგმაზე უარი ვთქვა. ოღონდ, ერთი მითხარით, ჩემი საყვარელი ჯულიო, ცოტა ხნით ვერ გადავდებთ ამას?“

2 თებერვალი. პროფესორი მაცუკატო გაახსენებს ვერდის როსინისადმი მიძღვნილი მესის ერთ ნაწილს „ლიბერა მი“: ძვირფასო მანქანა, თქვენ დაწერეთ ყველაზე დიდებული, უაღრესად პოეტური ფურცელი, რის წარმოდგენაც კი შეიძლება, ამაზე სრულყოფილი ჯერ არც არავის დაუწერია და ვერც დაწერს“.

ვერდი პასუხობს მაცუკატოს:

„თქვენმა წერილმა ლამის აღმიძრა სურვილი, მოგვიანებით დაგწერო მთელი მესსა, მით უმეტეს, თუ ზოგიერთი ძირითადი დეტალი დავამუშავებ, მაშინ დამთავრებულად ჩავთვლი Requiem-საც და Dies Irae-საც, მათ თქვენს უკვე შეიცავს Libera... მაგრამ დამშვიდდით. ეს ცდუნებაც ისევე გაქრება, როგორც სხვა მრავალი...“

განათლების მინისტრი ჩუხარე კორენტი სთხოვს ვერდის, ითავოს თავმჯდომარეობა კომიტეტისა, რომელმაც მუსიკას სწავლების რეფორმა უნდა დაამუშაოს.

„ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ ვიკისრებ თქვენი ბრწყინვალეების მიერ შემოთავაზებულ თანამდებობას... ღრმად ვარ დარწმუნებული, რეფორმას მხოლოდ ის მანქანა გაატარებს, რომელსაც კონსერვატორიის დირექტორად აირჩევენ. თუ იგი ნამდვილი მუსიკოსი იქნება, თავისივე მოწოდებით შთაგონებული, მაშინ აღარ იქნება საჭირო, რომელიმე კომიტეტმა სწავლების წესები დააწესოს! კომიტეტი შეიძლება ხელისშემშლელიც გახდეს. ხოლო, თუ კონსერვატორიის დირექტორი ასეთი არ იქნება, მაშინ რამდენიც არ უნდა იმუშაოს კომიტეტმა, საქმეს მაინც ვერ უშველის. ზემოთქმულის დასამტკიცებლად ვიტყვი: ნეაპოლის კონსერვატორიებში დურანტესა და ლეოს დირექტორობის დროსაც არ ყოფილა სწავლების რაიმე დადგენილი წესები. ისინი თვითონ ირჩევდნენ გზას, რომელსაც უნდა გაჰყოლოდნენ“.

20 თებერვალი. პიროლისადმი მიწერილ წერილში ვერდი თითქმის აჯამებს თავის ფიქრებს კომპოზიტორებისა და მომღერლების მომზადების რეფორმის შესახებ:

„...გირჩევთ ხანგრძლივ და მკაცრ ვარჯიშს კონტრაპუნქტის ყველა სახეობაში... თანამედროვე კომპოზიტორების შესწავლა არ შეიძლება! ალბათ, უცნაურად მოეჩვენებათ ეს, მაგრამ, როცა ყოველდღე ვისმენ და ვხედავ ერთ თარვზე გამოჭრილ ოპერებს, ცუდი თერძის გამოჭრილ კაბებს რომ მაგონებს, უარს ვუღარ ვიტყვი ამ აზრზე... მოგვიანებით, როცა ახალგაზრდა მუსიკოსს ჩამოუყალიბდება საკუთარი სტილი და იმის საშიშროება აღარ იქნება ვიღაცას მიბადოს, შეუძლია შეისწავლოს თანამედროვე კომპოზიტორების ოპერები. ასეთი გახლავით ჩემი მოსაზრება. — მოიწონებს კი რომელიმე კომისია ამას? კი? — მაშინ მე მინისტრის განკარგულებაში ვარ. — არა? — მაშინ სჯობს სანტ-აგატაში დაებრუნდე“.

მარტი. ვერდი ესწრება და თავმჯდომარეობს კიდევ მუსიკალური განათლების რეფორმის მოსამზადებელი კომისიის სხდომებს ფლორენციაში; მას ახლა შესთავაზეს მუსიკალური სკოლების მთავარი ინსპექტორის თანამდებობა, მაგრამ ისევე უარი თქვა.

ნეაპოლში „დონ კარლოსის“ პრემიერას მაყურებელი საკმაოდ გულგრილად შეხვდა.

22 მარტი. ვერდი სწერს დე სანკტისს:

„ბოლოს და ბოლოს შეიგნეთ, რომ ეგ თეატრი ან მთლიანად უნდა გარდაქმნათ, ან კავატინებს უნდა დაუბრუნდეთ... თქვენ რომ ამბობთ, ოპერა ძალიან

გაჭიანურებულიაო, ეს სრული უაზრობაა. თუ ოპერა ძალიან გაჭიანურებულია, რატომ მაინცადამაინც ის აირჩიეთ? თუ ხუთმოქმედებიანი ოპერები არ მოგწონთ, თქვენი ნებაა, ხურც მოვიღებთ ხელს და ხურც დაიწუნებთ, და ბოლოს ისევ ვიმეორებ: თქვენ არაერთად, არაერთად, არაერთად საფუძვლები არ გაგაჩნიათ დიდი ოპერების დადგმისათვის“.

30 მარტი. ვერდი სწერს ჯანეტ-ბეის, რომ ეძებს დირიჟორს „აიდას“ პრემიერისათვის (რადგან მუციოს პარიზში აქვს დადებული ხელშეკრულება და ვერ განთავისუფლდა):

„მარიანის ველაპარაკე, მაგრამ უარი თქვა ქაიროში წამოსვლაზე!..“

3 აპრილი. ჯანეტ-ბეი სთავაზობს ვერდის ჯოვანი ბოტესინის, ფლორენციის თეატრის დირიჟორს და კონტრაბასისტს.

მაისი. ჯანეტ-ბეი სანტ-აგატაში ჩადის, სადაც პრემიერასთან დაკავშირებული საკითხები გაარკვევს. ამავე დროს ვერდი უკვე ეძებს ყველაზე გამორჩენილ მომღერლებს „ლა სკალას“ პრემიერისათვის.

10 ივლისი. ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„მილანში თუ წამოვალ, ამის მიზეზი არც თაემოყვარობა იქნება და არც ის ფაქტი, რომ იქ ჩემს ოპერას დგამენ; მე მხოლოდ იმიტომ წამოვალ, რათა სპექტაკლი ჭეშმარიტად ხელსუფლების ქმნილება გამოვიდეს... (აქ ვერდი შვიდ პირობას უყენებს და სთხოვს გარკვეული პასუხი გასცენ, შესრულებენ მათ თუ არა)... ყველა ეს პატარა გაუმჯობესება გზას უხსნის სხვა-სიახლეებს, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად გაჩნდება; მათ შორის არის: ფარდის წინ, რამპისკენ წამოწევა, სცენიდან მაყურებლების ლოჟების აღება; და კიდევ: ორკესტრი უხილავი უნდა გახდეს. ეს იდეა ჩემი არ არის, ვაგნერისაა, და შესანიშნავი იდეაც გახლავთ...“

ავვისტი. ვერდი ისევ სთხოვს ვისლანტონის, „აიდას“ ტექსტში ზოგი რამ შეეცვალოს.

12 სექტემბერი. ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„როგორც უკვე მოგწერეთ, მე შეეცვალე „აიდას“ ერთი გუნდის მუსიკა და აიდას რომანსი დაუმატე... აიდას რომანსი საკმაოდ ნაზი და მგრძობიარეა. ო, ნეტა ეს შტოლცი ორი დღით მაინც ჩამაგდებინა ხელში!“

23 სექტემბერი. ტერეზინა შტოლცი ჩადის სანტ-აგატაში და ოცი დღის განმავლობაში ვერდის ოჯახში ცხოვრობს.

პატარა ჩანაწერი ჯუზეპინას დღიურიდან: „ჩემს ცხოვრებაში ეს ალბათ ყველაზე სევდიანი მომენტი... დღეს ჩამოვიდა ქალბატონი შტოლცი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ლამაზია... ჩემს წინ წევდიადი, წევდიადი, წევდიადი...“

1 ნოემბერი. იტალიაში პირველად დაიდგა ვაგნერის ოპერა. ბოლონიაში, მარიანის დირიჟორობით წარმოადგინეს „ლოენგრინი“.

16 ნოემბერი. ვერდი მიემგზავრება ბოლონიაში, თან მიაქვს „ლოენგრინის“ პარტიტურა, რათა ლოჟის სიღრმეში მიმალულმა მთელი ოპერა მოისმინოს. მაყურებელმა იცნო ვერდი. იმავე საღამოს იგი შინ ბრუნდება. პარტიტურის მინდორზე მიწერილი სიტყვები გამოხატაქს მის აზრს „ლოენგრინის“ შესახებ:

„საშუალო შთაბეჭდილება დამრჩა. მუსიკა ლამაზია; როცა გასაგებია — აზრი გამოსჭვივის. მოქმედება, ისევე როგორც ტექსტი, მდორედ მიედინება. სწორედ ამიტომ არის მოსაწყენი. ლამაზია ინსტრუმენტული ეფექტები... შეკავებული ბგერების ჭარბად გამოყენება ცოტა არ იყოს ამძიმებს ნაწარმოებს...“

შესრულება საშუალოა. ტემპერამენტი სჭარბობს, მაგრამ პოეტურობა, სიფაქიზე აკლია. როულ ადგილებში მუდამ საძავლობაა“.

მარიანის კრიტიკული პერიოდი დაუდგა: ჯანმრთელობა თანდათან დაღატობს; მისმა საცოლემ, ტერეზინა შტოლცმა საბოლოოდ მიატოვა, და ვერც ვერდისთან შერიგება მოახერხა.

6 დეკემბერი. ქაიროში გაფაციცებით მუშაობენ „აიდას“ მიღწევაში იწყება „ბედის ძალის“ რეპეტიციები. ფილიპი ატყობინებს ვერდის, რომ ქაიროში მიემგზავრება და ვერდის თავის სამსახურს სთავაზობს. მაესტრო სთვლის, რომ ეს იქნება მისთვის შეურაცხმყოფელი, უგემოვნო აფიშირება.

8 დეკემბერი. ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„თუ ღმერთი გწამთ, არავითარი რეკლამა, არავითარი ზარ-ზეიმი, ჩემთვის ეს დამამცირებელია. ოჰ, რა ზიზღსა მგერის ყველაფერი ის, რაც ბოლონიაში ვნახე და რაც ახლა ფლორენციაში მესმის! არა... არა... არაფრით არ მინდა ისეთი რამ, რაც „ლოენგრინის“ პრემიერის დროს ხდებოდა...“

24 დეკემბერი. „აიდას“ პრემიერა ქაიროში დიდი წარმატებით ჩატარდა (მონაწილეობდნენ: პოცონი, გროსი, მონჯინი, შტულერი და მედინი). ბატესინის ტელეგრამა: „აიდას“ აღფრთოვანებული წარმატება ხვდა. მისი მწვერვალია მეორე ფინალი. მსახიობები ზეიმობენ, ორკესტრი შესანიშნავია, დიდებულად მიიღეს...“

ჯანეტ-ბეის ტელეგრამა: „აიდას“ პრემიერას ტრიუმფალური წარმატება ხვდა. არც ერთ ნომერს სიჩუმით არ შეხვედრიან...“

ფილიპის რეცენზია ჟურნალში „პრესვირანცა“: „ვერდი მხატვრული განვითარების იმ გზას მისდევს, რომლითაც „დონ კარლოსით“ წარმოგვიდგა, ამავე დროს, წარსულსაც არ უარყოფს. ზოცრად შერწყმულად ჟღერს ძველი და ახალი ვერდი“.

რეიე სწერს ჟურნალ „დე დებაში“:

„როგორც გრეტრამ მოცარტზე თქვა, ვერდიც ზოგჯერ ქანდაკებას ორკესტრში დგამს, კვარცხლბეკს კი სცენაზე...“

26 დეკემბერი. ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„გიგზავნით სიმფონიას (მას ჯერ მელანი არ შეშრობია), რომელიც შესაძლოა „აიდას“ წინ მოვათავსოთ. იმიტომ ვწერ შესაძლოა-მეთქი, რომ ჯერ არც კი წამიკითხავს და იქნებ დიდი აბლაუბდაც გამოვიდეს“.

1872

იანვრის დამდეგი. ვერდი და ჯუზეპინა დროებით მილანში გადასახლდნენ, სადაც კომპოზიტორი ხელმძღვანელობს „აიდას“ რეპეტიციებს. ღირიფორობს ფრანკო ფაჩო, როცა ვერდიმ მოისმინა სიმფონია, რომელიც „აიდას“ უპერტიურად უნდოდა, უარი თქვა მასზე.

8 თებერვალი. „აიდას“ პრემიერას მილანის თეატრ „ლა სკალაში“ უდიდესი წარმატება ხვდა (მონაწილეობდნენ: შტოლცი, ვალდმანი, ფანჩელი, პანდოლფინი და მაინი).

ვერდი სწერს არივაბენეს:

„...ბრწყინვალეა; როგორც მთლიანობაში, ისე ცალკეული მომღერლების შესრულება, შესანიშნავი იყო დადგმა... ზედმეტ თავმდაბლობაში ნუ ჩამოშარბოვ და, ეს ოპერა არც ისე ცუდი ქმნილებაა ჩემ მიერ დაწერილ ოპერებს შორის“.

17 აპრილი. ვერდი სწერს დე სანკტისს:

„...საერთოდ რას ნიშნავს ეს სკოლები, ეს ცრურწმენა სიმღერაზე, პარმონიაზე, გერმანიზმზე, იტალიანიზმზე, უნგრეთიზმზე და ა. შ.?”

მუსიკაში გაცილებით მეტი რამაა... იქ მუსიკაა!.. მსმენელს არ უნდა აინტერესებდეს რა ხერხებს ხმარობს შემოქმედი!.. ნურც ცრურწმენა ექნება სკოლაზე... თუ ლამაზად უღერს — ტაში დაუკრან, თუ უღამაზოდ — დაუსტვიონონ ეს არის და ეს. მუსიკა უნივერსალურია, სულელებს და პედანტებს უნდოდათ ეპოვათ, აღმოეჩინათ სკოლები, სისტემები!!! ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ მაყურებელმა უფრო მაღალი კრიტერიუმით შეაფასოს მუსიკალური ნაწარმოები, და არა ფურნალისტების, დირიჟორებისა და პიანისტების საცოდავი შეხედულებების მიხედვით. თავის შთაბეჭდილებას მიენდოს და მეტი არაფერი!.. არა და არა, არ არსებობს არც იტალიური, არც გერმანული და არც თურქული მუსიკა... არსებობს მხოლოდ ერთი მუსიკა!!!

27 აპრილი. ვერდი — არივაბენჯს:

„მხოლოდ ახლა შემოვიდა მოდაში ყვირილი: კაბალეტა არ გვინდაო, ახლაც ისევე სცდებიან, როგორც ერთ დროს — კაბალეტების მეტი არაფერი რომ არ უნდოდათ. პირობითობის წინააღმდეგ ასეთი პროტესტი იგივეა, ერთი პირობითობა უარყო და მაშინვე მეორე პირობითობაში გადავარდეთ. ო! რა სულელები არიან!“

აპრილი-მაისი. პარმაში „აიდას“ წარმოდგენებია. პარმის მეზობლად მდებარე ქალაქ რეჯოში მარიანიმ დადგა მეიერბერის „აფრიკელი ქალი“. რეჯოს მოქალაქე, პროსპერო ბერტანი, მიემგზავრება პარმაში „აიდას“ მოსასმენად და უკმაყოფილო რჩება ამ ოპერით. იგი ვერდის სწერს და სთხოვს: დანახარჯი ამინახლაურეთო.

10 მაისი. კომპოზიტორი დააკალებს ჯულიო რიკორდის, ჩემივე თანხიდან გადაუხადე ბერტანის 27,80 ლირაო.

„ეს იმ თანხაზე ნაკლებია, რასაც მთხოვს, მაგრამ... მაგის ვახშმის ფულს ნამდვილად არ გადავიხდი! ამას ვერ ეღირსება. შინაც კარგად შეეძლო ევახშმა!! რა თქმა უნდა, ხელწერილი უნდა ჩამოართვათ და იქვე პატარა მინაწერი, რომ პირობას იძლევა — აღარასოდეს დაესწრება ჩემს ახალ ოპერებს...“

25 მაისი. ეს პატარა ინციდენტი გაზეთებმა აიტაცეს. ატყდა საერთო სიცოცხლ-ხარხარი, ბერტანიმ ვედარ გაუძლო დამცინაუი წერილების ნაკადს, სახლიდან გაიქცა და ვერდის მიმართა: მიშველე რამეო.

5 ივნისი. ვერდის აწუხებს „აიდას“ ბედი და ნაადრევად მიაჩნია ამ ოპერის რომში და გერმანიაში დადგმა. კომპოზიტორი სწერს პიროლის:

„იაკოვანი ჯერ კიდევ ძველი აღიქმის დროში ცხოვრობს და ფიქრობს, რომ, თუ აფიშაში მოათავსებს ორ-სამ სახელგანთქმულ გვარს, ოპერას დიდი წარმატება ექნება; ასეთი რამ ოდესღაც იყო, კავატიანებზე აგებული ოპერების პერიოდში, მაგრამ ალბათ ახლა აღარ არის. მან არ იცის, რომ მილანში და პარმაში წარმატებას მეტწილად დიდი გუნდებისა და ბრწყინვალე დადგმის წყალობით მიაღწიეს“.

წერილი ჯულიო რიკორდის:

„...რა თქმა უნდა, ნახევრად წარმატება საბედისწერო იქნებოდა, ხოლო, გერმანიაში რომ დაუდგათ „აიდა“, ჩვენ ვერაფერს მოვიგებთ“.

ივნისის მიწურული. გაკოტრებული ჩეზარე დე სანკტისი ვერდის სთხოვს დახმარებას. კომპოზიტორი თავის ნეაპოლელ მეგობარს 250000 ლირას უპროცენტოდ ასესხებს.

29 აგვისტო. არივაბენესადმი მიწერილი წერილიდან:

„დიდი სურვილი მაქვს, იტალიური თეატრების დონე ამაღლდეს, და არის კიდევ ამის შესაძლებლობა“.

30 ოქტომბერი. ვერდი და ჯუზეპინა ჩადიან ნეაპოლში, სადაც კომპოზიტორი ხელმძღვანელობს „დონ კარლოსისა“ და „აიდას“ რეპეტიციებს.

15 დეკემბერი. პირველი სპექტაკლების წარმატების შემდეგ ვერდი სწერს დიუ ლოკლს:

„ჩვენი „დონ კარლოსი“ კარგად მიდის და მსმენელიც ძალიან კმაყოფილია... მუსიკალური შესრულება ძალიან ტემპერამენტიათ, სიცოცხლით სავსეა, რაც პარიზის თეატრებს მუდამ აკლიათ. „დონ კარლოსი“ აქ, პარიზთან შედარებით, ნახევარი საათით ადრე თავდება... საუბედუროდ, წარმოდგენები შეწყდა, რადგან შტოლცს ძალიან ასტკივდა ყელი.“

29 ნოემბერი. ვერდი წერილით ატყობინებს კლარა მაფეის, რა მდგომარეობაშია ნეაპოლის თეატრები:

„...ენითაუწერელი უვიცობა, ინერტულობა, უგულობა, უწესრიგობა იწვევს საერთო დაუდევრობას ყველაფერში და ყველაფრისადმი. პირდაპირ დაუჯერებელია! ჩემივე პატივმოყვარეობის გამო დავისაჯე. უნდა გამოვტყდე, ერთი წუთით მართლა დამეუფლა პატივმოყვარეობა... როცა მთავრობამ თეატრებს უარი უთხრა დოქტაციაზე, მაშინ ვთქვი: კეთილი, ჩვენ დავანახებთ ამ მთავრობას, რომ სცდება, უმაგისოდაც შეგვიძლია რაღაცას მივალწიოთ-მეთქი. მაშინ მილანში წავიდი „ბუდის ძალის“ გამო. ბევრი ილაპარაკეს მუსიკაზე, მაგრამ სპექტაკლს და მასიურ სცენებს წარმატება ხედა. მეც ეს მინდოდა მერე „აიდას“ გამო წავიდი და იგივე განმეორდა: სპექტაკლსაც და შემსრულებლებსაც კარგად შეხვდნენ... წავიდი პარმაში – ისევ წარმატება და შემოსავალი. ახლა ნეაპოლში ჩავიდი, იმედი მქონდა, რომ აქაც წარმატება იქნებოდა...“ ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის:

„შეუძლებელია წინსვლა... თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, მე დავემშვიდობები ნეაპოლს...“

1873

2 იანვარი. ნეაპოლში „აიდას“ რეპეტიციების დროს ტიტო რიკორდისადმი მიწერილი წერილიდან:

„... ხომ ხედავ, როგორ მეტყვიოდა პრესა მთელი წლის განმავლობაში, და სწორედ მაშინ, როცა იმდენს ვშრომობდი, იმდენი ხარჯი გავიდე და საშინლად დავიღალე! სულელური კრიტიკა და კიდევ უფრო სულელური დითირამები; არც ერთი ამაღლებული აზრი, რაიმე მხატვრული ღირსება რომ ჰქონდეს! არც ერთი ადამიანი, რომელიც ცდილა ჩემს მისწრაფებებს ჩასწვდომოდა! ის უბრალო ფაქტი მაინც აღენიშნა, რომ მომღერლების შესრულება და სცენური დადგმა ჩვეულებრივს არა ჰგავდა...“

საერთოდ, მოდი ნუ ვილაპარაკებთ ამ „აიდაზე“ – ერთი მხრივ, დიდი შემოსავალი მომიტანა, მეორე მხრივ კი დიდი მღელვარება და უდიდესი არტისტული იმედის გაცრუება! ნეტა, სულ არ დამეწერა ეს ოპერა და ხალხის სამსჯავროზე არ გამომეტანა!.. მაშინ აღარ გახდებოდა ბოროტგანმზრახველების საკბილო, კრიტიკოსების და ისეთი ვაი-მუსიკოსების საანალიზო, რომელთაც მუსიკაში გრამატიკის მეტი არაფერი იციან და ისიც ცუდად...“

შტოლცის შემდეგ ავად გახდა ვალდმანი, ვერდი და ჯუზეპინა სარგებლო-

ბენ რეპეტიციების შეწყვეტით და მეგობრებთან ერთად ნეაპოლისა და მისი შემოგარენის სილამაზით ტკბებიან, ახალგაზრდა მოქანდაკე, ვინჩენცო ჯემიტო, ვერდის სკლუპტურულ პორტრეტს ძერწავს.

მარტის მიწურული. „აიდას“ პრემიერა ნეაპოლში. „არა მგონია, ჩვენს სიცოცხლეში რიდესმე კიდევ გავხდეთ მოწმეები ასეთი მუსიკალური ეპოპეისა. მაყურებელი აღევხნო და ეს აღვხნება სულ უფრო და უფრო მატულობდა. მაესტროს ერთხმად იძახებდნენ, 37-38-ჯერ მოუხდა სცენაზე გამოსვლა; მარტო ამითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ გუშინ ხალხი დაესწრო დიდ მუსიკალურ მოვლენას. ნამდვილად უნაკლოდ უკრავდა ორკესტრი, მომღერლები შესანიშნავად, სრულყოფილად ასრულებდნენ თავიანთ პარტიებს — და ამის გამო „აიდას“ პრემიერა გადაიქცა დიდებულ, ჭეშმარიტად მხატვრულ მუსიკალურ დღესასწაულად“ (პუნგალო).

ვერდი სწერს ნეაპოლის ბურგომისტრს:

„ეს უსამართლოდ მიტოვებული ნეაპოლის თეატრი უნდა ავალორმანოთ ღირსეული და სრულყოფილი სპექტაკლებით. მე უდიდესი კმაყოფილებით მოვისმენდი, რომ ამ გულმოდგინედ დადგმულმა სპექტაკლებმა რაღაც კვალი დაიტოვეს. ეს გახლდათ ჩემი ერთადერთი მიზანი...“

1 აპრილი. ვერდიმ სასტუმროს მისაღებ დარბაზში დაპატიჟა რამდენიმე სტუმარი, სადაც ყველას გასაკვირად, მივიდა აგრეთვე ოთხი მუსიკოსი, რომლებმაც შეასრულეს კომპოზიტორის ახალი ნაწარმოები: კვარტეტი მი-მინორი სიმებიანი საკრავებისათვის, ოთხ ნაწილად.

„გაზატა მუსიკალეში“ დაბეჭდილი სტატიიდან:

„ხელმეტი იქნებოდა იმის თქმა, რომ ვერდიმ შექმნა მომხიბლავი, შთამაგონებელი მელოდები. მისი კვარტეტის ოთხი ნაწილი — გენიოსის ოთხი ქმნილებაა... კერძოდ, ანდანტი... ჩემის აზრით, შედეგია, როგორც შთამაგონებელი მელოდის, ისე უახლესი ნატიფი ფორმის წყალობით...“

10 აპრილი. ვერდი და ჯუზებინა სანტ-აგატაში ბრუნდებიან.

16 აპრილი. ვერდი — არივაბენეს:

„...ნეაპოლში, მოცლილობის დროს, მართლაც ვწერდი კვარტეტს. ერთ საღამოს ჩემთან სახლში შეასრულეს კვარტეტი. მაგრამ მე არ ჩავთვალე ეს მნიშვნელოვან მოვლენად... ამას ესწრებოდა შვიდი-რვა ადამიანი, ვინც საერთოდ დადის ხოლმე ჩემთან. ლამაზია ეს კვარტეტი თუ ულამაზო — არ ვიცი... მხოლოდ ვიცი, რომ ეს კვარტეტია!“

მილანისა და პარმის მუსიკალურ საზოგადოებებს უნდათ, რომ ეს კვარტეტი სცენაზე შესრულდეს, მაგრამ ვერდი წინააღმდეგია:

„... ჩემის აზრით (იქნებ ეცდები კიდევ), კვარტეტი ისეთი მცენარეა, რომელსაც იტალიის კლიმატი არ უხდება...“

14 მაისი. ვერდი სწერს ნეაპოლელ მეგობარს, მხატვარ ვინჩენცო მორელის, რომელიც ვერდისთვის სურათს ხატავს და უნდა, რომ კომპოზიტორის გემოვნების შესაფერის გამოუვიდეს:

„ხელოვნებაში ყველაფერი მომწონს, რაც მშვენიერია. გამოჩნაკლისი ჩემთვის არ არსებობს; სკოლებისა არა მწამს, მომწონს მხიარული, სერიოზული, საშინელი, დიდი, მცირე და ა. შ. და ა. შ. ყველაფერი, ყველაფერი, ოღონდ პატარა, მართლაც პატარა უნდა იყოს. დიდი — დიდი... ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეთი, როგორიც უნდა იყოს: მართალი და ლამაზი“.

22 მაისი. მილანში გარდაიცვალა ალესანდრო მატონი.

23 მაისი. ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„ძალიან დამამწუხრა ჩვენი დიდი მწერლის გარდაცვალებამ! მაგრამ მილანში არ ჩამოვალ, ძალა არ შემწევს მის დაკრძალვას დავეხსნა. როგორც კი დაკრძალავენ. მაშინვე ჩამოვალ და მის საფლავს ვინახულებ ისე, რომ არავინ დამინახოს, და იქნებ (დაუფიქრლები, აუწონ-დავწონი ჩემს ძალ-ღონეს) მის პატივსაცემად რაიმე შემოგთავაზოთ კიდევ“.

ერქმენული

1 ივნისი. ვერდი მიდის მილანში და კლარა მაფეისა და მისი რიკორდისთან ერთად მაცონის საფლავს მოინახულებს.

3 ივნისი. ჯულიო რიკორდის:

„მე მინდა... დაეამტკიცო როგორ მიყვარდა და რა დიდ პატივს ვცემდი, რას ვგრძნობდი და რას ვგრძნობ ჩვენი დიდი ადამიანის მიმართ, რომელიც ამ ქვეყნად აღარ არის. მინდა, შევქმნა სამგლოვიარო მესა, რათა გაისად, მისი გარდაცვალების წლის თაყუშე შეასრულონ. ხმების გადაწერის ხარჯს მე გავიღებ და ვუღირიუორებ კიდევ რეპეტიციებზეც და ტაძარში შესრულების დროსაც...“

13 ივლისი. გენუაში გარდაიცვალა ანუელო მარიანი. მისმა სიკვდილმაც ძალიან დასწყვიტა გული ვერდის:

„რა უბედურებაა ხელოვნებისათვის!“

ივლისის დამღვეი. ვერდი და ჯუზეპინა პარიზს მიემგზავრებიან.

სექტემბრის დამღვეი. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის:

„მგონი დაღვა დრო „აიდას“ პოპულარიზაციისა. ხუთჯერ ისეთი წარმატება ხვდა, რომ ჩემი სიჯიუტე ნამღვილად ზედმეტია. არასოდეს არაფერი არ უნდა გააზვიადო ადამიანმა...“

10 სექტემბერი. ვერდი და ჯუზეპინა იტალიაში ბრუნდებიან ფრეჯიუს გვირაბით, ეს პირველი სარკინიგზო გვირაბია.

მაცონის ხსოვნისადამი მიძღვნილ რექვიემზე მუშაობა წინ მიიწევს.

დეკემბრის დამღვეს, გენუაში „რექვიემზე“ მუშაობა დასასრულს უახლოვდება.

1874

იანვარ-თებერვალი. „რექვიემის“ შესრულებას ისეთივე სიძნელეები შეხვდა, როგორც 1869 წელს ბოლონიაში როსინის ხსოვნის პატივსაცემად შესრულებულ მესას.

24 თებერვალი. მილანის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე სხდომაზე განიხილავენ პრობლემებს, რაც ადვილობრივ ხელისუფლებს შეექმნათ „რექვიემის“ შესრულებასთან დაკავშირებით. ვინც ყოყმანობდა, იმათ ბოიკომ უპასუხა, ენერგიულად დაიცვა ვერდის იდეები და გაიმარჯვა კიდევ.

მარტის დამღვეი. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის („რექვიემის“ შესახებ):

„მინდა ყურადღება მიაქციოთ, რომ ჯერ არაფერი, თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. გვეყავს ორი მოძღვრალი და იმათაც თვითონვე შემოგთავაზებს, ჩვენ ვიმღვრებით... დაბუჯითებით მოვითხოვ, რაც შეიძლება ძალე გადაწყდეს ყველაფერი“.

8-11 მარტი. ვერდი - ტიტო რიკორდის იმის შესახებ, რომ ნეაპოლში დაამახინჯეს „აიდა“:

„ჩემთვის ეს მატერიალური დაინტერესება კი არ არის, არამედ ხელოვნების ღირსების საკითხია, მატერიალური მხარე რომ მაინტერესებდეს, ვინ შე-

მიშლიდა ხელს, „ტრაგიატას“ შემდეგ წელიწადში თითო ოპერა დამეწერა და დიდი შემოსავალი მქონდა. მე ხულ სხვა მიზნები მქონდა ხელოვნებაში (ამის დასტურია ის ზრუნვა, რაც ბოლო ოპერისადმი გამოვიჩინე) და მივალწედი კიდევ რაღაცას, წინააღმდეგობა რომ არ შემხვედროდა ან უგულობა ყველგან და ყველასაგან!“

15 აპრილი. „რექვიემი“ დამთავრებულია!

18 აპრილი. ვერდი სწერს მარია ვალდმანს:

„მაისის პირველივე დღეებში ჩვენ ლათინურად დავიწყებთ ლაპარაკს...“

2 მაისი. ვერდიმ თვითონ ითავა „რექვიემის“ რეპეტიციების ჩატარება მილანში.

21 მაისი. პანს ფონ ბიულოვი ინფორმაციას ავზავნის მილანიდან გაზეთ „ალგემეინე ცეიტუნგში“: „სეზონის მეორე მოვლენა იქნება ხვალ წმ. მარკოზის ტაძარში ვერდის „რექვიემის“ შესრულება. იტალიური მხატვრული გემოვნების ყოვლისშემძლე ჩამომყალიბებელს იმედი აქვს, რომ ამით საბოლოოდ გააქრობს როხინის უკვდავების უკანასკნელ ნაშთებს, რაც მისთვის ასე უსიამოვნოა. „ტრუბადურისა“ და „ტრაგიატას“ ამ უმანაციისთვის უბრალო თვალის შეკლებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ყოველგვარი სურვილი გამქრალიყო ამ დღესასწაულზე დასწრებისა“.

22 მაისი. დიდძალი ხალხი დღესასწაულად აღიქვამს „რექვიემს“, რომელიც წმინდა მარკოზის ტაძარში შეასრულეს. დირიჟორობდა ვერდი, ხოლისტები — შტოლცი, ვალდმანი, კაპონი, მაინი.

25 მაისი. „ლა სკალაში“ „რექვიემის“ შესრულებას კიდევ უფრო მეტის აღფრთოვანებით შეხვდა მაყურებელი.

26 მაისი. ვერდი და ჯუზეპინა პარიზს მიემგზავრებიან.

9 ივნისი. პარიზში „რექვიემის“ შესწავლას ვერდი ხელმძღვანელობდა და მისივე დირიჟორობით შესრულდა; და იქაც ისეთივე წარმატება ხვდა; ექვსჯერ მოუხდათ გამეორება.

ვერდი — რიკორდის:

„მგონი, ნამდვილი წარმატებაა... ორკესტრი შესანიშნავად ასრულებდა... მამაკაცთა გუნდი ისეთივე კარგი იყო, როგორც მილანში, იქნებ ცოტა უკეთესიც, ხოლო, ქალების გუნდი ვერაფრით შეედრება სკალას სოპრანოებს...“

ივლისის დამდეგი. ვერდიმ და ჯუზეპინამ ცოტა ხანი დაჰყვეს ლონდონში და მერე სანტ-აგატაში დაბრუნდნენ.

ნოემბერი. ვერდი გენუაში დაქირავებული პალაცი საულიდან, გადასახლდება ახალ საზამთრო ბინაში — პალაცი დორიაში. მინისტრ მინგუტის წარდგინებით, ხელმწიფემ ვერდი სენატორად დანიშნა.

21 ნოემბერი. ვერდი სწერს პიროლის:

„პირდაპირ გული ამიჩუყა ასეთმა დიდმა დაფასებამ, მაგრამ რით დავიმსახურე? და გარდა ამისა... ასეთი ნავსი სენატორი? ასეა თუ ისე, მინისტრს ხვალვე მივწერ მაღლობის წერილს, ჯერჯერობით კი თქვენი მაღლობელი ვარ, რადგან ამაში ნამდვილად თქვენი ხელი ურევია“.

22 ნოემბერი. ვერდი კლარა მაფეის:

„...ჩვენ შორის დარჩეს და, უკეთესი არ იქნებოდა ამ პოსტზე სხვა დაუნიშნათ? მე რა გაუაკეთე? ან რისი გაკეთება შემიძლია? აღარც კი ვიცი, რა ეთქვა. მართალი თუ გინდათ, ეს ძალიან შემიშლის ხელს, სარგებელს კი ვერაფერს მომიტანს.“

ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით, მხოლოდ თქვენ, რადგან სხვამ რომ გა-

იგოს, იფიქრებს უზრდელი და უმაღური... სენატორის შეუღლებს ქვეყნად ყველაზე პროზაული სენი შეეყარა — ისეთ ადგილზე აქვს ძირმაგარა, რომელსაც ვერ დაკასახებლებ...”

5 დეკემბერი. სენატის სამდივნომ თხოვნით მიმართა ვერდის: შეგვატყობინეთ თქვენი წოდებები და რა რაოდენობის გადასახადს იხდითო. კომპოზიტორმა საშინლად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და პირიქით მიხსწერა:

„ჩემი წოდებები? მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ოპერების შექმნის მეტი არაფერი გამოიკვთება... არ ვიცი, შეიძლება თუ არა ახლა უარი ვთქვა, როცა უკვე მივწერე მინისტრს, თანახმა ვარ-მეთქი; მაგრამ ის კი ვიცი, რომ ფეხს არ მივაღვამ სენატში და არც ფიცს დავდებ“.

ბოლოს და ბოლოს ჯუზეპინამ მაინც შეადგინა ვერდის თორმეტამდე ჯილდოს სია, გადასახადის ცნობაც აიღო, რომელიც აუცილებელი იყო ქონების ცენზის დასადგენად. სამდივნომ ყველაფერი მოწესრიგებულად ჩათვალა. მაგრამ ვერდი სხვა აზრისაა: იგი არ გამოცხადებულა სენატში და, რაღა თქმა უნდა, არც ფიცი დაუდვია.

1875

იანვარი. ვერდი „რეკვიემისთვის“ სწერს ახალ ვარიანტს — „ლიბერ სკრიპტუსს“, რომელიც მეცო-სოპრანო ვალდმანმა უნდა შეასრულოს.

25 იანვარი. ევროპაში მომავალი ტურნეს შესახებ ვერდი სწერს ტიტო რიკორდის:

„სამწუხაროდ, გავიგე, ბერლინსა და ვენაში სიძნელეებს წააწყდნენო; თუ ეს გეგმა ჩაიშალა, ლონდონში ჩახვალა აღარა ღირს. ლონდონი, ბერლინი, ვენა, მერე ისევ პარიზი — ამას მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, და ვფიქრობ, მხატვრული აზრით. მხოლოდ ლონდონი კი უბრალოდ კონცერტს ნიშნავს და მეტს არაფერს“.

12 თებერვალი. პიროლისადმი მიწერილი წერილიდან:

„...საქმე ძალიან ცუდად მიდის... მომავალშიც კარგს ვერაფერს ვხედავ, თუ ისევ არ აკიაფდა ჩვენი ბედნიერი ვარსკვლავი და მთავრობაში ნიჭიერი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანები არ მოხვდნენ. ვინც განდა იყვნენ: წითლები, თეთრები, შავები, ოღონდ საქმე იცოდნენ“.

15 მარტი. ვერდი უპასუხებს ჯულიო რიკორდის, რომელმაც სთხოვა, „ღა სკალას“ დაეხმარეთ:

„ახალგაზრდა რომ ვიყო, თეატრს სხვა მიმართულებას მივცემდი, მაგრამ ამისთვის მართლაც ახალგაზრდა, ძლიერი, თავდაჯერებული და გაბედული ადამიანი უნდა იყო... ყველა თანამედროვე კომპოზიტორია — შიშის პროდუქტია. ყველას ეშიხია, მაყურებელსაც კი...“

ანტირეპრიზაში უთხარიო, რომ არავის არ მიანიჭონ განსაკუთრებული უპირატესობა რეპერტუარში, შეეცადონ აიცდინონ წლებანდული მოწყენილობა (თეატრში წარუმატებლობაზე უარესი მოწყენილობაა) და დაინახავთ, რომ საქმე გამოსწორდება“.

30 მარტი. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის რომში „აიდას“ დამახინჯებულ დადგმაზე:

„...თუ ერთი პარტია ან სპექტაკლის ნაწილი მეტისმეტად თვალში საცემია, ეს მოელს ოპერას ვნებს. მაშინ ეს დრამა კი აღარ არის, არამედ კონცერტია...“

3 აპრილი. ჯულიო რიკორდისადმი მიწერილი წერილიდან:

„რიკორდის ფირმას შეუძლია, იუკი მოისურვებს, აღარ გაყიდოს ჩემი სამი ბოლო ოპერა... მაგრამ იმის ნებას კი არავის მაკცემ, შიგ შესწორებები შეიტანონ...“

14 აპრილი. ვერდი და ჯუზეპინა პარიზში – საკონცერტო ტურნეს/პირველ პუნქტში ჩადიან.

19 აპრილი. პარიზში „რეკვიემს“ უდიდესი წარმატება ხვდა, ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ შვიდჯერ გაიმეორეს.

15 მაისი. ტურნეს შემდეგი პუნქტია ლონდონი. ალბერტ-პოლის მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო „რეკვიემი“.

11 ივნისი. ვენის სამეფო ოპერაში „რეკვიემს“ უდიდესი წარმატება ხვდა. „...ერთი სიტყვით, ასეთ კონცერტს ჩვენ ვეღარასოდეს მოვისმენთ...“

26 ივნისი. რიკორდის სიფრთხილის გამო ბერლინში ვეღარ მოხერხდა კონცერტის ჩატარება, რამაც ვერდის ძალიან დასწყვიტა გული. ასე რომ, ტურნეს დამთავრებისთანავე, ვერდი და ჯუზეპინა ვენეციის გაულთ სანტ-აგატაში ბრუნდებიან.

16 ივლისი. ცოტა რომ დაისვენა ტურნეს შემდეგ, ვერდი არივაბენესადმი მიწერილ წერილში სხვადასხვა მუსიკალურ მიმართულებაზე ამახვილებს ყურადღებას:

„...ერთს უნდა შელოდისტი ვიყო ბელინჯით, მეორეს – ჰარმონისტო, რიგორც შეიერბერი. მე არც ერთი მინდა ვიყო და არც მეორე; მხოლოდ ის მინდა, რომ ახალგაზრდები, როცა მუსიკას წერენ, არ გამოედევნონ არც შელოდისტობას, არც ჰარმონისტობას, არც რეალისტობას ან იდეალისტობას, არც იმას, რომ მომავლის მუსიკოსთა მიმდევრები გახდნენ. დასწყევლოს ღმერთმა, ყოველისმცოდნეები ხომ არ გახდებიან!“

შელოდია და ჰარმონია მხოლოდ საშუალება უნდა იყოს ხელოვანისთვის, რომ მუსიკა შექმნას...“

აგვისტო. ტერეზა შტოლცმა ჯუზეპინას მიპატიჟება მიიღო და რამდენიმე კვირა სანტ-აგატაში გაატარა.

სექტემბერი. ფლორენციაში შტოლცის მონაწილეობით შესრულდა „რეკვიემი“ და დიდი წარმატება ხვდა. სკალაბერნი, რომელიც ერთ დროს ეწინააღმდეგებოდა როსინისადმი მიძღვნილი მესის შესრულებას, ახლა „რეკვიემის“ შესრულების წინააღმდეგია. ერთ-ერთ ფლორენციულ გაზეთში იგი აქვეყნებს ანონიმურ „მამხილებელ“ წერილს შტოლცზე, ვერდიზე და მათ ინტიმურ კავშირზე.

სექტემბერ-დეკემბერი. სანტ-აგატაში ვერდის წესრიგში მოჰყავს თავისი ფინანსური საქმეები. კომპოზიტორი თხოვს დიუ ლოკლის, დააჩქაროს „აიდას“ კონორარის გამოგზავნა, რომელსაც 1870 წლიდან ამოდ ელოდება; დე საჩკტისს თხოვს 1872 წლის ვალის დაბრუნებას, და ბოლოს, ამოწმებს რიკორდის ფირმის ანგარიშებს „როგოლეტოს“ დადგმის დროიდან (1851). გაირკვა, რომ ფირმის საბუღალტრო ანგარიშები ზუსტი არ არის და კომპოზიტორს ერგება კიდევ ხუთიათას ლირაზე მეტი. ბოლოს, რათა წლის ბოლომდე წესრიგში მოიყვანოს თავისი დაუმთავრებელი საქმეები, ვერდი რომში ჩადის და სენატორის ფიცსა სდებს.

1876

5 თებერვალი. ვერდი გენუიდან წერილს სწერს არივაბენეს და უხატავს იტალიისა და საზღვარგარეთის სცენური მუსიკის მდგომარეობის სურათს:

„როცა ახალგაზრდები შეიგნებენ, რომ არ არის საჭირო სინათლის ძებნა მენდელსონის, შოპენის და გუნოს ნაწარმოებებში, მაშინ შეიძლება იპოვონ ეს სინათლე. ყველაზე სასაცილო კი ის გახლავს, რომ ისინი დრამის მაგალითად ისეთ კომპოზიტორებს ასახელებენ, რომელთაც დრამატულობის ჩატარალიც არ გააჩნიათ.“

შენ, ალბათ, გიკვირს, ასე რომ ვლაპარაკობ „ფაუსტის“¹ ავტორს მაგრამ უნდა ვითხრა, რომ გუნო ძალიან დიდი კომპოზიტორია, საფრანგეთში ყველაზე დიდი... მაგრამ დრამატული ძარღვი არ გააჩნია...

კარგი იქნებოდა მუდმივი („რეპერტუალური“) თეატრი არსებობდეს, მაგრამ, არა მგონია, ეს განხორციელდეს. მაგალითები პარიზისა და ვერმანიის საოპერო თეატრებისა ჩემთვის არაფერს ნიშნავს, რადგან ამ თეატრების სპექტაკლები სინანულს იწვევს. ჩრდილოური ტემპერამენტის მაყურებელს იქნებ მოეწონოს კიდევ ეს სპექტაკლები, მაგრამ, აბა, სცადე მათი გადმოტანა იტალიის თეატრში და ნახავ, რა სიმფონიასაც მოგიწევს მაყურებელი!.. ნეტა, მოეწონება ჩვენს მაყურებელს მუდმივი თეატრალური დასი სამი წლით მაინც?“

5 მარტი. რვა წლის წვალუბის შემდეგ, მილანში გარდაიცვალა პიავე.

მარტის დამლევით. ვერდი და ჯუზეპინა მიემგზავრებიან პარიზში, სადაც „აიდას“ რეპეტიციები უნდა დაიწყოს.

22 აპრილი. „აიდას“ პრემიერას (იტალიურ ენაზე), ავტორის შრომისა და გარჯის შემდეგ, დიდი წარმატება ხვდა. გაზეთებშიც კარგი რეცენზიები დაიბეჭდა.

2 ივნისი. კვარტეტი სიმებიანი საკრავებისთვის პარიზში, მსმენელების ვიწრო წრეში შესრულდა და მოწონება დაიმსახურა.

18 ივნისი. ვერდი და ჯუზეპინა სანტ-აგატაში დაბრუნდნენ.

1 ივლისი. ვერდი სწერს კლარა მაფეის:

„რას გაკეთებას ვაპირებ? თქვენ ამბობთ, რომ ჩემი ვაღია გავაგრძელო მუსიკის წერა! მაგრამ არა: არაფრის დაწერას არ ვაპირებ. ან კი რა საჭიროა? უსარგებლო საქმე იქნება: მე კი უსარგებლოს სულ არაფერი მირჩევნია... თუმცა, თუ სურვილი მექნება, ჩემივე სიამოვნებისთვის შევქმნი და ჩემს სახლში...“

ზაფხულში სანტ-აგატაში სტუმრად ჩამოდის ჯერ მუციო, მერე ტერეზა შტოლცი.

20 ოქტომბერი. ვერდი სწერს კლარა მაფეის:

„ვენუაში ვნახე „დროის რჩეულნი“ (ტორელის კომედია). ამ პიესას დიდი ღირსებები აქვს. უპირველეს ყოვლისა, მოქმედების სწრაფი განვითარება, რაც წმინდა ფრანგული თავისებურებაა, მაგრამ ბევრს არაფერს გვეუბნება. იქნებ კარგიც იყოს, როცა სინამდვილეს ბაძავენ, მაგრამ სინამდვილის გამოგონება უკეთესია, ბევრად უკეთესი. თითქოს ურთიერთგამომრიცხველი აზრია ამ სიტყვებში — სინამდვილის გამოგონება! მაგრამ, აბა, ერთი მაშას¹ ჰკითხეთ. ადვილი შესაძლებელია, მაშა მართლაც შეხვედროდეს ვინმე ფალსტაფს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, შეხვდეს ისეთ არამზადას, როგორც იაგოა და შეუძლებელია (ეს არასოდეს, არასოდეს არ მოხდება) შეხვდეს ისეთ ანგელოზებს, როგორებიც არიან: კორდელია, იმოვენა და დეზდემონა და ა. შ. არადა, ესენი ხომ სავსებით რეალურები არიან? სინამდვილის მიბაძვა დიდებული საქმეა, მაგრამ ეს ხომ ფოტოგრაფიაა და არა მხატვრობა“.

1. ვერდი გულისხმობს შექსპირს — დრამის მამას. (ავტორის შენიშვნა).

2 იანვარი. არივაბენესადმი მიწერილი წერილიდან:

„საინტერესო ის არის, რომ ამ თავისუფლების ეპოქაში არავინა გრძნობს თავს თავისუფლად, და ვერავინ ბედავს სიმართლის თქმას“

21 მარტი. ვერდი არივაბენეს:

„კვარტეტი მართლაც საკმაოდ კარგად მიიღეს, და არა მარტო იტალიაში. რამდენიმე დღის შემდეგ მთხოვეს, ნება მიმეცა ლონდონში შეესრულებინათ, უნდათ, ყოველ პარტიას ოცამდე შემსრულებელი დაუმატონ. ძალიან კარგი იქნება 80 მუსიკოსის შესრულებით, თუნდაც იმიტომ, რომ კვარტეტში არის ფრაზები, რომელთა ფღერა უფრო სრული, ღრმა უნდა იყოს, ვიდრე ერთი ვიოლინოს წვრილი ხმაა, კინაღამ არ ვუპასუხე: მე თვითონ ჩამოვალ-მეთქი, მაგრამ კიოლნის ფესტივალზე უნდა წავიდე, რომელიც 20, 21, 22 მაისს ჩატარდება...“

მარტის დამლევი. „ლა სკალას“ თეატრმა განაახლა „ბედის ძალა“. სპექტაკლი ძალიან სუსტი გამოვიდა და ვერდი სწერს რიკორდის:

„...მსოფლიოს პირველი თეატრი! ასეთი პირველი ექვსი თუ შვიდი ეიცო; სინამდვილეში კი სწორედ ამ თეატრებშია ხშირად ცუდი სპექტაკლები...“

აპრილი-მაისი. ვერდის დიდა მიწერ-მოწერა აქვს ფერდინანდ გილერთან კიოლნის მუსიკალური ფესტივალის მომზადებასთან დაკავშირებით.

მაისის შუა რიცხვები. ვერდი და ჯუზეპინა კიოლნში არიან.

22 მაისი. არივაბენესადმი მიწერილი წერილიდან:

„უპირველეს ყოვლისა, უნდა ვითხრა, რომ დაღლილობამ ლამის მიმასიკვდილა; რეპეტიციებმა იმდენად არ დამძალა, როგორც გაუთავებელმა ფუსფუსმა, მიპატივებამ, ვიზიტებმა, სადილებმა, ვახშმებმა და ა. შ. როგორც შემეძლო, უარს ვამბობდი, მაგრამ... კვარტეტების საზოგადოებამ მიინდომა ჩემი კვარტეტის შესრულება; შესანიშნავად უკრავდნენ...“

ბოლოს: გუშინ საღამოს შესრულდა მესა, გუნდში 500 კაცი მღეროდა, ორკესტრში — 200, ანსამბლი — და არა ოთხი სოლისტი — შესანიშნავი იყო. მესას უდიდესი წარმატება ხვდა. გუნდის ქალბატონებმა... მაჩუქეს ვერცხლით მოყარაყებულ სპილოს ძვლის სადირიფორი ჯოხი, ხოლო ქალაქელმა ქალბატონებმა მშვენიერი, ვერცხლისა და ოქროს გვირგვინი... მერე ფესტივალის მონაწილეებმა მომართვეს რეინის ხელებიანი უშუკლებელი ალბომი“.

ვერდი — პიროლის:

„მე მგონი, შესანიშნავი იქნებოდა, მინისტრის თანხმობა რომ მიგედოთ გილერის დაჯილდოებისთვის. უბრალოდ კავალერის წოდება კი არა, უმაღლესი ხარისხისა.“

ფერდინანდ გილერი გახლავთ მუსიკის დოქტორი, ერთ-ერთი დიდი მუსიკოსი გერმანიაში, კონსერვატორიის დირექტორი, და აგრეთვე, ცნობილი რეინის ფესტივალის დირექტორი...“

ივნისი. ვერდი და ჯუზეპინა, პოლანდიასა და ბელგიაზე ვავლით, ჩადიან პარიზში, იქიდან კი, რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ სანტ-აგატაში მიემგზავრებიან.

22 ივნისი. ვერდი თავის პოლანდიურ შთაბეჭდილებებს პიროლის უზიარებს:

„მოწყენილობა და ერთფეროვნება სუფევს პროვინციაშიც და ქალაქებშიც. მაგრამ ძველი მხატვრების საოცარი სურათები აქეთ, უპირველესად, რემბრან-

ტისა; აგრეთვე, რამდენიმე პატარა მუხეუმი, სადაც თანამედროვე მხატვრების სურათებია გამოფენილი, განსაკუთრებით პარლემში... როტინდამში წმ. ლორენცის ეკლესიის კაშიდან რომ გადავიხედე, გამოგნა, ღამის შემაშინა, ჩემ წინ გადამლიღმა სურათმა: ველი, რომელზეც არხების მეტი არაფერი ჩანს, მხოლოდ არხები — წინ, უკან, მარჯვნივ და მარცხნივ. შევეჩინებო კი მაღალი დაშბიდან დანახულმა ხელმა მომგვარა შიში: ერთ მხარეს უკიდუგანო, სველიანი ჩრდილოეთის ზღვა, რომლის წყალი (ერთი შეხედვითაც ჩანს) მიქცევის დროსაც კი იმ მიწაზე ძალდა, რომელიც მეორე მხარეს მოჩანს. დიდი ვაჟკაცობა უნდა, რომ კაცმა აქ ყოველ ღამე მშვიდად დაიძინოს.

წლის ბოლოს ვერდი და ჯუზეპინა გენუაში არიან, პალაცო დორიაში. ჯუზეპინა შეუძლოდა, რევმატიზმი სტანჯავს.

1878

25 იანვარი. მაცუკატოს გარდაცვალების შემდეგ პიროლიმ სთხოვა ვერდის, იქნებ იკისრით მილანის კონსერვატორიის დირექტორობაო, რაზეც ვერდი უპასუხებს:

„თქვენ კარგად იცით... რომ არ შემიძლია და არც მინდა რაიმეს გაკეთება, გარდა იმისა, რომ ხანდახან რამდენიმე ნოტი ჩავიწერო. სხვა არაფერი მინდა. მე გლახად დავიბადე და გლახადვე დავრჩი, მხოლოდ სუფთა პაირო და სრული თავისუფლება მჭირდება. კონსერვატორიის ხელმძღვანელობა ჭკუაზე შემძლიდა...“

იცით, თქვენს ადგილზე რას გავაკეთებდი? ვთხოვდი... კოსტას, სახელგანთქმულ ლონდონელ დირიჟორს. იგი საქმის კაცი გახლავთ, და თანაც, რკინის ხასიათი აქვს. აი, ვინ მოერგებოდა მაგ პოსტს...“

8 თებერვალი. ვერდი სწერს არივაბენს ჯინო მონალდის წიგნზე „ვერდი და მისი ოპერები“:

„მეც წავიკითხე, უფრო სწორად, თვალი გადავაგლე მონალდის ბროშურას. უამრავი უზუსტობაა! თავისთავად ცხადია, ასეთი ბროშურა სავსე იქნება შეცდომებით, მაშინაც კი, როცა ნაწარმოების გმირის მიერ არის შთაგონებული, რადგან, ამ შემთხვევაში, ავტორი, თავმოყვარეობისა ან პატივმოყვარეობის გამო, ვეღარ ამიშვლებს ცუდს, კარგს კი აზვიადებს. ვაი, რომ ძალიან ცოტანი არიან გულწრფელი, ამაღლებული სულის ადამიანები! სწორედ ამიტომ, ასეთ ბროშურებში იმეორებენ სხვების მიერ აღრე გამოთქმულ აზრებს იმავე თემაზე; ხოლო, რაც არ იციან, თვითონ იგონებენ...“

12 თებერვალი. იმასთან დაკავშირებით, რომ თითქმის ერთდროულად, ზედიზედ წაყიდნენ ამ ქვეყნიდან მეფე, პაპი და გენერალი ლამარმორა, ვერდი კლარა მაფეისა სწერს:

„უტყობა, ახლა ყველა მიდის ამ ქვეყნიდან! ყველანი! ახლა რომის პაპიც მიიცვალა! საწყალი პაპი. რა თქმა უნდა, იმ პაპის მომხრე არა ვარ, რომელიც Sillabo-ს გამოსცემს, მაგრამ ვემხრობი ისეთ პაპს, რომელიც შემწყვალა და აცხადებს: „ღმერთო, დალოცე იტალია...“ უამისოდ ღმერთმა უწყის, რა მოგვივიდოდა დღეს! მას ბრალს სდებენ იმაში, რომ უკან დაიხია, სიმამაცე არ ეყო იულიუს II-ის ხმალი დაუკიდა. საბედნიეროდ! დავუშვათ, მას 1848 წელს ავსტრიელები გაეყარა იტალიიდან, მაშინ ახლა რა იქნებოდა? მღვდლების მთავრობა! შესაძლოა, ანარქია და დანაწევრება! არა, ასე სჯობს! ყველაფერი,

რაც გაკეთდა — კარგიც და ცუდიც — ქვეყნის სასიკეთო აღმოჩნდა; და ყველაფერ ამის საფუძველი ადამიანის კარგი სული გახლდათ, კარგი იტალიელი...”

12 თებერვალი. ვერდი — პიროლის:

„...საშინელი სიღარიბეა; მძიმე მდგომარეობაა და, შესაძლოა, კვლავ უფრო მძიმე გახდეს, რაც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას დაემუქრება... შემწეობა ვამბობ!!! ნეტა, განახათ, ჩემი ძვირფასო პიროლი, რამდენი ღარიბ-ღატაკია ჩვენთან, და რამდენია მათ შორის ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდა, რომლებიც ეძებენ სამუშაოს, ვერ შიულობენ და ერთი ლუკმა პურისთვის მათხოვრობენ... პრეფექტები ცხენოსან ჟანდარმერიას, მსროლელთა რაზმებს აგზავნიან, რათა დემონსტრაცია აკრძალონ. და ღატაკები ამბობენ: „ჩვენ სამუშაოს და პურსა ვთხოვთ, ეგები კი ჯარისკაცებსა და ხელბორკილებს გვიგზავნიან...“

26 მაისი. ვერდი სანტ-აგატიდან სწერს არივაბენეს:

„შენ ველარ იცნობდი ჩვენს სახლს, ახლა რომ განახა (ნეტა, როდის ჩამოხვალ?). ალბათ, იფიქრებ ცოტა შეიშალაო, მაგრამ არც ისეთი შეშლილი ვარ, როგორც უჩანვარ: ერთი მხრივ, სამუშაო მართობს, მეორე მხრივ, ცოტაოდენი ფული დაკხარჯე, რომ ღატაკებისთვის სამუშაო და ლუკმა პური მიმეცა...“ იმავე დღეს ვერდი უპასუხებს ფაჩოს, რომელმაც რჩევა სთხოვა: რომელი ნაწარმოებები შეეცანა „ლა სკალას“ ორკესტრის რეპერტუარში პარიზის ვასტროლებისთვის:

„სხვას ვერაფერს გაუკეთებ, ვარდა იმისა, რომ გიგზავნიო ჩემს გულითად სურვილს: „ლა სკალას“ ორკესტრს წარმატება ხედეს, ჩვენი სამშობლოს სადიდებლად...“

20 ივნისისათვის ფაჩო პარიზიდან სწერს ვერდის, „ლა სკალას“ ორკესტრს ტრიუმფალური წარმატება ხედაო...

26 ივნისი. ვერდი — ფაჩოს:

„როგორც ხედავთ, მართალი აღმოჩნდა, როცა მოგწერეთ ჩემი რჩევა საჭირო არ არის-მეთქი. ახლა კი გეტყვით, რომ საერთოდ არ მიყვარს რჩევის მიცემა. როცა რამეს ურჩევ ადამიანს, დაეჭვდება, გაუბედავი ხდება. წინ ის ხელოვანი მიდის, რომელიც არ ყოყმანობს...“

ზაფხული. ვერდი არივაბენეს:

„არ მინდა ჩავერიო იღუბის ქაოსში: სხვადასხვა, ჩვენი ბუნებისთვის უცხა ტენდენციებმა და მისწრაფებებმა გადააქოთეს იტალიის მუსიკალური ხელოვნება; ამ ქაოსიდან იქნებ ახალი (ახალი, მაგრამ არა ჩვენი) სამყაროც წარმოიშვას, უფრო სწორად კი — საერთოდ არაფერი გამოვა... „სკალას“ ორკესტრი ჩვენს ქვეყანას ღირსებას მატებს, მაგრამ არ ვიცი რამდენად სასარგებლო იქნება ჩვენი ხელოვნებისათვის. მოდი, სწორად გავუგოთ ერთმანეთს: ჩვენი ხელოვნება ინსტრუმენტული არ არის... გიხარია, როცა ხედავ სულ ახალ-ახალ საზოგადოებებს: კვარტეტები, ორკესტრები, და ისევ კვარტეტები, ორკესტრები, ორკესტრები, კვარტეტები, როგორც ფილიპი ამბობს: ამით გვინდა ხალხი დიდ ხელოვნებას ვაზიაროთ. ასეთ წუთებში ზოგჯერ უბადრუკი ფიქრი ამეკვიატება ხოლმე: „ამის მაგიერად, იტალიაში რომ შეგვექმნა ვოკალური კვარტეტები, რათა პალესტრინასა და მისი თანამედროვეების, მარჩელისის და ა. შ. მუსიკა შეესრულებინათ, — არ იქნებოდა დიდი ხელოვნება? აი, ეს იქნებოდა ნამდვილი იტალიური ხელოვნება... და არა სხვა რამ!.. მაგრამ ჩუმად! არავინ გამოიგოს...“

17 ოქტომბერი. ვერდის აღზრდილი, ფილომენა მარია ვერდი გათხოვდა ალბერტო კარარაზე.

ნოემბერი. ვერდი და ჯუზეპინა ცოტა ხნით პარიზს ჩადიან, სადაც მსოფლიო გამოფენას ათვალიერებენ.

1879

ერქუნიანი
გინეზიონისა

იანვარი. ფაჩო ატყობინებს ვერდის: „ღონ კარლოსს“ წარმატება ხვდა მილანში და კომპოზიტორი პასუხობს:

„ახლა მთავარია, ვიზრუნოთ ჩვენს თეატრზე, რომელიც დასნეულდა, სიკვდილის პირას არის და, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავარჩინოთ. ერთხელ თუ დახურეს თეატრი, მარჩა, აღარ გახსნიან. ამიტომ თუ „ღონ კარლოსმა“ შემოსავალი არ მოგვცათ, გადადევით და „ლაგორის მეფე“ დადგით.“

ასე უანგაროდ სთავაზობს ვერდი თავისი ოპერის მაგივრად მასხეს ოპერას, რადგან თეატრის ინტერესებს საკუთარ ინტერესებზე ძალდა აყენებს.

ვერდი სწერს მუსიკას ხუთხმიანი გუნდისთვის იტალიურ ტექსტზე „Pater Noster“.

2 მაისი. ჯულიო რიკორდი ყოველ ღონეს ხმარობს, აიძულოს ვერდი იმუშაოს. ამასვე კომპოზიტორი უპასუხებს:

„გუშინ მივიღე დიდი პაკეტი, რომელშიც, მგონი, „სიმონის“ პარტიტურაა. სანტ-აგატაში თუ ჩამოხვალთ ექვსი თვის, ერთი, ორი ან სამი წლის და ა. შ. შემდეგ, დაინახავთ, რომ ამ პაკეტისთვის ხელიც არ მიხვლია. აკი ვითხარით გუნუაში, რომ არ მიყვარს უსარგებლო რამ. მართალია, ჩემი სიცოცხლის მანძილზე ამის მეტი არაფერი მიკეთებია, მაგრამ წარსულში უფრო შემაძმებუქმბელი პირობები მქონდა.“

ახლა თეატრისთვის ისეთი უსარგებლო არაფერია, როგორც ჩემი ოპერა... თანაც, სჯობს „აიდათი“ და „რეკვიემით“ დავამთავრო, ვიდრე ვადაძმუშავებით“.

მაისი-ივნისი. მანტუისა და ფერარის შემოგარენში გამანადგურებელი წყალდიდობაა.

11 ივნისი. ვერდი — პიროლის:

„ამ ზამთარს სიძვირე და შიმშილი იქნება. კარგად ვიცი, რომ ხორბალს საზღვარგარეთიდან შემოზიდავენ... მაგრამ ხალხმა რით უნდა იყიდოს? თანაც, მთავრობა გადასახადს აღიდებს და უმნიშვნელო რკინიგზების გაყვანას აპირებს, ვითომდა, ხალხს სამუშაოს მიუცემთო; ეს ხომ ნამდვილი მასხრად აგდებაა. ღმერთო დიდებულო, თუ სახელმწიფოს მილიონები აქვს, მდინარეებს მიხედოს, სანამ სულ არ წავუღეკივართ!

რა უბედურები ვართ! ვის ხელში აღმოჩნდით!

ან პატივმოყვარეების ან უვიცებისა“.

23 ივნისი. ვერდი მილანში მიემგზავრება, რათა უხელმძღვანელოს „რეკვიემის“ რეპეტიციებს. რომელიც წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დასახმარებელ საქველმოქმედო კონცერტზე უნდა შესრულდეს.

30 ივნისი. საქველმოქმედო კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა — როგორც მორალურად, ისე მატერიალურად. თანაც, ის რამდენიმე დღე, რომელიც ვერდი მილანში გაატარა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჯულიო რიკორდის სამხედრო გეგმისთვის, მას უნდოდა კომპოზიტორს ახალი ოპერის დაწერის სურვილი აღძროდა. კონცერტის შემდეგ ორკესტრმა, ფაჩოს ხელმძღვანელობით, მაესტროს პატივსაცემად სერენადა შეასრულა, რამაც ვერდიზე დიდი

შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე დღეს, სადილობის დროს, რიკორდი და ფანო სიტყვას ჩამოუგდებენ ვერდის შექსპირზე, რისინის „ოტელოზე“ ფანომ და ბოიტომ ისარგებლეს იმით, რომ კომპოზიტორი დაინტერესდა და შესაძე დღეს ესტუმრნენ მას, თანაც, მისვლისთანავე ბოიტომ „ოტელოს“ ლიბრეტოს მონახაზი გაუწოდა ვერდის.

„წაიკითხე, მომეწონა... დაწერეთ პოემა, — ვუთხარი ბოიტოს — ან თქვენ გამოგადგებათ, ან მე, ან სხვა ვინმეს...“

18 ივლისი. ჯულიო რიკორდისადმი მიწერილი წერილიდან:

„...გაფრთხილებთ, რომ მე არაფერი მიკისრია და არც ვაპირებ ვიკისრო რამე, მინდა სრული თავისუფლება შევინარჩუნო...“

4 სექტემბერი. ჯულიო რიკორდომ მისწერა ვერდის, რომ ბოიტოსთან ერთად აპირებს ესტუმროს მას. ამაზე ვერდი უპასუხებს:

„თქვენ თუ ბოიტოსთან ერთად ჩამოხვედით, მე ეალდებული გაუხდები წაიკითხო მისი ჩამოტანილი ლიბრეტო. თუ ჩავთვალე, რომ ლიბრეტო სავსებით შესაფერია, ცოტა შებორკილად ვიგრძნობ თავს. თუ ლიბრეტო მომეწონა და ვთხოვე ზოგი რამ შეცვალოს და ისიც დამეთანხმა, მით უმეტეს შებორკილი გაუხდები. ხოლო, თუ შესანიშნავი ლიბრეტოა, მაგრამ მე მაინც არ მომეწონა, დიდი სისასტიკე იქნება ეს პირდაპირ განვაცხადო.“

არა, არა თქვენ ძალიან შორს შესტოპეთ და უნდა შეჩერდეთ, სასამ ჭორები და წყენა არ დაიწყო“.

6 სექტემბერი. ვერდი ურჩევს ჯულიო რიკორდის გამოსცეს ფერდინანდ ვილერის ერთ-ერთი ნაწარმოები:

„ნახავთ რა ჰარმონიებია! შესანიშნავია, რომ გილერი სრულიად განსხვავდება ვაგნერისაგან და ა. შ. ამ ნაწარმოებში კი ვაგნერზე პროგრესულია. ნამდვილი გოლდმარკია!“

გერმანელებში ეს მომწონს, იტალიელებში კი გულსა მწყვეტს. მათთვის სრულიად ბუნებრივია, ჩვენთვის — ხელოვნური, ნაცოდვილარი...“

სექტემბერი-ოქტომბერი. ვერდის მამულის მოურავმა, კორტინელამ, უსიამოვნება მიაყენა კომპოზიტორს: გამოირკვა, რომ მან რამდენიმე მსახურს სპეკულანტურ ფასში მიჰყიდა სახელმწიფო ობლიგაციები. ვერდომ დაითხოვა მოურავი.

დაახლოებით 6 ოქტომბერი. ოპერა „ოტელოს“ ლიბრეტოზე მუშაობის დროს ბოიტო სწერს ჯულიო რიკორდის: „ჩემს სიცოცხლეში არც ერთ ახლად წამოწყებულ საქმეს არ მოუყენებია ჩემთვის ამდენი მღელვარება, შფოთვა, რაც ამ თვეებში განვიცადე სულაერად და ფიზიკურად“.

10 ნოემბერი. მილანში ბოიტო ვერდის გადასცემს „ოტელოს“ ლიბრეტოს.

დეკემბერი. შენიშვნა ჯუზეპინას რეჟულში: „ვერდის, მგონი, მოეწონა, რადგან, წაიკითხა თუ არა, მაშინვე იყიდა (პოემა), მაგრამ... ისიც იქ, დადო, სადაც სომას პოემა „მეფე ლირი“ უდევს, რომელსაც უკვე 30 წელია ღრმად, მკვდარივით სძინავს მის ქაღალდებს შორის“.

იანვრის დაბლევით. ფანომ მიხწერა ვერდის და სთხოვა, უფრო სწრაფად ემუშავა „შოკოლადისაზე“ (ასე უწოდებდნენ ისინი „ოტელოს“ ერთმანეთში), მას სჯეროდა, რომ „ოტელო“ მატერიალურად წამოსწევდა იტალიურ ოპერას, რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ამაზე ვერდომ უპასუხა:

„კიდევ რომ გამოვიდეს „ოტელი“, ავადმყოფს სიცოცხლეს მხოლოდ რამდენიმე დღით გაუხანგრძლივებს. ისე რომ, მას ვერაფერს არგებს და ექიმის ვერავითარ კმაყოფილებას ვერ იგრძნობს...“

ვერდი სთხოვს დომინიკო მორელის გამოუგზავნოს ესკიზები ოტელის და იაგოს კოსტიუმებისა და ცალკეული სცენებისათვის.

თებერვალი. ვერდი და ჯუზეპინა პარიზს მიემგზავრებიან „აიდას“ პრემიერაზე, რომელსაც ფრანგულ ენაზე დგამენ.

კლარა მაფეისადმი მიწერილი წერილიდან:

„ოპერაში, მგონი, ოცდაექვს საათს ვატარებ დღე-ღამეში: მინდა ვიცოდე და დავინახო ყველაფერი, ამ თეატრში როგორ ექცევიან ჩემს ნაწარმოებს, მისი კვდილებამდე ვმუშაობ და, იქნებ, ამით ხელსაც ვუწყობ ოპერის ჩავარდნას... თუმცა იქნებ წარმატებასაც... ვინ იცის?..“

22 მარტი. „აიდას“ უდიდესი წარმატება ხვდა.

24 მარტი; ჯუზეპინა სწერს თავის დას ბარბერინას: „აიდას“ დებიუტი ვერდისთვის ნამდვილი ტრიუმფალური სვლა გახდა. მე კლარა ეცნობ პარიზელებს, რომლებიც ჩვეულებრივ მგზნებარეები არიან ხოლმე, მაგრამ თეატრში სრულიად გულგრილები. სულ სხვადასხვა წრის, სხვადასხვა ხელობის ქალები და კაცები ისეთ აღფრთოვანებაში მოიყვანა ვერდის მუსიკამ, რომ ჩვენ უკვე შეგვეშინდა, ხელში არ აეტაცათ და მისი რწევა არ დაეწყო...“

26 მარტი. ვერდი სწერს კლარა მაფეის:

„მგონი, 12 თუ 14 წლის წინათ გწერდით, რომ „დონ კარლოსმა“ უფერულად ჩაიარა. ახლა კი, ისეთივე სიწრფელით და მოურიდებლად გწერთ, რომ „აიდას“ წარმატება ხვდა. თუმცა, აქვე დაუშატებ: იმ დღეს თეატრში ისეთი კეთილგანწყობილება სუფევდა, რომ, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად უნდა დამთავრებულყო. ვნახოთ, ეს წარმატება ხანგრძლივი თუ იქნება“.

8 აპრილი. ჯულიო რიკორდისადმი მიწერილი წერილიდან:

„სწორედ ამ წუთში ვკითხულობ: ...„დღეს „სკალას“ კლუბში შეიკრიბებიან მილანის პატივცემული მოქალაქეები, რათა პატივი მიავონ ვერდის“ და და ა. შ. და მე, რომელმაც ეს ვიცო, უნდა ჩავიდე მილანში და მივიღო ეს თავიანთისცემა? არასოდეს! არასოდეს“.. თქვენ, ვინც მუდამ გარეული ხართ ასეთ საქმეებში, აუცილებლად უნდა წინააღუდგეთ ამას, დაუშალოთ აღიარების ყოველგვარი დემონსტრაცია. მომწერეთ, რომ მტკიცედ მპირდებით ამის შესრულებას, არა და, მე მილანში ჩამომსულელი არა ვარ“.

11 აპრილი. ჯუზეპინა სწერს თავის დას: „ლა სკალას“ თეატრში ბიუსტის უდგამენ ეპოქის უდიდეს კომპოზიტორს, ამჟამად ცოცხალთაგან პირველს, და ვერდის საშუალება ეძლევა თვითონვე მიიღოს მონაწილეობა საკუთარ აპოთეოზში“.

12 აპრილი. ვერდიმ მიიღო რიკორდის დამამშვიდებელი წერილი. ვერდი და ჯუზეპინა მილანს გაემგზავრნენ.

18 აპრილი. ქალაქი დილიდან მიესალმება ვერდის, დაფინის გვირგვინით ამკობს, ხოლო საღამოს მის პატივსაცემად „ლა სკალასში“ გამართულ კონცერტზე ასრულებენ ვერდის ორ ახალ ნაწარმოებს: „პატერ ნოსტერ“ და „ავე მარიას“.

19 აპრილი. ვერდი — არივაბენეს:

„შენ, ალბათ, უკვე გაიგე, რომ გუშინ აქ კონცერტი ჩატარდა და ა. შ. შესრულდა „პატერ“ და „ავე“. კარგად შეასრულეს და კარგადაც მიიღეს. გუნდში

370 მომღერალი მღეროდა, ორკესტრში — 130, მართლაც კარგი ანსამბლია!!!
 მაპატიე, რომ მოკლედ გწერ...”

ფილიპის რეცენზია ჟურნალ „პერსპექტივაში“:

„Pater“-ის სტილი მკაცრია, მაგრამ მისი ღელაარსი ნამდვილად ვერდი-
 სებურია, რაც ჩემთვის მთავარი ღირსებაა.

ფაქტურაში ნათლად სჩანს დიდი ერუდიცია, აკორდები დახვეწილია, მაგ-
 რამ იმიტაციებიც გვხვდება. „Ave maria“ ძალიან თანამედროვეა, მძაფრი,
 სიყვარულით სავსე, მონღენილი, ადვილ-ადვილ მგზნებარე, აქ უფრო მეტად გა-
 მოვლინდა ვერდის ინდივიდუალობა...”

21 აპრილი, ჯუზეპინა გენუიდან სანტ-აგატაში ვერდის უგზავნის მილოც-
 ვების ნაკადს და სწერს:

„ჩვენ ნუ ჩავერევით, საჩამ ზეიმის საფეხურები ცას არ მიადწევს, ოღონდ,
 მეც თან წამიყვანე. თვითონვე ნახავ, მე არაფრით გაგაბრუებ, მხოლოდ ჩუქად,
 მგრძნობიარედ ჩაგჩურჩულებ, როგორ მიყვარხარ და რა დიდ პატივს გცემ, ამა-
 საც მხოლოდ მაშინ, როცა სხვები სულის მოსათქმელად ან ცხვირის მოსაწმენ-
 დად გაჩუმდებიან“.

24 ივლისი, ჯულიო რიკორდი სწერს ბოიტოს: „ცოტა უნდა შევანჯღრიოთ
 ჩვენი ვერდი... თორემ, მგონი, მაურს წამინების ნება მისცა. დამდე უწმინდესი
 ტატივი და გაუგზავნე ბუსეტოში შენი დალოცვილი ფინალი...“

15 აგვისტო, ვერდიმ მიიღო ლიბრეტოს ფინალი, რომელიც მაინცდამაინც
 არ მოეწონა; იგი სთხოვს ბოიტოს რამდენიმე ცვლილება შეიტანოს.

14 სექტემბერი, ვერდი სწერს გილერს:
 „პირადად მე მხოლოდ მშენებლობას და მიწათმოქმედებას მივსდევ. მუ-
 სიკა ჩემს რთილშია ჩაკეტილი... ოტელიუს მშვიდად სძინავს, არც ღებდებოდა
 მოუკლავს და არც მსმენელი“.

იმავე დღეს ვერდი სწერს არივაბენეს:
 „...მე გლეხი ვარ, კალატოზი, დურგალი და, თუ საჭიროა, მუშაც... რო-
 გორც მთელ ოლქში, ჩემთანაც ბევრი მოჯამაგირის იჯარით აღებული სახლი
 დაფხავდა. ვიფიქრე, შევაკეთებ და ახლებს ავაშენებ-მეთქი, სანამ გვიან არ
 არის...“

14 ოქტომბერი, ვერდი — ბოიტოს:
 „დღეს მივიღე მესამე მოქმედების დასასრული: ღვთაებრივია!“
 მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერდი მაინც ცვლილებების შეტანას სთავა-
 ზობს.

20 ნოემბერი, ჯულიო რიკორდიმ გადაწყვიტა თეატრის რეპერტუარში
 შეეტანა „ბოკანეგრა“ და ამით იძულებული გაეხადა ვერდი ოპერა გადაემუ-
 შავებინა;

ამაზე ვერდი პასუხობს:
 „პარტიტურის ასე გამოცემა, როგორც ამჟამად არის, შეუძლებელია. მე-
 ტად სამწუხარო, მეტად უნუგეშოა! პირველ და ბოლო მოქმედებას არავითარი
 ცვლილება არ სჭირდება, მესამეს — მხოლოდ რამდენიმე ტაქტს, ხოლო მეორე
 მოქმედება მთლიანად უნდა გადაკეთდეს...“

„ო, პროგრესო, ცოდნავ, ვერიზმო... აჰ, აჰ, თუ გნებავთ, მეც ვერისტი
 ვარ, ოღონდ... შექსპირი ვერისტი იყო, მაგრამ არ იცოდა ეს. იგი შთაგონე-
 ბით იყო ვერისტი, ჩვენ კი წინასწარ განზრახვით, ანგარიშით ვართ ვერისტი-
 ბი... შესანიშნავია, რომ პროგრესის წყალობით ხელიუვნება წარსულს უბრუნ-

დება. ხელოვნებაში უშუალოა, ბუნებრიობა და სისადავე თუ არ იგრძნობა, ის ხელოვნება აღარ არის...“

დეკემბერი. რიკორდი „ბოკანეგრასთვის“ შესაფერისი მომღერლების შერჩევაშია. ბოიტიომ დაამთავრა „ოტელოს“ ბოლო ვარიანტი და მთელი ლიბრეტოს გადამუშავება დაიწყო.

უკრინუნი
ბიზანიონი

1881

15 თებერვალი. ბოიტიომ დაამთავრა „ბოკანეგრას“ გადაკეთება, ვერდიმ კი მეტი წილი გადაამუშავა. კომპოზიტორი მილანში მიემგზავრება მომღერლების მოსასმენად.

თებერვლის დამღევი. „სიმონ ბოკანეგრას“ ახალი ვარიანტის დადგმაზე მუშაობა დასრულდა.

მარტის დამღევი. ნეაპოლში გარდაიცვალა ჩეზარე დე სანკტისი.

დაახლოებით 20 მარტი. ნიცის ოპერის თეატრში იფეთქა ხანძარმა, ას ოცი ადამიანი დაიღუპა.

24 აპრილი. „ბოკანეგრას“ ახალი ვარიანტის პრემიერა „ლა სკალაში“, (დირიჟორია ფანო, მონაწილეობენ: დ'ანჯერი, მორელი, ტამანიო, სალვატი, დე გრიე).

2 აპრილი. არივაბენესადმი მიწერილი წერილიდან:

„თუ მართლა გინდა იცოდე, შემიძლია გითხრა: ჩემის აზრით, „ბოკანეგრას“, ისევე როგორც მის ბევრ ამხანაგს, შეუძლია თეატრები მოიაროს, მიუხედავად იმისა, რომ თემა მეტად სექსუალურია...“

5 აპრილი. ვერდი — პიროლის:

„მილანში რომ ჩამოსულიყავით, ისეთ მსახიობსა და მომღერალს ნახავდით, როგორც იშვიათად გვხვდება. მორელი ისეთი „ბოკანეგრას“, რომლის ბადალს მე პირადად ვეღარ ვნახავ... ნიცაში მომხდარმა უბედურებამ ძალიან იმოქმედა თეატრის შემოსავალზე“.

მაისი. პარიზში გარდაიცვალა ლიუნ ესკიუდიე. მისი ფირმა გაკოტრდა.

27 მაისი. ვერდი სწერს არივაბენეს (იმის შემდეგ, რაც ფრანგებმა ტუნისი დაიკავეს, რომელზეც იტალიის მთავრობას ჰქონდა პრეტენზია):

„ხომ არ გაგიჟდი?! პარიზში დავდგა „ბოკანეგრა“?! იქნებ ფიქრობ, რომ მესიამოვნება ამჟამად იქ ჩასვლა? არა! არაფითარ შემთხვევაში... არაფერს არ ვაკეთებ, სრულებით არაფერს (ბევრ იაგოს ვხედავ, მაგრამ ჩემსაზე არ ვმუშაობ). დღეები კი მაინც გარბიან...“

ივლისის დამღევი. ბოიტიო და ჯულიო რიკორდი, იმის იმედით, რომ „ოტელოს“ დასძრავენ ადგილიდან, მიემგზავრებიან ვერდისთან სანტ-აგატაში.

10 ივლისი. ბოიტიო სწერს ტორნავის: „მე და მაესტრომ დავაზუსტეთ უკანასკნელი საუჭვო ადგილები და ახლა სათანადო სახეს ვაძლევ ჩვენი მოლაპარაკების შედეგს“.

აგვისტო-სექტემბერი. ბოიტიომ დაამთავრა „ოტელოს“ ლიბრეტოს გადამუშავება.

25 ოქტომბერი. „ლა სკალას“ თეატრის ფოიეში დადგეს ბელინისა და ვერდის ბიუსტები (ვერდიმ შესწირა 2000 ლირა ბელინის ბიუსტის გასაკეთებლად, იმ პირობით, რომ მის ბიუსტს არ დადგამდნენ, მაგრამ ეს სურვილი არ შეუსრულეს).

იმავე დღეს. ტერეზა შტოლცი სწერს ვერდის სანტ-აგატაში: „ახლა ხან

დავბრუნდი შინ ზეიმით გულაჩუყებული, რომელიც მიეძღვნა ორი ქანდაკების გახსნას... მშენიერი, ამაღლებელი ზეიმი იყო; სიტყვების წარმოთქმა რომ დამთავრდა, ორკესტრმა შეასრულა განთქმული გუნდების მუსიკა „ნაბუქოდან“ და „ლომბარდიელებიდან“, აგრეთვე ინტროდუქცია „ნორმადან“.

29 ოქტომბერი. ვერდი — კლარა მაფეის:

„...იცით, რას ნიშნავს 25 ოქტომბერი „ლა სკალაში“? 25 ოქტომბერი (სამწუხაროდ ეს სრული სიმართლეა) და ვეტერანი ვარ, რომელსაც ინვალიდად თვლიან!“

8 დეკემბერი. არივაბენესადმი მიწერილი წერილიდან:

„...შენ ამბობ, საწყალი იტალიური თეატრით? ნეტა, სხვა სფეროში არ იყოს უბედურება და მხოლოდ თეატრში იყოს. მაგრამ სხვა სფეროებშიც რომ უარესი მდგომარეობაა! მართალია გერმანელი... ჩვენ აღარა გვაქვს საკუთარი ლიტერატურა, ხელოვნება, და არც მეცნიერება. ყველაფერი სხვისია, ის კი არა და, პოლიტიკურადაც ორი მესამედით იტალიელები აღარა ვართ. საშინელი სასოწარკვეთა შემიპყრობს ხოლმე, როცა ჩვენს საქმეებზე ვფიქრობ. ჩვენი დაცემის ნიშანი კი ის გახლავს, რომ გულგრილად ვიტანთ შეურაცხყოფას!.. საფრანგეთს ეძულვართ, გერმანია ახლა ზიზღით გვიყურებს, მომავალში კი მასაც შევძულდებით, არავის არ ვუყვარვართ და რისი იმედი უნდა გექონდეს? ამ უბედურებას დაუმატე უფრო უარესი — ჩვენ თვალს ვხუჭავთ იმ ურიცხვ უბედურებაზე, რომელიც გარს გვახვევია“.

23 დეკემბერი. ვერდი — არივაბენეს გენუიდან:

„...გუშინ საღამოს დავბრუნდი სანტ-აგატიდან... როგორც იცი, იქ მშენებლობა მაქვს... ამ მშენებლობაზე მუშაობს ორასამდე მუშა... ეს სამუშაოები მე არაფრად მარგია, რადგან სულაც არ უწყობს ხელს მიწის მოსავლიანობას; მაგრამ ხალხმა სამუშაო იშოვა და ჩემი სოფლიდან აღარ გარბიან“.

წლის ბოლოს ვერდის ოჯახს მუციო და შტიოლცი ესტუმრნენ. მათ ერთად მიირთვეს რიკორდის გამთავრებული საშობაო ძღვენი — შოკოლადის ფიგურებით მორთული ტკბილი ღვეხელი — რაც ნართაულად ნიშნავდა „შოკოლადისას“ ანუ ოტელოს. მუციო სწერს რიკორდის: „ჩვენ აღმოვაჩინეთ რომ, შენი ოტელო ქალია... ახლა შენი ჯერია, ვუთხარი მე მანესტროს — მიეცი მას კაცის სახე, ჩააცვი და ფეხზე დააყენე. ვანა მართალი არა ვარ?..“

1882

5 იანვარი. არივაბენესადმი მიწერილ წერილში ვერდი სწერს ბერლიოზზე, რომელიც გარდაცვალების შემდეგ ძალიან განადიდეს ფრანგებმა:

„...მას კარგად ჰქონდა განვითარებული ორკესტრირების გრძნობა, და ორკესტრის ეფექტებში ხშირად უსწრებდა ვაგნერს... ბერლიოზს თავშეკავების უნარი არა ჰქონდა, არც სიმშვიდე, და, ვფიქრობ, არც ზომიერების გრძნობა, რომელიც აუცილებელია ნაწარმოების სრულყოფისათვის. ყოველთვის აჭარბებდა, მაშინაც კი, როცა კარგს რასმე ქმნიდა“.

8 მაისი. ლუონ ესკიუდიეს ძმამ აღადგინა გაკოტრებული ფირმის უფლებები:

„ფასების კურსი“ ვერდის ოპერებზე:

„ბოკანეგრა“ — 320 ფრ.

„სიცილიური მწუხრის ლოცვა“ — 5400 ფრ.

„ღონ კარლოსი“ — 8100 ფრ.

„ერნანი“ და „იერუსალიმი“ — 13500 ფრ.

„აიდა“ — 54000 ფრ.

აპრილის დამლევს ვერდი და ჯუზეპინა სამი კვირით მიდიან ბარონში.

18 მაისი. ვერდი და ჯუზეპინა დასასვენებლად მიდიან მონტეკატინიში, კომპოზიტორმა „დონ კარლოსი“ უნდა გადაამუშაოს.

ზაფხულში ვერდი „დონ კარლოსის“ გადაამუშავებას იწყებს. ^{უჩინესული} დიდი მოცულობისა გამოდგა.

2 ივნისი. გარდაიცვალა გარიბალდი. ვერდი — პიროლის:

„...მართალი თუ ვნებავთ, ამ სოფლის (ვილანის გარდა) ღარიბი სნეულე-ბისთვის საავადმყოფო მხოლოდ პიაჩენცაშია, რომელიც მათგან 34 თუ 36 კი-ლომეტრით არის დაშორებული და ეს უბედურები მეტწილად გზაში კედებიან. ამ დღეებში პოდესტას ველაპარაკე, რომ მინდა რამდენიმე შენობა ავაშენო, პირველი დახმარების პუნქტები, ერთი სიტყვით, რაიმე, რაც ამ უბედურებს სიკვთეს მოუტანს“.

25 დეკემბერი. ვერდი — ჯულიო რიკორდის, რომელმაც დღესასწაულის-თვის ისევ გამოუგზავნა შოკოლადის ფიგურებიანი ღვეხელი:

„თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ მხოლოდ ფეხები აკლია? მე კი მგონია, რომ ყველაფერი აკლია: ხელები, ფეხები, თავი, მკერდის ძვალი, ყველაფერი, ყველაფერი... იმასაც ნახავთ, რომ ყველაფერ ამას მე შევქმნი. მაგრამ დრო არასოდეს მყოფნის! გარდა ამისა, ძალიან მაინტერესებს ეს დალოცვილი „დონ კარლოსი“, რომელიც, ვერც კი წარმოვიდგენდი, ისეთი კერკეტი კაკალი გა-მოდგა...“

შემდეგ ვერდი სწერს გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობებზე, სადაც მეტის-მეტად აზვიადებენ იმ საავადმყოფოს ზღამებს, ვერდი რომ აშენებს, და რაღაც ზღაპრებს სთხზავენ მის სიმდიდრეზე:

„...ჩემს უთვალავ სიმდიდრეზე რომ წერენ, გაზეთები სასტიკად ხუმრო-ბენ!!! უთვალავი!!! ან კი, როგორ ვიქნები ასეთი ძდიდარი? თქვენ სხვებზე უკუ-თესად იცით, როცა ბევრს ვწერდი, მაშინ ოპერებში ძალიან ცოტას უხდიდ-ნენ; ახლა, როცა კარგად უხდიან და ოპერების ავტორებს დიდი შემოსავალი აქვთ, მე თითქმის აღარაფერს ვქმნი“.

1883

21 იანვარი. ვერდი სწერს პიროლის:

„თქვენ კარგად იცით, რომ მინისტრმა ბაჩელიმ შექმნა კომისია მუსიკა-ლური და დრამატული ხელოვნების საკითხებზე... ამაში მეც უნდა მიმეღო მონაწილეობა.“

...შემიძლია თქვენ გაგანდოთ ის, რასაც მას ოფიციალურად ვერ ვიტყვი; არა მჯერა, რომ მე ვუშველი იმ უბედურებას, რომელზეც ასე დარდობს ბატონი მინისტრი. გერმანიზმმა დაგვახრჩო. ჩვენი ხელოვანნიც ამ დინებას მიჰყვებ-იან; აღარა სჯერათ იტალიური ხელოვნებისა და აღარც შეუძლიათ იტალი-ურად წერა. ასე კვდება ჩვენი თეატრი. კვდება იმიტომაც, რომ თეატრს ულო-ტაციოდ არ შეუძლია არსებობა. ამ მხრივ, მთავრობას შეეძლო, თუ მოისურ-ვებდა, მიხმარებოდა თეატრებს, დანარჩენში კი ვერა“.

2 თებერვალი. ვერდი — პიროლის:

„მიმაჩნია, რომ აქვე, ახლავე უნდა განვაცხადო — აღფრთოვანებული ვარ გერმანული ხელოვნებით, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელოვნებით. ის

უფრო აღმაფრთოვანებს, რომ გერმანულ ხელოვნების ქომაგებს შეუძლიათ გა-
უფრთხილდნენ მას, საკუთარი ბუნების შესაბამისად, და განავითარონ, როგორც
ეროვნული ხელოვნება. თავის დროზე, მსოფლიოში და მთელ სამყაროში ორი
მუსიკალური სკოლა იყო: იტალიური და გერმანული (დანარჩენები მაიგან გა-
მომდინარეობდნენ). ჩვენ, სხვისი სილამაზით დატყვევებულები, უარს ვამბობთ
საკუთარზე და ამან წარმოშვა ქაოსი!”

4 თებერვალი. ვერდიმ განუცხადა მინისტრს, რომ არ მიიღებს მონაწილე-
ობას ამ კომისიის მუშაობაში.

13 თებერვალი. ვენეციაში გარდაიცვალა რიჰარდ ვაგნერი.

15 თებერვალი. ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„მწუხარება! მწუხარება! მწუხარება! ვაგნერი გარდაიცვალა! გუშინ ტე-
ლეგრამა რომ წავიკითხე, თავზარი დამეცა. ახლა კამათის დრო არ არის. დიდი
პიროვნების სიცოცხლე შეწყდა! ეს სახელი გიგანტურ კეალს დასტოვებს ხე-
ლოვნების ისტორიაში!“

აპრილი. მილანის სასტუმროს ოთახში ვერდიმ უცებ გრძნობა დაკარგა.
მალევე მოსულიერდა, მაგრამ ჯუხუპინა ძალიან შეშინებულია.

მაისი-ივნისი. სანტ-აგატაში, ხოლო, შემდეგ მონტეკატინიში, ვერდიმ
მთლიანად აღიდგინა ჯანმრთელობა.

11 ოქტომბერი. ვერდი სწერს კლარა მაფეის, რომელმაც რამდენიმე კვი-
რის წინ დაკარგა ცხოვრების მეგობარი, პიუტი ტენკუ:

„წლები მართლაც რომ მეტისმეტად სწრაფად გარბიან, უკვე და უკვე ვფიქ-
რობ... უკვე იმას ვფიქრობ, რომ ცხოვრება უდიდესი სისამაგლეა... ამაოებაა.

აბა, რასა ქმნის ადამიანი?

ჩვენ რა შევქმენით? რასა ვქმნით? პასუხი ამ კითხვებზე დამამცირებელი
და დამაღონებელია: არაფერს!

18 ნოემბერი. ვერდი ყოფილ მიმღერალს, ახლა უკვე ჰერცოგის მეუღლე
მასარის, ულოცავს სამოცდამეათე წლისთავს და ჯანმრთელობას უსურვებს:

„რატომ უნდა დავწერო მუსიკა? თანაც მუსიკის შექმნა უდიდეს დამაბუ-
ლობას მოითხოვს. ხოლო, მე წარსულში ისე გადავიღალე, რომ ახლა სრული
უფლება მაქვს დავისვენო“.

ფაჩო დაყინებით სთხოვს ვერდის, დაიწყოს „ოტელლოზე“ მუშაობა: „...ბე-
დი თეატრისა, რომელსაც თქვენ გაფურჩქნას უსურვებთ, თქვენს ხელშია...“

26 დეკემბერი. ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„მე მართალი ვაქვი: „დავუბრუნდეთ წარსულს“, იმ თვალსაზრისით, რომ
წარსული ფუძეა, მყარი ნიადაგი; მე ის სიძველე მაქვს მხედველობაში, რომე-
ლიც ჩვენი დროის უკიდურესობებმა უარყვეს და რომელსაც ჩვენ, ადრე თუ
გვიან, ისევ დავუბრუნდებით. მანამდე კი, იდინოს ამ ნიაღვარმა, ჯებირს მოვ-
ვიანებით ავაგებთ“.

1884

იანვრის დამდეგი. ვერდი ჩადის მილანში, სადაც მონაწილეობას იღებს
„დონ კარლოსის“ ახალი ვარიანტის ბოლო რეპეტიციებში.

10. იანვარი. „დონ კარლოსის“ შემოკლებული ვარიანტის პრემიერა (მო-
ნაწილეობდნენ — ბრუსკი-კიატი, პასკუა, ტამანიო, ლერი, სილვესტრი) კეთილ-
განწყობით მიიღო მაყურებელმა.

20 იანვარი. ვერდი გენუიდან სწერს არივაბენეს:

„ვიცი, რასაც ნიშნავს ეს გულითადი შეხვედრა. ეს არ ეხება არც „ღონ კარლოსს“, არც უკვე დაწერილი ოპერების ავტორს. ეს ტაშისცემა გამოხატავდა: „თქვენ, ვინც ჯერ კიდევ ამქვეყნად შემორჩით, მიუხედავად ხიბურისა, თუ საჭირო გახდა, ქანციც მოიწყვიტეთ, თლანდ, ერთხელ კიდევ გავვაზიარო-ღეთ. წინ, ჯამბაზო, და გაუმარჯოს დიდებას!“

თუმცა, „ღონ კარლოსი“ კარგად შეასრულეს და რეჟისორმა შექმნა „ღონ კარლოსი“. გენუაში ვერდი, ბოიტოსთან ერთად ამთავრებს „ოტელოს“ ლიბრეტოს დამუშავებას.

გაზაფხულზე ბოიტო სწერს რეკორდის: „ძალიან კარგი ამბავი უნდა გაუწყოს, მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, არავის უამბო — არც შინაურებს და, წარმოიდგინე, არც საკუთარ თავს... ძაესტრო მუშაობს, უკვე დაწერილი აქვს პირველი მოქმედების დასაწყისის დიდი ნაწილი და, მგონი, გამხნევდა კიდევ“.

ბოიტო მიდის ნეაპოლში, თავისი ოპერის „მეფისტოფელის“ პრემიერაზე. პრემიერის გამო გამართულ ერთ ბანკეტზე მან გამოსთქვა აზრი, რომელიც დამახინჯებულად მოედო მთელ პრესას და ვერდიმ შეაჩერა ახალ ოპერაზე მუშაობა.

27 მარტი. ვერდი სწერს ფაჩოს, რომელიც ბოიტოს მეგობარია:

„...პუნგალოს“ მოაქვს ციტატა ნეაპოლის „პიკოლოდან“ შემდეგი სიტყვებით: „იავოს“ შესახებ ბოიტომ თქვა: თავიდან არ მიზიდავდა ეს თემა, მაგრამ ლიბრეტო რომ დავამთავრე, სინანული ვიგრძენი, რადგან მე თვითონ ვერა ვწერ მასზე მუსიკას“. ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვებისთვის, იქნებ, დიდი მნიშვნელობაც არ მიგვექცია, მაგრამ, სამწუხაროდ, საბაბს იძლევა სხვადასხვანაირად გავიგოთ... ბოიტო სინანულს გამოსთქვამს, რომ მას წილად არა ხვდა ამ თემაზე მუსიკის დაწერა: ეს, ბუნებრივია, გვაფიქრებინებს, რომ მას იმედი არა აქვს, ჩემი მუსიკა მოეწონოს. სავსებით ვეთანხმები ბოიტოს და მოგმართავთ: თქვენ, მის ძველ და ერთგულ მეგობარს თხოვნიით: მილანში რომ დაბრუნდებით, შეატყობინათ ბოიტოს სიტყვიერად და არა წერილობით, რომ მე წყენისა და ყოველგვარი სულიერი ყოყმანის გარეშე ვუბრუნებ ხელნაწერს, რომლისთვისაც ჯერ ხელი არ მიხლია. შემდეგ: ლიბრეტოს, რომელიც ჩემი საკუთრებაა, საჩუქრად ვთავაზობ, თუ სურს ამაზე მუსიკის დაწერა მოხარული ვიქნები, თუ მიიღებს ამ საჩუქარს, რადგან ამით ხელს შევუწყობ ხელოვნებას, რომელიც ყოველ ჩვენგანს უყვარს“.

23-24 აპრილი. ბოიტო სწერს ვერდის წერილს, რომელშიც უხსნის, რომ მისი ნათქვამი გახეთქება დაამახინჯეს, რომ მას არასოდეს უფიქრია „ოტელოზე“ როგორც თავის საკუთრებაზე. იგი არწმუნებს ვერდის:

„თქვენ ერთადერთი კომპოზიტორი ხართ, რომელსაც შეუძლია „ოტელოს“ აუღერება. ამ ჭეშმარიტებას ადასტურებს მთელი თქვენი თეატრალური ხელოვნება, რითაც ჩვენ ყველანი დაგვასაჩუქრეთ.“

თქვენ მზად იყავით გერუქებიანთ ჩემთვის „ოტელოს“ ლიბრეტო, რომ მუსიკა დამეწერა მასზე... მაგრამ თვითონ განსაჯეთ: აი, უკვე შეიღობა წელია ვმუშაობ ოპერა „ნერონზე“... არ ვიცი, დავამთავრებ თუ არა, ეს კია, რომ სხვა სამუშაოს გამო თავს არ გავანებებ, ხოლო, თუ ძალა არ მეყო „ნერონის“ დასამთავრებლად, არც ამაზე დაუდგრი ცრემლს... მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, „ოტელო“ არ მიატოვოთ. თქვენს მეტი მას ვერავენ დაწერს...“

ისევე აიღეთ ხელში კალამი და რაც შეიძლება ჩქარა მომწერეთ: „ძვირფასო ბოიტო, თუ შეიძლება გადააკეთეთ ეს სტრიქონები და ა. შ. და ა. შ. და მაშინვე სიხარულით გადავაკეთებ. მე შევძლებ თქვენთვის ვიმუშაო, მე, ვისაც

ჩემი საქმე ვერ გამიკეთებია, რადგან თქვენ ჭეშმარიტი, ნამდვილი ხელეწიერების სამყაროში ცხოვრობთ, მე კი პალუცინაციების ტყვეობაში ვარ“.

26 აპრილი. ვერდი — ბოიტოს:

„იმ წუთიდან, რაც თქვენ არ მიიღეთ ჩემი საჩუქარი, უაჩიოსადმი მიწერილ ჩემს წერილს აზრი ეკარგება... მე სხვა მიზანი არა მქონდა, ისე რომ ამაზე ლაპარაკი აღარა ღირს...“

გაუგებრობა რომ გაირკვა, „ოტელიოზე“ მუშაობაც დაჩქარდა. ბოიტომ ჯერ „იაგოს“ მონოლოგი დაწერა, განთქმული „კრედო“, შემდეგ კი, ვერდის თხოვნით გადააკეთა.

3 მაისი, ვერდი — ბოიტოს:

„რადგან თქვენ არ გინდათ, მაღლობას აღარ გიხდით, მხოლოდ ერთ სიტყვას ვიტყვი — ბრავო!.. „კრედო“ შესანიშნავად გამოგივიდათ; ძალიან ძლიერია და მართლაც შექსპირისებური!“

მონტეკატინიში ექიმებმა დეტალურად გამოიკვლიეს ვერდის ჯანმრთელობა. შედეგი დამამშვიდებელია. მაგრამ კომპოზიტორს ჯერ არ დაუწყია ოპერის წერა, ჯერ უნდა გაიაზროს.

10 ივნისი. ვერდი — არივაბენეს:

„...ძალიან მიქვს კომპოზიტორი პუჩინი...“

ისეთი შთაბეჭდილება შეემქმნა, რომ მის მუსიკაში სიმფონიზმი სჭარბობს. ეს დიდი უბედურება არ არის, მაგრამ სიფრთხილება საჭიროა: ოპერა ოპერაა, სიმფონია კი სიმფონია, და, არა მგონია, ლამაზი იყოს ოპერაში ჩადგმული სიმფონიური ნაწილები, მხოლოდ იმიტომ, რომ თაყვი მოიწონოს ორკესტრის როკვით...“

სექტემბერ-ოქტომბერი. ტერეზა შტაილცი, ბოიტო და ჯაკოზა ესტუმრნენ ვერდის სანტ-აგატაში. „ოტელიოს“ მუსიკაზე კრინტიც არ დაუძრავთ.

ნოემბრის დამლევს. ვერდის ოჯახი გადასახლდა გენუაში. აქ ვერდიმ, როგორც იქნა, კვლავ განაახლა „ოტელიოზე“ მუშაობა.

9 დეკემბერი. ვერდი — ბოიტოს:

„მსოფლიოს რომელ კუთხეში იმყოფებით? იმედია, ეს წერილი მოადწევს თქვენამდე. თითქოს შეუძლებელია, არადა მართალია!!! ვმუშაობ, ვწერ... იმიტომ, რომ ვწერ უმიზნოდ, მღელვარების გარეშე და არც მომავალზე ვფიქრობ... თანაც, დიდ ზიზღსა ვგრძნობ მის მიმართ...“ (შემდეგ სთხოვს, ერთ-ერთ დიალოგს ოთხი სტრიქონი მიუმატოს).

17 დეკემბერი. თავისი შემოქმედებითი გზის ბოლო, აღბაათ ყველაზე უფრო მკვეთრი ნაწილის კარიბჭესთან მდგარი ვერდი კლარა მაფეისადმი მიწერილ წერილში განაცხადებს, როგორც დევიზს: შთავიწყება აუცილებლად სისადავეში გამოიხატება!“

ზინალი

(1885—1891)

1885

იანვარი-აპრილი. ვერდი გენუაში მუშაობს „ოტელიოზე“.

აპრილის დამლევს. ვერდი და ჯუზეპინა მილანში მიდიან ექიმთან.

2 მაისი. ვერდი — არვაბენეს:

„მივიღე შენი გამოგზავნილი წიგნი „Ars Nova“ (ახალი ხელოვნება)... ბოლო გვერდზე, სხვა რაღაცეებთან ერთად, წავაწყდი წინადადებას: „შენ თუ ფიქრობ, რომ მუსიკა არის სიყვარულის, ტკივილის, და ა. შ. გამოხატველი, ხელარ მოისმენ, იგი საშენო არ არის!!!“ ვიცი რატომ არ უნდა ვფიქრო, რომ მუსიკა სიყვარულის, ტკივილის და ა. შ. გამოხატველია. თუმცა მე კამათს არ ვაპირებ, არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე. მაგრამ ეს ყველაფერი: თუ ჩვენთან გაჩნდა „ახალი ხელოვნების“ მიმდევარი ადამიანი, წარსულის მონაპოვარს ხომ დავმობს, მაგრამ აწმყოს პრეტენციოზულ უტოპიებსაც ზედ მიაცილებს. ეს მიმდინარეობა ხომ სხვას არაფერს აკეთებს, გარდა იმისა, რომ ძველი შეცდომებისა და პირობითობის მაგივრად ნერგავს ახალ შეცდომებსა და პირობითობას, თანაც უბადრუკ აზრს ვარეგნული დვლარჭნილობით ჩქმალავს“.

მაისი-სექტემბერი. ვერდი და ჯუზეპინა ჯერ სანტ-აგატაში ისვენებენ, მერე მონტეკატინიში, უფრო გვიან კი ტაბიანოში. „ოტელოზე“ მუშაობა შეწყდა. ბოიტო ამოდ მიმართავს ვერდის: „გთხოვთ, არ დაშინდით, სამუშაო მომეცით“.

10 სექტემბერი. ვერდი — ბოიტოს:

„რა უბედურებაა! რაც აქა ვარ, არაფერი გამიკეთებია...“

ამის პასუხად ბოიტო ცოტა ხნით ჩადის სანტ-აგატაში.

5 ოქტომბერი. ვერდი — ბოიტოს;

„დავამთავრე მეოთხე მოქმედება და თავისუფლად ამოვისუნთქე!.. ამ ბოლო, საშინელ სცენაზე მუშაობისას, ვიგრძენი, რომ უნდა ამომეღო ის სტროფი, რომლის დამატება მე სჭირდებოდა გთხოვთ... ამის შედეგად დაირღვა კავშირი რამდენიმე სტროფს შორის, მაგრამ თქვენ ამას ადვილად აღადგენთ... ეს უკეთესია, ვიდრე ორიგინალი...“

ოქტომბერი. ვერდიმ, ბოიტოს დახმარებით, დაამთავრა კომპოზიციის დეტალების დამუშავება. დარჩა მხოლოდ ორკესტრირება.

ნოემბერი-დეკემბერი. გამოცემლები, ანტრეპრენიორები, მომღერლები სთავაზობენ ვერდის თავიანთ თავს; ყველას უნდა გამოსცეს, დადვას, შეასრულოს ახალი ოპერა. მაგრამ ვერდი ყველას ასე უპასუხებს: „ჯერ მზად არ არის“.

30 დეკემბერი. ვერდი — მორელის:

„არა ეჩქარებ ოპერის დამთავრებას, რადგან არც აქამდე მიფიქრია და არც ახლა ვფიქრობ ამის დადგმას. ჩვენს თეატრებში ისეთი მდგომარეობაა, რომ ანტრეპრენიორი წარმატების შემთხვევაშიც... თითქმის ყოველთვის ხარალობს, არ მინდა სინდისის ქენჯნა განვიცადო, რომ ჩემი გულისთვის ვინმე გაკოტრდეს. ამრიგად, ეს საკითხი ჰაერში ჰკიდია, ცასა და მიწას შორის, როგორც მაჰმადის კუბო...“

19 მარტი. ვერდი — არივაბენეს:

„პარიზს მივემგზავრები, თუმცა კარგად არც კი ვიცი, რატომ. ნაწილობრივ მორელის მოსასმენად, ნაწილობრივ იმის სანახავად, უწინდელზე სულელები გახდნენ ფრანგები თუ არა, თანაც მინდა ცოტა გავინძრე. რაღაც საქმეცა მაქვს, რომელსაც თხუთმეტი-ოცი დღე დასჭირდება.“

„ოტელი“ ხელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს! ნეტა, დავამთავრებ? ალბათ, დავამთავრებ. მაყურებელს ვაჩვენებ? ამაზე პასუხის გაცემა მეც კი მიჭირს!“

12 აპრილი. ვერდი და ჯუზეპინა პარიზიდან შვეიცარიის გაუღოთ ბრუნდებიან გენუაში, ხოლო აქიდან ჯერ სანტ-აგატაში მიდიან, მერე მონტეკატი-ნიში.

13 ივლისი. ვერდის მილანში მიეჩქარება, რათა მომხდარი კლარა მაფეი ინახულოს.

7 აგვისტო. ვერდი — პიროლის:

„44 წელი იყო ჩემი მეგობარი!!!.. გულწრფელი და ერთგული მეგობარი. რა გული ჰქონდა! რა კეთილშობილი ბუნება! რა ამადლებული გრძნობები! საწყალი კლარინა!“

1 ნოემბერი. ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„გწერთ, რათა ვითხროთ: „ოტელი“ დავამთავრე! ნამდვილად დავამთავრე! როგორც იქნა!!!!“

ნოემბერი. მილანში ვერდი ესწრება „ოტელის“ პირველ რეპეტიციებს.

დეკემბერი. გენუაში ვერდი თვალს ადევნებს „ოტელის“ ფრანგულ ენაზე თარგმნას.

15 დეკემბერი. ვერდი — ბოიტოს:

„ახლახან გადავეცე „ოტელის“ ბოლო მოქმედებები. საწყალი „ოტელი“... შინ მეტად აღარ დაბრუნდება!!!“

24 დეკემბერი. ვერდი უგზავნის ჯულიო რიკორდის ბარათს, რომელშიც ხუთ მუხლად ჩამოთვლილია გამოცემლის მოვალეობანი და კომპოზიტორის უფლებები.

1887

1 იანვარი, რომში გარდაიცვალა ოპრანდინო არივაბენე.

4. ვერდი მიემგზავრება მილანში, რათა „ოტელის“ რეპეტიციებს დაესწროს.

21 იანვარი. ვერდი სწერს სილვიო არივაბენეს, თავისი გარდაცვლილი მეგობრის ძმისშვილს:

„თითქმის ნახევარი საუკუნის გულწრფელი, ერთგული მეგობრობა, ათასი რამე, და ბოლოს, მოგონებები გვაკავშირებდა. მისი სიკვდილი ჩემთვის ძალიან მტკივნეული და აუნაზღაურებელი დანაკლისია“.

5 თებერვალი. მოქმედების რეპეტიციების შემდეგ, რომელსაც „დიდებული მოხუცი“ უღმობელი სიმკაცრით ატარებდა, „ოტელის“ პრემიერას დიდი წარმატება ხვდა (მთავარ როლებში: პანტალეონი, ტამანიო და მორელი).

ანტონიო ფოგაცარი სწერს ქალბატონ შტარბუკს:

„...ვერდომ, უდავოდ, დიდი სამსახური გაუწია ხელოვნებას, რადგან უკვე აღარ შეიძლება მუსიკის დაწერა აბსურდულ დრამებზე და უბადრუკ ლექსებზე. და რაკი მუსიკა ზუსტად მიჰყვება სიტყვებს, აუცილებელია, სიტყვები ღირსი იყოს ამისა. ბოიტოს პოემა შესანიშნავია, შექსპირის დრამა მთელ თავის სიძლიერეს ინარჩუნებს და მუსიკა ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებს მას, რომ საერთო ეფექტი საოცარია“.

„ოტელის“ პრემიერის შემდეგ, სასტუმროს წინ, სადაც კომპოზიტორი დაბინავდა, ზღვა ხალხი პატივს მიაგებს ვერდის.

12 თებერვალი. ჯუზეპინა სწერს მარიეტა კარარას: „გამაყრუებელი აღტკინება ბოლოს და ბოლოს ფსიქოზში გადაიზარდა... მაგრამ უნდა გამოუტყდე,

რომ გული ამიჩუყდა, რადგან მათი აღფრთოვანება, ეს ძგზნებარე დემონსტრაცია, ღრმა პატივისცემით, წმინდა გრძნობით, დიდი სიმპათიით იყო გამოწვეული, რაც ვერდის მუდამ თან სდევდა, თავისი ცხოვრების გრძელ ვაზზე! პირველად მილანში გამოვლინდა ვერდის უსაზღვრო ტალანტი, და გადაწყვიტა, მილანისთვის მიეცა თავისი გენიის უკანასკნელი ნაყოფი! ვერდის გენია დაკავშირებულია იტალიის აღორძინებასთან!"

15 თებერვალი. ვერდი და ჯუზეპინა გენუაში მიდიან, სადაც კომპოზიტორი თვალყურს ადევნებს „ოტელოს“ ფრანგულ ენაზე თარგმნას.

პარიზის პრემიერისთვის ვერდი აპირებს „ოტელოში“ საბალეტო სცენის შეტანას, მაგრამ ამ სცენის მუსიკის დაბეჭდვის ნებას არ აძლევს, რადგან თვლის, რომ ეს იძულებითი დათმობა ხელოვნების თვალსაზრისით საშინელებაა და მეტი არაფერი.

7 მარტი. კომპოზიტორი არ აპირებს რომში წასვლას „ოტელოს“ პრემიერაზე, ამასთან დაკავშირებით იგი წერს:

„რატომ უნდა წავიდე რომში, თუ ხელოვნებას ჩემი იქ ყოფნა არაფერს შემატებს. თავი გამოვიჩინო? რათა ტაში დამიკრან? ეს გრძნობა ჩემში არც თავმდაბლობაა და არც სიამაყე, ეს არის ადამიანური ღირსების გრძნობა, რომელსაც ვერაფრით ვერ შეველევი...“

22 აპრილი. ვერდი — რიკორდის:

„დუხდემონა ქალი კი არ არის, ტიპია! სიკეთის, თავგანწირვის განსახიერება!“

11 მაისი. ვერდი — რიკორდის:

„ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი დუხდემონა ჯერ ისევ მოსამკებია... დუხდემონა — ისეთი პარტიაა, სადაც წამყვანი მელიოდური ხაზი პირველი ნოტიდან ბოლომდე არა წყდება... ცხადია, საუკეთესო დუხდემონა ის იქნება, ვინც ყველაზე უკეთესად იმღერებს...“

19 მაისი. „ოტელოს“ ტრიუმფალურ სვლას თან ახლავს მრავალი საზრუნავი, უმთავრესად, მომღერლების შერჩევასთან დაკავშირებით. ამაზე ვერდი სწერს რიკორდის:

„როცა ვწერდი, „ოტელო“ შვება იყო ჩემთვის, ახლა კი ჯოჯობეთია!“

ავვისტო. ფაჩომ წარმატებით დადგა „ოტელო“ ბრეშიაში, თუმცა ტამანიო და მორელი არ მონაწილეობდნენ.

19 ავვისტო. ვერდი — ფაჩოს:

„რას ამბობთ! მაშ, „ოტელო“ მისი შექმნელების გარეშეც კარგად მიდის?! ისე შევეჩვიე ორივე მომღერლის ქებას, თითქმის დავირწმუნე თავი, რომ მათ შექმნეს „ოტელო!“ დღეს თქვენ ეს ილუზია მოსპეთ, როცა მომწერეთ, მაკრი უღმერთებსაც კარგად მიდისო!“

სექტემბერი. სანტ-აგატაში ჩასული ბოიქო არწმუნებს ვერდის, ერთად დავიწყეთ ახალ ოპერაზე მუშაობაო...

ოქტომბერი. მუსიკალური განათლების რეფორმასთან დაკავშირებით ბოიქო რჩევას სთხოვს ვერდის: XVI–XVIII საუკუნეების რომელი ექვსი კომპოზიტორი შევარჩიოთ, რომ ახალგაზრდებმა შეისწავლან. ვერდი სთავაზობს: პალესტრინას, კარისიმის, ალექსანდრო სკარლატის, მარჩელოს, პერგოლეზის და პიჩინის.

ნოემბერი-დეკემბერი. ჯუზეპინა ავადმყოფობს, ვერდი კი სრულიად ჯან-

მრთელია. იგი ხშირად მიდის გენუიდან მილანში და სანტ-აგატაში; ვილანოვაში ხომ საავადმყოფო ააშენა, და ახლა იმაზე ფიქრობს, მილანში ააშენოს სახლი მოხუცი მუსიკოსებისათვის. რიკორდის გამომცემლობა შეუერთდა ლუკას ფირმას და საქმის გაფართოებას აპირებენ, რასაც ერთნახევარი მილიონი ლირა დასჭირდება. ვერდის სთხოვეს, დაგვეხმარეო, და კომპოზიტორმა ჯულიოს 200 000 ლირა ასესხა.

1888

იანვარი. იტალიის გარდა, სხვა ქვეყნებსაც სურთ „ოტელოს“ დადგმა. ლიბრეტოს ფრანგულ თარგმანს გერმანული თარგმანი მოჰყვა.

ვერდი — ჯულიო რიკორდის:

„აი, უკვე გერმანულადაც ავლაპარაკდით! მე ეს გნა არ ვიცია, მაგრამ „ოტელოს“ გერმანულ თარგმანში მაინც მეცა თვალში ზოგი რამ ხუსტად თარგმნილი (კომპოზიტორი სთხოვს საკმაოდ ბევრი შესწორების შეტანას).

23 თებერვალი. ვერდი სწერს ტორნაგის, რიკორდის ფირმის მდივანს:

„Bote Bock“-ის ცნობები ვაიმარელ მომღერლებზე ვერაფერს ამბობენ, ვერ განმარტავენ იმას, რის გაგებაც მე მინდოდა. ახლა კიდევ, ეს ფრაზა: „სახელმოხვეჭილი მსახიობები“ — თითქოს ამბობს: „სახელი კი მოიხვეჭეს, მაგრამ ხმა აღარა აქვთ“. ვფიქრობ, ეს ზუსტი თარგმანია. ჩემთვის მთავარია, რომ „ოტელი“ გერმანიაში, ერთხელ მაინც, შესრულდეს ისეთი მომღერლების მონაწილეობით, რომელთაც ვენდობი, და ამიტომ ვთხოვ რიკორდის ფირმას ცოტა ფულად დათმობაზე წავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე პასუხს არ ვაგებ...“

მარტი. ვერდის ძველი მეგობარი, ნეაპოლელი მეღვივო დელფუკო წერილით, რომელიც მეგობრული შარჟის სტილშია შედგენილი, ულოცავს ვერდის „ოტელოს“ შექმნას: ოპერის პრემიერას თეატრ „სან-კარლოში“ დიდი წარმატება ხვდა.

სექტემბერი. მილანში გარდაიცვალა ტიტო რიკორდი.

6 ნოემბერი. ვილანოვაში გაიხსნა საავადმყოფო.

ვერდი — პიროლის:

„საავადმყოფო გაიხსნა თუ არა, მაშინვე ავადმყოფობით გაივსო. მეტს ველარაფერს მოგწერთ, რადგან რეუმატიზმი მტანჯავს, მარჯვენა ხელი მტკივა და მიშლის...“

9 ნოემბერი. ვერდი — რიკორდის:

„ვხედავ, რომ გაზეთები იუბილეზე ალაპარაკდნენ. შემიწყალეთ! რაც ქვეყანაზე უსარგებლო საქმეები კეთდება, მათ შორის ეს ყველაზე უსარგებლოა, და მე, ვისაც ამდენი უსარგებლო რამე გაუკეთებია, მძულს ეს ყველაფერი... თქვენ, როცა მოისურვებთ, შეგიძლიათ გონიერი ადამიანი იყოთ, ამიტომ რამდენიმე სტრიქონი უნდა დაბეჭდოთ გაზეთში ამ უსარგებლო და განუსორცილებელი იდეის საწინააღმდეგოდ. თქვენ დაგიჯერებენ, რადგან ასეთ საქმეებში თქვენს სიტყვას მეტი წონა აქვს. ხოლო, თუ არ დაგეთანხმნენ, ურჩიეთ, მოაწყონ იუბილე ჩემი გარდაცვალებიდან 50 დღის შემდეგ! სამი დღე საკმარისია, რათა დაუიწყებას მისცენ ადამიანები და მათი საქმეები! დიდმა პოეტმა თქვა: „ღმერთო ჩემო! კაცი ორი თვეა მკვდარია და ჯერ კიდევ არ გამოუგლოვიათ!!!“ (ჰამლეტი, მესამე მოქმედება, მეორე სურათი). მე მჯერა სამი დღისა“.

1889

იანვარი. წელიწადი უსიამოვნებებით იწყება. ვერდიმ ზოგი რომ ურჩია „ოტელოს“ განახლებული დადგმისათვის „ლა სკალას“ ანტრეპრენიორს, კორეის, რომელმაც სწორად ვერ გაუგო კომპოზიტორს და მისი ინფორმაციის წყალობით გაზეთებმა დაბეჭდეს: „„ოტელოს“ სჭირდება საფუძვლიანი გადამუშავება!“ ვერდი სწერს რიკორდის:

„თუ ოტელოს სჭირდება საფუძვლიანი გადამუშავება, აიღოს და გადამუშაოს...“

ვერდი სწერს ვილანოვას საავადმყოფოს დირექტორს:

„მივიღე ცნობები ვილანოვას საავადმყოფოს შესახებ. მინდა დავიჯერო და იმედიც მაქვს, რომ ეს ცნობები სიმართლეს არ შეეფერება. აი, რას ამბობენ: 1. არასაკმარისი კვება აქვთ. 2. ღვინო კიდევ უფრო ნაკლებია... 7. და კიდევ ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ისევ ისა სჯობს, საავადმყოფო დაიხუროს და მასზე ლაპარაკი შეწყდეს, ვიდრე ასეთი საყვდურები მესმოდეს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს მართალი არ არის და გთხოვთ, რაც შეიძლება ჩქარა, რამდენიმე სიტყვით, შემატყობინოთ, რომ ეს სიცრუეა!“

10 თებერვალი. ვერდი სწერს პიროლის გენუაში:

„პოლიტიკა არ მიყვარს, მაგრამ ვაღიარებ, რომ აუცილებელია თეორიები, მმართველობის ფორმები, პატრიოტიზმი, ღირსება და ა. შ. მაგრამ მთავარია ცოცხლები ვიყოთ. ჩემი ფანჯრიდან ვოველდღე ვხედავ ერთ ან ორ გემს; ყოველ მათგანზე ათასამდე ემიგრანტია! სიღარიბე და შიმშილი! მინდვრებში ვხედავ ყოფილ მემამულეებს, რომლებიც გაკოტრებულან და ახლა დღიურ მუშებად მუშაობენ მინდვრად, ან ემიგრანტებად ქცეულან (სიღარიბე და შიმშილი). მდიდრების ქონება დღითი დღე მცირდება და უკვე აღარ შეუძლიათ ძვილებურად ხარჯონ ფული — ე. ი. სიღარიბე და შიმშილი! გამოსავალი სადღაა?“

17 თებერვალი. ბოიტოსადმი მიწერილი წერილიდან:

„იუბილეს, გარდა იმისა, რომ მე არ მსიამოვნებს, ისედაც არაერთი სარგებელი და პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს... როგორმე მოახერხეთ, ჩუმად, მშვიდობიანად, უარი თქვან მის მოწყობაზე და ამ საკითხს მეტად აღარ დაუბრუნდნენ. თუ ამ თხოვნას შემისრულებთ, ძალიან კეთილ საქმეს გააკეთებთ...“

19 თებერვალი. „ლა სკალაში“ „ოტელოს“ ახალი დადგმა უფრო სუსტი გამოდგა და ნაკლები წარმატება ხვდა.

თებერვლის დამლევი და მარტი. ვერდი მოხუცი მუსიკოსებისათვის სახლის აშენებას აპირებს და მილანში ეძებს მიწის ნაკვეთს. თან, ბოიტოსთან ერთად, დაღმავალი გამის პარმონიზაციით ირობს თავს.

6 მარტი. ვერდი გენუიდან სწერს ბოიტოს:

„ჩემის აზრით, ამ გამიდან შეიძლება შევექმნათ ნაწარმოები ტექსტით, ლოცვა „ავე მარია“... ეს უკვე მეოთხე იქნებოდა! მაშინ იმედი მაინც მექნება, რომ სიკვდილის შემდეგ წმინდანად შემრაცხავს“.

ბოიტო პასუხობს ვერდის: „დაე, იყოს ეს მეოთხე „ავე მარია“. ბევრი ლოცვაა საჭირო, რომ მისმა უწმინდესობამ გაპატიოთ იაგოს „კრელო“.

ივნისის დამლევის ბოიტო შექსპირის „ქენრი IV“-ისა და „უინდორელი მხიარული ქალების“ მოტივებზე სწერს ოპერა „ფოლსტაფის“ ლიბრეტოს ესკიზს და ვერდის უგზავნის. დიდი ხნის ნანატრმა კომიკურმა ოპერამ კომპოზი-

ტორის წარმოსახვას ფროები შეასხა. პოეტსა და ვერდის შორის გაცხოველებული მიწერ-მოწერა გაიმართა:

6 ივლისი:

...ეს „ფოლსტაფი“ (ან „უინძორელი მხიარული ქალები“) ორი დღის წინ ჯერ კიდევ ოცნების სამყაროში იყო, დღეს კი რეალურ ქაკვილებს თქვენს და, იქნებ, სინამდვილედაც გადაიქცეს! როდის? როგორ?.. ვინ იცის!!! ვერდის მიანხია, რომ მესამე მოქმედება მეტისმეტად უსიცოცხლოა.

7 ივლისი.

„ეჭვს გარეშეა, რომ მესამე მოქმედება ყველაზე უსიცოცხლოა. თეატრში ეს უბედურებაა. სამწუხაროდ, ეს კომედიის საერთო კანონია, ხოლო თუ საერთო კანონია, არც ისე დიდი უბედურებაა, როგორც ჩვენ გვგონია. მაინც ვსინჯოთ, როგორ გავაცოცხლოთ!..“

იმავე დღეს:

...სანამ იღებების სამყაროში დაფარფატებ, ყველაფერი ვილიძის, მაგრამ როგორც კი მიწაზე დაეშვები, პრაქტიკულ შემოქმედებაში მაშინვე იბადება ეჭვი, გულგატეხილობა.

ჩეტა, „ფოლსტაფის“ წერისას თუ ფიქრობდით ჩემს უამრავ წლებზე?.. ვაი თუ, ვერ მოეხსნო „ფოლსტაფის“ დამთავრება? მაშინ ხომ წყალში ჩაგვეყრებათ დახარჯული დრო და ძალ-ღონე! რაც მე არაფრის გულისთვის არ მინდა... ახლა ისა ვთქვათ, როგორ გადავლახოთ ეს დაბრკალებები! ერთი სრულფასოვანი არგუმენტი თუ გაგაჩნიათ, რომ ჩემსას დაუპირისპიროთ? მინდა იმედი ვიქონიო, მაგრამ მაინც არა მჯერა. მოვიფიქროთ ყველაფერი (გოჩოვო, წინდახედულობა გამოიჩინოთ, ისეთი არაფერი გააკეთოთ, რაც თქვენს კარიერას ზიანს მიაყენებს, და თუ თქვენს მიაგნებთ ერთადერთ არგუმენტს, მე კი ათი წლის დაკლებას მოვახერხებ, მაშინ... რა ბედნიერება იქნება ხალხს ვუთხრათ: „ჩვენ ჯერ კიდევ აქა ვართ! და ჩვენს სიტყვასაც ვიტყვიო!“

9 ივლისი. ბოიტოს პასუხი: „საქმე ის არის, რომ მე არასოდეს ვფიქრობ თქვენს ასაკზე: არც მაშინ, როცა გელაპარაკებით ან გწერთ, არც მაშინ, როცა თქვენთვის ვმუშაობ. და ეს თქვენი ბრალია...“

მაგრამ არის უფრო ძლიერი არგუმენტი, ვიდრე ასაკია: „ოტელოს“ შემდეგ თქვენზე ამბობდნენ: „შეუძლებელია, უკეთესად დაასრულო!“ არა მგონია, კომიკური ოპერის შექმნამ დაგლალათ. ტრაგედია ნამდვილ ტანჯვას აყენებს ხოლმე ავტორს. მაგრამ კომედიის ხუმრობა და ღიმილი ხულსა და გულს ახარებს.

ერთადერთი საშუალება, უკეთ დაავიზრგვინოთ თქვენი შემოქმედებითი გზა, ვიდრე „ოტელოთი“, ეს იქნება: წარმატებით დაასრულოთ იგი „ფოლსტაფით“.

10 ივლისი.

„ამინ, ძვირფასო ბოიტო, აღსრულდეს თქვენი სიტყვა! მაშ, „ფოლსტაფსაც“ დავწერთ... მეც ის მინდა, რომ სრულიად საიდუმლოდ შევინახოთ ეს...“

11 ივლისი.

„გაუმარჯოს!!! მალე დავამთავრებ...“

14 ივლისი. ვერდი სწერს ფაჩოს, რომელმაც წარმატებით დადგა „ოტელო“ ლონდონში:

„თქვენ ამბობთ: იტალიური ხელოვნების ტრიუმფიაო!!! სცდებით! ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორები მაინცდამაინც დიდი პატრიოტები არ არიან. თუ ბახიდან ამოსული გერმანელები ვაგნერთან მივიდნენ, ისინი კეთილი გერმანელების საქმეს აკეთებენ და ყველაფერი რიგზეა.“

მაგრამ ჩვენ, პალესტრინიდან ამოსულები, ბახის იმიტაციას რომ ვახდენთ, დანაშაულს ჩავდივართ, რადგან უსარგებლო, საზიანო საქმეს ვაკეთებთ. ვიცი, რომ ბოიტოს ძალიან კარგად მოიხსენიებენ და ძალიან მიხარია: შექსპირის სამშობლოში „ოტელოს“ ასეთი ქება-დიდება განსაკუთრებით დასაფასებელია...“

18 აგვისტო. ვერდი — ბოიტოს:

„იმედი მაქვს, რომ მუშაობთ! ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ მეც ვმუშაობ!.. ვერთობი, ფუგებს ვქმნი!.. დიახ, სენიორ, ფუგა... კომიკური ფუგა, რომელიც „ფილესტაფში“ შეიძლება ძალიან გამოგვადგეს“.

18 ოქტომბერი. მილანში ვერდი ხელმეკრულებას აფორმებს მიწის ნაკვეთის შექმნაზე. კომპოზიტორი აქ აპირებს სახლის აშენებას მოხუცი მუსიკოსებისათვის.

ნოემბერი. სანტ-აგატაში ბოიტო ამთავრებს „ფილესტაფის“ მეორე მოქმედებას.

17 ნოემბერი. მთელს იტალიაში პატივს მიაგებენ ვერდის, მისი პირველი ოპერის „ობერტოს“ პრემიერის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით.

1890

8 მარტი. ვერდიმ მიიღო „ფილესტაფის“ დამთავრებული ლიბრეტო:

„დიდებაა!!!“

17 მარტი. ვერდი — ბოიტოს:

„ისე დავამთავრე პირველი მოქმედება, არავითარი შესწორება არ შემიტანია პოემაში...“

ზაფხულში მუშაობა შეჩერდა. ვერდის ატყობინებენ შემაშფოთებულ ამბებს: მისი სამი მეგობარი მძიმე ავადმყოფობას შეუპყრია. ფანოს მდგომარეობა უიმედოა. როცა ავადმყოფობის გამო ფანო იძულებული გახდა თავი დაენიებინა ღირიჟირობისთვის, ვერდის მეცადინეობით იგი პარმის კონსერვატორიის დირექტორად დანიშნეს, მაგრამ ამაოდ, ფანო ამ იოლ სამუშაოსაც ვედარ გაუძღვებოდა.

14 ნოემბერი. რომში გარდაიცვალა ჯუზეპე პიროლი.

27 ნოემბერი. პარიზში გარდაიცვალა ემანუელ მუციო.

6 დეკემბერი. მარია ვალდმან-მასარის სანუგეშო წერილის პასუხად ვერდი წერს:

„ორი კვირის განმავლობაში ორი ჩემი უძველესი მეგობარი დაკარგე. სენატორი პიროლი, განათლებული, პირდაპირი, უბადლოდ პატიოსანი ადამიანი. ჩემი ერთგული მეგობარი სამოცი წლის მანძილზე! წავიდა ამ ქვეყნიდან!!! მუციო, რომელიც თქვენ პარიზში ვაიცანი, მაშინ „აიდას“ ღირიჟირობდა. გულითადი, ერთგული მეგობარი თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში. გარდაიცვალა! თანაც, ორივე ჩემზე ახალგაზრდა იყო!!! ყველაფერი დასასრულისკენ მიდის!! რა სევდიანია სიცოცხლე! წარმოიდგინეთ რა გულისტკივილი განვიცადე და განვიცდი! რაღა თქმა უნდა, სურვილიც აღარა მაქვს ოპერის დაწერისა, რომელიც უკვე დაიწყო, მაგრამ ძალიან ცოტა გავაკეთე... აწერ უგეგმოდ, უმიზნოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ დღეში რამდენიმე საათით გული გადავავლო...“

1 იანვარი. ვერდი სწერს რიკორდის, რომელსაც უნდა, რომ „ფოლსტაფის“ პირველი დადგმის უფლება „ლა სკალას“ მიენიჭოს:

„ჩემის აზრით, წინასწარ დაგეგმვა მხოლოდ ახირებაა, ^{სამდვილი} ახირება!.. აკი ვითხარით, მხოლოდ ნახევარი ოპერა მაქვს დაწერილი... მოდი დავაზუსტოთ: არის ნახევარი ოპერის მონახაზი, მაგრამ ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება, მთელი 1891 წელიც არ ეყოფა მის დამთავრებას. მაშ, რაღა საჭიროა გეგმების დაწყოფა, ვალდებულებების აღება...“

19 მარტი. ბოიტომ დღეობა მიულოცა კომპოზიტორს და იქვე მიახატა „ფოლსტაფის“ „ლიპიანი“ ფიგურა, რაზეც ვერდი უპასუხებს:

„რა მიულოდნელია! „ლიპიანი“! აგერ, ოთხი თვე იქნება მის შესახებ არაფერი მსმენია. ამასობაში, ალბათ, კიდევ დათვრა და დაიძინა! ჰოდა, იძინოს! ან რატომ უნდა გავაღვიძო? გააღვიძებ და ისეთ სისაძაგლეს ჩაიდენს, მთელ ქვეყანას ააფორიაქებს!..“

აპრილის დამლევით. ვერდი სწერს ბოიტოს „ლიპიანზე“:

„ოთხი თვის ავადმყოფობის შემდეგ ძალიან გახდა!.. და ისეთ გზას დაადგა, რომელიც გაგიჟებამდე მიიყვანს. არის დღეები, როცა არც კი იხმრევა, მთელი დღე სძინავს და ცუდ გუნებაზეა; სხვა დროს ვვირის, დაქრის, დახტის... ცოტა ხნით მაინც მივატოვებ, რომ ჭკუაზე მოვიდეს; მაგრამ, თუ ასე გააგრძელა, პირს ავუკრავ და გიჟის პერანგს ჩამოვაცმევ...“

9 იანვარი. ვერდი რიკორდის:

„ახლა ფოლსტაფზე“ ლაპარაკი, რომელიც ძლივს მიიწევს წინ, ნამდვილად უდროა. თანაც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვერწმუნდები: „ლა სკალას“ დიდი ზომები ეფექტს შეუშლის ხელს. „ფოლსტაფზე“ რომ ვმუშაობ, არც თეატრებზე ვფიქრობ, არც მოძღვრლებზე. ჩემივე სიამოვნებისათვის ვმუშაობ და, ასე მგონია, იგი „სკალაში“ კი არა, სანტ-აგატაში უნდა დაიდგას.“

21 ივლისი. მონტასთან ახლოს გარდაიცვალა ფრანკო ფაჩო.

„საწყალი ფაჩო! რა სასიამოვნო, კეთილი კაცი იყო! თანაც, ასეთი ახალგაზრდა!!!“

10 სექტემბერი. ვერდი სწერს რიკორდის „ფოლსტაფზე“:

„ტყუილი უთქვამთ, ჯერ არ დამიმთავრებია. ახლა პარტიტურაში უნდა გადავიტანო ყველაფერი, რაც დავწერე, რადგან მეშინია ორკესტრების ზოგიერთი დეტალი და კოლორიტი არ დამავიწყდეს.“

იანვარი-მარტი. ვერდი და ჯუზეპინა ავადმყოფობენ და ოპერაზე მუშაობა შეჩერებულია.

10 აპრილი. რახინის დაბადების დღესთან დაკავშირებით მილანში აპირებენ კონცერტის მოწყობას. ვერდიმ იკისრა „მოსეს ლოცვის“ დირიჟირება. მაყურებელი, გარდაცვლილი კომპოზიტორის ნაცვლად, ცოცხალს მიაგებს პატივს.

14 აპრილი. ჰანს ფონ ბიულოვი სწერს ვერდის გრძელ წერილს, რომელ-

შიც სთხოვს, აპატიოს 1874 წელს მასზე გამოთქმული აზრი: „მე შევისწავლე „აიდა“, „ოტელი“ და „რეჟიემი“... და ახლა თაყვანსა გცემთ, მიყვარხართ...“

ამაზე ვერდი უპასუხებს:

„თუ თქვენი აზრი ოდესღაც განსხვავდებოდა ახლანდელისაგან, ძალიან კარგად მოქცეულხართ, რომ გამოაქვეყნეთ; მე ეს არა მწყენია. თქვენში, მხატვრულ სამყაროში დიდად დაფასებული და გამოჩენილი მუსიკოსის, მოულოდნელმა წერილმა, ძალიან გამახარა! გამახარა არა ჩემი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებამ, არამედ იმან, რომ ნამდვილად ამაღლებული სულის ხელოვანი არაფრად ავდებენ წინასწარ შექმნილ აზრს — სკოლაზე, ეროვნებაზე, დროზე — და ისე სჯიან.“

თუ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხელოვნების მოღვაწენი სხვადასხვა მიმართულებას მისდევენ — ეს ძალიან კარგია, დაე, იყვნენ განსხვავებულები! ყოველი მათგანი უნდა გაუფრთხილდეს თავისი ეროვნების ჭეშმარიტ ხასიათს...“

13 ივლისი. ვერდი სწერს რიკორდის, ამჟამად უკვე „ფოლსტაფის“ დადგმის შესახებ:

„არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ შევხვედე იმპრესარიოს და არც მინდა მასთან უშუალო კავშირი ვიქონიო... ამ შემთხვევაში თქვენ იქნებით ჩემი იმპრესარიო.“

14 აგვისტო. ვერდი — რიკორდის:

„უკვე ორკესტრირებულ ნაწილს რომ გადაეთვალთვინებ ხოლმე, ყოველ წუთს ვპოულობ რომელიღაც ნოტს, ტაქტს ან ფრაზას, რაც გადაკეთებას მოითხოვს! მიუხედავად ამისა, სამი-ოთხი დღის შემდეგ, პირველი მოქმედება მზად იქნება, სავსებით მზად.“

1 სექტემბერი. ვერდიმ გაიგო, რომ ზოგ მომღერალს, განსაკუთრებით კი მორელის, შესანიშნავ იაგოს, რომელსაც ფოლსტაფის პარტია შესთავაზეს, უსაშველო მითხოვნები წარუდგენია, და სწერს რიკორდის:

„... მე ვერავის მივცემ ნებას ჩემი კუთვნილი წამართვას, ამიტომ ერთხელ კიდევ ვიმეორებ: 1. არა ვარ ვალდებული დავდგა „ფოლსტაფი“ იქ, სადაც სხვებს უნდათ. 2. მსახიობებს არავითარი ზედმეტი გასამრჯელო. 3. არავითარი ფულის გადახდა რეპეტიციების დროს... უბრალოდ, მინდა ჩემი ნაწარმოების პატრონი ვიყო და არავინ გავაკოტრო...“

13 სექტემბერი. ვერდი რიკორდის უგზავნის „ფოლსტაფის“ ბოლო მოქმედების პარტიტურას:

„ყველაფერი დამთავრდა! იარე, იარე ბებერო ჯონ... იარე შენი გზით, სანამ შესძლებ... იარე, იარე... მშვიდობით!!!“

18 სექტემბერი. ვერდი — რიკორდის, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა ხელშეკრულება დაედო ოპერაზე:

„არ მინდა ვალდებულება ვიკისრო ვინმეს მიმართ; მაგრამ გამომცემელ რიკორდის ვპირდები გადავცე „ფოლსტაფი“ იუბატრ „ლა სკალასთვის“ 1892-1893 წლების კარნავალების სეზონისთვის, იმ შემთხვევაში, თუ სექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ ადრევე შერჩეული მსახიობები; თორღ, ვიტოვებ უფლებას გამოვცვალო ის მსახიობი, რომელიც რეპეტიციაზე არ მომეწონება,“

„ფოლსტაფის“ პრემიერა შეიძლება გაიმართოს თებერვლის დასაწყისშივე,

თუ 1893 წლის ორი იანვრიდან თეატრს გადმომცემენ სრულ გამგებლობაში... ხოლო, თუ რაიმე არ შესრულდა, მე მივატოვებ თეატრს, თქვენ კა ვალდებული იქნებით წამოიღოთ იქიდან პარტიტურა..."

1893

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8 იანვარი. ვერდი „ლა სკალაში“ იწყებს რეპეტიციებს.

თებერვლის დამდეგი. ჯუზეპინა სწერს თავის უფროს დას: „ვერდი წარმოუდგენლად ბევრს მუშაობდა, მუშაობს და „ფოლსტაფის“ პრემიერის შემდეგაც იმუშავებს...“

9 თებერვალი. „ფოლსტაფის“ პრემიერას გრანდიოზული წარმატება ხვდა. (ღირიჟორი – მასკერონი, როლებში – მორელი, პინი-კორსი, ტარბენი, პართოლი, პალაგალი, რასეტი, არიმენდი, ზილი, სტელე, პასკუა-ჯაკომელი და გვერინი).

11 თებერვალი. ვერდი სწერს განათლების მინისტრს მარტინის:

„გაზეთ „პერსევერანცაში“ წავიკითხე, რომ აპირებენ მარკიზის წოდება მომანიჭონ, როგორც ხელოვანი კაცი გთხოვთ, ყველაფერი იღონოთ, რომ ეს არ მოხდეს“.

12 თებერვალი. მარტინის პასუხი: „ის, ვინც მთელი მსოფლიო ხელოვნების მეფე გახდა, იტალიის მარკიზ დი ბუსეტოდ ვერ გადაიქცევა.“

2 მარტი. ვერდი და ჯუზეპინა გულისტკივილით სტოვებენ მილანს.

3 მარტი. ვერდი გენუიდან სწერს რიკორდის:

„ღირიჟაბლით მიუყრინავ მილანში, რათა ვთხოვო ჩემს საყვარელ მხიარულ ქალებს, ღიპიანს და მათ ძეგობრებს, რეპეტიციები განაახლონ!!! დღეს, 3 მარტს, ზუსტად ორი თვე შესრულდა პირველი რეპეტიციის შემდეგ!!! ყველაფერი წარმატებულია!!! ვაგლახ! რა სამწუხაროა! ამის გაფიქრებაც კი სევდასა მგვრის!!!“

13 აპრილი. ვერდი, ჯუზეპინასთან ერთად, რომში მიემგზავრება. პოიტომ და რიკორდომ სთხოვეს მონაწილეობა მიელო დედაქალაქში – „ფოლსტაფის“ დადგმაში.

15 აპრილი. რომში, „ლა სკალას“ დასის შესრულებით, დიდი წარმატებით ჩატარდა „ფოლსტაფი“. მაესტრო რომის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, სადამოს კი სერენადით მიესალმნენ.

2 მაისი. „ლა სკალას“ დასმა რომის შემდეგ ვენეციაში აჩვენა „ფოლსტაფი“, მერე კი უფრო შორს, ტრიესტის გავლით, ვენასა და ბერლინში.

13 მაისი. მასკერონიმ, რომელიც „ფოლსტაფს“ ღირიჟორობდა, ვერდის მისწერა, რა ტრიუმფით ჩატარდა ტრიესტში „ფოლსტაფი“, და ვერდი უპასუხებს:

ყველაფერ კარგს გისურვებთ, ყველაფერ კარგს, და კიდევ ყველაფერ კარგს, „ფოლსტაფის“ შესამე ავტორთ! მეოთხე ვინდა იქნება? ალბათ, პინი კორსი? მუხუთე? მხიარული ქალები. სხვათა შორის, მივიღე ზილის მომნიბლაეი, საოცრად თბილი წერილი. გთხოვთ, ამ ქალბატონს მადლობა გადასცეთ და უთხრათ, რომ მოგვიანებით ვუპასუხებ, რადგან ქვეყნის სამუშაო მაქვს:

საბოლოოდ ვხვეწ ოპერას 12 აქტად, პროლოგითა და სიმფონიით, იგი ისეთივე დიდია, როგორც ბეთჰოვენის ცხრავე სიმფონია ერთად; თანაც, შესავალი

ყოველი აქტისთვის, სადაც ყველა ვილონჩელი და კონტრაბასი ოქტავაში ერთ მელოდსას ასრულებენ, ოღონდ არა ისეთს, როგორც „ტრავიატაში“, „რიგო-ლეტოში“ და სხვა ოპერებშია, არამედ თანამედროვეს, ისინი იმით არიან მომ-ხიბლავები, რომ არც დასაწყისი აქვთ, არც ბოლო, და ჰაერში დაფარფალებენ მაკსიმალის კუბოსავით... დრო აღარა მაქვს ავიხსნათ, როგორ უნდა უზრუნველ-ყონ მომღერლები აკომპანიმენტით, იმედი მაქვს, შთაგონებთ მდგომარეობებს, რო-გორ მოვახერხო, რომ მომღერლებმა (ქალებმა და მამაკაცებმა) შესძლონ თუფ-შების ჩაკ-ჩაკ-ის იმიტაცია... ამის შესახებ სხვა დროს ვიამბობთ...”

23 მაისი. კომპოზიტორი მღელვარებით ატყობინებს რიკორდის, რომ პარ-ტიტურა საბოლოოდ დაამთავრა:

„დღეს დილით გამოვგზავნე „ფოლსტაფის“ ბოლო ფურცლები. ღმერთი შეეწიოს!

ზაფხული. ბოიტო და პოეტი პოლ სალანჯი მუშაობენ „ფოლსტაფის“ ფრანგულ თარგმანზე. სანტ-აგატას მასკერონი ესტუმრა.

სექტემბერი. ვერდი — რიკორდის:

„მე თუ დადგმის დროს არ მივეხმარე, საფრანგეთში ჩემს ოპერებს არა-სოდეს ექნება წარმატება. ეს წინადადება გაზვიადებას და სამდურავს ჰგავს. მიუხედავად ამისა, ზუსტი ფრაზაა, ძალიან ზუსტი. ახლა უკვე, ასაკი არ მაძ-ლევს ნებას, ამ მიზნით პარიზში ჩავიდე... აქედან დასკვნა: იქ ჩემი ოპერების დადგმის ნება არ უნდა მივცე! ასეთია ჩემი სურვილი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ არსებობს მთარგმნელების, გამომცემლების და ა. შ. ინტერესები... ამიტომაც ვყოყმანობ „ვეტოს“ დადებაზე და ვეუბნები:

„რაც გინდათ, ის გააკეთეთ.“

სექტემბრის დამლევი. ვერდი სწერს იტალი პეცის:

„ფორტეპიანოზე დაკრული „ფოლსტაფი“ რა შთაბეჭდილებას შეგიქმნით? უნდა მოისმინოთ. მე ძალიან მსუბუქი ინსტრუმენტირება გამოვიყენე... მთელ ზემოქმედებას ანსაბლი ახდენს...“

1894

იანვარი-თებერვალი. პარიზის ოპერა ემზადება „ოტელოს“ დასადგმულად, ამავ დროს, „ოპერა კომიკ“-ი გეგმავს „ფოლსტაფის“ დადგმას. თეატრის დირექტორი კარვალო, ბოიტო და რიკორდი სთხოვენ ვერდის რეპეტიციებს დაე-სწროს.

17 მარტი. რიკორდისადმი მიწერილი წერილიდან:

„... უკვე ოთხმოცი წლისა ვარ... დღითი დღე ძალა მელევა; რომიდან და-ბრუნების შემდეგ... უკვე აღარ შემიძლია შარშანდელივით სიარული... ვეღარც დადლილობას ვიტან, ვერც ხმაურს, და ა. შ.“

31 მარტი. ვერდი სწერს რიკორდის, რომელიც ადრევე გაგზავნა საფრან-გეთის დედაქალაქში:

„... პარიზში ჩამოვალთ ოთხშაბათს დილის 6 საათსა და 45 წუთზე.

რაც თქვენ მომწერეთ რეპეტიციების შესახებ, თუ ნახევარი მაინც მართა-ლია, მაშინ საკუთარ თავს უნდა შევეკითხო: „რისთვის მივდივარ პარიზში?“

18 აპრილი. პარიზში „ფოლსტაფის“ გრანდიოზული წარმატება ხვდა.

19 აპრილი. ვერდი სწერს ტერეზა შტოლცს:

„კარგი სპექტაკლი იყო. მორილიმ და კვიკლიმ ბრწყინვალედ შესრულეს. ორკესტრი — საოცარი. ეფექტი — სრული!.. მაგრამ რამდენი დავიდარბა, წყალება დასჭირდა!“

ზაფხული. ოპერის დირექცია სოხოვს ვერდის „ოტელოს“ დასრულების ბალეტის სცენა. ვერდიმ დააუვალა რიკორდის მოძებნის თურქეთის, კვიპროსის, საბერძნეთის და ვენეციის ძველებური მელოდიათა.

21. ვერდი — რიკორდის:

„დღესვე გიგზავნი პარიზში, დაზღვეული წერილით, ბალეტის სცენას „ოტელოსათვის“. თქვენმა მუსიკოსმა პროფესორებმა ვერაფერს მიაგნეს... მაგრამ მე, ქრისტეშობამდე მეხუთე საუკუნის ბერძნულ სიმღერას მივაგენი!.. ხოლო, თუ იმ დროს მსოფლიო ჯერ არ არსებობდა, მათ უარესი მისთვის. გარდა ამისა, ვიპოვე კიდევ ერთი მურანული მელოდია, რომელიც ორიასთასი წლის წინათ შეიქმნა, მურანოსა და ვენეციის ომთან დაკავშირებით, რომელშიც მურანოელებმა გაიმარჯვეს. რა ვუყოთ, რომ მაშინ ვენეცია ჯერ არც კი არსებობდა...“

25 სექტემბერი. ამ ერთი წლის განმავლობაში ვერდი და ჯუზეპინა მეორედ მიდიან პარიზში.

12 ოქტომბერი. „ოტელოს“, ახლა უკვე ფრანგულ ენაზე, დიდი წარმატება ხვდა.

22-23 ოქტომბერი. ამაღელვებელი გამოთხოვება პარიზთან, ოპერის მსახიობებთან, გულისამაჩუყებელი დახვედრა გენუაში. ქალაქი სერენადით შეხვდა შინ დაბრუნებულ კომპოზიტორს.

დეკემბერი. კალაბრიაში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთა ხსოვნას ვერდი უძღვნის მელოდიას, ხოლო, ბოიტო შესაფერის ტექსტსა სწერს. ლაპარაკია აგრეთვე, დანტედან ერთერთი სცენისთვის მუსიკის დაწერაზე — გრაფ უგოლინოს ისტორია. მაგრამ ეს განზრახვა განზრახვადვე დარჩა.

1895

18 იანვარი. რიხარდ შტრაუსი ვერდის საჩუქრად უგზავნის ოპერა „გუნტრამ“-ის ეგზემპლიარს წარწერით: „სიტყვები არ მყოფნის აღვწერო ის უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზე „ფოლსტაფის“ საოცარმა მომხიბლაობამ, და რაკი არ ძალმიძს სხვაგვარად გამოვხატო ჩემი მაღლიერება ამ სულიერი დასვენებისთვის, გთხოვთ, სენიორ ვერდი, მიიღოთ საჩუქრად ეს პარტიტურა.“

თებერვალი. მილანში ვერდის მოლაპარაკება აქვს მოხუცი მუსიკოსების სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით. არქიტექტორი კამილო ბოიტო, პოეტის ძმა, მუშაობს პროექტზე. რადგან მშენებლობა იმაზე ძვირი ჯდება, ვიდრე

ვარაუდობდნენ, ვერდი სთხოვს დოქტორ ანჟელო კარარას მოაწოდოს ზუსტი ცნობები თავისი ქონების შესახებ:

„ჩემი საქმეები და ნაკისრი ვალდებულებები მოითხოვენ ვიცოდე, რა ქონების პატრონი ვარ, თანაც, ზუსტად, უკანასკნელ გროშამდე.“

ზაფხული. ვერდი იწყებს მუშაობას „Te Deum“-ზე.

20 დეკემბერი. რიკორდომ მილანში განაახლა „ფოლსტაფი“. სპექტაკლები ახლა უფრო მცირე თეატრში, „დელ ვერმეში“ იდგმება, რადგან „ლა სკალა“ არენდით აიღო გამომცემელმა სონცინიომ; მასა და ბოიტოს შორის მომხდარი ერთი „რაინდული საქმის“ გამო, სონცინიო არ აპირებს რეპერტუარში შეიტანოს ნაწარმოები, რომელიც რიკარდოს საკუთრებაა.

1896

იანვარი. ვერდი მილანში ხელს აწერს ხელშეკრულებას მუსიკოსთა სახლის მშენებლობაზე.

გაზაფხულზე ვერდი მუსიკის ისტორიის შრომების შესწავლას შეუდგა, რათა ზუსტად განმარტოს „ტე დეუმის“ ტექსტი. ამას გარდა, იწყებს „Stabat Mater“-ის წერას.

ჯუზეპინა აკადემიოფობს, ძალ-ღონე ელევა, მოსტეკატინიში მკურნალობაც ვეღარ შეულის.

შემოდგომა-ზამთარი. სანტ-აგატა... შილანი... გენუა... ვერდის და ჯუზეპინას გადაადგილება ამ სამკუთხედით შემოიფარგლება. სიცოცხლის ტემპი თანდათან ნელდება, ვარშემო ღუმილი მატულობს.

1897

იანვარი. ერთ დღეს, გენუაში, ჯუზეპინამ ვერდი თავის ოთახში გულწასული აღმოაჩინა. შავმა ყავამ მაშინვე მოასულიერა კომპოზიტორი, ხოლო, მეუღლისა და ნაშვილები ქალის გულმოდგინე მოვლამ ფეხზე დააყენა. მაგრამ ვერდი გრძნობს, რომ დღითიდღე სუსტდება.

თებერვალი. როგორც კი ძალ-ღონე დაუბრუნდა, ვერდომ „სტაბატ მატერ“-ზე და Landialla Vergen-ზე დაიწყო მუშაობა.

პარიზის ოპერას გადაუწყვეტია იტალიურ ენაზეც დადგას „ოტელო“. დეზდემონას როლზე გამოჩენილი ფრანგი მომღერალი ქალის, კარონის მოწვევას აპირებენ.

ოპერის დირექტორი სთხოვს მანესტროს: კარონს მილანში გამოგიგზავნით და დეზდემონას პარტია შეასწავლეთო.

20 თებერვალი. ვერდი — რიკორდის:

„სამწუხაროდ შეუძლოდა ვარ, ხმა ჩამეხრინწა და ახსნა-განმარტება გამიჭირდება, გარდა ამისა, „ოტელოს“ მუსიკა ადარ მახსოვს, თითები კი, ისე დამეკრუნჩხა, რომ აკომპანირებასაც ვერ მოვახერხებ. და ბოლოს, ექიმი მირ-

ჩევს, არ დავიდალო, ისე დაჟინებით მირჩევს, შემაშინა კიდევ. შეატყობინეთ კარონს ეს ყველაფერი...“

თებერვლის დამღევი. ბოიტოს დახმარებით ვერდი მილანში ამუცადინებს კარონს, თანაც, თვალყურს ადევნებს მოხუცი მუსიკოსების სახლის მშენებლობას და აჩქარებს მშენებლებს. ვერდიმ და ჯუზეპინამ გადაწყვიტეს იქვე კპოვონ განსასვენებელი.

გაზაფხული. ვერდი სწერს ბოიტოს, რომელიც კომპოზიტორს სთხოვს დააჩქაროს „სტაბატ მატერ“-ის დამთავრება:

„ამ პიესაზე აღარც მიფიქრია... ზოგჯერ, როცა გამახსენდება, ზიზღსა მგერის ისევ ხალხის წინაშე წარდგომა...“

ივნისის დამღევი. ბოიტო ჩადის სანტ-აგატაში. იგი სთავაზობს ვერდის: „აუე მარია“, „ლანდი...“, „ტუ დეუმ“ და „სტაბატ...“ გამოიცეს საერთო სათაურით — „ოთხი სასულიერო პიესა“, მაგრამ ვერდი უარზეა. (მოგვიანებით მაინც დათანხმდება).

აგვისტოს დამღევი. ვერდი — რიკორდის: (მონტეკატინიში მკურნალობის შემდეგ):

უკვე სამა დღეა, რაც პეპინა ლოვინში წევს: მისი ჩვეული ხველება და კატარი აწუხებს. ძალიან გახდა, დასუსტდა! თითქმის არაფერსა ჭამს! ხომ წარმოგიდგენიათ, რა მხიარულებაა ჩვენთან! მეც... ბოლო თვეებში ისე კარგად აღარა ვგრძნობ თავს, როგორც ადრე. თვალები ძღალატობენ, ცოტა ყურსაც დამაკლდა, აღარც ფეხები შემორჩილება; ამიტომ ვერც ვკითხულობ, ვერც ვუკრავ და ვერცა ვწერ. მოწყენილი ვარ!... ასეც უნდა იყოს!..“

სექტემბერი. ბოიტომ შეატყობინა, გესტუმრებითო, და ვერდი სწერს:

„თუ ჩამოხვალთ, თუ ეაჟკაცობა გეყოფათ, რომ ამდენ უბედურებას გაუძლოთ, მუდამ სასურველი სტუმარი იქნებით და დიდ გულმოწყალებასაც გამოიჩენთ — ავადმყოფებს მოინახულებთ.“

ოქტომბრის დამღევი. ვერდი ამთავრებს „ოთხი სასულიერო პიესის“ ინსტრუმენტირებას და რიკორდის უგზავნის.

ნოემბრის დამღევი. ჯუზეპინას ბრონქიტი გაუმწვავდა, მერე ანთება ფილტვებზე გავრცელდა და დიდ სიცხეებს აძლევს.

14 ნოემბერს დღის 4 საათზე ჯუზეპინა გარდაიცვალა. მილანიდან მაშინვე ჩადიან ჯულიო რიკორდი მეუღლით და ტერეზა შტოლცი. ბოიტო ვერ ჩავიდა, რადგან, სწორედ ამ დროს პარიზში მოლაპარაკება ჰქონდა „ოთხი სასულიერო პიესის“ შესრულების თაობაზე.

16 ნოემბერი. ჯუზეპინა ღროებით დაასაფლავეს მილანის ცენტრალურ სასაფლაოზე. ანდერძში მან თავის ერთადერთ მემკვიდრედ „უსაყვარლესი მეუღლე“ დაასახელა, ხოლო თავისი პირადი შემოსავლიდან ყოველწლიური რენტა დაუნიშნა ორმოცდაათ ოჯახს.

29 ნოემბერი. წერილი ფრანგ კრიტიკოს ბელევიუსადმი, რომლის მიმართაც ბოლო წლებში ვერდი განსაკუთრებული ნდობით იყო გამსჭვალული:

„უბედური მანქანა... დიახ, უბედური, ძალიან უბედური! ნახევარსაუკუნოვანი შეხმატკბილებული ცხოვრების შემდეგ სულ მარტო დავრჩი, მარტოდ-მარტო; უნუგეშო, უოჯახო, ეული... არადა, უკვე 85 წლისა ვარ!“

1898

ერისთავის
ბიბლიოთეკა

იანვარი. მასკერონი სწერს ვერდის „ფოლსტაფის“ ახალ ტრიუმფზე რომში, რაზეც ვერდი უპასუხებს სანტ-აგატადან:

„მე დამავიწყდა „ფოლსტაფი“. თუ წარმატება ხვდა, ეს თქვენი დამსახურებაა... ზოგ შემთხვევაში მე საკმაოდ პროზაულად ვაზროვნებ და სალაროს ვაქცევ ყურადღებას. ისე რომ, ჩაიხედეთ სალაროში მეექვსე წარმოდგენის შემდეგ; ეს ერთადერთი შეუმცდარი თერმომეტრია!..“

მე აქ დავრჩები, რამდენ ხანს არ ვიცი! ამინდი შედარებით კარგია... უკვე არა ვარ, მაგრამ ძალიან დავბერდი! ეს რა სიცოცხლეა, როცა არაფრის გაკეთება არ შეგიძლია! მეტად მძიმეა!“

20 მარტი. ვერდი სწერს ჯულიო რიკორდის, პარიზში „სასულიერო პიესების“ პირველი შესრულების გამო:

„ვაგლახ, ვაგლახ! ჩემი პარიზში ჩასვლა არ შეიძლება! ექიმმა თქვა...“

7 აპრილი. პარიზში დიდი წარმატებით შესრულდა „სტაბატ...“, „ლანდი...“, „ტე დეუმ“; ვერდის მაგივრად ამ პიესების შესრულებას ხელმძღვანელობს ბონიტი.

ივნისი. ვერდი ისვენებს სანტ-აგატაში. კარარის ოჯახთან და ტერეზა შტოლცთან ერთად მინდერებს შემოივლის ხოლმე.

ივლისში ვერდი მონტეკატინიშია.

9 აგვისტო. ვერდი — რიკორდის:

... „კურიერში“ წაეკითხე: „მილანის კონსერვატორიას მიენიჭება ჯუზეპე ვერდის სახელი.“ იწამეთ ღმერთი, ესლა აკლდათ, რომ აწყენინონ ეშმაკს, რომელიც იმახლა ფიქრობს, მშვიდად იცხოვროს და მშვიდად მოკვდეს. გამათავისუფლეთ ამ ტიტულისაგან, რომელიც არ მიყვარს, მეზიზღება, და რომლის გამოც, მარკიზის ტიტულისა არ იყოს, სასაცილო გავხდები...“

18 აგვისტო. ვერდი — რიკორდის:

„ჯუზეპე ვერდის სახელობის კონსერვატორია — ყალბად ჟღერს! კონსერვატორია, რომელიც ჩემს არსებობას ემუქრებოდა (არ ვაჭარბებ)! წესით, ამ კონსერვატორიის ხსენებასაც კი უნდა მოვერიდო...“

ნოემბრის შუა რიცხვებში ვერდი გენუაში მიემგზავრება.

დეკემბრის დამდეგი. ვერდი მილანში დაბრუნდა და ზამთარი იქ გაატარა. ერთი წლის უმოქმედობის შემდეგ. „ლა სკალას“ თეატრმა ისევ დაიწყო წარმატებით მუშაობა ახალგაზრდა დირიჟორის, არტურო ტოსკანინის ნიჭისა და გონივრული ღონისძიებების წყალობით. „ფოლსტაფს“ ძველებურად დიდი წარმატება ხვდა.

თებერვლის შუა რიცხვები. ვერდი ისევ გენუაში მდის.

19 აპრილი. ბოიტო ატყობინებს ვერდის, რომ „სასკულეერუ-ბოესების“ ახალი შესრულება ნახევრად ცარიელ დარბაზში ჩატარდეს.

„თუ მაყურებელი არ მიისწრაფის ახალი ნაწარმოების მოსასმენად, ეს უკვე წარუმატებლობაა. არც კეთილგანწყობილი ხალხის ტაშს, არც პრესაში, დიადი მოხუცის სანუგეშებლად რამდენიმე თავშეკავებულ სტატიას აზრი აღარა აქვს. არც მოთმინება და შეცოდება არის საჭირო. ამას ისა სჯობდა, სტვენა აეტეხათ!“

მაისი. ვერდი მილანშია.

ზაფხული. ვერდი სანტ-აგატაში და მონტეკატინიშია.

14 ივლისი. მინისტრმა ჯანტურკომ სობოვა ვერდის მონაწილეობა მიელო ჩიმაროზას დაბადებიდან ასირმოცდაათი წლის აღსანაშნავად გამართულ დღესასწაულში, ნეაპოლში.. ამაზე ვერდი უბახუხებს:

„... ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო ამ დღესასწაულში. მე, გადაღლილ, წლებით დამძიმებულ მოხუცს, მღლის ყოველგვარი საქმიანობა, განსაკუთრებით კი მუსიკა...“

29 სექტემბერი. ვერდი — მინისტრ ბაჩელის:

ვაზეთები ისევ ალაპარაკდნენ დიდ ჯილდოზე, რომელიც მე უნდა მომანიჭონ ჩემი დაბადების დღეს.

მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, უბრალო ხელოვანი ვარ, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ასეთი მაღალი მისწრაფებები.

ერთი სურვილიდა შემრჩა: მინდა დამასაფლავონ ჩემს საწყალ მეუღლესთან ერთად მილანში მშენებარე მოხუც მუსიკოსთა სახლის სამლოცველოში...

ჩემი მადლიერება ხანგრძლივი არ იქნება, მაგრამ განუზომლად დიდი...“
მინისტრმა ნუბა დართო.

2 მარტი. ვერდი სწერს რიკორდის გენუიდან:

„ჯანმრთელად და უვნებლად ჩამოვედი. თანაც, ზუსტად განრიგის მიხედვით!!! ისე რომ, ჩემი ბებერი ხერხემალიც ვერაფერს დაიჩივლებს. ცოტას კი — რადგან მე, მთელი ჩემი სიცოცხლე, რაღაცას ვუჩივივარ. ეს არის ჩემი ერთ-ერთი დიდებული თავისებურება.“

20 მარტი. რიკორდისადმი მიწერილი წერილიდან:

„ცოტას ვჭამ, ცოტა ხანს მძინავს, ცოტას ვწერ და ხშირად მოწყენილი ვარ! ოჰ, ეს უსაქმურობა! რა საშინელებაა!“

ვერდის ერთადერთი საზრუნავი, ერთადერთი მიზანი მოხუცი მუსიკოსების სახლია:

„ისე მოვაწყო ყველაფერი, რომ მე აღარ ვჭირდებოდე ვინმეს!“

14 მაისი. ვერდიმ მილანში ხელი მოაწერა ანდერძს:

„მოელი ჩემი ქონების შემკვიდრედ ვაცხადებ მმისშვილს მარია ვერდის, სენიორ ალბერტო კარარას მეუღლეს...“

ანდერძში მოხსენებულია აგრეთვე მისი ყველა ნათესავი, შინაური, მაგრამ ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს მისგან დასაჩუქრებულ დაწესებულებებს. მათ შორის საანდერძევი თანხების სიდიდით გამოირჩევიან: ბუსეტის საზოგადოება „მონტე დი პიეტა“, საავადმყოფო ვილანოვაში, უპირველეს ყოვლისა კი, მილანის მოხუც მუსიკოსთა სახლი, რომელსაც ვერდი გარდა სახელმწიფო ობლიგაციებისა და მხატვრული სუვენირებისა, უანდერძებს თავისი ოპერების მთელ ჰონორარს იტალიაში და საზღვარგარეთ.

ზაფხული ვერდიმ სანტ-აგატაში გაატარა, მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა ურჩია მონტეკატინიში წასულიყო. ტერეზა შტოლცი ტაბიანოში მიემგზავრებოდა და გზად ვერდიც ინახულა.

24 ოქტომბერი. ვერდი — როკორდის:

„ჩემზე არაფერსა გწერ, ეს ზედმეტია, რადგან ჩვეულებრივად ვგრძნობ თავს: სერიოზულად ავად არა ვარ, მაგრამ ძალ-ღონე მაკლდება ისე, რომ ვეღარ ვინძრევი, არც არაფრეს ვაკეთება შემძლია, სრულიად არაფრისა! დღეში ორჯერ მასაჟს მიკეთებენ, მაგრამ ამაოდ!

მილანში მინდა წასვლა, მინდა კი არა, უნდა წავიდე კბილების გამო, მაგრამ არ ვიცი, როდის... ბოიქომ მომწერა, ჩამოვალო, მაგრამ ეჭვი შეპარება ამაში. კრიკრიც და ტიტოც როცა... ძლივსა ვწერ და თანაც ცუდად...“ დეკემბრის შუა რიცხვები. ვერდი მილანში მიდის ორ მმისწულის შვილთან და მოხუც მსახურთან ერთად. თავისი გენუელი მეგობრის, ჯუზეპე ამიჩისადმი მიწერილი წერილიდან:

„მე კი არ ვცხოვრობ, ვარსებობ... ნეტა, რაღა მინდა ამ დედამიწაზე!“

1901

19 იანვარი. დილით, მილანის სასტუმროში, როცა იცვამდა, ვერდის უცებ დაძვლა დაეცა, მარცხენა მხარე წაერთვა.

27 იანვარს ღამის 2 საათსა და 50 წუთზე ვერდის გულის ძვერა შეწყდა. მის სასიკვდილო სარეცელთან იყვნენ: მარიოლინა (მმისწულის შვილი), ტერეზა შტოლცი, ჯულიო რიკორდი და არიგო ბოიქო.

30 იანვარს ვერდი, მისივე სურვილის მიხედვით, დაასაფლავეს ჯუზეპინას გვერდით, ძალიან უბრალოდ და სადად.

26 თებერვალს. ვერდისა და ჯუზეპინას ნეშტები ქალაქის სასაფლაოდან, მოხუცი მუსიკოსების სახლის სამლოცველოში გადაასვენეს. მილანის ქუჩებში,

უკანასკნელ გზაზე მაესტროს, მიაცილებდა სამასი ათასი ადამიანი. 900 მომ-
ღერლისაგან შეძღვარი გუნდი, ტოსკანინის ხელმძღვანელობით, ვადოსამშვი-
დობელ სიტყვებს მღერის: „გაფრინდი ფიქრო, ოქროს ფრთებით...“

ბოიტო სწერს ბელეგიუს:

„ვერდი გარდაიცვალა. უამრავი სინათლე და მაცოცხლებელი სურათი წაი-
ღო თან. ჩვენ ყველას გვათბობდა ამ ოლიმპიური მოხუცის შზის ნათელი... მშვე-
ნიერი იყო მისი სიკვდილი.. წავიდა, როგორც მეომარი: მკაცრად, უსიტყვოდ.“

ერთი კვირის წინ მოიცვა იგი სიკვდილის მღუმარებამ... მაგრამ ვძირულად
ეწინააღმდეგებოდა... საწყალი მაესტრო, ბოლო წუთამდე, რა საოცარი, შესა-
ნიშნავი ადამიანი იყო...“

